ხალხი ისტორიასა და ისტორიკოსთა შეფასებებში

გამომცემლობა „დედაენა“
თბილისი
2002

УДК 947. 922+947.0
ს794

წინამდებარე კრებული მომზადებულია ამერიკელ, რუს და ქართველ ისტორიკოსთა საერთაშორისო პროექტის ფარგლებში თანამშრომლობის შედეგად. წიგნში შესულია უკანასკნელ წლებში გახსნილ არქივებში დაცული მასალების საფუძველზე უცხოეთში გამოქვეყნებული, ქართველი მკითხველისთვის ნაკლებად ცნობილი გამოკვლევების ფრაგმენტები სტალინის და სტალინიზმის ფენომენის შესახებ.

გამოცემის იდეა ეკუთვნის ჯორჯ ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტთან არსებული ეროვნული უსაფრთხოების არქივის დირექტორს თომას ბლენდონს (ვაშინგტონი, აშშ).

კრებულისათვის მასალები შეარჩიეს ტემპლის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორმა ვლადისლავ ზუბოკმა (ფილადელფია, აშშ) და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ქეთევან როსტიაშვილმა.

მასალები თარგმნეს ნანა კიკნაძემ და
ქეთევან როსტიაშვილმა

რედაქტორი გიორგი ეამული ა

გამოცემა დააფინანსა ჯორჯ ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტთან (ვაშინგტონი, აშშ) არსებული ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტების არქივის ფონდმა კარნეგის კორპორაციის (ნიუ-იორკი, აშშ) მხარდაჭერით.

ISBN 99928-920-7-2

წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებული მრავალმსრივ არის საინტერესო. უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ მიუხედავად სტალინის და სტალინიზმის ფენომენის მიმართ საქართველოში არსებული ინტერესისა, სადღეისოდ, ქართულ ენაზე, მცირე გამონაკლისის გარდა, თითქმის არ მოგვეპოვება ხსენებული პრობლემისადმი მიძღვნილი ობიექტური ლიტერატურა (ავტორებს მხედველობაში არა გვაქვს ბოლო დროს საქართველოში მოჭარბებული ტენდენციური სტალინისტური ლიტერატურა და სტალინური პერიოდის ცალკეულ პარტიულ ფუნქციონერთა მოგონებები).

წიგნში მოცემული მასალის მიზანია, ქართულ საზოგადოებას ახალი ისტორიული ფაქტები მივაწოდოთ, რათა დაეფიქრდეთ და ეიმსჯელოთ, რას წარმოადგენდა სტალინიზმი ისტორიული თვალსაზრისით, რა როლი შეასრულა ამ მოვლენამ საქართველოს მე-20 საუკუნის ტრაგიკულ ისტორიაში. რაც მთავარია, კრებული დაგვეხმარება საბოლოოდ გავაქარწყლოთ უკვე საკმაოდ სათუქველშერყეული მითი. მითი, რომლის თანახმად, სტალინიზმის ფენომენს და კერძოდ სტალინს, საბჭოთა იმპერიაში საქართველოს ინკორპორაციის მიუხედავად, მთლიანობაში სასიკეთო გავლენა მოუხდენიათ ჩვენი ერის და ქვეყნის განვითარებაზე.

როგორც ცნობილია, საქართველოში სტალინიზმის მომხრეთა ძირითად "არგუმენტს" სტალინის (ისევე, როგორც სსრკ-ის ლენინური და სტალინური პერიოდის მთელ რიგ პარტიულ ფუნქციონერთა) ქართული წარმოშობა წარმოადგენს. ხსენებული პრიმიტიული აზრის თანახმად, საბჭოთა კავშირის სათავეში მოსულ სტალინს მთელი სიცოცხლის განმავლობაში თავი ქართველად მიაჩნდა, ინარჩუნებდა ქართულ შეგნებას და, შესაბამისად, სარგებლობდა რა საკუთარი უმაღლესი სახელმწიფოებრივი მდგომარეობით, შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა მშობლიურ საქართველოს.

ჩვენ შეგნებულად გვსურს დაწვრილებით შევჩერდეთ ამ საკითხზე, ვინაიდან როგორც დასავლეთში, ისე ბოლო ხანებში რუსეთში გამო-

ქვეყნებული ისტორიული მასალები და გამოკვლევები (მათ შორის წინამდებარე წიგნში შეტანილი) სრულიად საპირისპიროზე მეტყველებს.

სწორედ სტალინისა და მის გუნდში შემავალი ზოგიერთი ბოლშევიკის ქართული წარმოშობა შნიშვნელოვან წილად გახდა ავბედით XX საუკუნეში ქართველი ერის თავს დატეხილი უბედურებების მიზეზი.

თანამედროვე მეცნიერებმა ცხადყვეს, რომ ყოველივე ამას საფუძვლად ედო როგორც რთული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ისე ღრმა ფსიქოლოგიური მიზეზებიც (როგორც კონკრეტულად სტალინის შემთხვევაში).

მივმართოთ ისტორიულ ფაქტებს. ცნობილია, რომ პიროვნების ჩამოყალიბების ძირითადი განმაპირობებელია ბავშვობის წლები, ბავშვობაში გადატანილი დადებითი და უარყოფითი ემოციები, სოციალური გარემო. ამიტომაც არის, რომ სტალინის ფსიქოგრამის ცნობილი გერმანელი ავტორი ა. ნოიმაიერი არსებულ წყაროთა დაწვრილებითი ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ "სასტიკი და ხშირად ნასვამი ბესარიონ ჯუღაშვილის აღზრდის უხეშმა მეთოდებმა წარუშლელი კვალი დატოვა შვილის სულში. ამასთან, საქმე ეხება არა იმდენად ფიზიკურ ტკივილს ყოველდღიური ცემა-ტყეპისაგან, რომლითაც მამას სურდა გაეტეხა შვილის სიჯიუტე, რამდენადაც დაუმსახურებელი სასჯელით გამოწვეულ უსამართლობის შეგრძნებას. სასჯელი ჩვეული რამ იყო მამისათვის, ის კი (იოსებ ჯუღაშვილი. გ.მ.) უძლურების გრძნობით, იძულებული იყო აეტანა უხეში, პრიმიტიული და არაპროგნოზირებადი შშობლის სისასტიკე."

"სასტიკი მოპყრობით, ცემა-ტყეპით და ბავშვური გასაჭირისადმი თანაგრძნობის უქონლობით გამოწვეული ტანჯვა, რომელიც ბავშვის ქვეცნობიერებაში აისახება, განაგრძობს ნოიმაიერი, მომავალში, ზრდასრულ ადამიანში იწვევს ბავშვობის დროინდელი ამ ტანჯვის გამეორების შინაგან მიდრეკილებას. ამასთან, დამახასიათებელია, რომ ამგვარი ადამიანები მთლიანად აიგივებენ საკუთარ თავს აგრესორთან და მსხვერპლისადმი რაიმე თანაგრძნობას არ განიცდიან."

ამასთან დაკავშირებით, ავტორს მოჰყავს სტალინის ბავშვობის მეგობრის, იოსებ ირემაშვილის დაკვირვება: "ძძიმე, დაუმსახურებელმა ცემა-ტყეპამ ბიჭუნა ისეთივე სასტიკი და დაუნდობელი გახადა, როგორც მამამისი იყო. ის დარწმუნდა, რომ ადამიანი, რომელსაც სხვები უნდა ემორჩილებოდნენ, მამამისისნაირი უნდა ყოფილიყო. ამის გამო მასში დაინერგა სიძულვილი ყველას მიმართ, ვისაც მასზე მაღალი მდგომარეობა ეკავა. ბავშვობის წლებიდან მისი ცხოვრების მთავარ მიზნად შურისძიება იქცა, რის განხორციელებასაც ყველაფერი შესწირა." [1]

მაგრამ ფსიქოლოგიურ ასპექტს სხვა მხარეც გააჩნდა. სტალინის დასავლელი ბიოგრაფები მართებულად მიუთითებენ, რომ ბავშვობაში და ახალგაზრდობაში საქართველოში გადატანილმა დამცირებებმა სტალინს პარალელურად გაუღვივა სიძულვილი და ზიზღი საკუთარი ხალხისა და სამშობლოსადმი, რაც, მისი ხასიათის და ბუნების გათვალისწინებით, გასაკვირი არ უნდა იყოს.

სტალინის ეს თვისება სწორად შენიშნა ლევ ტროცკიმ, რომელმაც მის მიერ დაწერილ სტალინის ბიოგრაფიაში საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ 1918 წელს ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისრად დანიშნული სტალინი "განსაკუთრებით ცდილობდა ეჩვენებინა, რომ ის ქართველი კი არა, მოსკოვის მიერ გამოგზავნილი ბოლშევიკი იყო, რომ ქართველები მისთვის უბრალოდ ერთ-ერთ ეროვნებას წარმოადგენდნენ. მის მიერ საქართველოს ეროვნული თავისებურებების უხეშ უგულვებელყოფაში შეინიშნებოდა საკუთარი ახალგაზრდობის დროინდელი ძლიერი ეროვნული გრძნობების დაძლევის ელემენტი. სწორედ ამის გამო საუბრობდა ლენინი უკიდურეს რუსიფიკატორ-ინოროდცებზე, რაც თანაბრად შეეხებოდა როგორც სტალინს, ისე ძერჟინსკის." [2]

---

[1] Ноймайер А. Иосиф Сталин. წიგნში: Диктаторы в свете медицины. Ростов-на-Дону. 1997. с. 453-454.

[2] Троцкий Л. Сталин. Москва. Т. II. 1990. с. 48.

სტალინის სიძულვილი საკუთარი საშობლოსა და ერისადმი განსაკუთრებით რელიეფურად გამოიკვეთა 1918-21 წლებში.

როგორც ცნობილია, ხსენებულ პერიოდში ქართველმა ერმა ისარგებლა რუსეთის იმპერიის დაშლით და აღადგინა ერთი საუკუნის წინ დაკარგული დამოუკიდებლობა. ამასთან დაკავშირებით, მკვლევრები ერთხმად აღნიშნავენ, რომ არავის გამოუჩენია საქართველოს დამოუკიდებლობისადმი ისეთი შეურიგებლობა, როგორც პირადად სტალინს და მის ხელქვეით კავკასიელ კომუნისტებს.

იმ დროსაც კი, როდესაც პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, თავად ლენინი საქართველოს მიმართ მოქნილ და შემრიგებლურ პოლიტიკას უჭერდა მხარს, სტალინი, საკუთარ მომხრეებთან ერთად (ორჯონიკიძე, კიროვი და სხვ.) ძალ-ღონეს არ იშურებდა საქართველოს ხელახლა დასაპყრობად. კერძოდ, 1920 წლის 7 მაისის ცნობილ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმად საბჭოთა რუსეთი იძულებული გახდა ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, ჩვენთვის უკვე ცნობილი ირემაშვილი აღნიშნავდა: "სტალინი ამ ხელშეკრულების წინააღმდეგი იყო. მას არ სურდა იმის დაშვებაც კი, რომ მისი საშობლო რუსეთის სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი ყოფილიყო და საძულველი მენშევიკების თავისუფალი მმართველობის ქვეშ ეარსება." [3]

ამასვე ადასტურებს თავის კლასიკურ გამოკვლევაში ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი-სოვეტოლოგი რიჩარდ ფაიფსი, რომელიც 1920-21 წლებში არსებული საერთაშორისო მდგომარეობის დაწვრილებით განხილვისას აღნიშნავს, რომ "საქართველო შეიძლება გადარჩენილიყო, რომ არა მუდმივი ზეწოლა ლენინზე სტალინის, ორჯონიკიძის და კიროვის მხრიდან." [4]

---

[3] Троцкий Л. დასახელებული ნაშრომი, გვ. 49.
[4] Пайпс Р. Россия при большевиках. Москва. 1997. с. 197

იგივეს ასაბუთებს ისტორიოსი რობერტ თაკერი, რომლის თანახმად, საქართველოში შემოჭრის მომხრე ძალების შეკავება ვერ მოხერხდა: "კავკასიელ ბოლშევიკთა ლობი, რომელიც ზეწოლას ახდენდა საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის სასარგებლოდ, ამჟამად აკონტროლებდა სიტუაციას. მათი ლიდერი ორჯონიკიძე და მისი რუხი კარდინალი (eminence grise) სტალინი არ იყვნენ განწყობილნი საკუთარ თანამოძმეთა და საერთოდ, კავკასიელთა მიმართ შემრიგებლური კურსის გასატარებლად, როგორც ამას ლენინი მოითხოვდა." [5]

საინტერესოა ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონია ახალგასაბჭოებულ საქართველოში 1921 წლის ივნისში სტალინის ჩამოსვლასთან დაკავშირებით. კერძოდ, სტალინს კავბიუროს პლენუმზე ადგილობრივ ფუნქციონერებთან უნდა განეხილა პოლიტიკური საკითხები, რომლებიც საქართველოს და ამიერკავკასიას შეეხებოდა.

"ამ პერიოდში, აღნიშნავს რ. თაკერი, სტალინმა თანხმობა განაცხადა გამოსულიყო რკინიგზელ მუშათა მასობრივ მიტინგზე. ტრიბუნაზე მის გამოჩენას ხალხი სტვენით შეხვდა. შეკრებაზე მყოფი მოხუცი ქართველი ქალები წყევლა-კრულვას უგზავნიდნენ: "მოღალატე", "გამყიდველო", "წყეულო" და ა.შ. მიტინგზე დამსწრე ორ მენშევიკ რევოლუციონერ ვეტერანს, ი. რამიშვილსა და ა. დგებუაძეს ხალხმა ოვაცია მოუწყო. უკანასკნელმა უთხრა სტალინს: "რატომ დალუპეთ საქართველო? რისი მოცემა შეგიძლიათ ამის მაგიერ?" თვითმხილველთა თქმით, სტალინი გაფითრდა და საკუთარ მცველ რუს ჩეკისტებთან ერთად დატოვა მიტინგი." [6]

ამავე ფაქტს ადასტურებს მოგონებებში დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე, თბილისის გენერალ-გუბერნატორი შ. მაღლაკელიძე: "რაც შეეხება სტალინს, პირველად 22-ში

---

[5] Такер Р. Сталин. Путь к власти 1879-1929. История и личность. Москва. 1990. с. 214.

[6] Такер Р. დასახელებული ნაშრომი, გვ. 215.

ჩამოვიდა აქ და მოვიდა დეპოში, მიტინგი გამართა და ყველამ დაუწყო ძახილი: შე ლურსმნის ქურდოო!!! მე მეტეხის ციხეში ვარ. ჩემთან არის სტალინის ამხანაგი სიმონ გოგლიძე, რომელმაც აგვიხსნა, ლურსმანს იპარავდნენ პარტიის სასარგებლოდ, სტალინთან მიჰქონდათ და ყიდდნენო. ე. ი. სტალინს საქართველოში შეხვდნენ ძახილით: ლურსმნის ქურდიო, კეკეს ბუშიო, ლილოელი გლეხიო. ასეთ მდგომარეობაში იყო იგი და სძულდა საქართველო." [7]

გასაკვირი არ არის, რომ სტალინის პიროვნების დაწვრილებითი ანალიზის საფუძველზე რ. თაკერი ასკვნის: " როგორც ვხედავთ, სტალინი მრავალი წლის განმავლობაში აგდებულ დამოკიდებულებას იჩენდა საქართველოს მიმართ. როგორც ჩანს, ახლადგადატანილმა დამცირებამ კიდევ უფრო გააბოროტა იგი და ამასთან ერთად, გაუძლიერა იმის შეგრძნება, რომ მისი ჭეშმარიტი სამშობლო პატარა საქართველო კი არა, დიდი რუსეთია. დაბადების ადგილისაგან მის ხანგრძლივ მოწყვეტას თან დაერთო შურისძიების გრძნობა. ყოველივე ეს დაგვეხმარება მის მიერ 1924 წელს მემალაროელთა ქალაქ ჭიათურაში და მის შემოგარენში მოეხდარი ამბოხების გამო ნასროლი რეპლიკის გაგებაში (საქმე ეხება 1924 წლის ეროვნულ-განმათავისუფლებელ აჯანყებას. გ. მ.). "საქართველო, განაცხადა სტალინმა, - თავიდან უნდა გადაიხნას." [8]

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

თუ რამდენად ეუცხოვებოდა სტალინს ყოველივე ქართული, ჩანს ამავე ავტორის შემდეგი ბრწყინვალე ნარკვევიდან: "თავისი ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებაში სტალინი ცდილობდა გამოერიცხა თითქმის ყველაფერი, რაც მის ქართულ წარმომავლობას გაახსენებდა. მისი ქალიშვილის სიტყვებით, ქართული ყოფის ზოგიერთი ადათი სტალინს

---

[7] შ. მაღლაკელიძე. მოგონებანი. წიგნში: ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში. თბილისი. 1994. გვ. 119.

[8] Такер Р. დასახელებული ნაშრომი, გვ. 216.

მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა. მაგალითად, უყვარდა სუფრასთან საქმიანი საუბარი და თან ქართული ღვინის წრუპვა. ამასთან, სვეტლანა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მას თავი რუსად მიაჩნდა და სურდა სხვებსაც ასეთად აღექვათ. საკუთარ შვილებს მეორე ქორწინებიდან ვასილს და სვეტლანას სტალინი იმგვარად ზრდიდა, რომ მათ თავი ქართველებად არ ჩაეთვალათ და არ ეამაყათ ქართველი წინაპრებით. "საერთოდ ჩვენს ოჯახში ქართული არაფერი ინერგებოდა, ხოლო მამაჩემი ერთიანად გარუსდა," აღნიშნავს სვეტლანა და იხსენებს, როგორ უთხრა ერთხელ, ვგონებ 1931 წელს, ვასილმა: "იცი, მამაჩვენი ადრე ქართველი იყო." შემდგომ სვეტლანა წერს, რომ საქართველოს სული მაინც გამუდმებით იგრძნობოდა მათ სახლში დედამისის, ბაბუისა და ბებიის მათთან ყოფნის წყალობით. მაგრამ სტალინს ეს არ ეხებოდა. "იქნებ სწორედ იგი იყო ყველაზე ნაკლებად აღფრთოვანებული ამით; მას უყვარდა რუსეთი, შეიყვარა ციმბირი თავისი პირქუში სილამაზით და უთქმელი, მოუხეშავი ხალხით." და კიდევ: "მე არ ვიცნობ სხვა ქართველს, რომელსაც ამდენად დაევიწყებინა თავისი ეროვნული თვისებები და ასე ძლიერ შეყვარებოდა ყველაფერი რუსული."

იმას, თუ რამდენად ავადმყოფურად აღიქვამდა სტალინი თავის ქართველობას, მოწმობს მისი დამოკიდებულება იაკობთან, ვაჟიშვილთან პირველი ქორწინებიდან. იაკობი საქართველოში მცხოვრებმა მისმა დეიდამ აღზარდა, სკოლაშიც აქვე სწავლობდა. 20-იან წლებში ბიძის, ალექსანდრე სვანიძის დაჟინებით მოსკოვს გადასახლდა და მამასთან დაიდო ბინა. ის განა მხოლოდ გარეგნობით და აღზრდით იყო ქართველი, არამედ რუსულადაც ძლივს ლაპარაკობდა. იაკობი სტალინის ქართული წარმომავლობის ცოცხალი შეხსენება იყო და, ამიტომაც, უეჭველია სტალინს არ მოსწონდა მისი ჩამოსვლა და ყველაფერი, რაც მასთან იყო დაკავშირებული. სტალინის სიძულვილი შვილისადმი იმდენად ძლიერი იყო, რომ როცა მამის მტრული დამოკიდებულების გამო სასოწარკვეთილებამდე მისულმა იაკობმა თვითმკვლელობა სცადა, სტა-

ლინმა სიცილი დააყარა: "რაო, ვერ მოიხვედრე?" ამის შემდეგ იაკობი ლენინგრადში გადასახლდა და იქ უფროს ალილუევებთან დაიდო ბინა. შემდგომში იგი წითელი არმიის ოფიცერი გახდა და ათასობით საბჭოთა საშხედრო ტყვეთა რიცხვში აღმოჩნდა, რომლებიც გერმანელებმა ომის დასაწყისშივე ჩაიგდეს ხელთ. სტალინმა უარყო გერმანიის წინადადება, გერმანელ ტყვეებში გაეცვალა იაკობი. იგი ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა. ზოგიერთი ცნობით, მან გაქცევის იმიტაცია მოაწყო (ეს თვითმკვლელობის ტოლფასი იყო), მას შემდეგ, რაც ბანაკში რადიოთი გამოაცხადეს, რომ მამამისმა საზღვარგარეთელი კორესპონდენტის შეკითხვაზე უპასუხა: ჰიტლერის ბანაკებში საბჭოთა საშხედრო ტყვეები კი არა, საშშობლოს მოღალატენი არიან, რომელთაც ომის შემდეგ გავუსწორდებითო, - თან დასძინა, - "მე არა მყავს შვილი იაკობი!" [9]

სტალინის საინტერესო დახასიათება მოგვცა აბდურაჰმან ავტორხანოვმაც, რომლის დაკვირვებით "სისხლით და ენით სტალინი ქართველი იყო, მაგრამ მის ქართულ მენტალიტეტზე ლაპარაკიც კი ზედმეტი გახლდათ. სტალინის ეთნიკური წარმომავლობის მშვენიერი განსაზღვრება მოგვცა პატარა ვასიამ, როდესაც საკუთარ დას სვეტლანას არაჩვეულებრივი სიახლე აუწყა: "იცი, მამაჩვენი ადრე ქართველი ყოფილა!" მართალია, ქართველობაზე სტალინმა უარი თქვა, მაგრამ არარუსობის კომპლექსი მაინც ვერ მოიშორა, თუმცა მის დაძლევას ეროვნულ საკითხში ზერუსულობის ქადაგებით ცდილობდა."

"სწორედ საქართველოში მარადჟამს ეძებდა იგი ბოლომდე ამოუძირკვავი ნაციონალიზმის ნარჩენებს." [10]

სოციალური თვალსაზრისით, სტალინის პიროვნების ამგვარი მეტამორფოზი არ უნდა იყოს გასაკვირი. ჯერ კიდევ 1979 წელს ცნობილი

---

[9] Такер Р. დასახელებული ნაშრომი, გვ. 390-391.

[10] Авторханов А. Загадка смерти Сталина. Франкфурт-на-Майне. 1976. с. 113.

რუსი ემიგრანტი-ისტორიკოსი მიხეილ აგურსკი მიუთითებდა, რომ "წითელი პატრიოტიზმი დამახასიათებელი იყო არა მხოლოდ რუსებისათვის. ის გაცილებით უფრო მეტად იზიდავდა რუსიფიცირებული მცირე ერების ზოგიერთ წარმომადგენელს, რომლებსაც დაკარგული ჰქონდათ კავშირი თავის ეროვნულ გარემოსთან. გაუბედაობა ადამიანებისა, უცაბედად რომ აღმოჩნდნენ იმ ქვეყნის მმართველობის სადავეებთან, რომელიც პრინციპულად უარყოფდა ინოროდცების მონაწილეობას პოლიტიკურ მმართველობაში, სავსებით შესაძლებელია მათი მხრიდან კომპენსირებული ყოფილიყო წითელი პატრიოტიზმის მეშვეობით. ამის შედეგად მათი მოღვაწეობა არა ანტიეროვნულად (ე.ი. ანტირუსულად, გ. მ.), არამედ, პირიქით – რუსეთის განდიდებისკენ მიმართულად ჩანდა." "წითელი პატრიოტიზმი ის კომპრომისული იდეოლოგია იყო, რომელიც საშუალებას აძლევდათ საკუთარი თავი პრივილეგირებულ ჯგუფად შეენარჩუნებინათ." [11]

შემდგომ, ავტორი მიუთითებს, რომ ამგვარ ჯგუფებს, "უპირველეს ყოვლისა მიეკუთვნებოდნენ რუსიფიცირებული კავკასიელები - ქართველები და სომხები - როგორებიც იყვნენ სტალინი, ორჯონიკიძე, ენუქიძე, მიქოიანი, კარახანი, მიასნიკოვი (მიასნიკიანი) და სხვები. სწორედ ქართველი სტალინი ჩაუდგა სათავეში საბჭოთა ეროვნულ პოლიტიკას. სწორედ ის იყო 1922 წელს საბჭოთა კავშირის შექმნის ინიციატორი. სწორედ ის უწყობდა ხელს სსრკ-ში სეპარატიზმის ყველა ნაირსახეობის აღმოფხვრას, რასაც მშობლიური საქართველოდან იწყებდა." [12]

დასკვნების გაკეთება მკითხველისთვის მიგვინდია....

მასალების კითხვისას ჩვენ წინაშე წარსდგება მე-20 საუკუნის ტოტალიტარიზმის საშინელი მონსტრი მისი ყველაზე უარესი – სტალინურ-კომუნისტური ფორმით.

---

[11] Агурский М. Идеология национал-большевизма. Париж. 1980. с. 147.
[12] Агурский М. დასახელებული ნაშრომი, იქვე, გვ. 148.

მხოლოდ სტალინიზმის და მასთან განუყრელად დაკავშირებული პროვინციული აზროვნების საბოლოო დაძლევის შემთხვევაში, საქართველოს შესაძლებლობა ექნება გაემიჯნოს კომუნისტურ-აზიურ წარსულს, დაუბრუნდეს საკუთარი ისტორიული განვითარების გზას და ამით ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს ევროპელ ხალხთა შორის.

* * *

იოსებ სტალინი იმ ისტორიულ პიროვნებებს მიეკუთვნება, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ემახსოვრებათ და კამათი მათ შესახებ არასოდეს შეწყდება. მის ქმედებათა კვალი და შედეგები დღემდე გვახსენებს თავს. მისი ეპოქა ისე ღრმად ჩაიბეჭდა თაობათა მეხსიერებაში, როგორც მსოფლიო ომების და კატასტროფების ეპოქებს ახასიათებს ხოლმე. სტალინმა რკინის ლაგამი ამოსდო და ყალყზე შეაყენა მრავალეროვანი ქვეყანა, რომელიც ის-ის იყო გონს მოდიოდა რევოლუციით გამოწვეული ძვრებისა და ძმათამკვლელი სამოქალაქო ომის შემდეგ. კოლექტივიზაცია, მასობრივი შიმშილი უკრაინაში და მილიონობით გლეხის ციმბირში გადასახლება, ინდუსტრიალიზაცია და ახალი "მუშათა კლასის" შექმნა, "საბჭოთა კულტურის" მშენებლობა და ინტელიგენციის უდიდესი ნაწილის განადგურება, სტალინური კონსტიტუცია და ათეულ ათასობით პარტიული თუ სახელმწიფო კადრების დახვრეტა ეს ყველაფერი სტალინის ნამოქმედარია. 1941 წლის 22 ივნისს გერმანიის "მოულოდნელი" თავდასხმა, ტერიტორიათა და ადამიანების კოლოსალური დანაკარგები, სისხლისმღვრელი შერკინებანი სტალინგრადისა და კავკასიისათვის, ბრძოლა კურსკის რკალზე და "სტალინისეული ათი დარტყმა", ნახევარი ევროპის დაპყრობა და ბერლინის თავზე წითელი დროშის აფრიალება - ესეც სტალინის ნამოქმედარი გახლავთ. ხალხთა გადასახლება აღმოსავლეთში, ომის შემდგომი შიმშილი, "ცივი ომის" დაწყება, სსრკ-ის სწრაფად აღდგენა და ბირთვულ ზესახელმწიფოდ გადაქცევა, გერმანიიდან მანჯურიამდე მოფენილი საბჭოთა

სამხედრო ბაზები, "სტალინი და მაო გვისმენენ", კოსმოპოლიტების დევნა, ახალი ომისათვის მზადება - ეს ყველაფერი აგრეთვე სტალინმა მოიმოქმედა.

1953 წლის 5 მარტს, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, მისმა პოლიტიკურმა მემკვიდრეებმა ვერ გაუძლეს წინამორბედის მიერ დანატოვარი იმპერიის უზარმაზარ ტვირთს. ნიკიტა ხრუშჩოვმა ანათემას გადასცა სტალინი, მისი ცხედარი მავზოლეუმიდან გამოიტანა და შეეცადა, საბჭოთა ისტორიიდანაც ამოეძირკვა იგი, როგორც დიდი და ტრაგიკული შეცდომა. ლეონიდ ბრეჟნევმა და სხვა საბჭოთა მმართველებმა თავად ხრუშჩოვი გააძევეს პოლიტიკური ცხოვრებიდან, მაგრამ სტალინს ვერაფერი მოუხერხეს, ვერ მოიფიქრეს. ყოველივე ამის შედეგად საბჭოთა კავშირი მთელი სამი ათეული წლის მანძილზე "ობლად რჩებოდა" - სტალინის პიროვნებას და მის როლს საბჭოთა ისტორიაში ტაბუ ჰქონდა დადებული.

საქართველო, ცხადია, ამ წესიდან მთავარ გამონაკლისს წარმოადგენდა. 1956 წლის მარტში თბილისი, შემდეგ კი მთელი საქართველო მოიცვა ეროვნულმა მისწრაფებამ - დაეცვათ სტალინი კრიტიკისა და ფესქვეშ გათელვისაგან, პირველ რიგში, ხრუშჩოვის და მიქოიანის მხრიდან. ამ დემონსტრაციებს, ისევე, როგორც ნებისმიერ ეროვნულ მოძრაობას, ღრმა ფესვები გააჩნდა. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს იყო ქართველი ხალხის პირველი მნიშვნელოვანი ეროვნული მოძრაობა ომის შემდეგ. ამასთან, ნუ დაგვავიწყდება, რომ დემონსტრანტთა უმეტესობისათვის სტალინის პიროვნება, ფაქტობრივად, მხოლოდ მზარდი სახელმწიფო და ყოფითი ველიკორუსული შოვინიზმისაგან საკუთარი ხალხის დაცვის საშუალება გახლდათ. ამას უდავოდ მოწმობს სულ ცოტა ხნის წინ გახსნილი საიდუმლო მასალები. მასობრივი, გარეგნულად პროვინციალიზმის ელფერის მატარებელი პროსტალინური დემონსტრაციების უკან იმალებოდა ქართველი ხალხის საუკუნეობრივი სწრაფვა ეროვნული თვითგამორკვევისადმი, სა-

ქართველოს სასელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისადმი. კერძოდ, ისტორიული წყაროების მონაცემების მიხედვით, დემონსტრაციის ბოლო სტადიაზე მისი მონაწილენი უკვე აშკარად, ხმამაღლა აყენებდნენ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნას. შოვინისტურად განწყობილი საბჭოთა საშსედროები მსეცურად გაუსწორდნენ უიარაღო დემონსტრანტებს, რამაც, ზემოთ ნახსენებ მიზეზებთან ერთად, კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი, რომ სტალინის პიროვნება ქართული საზოგადოების ფართო ფენების მეხსიერებაში ეროვნული თვითმყოფადობის სიმბოლოდ დარჩენილიყო. უბრალო ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში იგი პოლიტიკური ხატის როლს ასრულებდა მაღაზიების ვიტრინებსა თუ ავტომანქანების საქარე მინებზე გამოკრული პორტრეტების სახით. თუმცა ქართული საზოგადოების განათლებული ნაწილი, როგორც ცნობილია, ყოველთვის ერთსულოვნად უარყოფდა სტალინს და სტალინიზმის ფენომენს.

ამგვარად, თუკი "დიდ" საბჭოეთში, პირველ ყოვლისა კი რუსეთში, სტალინის პიროვნება და პოლიტიკა იდეოლოგიურ ტაბუდ რჩებოდა, საქართველოში სულ სხვაგვარი ტაბუ ჩამოყალიბდა. ეროვნული სიმბოლო არ შეიძლება ანალიზისა და კრიტიკის საგანი გახდეს. მით უფრო შეუძლებელია მის შესახებ ისტორიულ მონოგრაფიებში ობიექტური გამოკვლევის წარმოება. ერთი სიტყვით, სტალინზე ან კარგი უნდა ითქვას, ან არაფერი.

უკვე დიდი ხანია დაიშალა სტალინის მთავარი ქმნილება საბჭოთა კავშირი. საქართველო ისწრაფვის თავი დააღწიოს ძველი იმპერიის ნანგრევებს, ებრძვის თავს დატეხილ ახალ პრობლემებს. ქვეყნის ხელმძღვანელობა ცდილობს, ახალ საფუძვლებზე ააგოს საგარეო პოლიტიკა, საფუძვლებზე, რომლებიც რადიკალურად განსხვავდება სტალინური ეპოქის მეთოდებისაგან. მაგრამ ტრადიციული, "საკულტო" მიდგომა სტალინისადმი ძირითადად ხელუხლებელი რჩება. სააკადემიო ისტორიული მეცნიერების სავალალო მდგომარეობა, დასავლეთის და

რუსეთის სამეცნიერო ცენტრებისაგან თუ არქივებისაგან მოწყვეტა კიდევ უფრო აღრმავებს ტრადიციულ ქართულ პროვინციულ "იზოლაციონიზმს" ამ საკითხში.

წიგნში მოცემული ნარკვევების მიზანია, მივაწოდოთ ქართული უნივერსიტეტებისა და კოლეჯების პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს მასალების რეპრეზენტაციული ამოხაკრები სტალინის, როგორც სახელმწიფო მოღვაწის შესახებ. კრებულის შემდგენელთა აზრით, სტალინის ისტორიული პიროვნება არ ეკუთვნის მხოლოდ საქართველოს და ქართველებს. როგორც ჩინელმა კომუნისტებმა ხრუშჩოვს განუცხადეს (მართალია, სხვა საკითხთან დაკავშირებით), "სტალინი ჩვენ ყველას გვეკუთვნის." ამავე დროს, შეუძლებელია ქართულმა ისტორიულმა მეცნიერებამ და უმაღლესმა განათლებამ განაგრძოს სტალინის შესახებ სხვადასხვა ქვეყანაში, სხვადასხვა ენაზე გამოქვეყნებული მასალების და ნაშრომების იგნორირება. სტალინისა და სტალინიზმის ისტორიოგრაფია გრანდიოზულია და მის ანალიზს, ცხადია, აქ არ შევეხებით. შემოვიფარგლებით მხოლოდ მოკლე კომენტარით, რათა მეითხველს წარმოდგენა შეექმნას იმ კრიტერიუმების შესახებ, რომელთა მიხედვით შეირჩა წიგნში შეტანილი მასალები.

დიდი ხნის მანძილზე აშშ-ის და დასავლეთ ევროპულ ისტორიოგრაფიაში სტალინთან დაკავშირებით ორი მთავარი მიმართულება არსებობს. პირველი მათგანი გამომდინარეობს კონცეფციიდან სსრკ-ის, როგორც "ტოტალიტარული" სახელმწიფოს შესახებ, რომელშიც ყველაფერი ზემოდან იმართება. ხსენებული მიმართულება წარმოდგენილია ნაწყვეტებით პრინსტონის უნივერსიტეტის ისტორიის პროფესორის - რობერტ ს. თაკერის წიგნიდან. თაკერი ამ მიმართულების ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელია, რომელმაც წინა პლანზე წამოსწია სტალინის პიროვნება და შეეცადა, ეჩვენებინა, როგორ ვითარდებოდნენ, იცვლებოდნენ და რა გავლენას ახდენდნენ ერთმანეთზე ეს პიროვნება და საბჭოთა ისტორია. მეორე მიმართულებას მისი მიმდევრები

"რევიზიონისტულს" უწოდებენ და კრებულში იგი წარმოდგენილია ნაწყვეტებით ჩიკაგოს უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა პროფესორის - რონალდ სიუნის წიგნიდან. ამ მიმართულების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ სტალინი და "სტალინიზმი" რუსეთში 1917 წელს დაწყებული დიადი სოციალური რევოლუციის კონტექსტში უნდა მოვიაზროთ. "რევიზიონისტების" თვალსაზრისით, აბსურდულია ყველაფრის ისე წარმოდგენა, თითქოს 1930-1940-იანი წლების საბჭოთა ისტორია ძირითადად ერთი ადამიანის - სტალინის ნების შედეგი იყო. სტალინის ახალგაზრდა ამერიკელი მკვლევრები ორივე მიმართულებას აკრიტიკებენ, მაგრამ უფრო "რევიზიონისტებისაკენ" იხრებიან. ცოტა ხნის წინ გამოცემულ სტატიების კრებულში, სათაურით "სტალინიზმი: გამოკვლევათა ახალი მიმართულებები" - სტალინის პიროვნება "ფრჩხილებს გარეთ" არის დატოვებული და ძირითადი ყურადღება ეთმობა სსრკ-ის საზოგადოებრივი და კულტურული ისტორიის ნაკლებად ცნობილ პროცესებს და ეპიზოდებს.

1990-იან წლებში მკვლევართა ორი ჯგუფი კვლავაც დიდ ყურადღებას უთმობდა სტალინის პიროვნებას და მის სახელმწიფო მოღვაწეობას. პირველ ჯგუფში შედიან საერთაშორისო ურთიერთობების, მეორე მსოფლიო ომის და "ცივი ომის" სპეციალისტები. ჩვენს კრებულში იგი წარმოდგენილია ნაწყვეტებით ისრაელელი ისტორიკოსის-გაბრიელ გოროდეცკის მიერ ახლახან გამოცემული მონოგრაფიიდან და მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორის ვლადიმერ პეჩატნოვის ორი გამოკვლევით სტალინის როლის შესახებ "ცივი ომის" პირველ ეტაპზე.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან რუსი, უკრაინელი და დსთ-ის სხვა ქვეყნების ისტორიკოსები, რომლებიც "სტალინის ფენომენის" გაგებას საკუთარი ეროვნული ისტორიოგრაფიული პროექტების ფარგლებში ცდილობენ და, ამასთან, განაგრძობენ "ტოტალიტარიზმის" კვლევის დასავლურ ტრადიციას. ვრცელი სიიდან ჩვენი არჩევანი

რუსი ისტორიკოსის - ბორის ილიზაროვის ერთი შეხედვით, მოულოდნელ სტატიაზე შეჩერდა, რომელშიც სტალინის მოღვაწეობის ინტელექტუალური მხარეა განხილული. გარდა ამისა, კრებულში შეტანილია ერთი თავი მოსკოველი (ამჟამად აშშ-ში მცხოვრები) არქივისტ-ისტორიკოსის კოსტირჩენკოს წიგნიდან, რომელიც სტალინის სიცოცხლის ბოლო წლებისათვის დამახასიათებელ კოსმოპოლიტების საწინააღმდეგო კამპანიას ეძღვნება. ნაშრომების მეთოდოლოგია და ინტერპრეტაცია მეტად განსხვავებულია და მათში ბევრი რამ არის სადავო, მაგრამ, ამავე დროს, უახლესი ნამუშევრებია და იმ არქივებისა და მასალების საგულდაგულო შესწავლაზე არის დამყარებული, რომლებიც მკვლევრებისათვის ადრე მიუწვდომელი იყო.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ვერ გავიზიარებთ ზოგიერთ ავტორთა ყველა შეხედულებას. განსაკუთრებით ეს შეეხება რ. სიუნის და გ. გოროდეცკის გამოკვლევებს. ასე მაგალითად, ვერაფრით ვერ დავეთანხმებით რ. სიუნის თვალსაზრისს იმის თაობაზე, თითქოს სტალინის პერიოდში საქართველო კულტურული თვალსაზრისით უფრო ქართული გახდა,[13] რასაც, ავტორის აზრით, თან სდევდა სხვა ეროვნებების (განსაკუთრებით, საქართველოში მცხოვრებ სომეხთა) შევიწროება. პირიქით, საარქივო მასალებიდან ცნობილია, რომ ომისშემდგომ პერიოდში სტალინის ინიციატივით ახლო აღმოსავლეთის და დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან რეპატრირებულ სომეხთა საკმაოდ დიდი რაოდენობა სწორედ საქართველოში ჩაასახლეს და არა სომხეთში. ობიექტურ მკვლევართა მიერ დიდი ხანია დადგენილია (რასაც, სხვათა შორის, თვალნათლივ და სრულად ადასტურებს კრებულში მოთავსებული მასალებიც), რომ სტალინის პოლიტიკას მცირე ერების მიმართ საფუძვლად ედო მხოლოდ და მხოლოდ სსრკ-ის ველიკორუსულ-დერჟავული იმპერიალისტური

---

[13] Suny R.G. The Making of the Georgian Nation. Indiana University Press, Hoover University Press. 1988. p. 282.

ინტერესები,[14] რომ არაფერი ვთქვათ იმ სიძულვილზე, რომელიც, როგორც უკვე დავინახეთ, "ერთა ბელადს" პირადად გააჩნდა საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ.

წიგნში შეტანილი მასალები ქართულ ენაზე პირველად ქვეყნდება. მათი უმეტესობა აქამდე სპეციალური განათლების მქონე მეცნიერისთვისაც არ იყო ხელმისაწვდომი. მასალები არ მიეკუთვნება ისეთი სენსაციური და პოპულარული გამოცემების რიცხვს, როგორიც დ. ვოლკოგონოვის და ე. რაძინსკის წიგნებია.

ამ კრებულის გამოსაცემად მომზადება შესაძლებელი გახდა საერთაშორისო პროექტის ფარგლებში, რომლის სახელწოდებაა "სასომხეთი, საქართველო და აზერბაიჯანი ცივი ომის წლებში", ამერიკელ, რუს და ქართველ ისტორიკოსთა თანამშრომლობის შედეგად.

გამოცემას ფინანსური მხარდაჭერა გაუწია ნიუ-იორკის (აშშ) კარნეგის ფონდმა (კორპორაციამ).

კრებულის შემდგენლები და მთარგმნელები იმედოვნებენ, რომ იგი უახლესი ისტორიისადმი ინტერესის ახალ იმპულსს მისცემს ქართველ ახალგაზრდობას. ისინი იმედოვნებენ აგრეთვე, რომ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები გაგებით და ინტერესით შეხვდებიან ამ წიგნის გამოცემას.

ვლადიმერ ზუბოკი

ეიორეი მაჩალია

---

[14] Kennan G.F. Russia and the West under Lenin and Stalin. New York. 1962. pp. 228-245; Kissinger H. Diplomacy. New York. 1994. pp. 332-349.

ქარიელი ერის ჩამოყალიბება

1931 წლის 12 ნოემბრიდან 1938 წლის 31 აგვისტომდე ლავრენტი პავლეს ძე ბერია (1899-1953) სათავეში ედგა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას, ხოლო 1932 წლის 17 ოქტომბრიდან 1937 წლის აპრილამდე ამიერკავკასიის პარტიულ კომიტეტსაც ხელმძღვანელობდა. ბერია ამ რეგიონში ზეგავლენას ინარჩუნებდა ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმების (1937) და სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დანიშვნის შემდეგაც (1938 წლის 8 დეკემბერი). რესპუბლიკების ხელმძღვანელ პოსტებზე მას თავისი სატრაპები ჰყავდა დატოვებული.

ბერიას ძალაუფლება სტალინთან პირად ურთიერთობას და იმ სამსახურს ემყარებოდა, რომელსაც იგი თავის ბატონს უწევდა. ის ახალი ტიპის პარტიული ლიდერი გახლდათ, ადამიანი, რომლის კარიერა საქართველოს კომპარტიის მდივნად დანიშვნამდე მთლიანად საიდუმლო პოლიციის ("ჩეკას," "ოგპუს" და ბოლოს, "ენკავედეს") აპარატში მუშაობასთან იყო დაკავშირებული. ბერია ამიერკავკასიას იმ დროს მართავდა, როდესაც სტალინის რევოლუცია დასრულდა, ხოლო ახალი მანკიერი პოლიციური რეჟიმი თანდათანობით მთელ პარტიაზე ვრცელდებოდა. 1936-1938 წლებში ამიერკავკასიაში მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული დიდი წმენდა წარმოადგენდა მისი პოლიციური სახელმწიფოს სისხლიან გამარჯვებას ძველი პარტიის ნარჩენებზე და მათ შეცვლას "სოციალიზმის" (როგორც მას გენერალური მდივანი განსაზღვრავდა) ერთგული მორჩილი ადმინისტრაციით.

სტალინის სხვა მომხრეთა მსგავსად, რომლებიც წმენდის დროს და მის შემდეგ მოხვდნენ მაღალ თანამდებობებზე, ბერიას ჰქონდა განსაკუთრებული ამბიციები და შესაძლებლობები. ამის გამო ის ახლად ჩამოყალიბებული პოლიტიკური მანქანისათვის შესაფერისი მუშაკი იყო. როი მედვედევი წერს, რომ ამ ხალხმა "ჩვეულებრივ, იცოდა, როგორ აემუშავებინა ხელქვეითები დაშინებისა და იძულების მეთოდებით. სტალინთან ურთიერთობაში მათ მხოლოდ უსიტყვო მორჩილება და

ბელადის ნებისმიერი, თუნდაც დანაშაულებრივი ბრძანების შესრულების მზადყოფნა ისწავლეს. იმას, ვინც დანაშაულის ჩადენას ვერ შეძლებდა, არა მხოლოდ თანამდებობიდან მოხსნიდნენ, არამედ ფიზიკურადაც გაანადგურებდნენ."[1]

ბერია დაიბადა სოფელ მერხეულში, სოხუმის მახლობლად, ღარიბი გლეხის ოჯახში. 1917 წელს ბაქოს პოლიტექნიკურ ტექნიკუმში სწავლისას გახდა ბოლშევიკური პარტიის წევრი. 1920 წლამდე ბაქოში იმყოფებოდა, სადაც იატაკქვეშა მუშაობას ეწეოდა, თუმცა მოგვიანებით მისივე ამხანაგებმა, კომუნისტებმა და ისტორიკოსებმა ეჭვი შეიტანეს მის იმდროინდელ საქმიანობაში.[2] მენშევიკების მმართველობის პერიოდში ბერია საქართველოში დაბრუნდა, სადაც დააპატიმრეს და მხოლოდ შიმშილობის გამოცხადების შემდეგ გაათავისუფლეს. 1920-იანი წლების დასაწყისში იგი მუშაობდა აზერბაიჯანის საგანგებო კომიტეტის (ჩეკა-ს) საიდუმლო ოპერატიულ განყოფილებაში, ხოლო შემდეგ იმავე თანამდებობაზე საქართველოში. 1926 წელს იგი გახდა საქართველოს საიდუმლო პოლიციის - სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (ГПУ) უფროსი. შესაძლოა, მისი ნაცნობობა სტალინთან ამ დროიდან იწყებოდეს, ვინაიდან საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო გაგრის მახლობლად მდებარე სტალინის აგარაკს იცავდა.[3]

ლომინაძისა და მისი მომხრეების გადაყენების შემდეგ ბერია საქართველოს კომუნისტური პარტიის ბიუროში შეიყვანეს. ეს მისი პირველი მნიშვნელოვანი პოლიტიკური თანამდებობა იყო. ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უფროსის, ს.რედენსის მოსკოვში უკან გაწვევის შემდეგ ბერიამ მისი პოსტი დაიკავა (1931 წლის აპრილი). რამდენიმე თვის შემდეგ, სტალინის აშკარა მხარდაჭერით, ბერია დაინიშნა საქართველოს კომპარტიის პირველ მდივნად და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მეორე მდივნად. ბერია არ სარგებლობდა ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვანელთა და ხალხის მხარდაჭერით. მის ძალაუფლებას სტალინი ედგა მხარში. ბერიას დანიშვნის გამო საქართველოს ძველ ბოლშევიკთა ერთმა ნაწილმა პროტესტით მიმართა ცენტრალურ კომიტეტს მოსკოვში, მაგრამ ამაოდ. რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირმა "ჩეკა"-ს ყოფილ თანამშრომელთან მუშაობას რესპუბლიკის დატოვება არჩია.[4]

შეუძლებელია იმის ზუსტად დადგენა, თუ რატომ დაინიშნა ბერია ამიერკავკასიის მმართველად იმ დროს, როდესაც ამ მხარეში პარტიის უამრავი სხვა, ასაკით უფროსი და ორთოდოქსი წევრი მოღვაწეობდა. სავარაუდოა, რომ მოსკოვს პროვინციული პარტიული ორგანიზაციების კონტროლი სჭირდებოდა. ბერია მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ამიერკავკასიაში მუშაობდა და კარგად იცნობდა ადგილობრივ პოლიტიკურ გარემოცვას, თუმცა არ მიეკუთვნებოდა პარტიულ ელიტას, რომელიც 1920-იანი წლების დასაწყისიდან წარმართავდა საქართველოსა და ამიერკავკასიის პოლიტიკას. ის არ იყო ორჯონიკიძის მეგობარი ან პროტეჟე, როგორც ორახელაშვილი, არც ძველი ბოლშევიკი გახლდათ მახარაძის მსგავსად. შედარებით ახალგაზრდა (32 წლის), ყველასათვის უცხო კაცი, რომელიც მფარველის საამებლად ყოველგვარ მეთოდს გამოიყენებდა, ბერია, ალბათ, იმიტომაც დაინიშნა ამ თანამდებობაზე, რომ შეეძლო ამიერკავკასიის "ოჯახური გარემოცვის" გარღვევა და რესპუბლიკაში კრემლის მითითებების შესრულების უზრუნველყოფა. ბერიას თვალში საცემად სწრაფი დაწინაურება დაემთხვა ძველ ბოლშევიკთა ჩამოცილებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ორახელაშვილის გადაყენება. პარტიის ლიდერად ყოფნის პირველ წლებში ბერიას ენერგიის დიდი ნაწილი დაიხარჯა რევოლუციის ვეტერანთა დისკრედიტაციაზე. პარტიულ ფუნქციონერთა საშუალო ფენა ბერიამ თავისი ხალხით შეცვალა. როგორც მედვედევი აღნიშნავს, ბერიას მმართველობის პერიოდში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის რაიონული განყოფილებების 32 უფროსი გადაყვანილი იქნა რაიკომის მდივნებად.[5]

როგორც პატრონის ერთგული ყმა, ბერია აქტიურად და დიდი ენთუზიაზმით ჩაება სტალინის პიროვნების კულტის შექმნის საქმეში. თუ წარსულში სტალინის ქება-დიდება სპორადულად იფეთქებდა ხოლმე, მაგალითად, 1929 წელს მისი 50 წლისთავის აღნიშვნისას, 1931-1934 წლებში ბელადისათვის ხოტბის შესხმა წესად იქცა. 1930 წელს, პარტიის მეთექვსმეტე ყრილობაზე ხშირად გაისმოდა სტალინის ქება-დიდება, თუმცა ეს ყველა გამომსვლელისათვის სავალდებულო არ იყო. ხოლო ოთხი წლის შემდეგ, პარტიის მეჩვიდმეტე ყრილობაზე ბელადის უზომო ხოტბა უკვე ყველა გამომსვლელის სიტყვაში გაისმოდა, ყოფილი ოპოზიციის წევრთა ჩათვლით. სტალინის პიროვნებისადმი ლოიალო-

ბის საჯაროდ გამოხატვა პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის და მთელი საბჭოთა წყობილებისადმი ერთგულების გამოხატვას ნიშნავდა. პრესაში სტალინი ყველა დარგის უდავო ავტორიტეტად შერაცხეს, არა მხოლოდ პოლიტიკის და ეკონომიკის, არამედ ფილოსოფიის, ლიტერატურისა და ისტორიის სფეროებშიც.

1931 წლის 28 ოქტომბერს სტალინმა პარტიის ისტორიის წამყვან ჟურნალს - "პროლეტარსკაია რევოლუცია"-ს გამანადგურებელი წერილი მისწერა ბოლშევიზმის ისტორიის თაობაზე: როგორც ჩანს, სტალინმა ისტორიკოს სლუცკის კრიტიკული გამოსვლის წინააღმდეგ გაილაშქრა, რომელიც გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრისტებთან პირველ მსოფლიო ომამდე ლენინის ურთიერთობას შეეხებოდა. მეორე ინტერნაციონალის ისტორიის ამ, ერთი შეხედვით, ეზოთერულ ეპიზოდში მისმა შეჭრამ შეცვალა მომავალი საბჭოთა ინტელექტუალური ცხოვრების მთელი მიმართულება, რომ აღარაფერი ვთქვათ არსებულ ისტორიულ მონაცემებზე.

სლუცკი ამტკიცებდა, რომ ომის დაწყებამდე ლენინს არ ჰქონდა გაწყვეტილი კავშირი გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ზომიერ ცენტრისტთა ფრთასთან, რადგან სათანადოდ ვერ აფასებდა მათგან მომდინარე საფრთხეს. სტალინი განარისხა იმის ვარაუდმა, რომ ლენინს შეეძლო სათანადოდ ვერ შეეფასებინა ცენტრიზმის მუქარა და "ოპორტუნიზმის" მიმართ შემწყნარებლური პოზიცია დაეკავებინა. ამგვარი საშიშროების შეუფასებლობა შეიძლებოდა იმის მაჩვენებელი გამხდარიყო, რომ ლენინი არ იყო ნამდვილი ბოლშევიკი![6] ნაცვლად დოკუმენტურად დასაბუთებული ფაქტების გამოკვლევისა, როგორც მოიქცა სლუცკი, სტალინმა შეიმუშავა "ბოლშევიზმის მტკიცე, უცვლელი (და არა ისტორიული)" კონცეფცია და აკრძალა ლენინის ყოველგვარი კრიტიკა. "პარტიის ყოფილი ბელადის იკონოგრაფიული ფიგურის შექმნით, რომელიც შეხღუდვათა და კრიტიკის გარეშე იდგა, სტალინის წერილი მომდევნო ბელადის მიმართაც მსგავს დამოკიდებულებას გულისხმობდა."[7] ყველაზე ავის მომასწავებელი იყო წერილის მტკიცე ტონი, რომელიც გმობდა "დამპალ ლიბერალებს," "ტროცკისტ კონტრაბანდისტებს" და "უიმედო ბიუროკრატებს," რომლებიც ქაღალდის დოკუმენტებს ეყრდნობიან. ამის შემდგომი პარტიის ისტორიის ობიექტურად განხილვა შეუძლებელი

გახდა. მარქსიზმის კრიტიკული მარქსისტული ისტორია პარტიის მიმდინარე მომენტის პოლიტიკური პოზიციის შესაბამისად უნდა შეცვლილიყო. ორთოდოქსულობას და კონფორმიზმს, ნაცვლად კრიტიკული ანალიზის ან წყაროებისადმი ერთგულებისა, ამიერიდან უნდა განესაზღვრა ისტორიული მწერლობის მიმართულება მომდევნო მეოთხედი საუკუნის მანძილზე.

საქართველოში სტალინის წერილის განხილვა ადგილობრივი პრესის ფურცლებზე გაიშალა, ხოლო პარტიამ საგანგებო დავალება მიიღო, ხელახლა დაეწერა სტალინის ადრეული რევოლუციური მოღვაწეობის ისტორია. ჯერ ამხანაგმა "რუბენმა" "პრავდაში," ხოლო შემდეგ ორახელაშვილმა "ზარია ვოსტოკაში" დაგმეს თბილისის პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის თენგიზ ჟღენტის მიერ შედგენილი საქართველოს პარტიის ისტორია. თბილისის პარტიული კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად, ისტორიკოსებს - თალაკვაძეს, ჟღენტს და ხუნდაძეს ბრალად ედებოდათ "ტროცკისტული კონტრაბანდის გავრცელება," ხოლო მათ თავად "ფედერალიზმის და ეროვნული უკლონიზმის რეციდივისტები" ეწოდათ. ისტორიული წარსულის გაყალბების კამპანიას სწრაფად და ენერგიულად ჩაუდგა სათავეში თავად ბერია. მან, უპირველეს ყოვლისა, დაიწყო ძველი ბოლშევიკების საქმიანობის დაკნინება და თავად სტალინის როლის გაზვიადება.[8]

პროფესიონალ ისტორიკოსთა კრიტიკის ნაცვლად, მან გაილაშქრა მახარაძის წინააღმდეგ, რომელიც ამიერკავკასიის ერთ-ერთი პირველი მარქსისტი და სოციალ-დემოკრატიის ადრეული წლების პოპულარიზატორი-მწერალი იყო. საქართველოს კომუნისტური პარტიის მეცხრე ყრილობაზე ბერია ამტკიცებდა:

"საქართველოს კომუნისტური პარტიის და ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაზე დღემდე დაწერილი არც ერთი ნაშრომი არ ასახავს ამხანაგ სტალინის ჭეშმარიტად აქტიურ როლს, რომელიც, ფაქტობრივად, წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ბოლშევიკთა ბრძოლას კავკასიაში. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ამხანაგ მახარაძის შრომები, საიდანაც ცოდნას იძენს ჩვენი ახალგაზრდა თაობა."

ბერია ამტკიცებდა, რომ მახარაძე სათანადოდ ვერ აფასებდა შიდაპარტიულ ბრძოლას მენშევიზმთან. აცხადებდა, რომ სოციალ-დემოკრა-

ტებს საქართველოში არ გააჩნდათ რაიმე სოციალური საფუძველი. სტალინს, თავის მხრივ, მიაჩნდა, რომ საქართველოში მენშევიზმის განვითარება მძაფრი კლასობრივი ბრძოლის არარსებობით და მსხვილი სამრეწველო ცენტრების უქონლობით იყო განპირობებული. გამოსვლის დასასრულს ბერია სურვილს გამოთქვამდა, რომ მახარაძეს "დაუყოვნებლივ გაესწორებინა არსებული შეცდომები." მახარაძემ "აღიარა" საკუთარი შეცდომები და დანაშაული, პირობა დადო, რომ გადაამუშავებდა თავის შრომებს. თუმცა, ფაქტობრივად, დაპირება დაპირებად დარჩა და 1933 წლის შემდეგ მას პარტიის ისტორიის შესახებ რაიმე მნიშვნელოვანი შრომა არ დაუწერია[9].

პარტიის ისტორიის მითვისებით სტალინისტებმა ხელთ იგდეს მძლავრი იარაღი და იგი ძველი პარტიული ინტელიგენციის წინააღმდეგ მიმართეს, რომლის ავტორიტეტიც მათ ისტორიულ ღვაწლს ეფუძნებოდა. ძველი ბოლშევიკები - მახარაძე და ორახელაშვილი, რომლებიც პარტიის რიგებში ბერიაზე ბევრად უფრო ადრე მოღვაწეობდნენ, ახლა არალოიალურებად გამოაცხადეს, ვინაიდან სტალინის როლი არ იყო გაზვიადებული წარსულის მათ მიერ გაშუქებულ ვერსიებში. 1934 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის ყრილობაზე ბერიას თანაშემწემ ბედიამ განაცხადა, რომ ორახელაშვილს არ სწამდა ერთი ქვეყნის პროლეტარიატის მიერ მსოფლიო ბურჟუაზიის დამხობის შესაძლებლობა ძლიერ სახელმწიფოთა პროლეტარიატის დახმარების გარეშე. დარბაზში ვიღაცამ წამოიძახა: "ეს ტროცკიზმია და საჭიროა მისი მხილება."[10] ამგვარად, ძველი ბოლშევიკები, რომლებიც, ფაქტობრივად, რაიმე ორგანიზებული ოპოზიციის წევრები არ იყვნენ, ტროცკისტებად იქნენ მიჩნეულნი, რაც სტალინის კულტისადმი არალოიალური დამოკიდებულების მაჩვენებელი იყო.

ბერიას ამგვარმა საქმიანობამ კულმინაციას მიაღწია 1935 წლის 21-22 ივლისს. ამ დროისათვის პარტიის რიგებში გამძაფრდა იდეოლოგიური ბრძოლა და ბევრმა ძველმა ბოლშევიკმა თანამდებობა დაკარგა. თბილისში, პარტიის წევრთა ორი ათასიან შეკრებაზე, ბერია ორი დღის განმავლობაში კითხულობდა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების დაწვრილებით ისტორიას. აღნიშნული სიტყვა, რომელიც უმალ დაიბეჭდა მთელ საბჭოთა კავშირში და რამდენიმე ენაზე ითარგ-

მნა, რევოლუციურ მოძრაობაში სტალინის როლის ოფიციალურ "ისტორიად" გადაიქცა.[11]

ბერია იმით ემსახურებოდა სტალინს, რომ მის არარსებულ წარსულს იგონებდა. ბერიას შემწეობით სტალინი რიგითი აქტივისტიდან კავკასიელ ბოლშევიკთა ერთპიროვნულ ლიდერად იქცა და დაჩრდილა მახარაძე, წამებული შაუმიანი და ორჯონიკიძე. მართალია, ბერიასეული ისტორია შეთხზული იყო და ჭეშმარიტებასთან ფიქტიური კავშირი ჰქონდა, ის მაშინვე გადაიქცა სტალინის კარიერის ოფიციალურ ვერსიად, სანამ არ დაიწერა უფრო ვრცელი და ავტორიტეტული საკავშირო კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის ისტორიის მოკლე კურსი (1938). მიღწევა უდავოდ შთამბეჭდავი იყო. 1931 წელს სტალინმა ფაქტობრივად დააკანონა ლენინის უცდომლობა, ხოლო სტალინის კულტის ჩამოყალიბების პროცესში ხელქვეითებმა ისიც ანალოგიური მანტიით შემოსეს. ბერიამ დაასრულა ამიერკავკასიის ბოლშევიზმის ისტორიის რეკონსტრუქცია და უზრუნველყო ბელადი რევოლუციური მეთაურის უცილობელი ატრიბუტიკით. ამავე დროს გააზვიადა პარტიის როლი ხალხის სოციალურ ბრძოლაში. მარქსისტული ისტორიოგრაფიის სტალინისტურ ვერსიაში ხალხი კვლავ თავად ქმნიდა საკუთარ ისტორიას, მაგრამ უკვე პარტიის ლიდერთა უშუალო ხელმძღვანელობითა და ინიციატივით.

ამ გარდამავალ წლებში, როდესაც კომუნისტური პარტია სერიოზული ეკონომიკური პრობლემების წინაშე იდგა და ძალისხმევას არ იშურებდა, რათა სახალხო უკმაყოფილება სერიოზულ ოპოზიციად არ გადაქცეულიყო, ბერიამ ცენტრიდან მიღებული ბრძანებების შესასრულებლად და დასახული მიზნების წარმატებით განსახორციელებლად სხვადასხვაგვარი მეთოდები შეიმუშავა. 1993 წელს ოფიციალურად გამოცხადდა, რომ პარტიის რიგებში უცხო კლასობრივი და მტრული ელემენტები, მორალურად გადაგვარებული პირები და კარიერისტები მოხვდნენ, რის გამოც აუცილებელი იყო პარტიაში "წმენდის" ჩატარება. წმენდა 1933 წლის აპრილიდან 1934 წლის იანვრამდე გაგრძელდა. საკავშირო კომუნისტური პარტიის რიგებიდან წევრთა 22% გაირიცხა. ეს არ იყო 1930-იანი წლების მეორე ნახევრის მაგვარი "სისხლიანი წმენდა," როდესაც ე.წ. ხალხის მტრებს სიკვდილით სჯიდნენ ან აპატიმ-

რებდნენ. 1933-1935 წლების პასიური წმენდა მიმართული იყო იმისკენ, რომ კონტროლი დაემყარებინათ პარტიაზე, რომელიც განიცდიდა პარტიული აღრიცხვის მოუწესრიგებლობას, კარიერიზმს და წევრთა უმრავლესობის პასიურობას. აგრეთვე, ადგილობრივ ლიდერთა დამოუკიდებლობის შესაზღუდავად შეწყდა პარტიაში მიღება. თუ 1933 წელს პარტიაში 3 მილიონ 555 ათასი წევრი ირიცხებოდა, 1934 წელს კომუნისტთა რაოდენობა 2 მილიონ 701 ათასამდე შემცირდა. ეს პროცესი 1939 წლის შემოდგომამდე გრძელდებოდა. პარტიის წევრთა რაოდენობამ 1933 წლის დონეს მხოლოდ 1941 წელს მიაღწია.

საქართველოში პარტიის წევრთა რაოდენობა "წმენდამდე" 57737-ს აღწევდა, ხოლო 1934 წლის იანვრისათვის 48 431-მდე შემცირდა, რაც ადრინდელ დონეზე 16,2%-ით ნაკლები იყო.[13] როგორც ჩანს, ბერიას თავისი მომხრეები უკვე დანიშნული ჰყავდა მაღალ თანამდებობებზე და ამიტომ მის მიერ ჩატარებული წმენდა ნაკლებად აგრესიული ხასიათის იყო, ვიდრე სხვა რეგიონული ხელმძღვანელების მიერ განხორციელებული რეპრესიები. რა მიზეზითაც არ უნდა ყოფილიყო გამოწვეული პარტიიდან გარიცხვის ასეთი დაბალი პროცენტული მაჩვენებელი, ბერიას საკუთარი მეთოდები გააჩნდა პარტიის წევრთა ლოიალურობის უზრუნველსაყოფად.

იმავე 1933 წელს საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ (ГПУ) დააპატიმრა სოფლის მეურნეობის 17 სპეციალისტი. მათ ბრალად ედებოდათ ეკონომიკური დანაშაული. ეკონომიკური წარუმატებლობისათვის ცალკეულ "მავნებელ" პირებს უნდა ეგოთ პასუხი. როდესაც ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ პროტესტი განაცხადა არასწორი, მისი სანქციის გარეშე განხორციელებული დაპატიმრებების გამო, ქართველმა ამხანაგებმა შეატყობინეს ზემდგომ ორგანოებს, რომ ბრძანებები თვით ბერიამ გასცა. უილბლო სპეციალისტებმა თავი "დამნაშავედ" სცნეს, თუმცა მათი დანაშაული რაიმე დამამტკიცებელი საბუთით არ დადასტურდა. აღინიშნა, რომ იურიდიული პროცედურა დაირღვა. რამდენიმე ხანში სპეციალისტები გაათავისუფლეს, მაგრამ 1937 წელს ისევ დააპატიმრეს და დახვრიტეს.[14]

როდესაც რეგიონული ორგანიზაციები საქართველოს პარტიული ბიუროს განკარგულებებს დიდი მონდომებით არ ასრულებდნენ, სწრა-

ფად ხდებოდა საპასუხო ზომების მიღება. ვინაიდან სამხრეთ ოსეთში კულაკების წინააღმდეგ ბრძოლა მკაცრად არ წარიმართა, საქართველოს ცენტრალური კომიტეტიდან გაიგზავნა წარმომადგენელი, რომელსაც დაევალა "არასაკმარისი სიფხიზლისათვის" ადგილობრივ სამართლებრივ ორგანოებში წმენდის ჩატარება. თანამდებობიდან მოხსნის გარდა, ხელმძღვანელობა მიმართავდა სხვა ხერხებსაც - დარწმუნების მეთოდებს, საწარმოო კამპანიებს, ხელფასებით წახალისებას, მაღალპროდუქტიული ("დამრტყმელი") მუშაკებისათვის ჯილდოებისა და პრემიების დარიგებას. ხშირად იყენებდნენ პოლიტიკურ მეთოდებსაც. 1934 წლის იანვარში საქართველოს პარტიულ ყრილობაზე ბერიამ განაცხადა, რომ გამოაშკარავებული იქნა ანტისაბჭოური ორგანიზაცია "საქართველოს ეროვნული ცენტრი." დამოუკიდებელი საქართველოსათვის მებრძოლ შეთქმულთა შორის ყოფილი სოციალ-ფედერალისტები, ტროცკისტები და კომუნისტებიც კი იყვნენ. ამგვარი ცენტრი უკვე მხილებული იყო უკრაინაში (დროთა განმავლობაში მსგავსი ორგანიზაციები ყველა რესპუბლიკამ "აღმოაჩინა"). ამასთან, ბერია შეეცადა ერთმანეთისაგან განესხვავებინა ქართული და უკრაინული ცენტრები. ის განსაკუთრებით ხაზს უსვამდა, რომ თუ უკრაინაში ძირითად საშიშროებას ადგილობრივი ნაციონალიზმი წარმოადგენდა, საქართველოში საჭირო იყო დიდმპყრობელური შოვინიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. ამ მანევრმა ადგილობრივ ხელმძღვანელობას ნაციონალიზმის ბრალდება ააცილა. ამავე დროს, ბერია აცხადებდა, რომ საქართველოს კომუნისტურ პარტიას უნდა "გაეძლიერებინა შეტევა ადგილობრივი ნაციონალიზმის წინააღმდეგ" და ხელი შეეწყო რუსულის - "უდიდეს რევოლუციურ მიღწევათა ენის" შესწავლისათვის.[15]

რამდენიმე დღის შემდეგ, ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების მეშვიდე ყრილობაზე თითოეული რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ილაპარაკა პოლიტიკურ გადახრებზე. სომხეთის კომუნისტური პარტიის პირველმა მდივანმა ხანჯიანმა მოახსენა ტროცკისტული დაჯგუფების მხილების თაობაზე, რომელსაც ქამალიანი ხელმძღვანელობდა. მან დაგმო ის "ლიბერალ-შემთანხმებელი კომუნისტები," რომლებიც "თვალს ხუჭავდნენ" სომხეთში ნაციონალიზმის გამოვლენაზე. ბერიას ყოფილმა თანამშრომელმა აზერბაიჯანის "ჩეკა"-ში, ხოლო შემდეგ მის მიერვე

აზერბაიჯანის კომპარტიის პირველ მდივნად დანიშნულმა ბაგიროვმა შეუტია კარო გრიგორიანს - მთიანი ყარაბაღის საოლქო კომიტეტის ყოფილ მდივანს, რომლის მიერ შემუშავებული თეორიის თანახმად კულაკების წინააღმდეგ ბრძოლა კონტრრევოლუციური პარტიების, მუსავატელებისა და დაშნაკების წინააღმდეგ საგანგებო ბრძოლას უსარგებლოს ხდიდა. ყრილობამ, საქართველოს კომუნისტთა ყრილობის მსგავსად, ხაზი გაუსვა ეჭვმიტანილი მტრების წინააღმდეგ სიფხიზლის აუცილებლობას. ყოფილი ხელმძღვანელები, ორახელაშვილის მსგავსად, ტროცკიზმის მიმართ გამოჩენილი შემწყნარებლობის გამო დაგმეს.[16]

1936 წლის 19 აგვისტოს "პრავდა"-ში გამოქვეყნდა ბერიას სტატია - "გაფანტეთ სოციალიზმის მტრების ფერფლი," რომელშიც ის აცხადებდა, რომ თბილისში, ერევანსა და ბაქოში ამხილეს ტროცკისტულ-ზინოვიევისტური ჯგუფები. საქართველოში პარტიის ყოფილი წევრები და ნაციონალ-უკლონისტები ტერორისტულ აქტებს ამზადებდნენ; აზერბაიჯანში ტროცკისტი ტერორისტები დაუკავშირდნენ კონტრრევოლუციონერ ტერ-ვაჰანიანს, რომელსაც იმ დროს მოსკოვში ასამართლებდნენ. ყველაზე მძიმე მდგომარეობა სომხეთში იყო, სადაც პარტიის ხელმძღვანელმა ხანჯიანმა სტეფანიანის ტროცკისტული ნაციონალიზმის წინააღმდეგ არავითარი ზომები არ მიიღო. სომხეთისა და საქართველოს ძველი ინტელიგენცია მკვეთრად ნაციონალისტურად იყო განწყობილი და კონტრრევოლუციისათვის შესაფერის ნიადაგს ქმნიდა. "კომუნისტი, რომელიც შემწყნარებლობას და დამპალ ლიბერალიზმს იჩენს ნებისმიერი სახის ორპირობის მიმართ, უდიდეს დანაშაულს ჩადის პარტიის, საბჭოთა ხელისუფლების, სამშობლოს წინაშე," - ასკვნიდა ბერია.[17]

ბერიას სტატია სწორედ იმ დღეს გამოქვეყნდა, როდესაც დაიწყო ზინოვიევისა და კამენევის სასამართლო პროცესის ბოლო სხდომა. პოლიციამ (იგულისხმება სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების სამსახური. რედაქტორის შენიშვნა) იძულებითი აღიარებებისა და არაპირდაპირი სამხილების გამოყენებით "ამხილა" სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ფართო შეთქმულება, რომლის ორგანიზატორიც ტროცკისტულ-ზინოვიევისტური ცენტრი იყო. მის ხელმძღვანელებს ბრალად ედებოდათ კიროვის მკვლელობის ორგანიზაცია და განხორციელება. შეთქმულებაში, ხელმძღვანელთა გარდა, სხვებიც იქნენ

ჩათრეულნი. ტერორისტულმა ცენტრმა "აღიარა," რომ მათ კავშირი ჰქონდათ ქართველ "უკლონისტებთან." ჩვენებებში ოუუჯავას გვარიც გაისმა.[18] ყველა ბრალდებული დახვრიტეს.

რამდენიმე კვირის შემდეგ პოლიციის ქმედებებით უკმაყოფილო სტალინმა და ჟდანოვმა, რომლებიც სოჭში ისვენებდნენ, დეპეშა გაგზავნეს მოსკოვში:

"აუცილებლად მიგვაჩნია შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის პოსტზე ამხანაგ ეჟოვის სასწრაფოდ დანიშვნა. იაგოდამ აშკარად ვერ შეძლო ტროცკისტულ-ზინოვიევისტური ბლოკის მხილება. სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოები ამ საქმეში ოთხი წლით იგვიანებენ. ამას აღნიშნავს პარტიის ყველა წევრი და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთა უმრავლესობა."[19]

1937 წლის 15-21 მაისს ჩატარდა საქართველოს კომუნისტური პარტიის მეათე ყრილობა. შესავალ სიტყვაში ბერიამ წარმოადგინა საქართველოს ეკონომიკური მიღწევების ფართო მიმოხილვა, შემდეგ კი პოლიტიკურ სამუშაოს მიუბრუნდა. ქართველ მწერალთა, პოეტთა და მხატვართა უმრავლესობა ანტისაბჭოურად იყო განწყობილი და აქტიურად ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლებას, - ამბობდა ბერია, - მაგრამ ამჟამად შეიძლება იმის თქმა, რომ ანტისაბჭოთა დაჯგუფებები და ტენდენციები ლიკვიდირებულია. ამიერიდან საქართველოს პოეტები " ბელადის სახეს ყველა ჩვენი გამარჯვების სიმბოლოდ" სახავდნენ. მდივანის, ტოროშელიძის, ოკუჯავას, ქავთარაძის და კიკნაძის "ტროცკისტული ჯაშუშურ-მავნებლური ტერორისტული ცენტრი" მხილებული იქნა.[20] როგორც ჩანს, ბერიას წმენდა ყველაზე მეტად შემჩნეულ ყოფილ ოპოზიციონერთა დასჯით სურდა შემოეფარგლა, მაგრამ ცენტრალურმა ხელისუფლებამ ეს მანევრი შენიშნა.

მეორე დღეს ყრილობის დამთავრების შემდეგ "პრავდა"-ში გამოქვეყნდა გაზეთის თბილისელი კორესპონდენტის სტატია. ავტორი, რომელიც ალბათ ცენტრალური ხელისუფლების შეხედულებებს გამოთქვამდა, მკაცრად აკრიტიკებდა ყრილობის მუშაობას. თვითკრიტიკა ყრილობაზე სათანადო სიმაღლეზე არ იდგა, ხოლო გობეჩიამ და აგრბამ აფხაზეთიდან, ისევე, როგორც კოჭლამაზაშვილმა აჭარიდან საკმაოდ ზედაპირულად განიხილეს საკუთარ ორგანიზაციათა ნაკლოვანებები.[21] იმავე თვეში გამოქვეყნდა სტატიები, რომლებშიც საუბარი იყო სომხეთის

ახალი მთავრობის მუშაობის დაბალ ხარისხზე, რაც ალბათ ბერიას მისამართითაც ნიშნავდა საყვედურს, რადგან მან ვერ შეძლო ამიერკავკასიაში საქმეთა მოწესრიგება. 5 ივნისს "პრავდა"-ში გამოქვეყნდა ბერიას საპასუხო სტატია, სადაც ის აცხადებდა, რომ საქართველოს ყრილობაზე საკმარისად თვითკრიტიკული ვითარება სუფევდა. მან წარმოადგინა ერთიანი, სტალინის ერთგული პარტიის სურათი. მაგრამ, ამავე დროს, მისი სტატიიდან ცხადი იყო, რომ სომხეთსა და საქართველოში წარმატებით აარიდეს თავი პარტიულ ფუნქციონერთა განახლებას, რაც უნდა განხორციელებულიყო არჩევნებისა და თვითკრიტიკის კამპანიის ნიშნით.[22]

ამიერკავკასიის პარტიების ეს შესვენება ერთობ ხანმოკლე აღმოჩნდა. ბერია სწრაფად უნდა მიმხვდარიყო, რომ თუ თანამდებობის შენარჩუნება სურდა, საჭირო იყო საკუთარი ორგანიზაციის "გაწმენდა." შეტევა მმართველ აპარატზე 1937 წლის ზაფხულში დაიწყო. ეკონომიკურ ნაკლოვანებათა გამო დამნაშავეებად მიჩნეულნი იქნენ ცალკეული პირები და ხელმძღვანელთა ჯგუფები, რომლებიც პარტიის გეგმებს საბოტაჟს ეწეოდნენ. მმართველი აპარატით და განსაკუთრებით პოლიტიკური პოლიციით ხალხის უკმაყოფილება წამყვანი პოლიტიკური კადრების სასტიკი დასჯით აილაგმა. 1937 წლის ივლისში დააპატიმრეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის წევრები, მათ შორის მისი თავმჯდომარე — ტიტე ლორთქიფანიძე და ეკონომიკური განყოფილების უფროსი სურენ გაზარიანი. დაპატიმრებული ოპოზიციონერები — მდივანი, ტოროშელიძე, ოკუჯავა, გ.ყურულოვი, ს.ჩიხლაძე, გ.ელიავა და ნ.ქარციკაძე სასამართლოს გადასცეს. ყველა მათგანი სიკვდილით დასაჯეს.[23] საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის გერმანე მგალობლიშვილის თანამდებობაზე ბერიას ერთგული თანაშემწე ვალერიან მინას ძე ბაქრაძე დაინიშნა, ხოლო თავად მგალობლიშვილი შემდგომში უკვალოდ გაქრა.

აგვისტოში დაიწყო სიღნაღის "მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ტერორისტული დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის" სასამართლო პროცესი. რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს შალვა ალავერდაშვილს და რაიკომის ყოფილ მდივანს არტემ წითლიძეს ბრალად ედებოდათ საბჭოთა ხელისუფლების დამხობის და კაპიტალიზმის რესტავრაციის მცდელობა. წითლიძემ "აღიარა," რომ

მგალობლიშვილი მას სთავაზობდა სოფლის მეურნეობის დეზორგანიზაციას, რათა გლეხობის თვალში მთავრობის დისკრედიტაცია მოეხდინა. სექტემბრის პირველივე რიცხვებში დააპატიმრეს ამიერკავკასიის გავლენიანი კომუნისტები.[24] მალე საქართველოს თითქმის მთელი პარტიული ელიტა შეიცვალა. ოთხმა ათასმა თანამდებობის პირმა დაკარგა პოსტი პოლიტიკური და ეკონომიკური იერარქიის უმაღლეს საფეხურებზე.

მიუხედავად ამისა, სტალინი არ იყო კმაყოფილი წმენდის ჩატარების ტემპით და სისასტიკით. სომხეთის პარტიულ ორგანიზაციას, რომელსაც ამატეუნი და აგოპოვი ხელმძღვანელობდნენ, რამდენჯერმე უსაყვედურეს ლმობიერებისა და შემწყნარებლობის გამო. მოხსნის მაგივრად, სომხეთის კომუნისტებმა ხელახლა აირჩიეს ისინი თავიანთ თანამდებობებზე. ცენტრმა გადაწყვიტა უშუალოდ ჩარეულიყო მათ საქმეში. 8 სექტემბერს სტალინმა წერილი მისწერა სომხეთის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, რომელშიც საყვედურობდა სომეხი ხალხის მტრებისთვის ხელის დაფარებას. მან განაცხადა, რომ ამ პრობლემის გადასაწყვეტად სომხეთში მალენკოვს აგზავნიდა. 15 სექტემბერს მალენკოვი მიქოიანთან და ბერიასთან ერთად ერევანში ჩავიდა. ამის შედეგად დააპატიმრეს სომხეთის პარტიის ხელმძღვანელობა, რომელიც სულ ერთ წელიწადს მოღვაწეობდა, ხოლო ბერიას თანამოაზრემ, თბილისის პარტიული კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარემ გრიგორი არუთინიანმა (არუთინოვმა) სომხეთის პარტიის სისტემატური წმენდა დაიწყო.[25]

სასამართლო პროცესები და დაპატიმრებები 1937 წლის შემოდგომაზეც გაგრძელდა. ბათუმში აჭარის პარტიულ ხელმძღვანელობას ბრალად დაედო უცხოეთის სადაზვერვო სამსახურებთან თანამშრომლობა და უმრავლესობას დახვრეტა მიესაჯა. სოხუმში აფხაზეთის ხელმძღვანელები, რომლებსაც ახლა კონტრრევოლუციონერების იარლიყები მიაკრეს, ნესტორ ლაკობასთან ურთიერთობის გამო დასაჯეს. ლაკობა 1936 წლის დეკემბერში გულის შეტევით გარდაიცვალა. სიკვდილის შემდეგ ის ტროცკისტად და ნაციონალ-უკლონისტად შერაცხეს. მის ბევრ კოლეგას და ნათესავს ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში დასდეს ბრალი. ათი მათგანი დახვრიტეს. დეკემბერში საქართველოს სოფლის მეურნეობის კომისარიატში "ამხილეს" კონტრრევოლუციური ჯგუფი, რომელიც საბოტაჟს უწევდა მეცხოველეობის წარმოებას.[26]

წლის ბოლოს "პრავდა"-ში გამოცხადდა, რომ კავკასიელი მაღალი თანამდებობის კომუნისტების ნაწილი - ენუქიძე, ორახელაშვილი, და დიპლომატი ლევ კარახანი - ტერორიზმის, შპიონაჟისა და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ბრალდებით სიკვდილით დასაჯეს. საქართველოში უკანასკნელი საჩვენებელი პროცესი 1938 წლის იანვარში შედგა. საბოტაჟის გამო დახვრიტეს საქართველოს მეცხოველეობის კვლევითი ინსტიტუტის ხუთი თანამშრომელი.[27] 1937 წლის ვითარებაში ყოველგვარი ეკონომიკური ნაკლოვანება კონტრრევოლუციურ საქმიანობას და უცხოურ შპიონაჟს უკავშირდებოდა. ნებისმიერი წარუმატებლობისათვის განტევების ვაცს ეძებდნენ.

1937 წლის ბოლოსათვის პოლიტბიუროში თავი იჩინა ზომიერმა განწყობილებამ, რომელიც "ნაწილობრივი ამნისტიისაკენ" მოუწოდებდა და 1938 წელს მასობრივი წმენდა დროებით შეწდა. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის იანვრის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად საჭირო იყო გარკვეული ზომების მიღება კომუნისტების პარტიიდან გარიცხვისას დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად. ადგილი ჰქონდა პარტიის ბევრი დაპატიმრებული ან შერისხული წევრის რეაბილიტაციას და პარტიის რიგებში დაბრუნებას. ცხადია, სიკვდილით დასჯილთა გაცოცხლება შეუძლებელი იყო. ტერორი მთლიანად მაინც არ შეწყვეტილა. მარტში გაასამართლეს ბუხარინი და რიკოვი, რომლებსაც სიკვდილი მიუსაჯეს.[28] მაისში დახვრიტეს ლ.ი.მირზოიანი, რომელიც ყაზახეთის კომუნისტური პარტიის პირველ მდივნად დანიშვნამდე აზერბაიჯანში მუშაობდა. აპრილში დაპატიმრეს პოლიტბიუროს წევრები ლაიკჰე და კოსიორი, ხოლო მაისში ციხეში აღმოჩნდა მათი კოლეგა ჩუბარიც. ივლისის ბოლოს დახვრიტეს რუძუტაკი, რამდენიმე სამხედრო მეთაური და გავლენიანი თანამდებობის პირი. მიუხედავად ამისა, "ეჟოვშჩინა" დასასრულს უახლოვდებოდა. 21 აგვისტოს ეჟოვი წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისრად დაინიშნა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში მისი ადგილი ლავრენტი ბერიამ დაიკავა.

უზომოდ დიდი იყო საქართველოს და ამიერკავკასიის მიერ გაღებული მსხვერპლი. ბერია, ბაგიროვი და არუთინოვი უდავოდ "ფხიზელ" ბოლშევიკთა რიცხვს ეკუთვნოდნენ და წარმატებით შეძლეს შეთქმუ-

ლებებისა და მზაკვრული გეგმების "აღმოჩენით," "მხილებით" და გამოგონებით მოსკოვის დაკმაყოფილება. სამივე მათგანი გადაურჩა რეპრესიებს და სტალინის სიკვდილამდე შეინარჩუნეს თანამდებობები. მათ მსხვერპლთა სახელებით რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და "სოციალიზმის მშენებლობის" ვეტერანთა ვრცელი სიის შედგენა შეიძლება. უკვე ჩამოთვლილთა გარდა, სიკვდილით დასჯილ პარტიის გავლენიან წევრთა შორის იყვნენ მიხა კახიანი, ლევან ღოღობერიძე, სამსონ მამულია, სოსო ბუაჩიძე, პეტრე და ლევან აღნიაშვილები და ივანე ბოლქვაძე. ძველი პარტიული ელიტა განადგურდა და მისი ადგილი სტალინისა და ბერიას უფრო ერთგულ ფუნქციონერთა ახალმა ჯგუფმა დაიკავა.

საქართველოში ბერია კანდიდ ნესტორის ძე ჩარკვიანმა შეცვალა, რომელიც ერთდროულად საქართველოს კომუნისტურ პარტიას და მის თბილისის კომიტეტსაც ხელმძღვანელობდა.[29] ძნელი დასადგენია, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდა მას ბერიასთან მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი მოსკოვში გადაიყვანეს. შემდგომი მოვლენები მოწმობს, რომ ჩარკვიანი ბერიას ერთგული ხელქვეითი იყო და ინარჩუნებდა ბერიას პიროვნების კულტს საქართველოში. თუმცა, მოგვიანებით (განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ), ის რესპუბლიკაში საკუთარი პოლიტიკური მექანიზმის დამკვიდრებას შეუდგა. სანამ სტალინი მხარს უჭერდა ბერიას, მისი გავლენა ამიერკავკასიაში უეჭველი იყო.

1936 წლის 1 ნოემბრიდან 1939 წლის მარტამდე საქართველოს კომუნისტურ პარტიაში 18 555 კანდიდატი მიიღეს. მათი უმეტესობა - 42,8% მოსამსახურე იყო, მხოლოდ 35,6% - მუშა და 18,3% - კოლმეურნე.[30]

ამ ხალხმა ძალზე სწრაფად მოიპოვა მაღალი თანამდებობები ხელმძღვანელობის და მმართველობის სფეროში. რეპრესიებისა და რეორგანიზაციების შემდეგ საქართველოს რაიკომებში, საქალაქო და საოლქო კომიტეტებში განთავისუფლდა მდივანთა 260, განყოფილების უფროსთა და პარტიულ ინსტრუქტორთა 244, აგრეთვე - სახალხო კომისრის მოადგილეთა და რესპუბლიკური მასშტაბის დიდი ორგანიზაციის დირექტორთა 201 ადგილი. გარდა ამისა, საწარმოთა დირექტორების 166, გაზეთის რედაქტორთა 111 და ადგილობრივი პარტიული კომიტეტის პირველი და მეორე მდივნის 2 599 ადგილი. თანამდებობები სრულიად

ახალმა კადრებმა შეავსეს. ეს იყო სტალინურ სისტემასთან მჭიდროდ დაკავშირებული ხალხი, რომელსაც ამ სისტემამ განათლება, სამსახური, უკეთესი მომავლის შესაძლებლობა და ძალაუფლება მოუტანა.[31]

სტალინიზმი, როგორც სოციალურ-პოლიტიკური წყობა, საქართველოში საბოლოოდ 1939 წლისათვის დამკვიდრდა და ფაქტობრივად ხასიათი არ შეუცვლია შემდგომ წლებში: მსოფლიო ომის შემდგომი მძიმე აღდგენითი პერიოდის განმავლობაში და სტალინის მმართველობის უკანასკნელ წლებში მიმდინარე პოლიტიკური და კულტურული რეპრესიების ჩატარების პერიოდში. საქართველო მეოთხედი საუკუნის მანძილზე — 1928 წლიდან 1953 წლამდე, ბევრად უფრო საფუძვლიანად გარდაიქმნა, ვიდრე მთელი თავისი სამიათასწლიანი ისტორიის განმავლობაში. თუ 1926 წლის დეკემბერში მოსახლეობის რაოდენობა 2 მილიონ 677 ათასს შეადგენდა, 1959 წლის იანვარში ამ რიცხვმა 4 მილიონ 044 ათასს მიაღწია, მიუხედავად იმისა, რომ ომში 300 ათასი კაცი დაიღუპა. რევოლუციის დროისათვის მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტი სოფლად ცხოვრობდა. სტალინის მმართველობის ხანაში საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალაქის მოსახლეობის წილი. 1926 წელს სოფლის მოსახლეობა ჯერ კიდევ 78 პროცენტს შეადგენდა, ხოლო ოცდაცამეტი წლის შემდეგ მისი წილი დაეცა 58 პროცენტამდე. ამავე პერიოდში თბილისი პატარა ქალაქიდან საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქად გადაიქცა, რომლის მოსახლეობის რაოდენობა 294 ათასიდან 703 ათასამდე გაიზარდა. სტალინის მმართველობის პერიოდში სამჯერ გაიზარდა მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი, რომელიც 1950-იანი წლების დასაწყისში 600 ათასს აღწევდა. იმ დროისათვის ქალების რაოდენობა მუშა-მოსამსახურეთა შორის 40 პროცენტამდე გაიზარდა, რაც 1933 წელთან შედარებით 15 პროცენტით მეტი იყო.[32]

საქართველოს მოსახლეობაზე მოხდენილი ზეწოლის შედეგად, განსაკუთრებით პირველი ხუთწლედების პერიოდში, ქართველი გლეხობა იძულებული იყო მუშათა კლასად გარდაქმნილიყო, ხოლო მუშები დიდ საწარმოებში წასულიყვნენ სამუშაოდ. თუ პირველი ხუთწლედის ბოლოს მრეწველობის მიერ შექმნილი ეროვნული პროდუქციის წილი 46 პროცენტს შეადგენდა, მეორე ხუთწლედის ბოლოსათვის ამ ციფრმა 75,2

პროცენტს მიაღწია, რაც იმის მაჩვენებელი იყო, რომ საქართველოს ეკონომიკაში მრეწველობა ყველაზე პროდუქტიულ დარგს წარმოადგენდა.[33] საქართველოს ძველი სამრეწველო ცენტრების, მანგანუმის მაღაროებისა და რკინიგზის გარდა, რესპუბლიკაში ახალი საწარმოებიც აშენდა, მათ შორის საჩვენებელი ჰიდროელექტროსადგურები მტკვარსა და რიონზე. რუსთავში, ძალზე დიდი დანახარჯების ფასად და ეკონომიკური რენტაბელურობის გაუთვალისწინებლად, აშენდა უზარმაზარი მეტალურგიული ქარხანა, თუმც საქართველოს არ გააჩნდა ბუნებრივი რესურსები ფოლადის წარმოებისათვის. სტალინის ბრძანებით აშენდა რუსთავის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნები. ამრიგად, ბოლშევიკური მმართველობის ოცდაათი წლის შემდეგ საქართველო უფრო ურბანისტული, უფრო სამრეწველო და უფრო პროლეტარულიც გახდა.

სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნის შემდეგ საქართველო, გარკვეული აზრით, ნაკლებად ქართულიც ხდებოდა, ვინაიდან ტრადიციული გლეხური ცხოვრების წეს-ჩვეულებანი ახალ, უცხო ფორმას იღებდა. მეორე მხრივ, საქართველოს ეთნიკურ თვითმყოფადობას ხელს უწყობდა ე.წ. დამკვიდრების პოლიტიკის მემკვიდრეობა. 1950-იანი წლების დამდეგს ბევრად უფრო მეტი ადამიანი ლაპარაკობდა, კითხულობდა და სწავლობდა ქართულ ენაზე, ვიდრე ოდესმე. ქართული ეროვნული კულტურა ადგილს იმკვიდრებდა ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლების, ეროვნული ოპერის, ქართულენოვანი ფილმების და ოფიციალურად ნებადართული ლიტერატურის მეშვეობით. წერა-კითხვის უცოდინარობა ძირითადად დაძლეული იქნა და ფუნქციონირებდა დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემა. სწავლების, სასამართლოს, სამთავრობო დაწესებულებების ეროვნულმა ხასიათმა განაპირობა ქართველთა წამყვანი როლის დამკვიდრება რესპუბლიკაში, სადაც სხვა ეროვნების უამრავი წარმომადგენელიც ცხოვრობდა.

სულ უფრო იზრდებოდა ქალების დასაქმება სახელმწიფო სამსახურში, თუმცა წამყვანი თანამდებობები უმეტეს წილად მამაკაცებს ეკავათ. მართალია, საბჭოთა სისტემის მოდერნიზაცია გზას უხსნიდა ქალს შრომით ასპარეზზე, მაგრამ ქართველი ქალის ტრადიციული დაქვემდებარებული მდგომარეობა რამდენადმე აფერხებდა ამ პროცესს.

ამის შედეგად ქალი ორმაგად იტვირთებოდა, რადგან სახლშიც უხდებოდა დიასახლისობა და გარეთაც უწევდა მუშაობა. ზემოხსენებულ მიზეზთა გამო ამ და მრავალ სხვა სფეროში სულ უფრო მწვავდებოდა წინააღმდეგობანი ასიმილაციური თვისებების მქონე ურბანისტულ, სამრეწველო ცხოვრების წესსა და ქართულ ტრადიციულ კულტურულ ფასეულობებს შორის. აღნიშნული წინააღმდეგობანი აშკარად არ ჩანდა და სტალინის დროს ღიად არ მჟღავნდებოდა. ამას ადგილი ჰქონდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1950-იანი წლების შუა ხანებში მოსახლეობა გათავისუფლდა სტალინური რეპრესიების საშიშროებისაგან.

იმ დარტყმების შემდეგ, რომლებიც ქართულმა საზოგადოებამ პირველი ხუთწლიანი გეგმების და დიდი წმენდის დროს განიცადა, პარტიული სახელმწიფოს მიერ ინტელიგენციისა და ტრადიციული ქართული ინსტიტუტებისადმი, კერძოდ, ეკლესიის მიმართ უფრო შემრიგებლური პოლიტიკური კურსის გატარებას საზოგადოების და სახელმწიფოს ნაწილობრივი შერიგება მოჰყვა. საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულება ლიტერატურული და კულტურული ინტელიგენციის მიმართ ამბივალენტური ხასიათისა იყო; ერთი მხრივ, მთავრობას აფრთხობდა მისი პოტენციური დამოუკიდებლობა და ავტორიტეტი (სოლჟენიცინის თქმით, დიდი მწერალი მეორე მთავრობას წარმოადგენს); მეორე მხრივ, სურდა ინტელიგენციის მიღწევები სოციალისტური სისტემის მონაპოვრად გაესაღებინა.

1930-იანი წლების დასაწყისში მწვავედ აკრიტიკებდნენ ქართველ მწერალთა ლიდერს კონსტანტინე გამსახურდიას. მიუხედავად ამისა, 1930-იან წლებში გამოქვეყნებული მისი ორი ძირითადი ნაწარმოები "მთვარის მოტაცება" (1935) და "დიდოსტატის მარჯვენა" (1939) მიჩნეული იქნა ეროვნული ხელოვნების ნიმუშებად, რომლებიც შეიქმნა პარტიისა და სახელმწიფოს შემწეობით. კრიტიკას, რომელიც მუდმივად თან სდევდა მის შრომებს, ხელი არ შეუშლია მწერლის ოფიციალური აღიარების და პატივისცემისათვის, არ გამოუწვევია მისი ჩამოშორება საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებისაგან. მაგალითად, 1938 წელს გამსახურდიამ, ისევე როგორც სხვა წამყვანმა მწერლებმა და მხატვრებმა, მათ შორის დრამატურგმა შალვა დადიანმა (1874-1959), მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა (1896-1980) და მოქანდაკემ იაკობ

ნიკოლაძემ (1876-1951) მონაწილეობა მიიღეს თბილისში მოწყობილ მიტინგში, სადაც დაგმეს გერმანიაში ნაცისტების მიერ ებრაელთა მიმართ განხორციელებული რეპრესიები.[34]

სტალინის მმართველობის პერიოდში, როდესაც საქართველო კულტურულად ქართველდებოდა, ხსენებული პროცესი ეროვნულ უმცირესობათა ხარჯზე მიმდინარეობდა. სომხები, კერძოდ, მათი ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც თბილისს სომხური კულტურის ცენტრად აღიქვამდნენ, იძულებული ხდებოდნენ ერევანში გადასახლებულიყვნენ. სომხური კულტურის ძეგლები, მათ შორის სომეხ მწერალთა პანთეონი ხოჯევანში იხურებოდა. შეზღუდვები შეეხო სხვა ეროვნულ უმცირესობებსაც. როდესაც საბჭოთა მუსლიმანთა არაბული დამწერლობა ჯერ ლათინური ანბანით, შემდეგ კი კირილიცით შეცვალეს, აფხაზთათვის შემოღებული იქნა ქართული დამწერლობა, რომელშიც 33 ასო პირდაპირ იქნა ნასესხები ქართული ანბანიდან, ხოლო ექვსი ახალი ასო აფხაზური ფონემების გამოსახატავად დაემატა[35]. კორენიზაციის დაფუძნება საქართველოში ქართულ შოვინიზმში "გადაიზარდა," რაც საკავშირო დონეზე რუსული ნაციონალიზმის ზრდას შეესაბამებოდა, რომელიც საბჭოური პატრიოტიზმის სახით ინიღბებოდა.

პატრიოტიზმისა და ნაციონალიზმის აღმავლობა იმ საშიშროებასთან იყო დაკავშირებული, რომელსაც საბჭოთა კავშირს უქმნიდა ნაცისტური გერმანიის ხელახალი შეიარაღება და ჩინეთში იაპონიის იმპერიის ექსპანსია.

1941 წლის 22 ივნისს ჰიტლერის ჯარებმა ომის გამოუცხადებლად გადმოლახეს საბჭოთა კავშირის საზღვარი და აიძულეს წითელი არმია არაორგანიზებულად დაეხია უკან. საქართველომ ამ ომში ყველაზე დიდი ხარკი ცოცხალი ძალის სახით გაიღო. სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად, 1938 წლამდე საქართველოსაც გააჩნდა ეროვნული საჯარისო შენაერთები, რომლებიც წითელი არმიის შერეულ შენაერთებად გარდაქმნეს. ომის დაწყებისთანავე ცხადი გახდა, რომ აუცილებელი იყო ეროვნული საჯარისო შენაერთების აღდგენა, ვინაიდან ძნელდებოდა იმ ჯარისკაცთა გაწვევა და მომზადება, რომლებმაც რუსული ენა არ იცოდნენ. შეიქმნა როგორც რეგულარული პოლკები, ისე პარტიზანული ჯგუფები. შენაერთების ნაწილი საბჭოთა კავშირ-თურქეთის

საზღვრის დასაცავად გაიგზავნა. ვარაუდობდნენ, რომ თურქეთს შეეძლო ესარგებლა გერმანიის წარმატებებით და კავკასიას დასხმოდა თავს. დანარჩენები იბრძოდნენ ჩრდილოეთ კავკასიასა და ყირიმში, სადაც დანაკარგები უზომო იყო; მაგალითად, ქართული 224-ე მსროლელი დივიზია თითქმის მთლიანად დაიღუპა ყირიმში.[36]

მთელი საზოგადოება მობილიზებული იყო ომისათვის. უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა შეწყდა, რადგან სტუდენტები და პროფესორები ან სამხედრო საწარმოებში მუშაობდნენ, ან ჯარში იყვნენ გაწვეული. მხატვრები და მწერლები ამუშავებდნენ სამხედრო თემას და აქტიურ პროპაგანდისტებად იქცნენ. აღსანიშნავია, რომ ომის პირველ წელიწადს, პატრიოტიზმის მოძალების შედეგად, ქართველმა კომპოზიტორებმა სამოცდაორი მუსიკალური კომპოზიცია შექმნეს! 1942 წელს თბილისის კინოსტუდიამ ორი ფილმი გადაიღო. პირველი ფილმი - "ხიდი," ომის თემაზე იყო, ხოლო მეორე — დიდ ქართველ სარდალს გიორგი საკაძეს მიეძღვნა. "გიორგი საკაძის" დამდგმელმა რეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა სტალინური პრემია მიიღო. საქართველოს თეატრებში იდგმებოდა ქართველ მეფეთა — ერეკლე II-ის, ვახტანგ გორგასლის, თამარ მეფის და ბაგრატიონთა ცხოვრების ამსახველი ისტორიული დრამები. გამოქვეყნდა გამსახურდიას ტეტრალოგიის "დავით აღმაშენებლის" პირველი ნაწილი. როგორც საბჭოთა პატრიოტიზმი, ისე ქართული ნაციონალიზმი ერთ მიზანს ემსახურებოდა. ეკლესია, რომელიც 1930-იანი წლების დასაწყისში დევნას განიცდიდა, ახლა მოკავშირედ იქნა გამოცხადებული. ამიერიდან საქართველოს მებრძოლ უღმერთოთა ლიგის 145 ათას წევრს აღარ მოუწოდებდნენ სიონის ტაძართან კათალიკოს კალისტრატეს წინააღმდეგ დემონსტრაციების მოწყობისაკენ. 1943 წელს სტალინის ბრძანებით აღდგა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია[37].

საქართველოში, ისევე როგორც ყველგან საბჭოთა კავშირში, ახალი ეროვნული ერთობის ჩამოყალიბებას სწორედ ის რეჟიმი უწყობდა ხელს, რომელიც მანამდე, მთელი ათწლეულის მანძილზე, აღვივებდა კლასობრივ ანტაგონიზმს. საინტერესოა, რომ ომმა ბოლო მოუღო წინააღმდეგობებს საქართველოს საზოგადოების ტრადიციულ და რევოლუციურ ელემენტებს შორის და კომუნისტურ რეჟიმს ერის კანონიერი ლიდერის

მდგომარეობა შესძინა. თუ ადრე საქართველოს, როგორც ქვეყნის და საბჭოთა მთავრობის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების დაპირისპირება ადვილი საქმე იყო, ომის შედეგად ეს ორი ცნება ერთმანეთს დაუახლოვდა. დამპყრობელზე გამარჯვებით საბჭოთა მთავრობამ მიაღწია იმას, რაც მეფის ხელისუფლებამ ვერ მოახერხა. ცხადი გახდა, რომ ამ მთავრობის გადაყენება შეუძლებელი იყო.

1945 წლის 1 მაისს წითელი არმიის ორმა ჯარისკაცმა — რუსმა მ.ა. ეგოროვმა და ქართველმა მ.ვ. ქანთარიამ ბერლინში, რაიხსტაგის თავზე წითელი დროშა აღმართეს. ომი ევროპაში ერთი კვირის შემდეგ დასრულდა. ქართველ ხალხს ძვირად დაუჯდა ბრძოლის ოთხი წელიწადი. 1939 წელს საქართველოს მოსახლეობა 3 მილიონ 540 ათას კაცს შეადგენდა. 1944 წლის 1 დეკემბრამდე რესპუბლიკიდან ფრონტზე 562 756 კაცი გაემგზავრა. მათ შორის ჯარში გაიწვიეს 44 914 უკვე პენსიაზე მყოფი ინვალიდი. ომის პერიოდში საქართველოს მოსახლეობა 307 ათასი კაცით შემცირდა და 3 მილიონ 232 700-მდე დაეცა. ყველაზე დიდი დანაკარგი სოფელმა განიცადა. 20 პროცენტით დაეცა წარმოება, რომელმაც ომამდელ დონეს მხოლოდ 1947 წელს მიაღწია.[38]

გერმანიასთან ომით გამოწვეული ტრაგიკული შედეგების დაძლევას თითქმის ათი წელი დასჭირდა. 1946 წელს საბჭოთა კავშირში ძალზე ცუდი მოსავალი მოვიდა. ზოგიერთ მხარეში დაიწყო შიმშილობა. ვერ მოხერხდა საბარათო სისტემის გაუქმება. გაუარესდა ურთიერთობა საბჭოთა კავშირის ყოფილ მოკავშირეებთან, რის გამოც თანდათანობით გაქრა ლიბერალური და ტოლერანტული პოლიტიკური ატმოსფეროს შენარჩუნების იმედი. ევროპა "ცივ ომში" ჩაება. საბჭოთა კავშირი იზოლირებული აღმოჩნდა მის მიერვე შექმნილ სახელმწიფოთა ბლოკის ფარგლებში.

ევროპაში ომის დამთავრების შემდეგ, საგარეო საქმეთა მინისტრმა მოლოტოვმა თურქეთის ელჩს მიმართვა გაუგზავნა, რომელშიც აცხადებდა, რომ რუსეთ-თურქეთის 1925 წლის 17 დეკემბრის შეთანხმება "არ შეესაბამება თანამედროვე ვითარებას და სერიოზულ გადასინჯვას საჭიროებს." საბჭოთა კავშირი დაინტერესებული იყო ამიერკავკასიის მონაკვეთზე თურქეთთან საკუთარი საზღვრების კორექტირებით, აგრეთვე, მონტრეს კონვენციის გადასინჯვით, რომელიც სრუტეების მართვის

რეჟიმს ეხებოდა და ინგლისთან თურქეთის კავშირის შესუსტებით. თავდაპირველად პრეტენზიები ყარსის, არდაგანის და ართვინის თაობაზე სომხეთის რესპუბლიკის სახელით იქნა შეტანილი, ხოლო შემდეგ მათ ქართველთა ირედენტისტული მოთხოვნებიც დაემატა. ხსენებული საკითხი ჯერ კიდევ 1945 წლის აგვისტოში წამოჭრეს პოტსდამში, ხოლო შემდეგ დეკემბერში, დასავლეთის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან სტალინის შეხვედრის დროს. წამყვან საბჭოთა გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიაში, ქართველმა აკადემიკოსებმა ს.ჯანაშიამ და ნ.ბერძენიშვილმა დაწვრილებით განიხილეს ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთში ქართული ისტორიული ტერიტორიების საქართველოსათვის დაბრუნების საკითხი[39]. გაჩაღდა სომხური დიასპორის საბჭოთა სომხეთში დაბრუნების კამპანია, ხოლო სომხეთის ეკლესია აქტიურად ჩაება ყარსისა და არდაგანის დაბრუნების საქმეში. საბჭოთა მოთხოვნებმა გამოიწვია როგორც თურქეთის, ისე ბრიტანეთის და ამერიკის შეშფოთება, რამაც თურქეთს დასავლეთის ალიანსში შესვლისაკენ უბიძგა.

ყველა ამ მოთხოვნას სტალინი ბერიას დაჟინებული რჩევით აყენებდა. ნიკიტა ხრუშჩოვი თავის მოგონებებში იხსენებს, თუ როგორ აქეზებდა ბერია სტალინს თურქეთის წინააღმდეგ ზომების მისაღებად.

"სტალინი საგარეო პოლიტიკას საკუთარ სფეროდ მიიჩნევდა და მას ახლოს არავის აკარებდა. ერთადერთი ადამიანი, ვისაც შეეძლო საგარეო პოლიტიკურ სფეროში რჩევა მიეცა სტალინისათვის, ბერია იყო, რომელიც ყოველმხრივ იყენებდა ამ თავის პრივილეგიას. სტალინთან ერთ-ერთ გაუთავებელ "ვახშამზე" ბერიამ წამოიწყო საუბარი იმის თაობაზე, რომ დღევანდელი თურქეთის შემადგენლობაში მოხვედრილია ის ტერიტორიაც, რომელიც ადრე საქართველოს ეკუთვნოდა და საბჭოთა კავშირს მისი უკან დაბრუნება უნდა მოეთხოვა... ბერია რამდენჯერმე დაუბრუნდა ამ თემას, აღიზიანებდა სტალინს და კონკრეტული ქმედებისაკენ უბიძგებდა მას. ამტკიცებდა, რომ მეორე მსოფლიო ომის შედეგად თურქეთი დასუსტებულია და ვერ შეძლებს წინააღმდეგობის გაწევას."[40]

სტალინის სიკვდილის შემდეგ ეს საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან და 1953 წლის ივლისში მოლოტოვმა განაცხადა, რომ "სომხეთისა და საქართველოს მთავრობებს შესაძლებლად მიაჩნიათ უარის

თქმა თავიანთ ტერიტორიულ მოთხოვნებზე. შესაბამისად, საბჭოთა მთავრობაც აცხადებს, რომ თურქეთის მიმართ რაიმე ტერიტორიული პრეტენზიები არ გააჩნია."[41]

სტალინის მმართველობის ბოლო ათწლეულში საბჭოთა კავშირის მთავრობის ცენტრალიზაციამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხები სტალინის ბინაში ან აგარაკზე გვიანი ვახშმობისას წყდებოდა. ინფორმაცია, რომელსაც სტალინი იღებდა, გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენდა პარტიის და სახელმწიფოს პოლიტიკაზე. ბერია ახერხებდა სტალინამდე მისული ინფორმაციის უდიდესი ნაწილის გაკონტროლებას.

"სტალინი ბერდებოდა და ვერ გრძნობდა, თუ რამდენად დიდი იყო ბერიას ძალაუფლება. მაგალითად, სახელმწიფო უშიშროების მინისტრი აბაკუმოვი სტალინს მხოლოდ მას შემდეგ აწვდიდა ინფორმაციას, რაც ბელადთან მოხსენებით თავად ბერია შევიდოდა და მისგან მითითებებს მიიღებდა... სტალინს აბაკუმოვი ნიჭიერ ახალგაზრდად მიაჩნდა, რომელიც მზად იყო შეესრულებინა მისი ბრძანებები. ფაქტობრივად კი აბაკუმოვი იმას მოახსენებდა სტალინს, რასაც ბერია ეტყოდა და რაც, ბერიას აზრით, მოეწონებოდა სტალინს. უფრო მეტიც, ბერია მას შემდეგაც აკონტროლებდა სტალინის მთელ გარემოცვას, რაც ქართველი მომსახურე პერსონალი განდევნილი იქნა." [42]

მოსკოვში უდიდესი ძალაუფლების გარდა, ბერია გავლენას ინარჩუნებდა საქართველოშიც. ის, სტალინის მსგავსად, კვლავ საქართველოს ცენტრალური კომიტეტის წევრი იყო და კადრების საკითხს პირადად წყვეტდა. ბერიას პიროვნების კულტი გაბატონებული იყო საქართველოში და თბილისის მთავარი მოედანი მის სახელს ატარებდა.[43] საქართველოს იგი საკუთარი "მამულივით" მართავდა. ამგვარი ზეგავლენა ადგილზე არც ერთ სხვა საბჭოთა ხელმძღვანელს არ გააჩნდა. როგორც ერთი მკვლევარი აღნიშნავდა, ბერიას ძალაუფლება საქართველოზე საშუალებას აძლევდა ქართველებს, "თავი აერიდებინათ რუსეთის მხრიდან ზედამხედველობისათვის (მაგალითად, მეორე მდივანთა პოსტებზე რუსების დანიშვნისათვის), რაც სხვა რესპუბლიკებში ჩვეულებრივი მოვლენა იყო. გარდა ამისა, დეფიციტური საქონლის განაწილებისას საქართველოს განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდნენ." [44]

ამასთან ერთად, ბერია ცდილობდა, სტალინამდე არ მიეღწია ინ-ფორმაციას სამშობლოდან. ხრუშჩოვი იგონებს, რომ ერთხელ სტალინს საქართველოდან ძველი მეგობარი ესტუმრა, რომელმაც ბელადი გააოგნა. კერძოდ, უამბო იმ ახალგაზრდების შესახებ, რომლებიც განათლების მიღების შემდეგ სამსახურს ვერ შოულობდნენ და იძულებული იყვნენ უკანონო ეკონომიკურ საქმიანობაში ჩაბმულიყვნენ. სტალინმა, რომელიც პურიტანული სოციალიზმის შეხედულებებს ინარჩუნებდა, შესჩივლა ხრუშჩოვს: "იცით, რა ხდება საქართველოში? ახალგაზრდები ან უსაქმოდ სხედან, ან სპეკულაციას ეწევიან! რა საზიზღრობაა!"[45].

სტალინის სიცოცხლის უკანასკნელი წლები საბჭოთა ისტორიის ერთ-ერთი უმძიმესი და დაძაბული პერიოდია. მოხუცი დიქტატორის მმართველობის ბოლო წლებისთვის დამახასიათებელი იყო ეკონომი-კური სტაგნაცია და პოლიტიკური რეპრესიები მთელ საბჭოთა იმპერიაში. თავად სტალინი ეჭვებით იყო შეპყრობილი. მას ერთხელ ხრუშჩო-ვისათვის უთქვამს: "მე არავის არ ვენდობი, საკუთარ თავსაც კი." ყველა საფრთხეს ელოდა და ჰაერში ახალი წმენდის სუნი ტრიალებდა. "იმ დღეებში, - იხსენებდა ხრუშჩოვი, - ნებისმიერ ჩვენგანს შეიძლებოდა უბედურება დატყდომოდა თავს. ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რას ფიქრობდა სტალინი იმ დროს, როცა შენკენ იყურებოდა. ზოგჯერ რისხვით შემოგხედავდა და გეტყოდა: "თვალებს რატომ მარიდებ?" ...ჩვენ ყველანი, ვინც სტალინის გარემოცვაში ვიყავით, დროებით ადამიანებად ვგრძნობდით თავს." 1952 წელს პარტიის მეცხრამეტე ყრილობის შემდეგ სტალინმა უახლოესი გარემოცვიდან გააძევა მიქო-იანი და მოლოტოვი.[46]

1951 წელს სტალინმა გადაწყვიტა ბოლო მოეღო ბერიას ძალაუფ-ლებისათვის. ამის პირველი ნიშანი იყო ვ.ს.აბაკუმოვის გადაყენება, რომელიც დროთა განმავლობაში ბერიას ხელქვეითად იქცა. მისი ადგი-ლი ბერიასა და მალენკოვის მიმართ მტრულად განწყობილმა ს.დ. იგ-ნატიევმა დაიკავა. სახელმწიფო უშიშროების სფეროში ბერიას გავლე-ნის შეკვეცის შემდეგ სტალინმა და იგნატიევმა საქართველოს რესპუბ-ლიკის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრალდება შე-თითხნეს, რომელიც "მეგრელთა საქმის" სახელწოდებით არის ცნობილი. ბერიაც წარმოშობით მეგრელი იყო. 1951 წლის ნოემბერში წამყვანი

სახელმწიფო და პარტიული თანამდებობებიდან გადააყენეს მეგრელი ხელმძღვანელები: მეორე მდივანი მ.ი.ბარამია, იუსტიციის მინისტრი ა.ნ. რაფავა, პროკურორი ვ.ი. შონია. მათ ბრალად ედებოდათ იმ ოფიციალურ პირთა მფარველობა, რომელთაც დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი. აღნიშნული აქციები სტალინის პირადი ბრძანების საფუძველზე განხორციელდა.[47]

დაახლოებით იმავე დროს საქართველო ორ ახალ — თბილისის და ქუთაისის ოლქებად დაიყო. ახალი ოლქების მდივნები ლელაშვილი და მგელაძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში შეიყვანეს. შემდგომი საკადრო ცვლილებები დეკემბერსა და იანვარში განხორციელდა; მსხვერპლთა უმრავლესობა მეგრელი იყო. საბოლოოდ, 1952 წლის მარტში, კანდიდ ჩარკვიანის ნაცვლად, რომელიც პირველი მდივნის მოვალეობას 1938 წლიდან ასრულებდა, დანიშნეს აკაკი ივანეს ძე მგელაძე. ბერია ესწრებოდა აპრილის პლენუმს, რომელმაც პირველი მდივნის დანიშვნა დაამტკიცა. ჩარკვიანის მომხრეების თანამდებობებზე დაინიშნენ კადრები აფხაზეთიდან, სადაც მგელაძე პარტიულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა.[48]

აღნიშნული წმენდის ანალიზისას რობერტ კონკვესტი მიიჩნევს, რომ საქართველოში ერთმანეთს ებრძოდა სამი დაჯგუფება: ბერიას მომხრეები, სტალინის ახალი - 1951 წლის კადრები და ჩარკვიანის კონტინგენტი, რომელიც ბერიასგან რამდენადმე დამოუკიდებელი იყო. "სტალინის მიერ 1951 და 1952 წლებში საქართველოში ჩატარებული ღონისძიებები იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ის თანდათანობით ზღუდავდა ბერიას გავლენის სფეროს." ჩარლზ ფერნბექსი (უმცროსი) ამ შეხედულებებს საკუთარ მოსაზრებებს უმატებს და ხაზს უსვამს, რომ სტალინის ანტიებრაული კამპანია, ე.წ. "ექიმთა საქმე," ისევე, როგორც ჩეხი კომუნისტების სლანისკის და გემინდერის დევნა, გარკვეულ წილად ბერიას წინააღმდეგ მიმართული აქციები იყო.[49] რობერტ კონკვესტის მიერ შემოთავაზებული კონცეფციის განხილვისას ფერნბექსი ვარაუდობს:

"თავდაპირველად სტალინმა ჩარკვიანის და მგელაძის ხალხი ბერიას (ან ბარამიას და ზოდელავას) წინააღმდეგ გამოიყენა. ამ საფეხურზე ჩარკვიანსაც და მგელაძესაც საშუალება მისცეს ხელი შეეწყოთ საკუთარი ხალხის დაწინაურებისათვის... მეორე საფეხურზე (1952

წლის აპრილი-მაისი) ჩარკვიანის მომხრეები მგელაძის დანიშნული ხალხით შეიცვალა." [50]

საქართველოსათვის, რომელიც სტალინურ ხანაში აგრარულ საზოგადოებად შევიდა, დიდი რუსეთის ცენტრთან ურთიერთობა "შიდა კოლონიალიზმის" ხასიათს ატარებდა. საბჭოთა კავშირში შემავალი ქართველების "მოდერნიზაცია," განსაკუთრებული გზით და მსოფლიოს აგრარული მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მსგავსად, იძულებითი მეთოდებით განხორციელდა. ისევე, როგორც მეფის რუსეთში ან სეფევიდურ ირანში, ქართველებმა იმპერიის შემადგენლობაში დაკარგეს საკუთარი ბედის დამოუკიდებლად გადაწყვეტის შესაძლებლობა. სტალინის ხანაში ერთხელ და სამუდამოდ მოისპო საქართველოს უპირატესად აგრარული ეკონომიკა და სასწრაფო ზომებით დაჩქარდა უმთავრესად ურბანული სამრეწველო საზოგადოების განვითარება. სრული პოლიტიკური სუვერენიტეტისათვის აუცილებელი კომპონენტების არარსებობის მიუხედავად, ქართველებმა მაინც შეძლეს ერთიანი, ეროვნული თვითშეგნების და საკუთარი ტერიტორიის შენარჩუნება. მზად იყვნენ პირველი შესაძლებლობისთანავე გაეუმჯობესებინათ საკუთარი სოციალური, მატერიალური და კულტურული მდგომარეობა.

შენიშვნები

1. Roy Medvedev. All Stalin's Men. Oxford: Basil Blackwell, 1983, p. VIII.
2. ჩეკისტი მიხეილ სერგის ძე კედროვი (1878-1941) 1920-იანი წლების დასაწყისში ბაქოში გაიგზავნა ადგილობრივი ჩეკა-ს მუშაობის შესამოწმებლად. მან, როგორც ჩანს, ახალგაზრდა ბერიას შესახებ მაკომპრომეტირებელი მასალები აღმოაჩინა და საჭიროდ მიიჩნია ბერიას დათხოვნა სამსახურიდან. შინაგან საქმეთა სახელმწიფო კომისარიატის სათავეში ბერიას ჩადგომის შემდეგ კედროვმა და მისმა ვაჟმა იგორმა სტალინს წერილები გაუგზავნეს, რომლებიც ბერიას მამხილებელ მასალებს შეიცავდა. იგორ კედროვი დააპატიმრეს და დახვრიტეს; მიხეილ კედროვი 1939 წელს დააპატიმრეს, უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიაზე გაასამართლეს და გაამართლეს, მაგრამ შემდეგ ბერიას ბრძანებით დახვრიტეს ("Ленинградская

Правда", 25 февраля. 1964). Werner G. Hahn, Postwar Soviet Politics: The Fall of Zhdanov and the Defeat of Moderation, 1946-53; Ithaca, N.Y.: Cornell University Press, 1982, pp. 163-164; Boris Levytsky. The Stalinist Terror in the Thirties: Documentation from the Soviet Press, Stanford: Hoover Institution Press, 1974, pp. 485-489.

3. Сурен Газарян. О Берии и суде над бериевцами в Грузии. СССР Внутренние противоречия. 6 (1982): с.113. ეს არის ყოფილი ჩეკისტის "სამიზდატში" გამოცემული ხელნაწერის გამოქვეყნებული ნაწყვეტი. ს. გაზარიანი 1937 წელს დაპატიმრებამდე თბილისის ჩეკაში მუშაობდა. (Сурен Газарян. Это не должно повториться. 1958-1961).

4. Сурен Газарян. Это не должно повториться. გაზარიანის მიერ დასახელებულ პირთა შორის, რომელთაც ბერიას გამო დატოვეს ამიერკავკასია, იყო თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ერვანდ ასრიბეკოვი.

5. კონსტანტინე კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძე, სერგოს ძმა, თავის მემუარებში წერს, რომ სტალინს არ უყვარდა ორახელაშვილი და სერგოს დაჟინებული მოთხოვნით ინახულა ის თბილისში ყოფნისას. ორახელაშვილი და მისი მეუღლე 1937 წლის თებერვალში, ორჯონიკიძის თვითმკვლელობის შემდეგ დააპატიმრეს. როდესაც სერგოს სიკვდილის შემდეგ ბერია ორჯონიკიძის ქვრივს ესტუმრა, ზინაიდა გავრილის ასულმა სილა გაარტყა მას და არამზადა უწოდა სტალინის, მოლოტოვის, ჟდანოვის და სხვების თანდასწრებით (Политический дневник 55, Апрель, 1963; R.Medvedev, Let History Judge: The Origins and Consequences of Stalinism. New York, Knopf, 1972. pp. 196-243.).

6. И.В. Сталин, Сочинения, т. 13, 1946, Москва, сс. 84-102.

7. John Barber. Stalin's Letter to the Editors of "Proletarskaya Revolyutsya. Soviet Studies 28, no. 1 (January, 1976): 32; Robert C. Tucker. The Rise of Stalin's Personality Cult, American Historical Review 84, no. 2 (April, 1979), p. 356.

8. "Заря Востока", №90, 17 апреля, 1932; №69, 23 марта 1932; №83, 9 апреля, 1932 и №85, 11 апреля, 1932. ამიერკავკასიის პარტიის ისტორიის სტალინური მიმართულებით გარდაქმნის თაობაზე იხილეთ ჯერ კიდევ საინტერესო ნაშრომი: Bertram D. Wolfe. Three Who

made a Revolution. A Biographical History. New York, Dial Press, 1948; Stein and Day, 1984. pp. 399-474.

9. "Заря Востока", №11, 12 января, 1934 и №13, 14 января, 1934 г.. სურენ გაზარიანი, რომელიც თბილისის შინსახკომში მუშაობდა, წერს, რომ ბერიას ხალხი ბრალდებას ამზადებდა მახარაძის წინააღმდეგ. ბოგდან ქობულოვს დავალებული ჰქონდა ამ ძველი ბოლშევიკის შესახებ საინკრიმინაციო მასალის შეგროვება და იმის დამტკიცება, რომ ის ხელმძღვანელობდა ყოველგვარ კონტრრევოლუციურ საქმიანობას საქართველოში. ჩვენებები ამის სასარგებლოდ მიაწოდეს გერმანე მგალობლიშვილმა, კარპე მოდებაძემ, დავით ბაგრატიონმა, ბუდუ მდივანმა, შალვა ელიავამ და მრავალმა სხვამ. მაგრამ ეს ბრალდებები მახარაძის წინააღმდეგ არ გამოუყენებიათ. (О Берии... с.199). დაპატიმრების ან სიკვდილის დასკვის ნაცვლად მახარაძე 1938 წელს საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს, რაც ფორმალური პოსტი იყო. იგი 1941 წლის 10 დეკემბერს გარდაიცვალა. (Н.Б.Махарадзе. Филипп Махарадзе. Тбилиси, 1960. сс. 147, 149.).

10. "Заря Востока". №13, 14 января 1934.

11. Л.Берия. К вопросу об истории большевистских организаций в Закавказье. "Заря Востока", №170, 24 июля, 1935 г.; №171, 25 июля 1935 г. მედვედევი აღნიშნავს, რომ წიგნის ნამდვილი ავტორი იყო საქართველოს განათლების კომისარი ბედია, რომელსაც მოგვიანებით უსაფუძვლოდ დასდეს ბრალი პოლიტიკურ დანაშაულში და დახვრიტეს (Let History Judge, p. 327).

12. T.H.Rigby. Communist Party Membership in the USSR., 1917-1967 Princeton, N.J.: Princeton University Press, 1968, pp. 52, 204. სხვადასხვა დროის წმენდებს შორის სხვაობის თაობაზე იხ. J. Arch Getty. Party and Purge in Smolensk: 1933-1937. Slavic Review 42, no. 1 (Spring 1983): pp. 66-67. და მისივე წიგნი: Origins of the Great Purges: The Soviet Communist Party reconsidered. 1933-1938. Cambridge, England: Cambridge, University Press, 1985.

13. Коммунистическая Партия Грузии в цифрах (1921-1970гг.). Сборник статистических материалов (Тбилиси, 1971), сс. 62, 65.

14. Газарян. Это не должно повториться, сс. 44-48.

15. Гугушвили П.В. и др., ред. История коллективизации сельского хозяйства Грузинской ССР (1927-1937 гг.). Тбилиси, 1970, сс. 466-468. "Заря Востока", №11, 12 января, 1934.
16. "Заря Востока". №15, 16 января, 1934; №19, 20 января, 1934.
17. "Правда", 19 августа, 1936; "Заря Востока", №193, 20 августа, 1936.
18. Report of the Court Proceedings: The Case of the Trotskyite-Zinovievite Terrorist Centre (Moscow, 1936), pp. 109-110.
19. Bertram D. Wolfe, Khruschev and Stalin's Ghost: Text, Background and meaning of Khruschev's Secret Report th the Twentieth Congress on the Night of February 24-25 1956. London: Atlantic Press, 1957, p. 173: Robert Conquest, Great Terror: Stalin's Punge of the Thirties. London and New York. Macmillan, 1968, p. 155.
20. "Правда", №153, 5 июня, 1937.
21. "პრავდის" კორესპონდენტის მიერ გაკრიტიკებულთაგან წმენდას ცოტა ვინმე თუ გადაურჩა. ა.ს. აგრბა მოგვიანებით დახვრიტეს, გობეჩიას ბედი ჩემთვის ცნობილი არ არის, ხოლო ი.დ.კოჭლამაზაშვილი გადაურჩა უბედურებას და 1938 წლის ივნისში იგი ბერიას მომდევნო თანამდებობაზე - საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად აირჩიეს. "Заря Востока", №142, 21 июня, 1938 г. (მე დავუშვი, რომ ეს იგივე კოჭლამაზაშვილია. "პრავდა" ინიციალებს არ ბეჭდავს). თუმცა, როდესაც ბერია მოსკოვში გადავიდა, კოჭლამაზაშვილს მისი ადგილი არ დაუკავებია, ის დანიშნეს თბილისის საბჭოს თავმჯდომარედ. იქვე, №200, 1 сентября, 1938 г.
22. "Правда", №143, 26 мая, 1937 г.; №145, 28 мая, 1937 г.; №153, 5 июня, 1937 г და №154, 6 июня, 1937 г.
23. Conquest. Great Terror, pp. 248-249. დიდი წმენდის თვითნებურ ხასიათზე მოწმობს ერთ-ერთი ყველაზე შესაძლებელი მსხვერპლის, ძველი ბოლშევიკის - სერგო ივანეს ძე ქავთარაძის გადარჩენა, რომელიც 1920-იან წლებში ტროცკისტული ოპოზიციის წევრი იყო. მედვედევი წერს, რომ ქავთარაძე კიროვის მკვლელობის შემდეგ გადასახლებაში იმყოფებოდა. იმ პერიოდში მან წერილი მისწერა სტალინს, რომელშიც უმტკიცებდა, რომ პარტიის საწინააღმდეგო ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია. წერილმა სტალინამდე მიაღწია და მალე ქავთარაძე უკან დააბრუნეს. ამის შემდეგ მისი სტატია, რომელიც

ეხებოდა მის იატაკქვეშა მოღვაწეობას სტალინთან ერთად, გამოქვეყნდა ცენტრალურ გაზეთებში. მოულოდნელად, 1936 წლის ბოლოს ის მეუღლესთან ერთად დააპატიმრეს, აწამეს და დახვრეტა მიუსაჯეს. მას ბრალად ედებოდა ბ.მდივნის მიერ ორგანიზებულ შეთქმულებაში მონაწილეობა, რომელიც მიზნად ისახავდა სტალინის მოკვლას. მაგრამ მოგვიანებით ორივე გაათავისუფლეს, მისცეს სამუშაო, ბინა. მალე მას ბინაზე სტალინი და ბერია ეწვივნენ. როდესაც ქავთარაძე სტალინს ესტუმრებოდა ხოლმე, მასპინძელი თვითონ უსხამდა წვნიანს, ხუმრობდა და წარსულს იხსენებდა, მაგრამ ერთ-ერთი ასეთი სადილის დროს სტალინი მოულოდნელად მივიდა სტუმართან და უთხრა: "და მაინც, შენ ჩემი მოკვლა გინდოდა." ეს ამბავი მედვედევს თავად ქავთარაძემ უამბო. (Let History Judge, pp. 310-311).

24. "Заря Востока", №195, 26 августа, 1937; დაბეჭდილი ასლი ინახება ჰუვერის ინსტიტუტის არქივში, (ms) DK 511 047T88; Conquest, Great Terror, pp. 249-250.

25. Очерки истории Коммунистической партии Армении. Ереван, 1967, с. 387. 1967 წლის რუსულ გამოცემაში მალენკოვის სახელი არ მოიხსენიება, ხოლო 1963 წლის სომხურ გამოცემაში – არის. იხ. Hayastani Komunistakan partiayi betmutyan urvagtser. Erevan, 1963, p. 488. ბერია, მალენკოვთან და მიქოიანთან გაგზავნეს სომხეთის კომუნისტურ პარტიაში წმენდის ჩასატარებლად, ხოლო სხვა თანამდებობის პირები, მაგალითად, კაგანოვიჩი, სხვა რეგიონებსა და რესპუბლიკებში გაგზავნეს. მაგრამ საქართველოში, 1937 წლის შემოდგომაზე, ბერიას ნება დართეს თვითონ გაეწმინდა საკუთარი ორგანიზაცია. მიუხედავად ამისა, ამ წლის ბოლოს ან 1938 წლის დასაწყისში ბერიას საფრთხე დაემუქრა. თუ გაზარიანის მიერ გადმოცემულ ხმებს რაიმე საფუძველი გააჩნია, მის თანახმად, გოგლიძემ, საქართველოს შინაგან საქმეთა კომისარმა და ბერიას მომხრემ ეჟოვისაგან მიიღო დეპეშა, რომელშიც ნაბრძანები ჰქონდა ბერიას დაპატიმრება და მოსკოვში ჩაყვანა. გოგლიძემ დეპეშა ბერიას აჩვენა, მაგრამ არ დააპატიმრა. ბერია მოსკოვში გაფრინდა, შეხვდა სტალინს და ციხეში მოხვედრის ნაცვლად მალე ეჟოვის ადგილი დაიკავა. (Газарян. О Берии. сс. 119-120; Conquest, Great Terror, p. 452)

26. "Заря Востока", №220, 26 сентября, 1937 г.; №249, 29 октября, 1937 г. и №275, 2 декабря, 1937 г. აფხაზეთში ჩატარებული წმენდის

შესახებ ნაშრომში შემდეგი დასკვნაა გაკეთებული: არაპირდაპირი სამხილების თანახმად ტერორი მიმართული იყო მმართველი ელიტის წინააღმდეგ, რომელიც არ ეთანხმებოდა საკუთარი შიდა რიგების წმენდას და ზოგიერთ საკითხში ავტონომიურ მისწრაფებებს ამჟღავნებდა. ყველაზე დამაჯერებელი ახსნა-განმარტების თანახმად, რეგიონული ხელმძღვანელობა ეწინააღმდეგებოდა ნაადრევ კოლექტივიზაციას და მის უარყოფით ზეგავლენას სოფლის მეურნეობაში შრომის ნაყოფიერებაზე და პროვინციის სოციალურ შემადგენლობაზე. (Patrick Flaherty. Stalinism in Transition, 1932-1937. Radical History Review, 1987, p. 60).

27. "Правда", 30 декабря, 1937 г.; Заря Востока, №19, 25 января, 1938 г.

28. რიტერსპორნი ამტკიცებს, რომ ეს სასამართლო პროცესი სახელმწიფო და პარტიულ აპარატში მოსულ ახალ ხელმძღვანელობას მიანიშნებდა, რომ მათი უსაფრთხოება შეფარდებითი იყო, ვინაიდან ბრალდებულნი დამნაშავედ ცნეს ისეთ დანაშაულში, რომელიც მათ ოპოზიციურ წარსულს უკავშირდებოდა, ხოლო იაგოდას შემთხვევაში, პოლიციის ექსცესებს (Staline en 1938: Apogee de verbe et defaite politique, Elements pour une etude du stalinisme reel. Libre 6, 1979, p. 147).

29. ერთ-ერთი ემიგრანტი მოგვიანებით აღნიშნავდა, რომ ბერიამ პარტიის ხელმძღვანელად სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ.მ. ბაქრაძე დაასახელა, მაგრამ სტალინმა ჩარევიანი დანიშნა. ეს ორი ადამიანი მეტოქეებად გადაიქცა და საქართველოს კომპარტიაში თავიანთ მომხრეთა დაჯგუფებები შექმნეს (Сандро Анагели. К политическим событиям в Грузии. Объединенный Кавказ, 5 [22], май 1953, с. 20).

30. ჯაშის სიტყვა – XVIII съезд Всесоюзной Коммунистической Партии (б), 10-21 марта 1939 г. Стенографический отчет. Москва, 1939, с. 577.

31. იქვე, გვ. 578. სსრკ-ში ახალი მმართველი ელიტის შექმნის თაობაზე იხილეთ: Sheila Fitzpatrick. Stalin and the Making of a New Elite, 1928-1939. Slavic Review 38, no. 3 (September 1979), pp. 377-402.

32. Народное хозяйство Грузинской ССР. К 60-летию Великого Октября. Юбилейный статистический ежегодник, Тбилиси, 1977, сс. 10, 134, 137; Советская Грузия к 50-летию Великой Октябрьской Социалистической Революции. Тбилиси, 1967, с. 197.1975 წელს საქართველოს მოსახლეობის 50% სოფლად ცხოვრობდა. იმავე წელს თბილისის მოსახლეობის რაოდენობამ მილიონს მიაღწია. მეორე მსოფლიო ომის დროს საქართველოში მუშახელის 42% ქალები შეადგენდნენ.
33. М.В.Натмеладзе, и Н.И.Стуруа. Из истории рабочего класса Грузии (1921-1958 гг.). Тбилиси, 1961, с. 92.
34. Заря Востока, №273, 29 ноября, 1938 г.
35. იქვე, №31, 8 февраля, 1938 г.
36. И.П.Бабалашвили. Грузинская ССР в годы Великой Отечественной войны, 1941-1945. Тбилиси, 1977, сс. 87, 157.
37. იქვე, გვ. 152; David M. Lang. Religion and Nationalism. A Case Study: The Caucasus, in Max Hayward and William C. Fletcher, eds., Religion and the Soviet State: A Dilemma of Power. New York, Praeger, 1969, pp. 178-179.
38. И.П.Бабалашвили. Грузинская ССР, сс. 200, 318-319. 1939-46 წლებს შორის საქართველოში ქალაქის მოსახლეობა 20 ათასი კაცით გაიზარდა, ხოლო სოფლის მოსახლეობა 327 ათასი კაცით შემცირდა.
39. Bruce R. Kuniholm. The Origins of the Cold War in the Near East. Great Power Conflict and Diplomacy in Iran, Turkey, and Greece. Princeton University Press, 1980, pp. 255-270, 287.
40. Khrushchev Remembers. The Last Testament, trans. and ed. Strobe Talbott. Boston: Little, Brown, 1974, pp. 295-296.
41. Правда, 19 июля, 1953 г.
42. Khrushchev Remembers. Trans. and ed. Strobe Talbott, intro. and notes by Edward Crankshaw. Boston: Little, Brown, 1970, vol. 1, pp. 296-301, 312. (იხ. აგრეთვე Khrushchev Remembers, vol.1)
43. Robert Conquest. Power and Policy in the U.S.S.R.: The Struggle of Stalin's Succession, 1945-1960. London: Macmillan, 1961; Harper Forchbooh, 1967. p. 136. თბილისის ცენტრალურ მოედანს ისტორიულად ერევნის მოედანი ეწოდებოდა. მოგვიანებით მას ამიერკავკასიის ფედერაციის, ხოლო შემდეგ ბერიას მოედანი ეწოდა. ახლა

ეს ლენინის მოედანია და სანამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებაა, ალბათ ეს სახელიც არ შეიცვლება.*

44. Charles H. Fairbanks. Jr., "National Cadres as a Force in the Soviet System. The Evidence of Beria's Career, 1949-1953", in Jeremy R. Azrael, ed., Soviet Nationality Policies, New York, Praeger, 1978, p. 156.
45. Khrushchev Remembers, vol. 1, p. 305.
46. იქვე, გვ. 307, 257-258, 310.
47. Hahn, Postwar Soviet Politics, pp. 141-142; Conquest, Power and Policy, p. 139; Fairbanks, "National Cadree", p. 50.
48. Charles H. Fairbanks. Jr., "Clientelism and Higher Politics in Georgia, 1949-1953", in R.G.Suny, ed., Transcaucasia, Nationalism and Social Change. Essays in the History of Armenia, Aserbaijan, and Georgia. Ann Arbor, Michigan Slavic Publications, 1983, p. 343. ვ.კ.ბალავაძე ხელმძღვანელობდა პარტიული ორგანოების განყოფილებას, შემდეგ თბილისის ქალაქკომის პირველი მდივნის თანამდებობა ეკავა. ი.ზარანდია ფოთის ქალაქკომის პირველ მდივნად დანიშნეს, ხოლო რ.ს.კანდელაკი კომკავშირულ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა.
49. ვ.ბაქრაძე, ა. მირცხულავა, გ.სტურუა და გადაყენებული მეგრელები ბერიას ხალხი იყო; ჩხუბიანიშვილი და გოგუა – ჩარკვიანის; ვ. ბუკიაშვილი, კეცხოველი, მგელაძე, ბალავაძეები და გეთია – სტალინის. (Conquest, Power and Policy, pp. 150-152; Fairbanks, "National Cadres" pp. 160-161).
50. Fairbanks. Clientelism and Higher Politics. p. 358.

---

* როგორც ცნობილია, თბილისის ცენტრალურ მოედანს ერევნის მოედანი ეწოდა ცნობილი რუსი გენერლის, პასკევიჩის პატივსაცემად, რომელმაც რუსეთის იმპერიას შემოუერთა ერევნის სახანო. შესაბამისად, თბილისის ეთნიკური სურათი, როგორც ეს ბ-ნ სიუნის ჰგონია, აქ არაფერ შუაშია. ავტორისათვის ასევე არ არის ცნობილი, რომ 1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან ერთად მას თავისუფლების მოედანი უწოდეს. 1989 წელს კი სამართლიანად აღუდგინეს 1918 წელს დარქმეული სახელი (რედაქტორის შენიშვნა).

ბალამწყვეტი წვრილმანი
როგორ აღიქვამდნენ მას სხვები
(ნაწყვეტები წიგნიდან "სტალინი. გზა ძალაუფლებისაკენ")

ბოლშევიკები, როგორც წესი, დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ პირად მომენტს პოლიტიკაში. ერთადერთი გამონაკლისი ამ წესიდან ლენინის მიმართ მათი დამოკიდებულება იყო. მარქსიზმის სკოლაგავლილი ბოლშევიკები მიიჩნევდნენ, რომ პარტიის წევრში მთავარია არა მისი პიროვნება, არამედ პოლიტიკური მრწამსი, იდეოლოგიის ერთგულება, პარტიაში განსახილველ საკითხებში სწორი პოზიციის დაკავება. სწორედ ამის გამო ლენინი თავის "პოლიტიკურ ანდერძში" წერდა, რომ სტალინის პირადი თვისებების საკითხი "შეიძლება უბადრუკ წვრილმანად მოგეჩვენოს" და მიუხედავად ამისა, იქვე უთითებდა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ასეთ წვრილმანს შეიძლება გადამწყვეტი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდეს.

თუმც მომდევნო წლებში ზოგიერთი პარტიული ხელმძღვანელი სტალინთან ურთიერთობის პირადი გამოცდილების მიხედვით დარწმუნდა ლენინის მოსაზრებების სისწორეში, მათთვისაც კი ძნელი აღმოჩნდა გადაელახათ ყველასათვის დამახასიათებელი პიროვნული ფაქტორის როლის უარყოფის ტენდენცია. ამას ხელს უწყობდა თავად სტალინიც, რომელიც ამტკიცებდა, რომ, როცა ოპოზიცია მას პირადულობის ნიადაგზე აკრიტიკებდა, სინამდვილეში ცდილობდა საქმის არსისაგან ყურადღების გადატანას. ხოლო ტროცკისთან კონფრონტაციის დროს, 1927 წლის ოქტომბერში სტალინმა პირადულ ფაქტორს გვერდი აუარა, როგორც ერთ-ერთ "წვრილმან საკითხს," რომელსაც აუცილებელია ბოლო მოეღოს საქმის არსებით მხარეზე გადასვლის წინ. შემდგომ, 1929 წელს ბუხარინის ჯგუფთან კონფლიქტის საკითხზე გამოსვლის დროს (ჯგუფთან, რომელმაც იგი დესპოტური მმართველობისადმი მისწრაფებაში დაადანაშაულა), სტალინმა უპირველეს ყოვლისა, განაცხადა: "ამხანაგებო! მე არ შევეხები პირადულ მომენტს, თუმცა პირადული მომენტი ბუხარინის ჯგუფის ზოგიერთი ამხანაგის სიტყვებში საკმაოდ მნიშვნელოვან როლს

ასრულებდა. არ შევეხები, რადგანაც პირადული მომენტი ისეთი წვრილმანია, რომელზეც არ ღირს ყურადღების გამახვილება." პირადული ბრალდებები მხოლოდ იაფფასიანი ფანდია, რომელიც გამოიყენება ჩვენი უთანხმოების "პოლიტიკური საფუძვლის მისაჩქმალავად." [1] ამავე ვრცელ გამოსვლაში სტალინი შეეცადა წარმოედგინა არსებული კონფლიქტი, როგორც პარტიის პოლიტიკის საკითხებში არსებული მნიშვნელოვანი უთანხმოების შედეგი. თუმცა, ამგვარი აზრთა სხვადასხვაობა მართლაც არსებობდა, ხსენებულ კონფლიქტში თავის გამარჯვებას, სხვა ბევრ მომენტთან ერთად, სტალინი უმადლოდა ცენტრალური კომიტეტის მზადყოფნას, დათანხმებოდა მის მოსაზრებას, რომ პირადული მომენტი "წვრილმანია."

თუმცა ლენინი, მართალია, ძალზე გვიან, მაგრამ საბოლოოდ მიხვდა, რომ საკითხი სტალინის ხასიათის თაობაზე საკმაოდ არსებითი იყო. ამასთან, ვერც მან და ვერც მათ, ვინც შემდგომში ამავე დასკვნამდე მივიდნენ, ვერ განამტკიცეს ეს მოსაზრება სტალინის ხასიათის ადექვატური ანალიზით. ლენინი, როგორც დავინახეთ, ძალზე შეშფოთებული იყო სტალინის უხეშობით, მისი უაპელაციობით ადმინისტრაციულ საკითხებში, ველიკორუსული ნაციონალიზმით, მისთვის დამახასიათებელი ბოროტი ტენდენციურობით პოლიტიკურ მოღვაწეობაში და, აგრეთვე იმით, რომ სტალინს არ გააჩნდა ტოლერანტობა, ლოიალურობა და სხვების მიმართ ყურადღების გამოჩენის უნარი. მაგრამ ხასიათის უარყოფითი მხარეების მთელი ეს შთამბეჭდავი ჩამონათვალი, რომელსაც პოლიტიკური თვალსაზრისით ჰქონდა მნიშვნელობა, არ იყო აწონილ-დაწონილი ანალიზის შედეგი. რაც შეეხება სხვა ადამიანებს, რომლებიც სულ უფრო და უფრო მეტ ძრწოლას განიცდიდნენ სტალინის წინაშე, ისინი ინტელექტუალურად პარალიზებულნი ხდებოდნენ, როგორც კი სტალინის პიროვნების საიდუმლოებას ეხებოდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, კრესტინსკიმ, კერძო საუბარში თქვა: "ეს გახლავთ საძაგელი ყვითელთვალება ადამიანი." [2]

ტროცკი, რომლის ნაშრომებში ვპოულობთ მრავალ ფასეულ შენიშვნას სტალინის პიროვნების შესახებ, მიიჩნევდა, რომ სტალინი მნიშვნელოვანია არა თავისთავად, არამედ როგორც თერმიდორული ბიუროკრატიის განსახიერება. ერთ-ერთ ნაშრომში ტროცკი შემდეგ რეზიუმეს

უკეთებს თავის შეხედულებას სტალინზე: "სტალინი ბიუროკრატიის განსახიერებაა. ეს არის მისი პოლიტიკური პიროვნების არსი."[3] ტროცკის აზრით, სტალინის ხასიათის ცალკეულ მხარეებსაც კი, ისეთებს, როგორიც არის ყველასთვის ცნობილი უხეშობა, მნიშვნელობა აქვს, უპირველეს ყოვლისა, როგორც გარკვეული სოციალური მოვლენის ნიშან-თვისებას, როგორც ახალი მმართველი ბიუროკრატიული ფენის დამახასიათებელ ჯგუფურ თავისებურებას.[4] ამრიგად, ტროცკიმ, ერთადერთმა ადამიანმა, რომელიც უზარმაზარ ინფორმაციას ფლობდა ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, ისევე, როგორც უკანასკნელი დაკვირვებების შედეგებს და რომელსაც თავისუფლად შეეძლო თავისი აზრების წერილობით გამოხატვა, სიცოცხლის იმ რამდენიმე წლის განმავლობაში, რომელიც რჩებოდა 1929 წელს რუსეთიდან გაძევების შემდეგ, ვერ მოასწრო დაემუშავებინა პრობლემა "სტალინი ინდივიდუალურ-პირადული თვალსაზრისით." როდესაც 1940 წელს ტროცკი სტალინის მიერ მიგზავნილი მკვლელის ხელით დაიღუპა, მის მიერ ჩაფიქრებული სტალინის ფართომასშტაბიანი ბიოგრაფია, რომელშიც აპირებდა ბოლომდე აეხადა ფარდა მისი პიროვნული ფაქტორისთვის, შემოგვრჩა დაუმუშავებელი და დაუხვეწავი სახით.

ბუხარინი უფრო იყო განწყობილი, გაეთვალისწინებინა პიროვნული მომენტი. მას შესანიშნავი საშუალება ჰქონდა რიგი წლების განმავლობაში ახლოდან დაკვირვებოდა სტალინს. როგორც ჩანს, 1929 წელს დამარცხების შემდეგაც იგი ზოგჯერ, ზაფხულობით ჩადიოდა ხოლმე სტალინთან ზუბალოვოში.[5] ჩვენ უკვე დავინახეთ, რა მნიშვნელობას ანიჭებდა იგი "ტკბილი შურისძიების" სტალინისეულ თეორიას. ისევე, როგორც საბჭოთა იერარქიის უმაღლესი ფენის სხვა წარმომადგენლები, ბუხარინი მივიდა დასკვნამდე, რომ სტალინის პიროვნების ერთი მთავარი ზამბარა იყო მოთხოვნილება, სამაგიერო მიეზღო და გაემარჯვა მათზე, ვინც მტრად მიაჩნდა. მაგრამ რა აღანთებდა მასში შურისძიების ამ გრძნობას და სახელდობრ ვინ მიაჩნდა თავის მტრებად? ამ საკვანძო საკითხზე პასუხის ძიებით ბუხარინმა უდიდესი წვლილი შეიტანა სტალინის პიროვნების გაგების საკითხში. მან შეძლო დაენახა სტალინში მოშურნეობის პათოლოგიური გრძნობა და სწრაფვა შური ეძია ყველაზე, ვინც მას სჯობნიდა იმ თვისებებით და ნიჭით, რომლებშიც, მისი აზრით,

ტოლი არ ჰყავდა. "მისი უპირველესი თვისებაა სიზანტე, - ეუბნებოდა შემდგომში ბუხარინი ტროცკის. - მეორე თვისება - შეურიგებელი შური მათ მიმართ, ვინც სჯობნის ცოდნით ან შესაძლებლობით." [6]

ბუხარინს, ბედის წყალობით, საშუალება მიეცა საზღვარგარეთ გამოეთქვა სტალინის მისეული შეფასება და ადამიანებმა, რომლებიც ამ შეფასებას გაეცნენ, შთამომავლობისათვის შემოინახეს იგი. 1936 წლის დასაწყისში ბუხარინი მივლინებით გაგზავნეს პარიზში სამაციანი დელეგაციის ხელმძღვანელად. მათ დავალებული ჰქონდათ ეწარმოებინათ მოლაპარაკება მარქსის არქივის შესყიდვის თაობაზე, რომელიც მანამდე გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის საკუთრება იყო. უფრო ადრე, 1933 წელს, ეს არქივი ბერლინიდან პარიზში და კოპენჰაგენში გადასცა ემიგრანტული მენშევიკური "სოციალისტური მაცნეს" რედაქტორმა ბორის ნიკოლაევსკიმ. ხსენებულ მოლაპარაკებებში შუამავლებად იყვნენ ნიკოლაევსკი და ცნობილი მენშევიკი ფეოდორ დანი. ისინი ორი თვის განმავლობაში ხშირად ხვდებოდნენ ბუხარინს.[7] პარიზში ყოფნის დროს ბუხარინი მოულოდნელად შინ ეწვია დანს და რამდენიმე საათის განმავლობაში უამბობდა სტალინის შესახებ. საკარაუდოდ, სწორედ ამგვარად სურდა ესარგებლა უნიკალური შესაძლებლობით, რომელიც მიეცა და ისტორიისათვის დაეტოვებინა თავისი მონათხრობი სტალინის ხასიათის თვისებებზე, რომელთა შესახებ მსოფლიოში ბევრმა არავინ უწყოდა. დანი, რომელიც ადრე იცნობდა სტალინს, არა მხოლოდ შეშფოთებული, არამედ გაოცებულიც კი იყო ბუხარინის მიერ მოცემული დახასიათებით. ამაზე წერს დანის მეუღლე თავის მოგონებებში, რომელიც გამოიცა ბუხარინის და თავად დანის სიკვდილის შემდეგ.

ბუხარინს, დანსა და ნიკოლაევსკის შორის მოლაპარაკების დაწყებიდან მცირე ხნის შემდეგ ბუხარინმა ხუმრობით შენიშნა, რომ ბოლშევიკების ინტერესი ყოველივე იმის მიმართ, რაც მარქსთან არის დაკავშირებული, იმდენად დიდია, რომ მისი ნეშტის შეძენასაც კი დათანხმდებოდნენ, რათა იგი მოსკოვში გადაასვენონ. შემდეგ, დანთან კერძო საუბარში მან თქვა, რომ, ასეთ შემთხვევაში მყისვე დადგმული იქნება მარქსის ძეგლი, ხოლო მის გვერდით, უფრო ამაღლებულ ადგილზე - თავად სტალინის ძეგლი. სტალინი გამოსახული იქნება მარქსის "კაპიტალით" და ფანქრით ხელში, იმ შემთხვევისათვის, თუ კითხვისას დასჭირდება

შესწორებების შეტანა ამ წიგნის მინდვრებზე. შემდგომში ბუხარინმა განავითარა ეს აზრი და თქვა: "აი, თქვენ ბრძანებთ, რომ არც ისე კარგად იცნობთ მას, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცნობთ... ის უბედურადაც კი გრძნობს თავს რადგან არ შეუძლია დაარწმუნოს ყველა და საკუთარი თავიც, რომ ის ყველაზე დიდია და ეს არის მისი უბედურება, იქნებ მისი ყველაზე ადამიანური თვისება. ხოლო უკვე არაადამიანური, რაღაც დემონური არის იმაში, რომ ამ თავისი "უბედურების" გამო მას არ შეუძლია უარი თქვას ხალხზე, ყველა ადამიანზე შურისძიებაზე, განსაკუთრებით კი იმათზე, ვინც რაღაცით მასზე მაღლა დგას ან უკეთესია... თუ ვინმე მასზე უკეთესად საუბრობს, ის უკვე განწირულია, ცოცხალს არ დატოვებს, რადგან ეს ადამიანი გამუდმებით გაახსენებს, რომ თავად არ არის პირველი, ყველაზე უკეთესი; თუ ვინმე მასზე უკეთესად წერს - მისი საქმე ცუდად არის, რადგან ის, სწორედ ის უნდა იყოს პირველი რუსი მწერალი. მარქსს, რა თქმა უნდა, მისგან აღარაფერი ემუქრება იმის გარდა, რომ რუს მუშას დიდ სტალინთან შედარებით პატარა მოეჩვენოს... არა, არა, ფეოდორ ილიჩ, ეს პატარა ბოღმიანი კაცია, არა, კაცი კი არა ეშმაკი..." [8]

ისტორიამ დაადასტურა ბუხარინის სიტყვები. მის მიერ მოცემული დახასიათების ემოციურობის მიუხედავად, იგი მიუთითებდა იმ მნიშვნელოვან ფაქტზე, რომელიც ნათელს ჰფენდა სტალინის ხასიათს. სახელდობრ იმას, რომ სტალინი დიდ ადამიანად გრძნობდა თავს და მძაფრად გრძნობდა სხვების მხრიდანაც ამ სიდიადის აღიარების საჭიროებას.

ერთ-ერთ წინა თავში მოთხრობილი იყო, როგორ ჩამოუყალიბდა სტალინს ახალგაზრდობის წლებში მოთხოვნილება "პირველი და ყველაზე უკეთესი" ყოფილიყო. ახლა კი აუცილებელია ისევ ჩავუღრმავდეთ მის შინაგან ბუნებას და გავანალიზოთ მისი განვითარება სიმწიფის პერიოდში.

როგორ აღიქვამდა იგი საკუთარ თავს

სტალინის შინაგანი სამყაროს გასააზრებლად აუცილებელია გაითვალისწინოთ, რომ ყველა, ვისაც ის იცნობდა, მხოლოდ ორ შესაძლებელ კატეგორიას მიეკუთვნებოდა - მეგობრებს, ვისი ნდობაც შეიძლება, ან მტრებს, ვისაც უნდა ებრძოლო საბოლოო გამარჯვებამდე. რაიმე მესამე კატეგორიაზე, პრაქტიკულად, ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ის

ადამიანი, რომელსაც ჯერ ვერ მიაკუთვნებდი ვერც მეგობრებს და ვერც მტრებს, პოტენციურად ერთიც შეიძლებოდა გამხდარიყო და მეორეც, სტალინისათვის კი მთავარი სწორედ ეს იყო.

ადამიანების შეფასების ამგვარი ხერხი მას ჩამოუყალიბდა ხასიათის შესაბამისი თვისებებისა და, აგრეთვე, კულტურის დონის ზეგავლენით. ნეგატიური გამოცდილება, რომელიც სტალინს გამოუმუშავდა ბავშვობაში, როცა ის ნიჭიერი და გონებაგახსნილი ბავშვი იყო, დაკავშირებულია მთელ რიგ ფაქტორებთან, მათ შორის, მამის სისასტიკესთან როგორც უშუალოდ მის, ისე დედამისის მიმართ. ამის შედეგად სიყმაწვილის წლებში ხასიათი ხისტი გაუხდა, დღემუდამ დაძაბული იყო და ავლენდა ერთი მხრივ, თვითიდეალიზაციის ტენდენციას, ხოლო მეორე მხრივ - შურისმაძიებლობას და რკინისებურ ნებას ებრძოლა გამარჯვებამდე. მეგობრებსა და მტრებს შორის ურთიერთდაპირისპირების ხატი თავისთავად ისახებოდა, ანალოგიურად კონფლიქტისა, ტრადიციულ ქართულ წეს-ჩვეულებებსა და მათ შორის, ვინც, ასრულებდა რა საზედამხედველო ფუნქციას, ცდილობდა საქართველოს გარუსებას. გარკვეული როლი შეასრულა სისხლის აღებისა და სიტუაციის დრამატიზებისაკენ სწრაფვის კულტურულმა ტრადიციებმაც, როგორც ეს კობას შემთხვევაში მოხდა. სასულიერო სემინარიაში სტალინი მთლიანად ჩაეფლო მარქსისტულ რევოლუციურ სუბკულტურაში. აქ, როგორც უკვე დავინახეთ, განსაკუთრებით მიმზიდველი აღმოჩნდა იდეოლოგიური სიმბოლიკა, რომლის მიხედვითაც მთელი სოციალური სამყარო იყოფოდა ორ დიდ, ურთიერთსაწინააღმდეგო კლასად - ჩაგრულებად და მჩაგვრელებად, ანუ მეგობრებად, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ მტრებს მთელი კაცობრიობის მასშტაბით და მთელი ისტორიის განმავლობაში. ამ სუბკულტურიდან სტალინმა შეუცდომლად ამოარჩია ლენინის მიერ წარმოდგენილი მარქსისტული იდეოლოგიის მებრძოლი ვერსია. როგორც უკვე მითითებული იყო, ლენინური მარქსიზმი იყო "მრისხანე" მარქსიზმი, გაჯერებული ბრალდებებით და ვერაგი და აგრესიული კლასობრივი მტრის ხატით. სტალინისათვის ლენინის ნაშრომები მასალათა უხვი წყარო იყო, რომლებიც მან მტრის ხატის საკუთარ სახებაში ჩართო. ამას გარდა, ლენინური მიდგომა რევოლუციური პარტიისადმი, როგორც სახალხო საქმისათვის მებრძოლთა ურთიერთნდობით შეკრული ამხა-

ნაგური კოლექტივისადმი, საფუძვლად დაედო სტალინურ იდეალიზებულ კონცეფციას იმის თაობაზე, თუ რას ნიშნავს (ან უნდა ნიშნავდეს) მეგობრობა.

ზემოთ ნათქვამიდან უნდა გამოვყოთ კიდევ ერთი მომენტი, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია სტალინის გაგებისათვის. მისთვის არ არსებობდა განსხვავება "პირად" და "პოლიტიკურ" დამოკიდებულებებს შორის, რაც ჩვენთვის თავისთავად იგულისხმება. საერთოდ, პოლიტიკური ურთიერთობების პერსონალიზაცია და პირადულის პოლიტიზაცია ფართოდ არის დამახასიათებელი რევოლუციური მოძრაობებისა და შესაძლოა, მთელი პოლიტიკური ცხოვრებისათვისაც. შესაძლოა, სტალინის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება იყო, რომ ამ მოვლენამ მის შემთხვევაში უკიდურესი ფორმები შეიძინა. საკუთარ პოლიტიკურ ცხოვრებას სტალინისათვის ღრმად პირადული აზრი ჰქონდა, ხოლო პირადი ცხოვრება პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც აქამდე მიიყვანა, გახლავთ ის, რომ ბავშვობაში სტალინი ცხოვრობდა საქართველოში, სადაც ტრადიციები დიდ როლს ასრულებს და სადაც არ არის მიღებული პირადი ცხოვრების გამოყოფა საზოგადოებრივისაგან. მეორე ფაქტორი იყო უკვე ნახსენები გულჩათხრობილობა, რადგან სტალინს მცირე პირადი ურთიერთობები გააჩნდა პოლიტიკური წრეების გარეთ. არც თუ უმნიშვნელო ფაქტორს წარმოადგენს სტალინის თვითშეფასების პოლიტიზაციის მაღალი დონე. ვეცადოთ ავხსნათ, რატომ ვერ შეძლო სტალინმა, სწორედ საკუთარი თავისადმი დამოკიდებულების გამო, თავი დაეღწია პირადი ემოციებისათვის პოლიტიკურ ურთიერთობებში, განსაკუთრებით - პარტიის წევრებთან.

როგორი იყო სტალინის დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი სიმწიფის წლებში. ჩვენამდე მოაღწია თავად სტალინის სიტყვებმა, რომლებიც რამდენადმე იძლევიან პასუხს ამ კითხვაზე. 1926 წლის ივნისში, თბილისში ყოფნისას, მან შემოგვთავაზა თავისი რევოლუციური ბიოგრაფიის საკუთარი ვერსია. თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშებთან მისალმების დროს სტალინმა მათ უსაყვედურა, რომ ეპირფერებოდნენ. თქვა, რომ სრულიად არ არის აუცილებელი რევოლუციის გმირად, პარტიის და კომინტერნის ერთ-ერთ ბელა-

დად, ლეგენდარულ მებრძოლ რაინდად და ა.შ. მისი წარმოსახვა. ამგვარად, ჩვეულებრივ, დაკრძალვის დროს მოიხსენიებენ ხოლმე გარდაცვლილ რევოლუციონერებს - ის კი ჯერჯერობით სიკვდილს არ აპირებს.

"ჩემი რევოლუციური კარიერის ჭეშმარიტი ისტორია, - თქვა მან, - მოწაფეობის ისტორია გახლავთ." მისი მასწავლებლები იყვნენ ჯერ თბილისის, შემდეგ კი ბაქოს და პეტროგრადის მუშები. 1898 წელს, როდესაც იგი სათავეში ჩაუდგა თბილისის რკინიგზის დეპოების მუშათა წრეს, უფროსმა ამხანაგებმა - ჯიბლაძემ, ჩოდრიშვილმა და ჩხეიძემ, რომლებიც სტალინზე ნაკლებად იცნობდნენ რევოლუციურ ლიტერატურას, მაგრამ დიდი გამოცდილება გააჩნდათ, ასწავლეს მას პროპაგანდისტული მუშაობის პრაქტიკული ჩვევები. ეს იყო რევოლუციურ ბრძოლაში მისი პირველი "საბრძოლო ნათლობა." აქ, თავის პირველ მასწავლებლებს - თბილისელ რკინიგზელებს შორის იგი "რევოლუციის შეგირდი" გახდა. შემდგომში, ბაქოში, 1907-1909 წლებში, ნავთობის სარეწებზე მან ისწავლა მუშათა მასების ხელმძღვანელობა. მიიღო რა ამგვარად თავისი მეორე საბრძოლო ნათლობა რევოლუციურ ბრძოლაში, სტალინი "რევოლუციის ქარგალი" გახდა. მომდევნო ეტაპზე, 1917 წელს, პეტროგრადში სტალინი რუს მუშებთან ერთად ყველა ქვეყნის პროლეტარების დიდი მასწავლებლის - ლენინის გვერდით მოღვაწეობდა. აქ, კლასობრივ ბრძოლათა ორომტრიალში, მან შეიცნო, რაში მდგომარეობს პარტიის ერთ-ერთი ბელადის როლი და მიიღო მესამე, რევოლუციური საბრძოლო ნათლობა. სტალინის სიტყვებით, რუსეთში ლენინის ხელმძღვანელობით ის გახდა "რევოლუციის ერთ-ერთი ოსტატი." "ასეთი გახლავთ, ამხანაგებო, ჭეშმარიტი სურათი იმისა, რა ვიყავი და რად ვიქეცი, თუკი გადაუჭარბებლად, სინდისიერად ვილაპარაკებთ."[9]

რევოლუციური ავტობიოგრაფიის ეს საინტერესო გამოცდილება შემდგომში საფუძვლად დაედო სტალინის ვრცელ ბიოგრაფიას, რომლის ავტორი იყო მისი თანაშემწე ტოვსტუხა. ხსენებული ბიოგრაფია საგანგებოდ დაიწერა "გრანატის ენციკლოპედიური ლექსიკონის" ცალკე ტომისათვის, რომელშიც გამოქვეყნებულია დაახლოებით 250 ცნობილი საბჭოთა მოღვაწის ავტობიოგრაფია ან ავტორიზებული ბიოგრაფია. გარდა ამისა, 1927 წელს სტალინის ბიოგრაფია ცალკე წიგნად გამოიცა 50 ათასიანი ტირაჟით. თუ შევადარებთ სტალინის მოღვაწეობის აღ-

წერას 1917 წლამდე სხვა გამოჩენილი ბოლშევიკების ბიოგრაფიებს, რომლებიც "გრანატის ენციკლოპედიური ლექსიკონის" საგანგებო ტომში იყო შეტანილი, არ შეიძლება არ შევნიშნოთ ტოვსტუხას მიერ შემოთავაზებული გაარრების რიგი დამახასიათებელი თავისებურებები. მთლიანობაში იგი "რევოლუციონერის ცხოვრების აღწერის" სტილშია დაწერილი, რაც მთელი წიგნისთვისაც არის დამახასიათებელი; არსებითად, ეს გახლავთ რევოლუციური საქმიანობის, თათბირების, სასჯელების და სხვ. ჩამონათვალი. თუმცა, სხვა ბიოგრაფიებისაგან განსხვავებით, ტოვსტუხა რამდენადმე ცვლის ისტორიულ რეალობას და თავის გმირს მომგებიანი მხრიდან წარმოგვიდგენს. ბიოგრაფიის კიდევ ერთი განსხვავება, თავშეკავებული ტონით დაწერილ სხვა სტატიებთან შედარებით, გახლავთ სტილის ზეიმურობა, აღმატებით ხარისხში ზედსართავი სახელების გამოყენება, დროდადრო კი მაღალფარდოვნებაც. მაგალითად, სტალინი უბრალოდ კი არ მიემგზავრება ბაქოში, არამედ "1907 წლიდან იწყება სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ბაქოს პერიოდი." მისი ჩასვლა პეტერბურგში 1911 წელს მოასწავებს "სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის პიტერის პერიოდის" დასაწყისს. ამრიგად, აქ წარმოდგენილია სტალინის "რევოლუციის ერთ-ერთ ოსტატად" გარდაქცევის იმ სამი ეტაპის სახეშეცვლილი აღწერა, რომლებზეც მან მოუთხრო თბილისელ რკინიგზელებს. იგრძნობა, რომ ხდება რევოლუციური ბიოგრაფიის ძველი თარიღით გადაწერა განსაზღვრული დრამატული კანონების შესაბამისად.[10]

ამ და სხვა ფაქტების მიხედვით შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ ფსიქოლოგიური მოტივები, რომლებმაც ახალგაზრდა ჯუღაშვილს სურვილი გაუჩინა გმირი რევოლუციური კობა-სტალინის ხატება აერჩია, მოწიფულობის პერიოდშიც განაგრძობდნენ მოქმედებას და ხელს უშლიდნენ მას რაიმე სხვა ხატების მოძებნაში. მას შემდეგაც, რაც ორმოცი წლის გახდა, სტალინი განაგრძობდა თავის მიჩნევას გენიალურ ბელადად და მებრძოლად. მთელი თავისი ცხოვრება წარმოდგენილი ჰქონდა ახალგაზრდობის ოცნების ასრულების რეტროსპექტივაში - ეთამაშა კობას როლი შამილის - ლენინის გვერდით. სწორედ ამას მოწმობს სტალინის დრამატიზმით აღსავსე პოლიტიკური ბიოგრაფია, რაზეც ის თავად ყვებოდა 1926 წელს. მისი გადმოცემით, ეს იყო საგა

ადამიანზე, რომელმაც რევოლუციურ დიდებას მიაღწია ლენინთან ერთად. გამოსვლის ბოლოს სტალინმა მადლიერებით მოიხსენია რუსეთის მუშები და ლენინი, რითაც მიანიშნა, რომ ლენინის საქმის განმგრძობად და მის მემკვიდრედ მიაჩნდა თავი: "ნება მიბოძეთ, გამოვხატო გულწრფელი, ამხანაგური მადლიერება ჩემი დიდი რუსი მასწავლებლების მიმართ და თავი დავხარო ჩემი დიდი მასწავლებლის - ლენინის ხსოვნის წინაშე."

შეუძლებელია არ ვაღიაროთ, რომ სტალინს ყველანაირი საფუძველი ჰქონდა ეამაყა საკუთარი თავით. როგორი კრიტერიუმებითაც არ უნდა მივუდგეთ სტალინის მოღვაწეობის შეფასებას, 20-იანი წლების შუა ხანებში მან თავბრუდამხვევ კარიერას მიაღწია. ის გახლდათ "არსაიდან" გამოსული, ხოლო მისი მშობლები ღარიბი, წერა-კითხვის უცოდინარი ხალხი - რუსეთის იმპერიის ერთ-ერთი განაპირა პროვინციის მცხოვრებნი იყვნენ. მაგრამ მისი დაპატიმრების დროისათვის, პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ, სტალინმა ხელმძღვანელი მდგომარეობა დაიკავა ბოლშევიკების პარტიაში და უშუალოდ თანამშრომლობდა ლენინთან, რომელმაც მას დაავალა ბოლშევიკური მოძრაობის ერთ-ერთი უმთავრესი თეორიული პრობლემის დამუშავება. 1917 წლის მარტში, გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, იგი ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახდა იმ პარტიაში, რომელმაც ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი გადატრიალება განახორციელა. შემდეგ მან აქტიური როლი შეასრულა სამოქალაქო ომში და საბჭოთა სახელმწიფოს ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში. დაბოლოს, აღწერილ პერიოდში ის სულ ახლოს იყო იმასთან, რომ პარტიის ახალი ბელადი და ლენინის მემკვიდრე გამხდარიყო. ამრიგად, მან დიდი გზა განვლო საკუთარი მიზნის მისაღწევად, ასულიყო "დიდ მთებზე მაღლა." კიდევ რა საბუთები იყო საჭირო პოლიტიკაში მისი გენიოსობის დასამტკიცებლად?

ამასთან ერთად, იგი ბევრი რამით არ შეესატყვისებოდა მის მიერ არჩეულ რევოლუციონერის გმირულ სახებას. ვერ მიაღწია გამხდარიყო იმდენად ცნობილი, რომ ამ თვალსაზრისით მხოლოდ ლენინზე ნაკლები ყოფილიყო. მართალია, განსაკუთრებული ნიჭის პატრონი და პარტიის უერთგულესი წევრი, არ იყო იმდენად ცნობილი, რომ რუსეთის რევოლუციურ ჰორიზონტზე პირველი სიდიდის ვარსკვლავი გამხდარიყო.

ის მრავალი თვალსაზრისით ჩამორჩებოდა არა მხოლოდ ლენინს, არამედ ბოლშევიკური პარტიის სხვა გამოჩენილ მოღვაწეებსაც. საკუთარ სამშობლოში, კავკასიაშიც კი მან, როგორც რევოლუციონერმა, ვერ მიაღწია რაიმე მნიშვნელოვან წარმატებას. პარტიაში კარგად იცოდნენ 1917 წლის მარტში მისი წარუმატებლობის ამბები. შემდგომში ის იძულებული გახდა, ამის გამო საჯაროდ მოეხადა ბოდიში. მის შემდგომ რევოლუციურ ბიოგრაფიაშიც, ასევე არსებობდა ზოგიერთი ხარვეზი. ამრიგად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი 1917 წელს "რევოლუციის ოსტატი" გახდა, პარტიის კოლექტიურ მეხსიერებაში ეს ფაქტი არ დაფიქსირებულა.

სტალინი არა მხოლოდ ვერ გახდა სამოქალაქო ომის "ვარსკვლავი," პირიქით, მისი მიზეზით სიძნელეები შეიქმნა ცარიცინთან, ის განაგრძობდა მტრობას ტროცკისთან, ამას გარდა, თავი შეირცხვინა, როცა ლვოვის აღების საბედისწერო მცდელობის დროს უარი განაცხადა დამორჩილებოდა მოსკოვიდან მიღებულ ბრძანებებს. სტალინმა კი არა, ტროცკიმ გაითქვა სახელი, როგორც ლენინის მარჯვენა ხელმა, რევოლუციის და სამოქალაქო ომის პერიოდში. ამრიგად, ტროცკიმ, რომელიც მანამდე არ იყო ბოლშევიკური პარტიის წევრი, შეასრულა ის როლი, რომელიც სტალინს ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში თავისთვის ჰქონდა მომზადებული. როცა პარტიას ლენინ-ტროცკის პარტია უწოდეს, სტალინის იმედმა, რომ მისი სახელი ლენინის სახელთან ერთად შევიდოდა ისტორიაში, ფაქტობრივად კრახი განიცადა. ყველაზე უარესი ის გახლდათ, რომ სიკვდილის წინ თავად ლენინი გამოვიდა მის წინააღმდეგ და პარტიას რეკომენდაცია მისცა ხელისუფლებისაგან ჩამოეშორებინათ იგი. ასეთი იყო აღმაშფოთებელი განსხვავება რეალობასა და იმ სცენარს შორის, რომელიც სტალინმა შექმნა ახალგაზრდობაში.

ამას გარდა, თუმცა სტალინი ქართველი იყო, მაგრამ თავს რუსად მიიჩნევდა. მიუხედავად იმისა, რომ მასში ყოველივე "ჭეშმარიტად რუსული" იყო, არავის, და მათ შორის, თავად სტალინსაც არასოდეს ავიწყდებოდათ, რომ სინამდვილეში იგი ქართველი იყო. ამას მოწმობდა მისი გარეგნობა, ყველასათვის ცნობილი მისი ნამდვილი გვარი, მისი მეტყველება. თუმცა რუსულს თავისუფლად ფლობდა, ქართული აქცენტი ისევე წარუშლელად შემორჩა, როგორც ბავშვობაში გადატანილი ყვავი-

ლის კვალი სახეზე. თავს რუსად ვერასოდეს გაასაღებდა და ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ თუ საკუთარ თავს არა, სხვებს უნებლიეთ მაინც გამუდმებით ახსენებდა, რომ სტალინის ნამდვილი გვარი ჯუღაშვილი იყო.

ბრძოლა შინაგან წინააღმდეგობებთან

შეძენილმა გამომაფხიზლებელმა გამოცდილებამაც კი ვერ აიძულა სტალინი, გადაეხედა თავისი იდეალიზებული სახისათვის, ხოლო ლენინის სიკვდილის შემდეგ მოპოვებული გამარჯვებები ვერ გახდა თავისი თავის და კარიერის ხელახალი რეტროსპექტული შეფასების მიზეზი. პირიქით, მას კიდევ უფრო განუმტკიცდა საკუთარი დიდების გრძნობა. მიუხედავად იმისა, რომ იდეალიზებული სახე, რომლის რეალიზაციისკენაც მიილტვოდა, აშკარად არ შეესაბამებოდა მის რეალურ მიღწევებს. სტალინმა არ შეცვალა საკუთარი თავის შეფასების დონე და აირჩია საწინააღმდეგო გზა - შეუდგა რეალური ფაქტების იგნორირებას. ამ შემთხვევაში მოქმედებდა მძლავრი წამქეზებელი მოტივები. თუ თავად სტალინზე და მისი პიროვნების ტიპზე არსებული კონკრეტული ინფორმაციის მიხედვით ვიმსჯელებთ,[14] ვფიქრობთ, იგი ენით გამოუთქმელ ტკივილს განიცდიდა მუდამეამ, როცა არ ძალუძდა გატოლებოდა საკუთარ მაღალ მოთხოვნებს და მოლოდინს. ნებისმიერ იმ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობა, რომელიც გამოდიოდა მისი, როგორც რევოლუციონერის თვითშეგნებიდან, იწვევდა ან შეეძლო გამოეწვია სირცხვილის, დამცირების და საკუთარი თავისადმი სიძულვილის გრძნობა. ამ ავადმყოფური განცდებისაგან თავდაცვის მიზნით მასში გააქტიურდა ქვეცნობიერი - ფსიქოლოგიის თანამედროვე სპეციალისტებისათვის კარგად ცნობილი ფსიქოლოგიური მექანიზმები, სახელდობრ, დათრგუნვა, რაციონალიზაცია და პროექცია.

დათრგუნვა იმით გამოიხატებოდა, რომ სტალინი იგნორირებას უკეთებდა, უარყოფდა და ივიწყებდა, საკუთარი ცნობიერებიდან გამორიცხავდა ფაქტებს, რომელთაც შეეძლოთ გამხდარიყვნენ ავადმყოფური განცდების პოტენციური წყარო. რაციონალიზაცია საშუალებას აძლევდა ეს ფაქტები იმგვარი ინტერპრეტაციით წარმოედგინა, რომე-

ლიც შეესაბამებოდა საკუთარ თავზე მის წარმოდგენას. სტალინისეული რაციონალიზაციის ერთ-ერთი მაგალითი გახლავთ მისი შემაჯამებელი გამოსვლა XIV ყრილობაზე 1925 წელს. აკრიტიკებდა რა ზინოვიევის "ეპოქის ფილოსოფიას," სტალინი ახსენებდა, რომ მოსკოვში არყოფნისას მოლოტოვმა გაუგზავნა ეს სტატია და რომ მან უხეში და მკაცრი რეაგირება მოახდინა მასზე. სტალინი ამბობს: "დიახ, ამხანაგებო, მე პირდაპირი და უხეში ადამიანი ვარ, ეს მართალია, ამას არ უარვყოფ." შემდეგ კი დასძენს: "უხეში კრიტიკით ვუპასუხე, რადგან ვერ მოვითმენ, რომ ზინოვიევი მთელი წლის განმავლობაში აჩუმათებდეს და ამახინჯებდეს ლენინიზმის ყველაზე მეტად დამახასიათებელ თვისებებს გლეხურ საკითხთან დაკავშირებით..." [12] ამ ბოლო ფრაზაში შეურაცხმყოფელი უხეშობა წარმოდგენილია, როგორც ლენინური მოძღვრების სიწმინდის შენარჩუნებისადმი გულმხურვალე მისწრაფება.

თავისი უხეშობის საკითხს სტალინი დაუბრუნდა 1927 წლის 23 ოქტომბრის გამოსვლაში, რომელშიც იგი ციტირებას უკეთებს ლენინის "პოლიტიკური ანდერძის" დამატებას და აღიარებს ლენინის მიერ მის მიმართ წამოყენებულ ბრალდებას. მაგრამ ეს აღიარება კეთდება საკმაოდ დამახასიათებელი ფორმით: "დიახ, მე უხეში ვარ, ამხანაგებო, იმათ მიმართ, ვინც უხეშად და ვერაგულად შლის და თიშავს პარტიას. მე ამას არ ვმალავდი და არც ახლა ვმალავ. იქნებ გამთიშველთა მიმართ აქ ერთგვარი სიფაქიზეც იყოს საჭირო, მაგრამ ასეთი რამ მე არ გამომდის."[13]

ამრიგად, აღიარებდა რა ლენინის მიერ წამოყენებულ ბრალდებას, სტალინი იქვე უცვლიდა მას არსს. ლენინი შეშფოთებული იყო სტალინის ტენდენციით, თავისი უხეშობით უთანხმოება შეეტანა პარტიის წევრთა და პოტენციურ პოლიტიკურ მოკავშირეთა (მაგალითად, ქართველთა) შორის. სტალინის გამოსვლებში კი (და უეჭველია, მის შეგნებაშიც) ეს სერიოზული ნაკლი მისატევებელ დაუდევრობად იყო ტრანსფორმირებული: საქმე ხომ პარტიის მტრების მიმართ მკაცრ დამოკიდებულებას ეხებოდა. ბოლშევიკისათვის ასეთი მოჭარბებული სიმტკიცე კი შეიძლება მაღალ ზნეობრიობად იქნეს მიჩნეული. სავარაუდოა, რომ სწორედ ასეთი რაციონალიზაცია გამოძებნა სტალინმა იმისათვის, რათა წარეხოცა ლენინის "პოლიტიკური ანდერძის" დამატებასთან დაკავშირებული უსიამოვნო მოგონებანი. და მაინც, მიუხედავად ამისა, მან გადაწყვიტა

დაევიწყებინა, უფრო სწორად, მეხსიერებაში ჩაეკლა შესაბამისი ეპიზოდი. ამიტომაც აღნიშნული დამატება არ მოიხსენიება 1927 წლის 23 ოქტომბრის გამოსვლის ტექსტში, რომელიც შესულია სტალინის თხზულებათა კრებულში და რომლის მთავარი რედაქტორი თავად სტალინი იყო.[14] როგორც უკვე ითქვა, XV ყრილობის დადგენილება "პოლიტიკური ანდერძის" გამოქვეყნების თაობაზე არ იქნა შესრულებული.

სტალინის მცდელობას, დაეთრგუნა თავის თავში საკუთარი ქართველობის შეგრძნება, ადასტურებს მისი ლაპარაკის მანერაც. მისი ქალიშვილის სიტყვებით "ის კითხულობდა ქართულად, მაგრამ, ჩვეულებრივ, იტყოდა ხოლმე, რომ საფუძვლიანად დაავიწყდა ქართული ენა."[15] რუსულად იგი წყნარი, მონოტონური ხმით საუბრობდა, ამასთან, განსაკუთრებით არბილებდა იმ სიტყვებს, რომლებშიც შესაძლებელი იყო მისი ქართული აქცენტის შემჩნევა. ერთ-ერთი ძველი ბოლშევიკი, რომელსაც მოუსმენია სტალინის გამოსვლა 1917 წელს VI ყრილობაზე, შემდგომ იხსენებდა: "მას აცვია ნაცრისფერი უბრალო პიჯაკი, ჩექმები. ლაპარაკობს წყნარად, აუჩქარებლად, სრულიად დამშვიდებული. შევამჩნიე, რომ ჩემ რიგში მჯდომმა ნოგინმა, იმ დროს, როცა ორატორმა თავისებური აქცენტით, როგორღაც ძალზე რბილად გამოთქვა რომელიღაც სიტყვა, თავი ვერ შეიკავა და ასევე რბილად ჩაიღიმა."[16] გარდა ამისა, თავისი ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებაში სტალინი ცდილობდა გამოერიცხა თითქმის ყველაფერი, რაც მის ქართულ წარმომავლობას გაახსენებდა. მისი ქალიშვილის სიტყვებით, ქართული ყოფის ზოგიერთი ადათი სტალინს მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა. მაგალითად, უყვარდა სუფრასთან საქმიანი საუბარი და თან ქართული ღვინის წრუპვა. ამასთან, სვეტლანა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მას თავი რუსად მიაჩნდა და სურდა სხვებსაც ასეთად აღექვათ. საკუთარ შვილებს მეორე ქორწინებიდან - ვასილს და სვეტლანას სტალინი იმგვარად ზრდიდა, რომ მათ თავი ქართველებად არ ჩაეთვალათ და არ ეამაყათ ქართველი წინაპრებით. "საერთოდ, ჩვენს ოჯახში ქართული არაფერი ინერგებოდა, ხოლო მამაჩემი ერთიანად გარუსდა," - აღნიშნავს სვეტლანა და იხსენებს, როგორ უთხრა ერთხელ, ვგონებ 1931 წელს, ვასილმა: "იცი, მამაჩვენი ადრე ქართველი იყო." შემდგომ სვეტლანა წერს, რომ საქართველოს სული მაინც გამუდმებით იგრძნობოდა მათ სახლში

დედამისის, ბაბუისა და ბებიის მათთან ყოფნის წყალობით. მაგრამ სტალინს ეს არ ეხებოდა. "იქნებ სწორედ იგი იყო ყველაზე ნაკლებად აღფრთოვანებული ამით; მას უყვარდა რუსეთი, შეიყვარა ციმბირი თავისი პირქუში სილამაზით და უთქმელი, მოუხეშავი ხალხით." და კიდევ: "მე არ ვიცნობ სხვა ქართველს, რომელსაც ამდენად დაევიწყებინა თავისი ეროვნული თვისებები და ასე ძლიერ შეყვარებოდა ყველაფერი რუსული."

იმას, თუ რამდენად ავადმყოფურად აღიქვამდა სტალინი თავის ქართველობას, მოწმობს მისი დამოკიდებულება იაკობთან, ვაჟიშვილთან პირველი ქორწინებიდან. იაკობი საქართველოში მცხოვრებმა მისმა დეიდამ აღზარდა, სკოლაში აქვე სწავლობდა. 20-იან წლებში ბიძის, ალექსანდრე სვანიძის დაჟინებით მოსკოვს გადასახლდა და მამასთან დაიდო ბინა. ის განა მხოლოდ გარეგნობით და აღზრდით იყო ქართველი, არამედ რუსულადაც ძლივს ლაპარაკობდა. იაკობი სტალინის ქართული წარმომავლობის ცოცხალი შეხსენება იყო და, ამიტომაც, უეჭველია სტალინს არ მოსწონდა მისი ჩამოსვლა და ყველაფერი, რაც მასთან იყო დაკავშირებული. სტალინის სიძულვილი შვილისადმი იმდენად ძლიერი იყო, რომ როცა მამის მტრული დამოკიდებულების გამო სასოწარკვეთილებამდე მისულმა იაკობმა თვითმკვლელობა სცადა, სტალინმა სიცილი დააყარა: "რაო, ვერ მოიხვედრე?" ამის შემდეგ იაკობი ლენინგრადში გადასახლდა და იქ უფროს ალილუევებთან დაიდო ბინა.[18] შემდგომში იგი წითელი არმიის ოფიცერი გახდა და ათასობით საბჭოთა სამხედრო ტყვეთა რიცხვში აღმოჩნდა, რომლებიც გერმანელებმა ომის დასაწყისშივე ჩაიგდეს ხელთ. სტალინმა უარყო გერმანიის წინადადება, გერმანელ ტყვეებში გაეცვალა იაკობი. იგი ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა. ზოგიერთი ცნობით, მან გაქცევის იმიტაცია მოაწყო (ეს თვითმკვლელობის ტოლფასი იყო), მას შემდეგ, რაც ბანაკში რადიოთი გამოაცხადეს, რომ მამამისმა საზღვარგარეთელი კორესპონდენტის შეკითხვაზე უპასუხა, - ჰიტლერის ბანაკებში საბჭოთა სამხედრო ტყვეები კი არა, სამშობლოს მოღალატენი არიან, რომელთაც ომის შემდეგ გავუსწორდებითო, თან დასძინა: "მე არა მყავს შვილი იაკობი!"[19]

როგორც წესი, ადამიანები, რომლებსაც უბრალო მიზეზის გამო სჩვევიათ გაფთრება, ამით სხვებზე გადმოანთხევენ ხოლმე იმ გრძნობებს,

რომლებსაც საკუთარი თავის მიმართ განიცდიან. არსებობს გარკვეული საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ მოსკოვში იაკობის გამოჩენის გამო გაავებისას, სტალინი საკუთარ თავზე ბრაზობდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სავარაუდოა, რომ ქართველი შვილის მოსკოვში ჩამოსვლამ სტალინში სირცხვილის და სიძულვილის გრძნობა გამოიწვია საკუთარი ქართველობის გამო. სტალინისათვის ეს აუტანელი გრძნობა იყო, ამიტომ მან ის იაკობისადმი სიძულვილით გამოხატა. საკუთარი თავით უკმაყოფილების ეს გარეგნული პროექცია, რომელიც თავის თავზე იდეალურ წარმოდგენასა და რეალურ მიღწევებს შორის შეუსაბამობით იყო გამოწვეული, სტალინის ხასიათის ერთ-ერთი ფუძემდებლური თვისება გახლდათ. ის შეურიგებელი იყო ნებისმიერი გადახრისადმი მის მიერვე შექმნილი სახეებისაგან. მეორე მხრივ, შეუძლებელი იყო ეს გადახრები არ დაფიქსირებულიყო ქვეცნობიერად და არ გამოეწვია გაღიზიანება და გულისწყრომა საკუთარი მისამართით, რის გამოც დასჩემდა ამ გრძნობების გამოხატვა და ამგვარი ბრალდებების სხვებისათვის წაყენება. ნაწილობრივ, ამით აიხსნება მისი ხშირი უხასიათობა, გაღიზიანებულობა და ფეთქებადი ხასიათი.

ადამიანებს ხშირად არა აქვთ გაცნობიერებული საკუთარი ნაკლი და წუნი, მაგრამ სტალინს ეს ფაქტორი უკიდურესი ფორმით ჰქონდა გამოხატული - საკუთარი იდეალიდან ნებისმიერი გადახვევის მიმართ იგი შეუწყნარებელი იყო. სტალინი მთლიანად აიგივებდა საკუთარ თავს მის წარმოსახვაში არსებული იდეალური სტალინის სახესთან და იგნორირებას უკეთებდა ყველაფერს, რაც არ შეესატყვისებოდა ამ წარმოსახვას. "ცენზურას" ექვემდებარებოდა არა მხოლოდ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები, არამედ საკუთარ თავზე იდეალური წარმოდგენიდან ნებისმიერი გადახრა, ნებისმიერი წარუმატებლობა მის რევოლუციურ ბიოგრაფიაში. შინაგანი ცენზურა ჩვევად გადაექცა, ავტომატური გახდა, რის გამოც საკუთარ ნაკლოვანებებს ძნელად აღიქვამდა. სწორედ ეს აძლევდა სტალინს საშუალებას მორალი ეკითხა სხვებისათვის იმის შეუგნებლად, რომ ნათქვამი მთლიანობაში თავად მასაც ეხებოდა.

ასე მაგალითად, 1929 წელს, ამერიკის კომპარტიის მოღვაწეთა ერთ ჯგუფთან შეხვედრისას, სტალინმა განაცხადა, რომ კომინტერნი ბირჟა კი არა, "მუშათა კლასის წმიდათაწმიდა" მიღწევაა და დასძინა: "ან ჩვენ

ლენინელები ვართ და ჩვენი დამოკიდებულება ერთმანეთთან, აგრეთვე, სექციის დამოკიდებულება კომინტერნთან და პირიქით, ურთიერთნდობას უნდა დაეფუძნოს, უნდა იყოს ბროლივით სუფთა და გამჭვირვალე - და ასეთ შემთხვევაში ჩვენს რიგებში ადგილი არ ექნება დამპალ დიპლომატიურ ინტრიგებს; ანდა ჩვენ ლენინელები არ ვყოფილვართ - რა შემთხვევაშიც დამპალი დიპლომატია და უპრინციპო ფრაქციული ბრძოლა მთელი ძალით იჩენს თავს ჩვენს ურთიერთდამოკიდებულებაში. ან ერთი, ან მეორე. ჩვენ არჩევანი უნდა გავაკეთოთ, ამხანაგებო." ერთ-ერთი იქ დამსწრე ამერიკელი შემდგომში იხსენებდა, რომ როცა სტალინმა წარმოთქვა სიტყვები "ბროლივით სუფთა და გამჭვირვალე," საჩვენებელი და დიდი თითების ბოლოები ერთმანეთს მიადო, სახე კი სრულიად სერიოზული დარჩა. ამერიკელმა კარგად იცოდა, რომ სტალინი სულაც არ იყო "სიწმინდის ანგელოზი," როგორიც სურდა მოსჩვენებოდა და ხსენებული განცხადება შეაფასა, როგორც "წმინდა წყლის პირფერობა."[20] თუმცა, მის მიერ მოცემული განმარტება საფუძველს მოკლებული არ არის, ის არ ასახავს სტალინის შინაგანი სამყაროს სირთულეს და თავის მოტყუების მისეულ უნარს. განიცდიდა რა მწვავე მოთხოვნილებას ყველაფერში უმწიკვლო ყოფილიყო (უმწიკვლოებაზე საკუთარი განსაკუთრებული წარმოდგენის შესაბამისად) და ჩვევისამებრ, უარეყო საკუთარი ნაკლი და უარყოფითი მხარეები, სტალინი, შესაძლოა, სავსებით დარწმუნებული ყოფილიყო, რომ იგი პოლიტიკური ზნეობრიობის ნიმუშს წარმოადგენს და ამასთან, მოქცეულიყო ისე, როგორც ფრაქციულ ბრძოლაში გამოცდილი ნებისმიერი პოლიტიკოსი. ის, რაც სხვებს წმინდა პირფერობად ეჩვენებოდათ, ამგვარად, შესაძლებელია, გაუცნობიერებელი ორპირობა ყოფილიყო. სტალინი ცხოვრებაში ბევრ რამეს ცინიკურად უყურებდა, მაგრამ როცა საქმე პირადულს შეეხებოდა, უჩნდებოდა სრულიად გულწრფელი დამოკიდებულება, რის გამოც ილუზიათა ტყვეობაში იმყოფებოდა. ჩანს, ეს იგრძნო ლენინმა, რომელმაც სიკვდილამდე სულ ცოტა ხნით ადრე უთხრა კრუპსკაიას: "სტალინს არ გაუჩნია ელემენტარული პატიოსნება, უბრალო ადამიანური პატიოსნება."[21]

ყველა ეს ფაქტი ადასტურებს სტალინისათვის დამახასიათებელი თვითდრამატიზაციის ტენდენციას, რომელიც ადრეც აღვნიშნეთ მისი ბიოგრაფიის ზოგიერთ ეტაპთან დაკავშირებით. ბევრი ამჩნევდა სტა-

ლინის გარკვეულ მიდრეკილებას მელოდრამისაკენ, მათ შორის ისინიც, ვისაც საშუალება ჰქონდა უშუალოდ თვალყური ედევნებინა მისთვის. ამერიკის ყოფილმა ელჩმა მოსკოვში ჯორჯ კენანმა მას "შესანიშნავი მსახიობი"[22] უწოდა. მილოვან ჯილასი კი, რომელმაც ნატურიდან შესრულებული სტალინის დამახასიათებელი პორტრეტი დაგვიტოვა, წერს, რომ როდესაც რაიმე როლს თამაშობდა, ის მისთვის რეალობად იქცეოდა ხოლმე, მისი "თვალთმაქცობა იმდენად უშუალო იყო, მოგეჩვენებოდათ, თავადაც სჯეროდა ნათქვამის სიმართლე და გულწრფელობა." ჯილასის თქმით, სტალინი "მგზნებარე და მრავალწახნაგოვანი ბუნების მქონე ადამიანი იყო, ამასთან, ყველა წახნაგი თანაბარი და იმდენად დამაჯერებელი გახლდათ, მოგეჩვენებოდათ, არასოდეს თვალთმაქცობს და გულწრფელად განიცდისო ყველა თავის როლს..." ერთ-ერთ საღამოს კინოჩვენებაზე ყოფნის შემდეგ, რომლებიც სისტემატურად ტარდებოდა კრემლში სტალინის მმართველობის დროს, ჯილასმა შეამჩნია, რომ "სტალინი მთელი ჩვენების განმავლობაში კომენტარებს აკეთებდა და რეაგირებდა მომხდარზე ისე, როგორც ამას აკეთებენ გაუნათლებელი ადამიანები, რომლებიც მხატვრულ რეალობას სინამდვილედ აღიქვამენ."[23] ამ კონტექსტში უნდა შევნიშნოთ, რომ სტალინს ძალზე უყვარდა დრამატული დადგმები სცენაზეც და ეკრანზეც, მათ შორის, ისტორიული დრამები - ისეთები, როგორიც არის "ლენინი ოქტომბერში," რომლის ერთ-ერთი მოქმედი პირი თვითონ იყო. იური ელაგინი, რომლის ნაშრომი ამ საკითხის გასაშუქებლად ერთ-ერთ წყაროდ გამოვიყენეთ, იხსენებს, როგორ მოეკლინათ სტალინი მოსკოვის ვახტანგოვის სახელობის თეატრში ლენინის იუბილესადმი მიძღვნილი რევოლუციურ-ჰეროიკული დრამის - "თოფიანი კაცის" ბოლო აქტის საგანგებო ჩვენებაზე. პიესის მიხედვით ლენინი სმოლნის საფეხურებიდან ესალმებოდა ფრონტზე მიმავალ წითელარმიელებს, სტალინი კი მის გვერდით ჩანდა. ელაგინი, რომელიც ორკესტრში დასარტყამი საკრავების პარტიას ასრულებდა, თვალყურს ადევნებდა, როგორ უკრავდა ტაშს თავისი ლოჟიდან სტალინი რუბენ სიმონოვს, რომელიც სტალინს თამაშობდა. ეტყობოდა, რომ ეს სპექტაკლი უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა.[24]

ჯილასზე და სხვა ყურადღებიან დამკვირვებლებზე სტალინმა იმ ადამიანის შთაბეჭდილება მოახდინა, რომელიც რაღაც როლს თამა-

შობს, სწორედ იმის გამო, რომ საბოლოოდ მთელი მისი სიცოცხლე ეძღვნებოდა ასეთი ადამიანის როლის თამაშს, რომელმაც ისტორიულ დიდებას მიაღწია. თავდაპირველად, ახალგაზრდობაში, იგი თავს ლენინთან აიგივებდა, თავს მეორე ლენინად მიიჩნევდა. გაიგივების ფსიქოლოგიური პროცესი მეტ-ნაკლებად ყოველთვის დაკავშირებულია ადამიანის ქვეცნობიერ სურვილთან, ითამაშოს სწორედ იმ რჩეული გმირის როლი, ვისთანაც ახდენს საკუთარი თავის იდენტიფიკაციას. ამიტომაც, როლების თამაშობანა იმთავითვე დამახასიათებელი იყო სტალინისათვის, როგორც პოლიტიკოსისა და პიროვნებისათვის. ეს თვისება მან მომდევნო წლებშიც ვერ მოიშორა. უფრო მეტიც, სტალინის მიერ არჩეული პირველი როლი - როლი მეორე ლენინისა - გარდაისახა სხვა უამრავ როლად, რომლებიც, მისი აზრით, უკვე ნათამაშები ჰქონდა ან განაგრძობდა მათ თამაშს პარტიის ისტორიის, რუსეთის ისტორიის და მსოფლიო ისტორიის დრამებში. მთავარი აქ არჩეული როლისადმი მისი რწმენა იყო. ეჭვგარეშეა, სტალინს შეეძლო არჩეული როლი შეგნებულად ეთამაშა, როცა ამას პოლიტიკური სიტუაცია მოითხოვდა, თუმცა, ასეთ შემთხვევაშიც კი, როგორც ჯილასი აღნიშნავს, სტალინი ამ როლს რეალურად განიცდიდა. მაგრამ პოლიტიკური ვითარებით გამოწვეული ამ ზედაპირული თვალთმაქცობის იქითაც იმალებოდა ღრმა დრამა პიროვნებისა, რომელმაც მთელი სიცოცხლის მანძილზე დიდი ადამიანის როლი დაიჩემა. სტალინს რომ გავუგოთ, მასში უნდა დავინახოთ ადამიანი, რომელსაც ღრმად სჯეროდა, რომ იგი სინამდვილეში იყო ის "გენიალური სტალინი," როგორსაც გამუდმებით ნერგავდნენ ადამიანების შეგნებაში 30-იანი წლების შუა პერიოდიდან საბჭოთა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

აღიარების მოთხოვნილება

როცა ადამიანი იძულებულია დათრგუნოს თავის შეგნებაში უარყოფითი იმპულსები, რომლებიც მის პიროვნებას შეეხება, რათა უმწიკვლო გამოჩნდეს საკუთარ თვალში, უეჭველად განიცდის შინაგან გაუბედავობას. ამას გრძნობდა სტალინიც. თუმცა იგი ყოველთვის ცდილობდა ეჩვენებინა, რომ დარწმუნებულია საკუთარ თავში, სინამდვილეში ეს

ასე არ იყო. აზრები, რომლებსაც ის თავის ცნობიერებაში თრგუნავდა, განაგრძობდნენ არსებობას ქვეცნობიერის დონეზე ისევე, როგორც მათ მიერ გამოწვეული საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობა, თვითბრალდებები და პრეტენზიები საკუთარი თავის მიმართ. ამის შედეგი თავდაუჯერებლობა იყო, რაც, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, მეტისმეტი წყენიაობით გამოიხატებოდა, აგრეთვე, სტალინისათვის დამახასიათებელი "არაქართული" თვისებითაც - არ აღექვა ხუმრობა მისი მისამართით.

დამახასიათებელია 20-იანი წლების დასასრულს "პრავდის" რედაქციაში მომხდარი შემდეგი ეპიზოდი. ცნობილმა კარიკატურისტმა, ბორის ეფრემოვმა გაზეთის ილუსტრირებულ დამატებას - "პროჟექტორს" გამოსაქვეყნებლად შესთავაზა მეგობრული შარჟი სტალინზე. სტალინი გამოსახული იყო მისთვის დამახასიათებელ პოზაში. ცალი ხელი კიტელის ბორტზე ეკავა, მეორე ზურგს უკან, ეწეოდა ჩიბუხს, მისი ვეება ჩექმები კი ისე იყო გაპრიალებული, რომ ერთიანად ბზინავდა. სტალინის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნებულ მოგონებებში ეფრემოვი წერს, რომ რედაქტორები დიდხანს ათვალიერებდნენ ნახატს და კეფას იქექავდნენ. მათთვის კარგად იყო ცნობილი, რომ ლენინი, გორკი და სხვები გულიანად იცინოდნენ, როცა "პრავდა" ანალოგიურ კარიკატურებს აქვეყნებდა მათზე. მეორე მხრივ, რაღაცა სტალინის პირქუშ ფიგურაში იძულებულს ხდიდა მათ ორმაგად წინდახედულები ყოფილიყვნენ. ამიტომ გადაწყვიტეს ნახატი სტალინის სამდივნოში გაეგზავნათ და მისი გამოქვეყნების ნებართვა ეთხოვათ. მეორე დღეს მეგობრული შარჟი უკან დაუბრუნდათ. მას ამშვენებდა ტოვსტუხას რეზოლუცია: "არ დაიბეჭდოს!" [25]

ის მიღწევები, რომელიც სტალინმა შემდგომში მოიპოვა, ვერ დაეხმარა გადაელახა ავადმყოფური მგრძნობიარობა მის მიმართ ხუმრობისადმი. როდესაც 1945 წელს, რომელიც სტალინისთვის უდიდესი ტრიუმფის წლად იქცა, იალტის კონფერენციის დროს ვახშამზე, რუზველტმა მიმნდობლად შეატყობინა, რომ ის და ჩერჩილი ერთმანეთში საუბრის დროს მას "ძია ჯოს" ეძახდნენ, აშკარად შესამჩნევი იყო, რომ ეს სტალინს გულზე მოხვდა. ჩერჩილის პირადი თარჯიმანი ჰიუ ლანგი, რომელიც ამ ამბავს ესწრებოდა, და საერთოდ, ექვსი წლის მანძილზე საშუალება ჰქონდა დაკვირვებოდა სტალინს მსგავსი შეხვედრების დროს, მივიდა

დასკვნამდე, რომ მას "არასრულფასოვნების ძლიერი კომპლექსი" სტანჯავდა. ამ კომპლექსის ერთ-ერთი გამოვლინება ის იყო, რომ სხვა ადამიანებთან ერთად სურათის გადაღების დროს ცდილობდა სხვებზე ერთი საფეხურით მაღლა დამდგარიყო. იმაზე, რომ სტალინი დისკომფორტს განიცდიდა თავისი სიდაბლის გამო, მიგვითითებს ჩვევა, ეტარებინა მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და განიერი, საგულდაგულოდ დაუთოებული შარვალი, რომელიც თითქმის მთლიანად ფარავდა ამ ფეხსაცმელებს.[26]

საკუთარ თავში დაურწმუნებლობის მთავარი მიზეზი, როგორც სავსებით სამართლიანად შენიშნა თეოდორ დანთან საუბრისას ბუხარინმა, სტალინისათვის იმაში მდგომარეობდა, რომ ვერ შეძლო დაერწმუნებინა ირგვლივ ყველა და "მათ შორის საკუთარი თავიც, რომ ის დანარჩენ ადამიანებთან შედარებით უდიდესი პიროვნებაა. სხვა სიტყვებით, მას გამუდმებით სტანჯავდა ეჭვი, რომ სინამდვილეში იგი არ წარმოადგენს იმ უნაკლო გმირულ ფიგურას, როგორადაც მიაჩნდა საკუთარი თავი. სწორედ ამიტომ, იმის შემდეგაც კი, რაც ხელისუფლების მწვერვალამდე მიაღწია, მეტისმეტად აწუხებდა, რა აზრის იყვნენ მის შესახებ ირგვლივ მყოფნი. თავდაუჯერებლობის და საკუთარ თავში დაურწმუნებლობის სიღრმისეული გრძნობის, აგრეთვე, ცნობიერებაში არსებული დამთრგუნველი აზრის გადასალახავად, რომ არ ძალუძს ყველა შემთხვევაში შეესატყვისებოდეს თავმოყვარეობის თავისეულ მოთხოვნებს, მას ძალიან სჭირდებოდა ირგვლივ მყოფთა აღფრთოვანება და ერთგულება, მისი დიდების აღიარება, საკუთარი თავის გენიოსად შეფასების დადასტურება. მის უახლოეს გარემოცვაში მყოფი ადამიანები, რომლებსაც ესმოდათ, რამდენად ძლიერი იყო სტალინში აღნიშნული ინსტინქტური მოთხოვნილება, ამის გამო ძალზე უხერხულად გრძნობდნენ თავს. ასე მაგალითად, 20-იანი წლების შუა ხანებში ენუქიძე კერძო საუბარში ჩიოდა: "ყველაფერს ვასრულებ, რასაც მთხოვს, მაგრამ მისთვის ეს საკმარისი არ არის, სურს ვაღიარო, რომ გენიოსია."[27]

ამ თვალსაზრისით, მისი უახლოესი სოციალური გარემოცვა რევოლუციის შემდგომ წლებში ნაწილობრივ მაინც შეესაბამებოდა ამ მოთხოვნილებებს. მათ დაკმაყოფილებას ოჯახური ცხოვრების პირველ ეტაპზე ხელს უწყობდა ნადეჟდა ალილუევა, რომელიც არა მხოლოდ მისი ერთგული ადამიანი იყო, არამედ აღფრთოვანებას იჩენდა მის

მიმართ, როგორც რევოლუციის დიდი მოღვაწისადმი. იგი სტალინს ცოლად გაჰყვა ჩვიდმეტი წლის ასაკში, როცა სტალინი უკვე ორმოცის იყო. მისთვის, რევოლუციის ერთგული ქალიშვილისათვის, სტალინი ახალი რევოლუციური ადამიანის იდეალური განსახიერება იყო.[28] მაგრამ დროთა განმავლობაში სტალინის უცერემონიობისა და უყურადღებობის გამო ქალის გრძნობებს სერიოზული გამოცდის გავლა მოუხდა, ხოლო 30-იანი წლების დასაწყისში მეუღლეთა შორის პოლიტიკური უთანხმოებაც გაჩნდა. 1926 წელს სტალინის უხეშობით გამოწვეული ოჯახური უსიამოვნების შემდეგ ალილუევა ბავშვებთან ერთად თავის მშობლებთან, ლენინგრადს გადასახლდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც სტალინმა შერიგების იმედით დაურეკა, უკან დაბრუნდა და ცხოვრებაც ჩვეულ კალაპოტში ჩადგა.[29]

როგორც ადრე ითქვა, ზუბალოვოში სტალინი და მისი ცოლი უამრავ ნათესავს და მეგობარს მასპინძლობდნენ. სტუმრები, აგრეთვე, ბავშვები და ბავშვების მეგობრები პირველ სართულზე ცხოვრობდნენ, ნადეჟდას და სტალინს კი ზედა სართული ეკავათ. ზუბალოვოში ხშირად ჩამოდიოდნენ: უფროსი ალილუევები, ნადეჟდას ძმები თედორე და პავლე ცოლებით, მისი და ანა ქმრით სტანისლავ რედენსით; უფრო იშვიათად ჩამოდიოდნენ სტალინის პირველი ცოლის დები ალექსანდრა და მარიკო, აგრეთვე, ძმა ალექსანდრე სვანიძე ცოლით მარიამით. სვეტლანა იხსენებს, რომ მეგობრებიდან მოდიოდნენ ორჯონიკიძეები, რომლებიც დიდი ხნით ცხოვრობდნენ ხოლმე ზუბალოვოში. ხშირად ჩამოდიოდნენ მთელი ზაფხულით ბუხარინები და სერგეი კიროვი, რომელიც სტალინის ახლო მეგობარი იყო, ხოლო ალილუევებთან ჯერ კიდევ რევოლუციამდე მეგობრობდა. იმ სტუმართა რიცხვში, რომლებიც საოჯახო დღესასწაულებზე ეწვეოდნენ ხოლმე ან 20-იან წლებში შავი ზღვის კურორტ სოჭში გამგზავრებისას ახლდნენ სტალინს, შედიოდნენ: ენუქიძე (სტალინის ძველი პარტიული მეგობარი და ნადეჟდას ნათლია), მოლოტოვები, ვოროშილოვები, მიქოიანები და ბუდიონი.[30]

ის ადამიანები, ვინც სტალინის ოჯახის ახლობელთა წრეში შედიოდნენ, უმეტესად ძველი ბოლშევიკები იყვნენ, რომლებიც სხვადასხვაგვარ სახელმწიფო მოღვაწეობას ეწეოდნენ. სტალინის ფრაქციის თითოეულ წევრს საბჭოთა სისტემაში ხელმძღვანელი პოსტი ეკავა:

ორჯონიკიძე ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციას, შემდგომში კი პარტიული კონტროლის კომისიას განაგებდა; კიროვი სათავეში ედგა ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციას; ენუქიძე საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი იყო; მოლოტოვი ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში სტალინის მოადგილე გახლდათ; ვოროშილოვი - თავდაცვის სახალხო კომისარი, მიქოიანი - ვაჭრობის სახალხო კომისარი. პასუხსაგები თანამდებობები ეკავათ ნათესავებსაც. ნადეჟდას მამა აქტიურ როლს ასრულებდა ელექტროსადგურების მშენებლობაში. ალექსანდრე სვანიძეს ფინანსური თანამდებობები ეკავა საზღვარგარეთ, მისი და - მარიკო ენუქიძის მდივანი იყო. პავლე ალილუევი, პროფესიონალი სამხედრო - გენერალურ შტაბში და სამხედრო აკადემიაში მსახურობდა. რედენსი, რომელიც ადრე ძერჟინსკისთან ერთად საგანგებო კომისიაში მუშაობდა, ახლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომელი იყო. მთელ ამ ხალხს დიდი ცოდნა და გამოცდილება ჰქონდა და ზუბალოვოში საუბრების დროს ერთმანეთს უზიარებდნენ მას, ღიად გამოთქვამდნენ თავიანთ აზრებს. სვეტლანა წერს, რომ ზუბალოვოში "მამა არ იყო... არც ღმერთი, არც "კულტი," ის ერთი უბრალო ოჯახის მამა იყო." [31]

სვეტლანა ალილუევას შეფასება განმარტებას მოითხოვს. 20-იანი წლების ბოლოს სტალინი ზუბალოვოში მეგობრულ ან, იქნებ, სულაც მისდამი პატივისცემით გამსჭვალულ გარემოში ცხოვრობდა. მის უზარმაზარ ძალაუფლებას და დამსახურებულ ავტორიტეტს ყველა აღიარებდა. მისი დადებითი თვისებების და ხელმძღვანელის ნიჭის, პარტიის წინაშე რევოლუციის გზაზე მისი დამსახურების პატივისცემის ატმოსფერო სუფევდა. ხსენებულ წრეში მას არა მხოლოდ პატივს სცემდნენ, კიდევაც ესმოდათ მისი. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხებოდა ორჯონიკიძეს, ენუქიძეს და ყველას, ვინც დიდხანს და კარგად იცნობდა სტალინს, მის მოთხოვნილებას აღიარებისადმი, აგრეთვე, უკიდურეს მგრძნობიარობას ყოველივე იმის მიმართ, რასაც იგი მისდამი უპატივისმცემლობად მიიჩნევდა. თუმცა, თავიანთი ხასიათიდან გამომდინარე ამ ადამიანებს მისი გენიის არაგულწრფელი ქებაც არ შეეძლოთ (რაზეც მიგვანიშნებს ენუქიძის ზემოთ ციტირებული სიტყვები), ისინი, უეჭველია, უფრთხილდებოდნენ მის თავმოყვარეობას და ღიად არ აკრიტიკებდნენ. როგორც ჩანს, ანა-

ლოგიურად იქცეოდნენ მისი ხელქვეითები - მაგალითად, მოლოტოვი და ვოროშილოვი - რისთვისაც მათ ისედაც არ სჭირდებოდათ განსაკუთრებული გულისხმევა.

ასეა თუ ისე, ნათელია, რომ 20-იანი წლების დასასრულამდე ზუბალოვოსეულ წრეში არ არსებობდა სტალინის კულტი. ამ თვალსაზრისით, გასაგები ხდება, რატომ იკავებდა მის ცხოვრებაში სულ უფრო დიდ ადგილს ისეთი ადამიანი, როგორიც ლავრენტი ბერია იყო. ბერიამ, ქართველმა, რომელიც სტალინზე 20 წლით უმცროსი იყო, რევოლუციის შემდგომ მშფოთვარე წლებში დაიწყო მუშაობა ამიერკავკასიის საგანგებო კომისიაში. ზოგიერთი წამყვანი ბოლშევიკი მიიჩნევდა, რომ ამიერკავკასიაში გაჭიანურებული რევოლუციის პერიოდში, როდესაც ბოლშევიკების აქციები ხან მაღლა იწევდა და ხან ეცემოდა, ბერია ორმაგ თამაშს ეწეოდა. ხსენებულ წრეში იგი ვერაგ და უპრინციპო პიროვნებად მიაჩნდათ. დაახლოებით 1930 წელს ის სათავეში ჩაუდგა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ამიერკავკასიის სამმართველოს. სტალინთან მისი გაცნობის ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის. სავარაუდოა, რომ მათ 20-იანი წლების დამლევს გაიცნეს ერთმანეთი.[32] ბერია ეჯავრებოდათ სვანიძეებსაც, რედენსებსაც და ზუბალოვოს წრის ყველა იმ ადამიანს, ვინც იცნობდა მის წარსულს. შემდგომში, სტალინი ქალიშვილს უყვებოდა, რომ ჯერ კიდევ 1929 წელს ნადეჟდა "სცენებს უწყობდა" და მოითხოვდა, "ამ კაცის ფეხიც კი არ იყოსო ჩვენს სახლში." აი, როგორ გაიხსენა მან ეს ამბავი: "მე ვეკითხებოდი, - რა მოხდა-მეთქი? ფაქტები მოიყვანე! შენ ვერ დამარწმუნე, ფაქტებს ვერ ვხედავ! ის კი მხოლოდ ყვიროდა: "არ ვიცი, რა ფაქტები გჭირდება, მე ხომ ვხედავ, რომ ნაძირალაა! მასთან ერთად მაგიდასთან არ დავჯდები! მაშინ, - ვუთხარი მე, - თავიდან მომწყდი! ის ჩემი ამხანაგი და კარგი ჩეკისტია..."[33]

სტალინს ბერიაში არა მხოლოდ ის იზიდავდა, რომ შეიძლებოდა, როგორც "კარგი ჩეკისტი" გამოდგომოდა. ბერია გრძნობდა, სტალინის ძლიერ სურვილს, შეექოთ და მისი კეთილგანწყობა დაიმსახურა პირფერობით, რომლის ხელოვნებასაც კარგად ფლობდა. სვეტლანა წერდა, რომ ის "ჭეშმარიტი აღმოსავლური უტიფრობით ეპირფერებოდა და ისე ადიდებდა, რომ ძველი მეგობრები სირცხვილით იწვოდნენ - ისინი მიჩვეული იყვნენ მამაში თავიანთი ტოლი ამხანაგი დაენახათ..."[34] იმის

მიუხედავად, ეს მოგონებები აღწერილ დროს ეხება თუ შემდგომ პერიოდს, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ბერია გაცნობის დღიდან ხაზგასმით გამოხატავდა სტალინის მიმართ თავის მოწიწებას. ამ მოწიწებაში, რომელიც აღწერილ პერიოდში უკვე დამახასიათებელი იყო მისთვის, შეინიშნება ბერიას, როგორც პიროვნების კულტის ერთ-ერთი შემქმნელის მომავალი როლი.

ის ფაქტი, რომ სტალინი მშვიდად აღიქვამდა ბერიასაგან მოჭარბებულ ქება-დიდებას, პირფერობის მიმართ მის შემთვისებლობაზე მიუთითებს. ამასთან ერთად, ის ხანგრძლივი დროის განმავლობაში საჭიროდ მიიჩნევდა დაემალა, უპირველეს ყოვლისა, მთლიანად პარტიისათვის, საკუთარი მოთხოვნილება, თაყვანი ეცათ მისთვის. ბოლშევიკების წრეებში პატივს არ სცემდნენ მედიდურობას და კარგად იყო ცნობილი, რომ ლენინს ის არ ახასიათებდა. კერძოდ, პარტიის ბევრ წევრს ეჭვი ჰქონდა, რომ ტროცკი მედიდური და პატივმოყვარე იყო, რამაც ხელი შეუშალა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. "რევოლუციურ სილუეტებში" ლუნაჩარსკი წერს, რომ ეს ეჭვები უსაფუძვლო იყო, მაგრამ, ამავე დროს, ერთმანეთს უპირისპირებს საკუთარი თავისადმი ლენინის და ტროცკის დამოკიდებულებას. ის აღნიშნავს, რომ ლენინი არასოდეს ყოფილა გართული თვითგანჭვრეტით, არასოდეს უცდია ისტორიის სარკეში დაენახა თავისი თავი. არც კი უფიქრია, რას იტყოდა მასზე შთამომავლობა. ის უბრალოდ, თავის სიმართლეში მტკიცედ დარწმუნებული აკეთებდა საქმეს, რასაც თან ერთვოდა ოპონენტის პოზიციის გარკვეული უგულვებელყოფა. ტროცკი კი უეჭველია, ხშირად ეწეოდა თვითგანჭვრეტას, აფასებდა თავის როლს ისტორიაში და მზად იყო გაეწირა ყველაფერი, საკუთარი თავის ჩათვლით, რათა კაცობრიობის მეხსიერებაში გვირგვინით შემკული, ჭეშმარიტი რევოლუციური ლიდერის სახით შესულიყო.[35] რაკი პარტიაში ასეთი შეხედულებები ბატონობდა, სტალინს კარგად ესმოდა, თუ მასზე გავრცელდებოდა აზრი, რომ ისტორიის სარკეში საკუთარი თავის თვალიერება სიამოვნებს, ეს მაინცდამაინც არ შეუწყობდა ხელს მის ინტერესებს. ამიტომ სტალინი ყველანაირად ცდილობდა ასეთი შთაბეჭდილება არ დაეტოვებინა. ცდილობდა საზოგადოების თვალში შეექმნა უბრალო, თავმდაბალი, უპრეტენზიო ადამიანის იმიჯი, რომელსაც ლენინის მსგავსად სრულიად

არ გააჩნია განდიდების მანია. ადამიანისა, რომელიც მთელი არსებით ჩაფლულია პარტიის პოლიტიკურ საქმეებში, კომუნისტურ მოძრაობაზე ზრუნვას არის გადაყოლილი.

ასე მაგალითად, 1924 წელს, კრემლის კურსანტების წინაშე გამოსვლისას სტალინმა გაახსენა ხალხს ტამერფორსის კონფერენცია, რომელზეც ლენინმა მას უბრალოების და თავმდაბლობის ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი ჩაუტარა, უბრალოებისა, რომელიც პროლეტარიატის ნამდვილ ბელადს უნდა ახასიათებდეს. უფრო ადრე კი, ლენინის დაბადების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებაზე, განსაკუთრებით გაუსვა ხაზი "ამხანაგ" ლენინის თავმდაბლობას და მოიყვანა ორი მაგალითი, როგორ ვაკაცურად აღიარებდა "ეს გიგანტი" თავის შეცდომებს. ბოლშევიკური თავმდაბლობის თემას სტალინი შემდგომ გამოსვლებშიც უსვამდა ხაზს. მაგალითად, სამოქალაქო ომის ერთ-ერთი გმირის, კოტოვსკის ხსოვნისადმი პატივის მიგების დროს, რომელსაც პირადად იცნობდა, სტალინმა აღნიშნა, რომ ის იყო "უმამაცესი ჩვენს თავმდაბალ მეთაურებს შორის და უთავმდაბლესი მამაცებს შორის." [36] ამის ანალოგიურად, ყოველთვის ცდილობდა ხაზი გაესვა, რომ ლენინის მოწაფე იყო და მას მიაწერდა თავის მოსაზრებებს მაშინაც, როცა ისინი ლენინის შემდგომ პერიოდს განეკუთვნებოდა, როგორც ეს იყო სოციალიზმის ერთ ქვეყანაში აშენების თეორიის შემთხვევაში. როცა 1927 წელს გამართული პარტიული დისკუსიის ერთმა მონაწილემ თქვა, რომ ლოზუნგი "მუშურ-გლეხური მთავრობის" შესახებ "ამხანაგ სტალინის ფორმულა არის," სტალინი შეედავა, მე მხოლოდ ლენინის სიტყვები გავიმეორეო და პედანტურად, ლენინის ნაშრომებში ოცდაათი პუნქტის მითითებით დაუმტკიცა, სად მოიხსენიებოდა ეს ფორმულა.[37] ამას უნდა დაედასტურებინა, რომ ეს ლენინისეული ფორმულა იყო, ხოლო თავად სტალინი - ლენინის მოკრძალებული მოწაფე. ამ შთაბეჭდილებას ისიც უმაგრებდა ზურგს, რომ იგი თვალში საცემად უბრალოდ იცვამდა. ყოველივე ამის გამო სტალინის მოჭარბებული ეგოცენტრიზმი საზოგადოებისათვის შეუმჩნეველი რჩებოდა. საფიქრებელია, რომ მის თანამშრომელთა ვიწრო წრის გარეთ ცოტა ვინმე თუ ამჩნევდა ამ გარეგნულად მოუხეშავი, უპრეტენზიო, ჩიბუხის მწეველი გენერალური მდივნის გადამეტებულ და, ამავე დროს, ადვილად მოწყვლად თავმოყვარეობას.

საკუთარ თავზე მეტად გაზრდილი წარმოდგენის მეორე მხარე იყო სტალინის მძაფრი მგრძნობელობა ყოველივე იმის მიმართ, რასაც უპატივისმცემლობად და მისთვის ჩრდილის მიყენების მცდელობად მიიჩნევდა. სტალინის კმაყოფილების გამოწვევა ყველაზე ადვილი იყო, თუკი დაუდასტურებდით იმ იდეალიზებულ წარმოდგენას, რომელიც საკუთარ თავზე გააჩნდა. ხოლო მისი უკმაყოფილებისა და მრისხანების პროვოცირებისათვის საკმარისი იყო ხსენებული წარმოდგენის უარყოფა. რამდენადაც მალამოდ ედებოდა თაყვანისცემა, საკუთარ თავში რწმენის უქონლობისაგან რომ კურნავდა, იმდენად ნებისმიერი გაკიცხვა ულრმავებდა ამ ურწმუნობას. მართლაც, თუკი დაგმობას იმსახურებ, მოგიხდება საკუთარი სინდისის ტრიბუნალის წინაშე წარდგომა და, შესაბამისად, მის განაჩენთან შეგუებაც. მაგრამ სტალინს ამის გაკეთება არ ძალუძდა და მიაჩნდა, რომ ამაოდ აკრიტიკებდნენ. შესაბამისად, ვინც არ აღიარებს მის დამსახურებას და შესაფერის პატივს არ მიაგებს, წინასწარი განზრახვით ჩირქს სცხებს მას. სტალინის დამახასიათებელი რეაქცია იყო ასეთ ადამიანებზე მრისხანედ თავდასხმა.

ლენინის სიკვდილის შემდეგ, ბრძოლებით აღსავსე პერიოდში, სტალინის ცხოვრებაში ბევრი შემთხვევა იყო, როცა საკუთარი თავის გადამეტებული შეფასება კითხვის ქვეშ დაუყენებიათ პარტიის სხვა წევრებს. მემარცხენე ოპოზიცია არა მხოლოდ არ ცნობდა მას ერთ-ერთ დიდ ბელადად, არამედ აქტიურადაც გამოდიოდა მისი პოლიტიკური შეხედულებების წინააღმდეგ, უარყოფდა მის თეორიულ არგუმენტაციას, როგორც არალენინურს და არაპროდუქტიულს და მიანიშნებდა, რომ იგი საშუალო რანგის მოღვაწედ მიაჩნდა. 1925 წელს XIV ყრილობაზე კამენევმა ეჭვქვეშ დააყენა მისი უნარი, გამხდარიყო ახალი ბელადი. აღნიშნული გაცხარებული შიდაპარტიული კონფლიქტის დროს, მომდევნო წლის ოქტომბერში, ტროცკი მოიხსენიებდა სტალინს ადამიანად, რომლის ხელმძღვანელობა დაღუპვით ემუქრება რევოლუციას. მალე ასეთივე სერიოზული ბრალდებების წამოყენება დაიწყო მებრძოლმა მემარჯვენე ოპოზიციამ. გარდა ამისა, იყო შემთხვევები, როდესაც ძველი რევოლუციონერები ქედმაღლურად ექცეოდნენ სტა-

ლინს, არა იმიტომ, რომ ოპოზიციაში აქტიურ როლს ასრულებდნენ, არამედ იმიტომ, რომ არ შეეძლოთ სერიოზულად წარმოედგინათ იგი ბოლშევიკების წამყვან ლიდერად ან მარქსიზმის თეორეტიკოსად. დაბოლოს, პარტიის მრავალი წევრი, რაც არ უნდა ელაპარაკა ხმამაღლა, გულში მაინც არ იზიარებდა სტალინის შეხედულებას თავის თავზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მან ვერ შეძლო გამხდარიყო ბოლშევიზმის ერთ-ერთი ლეგენდარული მოღვაწე. ოქტომბრის მეათე წლისთავის დღესასწაულის დროსაც კი სტალინი საბჭოთა პრესაში არ ფიგურირებდა როგორც რევოლუციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ხოლო ტროცკი, ვისი სახელიც შემდგომ პერიოდში ყველგან წაიშალა, საყოველთაოდ ცნობილი იყო "რუსეთის რევოლუციის მეორე დიდ ბელადად," როგორც მას უწოდა ლუნაჩარსკიმ თავის "რევოლუციურ სილუეტებში," [38] სადაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ იყო წარმოდგენილი სტალინის "სილუეტი." ეს არ გახლდათ პირველი შემთხვევა, როცა სტალინი პარტიაში საკუთარი როლის თვითშეფასების მიუღებლობას შეეჯახა.

რაკი ყველა მითითებული მიზეზის გამო სტალინს არ შეეძლო ეჭვი შეეტანა საკუთარი თავის თვითშეფასების სისწორეში, ის, თავის მხრივ, ეჭვის ქვეშ აყენებდა მათ პოლიტიკურ შეხედულებებს, ვინც, მისი აზრით, ბოლომდე ვერ აფასებდა მის დამსახურებას რევოლუციის წინაშე, ჯეროვნად ვერ გამოარჩევდა მის ნიჭს, გმობდა მის მიერ გატარებულ პოლიტიკას და, საერთოდ, ჩირქს სცხებდა მას. ადამიანები, ვინც ვერ დაუდასტურებდნენ თვითშეფასების სისწორეს, სტალინს მტრებად მიაჩნდა, რომლებიც მის რისხვას იმსახურებდნენ, უღვივებდნენ შურისძიების გრძნობას და მათზე უპირატესობის მიღწევის სურვილს. ეს გრძნობები ყოველთვის იყო გამოხატული ამა თუ იმ ფორმით, თუმცა ყოველთვის არა აშკარად, რაშიც ხელს უშლიდა პოლიტიკური მიზანშეწონილობის მოსაზრებანი. მაგალითად, ტროცკი გვიამბობს, რომ სტალინი პოულობდა არაპირდაპირ საშუალებებს გამოეხატა ღვარძლი ლუნაჩარსკის მიმართ, რომელმაც არ შეიტანა იგი თავის "რევოლუციურ სილუეტებში." მაგალითად, 1925 წლის ერთ-ერთ გამოსვლაში, მან მიანიშნა, რომ, როდესაც ლუნაჩარსკი 1917 წელს, პეტროგრადში პოლიციამ დააპატიმრა, მან ვერ გამოიჩინა სათანადო სიმტკიცე.[39] ხანდახან სტალინი თავს ნებას აძლევდა საკუთარი რისხვა ამოენთხია.

როდესაც 1926 წელს პოლიტბიუროს მშფოთვარე სხდომაზე (რომელსაც ცენტრალური კომიტეტის ბევრი წევრი ესწრებოდა) ტროცკიმ ხელი გაიშვირა სტალინისაკენ და შესძახა: "პირველი მდივანი თავის კანდიდატურას გვთავაზობს რევოლუციის მესაფლავის თანამდებობაზე!"[40] - სტალინი "გაფითრდა, წამოხტა, ერთხანს იკავებდა თავის გრძნობებს, მერე კი შურდულივით გავარდა დარბაზიდან და კარი გაიჯახუნა." ცოტა ხნის შემდეგ ცენტრალური კომიტეტის წევრი პიატაკოვი, რომელიც ხსენებულ სხდომას ესწრებოდა, ტროცკის ბინაზე ეახლა. აღელვებულ პიატაკოვს სახეზე ფერი არ ედო. "წყალი დაისხა, სულმოუთქმელად დალია და იქ მყოფთ უთხრა: "თქვენ კარგად იცით, რომ დენთის სუნი მიყნოსია, მაგრამ სიცოცხლეში მსგავსი არაფერი მინახავს! ეს უბრალოდ არაფრად ვარგა! რატომ, რატომ თქვა ლევ დავიდოვიჩმა ეს? სტალინი არასოდეს აპატიებს ამას არც მას და არც მისი შთამომავლობის მესამე და მეოთხე თაობას!" პიატაკოვი ისე იყო აღელვებული, გასაგებად ვერ ყვებოდა, რა მოხდა. ბოლოს, სასადილო ოთახში გამოჩნდა თავად ლევ დავიდოვიჩი. პიატაკოვი ეცა მას: "რატომ თქვი ასე, რატომ?" ლევ დავიდოვიჩმა თავი აარიდა ამ კითხვას, სახეზე უკიდურესი დაქანცულობა ეტყობოდა, მაგრამ თავი მშვიდად ეჭირა. სხდომაზე ის სტალინს უყვიროდა, "რევოლუციის მესაფლავეს" ეძახდა... ჩვენ მივხვდით, რომ განხეთქილება გარდაუვალი იყო."[41]

ამ მომენტში ყველასათვის ნათელი გახდა, რომ თუ სტალინი არც მანამდე იყო ტროცკისადმი კეთილგანწყობილი, აღნიშნულ ეპიზოდს უეჭველად უმკაცრესი შურისძიება მოჰყვებოდა. ტროცკიმ ღიად გამოიწვია სტალინი და ახლა შურისძიებას ველარავინ შეაჩერებდა. თუმცა, ამ მომენტში ჯერ კიდევ არ იყო აშკარა, რომ სტალინი ამგვარ რეაგირებას მოახდენდა ყველა მაპროვოცირებელ მოქმედებაზე, მათ შორის, გაცილებით ნაკლებად საწყენზე, ვიდრე ტროცკის ნათქვამი შეურაცხმყოფელი ეპითეტი. ნებისმიერი ხმამაღალი განცხადება ან თუნდაც, მიჩუმათება, რომელიც სტალინს მის წინააღმდეგ მიმართულად მოეჩვენებოდა (ანუ ყველაფერი, რაც გენიალური სტალინის იერსახეს არ შეესაბამებოდა), მასში რისხვას და შურისძიების სურვილს აღძრავდა. ამისთვის სულაც არ იყო საჭირო მისი მიღწევების ეჭვქვეშ დაყენება ამა თუ იმ სფეროში, რომელშიც მას თავი დიდ ადამიანად მოჰქონდა.

საკმარისი იყო შედავებოდი საკითხზე, რომელიც ამა თუ იმ თეორიულ პრობლემას ან პარტიის ისტორიის გარკვეულ ეტაპს ეხებოდა და განგეგრძო შენი მოსაზრების მტკიცება მას შემდეგ, რაც სტალინმა ეს მოსაზრება მცდარად მიიჩნია - ის მაშინვე გრძნობდა, რომ ეჭვქვეშ ექცეოდა მისი, როგორც გამოჩენილი მარქსისტი-მოაზროვნის პიროვნება, რის შედეგად მის შურისმგებლობასაც ფრთები ესხმებოდა.

ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ შეიძლება გამოვიყენოთ სტალინის მიმოწერა ვინმე ს.პოკროვსკისთან 1927 წელს. პირველ წერილებში სტალინი ამტკიცებდა, რომ 1917 წელს პარტიამ უარი თქვა სტრატეგიულ ლოზუნგზე "კავშირი მთელ გლეხობასთან" და მიიღო ახალი ლოზუნგი - "კავშირი უღარიბეს გლეხობასთან," რასაც პოკროვსკი არ ეთანხმებოდა. მართალია, მათი ისტორიული კამათი დაკავშირებული იყო თანამედროვე პოლიტიკის მნიშვნელოვან მომენტთან გლეხობის თაობაზე, მაგრამ ამით ვერ ავხსნით იმ ემოციურ რეაქციას, რომლითაც სტალინი გამოეხმაურა პოკროვსკის მეორე წერილს. ამ წერილში პოკროვსკიმ დათმო ლოზუნგების საკითხი, მაგრამ ამტკიცებდა, რომ დანაშაულად მხოლოდ "სიტყვიერი უზუსტობანი" შეიძლება ჩაეთვალოს. აგრეთვე სტალინს უსაყვედურა, რომ მან "პასუხი არ გასცა საშუალო ფენის ნეიტრალიზაციის საკითხს." სტალინის პასუხი ამ მიმოწერაში ბოლო აღმოჩნდა და მხოლოდ 21 წლის შემდეგ გამოქვეყნდა. როგორც სტალინი წერს, თავდაპირველად ფიქრობდა, ისეთ ადამიანთან ჰქონდა საქმე, რომელიც ჭეშმარიტების დადგენას ესწრაფოდა, მაგრამ ახლა, როდესაც პოკროვსკის მეორე წერილი მიიღო, დაინახა, რომ ის პატივმოყვარე, ქედმაღალი ადამიანია, რომელიც საკუთარი "მეს" ინტერესებს ჭეშმარიტების ინტერესებზე მაღლა აყენებს. შემდეგ მოდის გესლიანი ეპითეტების მთელი რიგი, მაგალითად, ასეთი ტიპის: "თქვენ და მრავალი სხვა პოლიტიკური ობივატელი," აგრეთვე, შემდეგი ფორმულირებანი: "გაგიტაცათ რა თქვენი კალმის "ოინებმა" და მშვიდობიანად დაივიწყეთ რა თქვენი პირველი წერილი, ამტკიცებთ, რომ მე ვერ გავიგე ბურჟუაზიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის საკითხი. აი, სწორედ ამაზე იტყვიან - ჩემი შენ გითხარიო." წერილი შემდეგნაირად მთავრდება: "დასკვნა: უვიცის თავხედობა და გონებაშეზღუდული ეკვილიბრისტის თვითკმაყოფილება უნდა გაგაჩნდეს, რომ

ასე უცერემონიოდ დააყენო ყველაფერი თავდაყირა, როგორც ამას აკეთებთ თქვენ, პატივცემულო პოკროვსკი. ვფიქრობ, დროა შევწყვიტოთ მიმოწერა. ი.სტალინი." [42]

ანალოგიური ეპიზოდი, რომელიც ასევე მრავალი წელი არ იყო ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის, განეკუთნება 1930 წელს, როცა პარტიის ერთ-ერთი წევრი წერილით გამოეხმაურა სტალინის გამოსვლას, რომელშიც, როგორც ჩანს, საკითხი ეხებოდა უთანხმოებას პროლეტარიატსა და კულაკობას შორის. სტალინის პასუხის ტექსტში, რომელიც შემდგომში მის თხზულებათა კრებულში გამოქვეყნდა, კორესპონდენტი მოიხსენიება, როგორც "ამხანაგი ჩ-ე." სტალინი ამტკიცებს, რომ მის მიერ მიღებული წერილი საკითხის უცოდინარობაზე მიუთითებს. თავის გამოსვლაში იგი ეხებოდა მხოლოდ იმ წინააღმდეგობებს პროლეტარიატსა და მშრომელი გლეხობის მასებს შორის, რომელთა გადალახვა შესაძლებელია. "გასაგებია? ვფიქრობ, გასაგებია." წერილი მთავრდება სიტყვებით: "კომუნ. სალმით." და აქ ამხანაგმა ჩ-ემ შეცდომა დაუშვა. მან გადაწყვიტა გაეგრძელებინა განხილვა და კვლავ მისწერა სტალინს. სტალინი განრისხდა. თავის პასუხში მეორე წერილზე ის ტუქსავს ავტორს იმის გამო, რომ შეცდომის აღიარების ნაცვლად იგი სიტყვებით თამაშს უნდება. წერს, რომ წინააღმდეგობათა ორ სახეობას შორის განსხვავების დიპლომატიურად მიჩქმალვის მცდელობა ტროცკისტულ-ზინოვიევისტული აზროვნების დამახასიათებელი გამოვლენაა. წერილის დასკვნითი ნაწილი ისეთი ტონით არის დაწერილი, რომ კარგს არაფერს მოასწავებს: "არ მეგონა, რომ ამ ავადმყოფობით იყავით შეპყრობილი. ახლა ამაზეც მომიხდება დაფიქრება, რადგანაც კაცმა არ იცის, კიდევ რა თამაშს წამოიწყებთ, მე კი სავსე ვარ მიმდინარე საქმეებით, რის გამოც თამაშისათვის დრო აღარ მრჩება. ამიტომ ნება მიბოძეთ, დაგემშვიდობოთ, ამხანაგო ჩ.." ამ წერილში "კომუნისტური სალამი" აღარ იყო.

საკმაოდ ბევრი იყო შემთხვევა, როდესაც პარტიის წევრებმა უნებლიეთ ატკინეს გული სტალინს. ბოლშევიკები ხომ ღია პარტიული დისკუსიების ტრადიციას მისდევდნენ. ახსოვდათ, რომ ლენინი პატივს სცემდა მათ უფლებას, არ დათანხმებოდნენ პარტიული პოლიტიკის საკითხებში. ამას გარდა, თავად სტალინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ლენინის ერთგული მოწაფე იყო და ირწმუნებოდა, რომ მისთვის სანიმუშო იყო

ხელმძღვანელობის ლენინური სტილი. ამ მიზეზთა გამო, სტალინის ფართომასშტაბიანი აღიარება პარტიის ახალი ბელადის რანგში არ ნიშნავდა, რომ ყველა მისი შეხედულება მაშინვე მხარდაჭერას მოიპოვებდა. პარტიის ბევრი წევრი გამოთქვამდა სტალინისგან განსხვავებულ მოსაზრებებს და მხოლოდ შემდეგ იგებდნენ, რომ, თურმე, მოქმედებდნენ როგორც "მტრები." სწორედ ასე უწოდებდა სტალინი ადამიანებს, რომლებიც მასში შურისმაძიებლობის გრძნობის პროვოცირებას იწვევდნენ.

დამახასიათებელ მაგალითს იმისა, თუ როგორ ხდებოდა ყველაფერი ეს, წარმოგვიდგენს სტალინის ქალიშვილი. თუ შეატყობინებდნენ, რომ რომელიღაც ადამიანი "მასზე ცუდს ამბობდა," რომ ის "მოწინააღმდეგეა" და არსებობს ამის დამადასტურებელი ფაქტები, სტალინი მაშინვე რაღაც ფსიქოლოგიურ მეტამორფოზს განიცდიდა. სვეტლანა ალილუევა წერს: "წარსული ქრებოდა მისთვის — ამაში იყო მისი ბუნების მთელი დაუნდობლობის და სისატიკის მიზეზი. წარსული - საერთო საქმისათვის ერთობლივი ბრძოლა, მრავალწლიანი მეგობრობა, ყოველივე ეს თითქოს არც არსებობდა... "ა-ა, შენ მიღალატე, - ამბობდა რაღაც მის სულში, თითქოს საშინელი ეშმაკი შეიპყრობდა ხოლმე. - ჰოდა, მეც საერთოდ აღარ გიცნობ!" [44]

სტალინს დიდი მოთხოვნილება ჰქონდა მათში, ვინც შურისძიების და მტრობის გრძნობა გაულვივა, დაენახა არა მარტო პირადი, არამედ საბჭოთა სახელმწიფოს მტრებიც. ასეთ მიდგომას კარნახობდა თავად ბოლშევიკების პოლიტიკური კულტურა, რომელიც შეიცავდა კლასობრივი ბრძოლის კონცეფციას, როგორც მოვლენას, რომელიც საბჭოთა საზოგადოებაში არსებობას განაგრძობდა და მსოფლიოს საერთაშორისო ცხოვრების ფაქტს წარმოადგენდა, რომელიც, თავის მხრივ, ორ მტრულ ბანაკად იყო დაყოფილი. პარტიის ყველა ხელმძღვანელზე მეტად ხსენებულ კონცეფციას სტალინი ემხრობოდა, რომელმაც 1928 წელს, თავის ერთ-ერთ გამოსვლაში, ასეთი რეზიუმე გაუკეთა მას: "ჩვენ გვყავს შინაური მტრები. ჩვენ გვყავს გარეშე მტრები. ეს არც ერთი წუთით არ უნდა დავივიწყოთ, ამხანაგებო." [45] სტალინისეული თეორიის მიხედვით, ზემოხსენებული ორი ბანაკის არსებობა უფრო სქემატური იყო, ხოლო რიტორიკა - ლენინისეულზე უფრო მკაცრი. 1919 წელს სტალინი წერდა: "მსოფლიო მტკიცედ და შეუქცევადად გაიხლიჩა ორ ბანაკად... ბრძოლა

ამ ორ ბანაკს შორის მთელი ჩვენი ცხოვრების ღერძს წარმოადგენს, ძველი და ახალი მსოფლიოს მოღვაწეთა დღევანდელი საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთელი შინაარსი ამ ფაქტორით არის გაჟღენთილი"[46]. იმავე პერიოდში დაწერილ სხვა სტატიაში კარგად შეიმჩნევა მისი ტენდენცია, ხაზი გაუსვას კლასობრივი მტრის ვერაგობას, ქვეშქვეშობას, შეთქმულებისკენ მიდრეკილებას. იმპერიალისტური ბანაკი, წერს იგი, "არ თვლემს." მისი აგენტები "დაძრწიან ყველა ქვეყანაში, ფინეთიდან კავკასიამდე, ციმბირიდან თურქესტანამდე, აწყობენ ყაჩაღურ შეთქმულებებს, ამზადებენ ლაშქრობებს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, ჭედავენ ბორკილებს დასავლეთის ხალხებისათვის." [47] სხვა სტატიაში იგი წერს, რომ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ანტანტის აშკარა და დაუფარავი ინტერვენციის ჩაფუშვის შემდეგ, უკანასკნელმა ახალი პოლიტიკის განხორციელებაზე დაიწყო გადასვლა კონტრრევოლუციურ ოპერაციებში რუმინეთის, პოლონეთის, გალიციის, ფინეთისა და გერმანიის ჩართვით.[48] მართალია, ეს განცხადებები ფაქტობრივ საფუძველს მოკლებული არ იყო, აღსანიშნავია ის, რომ შეთქმულების თემა, რომელიც სტალინური აზროვნების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება გახდა, რევოლუციური ეპოქის დროინდელ მის ნაწარმოებებშიც გამოჩნდა.

ძნელია იმის მტკიცება, რომ სტალინი პირად მტრებად მიიჩნევდა ყველას, ვისაც კლასობრივი მტრის სახელი მიეკუთვნა, მაგალითად, უცხოეთის ქვეყნების მეთაურებს. საქმე სხვა იყო. როცა პირადი მტრობის გრძნობა ჰქონდა თავისი წრის ხალხისადმი, მათ მუდამ კლასობრივ მტრებად მიიჩნევდა და არა მხოლოდ პარტიის გამკრიტიკებლებად ან სტალინის წინააღმდეგ გამომსვლელებად. ეს გამოწვეული იყო ჯერ ერთი, იმით, რომ საბაბი ეძლეოდა ბოღმა ამოენთხია ამ ადამიანებზე, სისრულეში მოეყვანა თავისი მისწრაფება შურისმაძიებლობისაკენ. თუკი ისინი კლასობრივი მტრები არიან, კიდევაც იმსახურებენ ულმობელ მხილებას და მკაცრ სასჯელს. ამას გარდა, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია — აკუთვნებდა რა თავის მაკრიტიკებლებს კლასობრივი მტრების კატეგორიას, სტალინი, თავის შეგნებაში რაციონალიზაციას უკეთებდა მათ ნეგატიურ დამოკიდებულებას მის მიმართ. ამგვარად, გამორიცხული იყო იმის შესაძლებლობა, რომ მას მოუხდება ეჭვი შეიტანოს თავის ნამოქმედარში, ანდა მოუხდეს უსიამოვნო დასკვნის გაკეთება,

რომ მისდამი ამგვარი დამოკიდებულება არ არის საფუძველს მოკლებული.

ნებისმიერი შესაძლებლობა იმისა, რომ სტალინი ასეთ ადამიანს, - დავარქვათ მას "იქსი," - პატივისცემის ღირს ბოლშევიკ-ანტისტალინელად მიიჩნევდა, კატეგორიულად გამოირიცხებოდა. ეს ხომ იმის ფარული აღიარება იქნებოდა, რომ პარტიის ყოველმხრივ ღირსეულ წევრს სტალინში პოლიტიკური წუნის და ნაკლოვანებების პოვნა შეეძლო, რაც მას საკუთარი თავისადმი ეჭვს და თვითდამცირების გრძნობას გაუღვიძებდა, რომელიც დათრგუნული ჰქონდა თავის შეგნებაში. ამიტომაც "იქსს" იგი პარტიის მოწინააღმდეგე, ბოლშევიკური საქმის მტრის ადამიანთა კატეგორიას მიაკუთვნებდა. ამგვარად, მას შესაძლებლობა უჩნდებოდა "იქსის" კრიტიკული ან არაკეთილგანწყობილი შეხედულებები არ აღექვა თავისი პიროვნების მიმართ გამოთქმულად, ანუ განეხილა ისინი საკუთარი - იდეალიზებული სახის ირიბ დადასტურებად. მართლაც, თუ "იქსი" ბოლშევიკების მტერია, სრულიად ბუნებრივია, რომ უეჭველად გამოვა სტალინის წინააღმდეგ, რომელიც საუკეთესო ლენინელი და ამ საქმის ძირითადი ქომაგია. გაკრიტიკებს სტალინის იდეებს და პოლიტიკას სწორედ იმის გამო, რომ ისინი კომუნიზმის ინტერესებს ემსახურებიან. ის შეგნებულად დააკნინებს სტალინის ძველ რევოლუციურ დამსახურებას და მისი, როგორც პოლიტიკური მოღვაწის როლს, სწორედ იმის გამო, რომ სტალინის ისტორიული ღირსებები და გენია - მარქსისტულ-ლენინური ტიპის ხელმძღვანელის ღირსება და გენია გახლავთ. ამგვარად, სტალინის დამსახურების დაკნინება და მისი გამტყუნება "იქსის" ჭეშმარიტი შეხედულების გამოხატულებად კი არ უნდა მივიჩნიოთ, არამედ პარტიის წინაშე სტალინის ავტორიტეტის შელახვის მცდელობად, რაც იმ მიზნით ხორციელდება, რომ ხელი შეუშალოს ახალგაზრდობას იმის გაგებაში, როგორი დიდი რევოლუციონერი იყო სტალინი. დისკრედიტაცია გაუკეთოს სტალინს, როგორც წამყვან ფიგურას ბოლშევიკურ მოძრაობაში ლენინის შემდეგ და, შესაბამისად, ზიანი მიაყენოს თავად აღნიშნულ მოძრაობას.

ამ ლოგიკის თანახმად, პირადი და პოლიტიკური დიდების სწორედ ის ატრიბუტები, რომელთა წყალობითაც სტალინი პარტიის გამოჩენილი ლიდერი გახდა, უეჭველად იწვევს სიძულვილს და უკუქმედებას ყველა

"უკლონისტის," გულღვარძლიანთა და მათ მსგავს ადამიანთა მხრიდან. ისინი მის წინააღმდეგ გამოდიან სწორედ იმის გამო, რომ სტალინი ისეთი გენიოსია, როგორადაც თავი მიაჩნია. ამდაგვარი მსჯელობით სტალინს საშუალება მიეცა ანტისტალინური განწყობილებები შეეფასებინა, როგორც საკუთარი გმირული ხატის დადასტურება. ამის შედეგად სტალინის პიროვნების განუყოფელ თვისებას წარმოადგენდა მისდამი კრიტიკულად განწყობილი ადამიანების გამოცხადება პარტიისა და ხალხის მტრებად. პარტიის მრავალი წევრის მხრიდან მის მიმართ არამლიქვნელური დამოკიდებულება არა თუ აიძულებდა საკუთარი თავის შეფასების კორექტირება მოეხდინა, არამედ, პირიქით, სურვილს უჩენდა მისი მართლზომიერება დაემტკიცებინა, რათა გარშემო მყოფებს ზუსტად ისე შეეფასებინათ იგი, როგორც თავად აფასებდა საკუთარ თავს. ამგვარი რაციონალიზაციის წყალობით მის მიმართ საწინააღმდეგო ქმედებებს საკუთარი გენიის დაფასებად მიიჩნევდა და მიესალმებოდა თავდასხმებს იმათი მხრიდან, ვისაც "მტრების" კატეგორიას აკუთვნებდა, როგორც საკუთარი თავის პირადი მნიშვნელობის დასაბუთებას. დამესხან თავს ტროცკისტები, რამდენიც გაეხარდებათ, განაცხადა სტალინმა 1927 წლის 23 ოქტომბერს ცენტრალურ კომიტეტში გამოსვლის დროს. მათ სავსებით სწორად ამირჩიეს ძირითად სამიზნედ, რადგან სხვებზე უკეთ ვხედავ გამჭოლ თავად მათ და მათ ხრიკებს. გაიხსენეთ, როგორ ლანძღავდა თავის დროზე ტროცკი ლენინს! განა გასაკვირია, რომ ადამიანი, რომელიც გაიცხვით იხსენიებდა ლენინს ჩხეიძისათვის 1913 წელს გაგზავნილ წერილში, ახლა სტალინს ლანძღავს?

მის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების ამგვარი რაციონალიზაცია სტალინის მხრიდან შეუმჩნეველი არ დარჩა მის გარემოცვას. ასე, მაგალითად, 1929 წლის 21 დეკემბერს, სტალინის დაბადების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ "პრავდის" მოწინავეში, რომელიც, როგორც ჩანს, მისი ყოფილი თანაშემწის, "პრავდის" იმდროინდელი რედაქტორის, მეხლისის ხელმძღვანელობით იყო შედგენილი, ვკითხულობთ: "სტალინი სათავეში უდგას ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს. ამის გამო იგი გაცოფებული ცილისწამების უცვლელი ობიექტია მსოფლიო ბურჟუაზიისა და სოციალ-დემოკრატების მხრიდან. მთელი შიდაპარტიული ოპოზიცია ისრებს მიმართავს ამხანაგ სტალინის, როგორც ყველაზე უდრეკი, ყველაზე ავტორიტეტული ბოლშევიკის წინააღმდეგ, რომელიც

ყველანაირი დამახინჯებისაგან ლენინიზმის შეურიგებელი დამცველია." მეორე საიუბილეო სტატიაში გ.კრუმინი აღწერს სტალინის, როგორც თეორეტიკოსის ღირსებებს და აღნიშნავს: "პარტიის ურიცხვი მტრები" თავის თვალთახედვით მართალნი არიან, როდესაც ამ ღირსებებს უარყოფენ. ამაოდ როდი ესხმიან თავს სტალინს მსოფლიო ბურჟუაზია და სოციალ-დემოკრატიული პრესა ამგვარი სიავითა და ზიზღით, ცილს სწამებენ და ლაფში სვრიან მას, ნათქვამია შემდგომ სტატიაში, სტალინზე თავდასხმები ყოველთვის იმის ნიშანი იყო, რომ მტრული ელემენტების და კლასების გავლენის ქვეშ პარტიაში ახალი ოპოზიცია წარმოიშობა, "რადგან პარტიის მტრებმა იციან: დარტყმა სტალინზე იგივეა, რაც დარტყმა პარტიაზე, რადგან სტალინი ლენინის უერთგულესი მოწაფე და მიმდევარია..." [49]

თუმცა, სტალინის მძაგებლები პარტიის მტრები არიან, ისინი არ აღიარებენ ამას. თუმცა მათი ზიზღი სტალინისადმი და მისწრაფება, ჩირქი მოსცხონ მას, ბოლშევიკური საქმისადმი მტრობით არის გამოწვეული. ისინი მალავენ ამ მტრობას. სტალინისადმი ნეგატიური დამოკიდებულება ხომ ყველაზე ძლიერი ძველ ბოლშევიკებში არის. მართალია, ტროცკი და მისი ზოგიერთი თანამებრძოლი ბოლშევიკურ პარტიაში მხოლოდ 1917 წელს შევიდნენ, როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე ოპოზიციის ბევრ მონაწილეს და, აგრეთვე, სტალინისადმი არაკეთილგანწყობილ პარტიის სხვა წევრებს დიდი დამსახურება მიუძღვით ბოლშევიკების წინაშე და მათ ორგანიზაციაში იმდენივე და უფრო მეტი ხნის წევრები იყვნენ, ვიდრე სტალინი. ერთი შეხედვით, ისინი იყვნენ და რჩებიან პარტიის ერთგულ ადამიანებად, ერთგულ ლენინელებად; ამტკიცებენ, რომ სწორედ ამ პოზიციებიდან გამოდიან სტალინის წინააღმდეგ, უპირისპირდებიან, აკრიტიკებენ და აკნინებენ მის როლს. ამრიგად, ისინი პარტიის ფარული მტრები არიან და მოქმედებენ მისი მეგობრების ნიღაბს ამოფარებულები. მათი ბოლშევიკური რწმენა მასკარადია. ის, რომ სტალინი სწორედ ასე მსჯელობდა, სრულიად აშკარა გახდა 30-იან წლებში, მაგრამ პირველი ნიშნები გაცილებით ადრე გამოჩნდა, ისევე, როგორც სტალინის ზემოთ ნახსენები მზადყოფნა კლასობრივი მტრების საქციელში შეთქმულების განზრახვა ეპოვა. თავის გამოსვლებში და სტატიებში სტალინი ხშირად ხმარობს სიტყვას "ნიღაბი." ასე, მაგალითად, თავის უკანასკნელ წერილში პოკროვსკი-

სადმი, რომელიც მრისხანე სტილით არის დაწერილი, სტალინი პასუხობს თავის კორესპონდენტს შენიშვნაზე, რომ მას არ განუხილავს საკითხი საშუალო ფენის ნეიტრალიზაციის შესახებ: "ორიდან ერთია: ან თქვენ ძალზე მიამიტი ხართ, ან შეგნებულად იფარებთ მიამიტის ნიღაბს, რაღაც სრულიად არამეცნიერული მიზნით." [50] 1929 წლის აპრილში ცენტრალურ კომიტეტში გამოსვლისას მან დაადანაშაულა ბუხარინი კოლექტიურ ხელმძღვანელობაზე საუბრით პარტიის ღალატის "შენიღბვაში." უფრო მეტიც, დასძინა სტალინმა, ბუხარინი ამავე თემაზე საუბრობდა, როცა 1918 წელს ბრესტის შეთანხმების წინააღმდეგ მემარცხენე ოპოზიციის ლიდერი იყო. იგი "შეუთანხმდა" მემარცხენე ესერებს, "ჩვენი პარტიის მტრებს," რომლებიც ლენინის დაპატიმრებას და ანტისაბჭოთა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას აპირებდნენ[51].

სტალინს ჯერ კიდევ ადრე გაუჩნდა ტენდენცია, მტრებად ჩაეთვალა მისდამი არაკეთილგანწყობილი ბოლშევიკები, რომლებიც სიცოცხლის უმეტეს ნაწილს ერთგულების ნიღბით ატარებდნენ და ამავე დროს შეთქმულებებს აწყობდნენ პარტიის წინააღმდეგ, ვიდრე ლენინის სიკვდილის შემდეგ ხელისუფლებისათვის ბრძოლაში საბოლოო გამარჯვებას მოიპოვებდა. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ შემდგომში ფსიქოლოგიური მეტამორფოზი ემართებოდა, როცა იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ ადამიანი, რომელიც მეგობარი ეგონა, სინამდვილეში მტერია. ყველაზე ვერაგი და საშიში მტერი, რომელიც სამხილებელი და მკაცრად დასასჯელია - ის არის, ვინც ადრე მეგობრად ინიღბავდა თავს. სტალინი ულმობელი იყო ნებისმიერის მიმართ, ვისაც ასეთ კატეგორიას მიაკუთვნებდა, მიუხედავად იმისა, რამდენად ხანგრძლივი და მჭიდრო იყო მათი პირადი ურთიერთობა. მისი ქალიშვილის მოწმობით, მსგავს შემთხვევაში დიდი ხნის მეგობრობას და ერთად ბრძოლასაც კი არ ჰქონდა მისთვის რაიმე მნიშვნელობა. რაკი ერთხელ გაამტყუნებდა ადამიანს, აღარასოდეს იტყოდა უარს თავის შეფასებაზე: "თუკი ვინმე დიდი ხნის ნაცნობს გულიდან ამოიგდებდა და თავის გუნებაში "მტერთა" რიგებში ჩარიცხავდა, ამ ადამიანის ხსენება მასთან უკვე შეუძლებელი იყო. მისი მტრების, მოჩვენებითი მტრების შემადგენლობიდან "უკან გადმოყვანა" აღარ შეეძლო და მხოლოდ ცოფდებოდა, როცა ვინმე ამის შეთავაზებას შეეცდებოდა." [52]

საკმაოდ ადვილი გასაგებია, რატომ არ შეეძლო სტალინს "მტრის" დაბრუნება "მეგობართა" რიგებში. თუკი ადამიანი თავიდანვე ფარული მტერი იყო, მისი ლოიალურობის და კეთილგანწყობის მთელი გამოვლინება თვალთმაქცობა გახლდათ; შესაბამისად, რაც უფრო უკეთ ინიღბებოდა მეგობრად, მით უფრო ბოროტი და ვერაგი იქნებოდა, როგორც მტერი. ბუნებრივია, მოცემულ სიტუაციაში სტალინისათვის წარსული მეგობრობის შეხსენება უიმედო საქმე იყო. მისთვის ხომ თავად ეს წარსული მხილებული მტრის ვერაგობის დასტურს წარმოადგენდა.

ამრიგად, სტალინის ცნობიერებაში საკუთარი გმირული სახე მტრის უკეთურ გამოსახულებასთან სიმბიოზში არსებობდა. მას თავი მიაჩნდა დიდ რევოლუციონერად და მარქსისტად, ლენინის უერთგულეს მოწაფედ და მის ღირსეულ მემკვიდრედ ბოლშევიკური მოძრაობის სათავეში და ამ სახეს უპირისპირებდა შიდაპარტიული მტრის ხატს, რომელიც პარტიის და რევოლუციის მომავალი მოღალატე იყო. მტერს ისეთი დამახასიათებელი თვისებები ჰქონდა, რომელსაც გენიალური სტალინი სრულიად მოკლებული იყო: მტერი ლენინის მოწინააღმდეგე გახლდათ, ფარული კონტრრევოლუციონერი, სამხედრო საქმეებში უმაქნისი, თეორიულ საკითხებში - ფსევდომარქსისტი, მავნებელი, რომელიც ხელს უშლიდა რუსეთში სოციალისტური საზოგადოების აშენებას. ამ თვისებებით აღჭურვილ მტერს, ცხადია, უნდა ჰქონოდა სტალინისადმი ბოროტი სიძულვილი და ეთათხა იგი. უფრო მეტიც, ეთიკის თვალსაზრისით მტერი ზიზღს იმსახურებდა მისი ვერაგობის და იმის გამო, რომ თავისი ანტიპარტიული მიზნების მისაღწევად მზად იყო ყველაზე მოხერხებული, მზაკვრული და დანაშაულებრივი საშუალებები გამოეყენებინა. ასეთი იყო სტალინის მხრიდან იმ პარტიული ამხანაგების საერთო შეფასება, რომლებსაც თავის ცნობიერებაში "მტრების" კატეგორიას მიაკუთვნებდა. მზად იყო ელიარებინა, რომ ყველა მტერი ერთნაირი არ არის, მაგრამ საბოლოოდ, ეს განსხვავებები დიდ როლს არ ასრულებს. მთავარია, ეკუთვნის თუ არა ადამიანი "მეგობრების ან მტრების" კატეგორიას. ის ბოლშევიკები, რომლებიც სტალინს სიტყვით და საქმით უდასტურებდნენ, რომ მის მიერ შექმნილ "მტრის" ხატს შეესაბამებოდნენ, დარტყმის ქვეშ აყენებდნენ საკუთარ თავს. ბევრი მათგანის შემდგომი ბედ-იღბლის შესახებ შეუძლებელია სინანულის გარეშე იფიქრო.

სტალინი ისტორიაში შევიდა იმ ადამიანის დამსახურებული რეპუტაციით, რომელიც დაუნდობელი იყო ბრძოლაში, ხელისუფლების დასაუფლებლად მაკიაველისეულ მეთოდებს იყენებდა, პოლიტიკაში ორმაგი თამაშის ოსტატი და ცინიზმით სავსე რეალისტი იყო. აღნიშნული თვისებები მჟღავნდებოდა როგორც დიდ, ისე პატარა საქმეებში. ორპირობა იქცა მის მეორე ბუნებად. ის ხშირად უხეშობდა და თანაშემწეებთან საუბარში უცენზურო სიტყვებს ხმარობდა. დიდ პატივს სცემდა ძალის ფიზიკურ ატრიბუტებს, რაზეც მეტყველებს ისტორიაში შესული შეკითხვა: "რამდენი დივიზია ჰყავს რომის პაპს?" სტალინის ამ თვისებებს ხაზს უსვამდა ბევრი მისი ბიოგრაფი. ტროცკიმ საკუთარი გამოცდილებით იცოდა მათ შესახებ და გადაწყვიტა, სტალინის ბიოგრაფიის დაუმთავრებელი თავისათვის სათაურად ეწოდებინა "კინტო ხელისუფლებაში." ქართულ ჟარგონზე* სიტყვა "კინტო" იმ დროს ნიშნავდა თამამ, გაქნილ ადამიანს, რომელსაც ძველი თბილისის ქუჩებში შეხვდებოდით. ტროცკი იხსენებს, რომ ოდესღაც, 20-იან წლებში მახარაძემ თქვა სტალინზე: "ის კინტოა!"[53] მხედველობაში ვიღებთ რა იმას, რომ სტალინს ჰქონდა კინტოსთვის დამახასიათებელი თვისებები, ჩვენ, რა თქმა უნდა, შორს ვართ იმ ვარაუდისგან, რომ ეს თვისებები წარმოადგენდა საკუთარ თავზე სტალინის წარმოდგენის ნაწილს. ამას მოწმობს ამ წიგნში მოყვანილი ფაქტები. სტალინის თვითშეგნება ფოკუსირებული იყო გენიოსის იმ დამახასიათებელ თვისებებზე და გენიოსის გმირობებზე, რომლისგანაც შედგებოდა მისი ამაღლებული ხატი. იმდენად, რამდენადაც, მას შეეძლო აღექვა საკუთარი ისეთი თვისებები, როგორიც არის უხეშობა, პირმოთნეობა, ორპირობა, ღვარძლიანობა და ულმობლობა, იგი რაციონალიზაციის გზით ცდილობდა მათ შეფარდებას იდეალიზებულ წარმოდგენასთან საკუთარ თავზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, რაციონალიზაციის წყალობით თავისი უხეშობა, რომლის გამოც ლენინი საყვედურობდა, მან წარმოიდგინა, როგორც მხურვალე მისწრაფება დაეცვა ლენინური მოძღვრების სიწმინდე, ან როგორც სიმკაცრე პარტიის მტრების

---

* კინტო, როგორც ცნობილია, ჟარგონი არ არის (რედაქტორის შენიშვნა)

მიმართ. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში ხასიათის უარყოფითმა თვისებამ მეტამორფოზი განიცადა და იმ თვისებად - საგმირო-რევოლუციური პიროვნების ერთ-ერთ ატრიბუტად - გადაიქცა, რომლითაც მას შეეძლო სამართლიანად ეამაყა.

სტალინმა რაციონალიზაციას იმისთვისაც მიმართა, რომ რევოლუციის მაღალი მიზნებით გაემართლებინა თავისი უკეთური საქციელი. ვინმე შინკევიჩმა სტალინს მისწერა წერილი, რომელშიც არ ეთანხმებოდა პარტიის გადაწყვეტილებას არყით ვაჭრობის აღდგენის და მის სახელმწიფო მონოპოლიად გამოცხადების თაობაზე. ძველ რუსეთში არაყი უბრალო ხალხისათვის მძიმე ცხოვრებაში დარდის გაქარვების საშუალება იყო და მრავალი რევოლუციონერი, მათ შორის ლენინიც, რომლის ნათქვამი მოჰყავს შინკევიჩს თავის წერილში, არყით სახელმწიფო ვაჭრობის წინააღმდეგი იყვნენ. 1927 წლის 20 მარტით დათარიღებულ პასუხში, რომელიც მხოლოდ 25 წლის შემდეგ გამოქვეყნდა, სტალინი უხსნის შინკევიჩს, რომ ლენინს მართლაც ჰქონდა ასეთი პოზიცია, მაგრამ 1922 წელს დაეთანხმა ცენტრალური კომიტეტის წევრებს, რომ აუცილებელია არაყზე სახელმწიფო მონოპოლიის კვლავ შემოღება. იმავე წელს ჩატარებულ გენუის კონფერენციას საზღვარგარეთიდან დიდი სესხის ან გრძელვადიანი კრედიტის მიღების საშუალება რომ მოეცა, მაშინ არყით ვაჭრობა აუცილებელი არ გახდებოდა, მაგრამ არსებულ სიტუაციაში მრეწველობის განვითარებისათვის სახსრების მოსაპოვებლად არაყი ერთადერთ წყაროდ რჩებოდა. შემდგომ სტალინი წერს: "ჩვენს წინაშე საკითხი ასე იდგა - რა სჯობია: უცხოური კაპიტალის კაბალა თუ არყით ვაჭრობის შემოღება. გასაგებია, რომ არჩევანი არაყზე გავაკეთეთ, რადგან მივიჩნევდით და ახლაც მიგვაჩნია, რომ, თუკი პროლეტარიატის და გლეხობის გამარჯვების გამო ტალახში ოდნავ ამოსვრა მოგვიწევს, ჩვენი საქმის ინტერესებისათვის ამ უკიდურეს საშუალებებზეც უნდა წავიდეთ." [54] ამ შემთხვევაში რაციონალიზაციის ხერხი გამოიყენება, როგორც ჩანს, სტალინის თანხმობით მიღებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების მიმართ. თუმცა ეჭვი არ არის, რომ ფორმულას "ჩვენი საქმის ინტერესებისათვის" სტალინი ხშირად იყენებდა მრავალი თავისი ქმედების რაციონალიზაციისათვის, რომლებთან დაკავშირებით აუცილებელი იყო " ტალახში ოდნავ ამოსვრა."

ამასთან ერთად სტალინის ქცევის თავისებურებებსა და ბიოგრაფიაშიც არის მრავალი მომენტი, რომელთა ახსნა გაჭირდებოდა რაციონალიზაცის მეთოდის გამოყენებით, რევოლუციის მიზნების მომიზეზებით ანდა ვერაგ მტრებთან საბრძოლველად ვერაგული საშუალებების გამოყენების აუცილებლობით. ასეთ შემთხვევებში, როგორც უკვე აღინიშნა, სტალინის ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა დათრგუნვა, რომელიც ეხმარებოდა სისტემის იმ ღირებულებების შენარჩუნებაში, რომლებითაც იგი ამაყობდა. ეხმარებოდა, ყველანაირ სიტუაციაში შენარჩუნებინა თავისი ხისტი, პირმოთნე პოზიცია. საკუთარი შეგნების ფოკუსში ის ინარჩუნებდა გენიალური სტალინის ხატებას იმის შედეგად, რომ მთლიანად ან ნაწილობრივ იგნორირებას უკეთებდა ყველაფერს, რაც არ თავსდებოდა ამ ხატებაში. აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ დათრგუნვა, როგორც დამცავი მექანიზმი, გამოიყენებოდა პროექციასთან ერთად. ფაქტები, რომლებიც ითრგუნებოდა სტალინის ცნობიერებაში იმიტომ, რომ არ შეესაბამებოდა მის მიერ წარმოდგენილ საკუთარ სახეს, თავს იჩენდა ხოლმე სხვათა შეფასებისას; ასეთ შემთხვევებში სტალინი ამჟღავნებდა ნიჭს და მიდრეკილებას ხსენებული შეუსაბამობებით გამოწვეული უკმაყოფილების გრძნობა გამოეხატა სხვა ადამიანების მიმართ უკმაყოფილების ფორმით. ამდენად, პროექცია გახდა რაღაც კათარზისის მსგავსი: ის საშუალებას აძლევდა სტალინს არა მხოლოდ "დაეშვა" მის ცნობიერებაში უსიამოვნების ან ავადმყოფური შეგრძნების გამომწვევი ფაქტები, არამედ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გამოეხატა მათთან დაკავშირებული ემოციები.

განვიხილოთ საკითხი იმის თაობაზე, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა სტალინს საკუთარ შეცდომებთან და ვის აბრალებდა ამ შეცდომებს. ადრე თუ გვიან ყველა შეცდომა სხვას მიეწერებოდა ხოლმე. ცხადია, რომ ნებისმიერი სახელმწიფო წყობილების დროს პოლიტიკოსები დაინტერესებული არიან პასუხისმგებლობის ტვირთი საკუთარი შეცდომების გამო სხვა ადამიანებს, უმთავრესად, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს გადაულოცონ. სტალინში ამ სურვილს თან ერთვოდა ღრმა ფსიქოლოგიური უთანხმოება, რომელიც საკუთარი შეცდომების გამო დანაშაულის აღიარების აუცილებლობას უკავშირდებოდა. ეს უთანხმოება იმის შედეგი იყო, რომ შეცდომების ღირსეული დაგმობა შეუთავსებელი გახლდათ სტალინის იდეალურ წარმოდგენასთან

საკუთარ თავზე. თუკი ის გენიალური სტალინი იყო, შეუძლებელია შეცდომები დაეშვა რევოლუციური პოლიტიკის მთელ რიგ საკითხებში 1917 წელს. მას ჰიპოთეტურადაც კი ვერ წარმოედგინა, რომ ლენინს საკუთარი ნებით შეეძლო დროებითი მთავრობის სასამართლოს წინაშე წარდგომა. ის არ შეეძლოთ 1920 წელს დაუმორჩილებლობის გამო გამოეძახებინათ სამხეთ-დასავლეთის ფრონტიდან, რაც საკმაოდ ძვირი დაჯდა. მაგრამ სტალინს არასაკმარისად ეჩვენებოდა ცნობიერებიდან ამ და სხვა მსგავსი ცოდვების წარხოცვა. მას შემდეგი ნაბიჯი უნდა გადაედგა და ეს ყველაფერი სხვებისთვის მიეწერა. მათთვის, ვისაც ბრალად დასდო კიდეც მთელი დანაშაული, რომელიც თავის თავზე ვერ აიღო. ამ შემთხვევაში არ ჰქონდა მნიშვნელობა სინამდვილეში ჩაიდინეს თუ არა ამ ადამიანებმა ის შეცდომები, რომლებიც მათ მიაწერეს. 1917 წელს კამენევს ზოგიერთ საკითხში მართლაც ეკავა სტალინის ანალოგიური პოზიცია. მეორე მხრივ, არ არსებობს რაიმე საფუძველი იმისათვის, რომ დავადანაშაულოთ ბუხარინი (სწორედ ასეთი ბრალდება წაუყენეს მას შემდგომში), თითქოს ის მოითხოვდა, ლენინი დროებითი მთავრობის სასამართლოს წინაშე წარმდგარიყო. ზუსტად ასევე, შეუძლებელია ტროცკის დაბრალდეს სტალინის სამხედრო წარუმატებლობა (როგორც ამას ადგილი ჰქონდა ზოგიერთ საბჭოურ წყაროში 1929 წელს), რის გამოც იგი სამოქალაქო ომის ფრონტიდან უკან გამოიძახეს.

თუკი სტალინი შინაგან მოთხოვნილებას განიცდიდა, თავისი შეცდომები და წარუმატებლობა სხვებისთვის მიეწერა, ხოლო შემდგომ მათთვის თავს დაეტეხა ამ შეცდომებით და წარუმატებლობით გამოწვეული დანაშაულის გრძნობა და პრეტენზიები საკუთარი თავის მიმართ, მაშინ ყველაზე შესაფერის (თუმცა არა ერთადერთ) ობიექტს ამისთვის ისინი წარმოადგენდნენ, ვინც მან თავის ცნობიერებაში უკვე მიაკუთვნა რევოლუციის მტრების კატეგორიას. საბოლოოდ, ამ მტრების რიცხვში აღმოჩნდებოდა ბევრი მათგანი, ვის წინააღმდეგაც დიდი ხანია გულში ბოღმა ჰქონდა ჩადებული და ვისთვისაც სურდა სამაგიეროს გადახდა იმ მოქმედების (ან უმოქმედობის) გამო, მის თავმოყვარეობას რომ ლახავდა. ვინაიდან უკვე კარგა ხანია ეჯავრებოდა ისინი, რაკი სწორედ მათზე ახდენდა საკუთარი თავისადმი სიძულვილის პროექციას, უფრო და უფრო უძლიერდებოდა მტრული გრძნობები მათ მიმართ და თავს ირწმუნებდა, რომ ისინი იმსახურებდნენ სასჯელს ნებისმიერი ფორმით,

რომელსაც თვითონ შეურჩევდა. აბა, მისი მტრების გარდა ვინ შეიძლებოდა გამხდარიყო ყველა იმ თვისების განსახიერება, რომელიც სტალინს არ მოსწონდა საკუთარ თავში?

ამგვარად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყველაფერი, რასაც სტალინი ქვეცნობიერად უკუაგდებდა თავის თავში, და ის, რასაც შეგნებულად უარყოფდა სხვებში, გაერთიანდა მტრის, ავკაცის სახეში. ყველაფერი, რაც დამახასიათებელი იყო დაწუნებული "ცუდი" სტალინისათვის, - შეცდომები, ნაკლოვანებები, უარყოფითი გამოვლინებები, რომელთაც ადგილი არ ჰქონდა მის მიერვე შექმნილი გმირი-სტალინის სახეში, მტრის ხატებას მიეკუთვნებოდა. განსაკუთრებით კი შინაგანი მტრისას, რომელიც პარტიის ისტორიაში ბოროტგანმზრახველის როლს ასრულებდა. ყველა ის მომენტი, რომელიც შინაგანმა ცენზურამ ამოშალა მისი წარსული ნამოქმედარის და ცოდვების სიიდან, შესაძლოა გადასულიყო მისი მტრების ფსიქოლოგიურ პორტრეტში. უფრო მეტიც, სტალინს საოცარი ნიჭი გააჩნდა, დაენახა და დაეწუნებინა თავის მტრებში ის თვისებები, რომლებსაც საკუთარ თავსაც უწუნებდა, თუმცა კი ვერ ხედავდა მათ. თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომ თავის წარმოსახვით შექმნილ იდეალურ სახეში იგი მეტად თავმდაბალ ადამიანად გამოიყურებოდა, შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ ერთ-ერთი თვისება, რომელსაც ის ქვეცნობიერად უარყოფდა თავის თავში, იყო მისი არაჩვეულებრივი თავმოყვარეობა, ქედმაღლობა. ამიტომაც, სულაც არ არის გასაკვირი, როცა იგი თეორიულ საკითხებში "გადამეტებულ პრეტენზიულობას" მიაწერდა ბუხარინს, რომელიც სინამდვილეში, მართლაც რომ თავმდაბლობის განსახიერება გახლდათ და ბოლშევიზმის წამყვანი აღიარებული თეორეტიკოსიც იყო. გასაკვირი არ არის, ასევე, რომ ის ამტყუნებდა საცოდავ პოკროვსკის, რადგან ეს უკანასკნელი "საკუთარი "მე"-ს ინტერესებს ჭეშმარიტებაზე მაღლა აყენებდა." ასევე, სულაც არ გვაოცებს ის ფაქტი, რომ სტალინი პოკროვსკის სწორედ იმაში ამტყუნებდა, რასაც თვითონ სისტემატურად სჩადიოდა — საკუთარი ცოდვების უდანაშაულოთათვის გადაბრალებაში.

აქ საჭიროა განსაკუთრებით აღვნიშნოთ სტალინის პროეცირებული სახიერების კიდევ ერთი წახნაგი. როგორც უკვე დავრწმუნდით, სტალინი ცდილობდა, რეალურ ცხოვრებაში ეთამაშა ისტორიაში შესული დიდი ადამიანის როლი. ის მთლიანად აიგივებდა თავს ასეთ რევო-

ლუციონერთან და თავს მეორე ლენინად გრძნობდა. არა და, მის მიერ არჩეული როლი მრავალ ისეთ მოთხოვნას უყენებდა, რომელსაც სტალინი უბრალოდ ვერ შეესაბამებოდა; ხსენებული როლი მეტად რთული გამოდგა მისთვის. მთელი ცხოვრება ცდილობდა გამხდარიყო ისეთი ადამიანი, როგორად გახდომაც არ ძალუძდა, რაც ბოლომდე ვერ შეიგნო. ამიტომაც, მისი საქციელის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება იყო შეუგნებელი, გაუცნობიერებელი თვალთმაქცობა, რითაც ალბათ, აიხსნება შთაბეჭდილება, რომელიც მან მოახდინა ისეთ ყურადღებიან დამკვირვებლებზე, როგორებიც კენანი და ჯილასი იყვნენ, რომლებმაც მასში მსახიობი შეიცნეს. ერთი მხრივ, თვალთმაქცობის აუცილებლობა მოწმობდა, რომ სტალინს არ ჰქონდა საკუთარი სიცოცხლის მიზნის განხორციელების უნარი, თუმცა, მეორე მხრივ, თვალთმაქცობა უკიდურესად მიუღებელი რამ იყო თავად სტალინისათვის, რის გამოც აქ საჭირო ხდებოდა დათრგუნვა და პროექცია. ამის შედეგად სტალინს გაუჩნდა მიდრეკილება, ყველგან დაენახა თვალთმაქცობა. ამაზე მშვენივრად მეტყველებს ადრე უკვე აღნიშნული ტენდენცია, ნიღბები დაენახა მის მიმართ მტრულად განწყობილ ადამიანებზე. ამ ნიღბის მატარებელი ცდილობს სხვისი სახე მიიღოს ან სხვა ადამიანად გაასაღოს თავი. სტალინის შინაგანი სამყარო სავსე იყო ნიღბიანი მტრებით. გარეშე მტრებსაც უყვარდათ ნიღბების ტარება, თუმცა ხანდახან იხსნიდნენ მათ. "ნანკინის მოვლენების შემდეგ, - განაცხადა სტალინმა 1927 წელს, - იმპერიალიზმი უარს ამბობს დათაფლულ გამოთქმებზე, ჩაურევლობაზე, ერთა ლიგაზე და ყოველგვარ სხვა ნიღაბზე. ამჟამად იმპერიალიზმი მთელ მსოფლიოს გამოეცხადა ერთიანად გაშიშვლებულ, აშკარა მტაცებლად და მტარვალად."[55] მეორე მხრივ, ნიღბები, რომლებსაც ატარებდნენ შინაგანი მტრები, ყოველთვის უნდა ჩამოეგლიჯათ, რათა მათი ჭეშმარიტი სახე გაშიშვლებულიყო. სტალინის მიდრეკილება გამოეაშკარავებინა შიდა მტრები, რომლებიც, მისი აზრით, ბოლშევიზმის ნიღაბქვეშ თვალთმაქცობით აღსავსე ცხოვრებას ეწეოდნენ, შემაძრწუნებლად აშკარა გახდა 30-იან წლებში

რაკი სტალინს ჩვეულებად ექცა სხვა ადამიანებზე გადაეტანა საკუთარი ხასიათის მიუღებელი თვისებები და მისკენ მიმართული საყვედურები, ამდენად მის მიერ სხვებისათვის წაყენებული ბრალდებების მიხედვით შეიძლებოდა გვემსჯელა თავად მასზე. არამზადა მტრის სახე

გამოიყენებოდა, როგორც იმ ნეგატიური თვისებების საცავი, რომლებსაც სტალინი საკუთარ თავში უარყოფდა. პიროვნული და პოლიტიკური ნაკლოვანებები, ბიოგრაფიის შავი ლაქები, მარცხი, წარუმატებლობა, შეცდომები, სკანდალები - ყველა ფაქტი და მოგონება, რომლებიც იძულებული იყო საკუთარ თავში ჩაეხშო, რადგან გენიალური სტალინის სახეში მათთვის ადგილი აღარ რჩებოდა, მტრის ხატებას მიეწერებოდა და, ამგვარად, გადადიოდა იმ ადამიანებზე, რომლებსაც სტალინი მტრებად მიიჩნევდა. ამის შემდეგ სტალინი "დაუშვებდა" ინკრიმინირებულ ფაქტებს და მოგონებებს საკუთარ ცნობიერებაში, მაგრამ უკვე როგორც ფაქტებსა და მოგონებებს, რომლებიც სხვა ადამიანებთან იყო დაკავშირებული. ანალოგიურად, გრძნობები, რომლებიც ძალზე მტკივნეული იყო, თუკი მათ შეგნებულად საკუთარ თავზე მიიღებდა, სრულიად დასაშვები იყო, როცა საქმე ეხებოდა "სადღაც, იქ არსებულ" მტრებს. სტალინს შეეძლო განეცადა საკუთარი დანაშაული, როგორც მათი დანაშაული, საკუთარი დადანაშაულების სურვილი, როგორც მათი დადანაშაულების სურვილი და ბრალდება საკუთარი მისამართით - როგორც ბრალდება მათ მიმართ. გარდა ამისა, გრძნობებს, რომლებმაც მის ცნობიერებაში "გაიარეს," შეეძლოთ საბაბი მიეცათ პრაქტიკული მოქმედებებისათვის. სტალინს შესაძლებლობა მიეცა გამოეაშკარავებინა დამნაშავეები და დაესაჯა ბრალდებულები.

დაბოლოს, პროექციის მექანიზმი საშუალებას აძლევდა სტალინს, აღექვა საკუთარი შემეცნებისათვის მიუღებელი გრძნობები, როგორც მის წინააღმდეგ მიმართული მტრის გრძნობები. როგორც ჩანს, სწორედ ამით მოახერხა გაეძლო საკუთარი თავისადმი შეუცნობელი ზიზღისა და სიძულვილისათვის, რომლებიც იმით იყო გამოწვეული, რომ არ შეესაბამებოდა საკუთარი იდეალის კრიტერიუმებს. ამის ერთ-ერთი დადასტურება ის იყო, რომ წარმოსახვითი ავაზაკი-მტრის შესაფერისად, მტრებს ყოველთვის უსაზღვროდ სძულდათ სტალინი. რა თქმა უნდა, რეალურ ცხოვრებაშიც იყვნენ ბოლშევიკები, რომლებსაც გულზე არ ეხატებოდათ და ზოგჯერ სძულდათ კიდეც. ამასთან, ის ცხოველური გაიფთრება სტალინის მიმართ, რომელსაც იგი "პარტიის მტრებს" მიაწერდა, საოცრად ჰგავდა სწორედ იმ სიძულვილს, რომელსაც თვითონ განიცდიდა. ახდენდა რა საკუთარი თავისადმი სიძულვილის პროეცირებას არა მხოლოდ მტრებზე, არამედ, ნაწილობრივ, მტრების სიძულვილზე მისი - სტა-

ლინის მიმართ, ის დამატებით საფუძველს პოულობდა იმისათვის, რომ ასეთივე გრძნობებით ეპასუხა მათთვის. ამგვარ შემთხვევაში უკვე შეეძლო მათ წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლა დარწმუნებულს იმაში, რომ მოქმედებს თავდაცვის ფარგლებში. ამჟამად უკვე ეადვილებოდა სხვების თავზე დაეტეხა საკუთარი თვითმკვლელური სიშმაგე.

"ჩვენ მტრებით ვართ გარშემორტყმული, ეს ყველასათვის ნათელია, - განაცხადა სტალინმა პარტიის ყრილობაზე გამოსვლისას 1923 წელს. - ჩვენს ირგვლივ მყოფი იმპერიალიზმის მგლები არ თვლემენ. არ არსებობს ერთი წამიც კი, როცა ჩვენი მტრები არ ცდილობენ დაიკავონ რომელიმე ჭუჭრუტანა, რომელშიც შემოძრომას და ჩვენთვის ზიანის მოყენებას შეძლებენ." [56] მაგრამ სტალინის ეს შეფასება მხოლოდ გარე სამყაროს, ანუ საბჭოთა საზღვრებს გადაღმა მსოფლიოს არ შეეხებოდა. ის თვით რუსეთში და პარტიაშიც კი ისე გრძნობდა თავს, როგორც მტრებით ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრეში. შეუცნობელი მოთხოვნილებები და გრძნობები აიძულებდნენ მას დაენახა თავის პარტიულ გარემოცვაში მოძულე მტრები, რომლებიც თავს აჩვენებდნენ ერთგულ ბოლშევიკებად, სინამდვილეში კი მოთმინებით ელოდნენ, როდის მიეცემოდათ შესაძლებლობა, დარტყმა მიეყენებინათ კომუნიზმის მშენებლობის და სტალინისათვის, როგორც მისი ლიდერისათვის. იქ, სადაც ასეთი მტერი ცოტა იყო, აუცილებელი გახლდათ დიდი რაოდენობით მათი გამოგონება. და სტალინიც ქმნიდა მათ.

შენიშვნები

1. Сталин И.В. Соч., т. 12, с. 1-2.
2. Троцкий Л.Д. Моя жизнь. Опыт автобиографии, т. 2. Берлин. 1930, с. 183-184.
3. Trotsky L. The Revolution Betrayed. New York, 1945, p. 277
4. 1927 წლის 23 ოქტომბერს, ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე გამოსვლისას, მას შემდეგ, რაც შეტანილი იქნა წინადადება პარტიიდან მისი გარიცხვის თაობაზე, ტროცკიმ თქვა: "უხეშობა და არალოიალურობა, რაზეც წერდა ლენინი, უკვე აღარ არის უბრალოდ ხასიათის თვისება. იგი მმართველი ფრაქციის ხასიათი გახდა..." (The Real Situation in Russia. New York, 1928, p. 7).

5. Аллилуева С. Двадцать писем к другу. Нью-Йорк, "Хариер энд Роу", с. 28.
6. Trotsky L. My Life. N. Y., 1930, p. 450. როგორც ჩანს, ტროცკი ეთანხმებოდა ამ შეფასების მეორე ნაწილს, რადგან იქვე (გვ. 477) ახსენებს სტალინის "უზარმაზარ და შურიან ამბიციურობას." სხვა წიგნში იგი აღნიშნავს, რომ სტალინისათვის მთავარი მამოძრავებელი ძალა ხელისუფლებისადმი სწრაფვასთან ერთად იყო "ამბიციურობა, შური - აქტიური, დაუძინებელი შური ყველას მიმართ, ვინც უფრო ნიჭიერი, ძლიერი იყო, მასზე უფრო მაღალი მდგომარეობა ეკავა." შემდეგ: "ის დაულალავად ხლართავდა ინტრიგებს, იყენებდა ადამიანებს და გარემოებებს, ცდილობდა მოეშორებინა, გაემტყუნებინა, ჩირქი მოეცხო, დაემცირებინა ნებისმიერი ადამიანის როლი, ვინც ასე თუ ისე ჯობდა მას ან ეწინააღმდეგებოდა მისი ამბიციების განხორციელებას." (Trotski L. Stalin: An Appraisal of the Man and his Influence. New York, 1967, p. 237, 336).
7. ბორის ნიკოლაევსკი აღწერს ბუხარინის პარიზში ყოფნას წიგნში: Power and the Soviet Elite, New York, 1965, p. 3-7.
8. Дан Л. Бухарин о Сталине. "Новый журнал", 1964, №75, с. 181-182.
9. Сталин И.В. Соч., т.8, с. 173-175.
10 Товстуха И.П. Иосиф Виссарионович Сталин. Краткая биография. М., 1927.
11. პიროვნების განვითარების მოცემული ფორმა შეესაბამება იმას, რაც აღწერილია ნაშრომში: Horney Karen. Neurosis and Human Growth. New York, 1950. იხ.: კერძოდ, თავი 1, 4, 8, გვ. 197-212.
12. Сталин И.В. Соч., т. 7, с. 375.
13. იქვე, т. 10, с. 175.
14. McNeal Robert H. Stalin's Works: An Annotated Biography. Stanford, 1971, p. 129. გამოსვლის ტექსტი, რომელიც შეიცავდა ლენინის "პოლიტიკური ანდერძის" დამატებას, გამოქვეყნდა 1927 წლის 2 ნოემბერს გაზეთ "პრავდაში."
15. Allilueva Svetlana. Only One Year. New York, 1969, p. 379.
16. Королев И.Г. Воспоминания о партийных съездах. - Вопросы истории, 1956, №2, с. 12-13. იხ. აგრეთვე: Аллилуева С. Двадцать писем к другу, с. 28. ამ წიგნში ნახსენებია სტალინის ჩვეულება, ელაპარაკა ხმადაბლა, მონოტონურად.

17. Аллилуева С. Двадцать писем к другу, с. 29, 63, 114.
18. იქვე, გვ. 97, 150. ვაჟიშვილისადმი მამის აგდებულ დამოკიდებულებას სვეტლანა იმით ხსნის, რომ ისინი ხასიათით მეტად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. "იაშას მშვიდი და რბილი ხასიათი აღიზიანებდა მამას, რომელიც სიბერეშიც კი სწრაფი და ენერგიული დარჩა." ეჭვგარეშეა, რომ შვილისადმი სტალინის მტრული დამოკიდებულება მრავალგვარი რთული გრძნობებით იყო გამოწვეული.
19. Allilueva Svetlana. Only One Year, p. 370.
20. Gitlow Benjamin. I confess: The Truth about American Communism, New York, 1929, p. 15. სვეტლანას განცხადების ტექსტი იხ. წიგნში: Stalin's Speeches on the American Communist Party. New York, n.d., p. 15.
21. Trotsky L. Stalin..., p. 375. ტროცკის ამის შესახებ თავად კრუპსკაიამ უამბო ლენინი სიკვდილის შემდეგ.
22. Kennan George F. Russia and the West under Lenin and Stalin. Boston, 1960, p. 248. ერვინ ჰოფმანი ამტკიცებს, რომ "შემსრულებლები" ზოგჯერ მთლიანად შეეზრდებიან ხოლმე როლს, ზოგჯერ კი არა. "პირველ შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ, რომ შემსრულებელი მთლიანად ემორჩილება შესასრულებელ როლს; მას შეიძლება გულწრფელად სწამდეს, რომ სწორედ მის მიერ შექმნილი სახე წარმოადგენს რეალობას." (The Presentation of Stalins everyday Life. Garden City, 1959, p. 17). თუ სტალინს განვიხილავთ, როგორც მსახიობს, იგი სრულიად შეესაბამება ამ კატეგორიას.
23. Djilas Milovan. Conversations with Stalin, New York, 1962, p. 69-70, 97, 103.
24. Елагин Ю. Укрощение искусств. Нью-Йорк, 1952, с. 381. ციტირებულია წიგნის: Jelagin Jury. The Taming of the Arts. New York, 1951, p. 287-288 მიხედვით.
25. Ульянова М.И. Секретарь "Правды". М., 1965, с. 199-200.
26. Lunghi Hugh. Stalin Face to Face. - "The Observer Weekend Review", February 24, 1963, p. 25.
27. Trotsky L. Stalin..., p. 389. ამის შესახებ ენუქიძემ უამბო ტროცკის ახლო მეგობარს სერებრიაკოვს.
28. Аллилуева С. Двадцать писем к другу, с. 101.
29. იქვე, გვ. 100. სვეტლანა ალილუევამ ამის შესახებ სტალინის სიკვდილის შემდეგ გაიგო თავისი დეიდის, ანასაგან.

30. იქვე, გვ. 24-34, 132.
31. იქვე, გვ. 24, 33, 34, 38.
32. როი მედვედევი ვარაუდობს, რომ მათ 1931 წლის ზაფხულში გაიცნეს ერთმანეთი, როცა, როგორც იგი წერს, სტალინი სამხრეთში გაემგზავრა დასასვენებლად და სამკურნალოდ, ბერიას კი მისი დაცვა ევალებოდა. თუმცა აქ მედვედევი საკუთარ თავს ეწინააღმდეგება, ვინაიდან იქვე წერს, რომ შემდგომში, 1931 წელს, როდესაც ორჯონიკიძესთან მოსკოვში ამიერკავკასიის პარტიულ მოღვაწეთა დელეგაცია ჩამოვიდა, რათა პროტესტი გამოეხატათ იმის გამო, რომ სტალინი ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციის მეორე მდივნად ბერიას დანიშვნას აპირებდა, ორჯონიკიძემ მათ უპასუხა: "დიდი ხანია ვეუბნები სტალინს, რომ ბერია არამზადაა, მაგრამ არ მიჯერებს და ვერც ვინმე სხვა შეაცვლევინებს აზრს." (Let History Judge: The Origins and Consequences of Stalinism, New York, 1971, p. 243).
33. Аллилуева С. Двадцать писем к другу, с. 18. სვეტლანა ალილუევა წერს, რომ უკვე მოზრდილი იყო, როცა სტალინმა ამის შესახებ უამბო.
34. იქვე, გვ. 131.
35. Луначарский А.В. Революционные силуэты. М., 1923, с. 26, 27.
36. Сталин И.В. Соч., т. 8, с. 99.
37. იქვე, т. 9, с. 180.
38. Луначарский А.В. Революционные силуэты, с. 27.
39. Trotsky L. Stalin..., p. 389, 394.
40. Deutscher Isaac. The Prophet Unarmed: Trotsky, 1921-1929. London, 1959, p. 296. ტროცკის ნაამბობი ამ ეპიზოდის შესახებ იხ.: Trotsky's Dairy in Exlle, 1935. New York, 1963, p. 69.
41. Deutscher Isaac. The Prophet Unarmed, p. 296-297. დეიჩერი ციტირებას უკეთებს ტროცკის ბინაზე მომხდარი ამ ეპიზოდის თვითმხილველის ნაამბობს შემდეგი წიგნის მიხედვით: Serge Victor. Vie et Mort de Trotsky, Paris, 1951, p. 180-181, რომელზე მუშაობაშიც მონაწილეობდა ტროცკის მეუღლე სედოვა.
42. Сталин И.В. Соч., т.9, с. 315-321.
43. იქვე, т. 13, с. 20-22.
44. Аллилуева С. Двадцать писем к другу, с. 74-75.
45. Сталин И.В. Соч., т.11, с. 63.

46. იქვე, т. 4, с. 232.
47. იქვე, с. 181.
48. იქვე, с. 246-248.
49. "Правда", 21 декабря 1929 года.
50. Сталин И.В. Соч., т.9, с. 317.
51. იქვე, т. 12, с. 100-101.
52. Аллилуева С. Двадцать писем к другу, с. 54-55.
53. Trotsky L. Stalin..., p. 414.
54. Сталин И.В. Соч., т.9, с. 192.
55. იქვე, с. 198-199.
56. იქვე, т. 5, с. 224.

ახალი ბმირი.
კულტის დაბადება
(ნაწყვეტები წიგნიდან "სტალინი. გზა ძალაუფლებისაკენ")

1929 წელს ქვეყნის საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავდა სტალინის დაბადების 50 წელს. ეს ამბავი მიანიშნებდა მისი პიროვნების კულტის ეპოქის დასაწყისს - მოვლენისა, რომელსაც 30-40-იან წლებში გიგანტურ მასშტაბებამდე გაზრდა მოელოდა. 1929 წლამდე პიროვნების კულტი იშვიათად და უმნიშვნელოდ მეღავნდებოდა. მაგალითად, სტალინის დაბადების 46 წლისთავი მხოლოდ საქართველოში აღნიშნეს და მხოლოდ თბილისის გაზეთებში გააშუქეს, თუმცა, ამაზე ადრე ეროვნული საკითხების სახალხო კომისარიატმა გამოაქვეყნა მცირე ხალხების წარმომადგენელთა მიმართვა სტალინისადმი, სადაც მას საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის დამამკვიდრებლად მოიხსენიებდნენ. მიმართვაში წინასწარმეტყველებდნენ "მთელს მსოფლიოში ერთიანი ძმური კომუნისტური ოჯახის შექმნას," რომლისთვისაც უნდა ესწავლებინათ "იმ უზარმაზარი დამსახურების დაფასება, რომელიც თქვენ - ჩაგრული ერების ბელადს მიგიძღვით." [1] ასევე, 1920 წელს, სტალინის ბაქოში ჩასვლასთან დაკავშირებით, გამოქვეყნდა პირფერული მისალმება მისდამი, მაგრამ ყველა ეს ფაქტი ოდნავაც ვერ შეედრება იმას, რაც მოხდა მოგვიანებით, 1929 წელს.

შემდგომი მოვლენები გამოწვეული იყო პოლიტიკური მოტივებისა და სტალინის პირადი მოთხოვნილებების შერწყმით. ოპოზიციის განადგურების შემდეგ სტალინმა და მისმა თანამებრძოლებმა პოლიტიკური მანევრის არნახული თავისუფლება მოიპოვეს, რამაც შექმნა სტალინის კულტის წარმოშობის წინაპირობა. მისი წინამორბედი ლენინის კულტი გახლდათ, რომელიც უკვე გადაქცეულიყო ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელ ინსტიტუტად. სტალინის კულტის წარმოქმნის ერთ-ერთი პოლიტიკური მოტივი იყო სტალინისა და მისი გარემოცვის სურვილი განემტკიცებინათ თავიანთი ხელისუფლება იმ პერიოდში, როცა ქვეყანაში ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზა-

ციის ტემპები იზრდებოდა.[2] გასათვალისწინებელია, აგრეთვე სტალინის გარემოცვის ცალკეული მოღვაწეების პოლიტიკური მოტივები, რომლებსაც, პოლიტიკური კარიერის კიბეზე მაღლა ასვლა სურდათ და მხარს უჭერდნენ ამ ტენდენციას, რადგან იცოდნენ, რომ ამას მათი ლიდერიც მოიწონებდა.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სულაც არ არის აუცილებელი ვივარაუდოთ, რომ სტალინი ინსპირირებას უკეთებდა და მხარს უჭერდა თავისი იუბილეს ზეიმს მხოლოდ და მხოლოდ იმ შეგნებული სწრაფვიდან გამომდინარე, რომ საზოგადოებრიობის აღიარება მოეპოვებინა. როცა იუბილეს განზრახვა მოიწონა (მოგეხსენებათ, სტალინის ნებართვის გარეშე მას არავინ აღნიშნავდა), ის ალბათ ხელმძღვანელობდა საკუთარი წარმოდგენით იმის შესახებ, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა იყოს ბელადსა და მის მიმდევრებს შორის. გმირი - ბელადი მხოლოდ ის არის, ვისაც ასეთად მიიჩნევენ და ვინც თავის მიმდევრებში აბსოლუტური ნდობით და სიყვარულით სარგებლობს. ეს აზრი სტალინს სიჭაბუკიდანვე არ აძლევდა მოსვენებას, როდესაც ყაზბეგის ნაწარმოებებს გაეცნო და პირველად შეიტყო იმის შესახებ, როგორ აღფრთოვანებული იყვნენ კავკასიის მთიელები თეთრ ცხენზე ამხედრებული "რკინისებრი მხედართმთავრით" - ბელადი შამილით. ბოლშევიკის გამოცდილებამ კიდევ უფრო განუმტკიცა სტალინს ეს წარმოდგენა. წინათ ბოლშევიკებისათვის გმირი-ბელადი ლენინი გახლდათ. სტალინს მუდამ ახსოვდა ეს და არც ლენინის სიკვდილის შემდგომი კულტი აძლევდა ამის დავიწყების საშუალებას. ამიტომ სტალინს ვერ დაკმაყოფილებდა უბრალოდ მბრძანებელი ლიდერის როლი. მას არ შეეძლო თავი ეგრძნო ნამდვილ "ფოლადისებურ ადამიანად," ვიდრე პარტიული აპარატის ხოტბაშეუსხმელ ხელმძღვანელად რჩებოდა. არ შეეძლო გამხდარიყო მეორე ლენინი, რადგან არ ფლობდა იმ ქებისა და აღიარების მცირედ ნაწილსაც კი, რაც ლენინს გააჩნდა სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგ.

მაგრამ პარადოქსი ის იყო, რომ სტალინმა მოიპოვა ფართო აღიარება, როგორც პარტიის ახალმა უმაღლესმა ხელმძღვანელმა იმ დროს, როდესაც არ გააჩნდა საკუთარი ქარიზმა და, ნაწილობრივ სწორედ იმიტომაც, რომ საერთოდ მოკლებული იყო მას. როგორც უკვე აღინიშნა, იმ პერიოდში პარტიული ხელმძღვანელობისა და ფუნქციონერების

უმეტესობას არ სჭირდებოდა ახალი ლიდერი — მესია. ბელადის როლში მათ სჭირდებოდათ არა დიდი რევოლუციონერი ან ახალი ქარიზმატული ლიდერი, არამედ პრაქტიკული, ჯანსაღად მოაზროვნე ხელმძღვანელი, რომელიც მყარ კურსს აიღებდა სოციალიზმზე და გონივრულ საგარეო პოლიტიკას გაატარებდა. სტალინმა სწორედ ამ მხრივ დაიმკვიდრა სახელი. ამიტომაც უმაღლეს პოსტზე დაწინაურების შემდეგაც კი იგი არავის მიაჩნდა მხსნელ გმირად. 20-იანი წლების დასასრულს სტალინის პოპულარულობას პარტიულ წრეებში არაფერი ჰქონდა საერთო იმ გრძნობებთან, რომელსაც ლენინი იწვევდა. სტალინი იმიტომ როდი აღიარეს ბელადად, რომ მას რაიმე განსაკუთრებული პირადი ღირსებები გააჩნდა, არამედ იმიტომ, რომ ბევრი იზიარებდა მის პოლიტიკურ კურსს და სჯეროდათ, რომ წარმატებით შეძლებდა მის გატარებას ცხოვრებაში. ამას გარდა ბოლშევიკებს არ მიაჩნდათ, რომ ლენინის კულტის არსებობა უეჭველად გულისხმობდა მისი მემკვიდრის კულტს. ლენინი რჩებოდა დიდად პატივსაცემ ბელადად მას შემდეგაც კი, როცა ახალ ლიდერად სტალინი აღიარეს. სამთავრობო წრეებში სტალინს "პატრონს" ეძახდნენ, რაც ასახავდა საბჭოთა იერარქიაში მისდამი დამოკიდებულებას. 1929 წლის შუა ხანებშიც კი სტალინის კულტი ჯერ არ არსებობდა და არაფერი მიანიშნებდა იმაზე, რომ მმართველი პარტია ისწრაფვის მის შესაქმნელად.

სწორედ პოლიტიკურმა წარმატებამ, რომელმაც განამტკიცა სტალინის მაღალი წარმოდგენა საკუთარ თავზე, ფსიქოლოგიურად მოწყვლადი გახადა მისი დამოკიდებულება პარტიის მიმართ. უმაღლეს ხელისუფლებას რომ მიაღწია, სტალინმა კიდევ უფრო მეტი თაყვანისცემა მოისურვა, რომელიც ჯერ არ გააჩნდა და ამას დღითიდღე სულ უფრო მწვავედ განიცდიდა. იმისდა მიხედვით, როგორ იზრდებოდა მისი გავლენა პარტიაში, სტალინი აღიარების სულ უფრო მეტ ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებას განიცდიდა, რადგან ესმოდა, რომ პირადი ავტორიტეტი მზარდ პრაქტიკულ და პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენს, განსაკუთრებით არსებულ ისტორიულ მომენტში. მას შეგნებული ჰქონდა, რომ ხელმძღვანელობის ბოლშევიკური ტრადიციებიდან გამომდინარე, ფაქტობრივი უმაღლესი ლიდერობა, თუნდაც გენერალური მდივნის პოსტის ფლობა, სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ბელადი ხარ. ეს რომ

ასე იყო, მოწმობს მისი წერილი გერმანელი კომუნისტების ერთ-ერთი ხელმძღვანელისადმი (1925 წ): "პარტიის ბელადებს შეუძლიათ ჭეშმარიტი ბელადები გახდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მათი არა მხოლოდ ეშინიათ, არამედ პატივსაც სცემენ პარტიაში, აღიარებენ მათ ავტორიტეტს." [3]

რაკი ბელადის ოფიციალური თანამდებობა არ არსებობდა, ერთადერთი საშუალება, რომლის მეშვეობით სტალინს შეეძლო საბოლოოდ დაემკვიდრებინა თავი და განმტკიცებულიყო მემკვიდრის როლში, იმაში მდგომარეობდა, რომ მიეღწია პარტიის რიგებში მისი ამ როლის საყოველთაო აღიარებისათვის. უმაღლეს ლიდერად გახდომა მის საყოველთაო აღიარებას და ასეთად გამოცხადებას ნიშნავდა. თავის პოლიტიკურ ბიოგრაფიაში ახალი სტრიქონის შესატანად საჭირო იყო კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა — სტალინის, როგორც პარტიის მეთაურისადმი მიძღვნილი დღესასწაულის მოწყობა.

ასეთი დღესასწაულის კარგი საბაბი — სტალინის დაბადების 50 წლისთავი — პარტიაში ცოტა ხნის წინ მომხდარი პოლიტიკურად დროული ამბები აღმოჩნდა. აქ კარგი იქნება გავიხსენოთ ის ამბავიც, რომ, მართალია, ლენინი ებრძოდა საკუთარი კულტის პირველ გამოვლინებებს, მაგრამ ის მაინც დამორჩილდა, თუმც ძალზე უხალისოდ და გულდამძიმებული, პარტიული წრეების სურვილს, მის ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით კრება ჩაეტარებინათ. ამრიგად, პარტიის ისტორიაში უკვე არსებობდა პრეცედენტი, რომელიც სტალინის პატივსაცემად ზეიმის გამართვის უფლებას იძლეოდა. ამას გარდა, ვინაიდან სტალინის ფრაქციის პოლიტიკური გავლენა იზრდებოდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ სტალინთან დაახლოებულ პირებს საკმაოდ გაუადვილდათ ზეიმის მოწყობა. სწორედ იმ პერიოდში სტალინის ხალხმა აპარატში მნიშვნელოვანი თანამდებობები მიიღო, რომლებსაც ადრე სხვა პირები ფლობდნენ. მაგალითად, სტალინის თანაშემწე მეხლისი გახდა "პრავდის" პასუხისმგებელ მდივნად დაინიშნა 1929 წლის აპრილში, სულ მალე, მას შემდეგ, რაც ამ გაზეთის რედაქტორის პოსტიდან წავიდა ბუხარინი, ხოლო შემდგომ მეხლისი "პრავდის" რედაქტორი გახდა.

სტალინის დაბადების დღე პარტიის წევრების კრებაზე როდი აღნიშნეს, როგორც ეს ლენინის შემთხვევაში იყო. ალბათ იმიტომ, რომ

სტალინს ახსოვდა — 1920 წელს ლენინი არ მივიდა ცერემონიაზე, შემდეგ კი ძალზე მცირე ხნით გამოჩნდა და თავისი უკმაყოფილება გამოხატა. სტალინის იუბილე მხოლოდ მეგობრების შეხვედრა არ იყო, ეს ნამდვილი ბიუროკრატიული სპექტაკლი გახლდათ. ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან იტყობინებოდნენ, რომ მუშები იღებენ მისალოც რეზოლუციებს "ძვირფასი ბელადის" მისამართით და ხუთი დღის განმავლობაში "პრავდა" ასობით ორგანიზაციას ასახელებდა, რომლებმაც მილოცვები გამოგზავნეს. 21 დეკემბერს საბჭოთა კავშირში მისი ქება-დიდებით სავსე გაზეთების საგანგებო გამოშვებები გამოიცა. ყველა მილოცვას ლაიტმოტივად გასდევდა აზრი, რომ სტალინი, როგორც "პრავდა" წერდა, გახდა ლენინის მემკვიდრე "პარტიის ხელმძღვანელისა და ბელადის პოსტზე." პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური საკონტროლო კომისია ესალმებოდნენ მას თავის მიმართვაში, როგორც "საუკეთესო ლენინელს, ცენტრალური კომიტეტის და მისი პოლიტბიუროს უხუცეს წევრს." პარტიული თანამებრძოლები მისალოც სტატიებში ქება-დიდებას ასხამდნენ სტალინს, როგორც ლენინის ყველაზე ნიჭიერ მოწაფეს და მემკვიდრეს. გამოქვეყნდა სტალინის ოფიციალური ბიოგრაფია, რომელიც შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა: "ლენინის გარდაცვალების შემდგომ წლებში, ლენინის საქმის ყველაზე გამოჩენილი განმგრძობი და მისი ყველაზე ორთოდოქსული მოწაფე სტალინი — პარტიის ყველა უმთავრესი ღონისძიების სულისჩამდგმელი სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლის საქმეში —პარტიისა და კომინტერნის აღიარებულ ბელადად იქცა." მთელი ეს მისალოცი მასალა შეგროვდა და გამოიცა ერთ წიგნად, რომლის პირველი ტირაჟი 300 ათასი ეგზემპლარი იყო.[4] ასე დაიწყო ეპოქა, რომელსაც შემდგომში საბჭოთა კავშირში სტალინის პიროვნების კულტს დაარქმევენ.

ლენინისა და სტალინის 50 წლისთავის იუბილეებს შორის მთავარი განსხვავება ის კი არ იყო, რომ უკანასკნელს უაღრესად ფართოდ აღნიშნავდა პრესა და წინასწარ იყო მომზადებული, არამედ ის, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ ამ ზეიმებისადმი თვითონ ლენინს და სტალინს. აშკარაა, ლენინს ემძიმებოდა საკუთარი მისამართით ქება-დიდების მოსმენა. სტალინისათვის, როგორც ყველაფრიდან ჩანს, იუბილე ტრიუმფად იქცა. ის ძალზე კმაყოფილი იყო, რაც აშკარად ჩანს იმ წერილიდან, რომლითაც მან მიმართა ყველას, ვინც კი მიულოცა: "თქვენი

მოლოცვები და მოსალმებანი მთლიანად ეკუთვნის ჩვენს დიად პარტიას და მუშათა კლასს, რომელმაც შემქმნა და აღმზარდა მე თავის ხატად და სახედ. და სწორედ იმის გამო, რომ მათ ჩვენს დიად ლენინურ პარტიას მივაკუთვნებ, თავზე ვიღებ სითამამეს, ბოლშევიკური მადლობით გიპასუხოთ.

ეჭვი არ შეგეპაროთ, ამხანაგებო, რომ მზად ვარ შევწირო მთელი ჩემი ძალ-ღონე, მთელი ჩემი უნარი და, თუ საჭირო გახდა, სისხლის უკანასკნელი წვეთი, მუშათა კლასის, პროლეტარული რევოლუციისა და მსოფლიო კომუნიზმის საქმეს." [5]

ეს ტექსტი გულდასმით არის მოფიქრებული და, ამასთან, უაღრესად მჭერმეტყველურია. ჯერ ერთი, სტალინი აშკარად ცდილობს თავმდაბლად გამოიყურებოდეს მიუხედავად მის მიმართ გამოთქმული დითირამბებისა, და თავს ისე აჩვენებს, თითქოს ისინი პარტიას ეკუთვნის და არა მას, რაც, ცხადია, არ შეესაბამება სინამდვილეს. მეორეც, წერილში გამოყენებულია პარტიის უცნაური სახება, რომელმაც შვა და აღზარდა სტალინი, საიდანაც გამომდინარეობს, რომ პარტია დედაა, სტალინი კი — მისი შვილი. შესაბამისად, პარტიის სახით ის ხედავდა, ანდა სურდა დაენახა მისდამი ნდობის, ფაქიზი ერთგულებისა და აბსოლუტური აღტაცების, ანუ იმ გრძნობების კიდევ ერთი წყარო, რასაც მისდამი მშობელი დედა განიცდიდა. დედის მხრიდან თაყვანების სანაცვლოდ მას პარტიის თაყვანება სჭირდებოდა.

დასასრულ, თითქოს ამ უნებური აღიარების დასადასტურებლად, სტალინმა თავისი თავი წარმოადგინა შარავანდედით მოსილ გმირად, რომელიც მზად იყო მოწამებრივად მომკვდარიყო და სისხლის უკანასკნელი წვეთიც კი გაეწირა კომუნიზმის საქმისათვის. ეს აშკარა მაგალითია იმისა, თუ როგორ უყვარდა სტალინს საკუთარი სახების დრამატიზება, რაშიც არაერთხელ დავრწმუნდით. პარტიულ წრეებში, იმ ადამიანთა შორის, ვისაც იგი თვალში არ მოსდიოდა, გაიგონებდით ხუმრობას, რომელშიც კარგად იყო დაჭერილი სტალინის წერილის მელოდრამატიზმი: "რას თავმდაბლობს და წვეთ-წვეთად სწირავს სისხლს! განა არ შეუძლია, მთელი სისხლი ერთბაშად შესწიროს?" [6]

საუკეთესო ლენინელი

სტალინის ორმოცდაათი წლისთავი არ იყო მხოლოდ იუბილე, რომელმაც ლენინის სიკვდილის შემდეგ დააგვირგვინა მისი მოღვაწეობა საკუთარი პოლიტიკური ბიოგრაფიის შექმნის თვალსაზრისით, ეს საკუთარი ფსიქოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებაც გახლდათ — აღიარებული ყოფილიყო კომუნისტური მოძრაობის დიად მოღვაწედ. ჩატარებული დღესასწაულის მთავარი მიზანი, ერთი მხრივ, იმაში მდგომარეობდა, რომ საზოგადოებრიობის თვალში შემქნილიყო ლენინის მემკვიდრისა და აღიარებული ბელადის ხატი. ამ მიზნის მისაღწევად გათამაშდა გრანდიოზული სპექტაკლი, რომელშიც პარტიამ და ხალხმა სტალინი უზენაეს ბელადად მიიჩნიეს. ამის განხორციელებას ხელს უწყობდა ისიც, რომ სტალინის რევოლუციური ბიოგრაფია და მისი პოლიტიკური პორტრეტი იმგვარად იყო დახატული, როგორიც სრულიად შეესაბამებოდა უზენაეს ბელადს. აქ აშკარავდება საქმის მეორე მხარეც. სტალინის, როგორც რევოლუციის გამოჩენილი ბელადის სახალხო ხოტბა ("უდრეკი ბოლშევიკი" — ასე მოიხსენიებდნენ მას მრავალ მისალოც სტატიაში) ემსახურებოდა მის მოთხოვნილებას, განმტკიცებულიყო სწორედ ამ სახით. სტალინის მეგობრებსა და თანამებრძოლებს კარგად ესმოდათ ეს და ისიც იცოდნენ, როგორი ფორმით გამოეხატათ აღიარება, რათა განსაკუთრებული სიამოვნება მიენიჭებინათ მისთვის. ამიტომაც თავიანთ ხოტბებში ისინი ქებას ასხამდნენ იმ თვისებებს, იმ რევოლუციურ ჩვევებს, რომლებსაც სტალინი თვითონ ხედავდა თავის თავში. გმირობას, რომელსაც უმღერდნენ, იმგვარად წარმოსახავდნენ, როგორც თავად სტალინს უყვარდა ხოლმე გახსენება. ყოველივე ამის შედეგად, როგორ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, სტალინმა, რომელიც ასეთი გულჩათხრობილი იყო სხვა პოლიტიკოსებთან შედარებით და წინააღმდეგი იყო ემსჯელა პირადად მასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მოულოდნელად ოდნავ ახადა ფარდა საკუთარ კულტს. სხვისი სიტყვებით იკვეთებოდა მის მიერ შეთხზული გმირული შინაგანი სამყარო.

იმ გმირულ როლებს შორის, რომელიც სტალინმა მისივე აზრით შეასრულა რუსეთისა და მსოფლიო რევოლუციის ისტორიაში, უპირველესი გახლდათ "საუკეთესო ლენინელის" როლი, ასე ხშირად რომ მოიხ-

სენიებოდა საიუბილეო მასალებში. ეს არც არის გასაკვირი, თუ გავიხსენებთ, რომ იგი ჯერ კიდევ სიჭაბუკეში აიგივებდა თავის თავს ლენინთან. ბოლშევიკურ მოძრაობაში, მისი რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისში, როგორც თვითონ ეჩვენებოდა, ის და ლენინი განუყრელები იყვნენ, როგორც ბელადი და მისი თანაშემწე. ჯუღაშვილის თვითშეფასებით "სტალინის" სახე თავიდანვე დაკავშირებული იყო "საუკეთესო ლენინელის" ცნებასთან. ახლა, მისი დაბადების ორმოცდამეათე წლისთავზე, სტალინს სწორედ ამგვარად ესალმებოდნენ.

სტალინი სხვადასხვაგვარად განამტკიცებდა საკუთარ თავს იმ როლში, რომელიც რევოლუციურ სარბიელზე აირჩია: ლენინის ყველაზე ერთგული მოწაფე, ამხანაგი და საიმედო თანაშემწე, მისი მეორე "მე." სტალინის ცხოვრებას სწორედ ისე წარმოადგენდნენ ხოლმე, როგორადაც თვითონ ხედავდა მას. "შენი, როგორც პროფესიული რევოლუციონერის მუშაობის პირველივე დღეებიდან, როდესაც ლენინის ხელმძღვანელობით ქმნიდი ბოლშევიკური ორგანიზაციის პირველ უჯრედებს, თავი გამოიჩინე, როგორც ლენინის ერთგულმა და საუკეთესო მოწაფემ. ლენინის უშუალო მოწაფეებსა და თანამებრძოლებს შორის შენ აღმოჩნდი ყველაზე მტკიცე და ბოლომდე თანმიმდევრული ლენინელი. მთელ შენს მოღვაწეობაში, არც თეორიულ პრინციპულ პოზიციებში და არც პრაქტიკულ მუშაობაში ერთხელაც არ გადაგიხვევია ლენინური გზიდან." — ნათქვამი იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის მისალმებაში. ეს მოტივი ჟღერდა ყველა მისასალმებელ სტატიაში, მაგრამ განსაკუთრებით გამომსახველი იყო ენუქიძისა და ორჯონიკიძის სტატიებში. "სტალინი მუდამ ლენინთან ერთად იყო, არასოდეს მოსცილებია გვერდიდან, არასოდეს უღალატია მისთვის," — წერდა ენუქიძე. ხოლო ორჯონიკიძე, რომელიც თითქოს ცდილობდა მეხსიერებიდან სამუდამოდ ამოეშალა 1908 წელს ნათქვამი სიტყვები "ჭიქაში დატრიალებული ქარიშხლის" შესახებ, ცრუმოწმედ გამოდიოდა იმის თაობაზე, რომ, როცა ლენინი ბოგდანოვს ემიჯნებოდა, "ბაქოელმა ბოლშევიკებმა ამხანაგ სტალინის მეთაურობით ლენინს დაუჭირეს მხარი." შემდგომ იგი წერს, რომ სტალინს არასოდეს გაუწყვეტია კავშირი ლენინთან და დასძენს: "ლენინმა იცოდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე. დიდად აფასებდა და ენდობოდა მას." გარდა ამისა, ორჯონიკიძე

ლენინის ერთგულ მოწაფეს "ყველანაირ ტროცკეებს" ადარებდა, რომ-ლებიც იმ პერიოდში გამძაფრებით ებრძოდნენ ლენინს და წერდა, რომ მხოლოდ უსაზღვრო ერთგულება დაეხმარა მას დიდი მასწავლებლის გვერდით დგომაში იდეოლოგიური განუკითხაობისა და ორგანიზაციული ქაოსის წლებში. "ასე ურყევად ერთგული იყო ამხანაგი სტალინი."

ასეთივე კონტექსტში ემელიან იაროსლავსკი ასევე იხსენებს, როგორ გაერთიანდა აგვისტოში ტროცკი მენშევიკ-ლიკვიდატორებთან ერთ ბლოკში, ხოლო "სტალინი ლენინთან ერთად დარტყმას დარტყმაზე აყენებდა ამ ბლოკს." ისევე, როგორც ყველა, იაროსლავსკი ხაზს უსვამს, რომ ლენინი დიდ პატივს სცემდა სტალინს და ხშირად მიმართავდა მას რჩევისათვის. ლენინის რევოლუციამდელი მიმოწერის გულდასმით შესწავლის შემდეგ ნაპოვნი იქნა ლენინის მიერ 1911 წელს წარმოთქმული ფრაზა - ლენინი აქებს სტატიას, რომელშიც კობა მხარს უჭერდა არალეგალური პარტიის შექმნის აუცილებლობის იდეას: "ამხანაგ კ-ს (ანუ ამხანაგ სტალინის) კორესპონდენცია იმსახურებს ყველა იმ ადამიანის უდიდეს ყურადღებას, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი პარტია." იმის დასამტკიცებლად, რომ ლენინს ჩვევად ჰქონდა კრიტიკულ მომენტებში რჩევისათვის მიემართა "საუკეთესო ლენინელისათვის," გაზეთ "იზვესტიას" რედაქტორმა მაქსიმილიან საველიევმა ციტატა მოიყვანა 1918 წლის 15 თებერვალს ბრესტიდან მოსული ინსტრუქციების თაობაზე შეკითხვის პასუხად, ტროცკისათვის ლენინის მიერ პირდაპირი ფოსტით გაგზავნილი წერილიდან: "პასუხი ტროცკის. მინდა ჯერ სტალინს მოვეთათბირო ამ საკითხზე და ისე გიპასუხოთ შეკითხვაზე." სამი დღის შემდეგ იგი მეორე წერილს გზავნის: "ტროცკის. ახლახანს ჩამოვიდა სტალინი, მოვილაპარაკებთ და შეგატყობინებთ ერთობლივ პასუხს. ლენინი."

საიუბილეო მასალებიდან ჩანდა, რომ სტალინი "საუკეთესო ლენინელი" იყო არა მხოლოდ ლენინის სიცოცხლეში, არამედ მისი სიკვდილის შემდეგაც. სტალინის ბრძოლა პარტიულ ოპოზიციათა წინააღმდეგ წარმოდგენილი იყო, როგორც ახალ პირობებში ლენინის მიერ შიდაპარტიული ფრაქციულობის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება. ლენინის სიკვდილის შემდეგ სტალინმა, თავისი ძალისხმევის წყალობით, "საუკეთესო ლენინელის" როლის თამაში დაიწყო კომუნისტური მომავლის შენების ლენინური გეგმების რეალიზაციის საქმეში. ცნობილმა საბჭოთა

ჟურნალისტმა მიხეილ კოლცოვმა ამ თემის საინტერესო გაგება შემოგვთავაზა სტატიაში, რომლის სათაურია: "სტალინი - გამოცანა." სტალინი იდუმალი ფიგურა იყო მსოფლიო ბურჟუაზიისათვის, რომელიც მას უწოდებდა "გამოცანას," "კომუნისტურ სფინქსს," "გაუგებარ პიროვნებას," - წერდა კოლცოვი, - მაგრამ იგი სულაც არ წარმოადგენდა გამოცანას საბჭოთა მუშებისათვის ისევე, როგორც მისი ცნობილი იდეები ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების, ხუთწლიანი გეგმის ან თვითკრიტიკის თაობაზე. ნებისმიერი საამქროს პარტიული უჯრედის მდივანს შეეძლო სტალინის გამოცანის გამოცნობა, თუ ლენინის, როგორც "უდიდესი მარქსისტის, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მუშათა კლასის ბელადის" შესახებ მისი სიტყვების პერიფრაზირებას მოახდენდა. მას შეეძლო ეამბნა, რომ "სტალინი არის ლენინის შემდგომი ეპოქის უდიდესი ლენინელი, ეპოქისა, რომელსაც ახალი წინააღმდეგობები და კლასობრივი ბრძოლები ახასიათებს." [7]

სწორად გაიგო თუ არა კოლცოვმა, რომ სტალინი თავის თავს ლენინის გვერდით აყენებდა და სწორად ახსნა თუ არა მან ამ მოსაზრების ფარული ფსიქოლოგიური მიზეზი? როგორც ჩანს, გაიგო, რაკი სტალინის გამოცანის გასაღებად ლენინის სტალინისეული განსაზღვრება შემოგვთავაზა, ხოლო პოეტმა-პუბლიცისტმა დემიან ბედნიმ გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ლენინის დახასიათებისას, სტალინი საკუთარ თავზე საუბრობს. დემიან ბედნი წერდა, რომ სტალინი ძალზე მტკივნეულად განიცდიდა, როცა ვინმე მის პირად სამყაროში შეღწევას ცდილობდა. ბედნის აზრით, ლენინი არც ამაყი გახლდათ და არც თავმდაბალი, ვინაიდან ყველაფერ ამაზე უფრო მაღლა იდგა. ამიტომაც ყველაფერი, რაც მის პიროვნულ თვისებებზე ითქმოდა ხოლმე, მას ან ართობდა, ან საერთოდ შეუმჩნეველი რჩებოდა. სტალინს კი, ჩვეულებრივ, აღიზიანებდა, როცა ვინმე მოისურვებდა მის შესახებ "ინტიმურად წერას." მისი პიროვნებისადმი ინტერესი სტალინს ეჭვებს აღუძრავდა. დემიან ბედნი ვარაუდობდა, რომ ასეთი დაძაბულობის მიზეზი იმალებოდა სტალინის "გმირულ წარსულში," განუწყვეტელი ბრძოლის გამოცდილებაში და კიდევ იმაში, რომ მას მიატოვებდნენ და ღალატობდნენ, ეპირფერებოდნენ, ელაქუცებოდნენ და ამაოდ ცდილობდნენ მოეტყუებინათ.

პოეტი იხსენებს აგრეთვე, როგორი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე სტალინის მიერ ლენინზე ნათქვამმა სიტყვებმა. სტალინმა აღიარა, რომ ლენინი თავდაპირველად "მთის არწივად" ეჩვენებოდა, რომელიც უშიშრად დალივლივებდა ცაში და გზას უკვლევდა რუსეთის რევოლუციურ მოძრაობას. მხოლოდ მოგვიანებით, წერდა პოეტი, შეძლო მან ჩასწვდომოდა ამ "არსებითად მხატვრულ განსაზღვრებას." ცაში მოლივლივე არწივის სახე სტალინის შემეცნებაში ჯერ კიდევ ბავშვობაში წარმოიშვა, როგორც სიმბოლო იმისა, ვისაც შეეძლო კავკასიის დიდებულ მწვერვალებზე მაღლა ააღწიოს. შემდგომში, როცა ეს სახე დიადთა შორის უდიადეს ადამიანს მიუსადაგა, სტალინი ჭეშმარიტი მხატვრის მსგავსად უსაზღვრო აღფრთოვანებას გამოხატავდა. თუმცა, ეს მხატვრული სახე, როგორც ყველა სხვა, პირველ რიგში თვითონ მის ავტორს ახასიათებდა. "ამიტომაც ჩვენ უფლება გვაქვს, - წერდა ბედნი, - განვიხილოთ ლენინის სტალინისეული პორტრეტი, როგორც ქვეშეცნეულად შესრულებული თვითდახასიათება." ეს პორტრეტი ასახავდა რევოლუციონერის სტალინისეულ იდეალს. ლენინის პირადმა თვისებებმა, რომლებსაც სტალინმა ხაზი გაუსვა თავის ბროშურაში "ლენინის შესახებ," შეადგინეს რევოლუციური ზნეობრიობის კატეხიზმო, ასე რომ აღაფრთოვანებდა სტალინს: უბრალოება და თავმდაბლობა, დარწმუნების არაჩვეულებრივი უნარი, ნათელი არგუმენტაცია, ლოგიკის მომაჯადოებელი ძალა, ორატორული ჟესტებისა და ფრაზების უგულვებელყოფა, ზიზღი მათ მიმართ, ვინც მოთქვამს წარუმატებლობის შემთხვევაში, ზიზღი მოწუწუნე ინტელიგენტებისადმი, მტრის ძალების საღად შეფასება და პარტიული უმრავლესობის მოსაზრებათა დაფასება, პრინციპულობა პოლიტიკაში, ხალხის მასებისადმი რწმენა. ლენინური იდეალი სტალინისათვის ყველა ადამიანის ღირსების საზომი გახლდათ. სტალინი არასოდეს ეტყოდა ვისმე: "შეიცან თავი შენი!" ის ეტყოდა, - "მითხარი, როგორ გესმის ლენინი და გეტყვი, ვინა ხარ შენ!" ყველას როდი შეეძლო ასე პირდაპირ დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა, ბევრი თავს არიდებდა — ვინ მემარჯვენე, ვინ მემარცხენე შეხედულებების გამო, მაგრამ სტალინი — არავითარ შემთხვევაში. მას არ შეეძლო ელალატა ლენინისათვის, ისევე, როგორც საკუთარი თავისათვის. დემიან ბედნი წერდა: "დაიწყეთ სტალინის დახასიათება და თქვენ დაინახავთ, რომ სწორედ იმ ლექსიკონს იყენებთ,

რომელიც ლენინის შესახებ სტალინის მიერ დაწერილ ბროშურას ახასიათებს. ლენინი უმაღლესი ზღვარია და არსებობს ამ ზღვართან მიახლოების სხვადასხვა საზომი. მიახლოების ხარისხი განსაზღვრავს ყოველი ჩვენგანის პარტიულ და რევოლუციურ ღირებულებას, იგი განსაზღვრავს სტალინის ღირსებულებასაც. პარტიამ იცის ეს ღირებულება და მტკიცედ უჭერს მას მხარს." დემიან ბედნი აღწერს შემთხვევას, რომელსაც ადგილი ჰქონდა მემარცხენე ოპოზიციასთან გახურებული ბრძოლის დროს, როცა ტროცკისტებმა სტალინს გამოუგზავნეს პაკეტი წარწერით "კავკასიის მთები," შიგ კი მისი პორტრეტი აღმოჩნდა. მათ უნებლიეთ სიმართლე თქვეს სტალინზე. ის მთის ქანისაგან იყო გამოკვეთილი. პოეტი აღნიშნავს განსაცვიფრებელ შეთავსებულობას მის ჭეშმარიტ არსსა და მის რევოლუციურ სახელს შორის "სტალ" (რაც რუსულად ფოლადს ნიშნავს). სტალინი სათამაშო ზამბარა როდია, რომელიც პოლიტიკურ ჯამბაზს ათამაშებს, იგი ფოლადის ბასრი საბრძოლო დაშნაა.[8]

დემიან ბედნი გარკვეულ რისკზე მიდიოდა, როცა თავის სტატიაში სტალინის ჭეშმარიტი ხასიათის განჭვრეტას ცდილობდა. პოეტმა შეამჩნია და გამბედაობა ეყო ეთქვა შემდეგი: იმის გამო, რომ სტალინი თავის თავს ლენინთან აიგივებდა, ყველაფერი, რაც კი მას ლენინზე ჰქონდა ნათქვამი, თავად მასაც განეკუთვნებოდა. მაგრამ, საბოლოოდ, პოეტი მაინც სამეფო კარის მლიქვნელის ტრადიციულ როლში მოექცა. ის ამტკიცებდა, რომ სტალინი შეესაბამება თავისსავე შეფასებას და რომ მისი შეხედულება საკუთარ თავზე ჭეშმარიტია. ბედნიმ სტალინს მიაწერა ის თვისებები, რომლებსაც იგი აღტაცებაში მოჰყავდა ლენინში და ამით, არსებითად, "მეორე ლენინის" სახება შექმნა. რამდენად მოეწონა ყოველივე ეს სტალინს, ცნობილი არ არის, მაგრამ რეაქცია უარყოფითი რომ ყოფილიყო, ბედნის სტატია ვერ მოხვდებოდა სტალინის ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში, რომელიც ასიათასობით ტირაჟით გამოიცა.

დიადი რევოლუციონერი

რაკიღა სტალინი თავს "საუკეთესო ლენინელად" მიიჩნევდა, მას უნდა მიკუთვნებოდა წამყვანი როლი რევოლუციური მოძრაობის ისტორიასა და ცარიზმის დამხობაში. ამისათვის საჭირო გახდა ისტო-

რიის ხელახლა დაწერა და ეს პირველმა გააკეთა "სტალინის მოკლე ბიოგრაფიის" ავტორმა ტოვსტუხამ. შემდგომი ეტაპი სტალინის ორმოცდაათი წლისთავი გახდა. იუბილესთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ ოფიციალურ ბიოგრაფიაში ბოლო აბზაცების გამოკლებით, სიტყვა-სიტყვით მეორდებოდა ტოვსტუხას თხზულება. თავის საიუბილეო სტატიებში მრავალი ავტორი ცდილობდა შეელამაზებინა მოვლენები, რათა განედიდებინათ სტალინის როლი პარტიის ისტორიაში. მათ სტატიებში სტალინი მართლაც გმირ რევოლუციონერად გამოიყურებოდა, სწორედ ისეთად, როგორადაც ყოველთვის თვითონ მიიჩნევდა თავს.

არანაკლებ შეუწყო ხელი ამ ამბავს დემიან ბედნის მეორე მისალოცმა სტატიამ. მან დაარღვია საბჭოთა ჟურნალისტური პრაქტიკის ტრადიციები და ემიგრანტული პრესის მასალები გამოიყენა. პარიზის გაზეთმა "დნი" (დღეები) 1928 წლის 22 და 24 იანვარს დაბეჭდა ვინმე ვერეშჩაკის მოგონებანი ბაქოს ციხეში სტალინის ყოფნის თაობაზე. ნაწყვეტები ამ მოგონებებიდან, სადაც სტალინი მომგებიანად გამოიყურებოდა, გადმობეჭდეს "პრავდაში" ბედნის თეთრ ლექსად დაწერილი კომენტარებით. კერძოდ, ერთ-ერთ ნაწყვეტში სტალინი მოიხსენიებოდა მარქსიზმის საფუძვლიან მცოდნედ და აღნიშნული იყო ის ფაქტიც, რომ ამიერკავკასიაში მას მეორე ლენინად მიიჩნევდნენ. ასევე აღწერილი იყო 1909 წელს, აღდგომა დღეს მომხდარი შემთხვევა, როცა სალიანსკის პოლკის ასეულმა გასაროზგად მწყობრში გაატარა პოლიტიკური პატიმრები და, მათ შორის, სტალინიც. "კობა მიდიოდა წიგნით ხელში, - წერდა ვერეშჩაკი, - ისე, რომ თავიც არ დაუხრია, როცა კონდახებს ურტყამდნენ." დემიან ბედნიმ ამ ეპიზოდს ასეთი კომენტარი გაუკეთა:

აი, შეხედეთ!
როგორ შეირცხვინა თავი მტრის კრიტიკამ!
სტალინი ესერების რომანის გმირი არ არის,
მაგრამ სიმართლე ყველანაირ ჯებირს გაარღვევს.
განა " მწყობრში სტალინური გავლა"
გმირული სურათის სიუჟეტი არ გახლავთ?![9]

ბედნის აზრის განვითარების მიზნით "პრავდამ" რედაქციის შენიშვნა გამოაქვეყნა, რომელშიც შეახსენა მკითხველს, რომ პოეტის სტატიაში

მხატვრულად აისახა "ამხანაგ სტალინის გმირული წარსულის ერთი მომენტი." როგორც ჩანს, რედაქტორი ან "პრავდის" მთელი რედკოლეგია, ისევე, როგორც დემიან ბედნი, ხვდებოდნენ, რომ სტალინს სურდა უკვდავეყო თავისი, როგორც რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთი პირველი გმირის სახელი.

ამას ისინიც ხვდებოდნენ, ვინც კარგად იცნობდა სტალინს. ორჯონიკიძე წერდა, რომ 1905 წლის დასაწყისისათვის სტალინი ქართველი ბოლშევიკების აღიარებული ხელმძღვანელი გახდა, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის მთელ ბოლშევიკურ მოძრაობასაც ჩაუდგა სათავეში. ენუქიძე ამავე თემას ავითარებდა თავის მოგონებებში. მას სტალინი 1900 წელს გაუცნია, როცა ლადო კეცხოველმა, რომელიც ბაქოში იატაკქვეშა სტამბას აყალიბებდა, ენუქიძე თბილისში გაგზავნა აუცილებელი მასალების ჩამოსატანად და ურჩია, დახმარება სტალინისათვის ეთხოვა. სტალინთან საუბარი ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან, როგორც ენუქიძე წერს, უკვე იმ პერიოდში, ისე როგორც შემდგომ ყოველთვის, სტალინი გამოირჩეოდა მოკლე, ნათელი და ზუსტი საუბრით. ახალგაზრდობის მიუხედავად, თავისი უბრალოების, საკუთარი კომფორტისადმი გულგრილობის, თავმდაბლობისა და ღრმა ცოდნის წყალობით, სტალინი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა თბილისის მუშებს შორის. "ჩვენი სოსო," - ასე ეძახდნენ მუშები. სტალინი ძალზე პოპულარული იყო, თუმცა არასოდეს მიილტვოდა ამისკენ. მან მთლიანად მიუძღვნა თავი მუშაობას პარტიის შესაქმნელად. ძველი ბოლშევიკებიდან ყველაზე მეტად იგი იყო მორგებული პროფესიულ რევოლუციურ მოღვაწეობას.

არადა ენუქიძეს, ჯერ კიდევ 1923 წელს (როდესაც მოსკოვში ძველი ბოლშევიკების წინაშე გამოდიოდა და ამიერკავკასიის იატაკქვეშა სტამბების შესახებ უყვებოდა), სულაც არ უხსენებია, რომ სტალინი მთავარ როლს ასრულებდა ამიერკავკასიის ბოლშევიკებს შორის. აი, ახლა კი, ენუქიძემ, რაკიღა ახსოვდა თავისი ძველი მეგობრის მისწრაფება - გენიალურ რევოლუციონერად აღიარონ იგი, თქვა ამის შესახებ: "მოკლედ, სტალინი ამიერკავკასიაში ჩვენი ორგანიზაციების როგორც იდეური, ისე პრაქტიკული ხელმძღვანელი იყო." იგულისხმებოდა, რომ ის ასეთი იყო ამ რეგიონში ბოლშევიკებისა და მენშევიკების გამიჯვნის დასაწყისამდე. 1904-დან 1908 წლამდე მან "პირდაპირ თავის მხრებზე

გადაიტანა ამიერკავკასიაში მენშევიკებთან ბრძოლის მთელი სიმძიმე." თბილისის ბოლშევიკური გაზეთები უმთავრესად სტალინს ეყრდნობოდნენ. ის გამოდიოდა თითქმის ყველა უმნიშვნელოვანეს თათბირზე. 1905-1906 წლებში მან იმდენად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დასავლეთ საქართველოს გლეხთა მოძრაობაში, რომ იქაურ გლეხებს ოცდახუთი წლის შემდეგაც კი ახსოვდათ მისი გამოსვლები. მოგვიანებით მისი ხელმძღვანელობით ბოლშევიზმი საბოლოოდ დამკვიდრდა ბაქოს მუშა-მენავთობეებში. რეაქციის წლებში ის ემიგრაციაში კი არ წასულა, მუდმივ კონტაქტში იყო ლენინთან; როგორც კი გადაასახლებდნენ, პირველი შესაძლებლობისთანავე გამორბოდა. 1917 წლისათვის იგი "ოქტომბრისა და მისი გამარჯვებების ერთ-ერთი პირველი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო."

ენუქიძის ამ და ზოგიერთ სხვა განცხადებაში სტალინს მიეწერება დიდი რევოლუციონერის ახალი როლი, რომელიც მან 1917 წელს შეასრულა. ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის მილოცვაში ნათქვამია: "დიდი ოქტომბრის გამარჯვების დღეებში შენ, ლენინის ზოგიერთი მოწაფისაგან განსხვავებით, აღმოჩნდი მისი პირველი, ყველაზე ახლო და ყველაზე ერთგული თანამდგომი, როგორც ოქტომბრის გამარჯვების თვალსაჩინო ორგანიზატორი." "პრავდის" სარედაქციო სტატიაში ხაზგასმული იყო, რომ როდესაც ლენინი თავისი "აპრილის თეზისებით" გამოდიოდა, მან "ამხანაგი სტალინის სახით იპოვა უახლოესი თანამოაზრე და უშუალო თანაშემწე." შემდგომ საუბარია იმის თაობაზე, თუ როგორ ებრძოდა სტალინი ლენინთან ერთად "მერყევ ოპორტუნისტულ ელემენტებს" პარტიაში, როგორ განსაზღვრავდა პარტიის რევოლუციურ პერსპექტივებს VI ყრილობაზე ლენინის მაგივრად, რომელიც სხდომას არ ესწრებოდა, როგორ დაძლია ყველა დაბრკოლება და მხარი დაუჭირა ლენინის ხაზს ხელისუფლების დაპყრობის შემდგომ პერიოდში. სტატია შემდეგი სიტყვებით მთავრდებოდა: "ყველასათვის ცნობილია, როგორი გამორჩეული როლი შეასრულა ამხანაგმა სტალინმა ოქტომბრის გადატრიალების უშუალოდ მომზადებასა და განხორციელებაში." უნდა გვახსოვდეს, რომ სულ ორიოდე წლით ადრე, როცა რევოლუციის 10 წლისთავი აღინიშნებოდა, ტროცკის გამორჩეული დამსახურებანი არავის გახსენებია. ახლა კი ეს დამსახურებები კვლავ გაიხსენეს

პარტიის ისტორიის ანალებში, მაგრამ ტროცკის გმირული როლი ისტორიაში ამიერიდან სხვა მოქმედ პირს მიეკუთვნებოდა. ამჯერად ბოლშევიკური რევოლუციის მეორე უდიდესი ხელმძღვანელის როლი სტალინს მიეკუთვნა.

უფრო მეტიც, სტალინს საგარაუდოდ მიაწერეს კიდევ ერთი ამპლუა - საერთაშორისო კომუნისტური რევოლუციისა და მისი ორგანიზაციული ბირთვის - კომინტერნის ლიდერის როლი. ამისათვის ასევე საჭირო იყო წარსული თარიღით მიეწერათ მისთვის სხვების უდიდესი დამსახურებანი. კომინტერნის პირველ წლებში მასში რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) წარმომადგენლები და მისი პოლიტიკის განმსაზღვრელები იყვნენ ლენინი, ტროცკი და ზინოვიევი. ზინოვიევი კომინტერნის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე იყო დაარსების მომენტიდან - 1919 წლიდან 1926 წლამდე, თანამდებობიდან გადადგომამდე. თუმცა, იგი ამ პოსტზე ბუხარინს არ შეუცვლია იმ მიზეზით, რომ აღნიშნული თანამდებობა გაუქმდა, შემდგომი ორი წლის მანძილზე ბუხარინი კომინტერნის ფაქტობრივი ლიდერი იყო. ბუხარინმა დაამუშავა პროგრამა, რომელიც 1928 წელს კომინტერნმა თავის VI კონგრესზე დაამტკიცა.[10] სტალინმა, რომელიც ამ დროისათვის კომინტერნში გავლენით სარგებლობდა, საკუთარი შესწორებები შეიტანა ამ დოკუმენტის საბოლოო ტექსტში, რის თაობაზეც ბუხარინმა 1928 წლის 11-12 ივლისს კამენევს უამბო: "სტალინმა ბევრი რამ გააფუჭა ჩემს პროგრამაში." 20-იანი წლების შუა ხანებამდე კომინტერნი არ იყო სტალინის მოღვაწეობის ძირითადი სფერო. მხოლოდ 1924 წელს, კომინტერნის V კონგრესზე შეიყვანეს იგი აღმასრულებელ კომიტეტში.

ახლა კი "კომუნისტურ ინტერნაციონალში" - აღმასკომის თეორიული ჟურნალის მისალოცი მოწინავე სტატიაში სტალინს ესალმებოდნენ, როგორც კომინტერნის და მსოფლიო პროლეტარიატის ხელმძღვანელს. ასეთი მილოცვები სტალინის სახელზე მსოფლიოს მრავალმა კომუნისტურმა პარტიამ გამოგზავნა. სტალინის ორი თანაშემწე კომინტერნში - ოტო კუუსინენი და დიმიტრი მანუილსკი აღტაცებით აღწერდნენ მის წარსულ და ახლანდელ დამსახურებებს კომინტერნის წინაშე. კუუსინენი წერდა, რომ კომინტერნის ხელმძღვანელობაში სტალინის უშუალო მონაწილეობა აუცილებელი გახდა ლენინის სიკვ-

დილის შემდეგ. იგი ხაზს უსვამდა, რომ სტალინი ახალი ლენინი გახდა კომინტერნში. მან დასძინა, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში კომინტერნის აღმასკომის გეზი ყველა ძირითად საკითხში სტალინის რეკომენდაციების საფუძველზე ყალიბდებოდა. სტალინის დაბადების ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი ყველაზე უფრო აღფრთოვანებული სტატიის ავტორი მანუილსკი, წერდა, რომ იგი არის "საკავშირო კომუნისტური პარტიის უზარმაზარი რევოლუციური გამოცდილების კონცენტრირებული შენადედი, გადატანილი მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში." იგი ამტკიცებდა, რომ კაპიტალისტური პრესა დიდ შეცდომას უშვებდა, როცა სტალინს მხოლოდ "ნაციონალურ ფიგურად" სახავდა და ამით ბოლომდე ვერ აფასებდა იმ მოღვაწის საერთაშორისო მნიშვნელობას, რომელმაც ლენინიზმს იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის მარქსიზმი უწოდა. მანუილსკიმ აღიარა, რომ ყველამ არ იცოდა სტალინის წამყვანი როლის თაობაზე კომინტერნში. ამის შესახებ ბევრი რამ შეიძლება მოვიძიოთ კომინტერნის არქივებში, მაგრამ ჯერ არ დამდგარა დრო იმის მოსაყოლად, როგორ გადაარჩინა სტალინმა, როგორც კომინტერნის ხელმძღვანელმა, მთელი რიგი კომუნისტური პარტიები სერიოზული პოლიტიკური შეცდომებისაგან. კომინტერნის არც ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი არ მომზადებულა სტალინის ძალზე აქტიური მონაწილეობის გარეშე. კერძოდ, იგი განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდა პროგრამის პროექტის თეორიულ ასპექტებს. მანუილსკიმ განმარტა, როგორი მნიშვნელობა ჰქონდა საერთაშორისო მოძრაობისათვის სტალინის შეხედულებებს ეროვნულ საკითხზე, მის ბრძოლას მემარცხენე და მემარჯვენე ოპოზიციასთან, მის თეორიას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების თაობაზე. დასკვნით ნაწილში მან სტალინს გმირული ფიგურა უწოდა, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი უკავია საერთაშორისო რევოლუციის ისტორიაში. მანუილსკი იხსენებდა, აგრეთვე, დემიან ბედნის მიერ მოთხრობილ, 1909 წელს ბაქოში მომხდარ ეპიზოდს და წერდა: "ახლაც, ორი ათეული წლის შემდგომ, მსოფლიოს ბურჟუაზიის სიძულვილის მიუხედავად, სტალინი ლენინიზმის და მუშათა კლასის განთავისუფლების დროშით ხელში წინ მიუძღვის პროლეტარულ მოძრაობას. მუშათა კლასის საქმისათვის უანგარო მსახურების, რევოლუციონერის მოვალეობისადმი მკაცრი

ერთგულების ოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში სტალინს არასოდეს მოუხრია ქედი, ხელი არასოდეს აჰკანკალებია... ლენინისაგან მან სრულყოფილად ისწავლა პარტიისა და კომინტერნის ხელმძღვანელობაში მკვეთრი მოსახვევების დაძლევის არაჩვეულებრივი ხელოვნება და დღემდე, როგორც არავინ, ისე ფლობს რევოლუციონერი სტრატეგისა და ტაქტიკოსის ამ თვისებებს... რომლებიც კომინტერნის მტკიცე ხელმძღვანელობის გარანტიას წარმოადენს საერთაშორისო მუშათა კლასის მომავალ გადამწყვეტ ბრძოლებში."

სტალინის დაბადების ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილმა სტატიებმა გარკვეული საფუძველი შექმნეს, რითიც დაეხმარნენ მომდევნო წლებში სტალინის რევოლუციური ბიოგრაფიის მნიშვნელოვნად გადაკეთებას. მიქოიანმა, რომელიც იმ დროს პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი იყო, მოუწოდა გაეძლიერებინათ მუშაობა ამ მიმართულებით. მისალოც სტატიაში სათაურით "ბოლშევიკური გვარდიის ფოლადის ჯარისკაცი" - იგი წერდა, რომ სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ძირითადი ფაქტები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ პარტიისათვის, ჯერ კიდევ არ არის ცნობილი ფართო საზოგადოებრიობისათვის. ასეთი არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა აიხსნება სტალინის ყოფილი თანამებრძოლების უყურადღებობით, აგრეთვე, ამხანაგ სტალინის "მეტისმეტი თავმდაბლობით," რომელიც ნებას არ აძლევს ფართოდ გააშუქონ მისი ცხოვრების გზა. მიქოიანმა იმედი გამოთქვა, რომ იუბილე გახდებოდა სტალინის ბიოგრაფიის უფრო ყურადღებით შესწავლის სტიმული. აუცილებელი იყო ანგარიში გაეწიათ "მასების კანონიერი მოთხოვნისათვის," დაწვრილებით აესახათ სტალინის ცხოვრების გზა და ყველასათვის გაეცნოთ ეს ფაქტები.

სტალინი სამოქალაქო ომის დროს

საბჭოთა ისტორიის ერთ-ერთი პარადოქსი არის შემდეგი ფაქტი: ვოროშილოვმა (რომელზეც ტროცკი ჯერ კიდევ 1918 წელს ეუბნებოდა ლენინს, რომ მას უკიდურეს შემთხვევაში შეუძლია უხელმძღვანელოს პოლკს და არა 50-ათასიან არმიას), თავდაცვის სახალხო კომისრის თანამდებობაზე შეცვალა ფრუნზე, ამ უკანასკნელის გარდაცვა-

ლების შემდეგ. ადრე ეს თანამდებობა ტროცკის ეკავა. ვოროშილოვის მიერ სტალინის დაბადების ორმოცდაათი წლისთავისათვის დაწერილი სტატია - "სტალინი და წითელი არმია" თავისებურ სენსაციად იქცა. მან სცადა საბჭოთა სამხედრო ისტორიის გადაკეთება და ამით 30-იან წლებში სამოქალაქო ომის სტალინური ისტორიოგრაფიისათვის საფუძვლის ჩაყრა. როგორც ჩანს, სტალინს სტატია ძალზე მოეწონა, რადგან იგი საიუბილეო მასალების კრებულში შეიტანეს და ცალკე ბროშურადაც გამოსცეს 100 ათასიანი ტირაჟით.

ამაში გასაკვირი არაფერი იყო, რადგან ეს სტატია თითქოსდა მომხდარი ამბების შესახებ ისეთმა ადამიანმა დაწერა, რომელიც ახლოს იცნობდა სტალინს, ხშირად იხსენებდა მასთან ერთად სამოქალაქო ომის წლებს და, შესაბამისად, ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, რა ესიამოვნებოდა ბელადს. სტატიაში რეალური მოვლენების აღწერის დროს ვოროშილოვს იდეალიზებული ჰქონდა მათში სტალინის როლი. ყველა დადებითი მომენტი წინ იყო წამოწეული, ყველა უარყოფითი - საგულდაგულოდ მიჩქმალული. უფრო მეტიც, ის მოვლენები, რომლებშიც სტალინი მონაწილეობდა, წარმოდგენილი იყო ომის გადამწყვეტ მომენტებად. ლენინთან ერთად იგი - ფრონტებზე გამარჯვებების დიდი ორგანიზატორი და სამოქალაქო ომის წითელი გმირი - ისტორიული სურათის ცენტრში იმყოფებოდა.

ვოროშილოვის ვერსიით, სადაც არ უნდა გამოჩენილიყო სტალინი ომის დროს, გამარჯვება ყოველთვის თან ახლდა. ის, როგორც პოლიტიკური კომისარი, ეხმარებოდა გამარჯვების გამოჭედვაში ყველა უბანზე, სადაც კი დამარცხების საშიშროება გაჩნდებოდა. როცა ცარიცინში სამხედრო სპეციალისტებმა თავი ვერ გაართვეს მათზე დაკისრებულ ამოცანებს, ხოლო შტაბმა ვერ შეძლო კონტრრევოლუციური გამოსვლების ჩახშობა, სტალინმა თავის თავზე აიღო უმაღლესი მთავარსარდლობა და იხსნა მდგომარეობა. გამარჯვებისაკენ მისმა უდრეკმა სწრაფვამ ირგვლივ ყველას საკუთარი თავის რწმენა ჩაუნერგა. ცარიცინი გადარჩა და მტერი დონისაკენ უკუაგდეს. როცა პერმის დაცემის შემდეგ სტალინმა აღმოსავლეთის ფრონტს მიაშურა, მან არა მხოლოდ დაადგინა დამარცხების მიზეზები, არამედ მათ აღმოსაფხვრელად დროული და ეფექტიანი ზომებიც მიიღო და ამით მოამზადა შეტევის

წინაპირობა. დაბოლოს, როდესაც 1919 წელს საშიშროება პეტროგრადს დაემუქრა — მას იუდენიჩის ჯარები უტევდნენ, ხოლო თავად ქალაქში კონტრრევოლუციური შეთქმულება მზადდებოდა, - ცენტრალურმა კომიტეტმა მხსნელად სტალინი გაგზავნა და სამ კვირაში მდგომარეობა სასიკეთოდ შეიცვალა. როცა ყოველივე ამას ყვებოდა, ვოროშილოვს ერთხელაც არ უხსენებია იუდენიჩის არმიის მძლავრი შემოტევა იმავე წლის შემოდგომით პეტროგრადზე, რომლის დაცვა ტროცკის ორგანიზებული იყო. გამოდიოდა, რომ წითელი პეტროგრადი სტალინმა გადაარჩინა და არა ტროცკიმ.

მრავალი წლის შემდეგ საბჭოთა დრამატურგმა ვსევოლოდ ვიშნევსკიმ ეს სიუჟეტი საფუძვლად დაუდო გმირულ დრამას "დაუვიწყარი 1919," რომელიც დაიწერა 1949 წელს, სტალინის 70 წლის იუბილესათვის. პიესის დასაწყისში ლენინი რჩევას სთხოვს სტალინს პეტროგრადის ირგვლივ შექმნილი საშიში სიტუაციის თაობაზე და ქალაქის დასაცავად სრული ძალაუფლებით აღჭურვილს აგზავნის მას პეტროგრადში. სტალინი ბრწყინვალე გამოსავალს პოულობს კრიტიკული სიტუაციიდან, რომელიც შეიქმნა თეთრგვარდიელთა შეთქმულებისა და დამარცხებისადმი ტროცკისტულ-ზინოვიევური დაჯგუფების შემგუებლური პოზიციის გამო. პიესის ბოლოს სტალინის ჯავშნოსანი მატარებელი ჩამოდის სანაპიროს მთავარ ფორტში კრასნაია გორკაში, რომელიც ბალტიის ფლოტის მეზღვაურებს დაუკავებიათ მისივე ორიგინალური გეგმის მიხედვით. მას მქუხარედ ესალმებიან მეზღვაურები, ხოლო სტალინი ლენინს უგზავნის დეპეშას, რომლითაც ატყობინებს, რომ ციხესიმაგრე აღებულია საზღვაო მეცნიერების ყველა წესის გვერდის ავლით. პიესა საბჭოთა კავშირის ხალხთა თითქმის ყველა ენაზე ითარგმნა, დაიდგა ქვეყნის დრამატული თეატრების უმრავლესობის სცენაზე, მის მიხედვით გადაიღეს ფილმი, ცალკე წიგნად გამოიცა და 1950 წელს პირველი ხარისხის სტალინური პრემიით დაჯილდოვდა. ხრუშჩოვი იხსენებდა, როგორ უყვარდა ეს პიესა სტალინს: "სტალინს უყვარდა ფილმი "დაუვიწყარი 1919," სადაც აჩვენებდნენ ჯავშნოსანი მატარებლის კიბეზე მდგარი, ხელში ხმალმომარჯვებული, როგორ ცელავდა მტერს."[11]

თავის სტატიაში ვოროშილოვი სტალინს დენიკინზე გამარჯვების მთავარ სტრატეგადაც სახავდა. სტალინის ერთ-ერთ გამოსვლაზე

დაყრდნობით, ვოროშილოვი ამტკიცებდა, რომ სტალინი მხოლოდ იმ პირობით დათანხმდა ცენტრალურ კომიტეტს სამხრეთ ფრონტზე დანიშვნაზე, რომ ტროცკი არ ჩაერეოდა ფრონტის საქმეებში. შემდეგ ვოროშილოვს მოაქვს სტალინის წერილი სამხრეთის ფრონტიდან (თარიღის მიუთითებლად) იმის დასტურად, რომ სწორედ სტალინმა დაამუშავა კონტრშეტევის სტრატეგია, რომელიც წარმატებით გამოიყენეს დენიკინის წინააღმდეგ. სინამდვილეში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტრატეგიული გეგმა, რომელსაც იცავდა სტალინი ლენინისადმი მიწერილ წერილში, შემოთავაზებული იყო ტროცკის მიერ და ოქტომბრის დასაწყისში სამხრეთ ფრონტზე სტალინის გამოჩენისას უკვე ხორციელდებოდა. ამრიგად, სტალინი სულაც არ ყოფილა სამხრეთის ფრონტის სტრატეგი-ნოვატორი, როგორადაც მას ვოროშილოვი სახავდა. ამას გარდა, არ არსებობს იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ სტალინი მართლა მოითხოვდა ტროცკის ჩაურევლობას სამხრეთის ფრონტის საქმეებში. სინამდვილეში ტროცკიმ სამხედრო მოქმედებათა ეს თეატრი 1919 წლის შემოდგომაზე "მიატოვა," როცა სასწრაფოდ გაეშურა ალყაშემორტყმული პეტროგრადის გადასარჩენად.

სამხრეთის ფრონტზე, განაგრძობს ვოროშილოვი, სტალინმა სრულყოფილებამდე დაამუშავა სამხედრო მოქმედებების მეთოდი მსხვილი დაჯგუფებების გამოყენებით, რაც შემდეგში გამოიხატებოდა: შეირჩეს დარტყმის მთავარი მიმართულება, თავი მოეყაროს იქ საუკეთესო ძალებს და შემდეგ განხორციელდეს გამანადგურებელი დარტყმა. ბოლოს, როცა ცენტრიდან წინააღმდეგობას წააწყდა, სტალინი გამოვიდა ინიციატივით, კავალერიის რამდენიმე დივიზია ერთ მსხვილ შენაერთად გაეერთიანებინათ და მის საფუძველზე ცხენოსანი არმია შეექმნათ. შესაბამისად, გამოდიოდა, რომ ბუდიონის ცნობილი პირველი ცხენოსანი არმია სტალინის პირმშო გახლდათ. ვოროშილოვი აქაც ცდილობს უპირველესი მნიშვნელობის სტრატეგად და ნოვატორად წარმოგვიდგინოს სტალინი, მაგრამ ამბების მისეული ქრონოლოგია სინამდვილეს არ შეესაბამება. რეალურად ცხენოსანი არმიის შექმნის იდეა სულაც არ ეკუთვნოდა სტალინს. მაგალითად, ტროცკიმ კავალერიის მსხვილი შენაერთების შექმნის აუცილებლობის საკითხი ბევრად უფრო ადრე დააყენა თავის სტატიაში - "პროლეტარებო, ცხენებზე ამხედრდით!" ვიდრე სტალინი 1919 წლის ოქტომბერში სამხრეთის ფრონტზე გაემგზავრებოდა.[12]

ვოროშილოვს, ცხადია, არ შეეძლო პოლონეთის ფრონტზე სტალინის როლის აღწერისათვის გვერდის ავლა. ეს მნიშვნელოვანი თემა იყო, თუმცა, ამავე დროს, არასახარბიელო, რადგან ამ პერიოდში სტალინის ქმედებებთან დაკავშირებული ფაქტები ფართოდ იყო გახმაურებული. ვოროშილოვი სულ რამდენიმე ფრაზით შემოიფარგლა, რომლებიც სტალინს დადებითი მხრიდან წარმოგვიდგენს. ვოროშილოვი წერდა, რომ სტალინმა უნარიანი ხელმძღვანელობა განახორციელა, რამაც დიდად შეუწყო ხელი პოლონეთის არმიების განადგურებას უკრაინაში, კიევის გათავისუფლებას, გალიციაში შეჭრას და ცნობილი პირველი ცხენოსანი არმიის შეტევას ლვოვზე. მაგრამ წითელი არმიის უუნარობამ, წარმატება მოეპოვებინა ვარშავასთან, ხელი შეუშალა ცხენოსან არმიას, რომელიც ლვოვიდან ათიოდე კილომეტრის დაშორებით იმყოფებოდა, განეხორციელებინა დაგეგმილი შეტევა ქალაქზე. ამ თამამი დასკვნის დამადასტურებელი ფაქტები სტატიაში მოყვანილი არ იყო, მაგრამ ძველმა ბოლშევიკებმა იცოდნენ, რომ სინამდვილეში ყველაფერი სრულიად სხვაგვარად მოხდა. სტალინი მოითხოვდა ლვოვის აღებას, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ და ამან ვარშავაზე წარმატებული შეტევის ყოველგვარი შანსი მოსპო.

ბოლოს ვოროშილოვი წერდა, რომ სწორედ სტალინი იყო ის ადამიანი, რომელსაც ცენტრალური კომიტეტი 1918-1920 წლებში ერთი მოქმედი ფრონტიდან მეორეზე გადაისროდა ხოლმე - ყველაზე საშიშ ადგილებში, სადაც რევოლუციას ძალზე დიდი საფრთხე ემუქრებოდა. მას არასოდეს აგზავნიდნენ იქ, სადაც ყველაფერი კარგად მიდიოდა. სამაგიეროდ, სტალინი მუდამ ჩნდებოდა იქ, სადაც წითელ არმიას თან სდევდა წარუმატებლობა, სადაც კონტრრევოლუციური ძალები საფრთხეს უქმნიდნენ საბჭოთა ხელისუფლების არსებობას, ხოლო პანიკას და უსუსურობას ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა კატასტროფა გამოეწვია. მან არც დღე იცოდა მოსვენება და არც ღამე, თავის თავზე იღებდა ხელმძღვანელობას, ორგანიზაციულ მუშაობას ეწეოდა, გადალახა ყველა სირთულე, დაუნდობლად მოქმედებდა და ბოლოს და ბოლოს გამოასწორებდა ხოლმე მდგომარეობას.

ლეგენდაში სამოქალაქო ომის შესახებ, ვოროშილოვმა თავისი მეგობრისათვის რომ შეთხზა, სტალინი თამაშობს როლს, რომელიც

საოცრად ჰგავს ტროცკის ისტორიულ როლს. სტალინი — ნიჭიერი ორგანიზატორი, წითლების დიდი რწმუნებული კრიტიკული სიტუაციების დაძლევაში, ლენინის მარჯვენა ხელი შორეულ ფრონტებზე, პეტროგრადის მხსნელი, მკაცრი დისციპლინის დამცველი. ამრიგად, სტალინი ხდებოდა არა მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი ბელადი, არამედ იმ გმირული როლის მფლობელიც, რომელიც ტროცკიმ შეასრულა, როგორც ბოლშევიკური რეჟიმის გამარჯვებათა მთავარმა ორგანიზატორმა. ტროცკის კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიეკუთვნებოდა როლი, რომელსაც ფაქტობრივად სტალინი თამაშობდა. ეს გახლდათ როლი პოლიტიკური კომისრისა, რომელსაც ხანდახან ფრონტიდან გამოიწვევდნენ ხოლმე, ვინაიდან მასზე დაკისრებულ ამოცანებს ვერ ასრულებდა. სტალინის უარყოფითი როლი სამოქალაქო ომში, რომელსაც იგი თავის შეგნებაში ახშობდა, რეტროსპექტულად ტროცკიზე იყო პროეცირებული.

მარქსიზმის გამოჩენილი თეორეტიკოსი

20-იანი წლების შუა ხანებშიც კი რუსეთში ცოტა ვინმე თუ ხვდებოდა სტალინის სურვილს, მარქსიზმის გამოჩენილი და აღიარებული თეორეტიკოსი გამხდარიყო. ლენინის შემდეგ პარტიის მეორე თეორეტიკოსად ბუხარინი ითვლებოდა. მართალია, სტალინმა მნიშვნელოვან პოლიტიკურ წარმატებას მიაღწია ლენინიზმის კოდიფიკაციის სფეროში, მაგრამ მას მაინც იმ პრაქტიკოსის მტკიცე რეპუტაცია ჰქონდა, რომელსაც მარქსისტულ თეორიაში მნიშვნელოვანი წვლილი არ შეუტანია. ძველი ბოლშევიკების შეგნებაში ამ წარმოდგენის შეცვლა ადვილი არ იყო. მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ ავტორიტეტული მეცნიერი-მარქსისტის, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის დირექტორის, დავიდ რიაზანოვის სახელთან დაკავშირებული ეპიზოდი. 20-იანი წლების შუა ხანებში, კრების შემდეგ, სადაც სტალინი იცავდა ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის თეორიას, რიაზანოვმა მას უთხრა: "მორჩი, კობა, თავს ნუ იმასხარავებ. ყველამ კარგად იცის, რომ თეორია შენი სტიქია არ არის." [13]

რიაზანოვმა ეს ყოველგვარი ქარაგმის გარეშე თქვა, მაგრამ ეტყობა, კარგად არ იცნობდა სტალინს და ვერ მიხვდა, რომ მისი სიტყვები

შეიძლებოდა გულში მოხვედროდა კობას. რიაზანოვს ვერ გაეცნობიერებინა, რომ თეორია იყო ერთ-ერთი სფერო, რომელშიც სტალინს თავის გამოჩენა სურდა. ლენინის გარდაცვალების შემდეგ პარტიის პოლიტიკური კურსის შესახებ გამართულ დებატებში სტალინმა ბოლშევიზმის იდეოლოგის ამპლუა აირჩია, როგორც პირადი, ისე პოლიტიკური მოტივებით. მართლაც, შეეძლო თუ არა მას "საუკეთესო ლენინელი" გამხდარიყო, თუკი არ იყო ყველაზე თანმიმდევრული, ყველაზე შორსმჭვრეტელი, ყველაზე ერუდირებული და საერთოდ, ყველაზე ერთგული ლენინელი ლენინისა და ლენინიზმის ყველა პარტიულ განმმარტებელს შორის. თანდათანობით ყველა, ვინც მჭიდროდ იყო დაკავშირებული სტალინთან, მიუხვდა სურვილს - ლენინის შემდეგ პარტიის პირველ მსხვილ თეორეტიკოსად ყოფილიყო აღიარებული. "მას დაეუფლა დაუოკებელი სურვილი, გახდეს გამოჩენილი თეორეტიკოსი, - ამბობდა ბუხარინი სტალინზე კამენევთან საუბარში 1928 წლის 11-12 ივლისს, - და მიიჩნევს, რომ ეს ერთადერთი რამ არის, რაც მას აკლია."

ამ დროისათვის ბუხარინი, როგორც ჩანს, თავისდა სამწუხაროდ, მიხვდა, რომ სტალინს შურდა მისი, როგორც პარტიის პირველი თეორეტიკოსის რეპუტაცია. თუკი ამის თაობაზე ბუხარინს ეჭვები ჰქონდა, სტალინმა საბოლოოდ გაუფანტა ისინი თავისი ვრცელი გამოსვლით 1929 წლის აპრილის პლენუმზე. სწორედ მაშინ შეეცადა იგი გაენადგურებინა ბუხარინი-თეორეტიკოსი და უწოდა მას "არა საკუთარი მარქსისტი თეორეტიკოსი," "თეორეტიკოსი, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი რამის სწავლა სჭირდება." ყოველივე ამის დასამტკიცებლად სტალინმა მოიშველია ლენინის "პოლიტიკურ ანდერძში" ნათქვამი სიტყვები ბუხარინის შესახებ. უწოდა რა ბუხარინს უდიდესი თეორეტიკოსი და "მთელი პარტიის საყვარელი ადამიანი...," ლენინმა, ასევე აღნიშნა, რომ მის თეორიულ შეხედულებებს "ძნელად თუ შეიძლება საკუთარი მარქსისტული ვუწოდოთ, ვინაიდან მათში არის რაღაც სქოლასტიკური (მას არასოდეს უსწავლია დიალექტიკა და, ვფიქრობ, ბოლომდე არასოდეს ესმოდა იგი)." სტალინმა განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა ბოლო სიტყვებზე და ბუხარინი გამოაცხადა "თეორეტიკოსად დიალექტიკის გარეშე," აგრეთვე დასძინა, რომ "დიალექტიკა მარქსიზმის სული და გულია." შემდგომ მან ძველი უთანხმოებანი გაიხსენა და სცადა დაედანა-

შაულებინა ბუხარინი იმაში, რომ იგი ქედმაღლურად ცდილობს "ასწავლოს ჩვენს მასწავლებელს, ლენინს." 1916 წელს დაწერილ ერთ-ერთ სტატიაში ლენინმა გააკრიტიკა ბუხარინი, ვინაიდან იგი ამტკიცებდა, თითქოს მარქსისტებს, ისევე, როგორც ანარქისტებს, სახელმწიფოს "აფეთქება" სურთ. 1925 წელს სტატიაში სახელმწიფოს თეორიის შესახებ, ბუხარინი იხსენებდა ამ ინციდენტს და წერდა, რომ შემდგომში ლენინმა გაიზიარა მისი თვალსაზრისი. როცა 1917 წლის აგვისტოში ბუხარინი ამერიკიდან პეტროგრადში ჩამოვიდა (ლენინი ამ დროს არალეგალურ მდგომარეობაში იყო), კრუპსკაიამ შეხვედრისთანავე უთხრა: "ვ.ი.-მ მთხოვა გადმომეცა, რომ ამიერიდან სახელმწიფოს საკითხში თქვენთან უთანხმოება აღარ აქვს." სტალინმა საგანგებოდ გამოყო ეს ეპიზოდი ბუხარინის მოგონებებიდან და მას "უმწიფარი თეორეტიკოსის ჰიპერტროფირებული პრეტენზიულობის ნიმუში" უწოდა. "გამოდის, - დასძინა მან სარკაზმით, - რომ ლენინის მოწაფეები და თვით ლენინიც ლენინელები კი არა, ბუხარინელები იყვნენ. ცოტა არ იყოს, სასაცილოა, ამხანაგებო! მაგრამ რას იზამ, თუკი საქმე გვაქვს ბუხარინის გაფუყულ პრეტენზიულობასთან?"[14]

სტალინის დაბადების ორმოცდაათი წლისთავი დაემთხვა მის ოფიციალურ აღიარებას პარტიის წამყვან თეორეტიკოსად. 1929 წლის 21 დეკემბერს "პრავდა" მიესალმა მას სარედაქციო სტატიით, როგორც "ლენინიზმის ყველაზე გამოჩენილ თეორეტიკოსს არა მხოლოდ ბოლშევიკების საკავშირო კომუნისტური პარტიისათვის, არამედ მთელი კომინტერნისთვისაც." ამ თემამ განვითარება ჰპოვა სხვა მისასალმებელ მიმართვებსა და სტატიებშიც. წითელი პროფესურის ინსტიტუტმა სტალინის ნაშრომებს ლენინიზმის შესახებ მარქსისტულ-ლენინური რევოლუციური დიალექტიკის ნიმუში, შემოქმედებითი და არა დოგმატური და სქოლასტიკური მარქსიზმი უწოდა. კომუნისტური აკადემია და ლენინის ინსტიტუტი ულოცავდნენ მას, როგორც "პარტიის თეორეტიკოსს" და "მებრძოლ მატერიალისტსა და დიალექტიკოსს." ესალმებოდნენ, როგორც ლენინის თანაშემწეს, რომელთან ერთადაც მან თეორიული საფუძველი ჩაუყარა პარტიის პოლიტიკას ეროვნულ საკითხში, როგორც საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს კონსტიტუციური სტრუქტურის შემქმნელს.

ცნობილმა სწავლულმა მეცნიერ-მარქსისტმა და პარტიის ფილოსოფოსმა ვ.ვ. ადორატსკიმ თავის მისალოც სტატიაში დაამკვიდრა თეზისი იმის თაობაზე, რომ სტალინი არა მხოლოდ საყოველთაოდ აღიარებული პოლიტიკური ლიდერი იყო, არამედ "ლენინიზმის მსხვილი თეორეტიკოსიც." მეორე ავტორმა - გ. კრუმინმა, განავითარა რა ეს აზრი, გააკრიტიკა ისინი, ვინც სტალინში მხოლოდ პრაქტიკოსს ხედავდა და უარყოფდა მის ღვაწლს თეორიის საკითხებში. მან განმარტა, რომ სტალინმა სწორედ იმიტომ შეძლო პარტიას სათავეში ჩადგომოდა, რომ რევოლუციის თეორეტიკოსიც იყო და პრაქტიკოსიც. სტალინის, როგორც მარქსიზმის თეორეტიკოსის ყველაზე ღირსშესანიშნავ თვისებად კრუმინი ასახელებდა აზრის სიზუსტესა და სიღრმეს, დიალექტიკის ბრწყინვალე ფლობას და უნარს, საოცარი სიზუსტით დაენახა საკითხის არსი. წარმოუდგენელია, მიიჩნევდა ავტორი, ლენინიზმის საკითხების ნებისმიერი განხილვის დროს გვერდი აუარო სტალინის ნაშრომს "ლენინიზმის საფუძვლების შესახებ." სტალინი თავისი დიდი მასწავლებლების იდეათა არა მხოლოდ ერთგული მოწაფე და ინტერპრეტატორი იყო, არამედ მათი საქმეების სიღრმისეული განმგრძობიც. ის ავითარებდა მარქსისტულ აზრს "ჭეშმარიტად რევოლუციური დიალექტიკური ფორმულირებებით," რომლებიც თეორიულ საფუძველს მიუსადაგებდნენ ახალ მოვლენებსა და მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის გამოცდილებას.

სტალინმა ეს ქება-დიდება აღიქვა, როგორც დამსახურებული. იუბილეს მომდევნო კვირაში იგი უკვე სახალხოდ გამოვიდა პარტიის პირველი თეორეტიკოსის როლში. კომუნისტური აკადემიის მიერ მოწვეულ სოფლის მეურნეობის სპეციალისტ-მარქსისტთა კონფერენციაზე მან განაცხადა, რომ საბჭოთა თეორიული აზროვნების მიღწევები ეკონომიკის სფეროში ჩამორჩება პრაქტიკას. სახეზეა გარკვეული შეუსაბამობა პრაქტიკულ წარმატებებსა და თეორიის ჩამორჩენილობას შორის. ამაზე ის ფაქტიც მიგვანიშნებს, რომ კომუნისტებში ჯერ კიდევ ბოგინობს სხვადასხვა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული თეორიები, მაგალითად, ისეთები, როგორიც არის ეკონომიკის სხვადასხვა დარგებს შორის "წონასწორობის" თეორია, "თვითდინების" თეორია საბჭოთა მშენებლობაში და წვრილგლეხური მეურნეობის "მდგრადობის" თეორია.

ეს ჩამორჩენილობა დაძლეული უნდა იქნეს, რადგან, "თეორია, თუ ის ჭეშმარიტი თეორიაა, პრაქტიკოსებს ორიენტირების ძალას, ნათელ პერსპექტივას, მუშაობაში თავდაჯერებულობას, ჩვენი საქმის გამარჯვების რწმენას უნერგავს." [15]

სოციალიზმის მშენებელი

საბჭოთა კავშირში სოციალისტური საზოგადოების მშენებლის სახელით ისტორიაში შესვლა სტალინის ერთ-ერთი ყველაზე სანუკვარი სურვილი იყო. რევოლუციის მერვე წლისთავისადმი (1925 წ.) მიძღვნილი სტატია ამაზე ფარულ მინიშნებას შეიცავდა. ამ სტატიაში სტალინი თანამედროვე პერიოდს 1917 წელთან ანალოგიით იხილავს, საიდანაც გამომდინარეობს, რომ წინ კიდევ ერთი გამარჯვებაა, მნიშვნელობით ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების მიტაცებასთან შესადარი.

მსგავსი იდეა სისტემატურად იყო სტალინის თვალთახედვის არეში. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ სტალინი დაუბრუნდა ამ თემას თეზისებში, რომლებიც წარმოადგინა XV პარტიულ კონფერენციაზე 1926 წლის ოქტომბერში. აქ იგი მიმდინარე მომენტს სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის ბრძოლის გაძლიერების პერიოდს უწოდებს როგორც საერთაშორისო სარბიელზე, ისე ქვეყნის შიგნით და მემარცხენე ოპოზიციას ბრალს სდებს პესიმიზმისა და დამარცხებისადმი შემგუებლობის გავრცელებაში, რაც დამახასიათებელია პარტიის მხოლოდ ერთი ნაწილისათვის. "ამ თვალსაზრისით, - განაგრძობს იგი, - ახლანდელი გარდატეხის პერიოდი რამდენადმე მოგვაგონებს გარდატეხის პერიოდს 1917 წლის ოქტომბერში. როგორც მაშინ, 1917 წლის ოქტომბერში, ბურჟუაზიული რევოლუციიდან პროლეტარულ რევოლუციაზე გადასვლის სირთულეებმა და სიძნელეებმა მერყეობა წარმოშვა პარტიის ერთ ნაწილში, გაჩნდა მარცხისადმი შემგუებლობა და ეჭვი პროლეტარიატის მიერ ხელისუფლების აღებისა და მისი შენარჩუნების შესაძლებლობისადმი (ზინოვიევი, კამენევი), ისე ახლაც, ამ გარდატეხის პერიოდში, სოციალიზმის მშენებლობის ახალ ფაზაზე გადასვლის სიძნელეები პარტიის ზოგიერთ წრეებში ბადებს ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური ელემენტების კაპიტალისტურზე გამარჯვების შესაძლებლობისადმი

უნდობლობას, ურწმუნობას საბჭოთა კავშირში სოციალიზმის ძლევამოსილი გამარჯვების შესაძლებლობაში."

სტალინი თავის თავს არ ახსენებს, მაგრამ გულისხმობს, რომ მან გარკვეული როლი უნდა შეასრულოს ამ პერიოდში. 1917 წელს, ანალოგიურ სიტუაციაში პარტიაში გაჩნდნენ ზინოვიევისა და კამენევის მსგავსი მერყევი ელემენტები, რომლებსაც არ სწამდათ გადამწყვეტი რევოლუციური ქმედებებისა. ამისათვის, საჭირო იყო ლენინური სიმტკიცე და შთაგონებული ხელმძღვანელობა, რისი უზრუნველყოფაც ძალუძდა მხოლოდ ლენინური ტიპის ახალ ხელმძღვანელს, ანუ ისეთ ადამიანს, როგორიც სტალინი იყო.

სტალინის დაბადების ორმოცდაათი წლისთავზე ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა მისი, როგორც სოციალიზმის მშენებლის განდიდება, რადგან, საერთო შეხედულებით, სოციალიზმი ჯერ კიდევ არ იყო აშენებული. თუმცა, ზოგიერთ საიუბილეო სტატიაში უკვე გამოჩნდა მინიშნება, რომ ეს როლი სტალინის ერთ-ერთი გმირული როლი იყო. მაგალითად, კუიბიშევმა, რომელიც იმ დროს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ედგა სათავეში და ის-ის იყო პოლიტბიუროშიც აირჩიეს, სტალინს უწოდა "ინდუსტრიალიზაციის იდეის მგზნებარე ქომაგი" და ადამიანი, რომელსაც პარტიისა და მუშათა კლასის ხელმძღვანელობა ეწერა საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად. იმის დასამტკიცებლად, რომ სტალინი დიდი ხანია პრაქტიკულ მონაწილეობას იღებს ამ პრობლემის გადაწყვეტაში, კუიბიშევმა მოიშველია მაშინ ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი, 1921 წლის მარტში სტალინის მიერ ლენინისათვის მიწერილი წერილი, რომელშიც იგი იწონებდა ქვეყნის ელექტრიფიკაციის ათწლიან გეგმას (გოელროს) და უპირისპირებდა მას ტროცკის წინადადებებს ეკონომიკის აღდგენის თაობაზე, აგრეთვე, სახავდა მთელ რიგ პრაქტიკულ ნაბიჯებს ამ გეგმის განსახორციელებლად. სწორედ ამ წერილში მოიხსენიებს სტალინი ტროცკის, როგორც "შუა საუკუნეების შინამრეწველს, რომელმაც თავი იბსენის გმირად წარმოიდგინა, ძველებური საგით რუსეთის "გადასარჩენად" რომ არის მოვლენილი." (ეგებ თვითპროექციისადმი ქვეცნობიერი იმპულსის შედეგად?)

კუიბიშევი იხილავს აგრეთვე სტალინის გამონათქვამებს ინდუსტრიალიზაციის შესახებ, დაწყებული XIV ყრილობაზე გამოსვლიდან,

როცა მან განაცხადა, რომ პარტიის გენერალური ხაზია საბჭოთა კავშირის აგრარული ქვეყნიდან ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გარდაქმნა. კუიბიშევი აღნიშნავს 1926 წელს სტალინის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომ ინდუსტრიალიზაცია მხოლოდ მრეწველობის განვითარება კი არ არის, არამედ, უმთავრესად, წარმოების საშუალებათა გაფართოებული წარმოებაა. 1928 წელს სტალინმა დასძინა, რომ სოციალიზმის მშენებლობისათვის და საბჭოთა კავშირის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში აუცილებელია თავდაცვისათვის შესაბამისი ინდუსტრიული ბაზის შექმნა და ინდუსტრიალიზაციის დაჩქარებული ტემპებით წარმართვა. ასეთია სტალინის - იმ ქვეყნის იდეოლოგის სახე, რომელიც ინდუსტრიალიზაციას ახორციელებს, — ასკვნის კუიბიშევი. "რკინისებრი ხელით, ბოლშევიკური სიმტკიცით და შეუპოვრობით, უშრეტი ენერგიით იცავს ამხანაგი სტალინი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის იდეებს, დაუნდობლად ამხელს მათ, ვინც ცდილობს ამ გზას ააცდინოს პარტია."

საველიევის ავტორობით გამოქვეყნებულ უფრო ვრცელ სტატიაში განხილულია სოციალიზმის მშენებლის სტალინური განმარტება. წარსულში პროფესიონალმა რევოლუციონერმა საველიევმა 1910 წელს ლაიფციგში დოქტორის ხარისხი მიიღო და პარტიული ჟურნალის - "პროსვეშჩენიეს" რედაქტორი გახლდათ 1913 წელს, როცა ამ ჟურნალში დაიბეჭდა სტალინის სტატია ეროვნულ საკითხზე. საველიევი სტალინზე ხუთი წლით უმცროსი იყო. მან თავისი ცხოვრება გენერალური მდივნის ფრაქციას დაუკავშირა და 20-იანი წლების დამლევს ეკავა ისეთი მნიშვნელოვანი თანამდებობები, როგორიც ლენინის ინსტიტუტის დირექტორის და ჟურნალ "პროლეტარსკაია რევოლუციას" რედაქტორის პოსტები იყო. მისალოც პანეგირიკში მან შექმნა სტალინის, როგორც ინდუსტრიალიზაციის სულისჩამდგმელის ბრწყინვალე სახება, ხაზი გაუსვა ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე "გადამწყვეტი შეტევის" მისეულ ორიენტაციას. მაგრამ ამ სტატიის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ მასში სტალინი ფიგურირებდა ერთდროულად როგორც შემოქმედი და როგორც თანამედროვეობის ახალი ლენინი. საველიევი წერდა, რომ შეუძლებელია სტალინის როლის გაგება, როგორც "საუკეთესო ლენინელის" და "თანამედროვე პირობებში ლენინის

საქმის განმგრძობისა," თუ არ გავაშუქებთ მის თანამედროვე როლს სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობაში. ავითარებს რა თავის თეზისს, საველიევი ხაზს უსვამს სტალინის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სოციალიზმი უნდა გავრცელდეს არა მხოლოდ ქალაქში, არამედ სოფლადაც და იხსენებს, აგრეთვე, მის გამოსვლას XV ყრილობაზე, რომელშიც სტალინმა აღნიშნა, რომ რუსეთის აგრარული ჩამორჩენილობის დაძლევის გზა არის მცირე გლეხური მეურნეობების მსხვილ კოლმეურნეობებად გარდაქმნა. აქედან გამომდინარეობდა, რომ სტალინი იყო სულისჩამდგმელი კოლექტივიზაციისა, რომელიც უკვე ხორციელდებოდა საბჭოთა სოფელში.

როგორც ცნობილია, ბოლშევიკებისათვის ლენინი, უპირველეს ყოვლისა, რევოლუციური გმირის სიმბოლო იყო. ლენინის უმთავრესი დამსახურება პარტიისა და ისტორიის წინაშე იყო ოქტომბრის რევოლუცია და გადამწყვეტი ღვაწლი მის გამარჯვებაში. საველიევის არგუმენტები დამყარებული იყო ამ სიმბოლურ ხატებაზე. მისი სიტყვებით, იმისათვის, რომ შევიცნოთ სტალინი, როგორც ლენინის თანამედროვე განსახიერება, საჭიროა შევიგნოთ, რომ სტალინი მასშტაბითა და ხასიათით ჭეშმარიტად რევოლუციურ საქმეს შეეჭიდა.

ამრიგად, როგორც სტატიიდან ჩანს, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციასა და ინდუსტრიალიზაციას ხელი რომ მოჰკიდა, სტალინი ისწრაფვოდა ახალ ლენინად დაემკვიდრებინა თავი. სტალინისათვის მისი ოქტომბერი - რუსეთის მომავალი რევოლუციური გარდაქმნაა.

ძველმა სწავლულმა-ბოლშევიკმა ყურადღებით შეისწავლა სტალინის ნაწარმოებები, ხოლო მათი საშუალებით - სტალინის აზროვნებაც.

შენიშვნები

1. Жизнь национальностей. 24 დეკემბერი, 1924 წელი. ბერტრამ დ. ვულფის (Bertram D. Wolfe), აზრით, რომელმაც ეს სტატია აღმოაჩინა, იგი მოწმობს, რომ "სტალინის დამახასიათებელი თვისებები იყო მისწრაფება პირფერობისაკენ და დაჟინებული სურვილი, ძალაუფლების მეშვეობით მიეღწია, რომ ქვეშევრდომები მოლაქუცებოდნენ." (Wolfe B.D. Khrushchev and Stalin's Ghost, New York, 1957. p. 155 n.)

2. სწორედ ამ ასპექტს უსვამს ხაზს მოშე ლევინი პიროვნების კულტის წარმოშობის ახსნისას: იხ. Lewin Moshe. Russian Peasants and Soviet Power: A Study of Collectivization. Evanston, III., 1968, p. 452-453.
3. Сталин И.В. Соч., т. 7, с. 45. 1925 წლის 25 თებერვლით დათარიღებული წერილის ადრესატი იყო ვინმე ამხ. მე-რტი; მის შესახებ რაიმე დამატებითი ცნობა მოყვანილი არ არის.
4. Сталин. Сборник статей к пятидесятилетию со дня рождения. М. Л., 1929. ამ წიგნის მეორე მასობრივი ტირაჟი 1930 წელს გამოვიდა. ყველა საიუბილეო მასალა, რომელსაც სხვა მითითება არა აქვს, ციტირებულია ამ გამოცემის მიხედვით.
5. "Правда", 22 декабря, 1929 г.
6. Avtorkhanov Abdurakhman. Stalin and the Soviet Communist Party: A Study in the Technology of Power. New York, 1959, p. 157.
7. "Правда", 21 декабря, 1929 г.
8. "О Ленине" - ამ სიტყვით გამოვიდა სტალინი 1924 წლის 28 იანვარს კრემლის კურსანტების წინაშე. შემდგომში გამოიცა ბროშურა ამავე სათაურით, რომელშიც შევიდა ეს გამოსვლა და სტალინის სხვა სტატიები და გამოსვლები ლენინის შესახებ.
9. "Правда", 20 декабря, 1929 г. დ.ბედნის სტატია დათარიღებული იყო 1928 წლის 7 თებერვლით, მაგრამ ვერ დავადგინე, გამოქვეყნებული იყო თუ არა იგი 1929 წლამდე.
10. McKenzie Kermit E. Comintern and World Revolution 1928-1943. The Shaping of Doctrine. New York, 1964, p. 29-30, 40-42. ბუხარინის პროგრამის შესახებ იხ.: Draper Theodore. - "The Strange Case of the Comintern", "Survey", No. 3 (84) (Summer 1972), p.134.
11. Krushchev. Special Report to the Soviet Twentieth Parthy Congress. - "The New York Times", 5 June 1956; პიესის ტექსტი იხ.: Вишневский В. Пьесы. 1929-1950 гг. М., 1954, с. 450-558.
12. Deutscher, I. Stslin: A Political Biography. New York, 1966 p. 199.
13. Deutscher. Stslin..., p. 290.
14. Сталин И.В. Соч., т. 12, с. 69-78. ლენინისა და ბუხარინის უთანხმოების შესახებ სახელმწიფოს საკითხთან დაკავშირებით იხ.: Cohen Stephen F. Bukharin and the Bolshevik Revolution. New York, 1973.
15. Сталин И.В. Соч., т. 12, с. 141-143, 147, 149.

საბედისწერო თავის მოტყუება. სტალინი და გერმანიის თავდასხმა საბჭოთა კავშირზე (ნაწყვეტები წიგნიდან "მითი ყირიმელის შესახებ")

საგარეო პოლიტიკაში სტალინი სულაც არ ხელმძღვანელობდა სენტიმენტებით ან იდეოლოგიური მიდრეკილებებით. მის სახელმწიფო მოღვაწეობას მნიშვნელოვანი დაღი დაასვა მეფის რუსეთის მემკვიდრეობამ და პრობლემებს, რომლებსაც იგი ეჯახებოდა, ღრმა ისტორიული ფესვები ჰქონდა. "ახლა მე საუზმის დროს ვკითხულობ მეფე ალექსანდრეს ცხოვრების ისტორიას და მის რთულ დამოკიდებულებას ნაპოლეონთან ტილზიტის დროს და მის შემდეგ, - ჩაწერა სტაფორდ კრიფსმა თავის დღიურში გერმანელების თავდასხმამდე სულ რამდენიმე თვით ადრე. ჭეშმარიტად განსაცვიფრებელია, როგორ ძალიან ჰგავს ჰიტლერის სტრატეგია რუსეთის მიმართ ნაპოლეონის სტრატეგიას ალექსანდრესთან მიმართებაში! მართლაც, ხანდახან მოგეჩვენება, რომ ისტორია მეორდება." [1]

სტალინის მმართველობას მიზნის მისაღწევად ნამდვილად განსაკუთრებული და ძალზე დესპოტური მეთოდები ახასიათებდა. ვინ შემედავება იმაზე, რომ 1930-იან წლებში არმიაში ჩატარებულ სტალინურ წმენდას და უმაღლესი მთავარსარდლობის საქმიანობაში ჩარევას კატასტროფული შედეგები მოჰყვა? შორეული რევოლუციური დღეების ულმობელი პრაქტიკა უდავოდ შენარჩუნებული იქნა. და მაინც, შეცდომას დავუშვებდით, თუკი მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის შემდგომი საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ახსნას ტირანის ჭირვეულობით ან უსაზღვრო იდეოლოგიური ექსპანსიონიზმით შევეცდებოდით.

სტალინის პოლიტიკა რაციონალურ და აწონილ-დაწონილ უპრინციპო Realpolitik-ად გამოიყურება, რომელიც ზუსტად განსაზღვრულ გეოპოლიტიკურ ინტერესებს ექვემდებარება. მარქსის მიერ 1848 წელს საერთაშორისო პროლეტარიატისადმი ნასროლი საბრძოლო მოწოდება: "პროლეტარიატს არაფერი აქვს დასაკარგი, თავისი ბორკილების გარდა," - სტალინის სულში გაცილებით ნაკლებ გამოძახილს პოულობდა, ვიდრე

იმავე წელს პალმერსტონის ცნობილი გამონათქვამი: "ჩვენ არა გვყავს სამარადისო მოკავშირეები და მუდმივი მტრები. სამარადისო და უცვლელია ჩვენი ინტერესები და მათი მსახურება ჩვენი მოვალეობაა." როგორც მისთვის დამახასიათებელი ლაკონურობით აღნიშნავდა ჰენრი კისინჯერი, - "რიშელიეს ან ბისმარკს არ გაუჭირდებოდათ (სტალინის) სტრატეგიის გაგება." და მაინც, ტრადიციულ "ძალთა დაბალანსების შეუზღუდავი პოლიტიკა" აღრეული იყო მეტერნიჰის რწმენასთან, რომ სახელმწიფოებს შორის დამოკიდებულება "უნდა განისაზღვროს კონსენსუსის საფუძველზე მმართველ თანამოაზრეებს შორის." [2] არ არის გასაკვირი, რომ საგარეო პოლიტიკაში სტალინის კერპი მაკიაველი იყო და არა ლენინი. საგანგებოდ მისთვის ნათარგმნი წიგნიც კი ჰქონდა — "ხელმწიფე."

მკაცრი ნეიტრალიტეტი გერმანიის წინაშე ვალდებულებების მაგივრად — აი, რაში ხედავდა სტალინი მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის უმთავრეს მიღწევას. რაკი იძულებული იყო პაქტისათვის ხელი მოეწერა, სტალინმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, მაქსიმალური მოგება მიეღო მისგან. იგი ცდილობდა აენაზღაურებინა წყენა, რომელიც რუსეთმა, მისი აზრით, გადაიტანა არა მარტო ვერსალის სამშვიდობო კონფერენციაზე და ომთა შორის პერიოდში, არამედ XIX საუკუნეშიც, ევროპაში ბატონობისათვის ბრძოლის დროს. სტალინი არ მოელოდა, რომ გერმანია და ინგლისი ომში სისხლისგან დაცლიდნენ ერთმანეთს, მაგრამ, რა თქმა უნდა, იმედი ჰქონდა, რომ საკმაოდ დაუძლურდებოდნენ. სამშვიდობო კონფერენციისათვის საკუთარი დღის წესრიგის შედგენისას, სტალინი ფიქრობდა, რომ წითელი არმიის ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად საკმაოდ ხანგრძლივი შესვენება მიიღო, რაც მოსალოდნელ მოლაპარაკებებზე საკაჭროდ სჭირდებოდა. მისი პოლიტიკა მიმართული იყო მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ინტერესების დასაცავად. რა თქმა უნდა, ისე, როგორც მას ესმოდა ეს ინტერესები. ხსენებულ პოლიტიკას საფუძვლად ედო "გავლენის სფეროთა" იდეა, რაც უკვე თავისი არსებობის ფაქტით ძირს უთხრიდა სუვერენიტეტის იდეას. მოსაზრება - მთელი საზღვრის გასწვრივ ბუფერული ზონის შექმნის შესახებ - რუსეთის მეფეთა მემკვიდრეობა გახლდათ. მათი აზრით, სამხრეთით შავ ზღვაზე და ჩრდილოეთით ბალტიის ზღვაზე

თავისუფალი შეღწევა რუსეთის მიერ დიდი ევროპული სახელმწიფოს პოზიციის განმტკიცებისა და თავისი შედარებით სუსტი საზღვრების დაცვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა. რუსეთსა და გერმანიას შორის ბუფერული ზონის მთელ სიგრძეზე - ჩრდილოეთ ფინეთიდან სამხრეთ თურქეთამდე შეჩხირული მცირე სახელმწიფოები იძულებული იყვნენ შეეხამებინათ თავიანთი პოლიტიკა გეოპოლიტიკური ფაქტორებით განპირობებული რეალიებისათვის. ამ პირობების შეუსრულებლობას კატასტროფული შედეგები მოჰყვებოდა და, ჩვეულებრივ, აიხსნებოდა ხოლმე საკუთარი წინააღმდეგობის უნარის ან მხარდაჭერის იმ მასშტაბების არასწორი შეფასებით, რომელიც მისთვის მესამე მხარეს შეეძლო შეეთავაზებინა. საბოლოო ჯამში, "ძალთა თამაშის" მსხვერპლებს, საუკეთესო შემთხვევაში, საერთაშორისო საზოგადოებრიობის პროტესტის იმედი შეიძლებოდა ჰქონოდათ.

"უცნაური ომის" დროს სტალინი დარწმუნებული იყო, რომ თავის ჩრდილოეთ და დასავლეთევროპულ საზღვრებზე დარეგულირებას მიაღწია. ამას გარდა, ის მცირე შესვენება, რომელიც მას ხვდა წილად, თითქოს საკმაო დროს აძლევდა განემტკიცებინა საკუთარი დიპლომატია სამხედრო მანქანის სრულყოფის საშუალებით. თუმცა ბალკანეთი და სრუტეები იპყრობდნენ მის ყურადღებას.

შემდგომში, დიდი ალიანსის ჩამოყალიბების გათვალისწინებით, ისტორიკოსები იშვიათად აღიარებენ ხოლმე, რომ რუსები ერთნაირი უნდობლობით ეკიდებოდნენ გერმანელებსა და ინგლისელებს. 1940 წლის მაისში პრემიერ-მინისტრად ჩერჩილის არჩევამ ისინი ვერ დააშოშმინა. იგი მაინცდამაინც არ ეწინააღმდეგებოდა "ფორინ ოფისის" ფატალისტურ კონცეფციას, რომელიც გამორიცხავდა ომის დროს საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის შესაძლებლობას. ლონდონში ვარაუდობდნენ, რომ ნეიტრალიტეტის პაქტი ბოლოს და ბოლოს თავისთავად იქცეოდა საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის სამხედრო ალიანსად. ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის მოსალოდნელი სამხედრო კონფლიქტის შედეგები, ომის გენერალური სტრატეგიის თვალსაზრისით, ძალზე ზედაპირულად განიხილებოდა. მართლაც, საბჭოთა კავშირი ორჯერ იდგა ინგლისთან ომის ზღვარზე: სსსკ-ფინეთის ომის დროს და მაშინ, როდესაც მოკავშირეებმა ბაქოს საბჭოთა ნავთობსარე-

წების დაბომბვა გადაწყვიტეს. მსგავსი გეგმების განხორციელებას, რომელთა შემუშავებაში ჩერჩილი პირადად მონაწილეობდა, ხელი შეუშალა მხოლოდ გერმანიის მიერ ნორვეგიის, დანიისა და ფინეთის ოკუპაციამ.

სტაფორდ კრიფსის მოსკოვში ელჩად დანიშვნა, საფრანგეთის კატასტროფული დაცემის შემდეგ, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ბლოკის ჩამოყალიბების საწინააღმდეგოდ მიმართული უკანასკნელი მცდელობა იყო. გარდა ამისა, სტალინის სწორი გააზრებით, ეს იყო ცდა, წინააღმდეგობა შეექმნათ ბალკანეთში საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის. კრიფსი, რომლის მოსაზრებები ომის შემდგომი ევროპის თაობაზე ემთხვეოდა მოსკოვის შეხედულებებს, აშკარად გამოდიოდა თავისი მთავრობის ოპონენტად. მისი მკვეთრი უთანხმოება ჩერჩილთან და "ფორინ ოფისის" ჩინოვნიკებთან, რაც არ გამოპარვია სტალინის ყურადღებას, იმ წინააღმდეგობრივ პოლიტიკაში გამოიხატა, რომელმაც კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა კრემლში გამეფებული პარანოიდული ატმოსფეროს სურათი.

მთელი 1940 წლის განმავლობაში სწორედ ხმელთაშუა ზღვის მიდამოებში ბრიტანეთის საზღვაო ბატონობა და არა გერმანიის მუქარა თრგუნავდა სტალინს. ახსოვდა რა ყირიმის ომის ისტორიული გამოცდილება და სამოქალაქო ომის დროინდელი მოკავშირეთა ინტერვენცია, იგი უფრთხოდა იმას, რომ თურქეთი არ გამხდარიყო მოკავშირეთა მხრიდან საბჭოთა კავშირზე შეტევის პლაცდარმი. მისი აზრით, მხოლოდ სრულ კონტროლს შავი ზღვისპირეთზე და დუნაის შესართავზე შეეძლო დასრულებული სახე მიეცა უსაფრთხოების სისტემისათვის, რომელიც ჩამოყალიბდა მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის დადების საშუალებით.

ვერმახტის ბრწყინვალე გამარჯვებამ საფრანგეთში საქმეები აურია და სტალინის რწმენა შეარყია. მის წინ აღიმართა პირქუში პერსპექტივა: განზე დარჩენილიყო მშვიდობიანი დარეგულირებისაგან ან გერმანიის მიერ გასრესილიყო, თუკი ხელში არ აიღებდა ინიციატივას საბჭოთა კავშირის ინტერესების დასაცავად. ჰიტლერის მიერ ევროპაში წმინდა სამხედრო უპირატესობით ჰეგემონიის დამყარების საშიშროებამ, სტალინი მუსოლინისთან დააახლოვა. ისინი ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ და იმედი ჰქონდათ, საერთო ინტერესების კონსოლიდაცია მოეხდინათ გერმანიის ლოცვა-კურთხევით ბალკანეთში, ხმელთაშუა და შავ ზღვაზე.

ინტერესების ახალი ერთიანობა წარმოშვა იმ ვაკუუმმა, რომელიც შეიქმნა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებსა და ბალკანეთში ინგლის-საფრანგეთის გავლენის მოსპობით, თუმცა, როგორც კი გერმანელებმა თავისი ყურადღება ბალკანეთისაკენ, განსაკუთრებით კი რუმინეთის რესურსებისაკენ მიმართეს, ზეწოლა მოახდინეს იტალიაზე, რათა ბოლო მოელოთ საბჭოთა კავშირთან მისი მკვდრადშობილი თანამშრომლობისათვის.

სწორედ სსრკ-იტალიის მზარდმა ურთიერთგაგებამ ნიადაგი მოუმზადა ბესარაბიის ოკუპაციას საბჭოთა კავშირის მიერ. ექსპანსია დუნაის შესართავისაკენ მთავარ მიზნად სულაც არ ისახავდა მიწების გაერთიანებას. ამით რუსებმა მდინარის კონტროლის საშუალება და სრუტეებისაკენ შემდგომი გადაადგილებისათვის ტრამპლინი მოიპოვეს. თურქეთის სრუტეებისაკენ სახმელეთო ხიდის უზრუნველყოფას სტალინი ნებისმიერი ახალი საკითხის დარეგულირების მთავარ პირობად მიიჩნევდა. რუსები ძალზე შეაფიქრიანა იმ ამბავმა, რომ საბჭოთა კავშირი წინასწარგანზრახულად გამორიცხეს ვენაში 30 აგვისტოს რუმინეთის, უნგრეთისა და ბულგარეთისათვის თავსმოხვეული არბიტრაჟიდან, რომელიც აწესებდა რუმინეთის საზღვრებს და დუნაიზე კონტროლის მექანიზმს. ეს საფუძველს ურყევდა საბჭოთა კავშირის, როგორც დიდი ევროპული სახელმწიფოს სტატუსს, დიდ გარღვევას ქმნიდა უშიშროების სისტემაში, აგრეთვე გზას უჭრიდა მის მისწრაფებებს შავ ზღვასთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, სერიოზული საფუძველი არ გააჩნია განცხადებებს იმის თაობაზე, თითქოს ბერლინში 1940 წლის ნოემბერში ვიზიტის დროს მოლოტოვი ჰიტლერს ურიგდებოდა მთელი მსოფლიოს გადანაწილებაზე. ხსენებულ მოლაპარაკებათა დირექტივა, რომელიც სტალინმა თავის აგარაკზე უკარნახა და ჩააწერინა მოლოტოვს, გულისხმობდა საბჭოთა კავშირის ძალზე მნიშვნელოვან, უსაფრთხოების მოსაზრებებით განპირობებული ინტერესების დაცვას ბალკანეთსა და თურქეთის სრუტეებში. თუმცა კი, უეჭველია, რომ ეს უსაფრთხოება ნაწილობრივ მაინც უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი გარკვეული ტერიტორიების ანექსიის გზით, მათი სუვერენიტეტის მიუხედავად. კერძოდ, სტალინი წინააღმდეგი იყო ბრიტანეთის იმპერიის დანაწილებისა, ვინაიდან განიხილავდა მას სამშვიდობო კონფერენციის სავარაუდო მონაწილედ, თუმცა

კი იმ სახელმწიფოს სახით, რომელსაც დაკნინების მიდრეკილება ახასიათებს.

ბერლინის შეხვედრის შემდეგ სტალინი ორ მოსაზრებას შორის იხლიჩებოდა. ერთი გახლდათ სურვილი, არ დაეშვა გერმანელები სრუტეებში, ხოლო მეორე - შიში, რომ ნებისმიერ თანამშრომლობას ინგლისელებთან ბალკანეთში შეეძლო გერმანელების პროვოცირება მოეხდინა, რასაც ინგლისელები საბჭოთა კავშირის ომში ჩასათრევად გამოიყენებდნენ. სტალინმა რთულ დიპლომატიურ სვლებს მიმართა, რაც ადასტურებს, რომ მას კარგად ესმოდა წითელი არმიის სისუსტე, რომელიც გვარიანად დასახიჩრდა 1937-1938 წლების რეპრესიების დროს. ამიტომაც ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ არმიის ბრძოლისუნარიანობის და, რაც ყველაზე მთავარია, მისი, როგორც ბერკეტის როლის ასამაღლებლად იმ დროისათვის, როცა მომავალ სამშვიდობო კონფერენციაზე ვაჭრობის მომენტი დადგებოდა. სტალინს იმედი ჰქონდა, რომ ხსენებული კონფერენცია დაარღვევდა ვერსალის სისტემას და აღადგენდა საბჭოთა კავშირის, როგორც დიდი სახელმწიფოს სტატუსს. მას მიაჩნდა, რომ სამშვიდობო კონფერენციის შეკრების დროისათვის საბჭოთა კავშირი საკმაოდ ძლიერი იქნებოდა ყველა ძველი და ახალი წყენის ასანაზღაურებლად.

გერმანიის მხრიდან საბჭოთა კავშირისათვის ხიფათის მწვავე შეგრძნება აიძულებდა სტალინს ბეწვის ხიდზე ევლო და თავგანწირვით ებრძოლა პოლიტიკური დარეგულირებისა და წითელი არმიის აღდგენისათვის. გენერალური შტაბის მიერ 1941 წელს გაცემული დირექტივები, რომლებიც წინამდებარე ნაშრომში პირველად განვიხილეთ, გვიჩვენებს, რომ სტალინი მთლიანად საქმის კურსში იყო გერმანიის ჯარების გაშლის მასშტაბების შესახებ და 1941 წლის გაზაფხულზე ციებ-ცხელებიანივით ცდილობდა არმიის რეფორმირებას. მსგავსი ღონისძიებები დაწვრილებით იხილებოდა უმაღლესი სარდლობის სხდომებზე კრემლში, დეკემბრის თვეში და აპრობირებას გადიოდა ორი კომპლექსური სამხედრო სწავლებისას 1941 წლის დასაწყისში. ამ და სხვა სწავლების სავარაუდო პირობა იყო გერმანიის თავდასხმა საბჭოთა კავშირზე. სწავლების შედეგები აისახა მობილიზაციისა და ჯარის გაშლის გეგმებში, რომლებიც მოამზადა 1941 წლის გაზაფხულზე გენერალური

შტაბის მეთაურის თანამდებობაზე კვლავ აღდგენილმა გენერალმა ჟუკოვმა. აღორძინებული იქნა, აგრეთვე, დახვეწილი სამხედრო დოქტრინა, რომელიც 1930-იან წლებში შემუშავებული იყო შემდგომში რეპრესირებული და დახვრეტილი გენერლის, ტუხაჩევსკის ხელმძღვანელობით. უდიდესი ძალ-ღონე ხმარდებოდა ახალი, 1939-1940 წლებში დადგენილი საზღვრების გამაგრების დაჩქარების პროცესს, თუმცა ყოველივე ეს ვერ იქნა ბოლომდე მიყვანილი გერმანიის თავდასხმის გამო.

1941 წლის აპრილის შუა რიცხვებში სამხედრო დაზვერვის სამმართველოს უფროსმა გენერალმა გოლიკოვმა შემაშფოთებელი პატაკი გადასცა სტალინს საბჭოთა საზღვრებისაკენ გერმანიის ჯარების მასობრივი მოძრაობის თაობაზე. სტალინი დაეთანხმა, რომ დიდი წარმატებების მიუხედავად, წითელი არმია ჯერ კიდევ არ იყო მზად ბრძოლისათვის. უმაღლეს მთავარსარდლობაში მიმდინარე გადაადგილებები ხელს უშლიდა გარდაქმნებს არმიაში: ომის წინა ერთადერთი წლის განმავლობაში სამჯერ შეიცვალა გენერალური შტაბის მეთაური. დივიზიების მეთაურთა პატაკების ნაკადიდან აშკარად ჩანდა სერიოზული შიდა ნაკლოვანებები. ამის გამო ერთადერთი გადაწყვეტილება გერმანელებთან დროებითი კომპრომისი შეიძლებოდა ყოფილიყო. 1941 წლის აპრილის დასაწყისში იუგოსლავიასთან დადებულ ხელშეკრულებას მეგობრობის შესახებ სულაც არ ჰქონდა მიზნად ჰიტლერისათვის წინააღმდეგობის გაწევა, როგორც ზოგ მკვლევარს დღემდე მიაჩნია. მას შემდეგ, რაც სახალხო მხარდაჭერის ტალღაზე ბელგრადში მომხდარი გადატრიალების შედეგად სახელმწიფოს დამოუკიდებელი მთავრობა ჩაუდგა სათავეში, სტალინს იმედი გაუჩნდა, რომ შეაკავებდა ჰიტლერს ომის აღმოსავლეთით გავრცელებისაგან და შეძლებდა მის შემობრუნებას სამშვიდობო კონფერენციის იდეისაკენ. იუგოსლავებსა და რუსებს შორის შემდგარი დრამატული მოლაპარაკება ეფუძნებოდა საერთო სურვილს, თავიდან აეშორებინათ ომი და არა ჰიტლერისათვის ეფექტიანი წინააღმდეგობის გაწევას. თუკი საბრძოლო მოქმედებები მაინც დაიწყებოდა, სტალინს გადაწყვეტილი ჰქონდა ნეიტრალიტეტის პოზიციაზე დაბრუნებულიყო და, ამავე დროს, შეეგულიანებინა იუგოსლავები, შეეკავებინათ ვერმახტი ორი თვით მაინც, რის შემდეგაც კლიმატური პირობები აიძულებდა გერმანელებს სამხედრო კამპანია მომავალ გაზაფხულამდე გადაედოთ.

თავდაცვის სახალხო კომისარიატის დიდი იმედები, რომელსაც მოლოტოვიც იზიარებდა, უსაფუძვლო გამოდგა, რადგან გერმანიის თავდასხმის შემდეგ იუგოსლავია სულ რაღაც ათი დღის განმავლობაში იქნა ოკუპირებული. სტალინის წინაშე აღმოჩნდა ვერმახტის თითქმის დაუზარალებელი, საზღვრის მთელ პერიმეტრზე გაშლილი ძალები, თანაც ეს ბევრად უფრო ადრე მოხდა, ვიდრე ის მოელოდა. უფრო ადრე, ვიდრე დაიწყებოდა სასურველი დიალოგი ჰიტლერთან, რომლის მიღწევას იგი ესწრაფოდა.

ყურადღება უნდა მივაქციოთ სტალინის შემრიგებლური პოლიტიკის ორ ასპექტს. ერთი მათგანია კომინტერნის დაშლის დრამატული გადაწყვეტილება, რომელიც მას მთავარ დაბრკოლებად მიაჩნდა გერმანიასთან მომავალი თანამშრომლობის გზაზე. მეორე - 1941 წლის აპრილში ხელმოწერილი ნეიტრალიტეტის პაქტი იაპონიასთან. როგორც ეს დღემდე მიაჩნიათ, ამ პაქტის დედააზრი ორ ფრონტზე ომის საფრთხის შემცირება არ იყო. ეს უფრო პოზიტიური ნაბიჯი იყო, რომელსაც თან ახლდა იტალიასთან შერიგებისა და რიბენტროპის იდეების აღორძინების ხელსაყრელი მცდელობა, რათა საბჭოთა კავშირი ღერძის ქვეყნებს შეერთებოდა. რუსეთის არქივებში გაკეთებულ საოცარ აღმოჩენად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ამგვარი ცრუ იმედებით იკვებებოდა გერმანიის ელჩი მოსკოვში, გრაფი ვერნერ ფონ შულენბურგიც, შემდგომში ჰიტლერის წინააღმდეგ 1944 წელს ორგანიზებული, მაგრამ წარუმატებელი შეთქმულების ერთ-ერთი ლიდერი. რაკილა ვერ შეძლო ჰიტლერის დარწმუნება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დამღუპველობაში, შულენბურგი საომარი მოქმედების თავიდან აცილების მიზნით მოსკოვში გამოვიდა არასანქციონირებული ინიციატივებით. საბჭოთა ხელმძღვანელობის წარმომადგენლებთან საუზმეებზე რამდენიმე საიდუმლო შეხვედრის დროს იგი არწმუნებდა სტალინს, გადაედგა ნაბიჯები, რომლებიც, მისი აზრით, განაახლებდა მოლოტოვის მიერ წინა წლის შემოდგომაზე ბერლინში დაწყებულ მოლაპარაკებებს. შულენბურგი, კრიფსისა და მაისკის მსგავსად, ცდილობდა აერიდებინა სტალინის ყურადღება ნამდვილი საშიშროებისაგან, სისტემატურად უსვამდა ხაზს გერმანიის მომადლიერების აუცილებლობას, ამავე დროს, ახშობდა ხმებს ომის შესახებ, რომელსაც ლონდონი ავრცელებდა. იგი უძლიერებდა სტა-

ლინს ისედაც ღრმად ფესვგადგმულ ეჭვს, იმის თაობაზე, რომ საბერძნეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში მარცხის შემდეგ ჩერჩილი ცდილობდა საბჭოთა კავშირის ომში ჩათრევას, რათა შეესუსტებინა გერმანიის ზეწოლა ინგლისზე.

სტალინს არ სურდა ანგარიში გაეწია შეცდომის შესაძლო შედეგისათვის. მტკიცედ ადგა საკუთარ შემრიგებლურ პოლიტიკას და ცდილობდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, თავი აერიდებინა პროვოკაციებისათვის. ალბათ, ეს იყო ერთადერთი უმთავრესი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა 22 ივნისს რუსეთის თავს დატეხილი კატასტროფა. ზემოაღნიშნულის ერთ-ერთი უმძიმესი შედეგი გახლდათ საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის წინა, გადამწყვეტ თვეში სტალინის უნდობლობის ზრდა სამხედროების მიმართ. იგი, როგორც არასდროს, გამოდიოდა დიპლომატიის მიმდევრის როლში, ცდილობდა რა დაეშოშმინებინა ჰიტლერი და თუ ომს თავიდან ვერ აიცილებდა, სურდა ცოტა ხნით მაინც გადაედო იგი. იუგოსლავიის ეპიზოდი წყალგამყოფი გამოდგა. როგორც მანამდე ჩემბერლენი, სტალინიც მოინუსხა გერმანიის სიძლიერით, რის გამოც დიპლომატიური გზა არჩია. თუმცა, მიმართავდა რა ინგლისური "შემრიგებლობის" გამოცდილებას, იგი არ უგულვებელყოფდა სამხედრო ძალას და ომის დაწყების დროს არმიის აღდგენის პროცესი მიმდინარეობდა.

სტალინის სურვილზე, რადაც უნდა დასჯდომოდა, მიეღწია გერმანიასთან შეთანხმებისთვის, ძალზე დიდი გავლენა მოახდინა შიშმა, რომ ინგლისელთა პროვოკაციებს არ ჩაეთრია ომში საბჭოთა კავშირი. ჩერჩილის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, აღმოსავლეთში გერმანიის ჯარების მასობრივ თავმოყრას ლონდონში უცვლელად, 1941 წლის ივნისის პირველ კვირამდე, განიხილავდნენ გერმანელთა მიერ გამოყენებულ ზეწოლად იმ მოლაპარაკებაზე, რომელიც, როგორც ინგლისში წარმოედგინათ, მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის. როგორც ჩვენ მიერ მოტანილი მონაცემები მიუთითებს, გერმანიის ჯარების გაშლის თაობაზე ჩერჩილისაგან სტალინის ჯერ კიდევ აპრილში გაფრთხილება სრულებით არ გამხდარა დიდი ალიანსის წარმოქმნის ეტაპი და, ფაქტობრივად, საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო. სტალინმა ზურგი შეაქცია მთავარ საფრთხეს, ვინაიდან ეჭვობდა, რომ ჩერჩილს

საბჭოთა კავშირის სამხედრო მოქმედებებში ჩათრევა განეზრახა. მის მცდარ დასკვნებს ადასტურებდა კრიფსის არასანქცირებული დიპლომატიური ინიციატივები. კრიფსი არ იზიარებდა საკუთარი მთავრობის კონცეფციას სსრკ-გერმანიის აუცილებელი შეთანხმების თაობაზე და მიაჩნდა, რომ ინგლისის მხარეს რუსების გადაბირების ერთადერთ ეფექტიან საშუალებად სეპარატული მშვიდობის წინაშე რუსების შიშზე თამაში რჩებოდა. კრიფსის გაფრთხილებები, რომელთაც ზურგს უმაგრებდა "ფორინ ოფისიდან" წამოსული ჭორები, სრულიად უადგილო გამოდგა და სტალინის სულში მხოლოდ ადრინდელი შიში გააღვივა.

მიუხედავად წმენდისა, რომელმაც საბჭოთა დაზვერვას დიდი ზიანი მიაყენა, იგი ფრიად ეფექტურად მუშაობდა და არ განიცდიდა ინფორმაციის ნაკლებობას. თუმცა, არც ის გახლდათ თავისუფალი ნებისმიერი დაზვერვის საერთო პრობლემისაგან: ხელმძღვანელობისათვის წარსადგენი ინფორმაცია წინასწარ ანალიზდებოდა და იცხრილებოდა, რაც, თავისთავად, მასალის ტენდენციურ აღქმას იწვევდა. სტალინის მაგიდაზე დახვავებულ სადაზვერვო ცნობებში საკმაოდ ბევრი ორაზროვნება იყო იმისათვის, რათა ბელადი დარწმუნებულიყო, თითქოს თავდასხმის ვადის გადაწევა შესაძლებელი იყო ან უკიდურეს შემთხვევაში იმ მომენტში დაიწყებოდა, რომელსაც თავად სტალინი შეარჩევდა, თუ თავის დიპლომატიურ კარტებს სწორად გაათამაშებდა. დაზვერვის ცნობები მიუთითებდა ჰიტლერსა და ვერმახტს შორის შესაძლო განხეთქილებაზე: თითქოს ჰიტლერი ცდილობდა თავისის მიღწევას მოლაპარაკების გზით, ვერმახტს კი ომი სურდა. ზემოაღნიშნული მხოლოდ და მხოლოდ უძლიერებდა სტალინს რწმენას, რომ საერთო მობილიზაციის გამოცხადება და ჯარების გაშლა სამხედრო მოქმედებების დაწყების ტოლფასი იყო. ფაქტობრივად ის არ შეუყვანია შეცდომაში არც გერმანიის დაზვერვას და არც საკუთარ სპეცსამსახურებს. აშკარად თვითონ იტყუებდა თავს, როცა სისტემატურად პოულობდა თავისი მცდარი შეხედულებების გარეგნულად რაციონალურ გამართლებას.

ამ კონტექსტში ჰიტლერის მოადგილის - რუდოლფ ჰესის ინგლისში 1941 წლის 12 მაისს სამშვიდობო მისიით გაფრენა გასაღებს წარმოადგენდა მოსალოდნელი კონფლიქტისადმი საბჭოთა დამოკიდებულების გასაგებად. სულ ცოტა ხნით ადრე ინგლისის მთავრობის მიერ გამოქვეყ-

ნებული დოკუმენტები მეტყველებს მი-6-ის საოცარ მცდელობაზე, "ფორინ ოფისის" ხელშეწყობით და საიდუმლო სადაზვერვო წყაროების საშუალებით, ჰესის საქმე გამოეყენებინათ "სატყუარად" რუსებსა და გერმანელებს შორის ხელშეკრულების დადების ჩაშლის მიზნით. აღნიშნული დეზინფორმაცია თითქოსდა ასაბუთებდა სტალინის მოსაზრებას გერმანიის ხელმძღვანელობის შიგნით განხეთქილების არსებობის შესახებ და, აგრეთვე, იმას, რომ ჰესი ესწრაფოდა მშვიდობას ინგლისთან, რათა დაერწმუნებინა ჰიტლერი, გაეუქმებინა ყოველგვარი ორაზროვნება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიასთან დაკავშირებით. ბრიტანეთის დაზვერვას იმედი ჰქონდა, რომ ამგვარი ინფორმაცია ჩააგონებდა სტალინს, გერმანიასთან შეთანხმების ნაცვლად, სანამ გვიან არ იყო, ინგლისთან გაერთიანებულიყო. თუმცა ხსენებულმა ინფორმაციამ კრემლში საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო — განამტკიცა რწმენა, რომ ხმები ომის თაობაზე მართლაც ლონდონში ითითხნება საბჭოთა კავშირის უსარგებლო კონფლიქტში ჩაბმის მიზნით.

ასეთია კონტექსტი, რომელშიც უნდა განვიხილოთ ჟუკოვის 15 მაისის დირექტივა გერმანიის წინააღმდეგ დამსწრები დარტყმის განხორციელების შესახებ. რა თქმა უნდა, "რევიზიონისტებისათვის" ეს დირექტივა პროგრამის მთავარ ნაწილს წარმოადგენდა. მათი აზრით, მოცემული გეგმა თვით სტალინისაგან მოდიოდა და "სათანადოდ იყო ხელმოწერილი," რაც ადასტურებს საბჭოთა სტრატეგიის "შეტევით," ანუ "აგრესიულ" ხასიათს. ამისდა მიუხედავად, დირექტივა არ იქნა დამტკიცებული, მეორე დღეს ჟუკოვმა ხელი მოაწერა მეორე დირექტივას გერმანიის მხრიდან მოსალოდნელ თავდასხმასთან დაკავშირებით წითელი არმიის ნაწილების საზღვარზე თავდაცვითი გაშლის შესახებ. სწორედ ეს დირექტივა, უმნიშვნელო ცვლილებებით, რჩებოდა ძალაში 22 ივნისამდე. გარდა ამისა, ჟუკოვის მიერ შემოთავაზებულ წინადადებათა ყოველმხრივი ანალიზი არ ადასტურებს მათ აგრესიულ ხასიათს. 1930-იანი წლების შუა ხანების ძალზე ნიჭიერი გენერლების - ტუხაჩევსკისა და ტრიანდაფილოვის მიერ "ოპერატიული ხელოვნების" მეტად რთული დოქტრინის შესაბამისად შემუშავებული დირექტივა ითვალისწინებდა "დარტყმას", სრულიად გარკვეული ჩარჩოებით შემოსაზღვრულ მოქმედებას გერმანიის ჯარების დაჯგუფების ზურგში.

ყოველივე ეს განიხილებოდა არა პლაცდარმის შექმნად ევროპის შუაგულის დაპყრობის მიზნით, არამედ შეზღუდულ ოპერაციად გერმანიის ძალების ზრდის შესაწყვეტად და, შესაბამისად, თავდაცვითი ხასიათის ქმედებად.

ომის დაწყების წინა მოვლენებმა დრამატული და საშიში ხასიათი მიიღო. გერმანელთა მიერ წარმატებით ჩატარებული დეზინფორმაციის კამპანია და ამით გამოწვეული შეცდომები დაემთხვა ლონდონში კრიფსის მოულოდნელად გამოძახებას კონსულტაციებისათვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა საეჭვო ვითარების დროს, ივნისის დასაწყისში. ყოველივე ეს, თავის მხრივ, ასაზრდოებდა ჰიპოთეზას, თითქოს კულისებს მიღმა მუშავდებოდა რაღაც შეთანხმება, რომელიც ხელს უხსნიდა ჰიტლერს აღმოსავლეთში. ასევე შემაშფოთებელი იყო ირიბი მინიშნებები, რომელთა თანახმად ამერიკელები ზეწოლას ახდენდნენ ჩერჩილსა და იდენზე და აიძულებდნენ მსხვერპლად შეეწირათ საბჭოთა კავშირი მშვიდობიან მოლაპარაკებათა სანაცვლოდ. დაბოლოს, მუდამ არსებობდა შესაძლებლობა, რათა ინგლისს, სამშვიდობო წინადადებების უპასუხოდ დარჩენის შემთხვევაშიც კი, თვალნათლივ ეჩვენებინა გერმანელებისათვის საბჭოთა კავშირთან ომის ვითარებაში განზე დარჩენის სურვილი. მაგრამ სტალინს, რომელმაც იმ მომენტში შეიგნო, რომ ძალა არ შესწევს საომარ მოქმედებაში ჩასაბმელად, უფრო მიმზიდველად მოეჩვენა განხეთქილების თეორია. იმ დროს, როცა არმია და თავგამოდებული ნაცისტები დაჟინებით მოითხოვდნენ ომს, ჰიტლერი და რიბენტროპი, ისევე, როგორც ადრე, საბჭოთა კავშირთან დადებული პაქტის ერთგულნი იყვნენ და მიიჩნევდნენ, რომ მშვიდობიანი გზით სტალინისაგან შეეძლოთ მიეღოთ საქონელიც და, არ არის გამორიცხული, გაუხმაურებელი მხარდაჭერაც ინგლისელების წინააღმდეგ. სტალინი ურყევად იყო დარწმუნებული, რომ ინგლისელები ისწრაფოდნენ ომის პროვოცირებისაკენ და გერმანიის მხრიდან ადგილი არ ექნებოდა არავითარ თავდასხმას წინასწარი ულტიმატუმის გარეშე. სტალინის ეს ცნობილი შეხედულებები ხელს უშლიდა მის უშუალო გარემოცვას, დაზვერვის სხვადასხვა ქვედანაყოფს და ელჩებს, ბოლომდე შეეფასებინათ საშიშროების მასშტაბები. დაზვერვის ორაზროვანმა ცნობებმა, პროვოკაციის აკვიატებულმა შიშმა, იმ ფაქტის შეგნებასთან ერთად, რომ წითელი

არმია ძნელად თუ შეაკავებდა ვერმახტს, თავისი წვლილი შეეტანეს იმ კატასტროფაში, რომელიც თავს დაატყდა რუსებს 1941 წლის 22 ივნისს გარიჟრაჟზე.

როცა გერმანიის თავდასხმის შესატყობინებლად ჟუკოვმა სტალინს აგარაკზე დაურეკა, ჩანდა, ამ უკანასკნელს ჯერ კიდევ სჯერდა, რომ ვერმახტი ჰიტლერის სანქციის გარეშე ცდილობდა ომის პროვოცირებას. ამიტომაც მისი პირველი დირექტივა უკრძალავდა არმიას სრულად განეხორციელებინა საბრძოლოდ გაშლა. როცა ომის რეალობა აშკარა გახდა, ის დარწმუნებული იყო, რომ თავდასხმას ინგლისელები აქეზებდნენ. მხოლოდ ორი კვირის თავზე, უმძიმესი ნერვული შეტევისა და საკუთარი შეცდომების აღიარების შემდეგ, სტალინმა შეძლო ხელში აეღო მართვის სადავეები, შესდგომოდა თავის ლიდერობის აღდგენის უმძიმეს გზას და მოსახლეობის მობილიზაციას "დედა-სამშობლოს" დასაცავად.

ის ამბავი, რომ სტალინმა ვერ შეძლო მომზადებულიყო გერმანელების დარტყმისათვის, არის ურთულესი პოლიტიკური არჩევანის შედეგი, რომლის წინაშეც აღმოჩნდა საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში და, მით უმეტეს, დიდი სამამულო ომის წინ. მდგომარეობას ართულებდა თავის მოტყუება და სტალინის შეცდომები, რაც მისი მმართველობის ავტორიტარული სტილიდან გამომდინარეობდა. და მაინც, ახლაც კი, შორეული გადასახედიდან, ძნელი სათქმელია, რომელი უფრო სწორი ალტერნატივები შეიძლებოდა ჰქონოდა სტალინს. წინასწარი ზომები თუნდაც რომ მიეღო, საუკეთესო შემთხვევაში დარტყმის შენელებას შეძლებდა, მაგრამ ვერ შეაჩერებდა. "დიდი თამაშის" (როგორც მას სტალინი უწოდებდა)[3] ვერც ერთი მონაწილე წინასწარ ვერ ჭვრეტდა გერმანიის სამხედრო მიღწევებს საფრანგეთსა და ბალკანეთში. მოლოტოვის გადმოცემით, სტალინი ჯერ კიდევ ომამდე "გრძნობდა, რომ მხოლოდ 1943 წლისათვის შევძლებდით შევხვედროდით გერმანელებს, როგორც სწორი სწორს."[4] უფრო სავარაუდოა, რომ დასაწყისში სტალინს იმედი ჰქონდა, აიცდენდა ომს და ისარგებლებდა სამშვიდობო კონფერენციის შედეგებით, რომელიც, მისი ანგარიშით, დაახლოებით 1941 წლის ბოლოსათვის უნდა შეკრებილიყო.

განუწყვეტლივ მოდიოდა სადაზვერვო ინფორმაცია, რომელიც სულ მალე საომარი მოქმედებების დაწყებაზე მიუთითებდა. მოსკოვში დაძაბულობა მატულობდა. ანალიტიკოსებს, ბერლინიდან მოსულ დაზვერვის ცნობებს რომ ამუშავებდნენ, სულ უფრო მეტად უძნელდებოდათ ჰიტლერის განზრახვების აშკარა მტკიცებულებების იგნორირება. ომის წინა პერიოდში გამეფებული არეულ-დარეულობა სტალინის გაუმართლებელ რწმენასთან ერთად, ომის თავიდან აცილების შესაძლებლობის თაობაზე, შესანიშნავად ჩანს დეკანოზოვის მოხსენებებიდან, რომლებიც მან მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ სულ მალე გამოგზავნა. თუკი ადრე დეკანოზოვი ძალ-ღონეს არ ზოგავდა, რათა როგორმე გაეფრთხილებინა სტალინი მოახლოებული საშიშროების შესახებ, ამჯერად , გოლიკოვის მსგავსად, განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა, წინდახედულად იშველიებდა ბერლინში მოარული ხმების ორ ტიპს. პირველი მეტყველებდა გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ომის გარდუვალ დაწყებას, ხოლო მეორე - ორი სახელმწიფოს დაახლოვებით ძველი ტრადიციის აღორძინებას, გავლენის სფეროების ხელახალი გადანაწილების და ევროპის საქმეებში საბჭოთა კავშირის ჩაურევლობის საფუძველზე. სტალინის მიერ მთავრობის მეთაურის ფუნქციების თავზე აღება და გერმანიის მიერ ოკუპირებული ქვეყნების მთავრობების აღიარება მოწონებული იყო, როგორც მოლაპარაკების განახლების წინაპირობა. მეორე მხრივ, დეკანოზოვისათვის ცნობილი იყო ჰიტლერისა და კაიტელის დანციგში გამგზავრებისა და არმიის შტაბის აღმოსავლეთში გადატანის ამბავი. თუმცა თავის დასკვნაში ის აკნინებდა ამ ინფორმაციის მნიშვნელობას, რომელიც "ნაწილობრივ აღმოცენდა საბჭოთა კავშირთან ომის დაწყების თაობაზე ხმების გავრცელების გამო." მართალია, დეკანოზოვი ცდილობდა არ დაპირისპირებოდა სტალინის ცნობილ წინასწარ აკვიატებულ აზრებს, მაგრამ მაინც ვერ შეძლო დაემალა საკუთარი შეხედულება იმის შესახებ, რომ გერმანიის მთავრობა "აშკარად ამზადებდა ქვეყანას ომისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მიაპყრობდა მოსახლეობის ყურადღებას უკრაინის რესურსებზე და ავრცელებდა ხმებს საბჭოთა კავშირის სისუსტეზე. ამასთან ერთად, შეისწავლიდა გერმა-

ნელი ხალხის რეაქციას ზემოხსენებულზე." ერთი კვირის შემდეგ იგი კვლავ დაუბრუნდა იმავე თემას და წარმოადგინა პირქუში მოხსენება გერმანიის არმიის უდიდესი ნაწილის - 170-180 დივიზიის საზღვრის მთელ სიგრძეზე წითელი არმიის პირისპირ განლაგების თაობაზე. თუკი მაისის ბოლომდე ფრონტზე ძირითადად მანქანები გადაჰყავდათ, ამ მომენტიდან ისინი შეცვალა მძიმე არტილერიამ, ტანკებმა და თვითმფრინავებმა. თავზარდაცემული მზვერავები მოახსენებდნენ ჯარებისა და შეიარაღების გადაადგილებაზე 13 ივნისის გამთენიისას.[5]

გერმანელები კი ინტენსიურად ავრცელებდნენ დეზინფორმაციას, რომელიც სასიკვდილო იარაღი აღმოჩნდა ურთიერთუნდობლობისა და ეჭვიანობის ატმოსფეროში. ურთიერთგამომრიცხავი ხმები მოსკოვსა და ლონდონში ხელს აძლევდა გებელსს. თავის დღიურში ის დიდი კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირთან მიმართებაში "ჩვენ მივაღწიეთ ყალბი ხმების უზარმაზარი ნაკადის გავრცელებას. გაზეთების გამონაგონმა საბოლოოდ აურ-დაურია საქმეები, ისე, რომ უკვე შეუძლებელია ტყუილ-მართალის გარჩევა. ჩვენც სწორედ ამგვარი ატმოსფერო გვჭირდება."[6] საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სააგენტოს კორესპონდენტმა გერმანიაში და, გერმანული დაზვერვის ცნობით, სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის ბერლინის რეზიდენტურის მეთაურის მოადგილემ ი.ფ.ფილიტოვმა 12 ივნისს მიიღო დავალება, - "გაერკვია, აწარმოებდა თუ არა გერმანია აქტიურ სამშვიდობო მოლაპარაკებას ინგლისთან და მოსალოდნელი იყო თუ არა შემდგომში შეერთებულ შტატებთან კომპრომისის მიღწევის მცდელობა." მას სიტყვა უნდა გადაეკრა, რომ "ჩვენ ყველანი დარწმუნებული ვართ: არსებობს ჩვენი მშვიდობიანი პოლიტიკის შენარჩუნების რეალური შესაძლებლობა. ჯერ კიდევ გვიან არ არის..."[7] დეკანოზოვისაგან განსხვავებით, რომელიც არბილებდა თავის ანგარიშებს, თუმცა, ამავე დროს, მაინც აფრთხილებდა საშიშროების თაობაზე, ფილიტოვმა აღნიშნული ხმები სტალინის მოლოდინის შესაბამისად შეაფასა. საშიშროებას, მისი ღრმა რწმენით, ჰიტლერის "გიგანტური ბლეფის" კვალიფიკაცია უნდა მისცემოდა. ის სულაც არ ფიქრობდა, რომ ომი "უცებ, ხვალ გაჩაღდებოდა," უბრალოდ, გერმანელები ზეწოლას ახდენენ "იმ იმედით, რომ რაიმე სარგებელს მიიღებდნენ, რაც ჰიტლერისათვის აუცილებელი იყო ომის გასაგრძელებლად..."[8]

აღნიშნული ხმები ჰიტლერისათვის ბედის საჩუქარი აღმოჩნდა. ფიურერის ლოცვა-კურთხევით გებელსმა დაწერა ვრცელი სტატია სათაურით - "კრეტა, როგორც თვალსაჩინო მაგალითი," რომელშიც აღწერილი იყო გერმანიის მოჩვენებითი საომარი სამზადისი ხმელთაშუა ზღვის რეგიონში. სტატიამ დიდი ყურადღება მიიპყრო, იქიდან უხვად მოჰყავდათ ციტატები, სანამ მოულოდნელად ამ გამოცემის გაყიდვა საგაზეთო ჯიხურებში არ აიკრძალა, რითიც შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს სტატია სახელმწიფო საიდუმლოებას ამჟღავნებდა. სინამდვილეში, იგი ისე ოსტატურად იყო დაწერილი, რომ "მტერს შეეძლო იქიდან გაეგო ყველაფერი, რისი დაჯერებაც სურდა მოცემულ მომენტში," - თავს იქებდა გებელსი. შემდგომში გერმანელებმა მაქსიმალურად ისარგებლეს ინგლისის პრესაში გაჩაღებული კამპანიით, სადაც მრავალი სტატია გამოაქვეყნეს, რომელთა მიხედვით, თითქოს უკვე არსებობდა შესაბამისი საფუძველი მოსკოვთან მოლაპარაკების გასაგრძელებლად. უკეთებდა რა იგნორირებას მოსკოვის კომუნიკეს, გებელსი, იმავდროულად, აქეზებდა "ათასგვარი ხმების განუწყვეტელ გავრცელებას: მშვიდობა მოსკოვთან, სტალინს ბერლინში ელოდებიან, უახლოეს ხანებში დაიწყება შეტევა თავად ინგლისზე." [9]

9 ივნისს ქობულოვმა შეატყობინა სტალინს, რომ, "სტარშინას" აზრით, ხმებს მოლაპარაკების თაობაზე განზრახ ავრცელებდა ვერმახტი და პროპაგანდის სამინისტრო ომისათვის სამზადისის დასაფარავად, მაგრამ "ულტიმატუმის თეორიამ" უწინდებურად დაუბნელა სტალინს თვალები. ციტირებული იყო ავიაციის შტაბის რუსული განყოფილების უფროსის, ვიცე-პოლკოვნიკ ჰაიმანის სიტყვები, რომ ჰიტლერი "წაუყენებს საბჭოთა კავშირს მოთხოვნებს უკრაინაზე გერმანიის ეკონომიკური კონტროლის დაწესების თაობაზე, ნავთობისა და ხორბლის მიწოდებისა და საბჭოთა ფლოტის ინგლისის წინააღმდეგ მოქმედებებში მონაწილეობის შესახებ." [10] ორი დღის შემდეგ აღმოჩნდა, რომ თითქოსდა მიღებულია საბოლოო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირზე თავდასხმის თაობაზე, მაგრამ ჯერჯერობით "ცნობილი არ არის," წარუდგენენ თუ არა მანამდე სსრკ-ის რაიმე მოთხოვნებს. გერინგის შტაბში მიიღეს ბრძანება შტაბ-ბინის ბერლინიდან რუმინეთში გადატანის შესახებ. მეორე სამხედრო-საჰაერო ფლოტი საფრანგეთიდან პოლონეთში,

პოზნანის რაიონში გადაიყვანეს. გერმანიისა და ფინეთის გენერალური შტაბები, როგორც ჩანს, "ინტენსიურ მოლაპარაკებებს" აწარმოებდნენ. თუ ვიმსჯელებთ იმ დოკუმენტების მიხედვით, რომლებმაც "სტარშინას" ხელში გაიარა, გერმანელები საბჭოთა კავშირს თავს დაესხმიან ჩრდილოეთის მხრიდან - დასავლეთ პრუსიიდან, ხოლო სამხრეთით - რუმინეთიდან. ამგვარად, წარმოიქმნება ფართო მარწუხები, რომლის საშუალებითაც შეეცდებიან, ალყაში მოაქციონ და გაანადგურონ წითელი არმია. გასაგები რომ გახდეს, როგორი წნეხის ქვეშ უხდებოდა მუშაობა ქობულოვს ("ზახარს"), საკმარისია, პატაკის დასკვნაში ყურადღება მივაქციოთ მის თავგანწირულ მცდელობას, დაერწმუნებინა სტალინი, რომ "სტარშინას" რეკომენდაცია - დავასწროთ გერმანელებს - "პროვოკაციული" კი არ არის, არამედ "გულწრფელად გამოთქმულია." [11]

მეორე დღეს ქობულოვმა განამტკიცა გაფრთხილება "სტარშინასაგან" მიღებული ახალი ინფორმაციით "უეცარი თავდასხმის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების თაობაზე." მან უცვლელად მოიყვანა "სტარშინას" სიტყვები:

"გერმანიის ავიაციის სამინისტროს ხელმძღვანელ წრეებსა და ავიაციის შტაბში ამტკიცებენ, რომ გერმანიის თავდასხმა საბჭოთა კავშირზე საბოლოოდ გადაწყვეტილია. წარუდგენენ თუ არა საბჭოთა კავშირს რაიმე მოთხოვნებს, ცნობილი არ არის და ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ მოულოდნელი თავდასხმის შესაძლებლობა." [12]

როცა 16 ივნისს მერკულოვმა სტალინს გაცნო "სტარშინას" ბოლო ცნობები იმის თაობაზე, რომ უკვე მიღებულია თავდასხმის წინ საჭირო უკანასკნელი ზომები, სტალინი მოთმინებიდან გამოვიდა და განაცხადა, "გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალებში არსებული ცნობების წყაროს დედაც...! ის დეზინფორმატორია და მეტი არაფერი" და აბუჩად აიგდო შეტყობინება, რომელიც იუწყებოდა, რომ ჰიტლერის "მაინ კამპფის" ანტისაბჭოთა თავის ავბედითად ცნობილმა ავტორმა როზენბერგმა უკვე შეკრიბა ოკუპაციის შემდეგ საბჭოთა ეკონომიკის მმართველი ადმინისტრატორები. "სტარშინას" სიტყვებით, როზენბერგი დაპირებას იძლეოდა, "გეოგრაფიული რუკებიდან ამოეშალა სახელწოდება - "რუსეთი." [13] როცა 9 ივნისს ტიმოშენკომ და ჟუკოვმა სიტყვა ჩამოუგდეს სტალინს არსებული ფართო სადაზვერვო ინფორმაციის თაობაზე, მას წარბიც

არ შეუხრია. "ბუ სხვა ცნობები მაქვს!" - გააწყვეტინა მათ საუბარი და შორს მოისროლა სადაზვერვო ცნობათა კრებული. მან არც ზორგეს შეტყობინებას მიაქცია ყურადღება და დამცინავად განაცხადა, რომ "ზორგე იაპონიაში რაღაც პაწია ქარხნებსა და საროსკიპოებს დაეპატრონა, თანაც ინება შეგვატყობინოს, გერმანიის თავდასხმის თარიღი 22 ივნისიაო. ნუთუ გგონიათ, რომ ამას დავიჯერებ?"[14]

და მაინც, ესოდენ მძაფრი რეაქცია მიუთითებდა, რომ სტალინის რწმენა შეირყა. როცა ბოლოს დაბოლოს, 17 ივნისს, სტალინთან ლონდონის ინფორმაციასთან ერთად მოხვდა ძალზე საყურადღებო პატაკები, მან სასწრაფოდ გამოიძახა კრემლში მერკულოვი და საგარეო დაზვერვის მეთაური ფიტინი. სტალინმა მოითხოვა პატაკები გადაესინჯათ, რადგან ჩანს, "ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობებს გვაწვდიანო. მან ბრძანა მოემზადებინათ უფრო დამაჯერებელი და დასაბუთებული სადაზვერვო-საინფორმაციო ცნობა."[15] ამის შედეგად 20 ივნისს შეიქმნა დოკუმენტი "საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატის ბერლინის რეზიდენტურის აგენტების - "კორსიკელისა" და "სტარშინას" შეტყობინებათა კალენდარი (1940 წლის 6 სექტემბრიდან 1941 წლის 16 ივნისამდე), გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომისათვის მზადების თაობაზე." იგი მერკულოვის ხელში მოხვდა სსრკ-ზე გერმანიის თავდასხმიდან რამდენიმე საათის შემდეგ. საბოლოოდ ფიტინმა ხსენებული დოკუმენტი საგარეო დაზვერვის გერმანული განყოფილების უფროსს დაუბრუნა და იგი არქივებში ჩაიმარხა შთამომავლობისათვის.

ყოველივე ამის მიუხედავად, სტალინი უბრალოდ უარს ამბობდა, აღექვა ცნობები, რომლებიც თითქოსდა ეჭვის ქვეშ აყენებდა მისი პოლიტიკის სიბრძნეს წინა ორი წლის განმავლობაში. ცხადია, მრავალი შეტყობინება გადაკეთდა მის მოსაწონად, ხოლო მზვერავებს უხდებოდათ გამოეძებნათ საშუალებები, რათა ძალიან არ დაშორებოდნენ ჭეშმარიტებას, ამავე დროს, შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობაც და საშიშროების შესახებ გაეფრთხილებინათ ხელმძღვანელობა. თუმცა, საბოლოო შედეგი სულ სხვანაირი აღმოჩნდა, ვიდრე მოელოდნენ. საუბრობდნენ რა ომის ალბათობაზე, ისინი, ამავე დროს, იმედს აძლევდნენ კრემლის მესვეურთ, რომ კიდევ შესაძლებელი იყო მისი თარიღის გადავადება. სტალინი ებღაუჭებოდა იმ იშვიათ და ურთიერთსაწინააღმდეგო

ცნობებს, რომლებიც მიუთითებდა ვერმახტის არასაკმარის საბრძოლო მომზადებაზე. ის ამტკიცებდა, რომ გერმანელები არ დაიწყებენ საომარ მოქმედებას, სანამ მათი ტანკები, ავიაცია და არტილერია საზღვრიდან ჯერ კიდევ შორს იყო.[16]

ის ებღაუჭებოდა იმ ფაქტსაც, რომ მზვერავები შემოჭრის განსხვავებულ თარიღებს ასახელებდნენ. მონაცემების წინააღმდეგობრივობა თითქოსდა ამართლებდა სტალინის სიფრთხილეს ჯარების გაშლის გეგმების განხორციელებასთან დაკავშირებით.[17] არაერთგვაროვანი დასკვნების საბაბს იძლეოდა შულენბურგზე დაწესებული თვალთვალიც. მაგალითად, 9 ივნისს ხელში ჩაგდებული დეპეშიდან სტალინმა გაიგო, რომ შულენბურგს არ მიუღია მოლაპარაკების დაწყების ინსტრუქცია, თუმცა მას არც შესაძლო საომარი მოქმედებების თაობაზე ატყობინებდნენ. გარდა ამისა, გერმანიის ელჩი გაუთავებლად იმეორებდა, რომ "საბჭოთა კავშირი ზუსტად ასრულებს გერმანიისათვის მიცემულ პირობას, რის გამოც ძალზე ძნელია მასზე თავდასხმის მიზეზის გამოძებნა."[18]

ხელფეხშეკრული დაზვერვა, ომამდე დარჩენილი რამდენიმე დღის განმავლობაში, მაინც სრულიად პირდაპირ მიუთითებდა საშიშროებაზე, რომელიც ქვეყანას ემუქრებოდა. 19 ივნისს სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატმა მოახსენა 10 ივნისის შემდეგ გერმანიის საელჩოს 34 მოსამსახურის ოჯახებით და მთელი ბარგი-ბარხანით სასწრაფო ევაკუაციის შესახებ. ფორმდებოდა ვიზები სხვა თანამშრომლებისთვისაც. საიდუმლო ქაღალდები დროულად გადაგზავნეს ბერლინში, დანარჩენები საელჩოს ეზოში დაწვეს. ევაკუაცია, როგორც სტალინს მოახსენეს, შემდეგი მიზეზებით აიხსნებოდა: "ბოლო დღეებში მოსკოვში გერმანიის საელჩოს თანამშრომლებს შორის ძლიერი ნერვიულობა და მღელვარება შეინიშნება იმასთან დაკავშირებით, რომ მათი საერთო რწმენით, ურთიერთობა გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის მეტისმეტად გამწვავდა და უახლოეს დღეებში მოსალოდნელია ომის დაწყება." 12 ივნისს საელჩოს თანამშრომლები შეკრიბეს და უბრძანეს მოსკოვიდან გასამგზავრებლად მომზადებულიყვნენ. კომუნიკემ დროებით ჩააცხრო ვნებათაღელვა, მაგრამ მას რეაქცია არ მოჰყოლია, რამაც კვლავ დაარჩქარა ევაკუაცია.[19] სხვადასხვა გერმანულმა მისიებმა სეტყვასავით დაუყარეს "ინტურისტს", ავიაბილეთების შეკვეთები.[20] დაირხა ხმები,

რომ შულენბურგი "ძალზე პესიმისტურად იყო განწყობილი" და შიშობდა, ჰიტლერთან ბერლინში შეხვედრისას მომხდარი უთანხმოების შედეგად, საკონცენტრაციო ბანაკში არ ამოეყო თავი. იგი არ გამორიცხავდა იმ შესაძლებლობასაც, რომ ერთი კვირის შემდეგ "ცოცხალი აღარ იქნებოდა."[21] მისი პირადი კურიერი მოსკოვში პირშიჩალაგამოვლებული დაბრუნდა. ამის შედეგად გერმანიის საელჩოს თანამშრომლებმა კიდევ უფრო დააჩქარეს ბარგის ჩალაგება და ზრუნვა თავიანთი ოჯახების ევაკუაციაზე. საბჭოთა დაზვერვას ხელში ჩაუვარდა ტელეგრამა, რომელშიც როსო ატყობინებდა რომს, რომ "შეიარაღებული კონფლიქტი გარდუვალია და, რომ, ის შეიძლება ორ-სამ დღეში გაჩაღდეს, შესაძლებელია, კვირას (22 ივნისს - გ.გ.)." [22]

სულ უფრო მეტი ინფორმაცია მოდიოდა ზორგესგანაც. როგორც ტოკიოში გერმანიის სამხედრო ატაშეს ბერლინიდან ჩასულმა კურიერმა უთხრა, "იგი დარწმუნებულია, რომ ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაიწყება არაუგვიანეს ივნისის ბოლოს." [23] უშუალოდ ომის დაწყების წინ ზორგემ საჩქაროდ შეატყობინა გოლიკოვს, რომ, როგორც ოტი - გერმანიის ელჩი ტოკიოში გამოუტყდა, საბჭოთა კავშირთან ომი "გარდაუვალია." იაპონიის გენერალური შტაბი უკვე განიხილავს საკითხს, როგორი პოზიცია დაიკავოს, როდესაც ომი დაიწყება.[24] თავდასხმის წინა დღეს სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატმა ახალ ინფორმაციათა მორიგი "მოსავალი" შეაგროვა: "შუაგული გერმანიიდან ვარშავის გავლით, აღმოსავლეთის მიმართულებით, საბჭოთა კავშირის საზღვრისაკენ განუწყვეტლივ მიმდინარეობს გერმანიის არმიის დიდი ძალების გადაადგილება ." დასახელებული იყო შემადგენლობების რაოდენობა, მათი დანიშნულების პუნქტები, გერმანიის საჯარისო ნაწილების და მათი შენაერთების ნომრები. როგორც სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატმა აღმოაჩინა, გერმანელი მზვერავების წინაშე დასმულ საბოლოო ამოცანას წარმოადგენდა ცნობების შეკრება რუსეთში რკინიგზის და საავტომობილო გზების მდგომარეობის, წითელი არმიის გაშლის წესების, სასაზღვრო ზოლში მდებარე ნაწილების შეიარაღების შესახებ. გერმანელი ოფიცრები ეწეოდნენ ჯარების ინტენსიურ იდეოლოგიურ დამუშავებას. ძირითადად, ყურადღებას ამახვილებდნენ საბჭოთა კავშირის ღალატისა და ომის მოახლოების თემაზე.[25]

როგორც უკვე დავინახეთ, ჟუკოვი და ტიმოშენკო 10 ივნისიდან მოყოლებული არწმუნებდნენ სტალინს, არმია სრულ მზადყოფნაში მოეყვანა. 18 ივნისს ორივე განაგრძობდა თავისი შეხედულებების დაცვას სხდომაზე სტალინის კაბინეტში, პოლიტბიუროს წევრთა თანდასწრებით. სხდომა 3 საათს მიმდინარეობდა. ტიმოშენკოს მოგონებები აღნიშნული შეხვედრის თაობაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმ პროცესზე, როგორ ღებულობდა გადაწყვეტილებებს სტალინი. სამხედროების მიმართ მის დაუნდობელ, შეუწყნარებელ და შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებაზე. ტიმოშენკომ და ჟუკოვმა კრემლში თან მოიტანეს რუკები, რომლებზეც დაწვრილებით იყო ნაჩვენები გერმანული ჯარების თავმოყრის ადგილები. პირველმა საუბარი დაიწყო გაწონასწორებულმა ჟუკოვმა. მან აღწერა, როგორი შეშფოთება სუფევდა ჯარებში და მუდარით მიმართა სტალინს, "სრულ საბრძოლო მზადყოფნაში" მოეყვანა ისინი. რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა ჟუკოვი, მით უფრო მეტად ღიზიანდებოდა სტალინი და ნერვიულად აკაკუნებდა ჩიბუხს მაგიდაზე. ბოლოს ის წამოხტა, მიიჭრა ჟუკოვთან და უყვირა: "შენ რა, იმისთვის მოხვედი, რომ ომით დაგვაშინო? ან იქნებ თვითონ გჭირდება ომი? იქნებ ორდენები გეცოტავება ან საკმარისად მაღალი წოდება არა გაქვს?" ჟუკოვს იმწამსვე გაუქრა მთელი მისი თავშეკავება და დაჯდა. ტიმოშენკო განაგრძობდა სტალინის დარწმუნებას და აფრთხილებდა, თუ ჯარების ახლანდელი გაშლის ეტაპს შევინარჩუნებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ვერმახტის დარტყმის შემთხვევაში მათ გასანადგურებლად გავწირავთო. ამან გამოიწვია სტალინის ტირადა, რომელიც ხაზს უსვამდა მის უხეშობას და წარმოდგენას ქმნიდა მის ზოგიერთ სანუკვარ ზრახვებზე.

სტალინი დაბრუნდა მაგიდასთან და უკმეხად განაცხადა: "ეს ტიმოშენკოა, ყველას ომისკენ რომ გვაქეზებს. კაცმა რომ თქვას, დასახვრეტია, მაგრამ რა ვქნა, ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროიდან ვიცნობ, როგორც კარგ ჯარისკაცს..." მე ვუთხარი (სტალინს), რომ თვითონ ის სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულთა მიტინგზე ეუბნებოდა ყველას, ომის გარდაუვალობის შესახებ. "ხომ ხედავთ, - მიუბრუნდა სტალინი პოლიტბიუროს, - ტიმოშენკო შესანიშნავი ადამიანია, მას დიდი თავი აქვს, მაგრამ შიგ აი, ამხელა ტვინია, - აქ მან სამი თითის კომბინაცია აჩვენა. - მე ამას ხალხის გასაგონად ვამბობდი, რადგან საჭიროა მისი

სიფხიზლე გავაძლიეროთ, თქვენ კი უნდა შეიგნოთ, რომ გერმანია თავისი ნებით რუსეთთან ომს არასოდეს წამოიწყებს. უნდა გესმოდეთ ეს." თქვა და გავიდა. მერე კარი ისევ შემოაღო, ჩოფურა სახე შემოჰყო და ხმამაღლა წარმოთქვა: "თუ განაგრძობთ გერმანელების პროვოცირებას საზღვარზე ჯარების უნებართვოდ გადაადგილებით, თავებს წაგაცლით, დაიხსომეთ ჩემი სიტყვები," - და კარი გაიჯახუნა.[26]

16 ივნისს საგარეო დაზვერვის მეთაურის მოადგილემ სუდოპლატოვმა ბრძანება მიიღო კრემლის თათბირიდან სულ ახლახანს დაბრუნებული თავისი უფროსის ფიტინისაგან, შეექმნა განსაკუთრებული რაზმი, რომელიც მოიგერიებდა გერმანელების ნებისმიერ პროვოკაციას საზღვარზე, იმის მსგავსს, რომელმაც გამოიწვია ომი პოლონეთში. მეორე დღეს მერკულოვმა ამაყად გამოაცხადა სულ ცოტა ხნის წინ შემოერთებული ბალტიისპირა ტერიტორიების "ანტისაბჭოთა სოციალური ელემენტებისაგან" გაწმენდის თაობაზე. ბალტიისპირა რესპუბლიკებში ჩატარებული კამპანიის დროს დაპატიმრეს 14 467 ადამიანი, ციმბირში გადაასახლეს 25 711 კაცი. სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისარიატი უკანასკნელ წუთამდე ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა აღმოეჩინა გერმანიის მიერ ინსპირირებული ძირგამომთხრელი საქმიანობისა და საბოტაჟის კერები.[27]

1941 წლის 22 ივნისი: ხანგრძლივი უიკ-ენდი

მოსკოვში დიპლომატიური კორპუსის დუაიენმა და კრემლში მიმდინარე მოვლენების ყურადღებიანმა დამკვირვებელმა ასარასონმა ყველაზე უკეთ აღწერა ბოლო მშვიდობიან დღეებში კრემლში გამეფებული ატმოსფერო:

"არავინ იცის ან არ სურს იცოდეს, რა ხდება (თუკი საერთოდ რაიმე ხდება) დიპლომატიურ ფრონტზე. ერთნი ვარაუდობენ, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკებები, მეორენი - რომ ისინი ჯერ არ დაწყებულა, მესამენი - რომ არავითარი მოლაპარაკებები არ შედგება, იქნება ულტიმატუმი. ერთნი ამბობენ, რომ მოთხოვნები, სულ ერთია, წამოყენებულია ისინი თუ არა, ეხება უკრაინას და ბაქოს ნავთობის საბადოებს. სხვები ფიქრობენ, რომ ეს მოთხოვნები სულ სხვა საკით-

ხებთან არის დაკავშირებული. ზოგის ვარაუდით, მოთხოვნათა რიცხვში შედის უკრაინის დემობილიზაცია და განიარაღება. უმეტესობის აზრით ომი გარდაუვალი და მოახლოებულია; ზოგი ფიქრობს, რომ ეს ომი გერმანული მხარის სურვილია და შედის მის განზრახვაში. მცირე ნაწილი მიიჩნევს, რომ ომი არ იქნება, უკიდურეს შემთხვევაში, ახლა, და რომ სტალინი დიდ დათმობებზე წავა, რათა ომი თავიდან აიცილოს. ერთი რამ უეჭველია: მალე ჩვენ მოწმენი გავხდებით ან გლობალური ბრძოლისა მესამე რაიხსა და საბჭოთა იმპერიას შორის, ან ყველაზე გრანდიოზული შანტაჟისა მსოფლიო ისტორიაში." [28]

სტალინი, როგორც ჩანს, თავიდან იშორებდა ნებისმიერ ფიქრს ომის შესახებ, თუმცა სხვები, მაგალითად, ხრუშჩოვი, ხედავდნენ მისი საქციელის მიხედვით, რომ ის შეწუხებული და სერიოზულად შეშფოთებული იყო. აწყობდა ქეიფებს, რომლებშიც მონაწილეობის მიღებას აიძულებდა თავისი წრის ხალხს. გარდა ამისა, თავისი ჩვეულების საწინააღმდეგოდ, სისტემატურად ესწრაფოდა ვინმესთან ერთად კომპანიაში ყოფნას, რაც, როგორც ჩანს, ეხმარებოდა თავიდან მოეშორებინა მოახლოებული ომის კოშმარული წინათგრძნობა. აგარაკზე ხანგრძლივმა სადილებმა და შეკრებებმა შეცვალა წინანდელი სამუშაო სხდომები კრემლში.[29] სტალინს უკანასკნელ წუთამდე სჯეროდა, რომ გერმანული არმია ცდილობდა კონფლიქტის თავზე მოხვევას. როგორც აღიარა კოლონტაიმ თავდასხმის დღეს, სტალინი "რა თქმა უნდა, იმედოვნებდა და დარწმუნებულიც იყო, რომ ომი არ დაიწყებოდა მანამდე, სანამ არ შედგებოდა მოლაპარაკება, რომლის დროს შესაძლებელი იქნებოდა ისეთი გადაწყვეტილების გამონახვა, რომელიც ომს თავიდან აგვაცილებდა." [30] მაგრამ მან დაკარგა ინიციატივა და პრაქტიკულად პარალიზებული აღმოჩნდა.

"აბსოლუტური სიჩუმე" კრემლში და ეროვნული პრესის თავშეკავებულობა ნათელს ხდიდა სურვილს, არ დაეშვათ მოჩვენებითი პროვოკაციაც კი.[31] "კომუნიკეს გამოქვეყნების შემდეგ, - წერდა გაფენკუ ოჯახს, - მოსკოვს აღარაფერი გაუგია ჰიტლერისაგან. ნერვების ომი გაჩაღებულია. მდგომარეობას ამძიმებს ცნობები ფინეთიდან და რუმინეთიდან სულ უფრო მზარდ საომარ სამზადისზე." [32] ასეთსავე გულგატეხილობას მოეცვა შულენბურგიც, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ომი არ შედიოდა გერმანიის ინტერესებში. თუმცა კი გერმანიის საელ-

ჩოს ერთიანი აზრით, რომელსაც უდავოდ სტალინიც იზიარებდა, "თუ თოფი დატენილია, მან შეიძლება გაისროლოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს არავის სურს." იქ ჯერ კიდევ საზრდოობდნენ ილუზიებით, თითქოს ჰიტლერის ტაქტიკა იმაში მდგომარეობდა, რომ "მეფე მუდმივი ქიშის ქვეშ ჰყოლოდა შამათის გამოუცხადებლად." შულენბერგმა უკანასკნელ საშუალებას მიმართა და თავისი მრჩეველი ვალტერი ბერლინს გაგზავნა იმის გასაგებად, ხომ არ იყო შესაძლებელი ჰიტლერისა და სტალინის შეხვედრის მოწყობა.[33]

სტალინმა ისარგებლა დროებითი სიჩუმით და კვლავ დაიწყო ფიქრი, როგორი დარეგულირების მიღწევა შეიძლებოდა მშვიდობიანი შეთანხმების საშუალებით. მოსკოვში დაბრუნებისა და კონსულტაციების ჩატარების შემდეგ, მისმა ნდობით აღჭურვილმა ელჩმა პარიზში, ბოგომოლოვმა, განაცხადა, რომ "ევროპაში ტერიტორიების ახალი გადანაწილება და ახალი სახელმწიფოები, ომამდე არსებულის მაგივრად რომ ჩამოყალიბდა, ვერ იქნება დადგენილი ზუსტად, სანამ უშუალოდ დაინტერესებული ქვეყნების მონაწილეობით დადებული მშვიდობიანი ხელშეკრულების შედეგად არ იქნება დამტკიცებული ახალი საზღვრები." სტალინმა წარმოადგინა ორი ვარიანტი. თუ გერმანია ომში გაიმარჯვებს, პოლონეთი "რუკიდან წარიხოცება"; გერმანიის დამარცხების შემთხვევაში პოლონეთი, ალბათ, აღდგენილი იქნება, ხოლო მისი საზღვრები საბჭოთა კავშირთან დადებული ხელშეკრულებით დაწესდება.[34] სამხედრო ატაშემ გენერალმა სუსლოპაროვმა კი დ'ორსესთან ჩაის სმისას გამოხატა "ღრმა რწმენა, რომ გერმანელები თავს არ დაესხმიან საბჭოთა კავშირს და უარყო ბერლინსა და მოსკოვს შორის დაძაბულობის არსებობა." მისი აღიარებით, თავდაპირველად თითქოს ისე ჩანდა, რომ ხმებს ინგლისელები ავრცელებედნენ, მაგრამ ახლა "უეჭველია ის ფაქტი, რომ აღნიშნული ხმები თუ უშუალოდ გერმანული საინფორმაციო საშუალებების მიერ არა, ყოველ შემთხვევაში, მათი თანხმობით მაინც ვრცელდებოდა." მან ზუსტად გადმოსცა სტალინის აზრი, რომ ამ ხმების გამომწვევ მიზეზად "ის ზეწოლა უნდა მივიჩნიოთ, რომლის განხორციელებას ცდილობს მოსკოვზე გერმანიის მთავრობა, რათა მნიშვნელოვნად გაზარდოს ხორბლის, ნავთობპროდუქტებისა და ომის გასაგრძელებლად აუცილებელი სხვა ნედლეულის მიწოდება."[35]

მაისი არაჩვეულებრივად ცხელ დასვენების დღეებს ბოვინგტონში, თავისი მეგობრის - რესპუბლიკური ესპანეთის ყოფილი ელჩის აგარაკზე ატარებდა. მას ვერ ამშვიდებდა ინგლისის სოფლის სიწყნარე. პასუხისმგებლობის ტვირთი, ბოლო ორი თვის განმავლობაში რომ დააწვა მას, ძალზე მძიმე იყო. კედოგანისა და კრიფსის ბოლოდროინდელი აღმოჩენა, საბჭოთა კავშირზე გერმანიის მცირე დროის შემდეგ მოსალოდნელი თავდასხმის თაობაზე (გერმანული ინფორმაციების ინგლისელთა მიერ გაშიფვრის მონაცემების საფუძველზე), ეჭვქვეშ აყენებდა მოხსენებების არსს, რომლებსაც ის სისტემატურად აგზავნიდა მოსკოვში. შესაძლებელია, ბევრი საბჭოთა ელჩი იზიარებდა ამ გრძნობას. უკანასკნელ თვეში გაგონილ ხმებს, განცხადებებსა და მუქარებს რომ ჩაუკვირდებოდა ხოლმე, მაისი სტალინივით განაგრძობდა ყოყმანს:

"იქნებ ყოველივე ეს ინგლისელების მიერ ხელოვნურად გაბუქული ვარაუდია? იქნებ ინგლისელები "სასურველს სინამდვილედ ასაღებენ?" იქნებ ეს ჩვენი და გერმანიის ურთიერთობის გაფუჭების და ომში თავის მხარეზე ჩათრევის კიდევ ერთი მცდელობაა? გულახდილად რომ გითხრათ, არ მჯერა, რომ ჰიტლერი თავს დაგვესხმის. რუსეთთან ომი ყოველთვის ძალიან ძნელი იყო. თავდასხმა ყოველთვის ტრაგიკულად მთავრდებოდა მისი წამომწყებისათვის. საკმარისია გავიხსენოთ პოლონელები (არეულობის დროს), კარლოს XII, ნაპოლეონი, კაიზერი 1918 წელს. ყველაფერმა ამან არცთუ ისე შეცვალა რუსული გეოგრაფია და კიდევ, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ჩვენ ძლიერი არმია გვყავს, გვაქვს ტანკები, ავიაცია, არტილერია... ჩვენ ისეთივე საომარი იარაღი გვაქვს, როგორიც გერმანიას და როგორიც, მაგალითად, არ ჰქონია საფრანგეთს. ჩვენ ძლიერნი ვართ ისეთი შინაგანი ერთობით, როგორიც არ იყო საფრანგეთში. შევძლებთ საკუთარი თავის დაცვას. ნუთუ შესაძლებელია, რომ ასეთ სიტუაციაში ჰიტლერმა ჩვენზე თავდასხმა გარისკოს? თქვენ იცით, რომ ეს თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა."

სულ მალე, ლანჩის შემდეგ მაისი ლონდონში გამოიძახეს, სადაც კრიფსმა ახალი ცნობები დაახვედრა მოახლოებული თავდასხმის თაობაზე. აღნიშნული ცნობები, ცხადია, მოსკოვში გადაიგზავნა. კრიფსმა მას გაუმხილა, რომ საიმედო სადაზვერვო წყაროდან (ეს იყო "ენიგმა") მიღებული ინფორმაცია "მოწმობს გერმანიის მხრიდან "აქციის" განხორციელების მომენტის სწრაფ მოახლოებას. აბოსა და ფინეთის სხვა ნავსად-

გურებში მდგომმა ყველა გერმანულმა გემმა ზღვაში გასვლის ბრძანება მიიღო." ჰიტლერის თავდასხმას კრიფსი მეორე დილას ან უახლოეს კვირა დღეს მოელოდა. ჰიტლერი, აუხსნა მან მაისკის, მცირეოდენ უპირატესობას მიიღებდა, თუ შეტევას კვირას განახორციელებდა, როცა მოწინააღმდეგის სიფხიზლე მოდუნებულია. იგი შეპირდა, რომ ინგლისი "არ შეანელებს თავის საბრძოლო მოქმედებებს," თუმცა, მოსკოვში ამას უნდობლად მოეკიდნენ. მაისკის შიზოფრენიული სიჯიუტით არ სურდა რაიმეს გაგონება ომის დაწყების შესაძლებლობის შესახებ. თითქმის ისე, როგორც მისი საუბრის დროს იდენთან, 13 ივნისს, მან განაცხადა: "თქვენ მიერ ასე ნათლად დახატული მთელი სურათი მხოლოდ და მხოლოდ ჰიპოთეტურად გამოიყურება." [36]

ზამთარი მოსკოვში არაჩვეულებრივად დიდ ხანს გაგრძელდა. ივნისის მეორე კვირაში თოვლიც კი წამოვიდა, მაგრამ იმ განსაკუთრებულ შაბათს მოულოდნელად მზემ გამოანათა და ხანგრძლივ, ნათელ საღამოს ხალხი ბაღებსა და პარკებში გამოეფინა. კრემლში ამ უქმე დღეს ეჭვიანობის მძიმე ატმოსფერო სუფევდა. "მდგომარეობა გაურკვეველია, - უთხრა განაწამებმა მოლოტოვმა დიმიტროვს. - დიდი თამაში წარმოებს. ყველაფერი ჩვენზე არ არის დამოკიდებული." [37] თუმცა თურქეთის ელჩთან საუბრისას მან აღიარა, რომ "ამჟამად ბევრი რამ არის გაურკვეველი საკითხში, თუ როგორ განვითარდება მოვლენები," მაგრამ სტალინის ბრძანების მოლოდინში თავს ისე აჩვენებდა, თითქოს "საბჭოთა კავშირს მღელვარების საფუძველი არ გააჩნდა." [38] სტალინი კრემლში შუადღის მერე მივიდა იმის ნათელი შეგნებით, რომ ის აღარ იყო მდგომარეობის ბატონ-პატრონი.

სამხედროების მიერ საიდუმლოდ მიღებული სიფრთხილის ზომები თან ერთვოდა თავგანწირულ დიპლომატიურ მცდელობას, როგორმე გავლენა მოეხდინათ გერმანელებზე, რაც ვერ იქნა მიღწეული კომუნიკეს დახმარებით. შაბათს, 21 ივნისს, ბერლინშიც მშვენიერი თბილი დღე იდგა. საბჭოთა საელჩოს თანამშრომელთა უმრავლესობა პოტსდამისა და ვანზეეს წყნარ მიდამოებში ისვენებდა და ბანაობდა. საელჩოში დარჩენილი პერსონალის უმცირესობა უეცრად განგაშით წამოშალეს და ისინიც სწრაფ მოქმედებას შეუდგნენ. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე გერმანული თვითმფრინავების სადაზვერვო გაფრენების

ზრდასთან დაკავშირებით საჭირო იყო პროტესტი გადაეცათ პირადად რიბენტროპისათვის და, ამავე დროს, გამოეხატათ საბჭოთა კავშირის მზადყოფნა მოლაპარაკებების დასაწყებად. ბერლინში დიალოგის წამოწყების გაცხარებულ მცდელობას მიზნად ჰქონდა ურთიერთობის დამყარება პირადად ჰიტლერთან, რათა მისთვის მდგომარეობის სერიოზულობა გაეცნოთ. ვაიცზეკერთან შეხვედრისას, რომელსაც დეკანოზოვმა 18 ივნისს მიაღწია, ამის გაკეთება ვერ მოხერხდა. ვილჰელმშტრასესთან კავშირის დამყარების ყველა ცდა ამჯერად ამაო გამოდგა. რიბენტროპმა დილით ადრე განზრახ დატოვა ბერლინი და საგანგებო მითითება გასცა, დეკანოზოვი ახლოს არ გაეკარებინათ.[39] საბჭოთა ელჩისათვის უნდა ეთქვათ, რომ რიბენტროპი ქალაქში დაბრუნებისთანავე თავად დაუკავშირდებოდა მას. შედეგი ვერ გამოიღო ვერც გამუდმებულმა სატელეფონო ზარებმა მოსკოვიდან მოთხოვნით, რათა საელჩოს თანამშრომლები აჩქარებულიყვნენ.

საბოლოოდ, საღამოს 6 საათზე შულენბურგი სასწრაფოდ გამოიძახეს კრემლში. მოლოტოვს უკვე აშკარად დაეკარგა თავისი აუღელვებლობის დიდი ნაწილი და ჩიოდა გერმანული თვითმფრინავების მხრიდან საბჭოთა საჰაერო სივრცის მასობრივ დარღვევათა გამო. მას სურდა სცოდნოდა, რატომ წავიდნენ საბჭოთა კავშირიდან გერმანიის საელჩოს თანამშრომლები ცოლებთან ერთად, რითიც საბაბი მისცეს ხმების გავრცელებას ომის მალე დაწყების თაობაზე. რატომ არ ახდენდა გერმანიის მთავრობა რაიმე რეაგირებას საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სააგენტოს "მშვიდობისმოყვარე" კომუნიკეზე? რამ გამოიწვია გერმანიის უკმაყოფილება საბჭოთა კავშირით, "თუკი ასეთი რამ არსებობს?" მოლოტოვი პასუხს ვერ ელირსა. თუმცა შულენბურგმა უკანასკნელი მინიშნება გააკეთა გერმანიის განზრახვაზე, რაც აშკარად არ უცნობებია შინ. მან აღიარა, რომ "ყველა ამ კითხვას საფუძველი აქვს," მაგრამ, სამწუხაროდ, მას არ შეუძლია პასუხის გაცემა, რადგან ბერლინი "არავითარ ინფორმაციას არ აწვდის." მოლოტოვი საკმაოდ პათეტიკურ ვაებას მოჰყვა, რომ "არ არსებობს მიზეზი, რომელსაც საბჭოთა კავშირით გერმანიის მთავრობის უკმაყოფილების გამოწვევა შეეძლო." შულენბურგმა პირქუშად გაუმეორა, რომ საპასუხო არაფერი აქვს. თვითონ მისთვის იმედის ერთადერთი სხივი გახდა ის ახალი ამბავი, რომელიც ინგლისის

რადიომ გადმოსცა - თითქოს დეკანოზოვი ერთი დღის განმავლობაში რამდენჯერმე შეხვდა რიბენტროპს. მაგრამ მოლოტოვი, რომლის მიმღებიც ასევე "ბი-ბი-სი"-ზე იყო მომართული, იძულებული იყო წუხილით უარეყო ეს ცნობა და კიდევ უფრო მეტად განერვიულებული დამშვიდობებოდა შულენბურგს.[40] საბოლოოდ, დეკანოზოვმა საღამოს ათის ნახევარზე მიაღწია ვაიცზეკერთან შეხვედრას და გადასცა მას ნოტა, იმის მსგავსი, როგორიც მოსკოვში მიიღო შულენბურგმა. ნოტაში ჩამოთვლილი იყო აპრილის თვეში საბჭოთა კავშირის მხრიდან ბოლო ჩივილის შემდეგ გერმანიის თვითმფრინავების მიერ განხორციელებული 180 სადაზვერვო გაფრენა საბჭოთა ტერიტორიაზე. დოკუმენტში განცხადებული იყო, რომ ამგვარმა გაფრენებმა "სისტემატური და სრულიად წინასწარ განზრახული ხასიათი მიიღო." ნოტაში ნათქვამი იყო, რომ საბჭოთა მხარე დარწმუნებულია - "გერმანიის მთავრობა ზომებს მიიღებს საზღვრის ამგვარი დარღვევების აღსაკვეთად." მით გამოიხატა მოსკოვის რწმენა, რომ ჰიტლერს ძალუძს არმიის მოთოკვა. დროის მოგების მიზნით, ვაიცზეკერმა დეკანოზოვს შესთავაზა, ოფიციალურ პასუხს დალოდებოდა.[41]

ჟუკოვმა ეს დღე თავდაცვის სახალხო კომისარიატში გაატარა ტიმოშენკოსთან ერთად. იმ დროს, როცა მოლოტოვი გერმანიის ელჩს ესაუბრებოდა, ჟუკოვს სასწრაფოდ დაურეკა კიევის ოლქის შტაბის უფროსმა და აცნობა, რომ სულ ახლახანს გადმოლახა საზღვარი გამოქცეულმა გერმანელმა ფელდფებელმა და შეატყობინა, რომ თავდასხმა დილისათვის არის დაგეგმილი. სტალინმა, რომელიც მოუთმენლად ელოდა მოლოტოვის ზარს, სთხოვა მას 45 წუთში მისულიყო კრემლში თავდაცვის სახალხო კომისართან ერთად. დაახლოებით საღამოს 7 საათზე ისინი გამოცხადდნენ. სტალინი მათ მარტო დახვდა, იგი შეშფოთებული ჩანდა, მაგრამ თავიდან ვერ იცილებდა აზრს, რომ გერმანელმა გენერლებმა საგანგებოდ შემოაგზავნეს დეზერტირი, "რათა კონფლიქტის პროვოცირება" მოახდინონ. ამასობაში შეიკრიბა პოლიტბიუროს რამდენიმე წევრი და ტიმოშენკომ, პასუხობდა რა სტალინს, შესთავაზა მსვლელობა მიეცათ დირექტივისათვის თავდაცვითი ძალების საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანის თაობაზე. სტალინმა ეს ძალზე უხეშ გადაწყვეტილებად მიიჩნია. "ასეთი დირექტივის მიცემა ამჟამად ძალზე

ნაადრევია, - ირწმუნებოდა იგი, - იქნებ საკითხი ჯერ კიდევ მშვიდობიანი გზით მოგვარდეს ." მან არჩია, უფრო მოკლე და ზოგადი გაფრთხილება გამოეცა, რომელიც სასწრაფოდ მოამზადა ჟუკოვმა. ბოლო განკარგულებებს მესამე, მეოთხე და მეათე არმიების მეთაურებისადმი, რომლებიც ღამის სამის ნახევარზე გაიგზავნა, თუმცა კი სტალინის აკვიატებული მისწრაფების საამებლად, ძალზე ფრთხილად იყო შედგენილი, ამისდა მიუხედავად მზადყოფნაში მოჰყავდა თავდაცვითი ძალები:

1. 1941 წლის 22-23 ივნისის განმავლობაში მოსალოდნელია გერმანელთა უეცარი თავდასხმა შემდეგ ფრონტებზე: ლვოვის სამხედრო ოლქი, ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქი, დასავლეთის სამხედრო ოლქი, კიევის სამხედრო ოლქი, ოდესის სამხედრო ოლქი. თავდასხმა შეიძლება დაიწყოს პროვოკაციული მოქმედებებით.
2. ჩვენი ჯარების ამოცანაა, არ წამოეგონ არავითარ პროვოკაციულ მოქმედებებს, რომლებსაც დიდი გართულებების გამოწვევა შეეძლებათ...

ვბრძანებ:

ა) 1941 წლის 22 ივნისის ღამით უჩუმრად იქნეს დაკავებული სახელმწიფო საზღვრის გამაგრებული რაიონების საცეცხლე წერტილები;

ბ) 1941 წლის 22 ივნისს განთიადისას მთელი ავიაცია, მათ შორის საჯარისო, განაწილდეს საველე აეროდრომებზე და საგულდაგულოდ შეინიღბოს;

გ) ყველა ნაწილი საბრძოლო მზადყოფნაში იქნეს მოყვანილი. ჯარი დაშორიშორებული და შენიღბული იყოს;

დ) საჰაერო თავდაცვა მზადყოფნაში იქნეს მოყვანილი მიწერილი შემადგენლობის დამატების გარეშე. მომზადდეს ღონისძიებები ქალაქებისა და ობიექტების შუქშენიღბვისათვის;

ე) არავითარი სხვა ღონისძიება არ გატარდეს საგანგებო ბრძანების გარეშე. [42]

მიღებული იქნა სხვა ზომებიც. ჟუკოვმა ჩაიბარა სამხრეთ-დასავლეთის და სამხრეთის ფრონტების მთავარსარდლობა, სადაც კვლავინდებურად მოელოდნენ გერმანელების მთავარ დარტყმას. მისი წინამორბედი ეენერალური შტაბის უფროსის თანამდებობაზე, მერეცკოვი ჩრდილოეთის ფრონტის სარდლად დაინიშნა.[43]

ივნისის დასაწყისიდან სტალინს განუწყვეტლივ აფრთხილებდნენ, ხოლო მთელი ბოლო კვირის განმავლობაში არწმუნებდნენ, გამოეცა დირექტივები ჯარების საბრძოლო მზადყოფნაში მოსაყვანად. ეს შფოთიანი კვირადღე მისთვის არაფრით განსხვავდებოდა სხვა დღეებისაგან. მოლოტოვთან და ბერიასთან 15 წუთიანი საუბრის შემდეგ, საღამოს 11 საათზე შესაძლებლად მიიჩნია აგარაკზე გამგზავრება.[44] სხვაგვარად ფიქრობდნენ ჟუკოვი და ტიმოშენკო. ისინი კრემლიდან თავდაცვის სახალხო კომისარიატში დაბრუნდნენ და დაიწყეს სხვადასხვა ფრონტთან დაკავშირება, განგაშის გამოცხადების მიზნით. შუაღამე იქნებოდა, რომ კირპონოსმა ყურადღება მიაქცევინა მეორე დეზერტირზე, რომელმაც მდინარე გადმოცურა და მესაზღვრეებს შეატყობინა, რომ შეტევა დილის 4 საათზე დაიწყებოდა. სტალინს სასწრაფოდ აცნობეს ეს ამბავი, მაგრამ ის მაინცდამაინც არ შეწუხებულა და საწოლს მიაშურა.

დილის ოთხის ნახევარზე თავდაცვის სახალხო კომისარიატში აწკრიალდა საგანგებო კავშირის ტელეფონები. მოახსენეს, რომ გერმანელებმა ძლიერი საარტილერიო ცეცხლი გახსნეს საზღვრის მთელ პერიმეტრზე. სტალინს ენა ჩაუვარდა, როცა ჟუკოვმა ეს ამბავი ტელეფონით შეატყობინა, ყურმილში მხოლოდ მისი მძიმე სუნთქვაღა ისმოდა. ჟუკოვის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად უარი თქვა საპასუხო ზომების მისაღებად სანქციის გაცემაზე. დილის ხუთის ნახევარზე, როცა ჟუკოვი და ტიმოშენკო კრემლისაკენ მიდიოდნენ, გერმანული არტილერია უკვე ბომბავდა საბჭოთა ქალაქებს, საბჭოთა თვითმფრინავები მიწაზევე გაანადგურეს. გერმანული სამხედრო მანქანა საბჭოთა კავშირისაკენ დაიძრა. კრემლში მათ დახვდათ სტალინი, რომელსაც "მკვდრის ფერი ედო," "მაგიდასთან იჯდა და ხელში ჩიბუხი ეკავა." აქვე იყვნენ მეხლისი, მოლოტოვი და ბერია. სტალინი აშკარად დაიბნა, მაგრამ ცოცხალი თავით არ სურდა თავის შეცდომასთან განშორება და ვარაუდობდა, რომ ყველაფერი ეს შეიძლება "გერმანელი გენერლების პროვოკაცია" იყოს. ტიმოშენკოს მცდელობამ, დედამიწაზე დაებრუნებინა იგი შეხსენებით, რომ საქმე ეხება არა ლოკალურ ინციდენტს, არამედ შეტევას მთელ ფრონტზე, შედეგი არ გამოიღო. სტალინი გაჯიუტდა და განაცხადა: "თუ საჭიროა პროვოკაციის ორგანიზება... მაშინ გერმანელი გენერლები

თავის ქალაქებსაც ბომბავენ." მცირე ხნით დაფიქრდა და დაამატა: "ალბათ ჰიტლერმა არც კი იცის ეს ამბავი." საბოლოოდ მან უბრძანა მოლოტოვს შულენბურგს დალაპარაკებოდა.

ამასობაში შულენბურგი თავად ცდილობდა მოლოტოვთან სასწრაფოდ შეხვედრას. დილის სამ და ოთხ საათს შორის მოლოტოვის სამდივნოში შულენბურგის კაბინეტიდან ზარი გაისმა. სტალინის ყოვლისშემძლე მდივანმა პოსკრებიშევმა მიიღო ცნობა და იგი სტალინს და მოლოტოვს მოახსენა. უკანასკნელმა დატოვა სტალინის კაბინეტი და თავისთან დაბრუნდა.[45] შულენბურგმა მიიღო სრულიად საიდუმლო ტელეგრამა, რომელშიც უბრძანებდნენ გაუნადგურებინა რაცია და მთელი დაშიფრული მასალა. ის მოლოტოვს დილის 4 საათზე უნდა შეხვედროდა, როცა საბჭოთა ჯარებისაკენ გასროლილი პირველი ზალპები გაისმებოდა. უნდა გაეკეთებინა ვრცელი განცხადება, რომელშიც ხაზგასმული იქნებოდა საბჭოთა კავშირის მტრული დამოკიდებულება გერმანიისადმი, რასაც თითქოსდა ადგილი ჰქონდა მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის ხელისმოწერის შემდეგ. ჰიტლერმა განგებ არ მისცა განცხადებას ომის გამოცხადების ფორმა, სურდა რა, თავდასხმა საბჭოთა აგრესიისაგან თავდაცვის რეაქციად გაესაღებინა.[46]

სანამ მოლოტოვი შულენბურგს ხვდებოდა, სტალინი ძველებურად ახლოსაც არ იკარებდა ჟუკოვის თხოვნას ჯარების გაშლის გეგმის განხორციელების დაწყების შესახებ. სწორედ ამ დროს დეკანოზოვს მთავრობის მანქანა გაუგზავნეს და სასწრაფოდ მიიყვანეს რიბენტროპთან. მას მოახსენეს, რომ "გრძნობდა რა რუსეთის მხრიდან პოლიტიკური და სამხედრო ხასიათის სერიოზულ საშიშროებას, გერმანიამ ამ დილით მიიღო შესაბამისი კონტრზომები სამხედრო სფეროში." ომი, რომლის აცილებასაც ასე ცდილობდა სტალინი, თავს დაატყდა საბჭოთა კავშირს. დეკანოზოვი დაემშვიდობა, რიბენტორპმა იგი გამოაცილა. ძალზე დაბნეული ჩანდა, ლამის თვალზე ცრემლი მოსდგომოდა. ეხვეწებოდა, აეხსნა მოსკოვისათვის, რომ ცდილობდა შეეჩერებინა ჰიტლერი ომის დაწყებისაგან, მაგრამ ამაოდ. ჰილგერის ცნობით, მთელი ომის განმავლობაში რიბენტროპი ნებისმიერ საშუალებას ეჭიდებოდა, რათა "ნაწილობრივ მაინც დაებრუნებინა თავისი ტრიუმფის წუთი... მას არასოდეს შეუწყვეტია ოცნება სტალინთან კიდევ ერთხელ საუბრის შანსზე." [47]

შულენბურგი კრემლში დილის 5 საათზე მივიდა. მოლოტოვი მას "დაღლილ-დაქანცული" დახვდა. შულენბურგმა ამ მძიმე წუთშიც კი არ უღალატა თავის თავს. მან ბრალდებების ჩამონათვალი გამოტოვა და უთხრა მოლოტოვს, რომ "ძალიან წუხს," მაგრამ უნდა აცნობოს ის, რაც თვითონაც არ იცოდა, როცა რამდენიმე საათის წინ შეხვდა — კერძოდ, რომ გერმანიის მთავრობა თავს მოვალედ თვლის, მიიღოს სამხედრო "კონტრზომები" საზღვარზე საბჭოთა ჯარების თავმოყრის წინააღმდეგ. მან დასძინა, რომ "არ შეუძლია გამოხატოს წუხილი საკუთარი მთავრობის გაუმართლებელი და მოულოდნელი საქციელის გამო." თან შეახსენა მოლოტოვს, რომ ძალ-ღონეს არ დაზოგავდა საბჭოთა კავშირთან მშვიდობის და მეგობრობის შესანარჩუნებლად. მოლოტოვმა, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ ახლანდელი სიტუაცია მოლაპარაკებების წინაპირობა იქნებოდა, ჰკითხა, რა სტატუსი აქვს ამ ვერბალურ ნოტას, ხომ არ ჰგავს ის ომის ოფიციალურ გამოცხადებასო. მაგრამ შულებურგმა ყველა იმედი გაუქარწყლა, როცა პირდაპირ განუცხადა, "რომ მისი აზრით, ეს ომის დაწყებაა." მოლოტოვი ამაოდ ცდილობდა აეხსნა, რომ ჯარების თავმოყრა მხოლოდ ზაფხულის მანევრების ელემენტია. მან გამოხატა კრემლის საერთო განწყობილება და შესჩივლა, რომ "უკანასკნელ წუთებამდე გერმანიის მთავრობას არ გამოუთქვამს რაიმე პრეტენზია საბჭოთა მთავრობის მიმართ." მოლოტოვმა არ გამოიჩინა დიდი ინტერესი ორივე საელჩოს (მოსკოვში და ბერლინში) ევაკუაციის ორგანიზაციის თემის მიმართ. მას მხოლოდ ერთი რამ სურდა სცოდნოდა: "რაში სჭირდებოდა გერმანიას თავდაუსხმელობის პაქტის დადება, როცა ასე ადვილად დაარღვია იგი?" აქ შულენბურგი "უხმოდ, მაგრამ ჩვეულებისამებრ, ხელის ჩამორთმევით" დაემშვიდობა მოლოტოვს.[48]

მაშინაც კი, როცა მოლოტოვი სამწუხარო ცნობით დაბრუნდა, სტალინმა სამხედროებს თავდაცვის გეგმების განხორციელების ნება არ დართო. საგანგებო დირექტივაც კი დაამტკიცა, რომელიც უკრძალავდა ჯარებს, "ავიაციის გარდა," გერმანიის ჯარების განლაგებაში შეჭრას. მას, აშკარად, ჯერ კიდევ ვერ დაეღწია თავი ილუზიისაგან, რომ ომი შეიძლებოდა გადადებულიყო. მაგრამ უეცარი თავდასხმის პირობებში და წინასწარი მომზადების გარეშე დირექტივის შედეგიანი შესრულება შეუძლებელი იყო.[49]

პოლიტბიუროს წევრები დიღის 7 საათისათვის შეიკრიბნენ. სტალინი მდგომარეობას იხილავდა მეზობელ ოთახში მოლოტოვთან, ვოროშილოვთან, კაგანოვიჩთან და მალენკოვთან ერთად. თუმცა გარეგნულად მშვიდი და თავდაჯერებული ჩანდა, რადიოთი ოფიციალური განცხადების გაკეთება მოლოტოვს დაავალა. მხოლოდ ამ მომენტში იქნა უკუგდებული სიტუაციის გამოსასწორებლად გამიზნული ყველა დიპლომატიური ძალისხმევა და მწვანე შუქი მიეცა სხვადასხვა ფრონტზე ჯარების გაშლის დირექტივებს. ისინი ვარაუდობდნენ "ოპერაციების სიღრმეში განხორციელებას," რომლის დროსაც ავიაციას, რომელმაც უკვე მიიღო გამანადგურებელი დარტყმა ლუფტვაფესაგან, წამყვანი როლი უნდა შეესრულებინა გერმანელთა საბრძოლო წყობის დარღვევასა და მისი ავიაციის განადგურებაში ზურგში, 100-150 კილომეტრის სიღრმეში.[50] ეს ბრძანებები ვერ შესრულდა.

* * *

22 ივნისს მთელი დილის განმავლობაში სტალინი არ გამორიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ საბჭოთა კავშირს უბრალოდ აშინებენ, რათა იძულებული გახადონ პოლიტიკურად დამორჩილდეს. როგორც მოლოტოვი კრიფსს გამოუტყდა ომის გაჩაღებიდან ერთი კვირის შემდეგ, კრემლი არ მოელოდა, რომ ომი ყოველგვარი უთანხმოებისა და ულტიმატუმის გარეშე დაიწყებოდა.[51] საინტერესოა აღინიშნოს სტალინის პირველი რეაქცია 22 ივნისს დილით ფრონტიდან მიღებულ ავბედით ცნობებზე. გერმანელები, ბუზღუნებდა ის, "თავს დაგვატყდნენ სრულიად უმიზეზოდ, ყოველგვარი მოლაპარაკების გარეშე; უბრალოდ დაგვესხნენ, უაჩაღებივით, მზაკვრულად." როგორც ჩანს, ის ამართლებდა თავის პოლიტიკას ომის დაწყებამდე, სარგებლობდა რა იმ განმარტებით, რომელიც შულენბურგმა მისცა ამ თავდასხმას და რომელიც შემდეგში გამოიხატა: გერმანელებს "საშიშროებად მიაჩნიათ საბჭოთა ჯარების თავმოყრა თავიანთ აღმოსავლეთ საზღვრებთან და კონტრზომები მიიღეს." [52]

სტალინს საგონებელში აგდებდა ის ფაქტიც, რომ ინგლისი არ შეუერთდა საბჭოთა კავშირზე გალაშქრებას. სანამ სწამდა, რომ შეუძლია აღკვეთოს ომი, ინგლისთან ალიანსის შესაძლებლობა სადღაც შორს, ბუნდოვნად ესახებოდა. სტალინი დაჰიპნოზებული იყო ბალკანეთში

გერმანელების მიერ ცოტა ხნის წინ მიღწეული გამარჯვებებით, რის შედეგადაც სულ უფრო ნაკლები სურვილი ჰქონდა, გადაედგა თუნდაც უმნიშვნელო ნაბიჯი, რომელიც პროვოკაციად შეიძლებოდა აღექვათ. ჰესის საქმემ და კრიფსისა და ჩერჩილის გაფრთხილებამ მხოლოდ გაუძლიერა ეჭვი ინგლისელებთან დაკავშირებით. როდესაც კვირას, 22 ივნისს, დილით ბრიტანეთის საქმეთა რწმუნებული კრემლს ეწვია, აღმოაჩინა, რომ რუსები არა მხოლოდ "უკიდურესად შეშფოთებულები" იყვნენ, არამედ "განსაკუთრებულად ფრთხილებიც." [53] ამით აიხსნება მაისკის სიჩუმე და შეშფოთება, რომელიც დაეუფლა მას ომის პირველ დღეებში. თავდასხმის თაობაზე მაისკიმ ბი-ბი-სის დილის ახალი ამბებიდან შეიტყო და იდენთან შეხვედრაც კი გადადო, სანამ რადიოთი მოლოტოვის მიმართვიდან არ შეიქმნა წარმოდგენა საბჭოთა პოლიტიკის შესახებ.[54]

"ყველას ეგონა, - იხსენებდა ლიტვინოვი, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ ვაშინგტონში ელჩად დაინიშნა, - რომ ბრიტანეთის ფლოტი სრული სვლით მიემართება ჩრდილოეთის ზღვისაკენ, რათა ჰიტლერთან ერთად მიიტანოს იერიში ლენინგრადსა და კრონშტადტზე." [55]

შენიშვნები

1. კრიფსის საბუთები. დღიური. 1941 წლის 9 მარტი. ამის სასარგებლოდ ყველაზე უფრო დამაჯერებელი დოკუმენტი იხ.: Roberts G. Military Disaster as a Function of Rational Political Calculation: Stalin and 22 June 1941. Diplomacy and Statecraft. 1993, vol. 4, №2, იხ. აგრეთვე: Suny R. Making Sense of Stalin – Some Recent and Not-So-Recent Biographies . Russian History – Histoire Russe, 1989, vol. 16, №2-4.
2. Kissinger H. Diplomacy. London, 1995. p. 103-104, 335. შეუძლებელია, არ დავეთანხმოთ კისინჯერის მოსწრებულ ნათქვამს: "სტალინი მართლაც მონსტრი იყო, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობებში უდიდესი რეალისტი, თავისი დროის ფხიზელი და დაუნდობელი რიშელიე გახლდათ." (გვ. 333). და კიდევ: "საერთო გეოპოლიტიკური ინტერესები ხელ-ფეხს უბორკავდა და გარდუვალად იზიდავდა

ერთმანეთისაკენ ძველ მტრებს – ჰიტლერს და სტალინს" (გვ. 332). მსგავსი დასკვნა შეინიშნება კლასიკურ ნაშრომში: Kennedy P. The Rise and Fall of the great Powers, London, 1988.

3. იხ. გვ. 345-346.
4. Чуев Ф. Сто сорок бесед с Молотовым. М., 1991, с. 31.
5. დაბეჭდილია გამოცემაში: «Вестник МИД СССР». 1990, №8 (66), с. 76.
6. Вишлев О.В. Почему же медлил Сталин в 1941 г. (из германских архивов). Новая и новейшая история. 1992, №2, с. 82.
7. იქვე, с. 94-95.
8. იხ. დოკუმენტები იქვე, с. 96.
9. იქვე, с. 82-83.
10. Секреты Гитлера на столе у Сталина. М., 1997, с. 148-150. Кобулов – Сталину, Молотову и Берии. 9 июня 1941.
11. ЦА СВР РФ. Д. 23078, т. 1, л 430-431. «Старшина». – НКГБ, 11 июня 1941.
12. იქვე, л. 432-433. Кобулов – Сталину, Молотову и Берии, 12 июня 1941.
13. Меркулов – Сталину, 16 июня 1941. დაბეჭდილია გამოცემაში: «Известия ЦК КПСС» (1990, №4, с. 221). იხ. აგრეთვე: Sudoplatov P. Special Tasks. London: Little, Brown, 1994. p. 120-121.
14. Куманев Г. 22-го на рассвете. Правда, 1989, 22 июня.
15. Sudoplatov P. Special Tasks, p. 122.
16. Жуков Г.К. Воспоминания и размышления. М., 1991, т.1, с.324.
17. იქვე, с. 362-363.
18. Органы Государственной Безопасности СССР в Великой Отечественной Войне. М., 1995, т. 1 (2), с. 212. Перехваченная телеграмма Татекавы японскому послу в Софии, 9 июня 1941.
19. ЦА ФСБ РФ. Ф. «Зос». Оп. 8, д. 58, л. 1945-1948. Меркулов – Сталину, Молотову и Берии, 18 июня 1941. იხ. აგრეთვე: Krigsarkivet. Försvarsstaben. Ser. E.II.15.1. სამხედრო ატაშეს პატაკი №58, 10 ივნისი, 1941 წ.; UD:s Arkiv 1920 ARS. HP.1557.LVII. ასარასონი საგარეო საქმეთა სამინისტროს, 20 ივნისი, 1941 წ.

20. Секреты Гитлера, с.168-169. Кобулов – Сталину, Молотову и Берии, 19 июня 1941.
21. ЦА ФСБ РФ. Ф. «Зос». Оп. 8, д. 58, л. 1978-1980. Кобулов – Сталину, Молотову и Берии, 20 июня 1941.
22. 19 июня 1941. დაბეჭდილია გამოცემაში: «Известия ЦК КПСС» (1990, №4, с. 217). დასტურდება რომში შინსახკომის რეზიდენტის 1941 წლის 19 ივნისის ცნობით. (Органы Государственной Безопасности СССР, т. 1 (2), с. 269).
23. ГРУ ГШ РФ. Оп. 24127, д. 2, л. 454. Зорге – Голикову, 15 июня 1941.
24. იქვე, л. 463. Зорге – ГРУ, 20 июня 1941.
25. Органы Государственной Безопасности СССР, т. 1 (2), с. 254-264. Специальный рапорт НКГБ, 19 июня 1941.
26. დიდად დავალებული ვარ დოქტორ ლევ ბეზიმენსკისაგან გენერალ ნ.ლიაშჩენკოს წერილობითი მოწმობისათვის, რომელსაც ამის შესახებ ტიმოშენკომ უამბო.
27. Органы Государственной Безопасности СССР, т. 1 (2), с. 172-187. Меморандум заместителя начальника 3-го отдела НКГБ, 31 мая 1941.
28. UD:s Arkiv 1920 ARS. HP.1557.LVII. შვედეთის ელჩი ბერლინში 1941 წლის 21 ივნისს.
29. Хрущев Н.С. Воспоминания, М. 1997. с. 59, 71-73.
30. UD:s Arkiv 1920 ARS. HP.1557.LVII. 1941 წლის 21 ივნისის ბოემანის ჩანაწერი.
31. იქვე, ასარასონი საგარეო საქმეთა სამინისტროს, 1941 წლის 21 ივნისი.
32. Gafencu G. Misiune la Moscova. Tel. 45698. p. 225. გაფენკუ საგარეო საქმეთა სამინისტროს, 1941 წლის 16 ივნისი.
33. UD:s Arkiv 1920 ARS. HP.1557.LVII. ასარასონი საგარეო საქმეთა სამინისტროს, 1941 წლის 16 ივნისი.
34. Quai d'Orsay Archives. ნემანოვი საგარეო საქმეთა სამინისტროს, 1941 წლის 5 ივნისს ბოგომოლოვთან შეხვედრის შესახებ.
35. იქვე, 835.Z.312.2. p. 261-264. ნემანოვი გენერალ სუსლოპაროვთან შეხვედრის შესახებ 1941 წლის 18 ივნისს.
36. АВП РФ. Ф. 059, оп. 1, п. 352, д. 2402, л. 254-257 Майский

– Молотову, 21 июня 1941; FO. 371. 29484. N3047.78.38. კრიფსის ანგარიში.
37. Дневник Димитрова. 21 июня 1941.
38. АВП РФ. Ф. 06, оп. 1, д. 5. л. 6-7. Отчет Молотова о встрече с Актаем, 19 июня 1941.
39. იქვე, Ф. 082, оп. 24, п. I, д. 7. л. 94-97. Отчет Деканозова о встрече с Вайцзеккером, 18 июня 1941.
40. იქვე, Ф. 06, оп. 3, п. 1, д. 5, л. 8-11; DGFP. XII, p. 1070-1071. Протоколы встречи Молотова с Шуленбургом, 21 июня 1941.
41. DGFP. XII, p. 1061-1062. ვაიცზეკერი დეკანოზოვთან შეხვედრის შესახებ 1941 წლის 21 ივნისს.
42. АГШ РФ. Ф. 208, оп. 2513, д. 71, л. 69. Тимошенко и Жуков, 22 июня 1941. იხ. აგრეთვე: Жуков Г.К. Воспоминания и размышления. т. 1, с. 387.
43. АП РФ. Ф. 3, оп. 50, д. 125, л. 75-76. Резолюции Политбюро, написанные от руки Маленковым, о создании Южного фронта, 21 июня 1941.
44. Жуков Г.К. Воспоминания и размышления. Т. 1, с. 386-389; АП РФ. Записная книжка Сталина. ამის დასტური იხ. აგრეთვე წიგნში: Захаров М.В. Генеральный штаб в предвоенные годы. М., 1989. с. 276-277
45. Чуев Ф. Сто сорок басед с Молотовым. с. 48-49.
46. DGFP. XII. P. 1063-1065. რიბენტროპი შულენბურგს, 1941 წლის 21 ივნისი.
47. Бережков В. Годы дипломатической службы. М., 1972, с. 60-64; Sontag R.J., Beddie J.S. Nazi-Soviet Relations 1939-1941. Documents from the Archives of the German Foreign Office. Washington, 1975, p. 353-356; Hilger G., Meyer A.G. Incompatible Allies. A Memoir-History of German-Soviet relations 1918-1941, New York. The Macmillan Company, 1953. p. 336, 339; DGFP. XII. P. 1071-1075. შულენბურგი საგარეო საქმეთა სამინისტროს, და უკანასკნელის მემორანდუმი.
48. АВП РФ. Ф. 06, п. I, оп. 3, д. 5, л. 12-15. Протокол встречи Молотова с Шуленбургом, 22 июня 1941. იხ. აგრეთვე: Hilger

G., Meyer A.G. Incompatible Allies. p. 334-336; Gafencu G. Misiune la Moscova. p. 228-233. გაფენკუს ანგარიში ანტონესკუს, 1941 წლის 1 აგვისტო.

49. Жуков Г.К. Воспоминания и размышления. Т. 2, с. 7-9. მემუარების ახალი, სრული ვარიანტი ძალზე მნიშვნელოვანია ამ ეპიზოდის გაგებისათვის, რადგან ძველი ვარიანტი მეტად შემოკლებული იყო ცენზურის მიერ.
50. Тимошенко, Жуков и Маленков – Военным советам фронтов, 22 июня 1941. 50 лет Великой Отечественной войны, М., 1991, с. 30.
51. FO. 371, 29466. N3232.3.38.
52. Дневник Димитрова. 22 июня 1941.
53. FO. 371, 29466. N3018.3.38; Maisky I. Memoirs of a Soviet Ambassador. London, 1967, p. 156-157
54. იქვე, p. 156-160.
55. დევისის ქაღალდები. Box 11. იხ. აგრეთვე გალიფაქსის ქაღალდები. A.7.8.9. დღიური, 1941 წლის 11 დეკემბერი. გრომიკო იხსენებს, როგორ გაცხარებული კამათობდნენ მოგვიანებით, ნიუ იორკში, მისი მანქანის უკანა სავარძელზე მსხდარი მოლოტოვი და ლიტვინოვი. ამასთან, მოლოტოვი ამტკიცებდა, რომ ინგლისმა და საფრანგეთმა უბიძგეს ჰიტლერს 1941 წელს საბჭოთა კავშირზე თავდასხმისაკენ. იხ. Громыко А. Памятное. Т. 2, М., 1990, с. 423. ომის დასაწყისში ინგლისელებთან მოლაპარაკებისას სტალინი არ მოითხოვდა მეორე ფრონტის გახსნას, იგი მიზანმიმართულად ცდილობდა მიეღწია შეთანხმებისათვის, რომელიც დაავალდებულებდა ორივე მხარეს, არ ეწარმოებინათ მოლაპარაკება სეპარატული მშვიდობის შესახებ.

ვიაჩესლავ მალიშევი

"ამის წელი გავა და ამ შესვედრებს ვეღარ აღიდგენ მეხსიერებაში"

(ნაწყვეტები სახალსო კომისრის დღიურიდან)*

ვ. მალიშევი, უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოხელე, მრავალი წლის მანძილზე იდგა სახელმწიფო მართვის ზედა საფეხურზე. გამოქვეყნებული დოკუმენტური ჩანაწერები საინტერესოა, ვინაიდან დაწვრილებით აშუქებენ საბჭოთა კავშირის სამხედრო მრეწველობისა და ტექნიკის განვითარების ცალკეულ ეპიზოდებს, სტალინის როლს გადაწყვეტილების შემუშავებასა და მიღებაში პარტიისა და ქვეყნის ცხოვრების დიდი თუ მცირე საკითხების მოგვარებისას. მიუხედავად იმისა, რომ ჩანაწერებს აკლია ლიტერატურული ღირსება, ისინი მაინც არ აღიქმება, როგორც მოვლენებისა და საკუთარი თუ სხვისი აზრების მშრალი და მოსაწყენი გადმოცემა.

ჩანაწერები დოკუმენტურ ფოტოს წარმოადგენს. ისინი, შესაძლოა, არც თუ ისე კარგი ხარისხისაა, მაგრამ საშუალებას იძლევა, თანამედროვის თვალით შევხედოთ წარსულს.

ვ.მალიშევის სწრაფმა შესვლამ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნომენკლატურულ იერარქიაში, რაც თავად მისთვისაც მოულოდნელი იყო, რეგულარულმა საუბრებმა და შეხვედრებმა "საყვარელ ბელადთან და მის თანამებრძოლებთან" განაპირობა პირველ ჩანაწერთა აღფრთოვანებული და გულაჩუყებული სტილი. დროთა განმავლობაში მათი ტონი უფრო თავშეკავებული ხდება, მოგვიანებით კი საქმიან ხასიათს იძენს. დღიური არ გადმოგვცემს მალიშევის ყველა შეხვედრას სტალინთან. სტალინის კრემლის კაბინეტის ჟურნალის ჩანაწერების მიხედვით, რომელშიც ყველა იქ მიმსვლელი არის დაფიქსირებული, 1939 წლის თებერვლიდან 1953 წლის თებერვლამდე მალიშევი სტალინს თითქმის ოთხმოცჯერ შეხვდა. იგი მოიხსენიებს ან დაწვრილებით აღწერს საკუთარ შთაბეჭდილებებს დაახლოებით

---

* "ვესტნიკი", 5, 1997. ნაშრომი ნათარგმნია ჟურნალ "ისტორჩნიკის" მიხედვით. იხ. "Источник", №5, 1997 წ.

ოცდაათი შეხვედრის შესახებ. დღიურში ესოდენ დიდი პერიოდების გამოტოვება, ალბათ, იმით აიხსნება, რომ ავტორს არ ჰქონდა საკმარისი დრო, განსაკუთრებით ომის პირველი ორი წლის განმავლობაში, როდესაც "უმაღლესთან გამოძახებების" ინტენსიურობა ყველაზე დიდი იყო. მალიშევის დაძაბულ მუშაობაზე წარმოების გაფართოებისა და ტანკების ახალი მოდელების გამოშვებისათვის, ქვეყნის შიგნით მის მრავალრიცხოვან მივლინებებზე მიუთითებს აღნიშნული პერიოდის მისივე ჩანაწერები.

ჩანაწერები კეთდებოდა მელნით, სხვადასხვა ფერის ფანქრებით, დიდი ფორმატის, უხახო, თეთრფურცლებიან საერთო რვეულში. ტექსტში ბევრი გადაშლილი ადგილი და შესწორებაა, ბევრგან არის ჩამატებული ცალკეული სიტყვები და მთელი ფრაზები. ხსენებული ჩანაწერებიანი რვეული ვ.მალიშევის სიკვდილის შემდეგ იპოვეს მისი სამუშაო კაბინეტის სეიფში. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ეკონომიკის კომისიის ხელმძღვანელობის მითითებით, 1957 წლის თებერვალში იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გადაიგზავნა. სსრკ-ის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების უფროსმა - ვ. მალინმა ეს ამბავი ნ.ხრუშჩოვს მოახსენა, რის შემდეგაც გაცემულ იქნა განკარგულება, მალიშევის დღიური ცენტრალური კომიტეტის არქივში შენახულიყო.

ტექსტი ნაწილობრივ არის რედაქტირებული. რიგ შემთხვევებში შესწორებები არ ეხებოდა ვ.მალიშევისათვის დამახასიათებელ საკუთარ სახელთა, სხვადასხვა დასახელებისა თუ ცნებათა ორიგინალურ დაწერილობას, რაც მათ მიმართ ავტორის თავისებურ, ემოციურ მიდგომას ამჟღავნებდა. რუსულ ენაზე დღიური გამოქვეყნებულია მთლიანად, ძირითადად შენარჩუნებულია ორთოგრაფია და სინტაქსი. წინამდებარე ქართული თარგმანი ქვეყნდება ფრაგმენტების სახით.

13 სექტემბერი, 1939 წელი.

დღეს თავდაცვის კომიტეტის[1] სხდომაზე გამოვიდა ამხანაგი სტალინი. გამოსვლა ჩინებული იყო. მინდა, მოკლედ მაინც აღვადგინო იგი უშუალოდ სხდომაზე გაკეთებული შავი ჩანაწერების მიხედვით.

ამხანაგი სტალინი ლაპარაკობდა ქვანახშირის მოპოვებაზე, ქვანახშირის მრეწველობის ცუდი მუშაობის მიზეზებზე და მიუთითა, რომ

ქვანახშირის მრეწველობის ჩამორჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ამხანაგ ლ.მ. კაგანოვიჩის უცოდინარობა - სწორად გაანაწილოს ხალხი.. (ჩემთვის და თავდაცვის კომიტეტის სხდომაზე დამსწრე ჩემი ამხანაგებისთვის, ცხადია, ეს საკმაოდ მოულოდნელი იყო...)

ამხანაგმა სტალინმა მოიყვანა ორი მაგალითი იმის შესახებ, თუ როგორ ცუდად ზრდის ამხანაგი კაგანოვიჩი ხალხს. მაგალითები ეხებოდა ამხანაგებს - იზოტოვსა[2] და დიუკანოვს.[3] ამხანაგმა სტალინმა პირდაპირ მიუთითა იმაზე, რომ ეს ამხანაგები არ იყვნენ მზად ქვანახშირის კომბინატის უფროსებად მუშაობისთვის, ისინი კი წარადგინეს ამ თანამდებობებზე. სტალინმა ისევ განსაკუთრებული ძალით მიუთითა იმაზე, თუ როგორ არის საჭირო ხალხის აღზრდა... "კარგი სტახანოველია? — დანიშნე ის შახტის უფროსად, დააკვირდი, დაეხმარე, იმუშაოს როგორც საჭიროა, შემდგომში შეიძლება სასწავლებლად გაიგზავნოს, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მისი წარდგენა ტრესტის თუ კომბინატის უფროსად."

ამხანაგმა სტალინმა მიუთითა, რომ "სტახანოველი, შახტის უფროსიც კი, მიჩვეულია კონკრეტული ხალხის ხელმძღვანელობას, კომბინატის უფროსმა კი უნდა იცოდეს ბალანსი, ფინანსები და სისტემურად უნდა აზროვნებდეს. ეს კი უნდა აღიზარდოს ადამიანებში."

ძნელია მეხსიერებაში ყოველივე იმის აღდგენა, რაზეც საუბრობდა ამხანაგი სტალინი, მაგრამ მისი გამოსვლა განსაკუთრებულად ძლიერი იყო. ამის შემდგომ, ამხანაგმა სტალინმა დასძინა: "ახლა ამხანაგი იზოტოვი და დიუკანოვი უკან უნდა დავწიოთ. დავამახინჯეთ ხალხი და ვინ არის ამაში დამნაშავე? იგივე ხდება გზებისა და კავშირგაბმულობის სახალხო კომისარიატში. ამხანაგ კაგანოვიჩთან საკადრო არეულობაა. ჩვენ, ცენტრალურ კომიტეტში იძულებულები გავხდით, აგვეკრძალა ამხანაგ კაგანოვიჩისთვის ყოველთვიური საკადრო ცვლილებების მოხდენა."

ძალიან ბევრი რამ გვასწავლა მეც და იქ დამსწრეთ ამხანაგ სტალინის ამ შესანიშნავმა გამოსვლამ.

21 დეკემბერი, 39 წელი.

დღეს სტალინის დაბადების 60 წელია. მთელი ჩვენი ქვეყანა და ხალხი აღნიშნავს ამ შესანიშნავ თარიღს.

ამ დღეს გინდა იფიქრო ამხანაგ სტალინზე და, უნებლიეთ, ისევ იხსენებ მასთან შეხვედრებს, იხსენებ ყველაფერს, რაც მასთან არის დაკავშირებული.

ბედმა გამიღიმა და ამ თვეების განმავლობაში ბევრჯერ ვნახე ამხანაგი სტალინი დიდ კრებებზე, სამუშაო ვითარებაში პოლიტბიუროსა და თავდაცვის კომიტეტის სხდომებზე.

თავდაცვის კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე (სექტემბრის თვეში) განიხილებოდა ერთი მნიშვნელოვანი სამთავრობო გადაწყვეტილება. ამხანაგი სტალინი გამოვიდა და თქვა, რომ ამ გადაწყვეტილებას ხელს არ მოაწერს. "ის დაწერილია ბიუროკრატიული ენით. ხალხთან ხალხის ენაზე ლაპარაკი დაგავიწყდათ," უსაყვედურა ამხანაგმა სტალინმა და თქვა: "თუ თქვენ ხალხთან ხალხის ენაზე ლაპარაკი დაგავიწყდათ, მე არ დამვიწყებია!"

ეს მცირე ფაქტია, რომელიც მომაგონდა, მაგრამ ამაში მთელი სტალინია, ნამდვილი სახალხო ბელადი.

ერთხელ განიხილებოდა საკითხი თავდაცვის ზოგიერთ ქარხანაში სამუშაო დღის ხანგრძლივობის გაზრდის აუცილებლობაზე. წინადადებათა პროექტში გაურკვეველი იყო, თუ რამდენად უნდა გაზრდილიყო ანაზღაურება სამუშაო დღის ხანგრძლივობის გაზრდის პირობებში. ამხანაგმა სტალინმა რამდენჯერმე ჰკითხა დამსწრე ამხანაგებს ამის თაობაზე და როდესაც დარწმუნდა, რომ საკითხი არ იყო გააზრებული, თქვა, რომ ამ გადაწყვეტილებას ხმას არ მისცემდა, სანამ ანაზღაურების საკითხი არ გაირკვეოდა. მიმართა რა იქ მჯდომ ამხანაგ შვერნიკს,[4] ამხანაგმა სტალინმა ხუმრობით თქვა: "თქვენ, მუშათა წარმომადგენელო, რატომ არ იცავთ მუშების ინტერესებს? აი, მე, "ბიუროკრატი " ვარ და ვიცავ, თქვენ კი ჩუმად ხართ!?" და გაიცინა.

ეს სტალინის დამახასიათებელი თვისებაა: ყველა წვრილმანში ჩაწვდომა, განსაკუთრებით თუ ეს წვრილმანები ასე თუ ისე ეხება ხალხს.

ამხანაგი სტალინი ყოველთვის ბევრს მუშაობდა და ახლაც მუშაობს თავდაცვისა და წითელი არმიის საკითხებზე. ეს ყველასთვის ცნობილი ჭეშმარიტებაა. მაგრამ ცხადია, ბევრმა არ იცის, რომ მას ზედმიწევნით აინტერესებს შეიარაღების ყველა "წვრილმანი."

მახსენდება ერთი ფაქტი, რომელიც მიუთითებს, რაოდენ კარგად, დეტალურად იცის ამხანაგმა სტალინმა სამხედრო საკითხები...

თავდაცვის კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე (სექტემბერში) ამხანაგმა სტალინმა, მიმართა რა შეიარაღების სახალხო კომისარს - ამხანაგ ვანნიკოვს[5], თქვა, რომ ახალ თვითსატენ შაშხანას[6] აქვს დეფექტები. ბევრ იქ მყოფს გაუკვირდა, ვინაიდან იცოდნენ, რომ შაშხანა კარგი იყო და თვით ამხანაგი სტალინი აძლევდა მას კარგ შეფასებას. "დიახ, - გაიმეორა ამხანაგმა სტალინმა, - შაშხანას დეფექტები აქვს. მისი ხიშტი ბლაგვია." ამხანაგი ვოროშილოვი შეეკამათა, რომ ხიშტი ბლაგვი არ არის. მაშინ ამხანაგმა სტალინმა შაშხანის მოტანა ბრძანა, მოიხმო სხდომაზე რამდენიმე დამსწრე და შესთავაზა შეეხედათ ხიშტისთვის. ხიშტი ნამდვილად არ იყო წესიერად ალესილი და ოდნავ წაიბლაგვებდა. ამხანაგმა სტალინმა იქვე გააკეთა ხიშტის პატარა ნახაზი, აღნიშნა ის ადგილები, სადაც საჭირო იყო ალესვა და ნახაზი ამხანაგ ვანნიკოვს გადასცა.

ამხანაგ სტალინის დამახასიათებელი თვისებაა ხალხის მოსმენის უნარი. ის ყოველთვის ისმენს საწინააღმდეგო აზრსა და წინადადებებს, თითქოს ყველაზე უმნიშვნელოსაც კი. მუდამ ითვალისწინებს ყველა გარემოებას და მხოლოდ ამის შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას.

ამხანაგ სტალინის მიერ ჩატარებულ სხდომებსა და თათბირებზე არ იგრძნობა რაიმე დაძაბულობა, ოფიციალურობა. უბრალო, ამხანაგური ვითარება სუფევს, მაგრამ პირდაპირ უნდა ვთქვა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ბევრჯერ ვიყავი ამხანაგ სტალინთან, ყოველთვის, როდესაც მასთან მიდიხარ, ან მასთან იმყოფები, ღელავ, რალაცნაირად ერიანად იძაბები, დიდი მოვლენის განცდის შეგრძნება გეუფლება.

დღეს უდავოდ ჩინებული დღე იყო. დილით შევხვდი ამხანაგ მოლოტოვს და მან ცოლთან ერთად დამპატიჟა ამხანაგურ ვახშამზე ამხანაგ სტალინის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

მივედი ცოლთან ერთად. სტუმარი ცოტა იყო, დაახლოებით 70-80 კაცი. ამხანაგი სტალინი შემოვიდა, ყველას გულთბილად ჩამოართვა ხელი. დავსხედით მაგიდებთან. დაიწყო სადღეგრძელოები და მისალმებები. სიტყვით გამოვიდნენ პოლიტბიუროს წევრები და ამხანაგ სტალინის უახლოესი მეგობრები. უკვე, მოულოდნელად ამხანაგი მოლოტოვი აცხადებს, სიტყვა ეძლევა ამხანაგ მალიშევსო. მე ძალიან დავიბენი, გამოვედი ოთახის შუაგულში და საუბარი საკმაოდ უთავბოლოდ

დავიწყე, მაგრამ მერე სული მოვითქვი და ვისაუბრე ხალხის უსაზღვრო სიყვარულზე ამხანაგ სტალინის მიმართ. გულმხურვალედ ვლაპარაკობდი, მგონი, საერთო ჯამში, არც თუ ისე ცუდად გამოვიდა, რასაც დამსწრეთა მოწონების შეძახილები მოწმობდა. მივედი ამხანაგ სტალინთან, მივულოცე და დავლიე მისი სადღეგრძელო.

ვახშმის დროს ამხანაგი სტალინი რამდენჯერმე გამოვიდა და მფრინავების, არტილერისტების, ტანკისტების, მეზღვაურების, მუშებისა და გლეხების და სხვათა სადღგრძელოები თქვა.

გამოვიდა ამხანაგი მოლოტოვი და თქვა დაახლოებით შემდეგი: "ბევრი ჩვენგანი მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა ამხანაგ ლენინთან[7] და ვმუშაობთ ამხანაგ სტალინთან. კაცობრიობის აზროვნების უფრო დიდ ბუმბერაზს, უფრო დიდ ბელადს, ვიდრე ლენინი იყო, მე არ ვიცნობ. ის გიგანტი და უდიდესი ბელადია. მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ამხანაგ სტალინს გარკვეულწილად უპირატესობა აქვს ლენინთან შედარებით. ლენინი დიდი ხნის განმავლობაში მოწყვეტილი იყო საკუთარი ხალხისაგან, თავისი ქვეყნისაგან და ემიგრაციაში ცხოვრობდა. ამხანაგი სტალინი კი ყოველთვის ცხოვრობს და ცხოვრობდა ხალხში, ჩვენ ქვეყანაში. ამან, რა თქმა უნდა, განაპირობა ის, რომ იგი უკეთ იცნობს ხალხს, უფრო ახლოს არის მასთან. აი, რატომ შეიძლება, ამხანაგ სტალინს სამართლიანად ვუწოდოთ სახალხო ბელადი."

საუბარი ("წვეულება" ღვინის ჭიქით ხელში საუბარს უფრო ჰგავდა) საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. შემდეგ ეკატერინეს დარბაზიდან,გიორგის დარბაზში გადავედით, სადაც ვუსმენდით კონცერტს, შემდეგ ისევ მივუსხედით მაგიდებს და მხიარულება გაგრძელდა. ამხანაგი მოლოტოვი მშვენივრად ცეკვავდა და მღეროდა. ამხანაგები - ვოროშილოვი და მიქოიანი ცეკვებისა და სიმღერების ნამდვილი "წამომწყებები" იყვნენ. სტუმრები დილის 8 საათზე დაიშალნენ.

ამხანაგ სტალინთან "დღეობაზე" მხიარულების მშვენიერი წუთები (უფრო სწორად, საათები) სამუდამოდ დარჩება ჩემს მეხსიერებაში.

1940 წლის მაისი.

დიდი ხანია, არ დამიწერია. არც თუ ისე დიდი ხნის წინ პარტიამ და ამხანაგმა სტალინმა უდიდესი ნდობა გამომიცხადეს და დამაწინაურეს მაღალ სახელმწიფო თანამდებობაზე - საბჭოთა კავშირის სახალხო კომისარიატთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

ამას წინათ ჩატარდა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ)[8] ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. მეხსიერების (სანამ ახლად არის აღბეჭდილი) და შავი ჩანაწერების მიხედვით მინდა აღვადგინო ძირითადი აზრები ამხანაგ სტალინის გამოსვლიდან — "ფინეთის ომის გაკვეთილების შესახებ."[9]

ამ თემაზე მოხსენება გააკეთა ამხანაგმა ვოროშილოვმა. რიგი ამხანაგები, განსაკუთრებით მეხლისი[10] და შჩადენკო[11] პლენუმზე ამხანაგ ვოროშილოვის მძაფრი, არასაქმიანი და დაუსაბუთებელი კრიტიკით გამოვიდნენ. ამხანაგმა სტალინმა თქვა, "ყველა სახალხო კომისარი რომ ასე კრიტიკულად აფასებდეს თავის მუშაობას, როგორც ამას ამხანაგი ვოროშილოვი აკეთებს, ძალიან კარგი იქნებოდა."

შემდგომ ამხანაგმა სტალინმა მიუთითა სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ ფინეთის ომში დაშვებულ მთელ რიგ შეცდომებზე, კერძოდ, იმაზე, რომ ჩვენი ქვეითი ძალები ზამთრის პირობებში ომისათვის ცუდად მომზადებული აღმოჩნდა. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ ჩვენს საარმიო წესდებებში ხდებოდა ყოველგვარი შეღავათების გაკეთება ზამთარზე, ყინვებზე. აგრეთვე იმიტომ, რომ არმიის ხელმძღვანელები (ეს ითქვა ამხანაგ კულიკის მისამართით) არ სწავლობენ რუსული არმიის კარგ ტრადიციებს.

ამხანაგმა სტალინმა მიუთითა: "ჩვენს სამხედრო ხელმძღვანელებს, რუსული არმიის ისტორია რომ შეესწავლათ, მიებაძათ რუსული არმიის კარგი ტრადიციებისთვის, ეცოდინებოდათ, რომ ყველა შესანიშნავი გამარჯვება რუსული არმიის მიერ ზამთარში იქნა მოპოვებული." და ამხანაგმა სტალინმა მოიყვანა ამის მთელი რიგი მაგალითები: ალექსანდრე ნეველმა ზამთარში დაამარცხა გერმანელები ჩუდის ტბაზე,[12] ვინაიდან რუსი ჯარისკაცები გაკაჟებული იყვნენ ზამთრის პირობებში ბრძოლისთვის. პეტრე პირველმა ზამთარში დაამარცხა შვედები ფინეთში.[13] ალექსანდრე I ზამთარში დაამარცხა შვედები ფინეთში[14], და ბოლოს, კუტუზოვმა ზამთარში დაამარცხა ნაპოლეონი.[15]

შემდგომ სტალინმა ყურადღება მიაპყრო ისეთ "წვრილმანს," როგორიც არის ორცხობილა. თურმე არმიიდან ამოუღიათ ორცხობილა და გალეტებით შეუცვლიათ. გალეტები კი დიდი ყინვების დროს მაგრდებოდა და მათი ჭამა შეუძლებელი იყო. "რატომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ არმიის ხელმძღვანელები არ ინტერესდებოდნენ ისეთი საკითხებით,

როგორიც იყო არმიის კვება." ამხანაგმა სტალინმა დასძინა: "ნამდვილი გრაფი, კუტუზოვი დადიოდა ჯარისკაცებთან და ნახულობდა, რას ჭამდნენ ისინი, ხოლო "თვითნაკეთი გრაფი" კულიკი ამას არ აკეთებდა." (ამხანაგ სტალინის ამ შენიშვნის პასუხად საერთო სიცილი გაისმა).

შემდგომ ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, რომ "ჩვენი რიგითი შემადგენლობა არის შესანიშნავი მასალა, ხოლო მეთაურთა შემადგენლობა არ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე. ქალაჩუნები იყვნენ. ჩვენი ამოცანა არის, გავაუმჯობესოთ მეთაურთა შემადგენლობა, მაშინ ჩვენი არმია მთელ მსოფლიოში საუკეთესო იქნება."

ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა, "ფინელთა დამარცხებით ჩვენ "დავამარცხეთ" მათი მასწავლებლებიც (გერმანელები, ინგლისელები, ფრანგები და სხვ.)."

ჩვენთვის ამჟამად უკვე ცნობილია გამაგრებულ ზოლთა განადგურების საიდუმლო. ჩვენ ერთადერთი ქვეყანა ვართ, რომელმაც ეს საიდუმლო იცის. ის კი იმაში მდგომარეობს, რომ მოწინააღმდეგე ჯერ ფიზიკურად და მორალურად უნდა მოქანცო მძიმე არტილერიით, შემდეგ კი ქვეითი ჯარის გაშვებაა საჭირო." ამხანაგმა სტალინმა იქვე აღნიშნა, რომ ფინეთის ომმა ისევ აჩვენა არტილერიის, განსაკუთრებით კი მძიმე არტილერიის დიდი მნიშვნელობა.

ვიხსენებ კიდევ ერთ საუბარს ამხანაგ სტალინთან, რომელიც აპრილის ბოლოს შედგა.[16] ამხანაგმა სტალინმა გამოთქვა რამდენიმე მოსაზრება კონტროლის უკეთ ორგანიზების შესახებ. მან მიუთითა, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საბჭოთა კონტროლის კომისია ჩვენ უკვე აღარ გვაკმაყოფილებს. კონტროლი გაფანტულია მრავალ მაკონტროლებელ ორგანიზაციათა შორის (საბჭოთა კონტროლის კომისია, პარტიული კონტროლის კომისია, თავდაცვის კომიტეტის მთავარი კონტროლიორი და სხვ.). საჭიროა შეიქმნას ერთიანი მაკონტროლებელი ორგანო — სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატი.[17] უნდა გვყავდეს სახელმწიფო კონტროლიორები სახალხო კომისარიატებთან, დივიზიებში და სხვ.

17 იანვარი 1941 წ.

დავესწარი პოლიტბიუროს სხდომას. განიხილებოდა სახალხო მეურნეობის 1941 წლის გეგმა. გეგმის განხილვისას ამხანაგმა სტალინმა ბევრი საინტერესო აზრი გამოთქვა.

პოლიტბიუროს სხდომის შემდეგ ეზოში გავედით და დავათვალიერეთ მცირელიტრაჟიანი ავტომობილის ახალი ნიმუში. ამხანაგმა სტალინმა და პოლიტბიუროს სხვა წევრებმა დადებითად შეაფასეს მანქანა. ამხანაგმა სტალინმა თქვა: "კარგია." ჩემთვის, როგორც სახალხო კომისრისათვის, ეს საუკეთესო ჯილდოა.

შემდეგ ამხანაგმა სტალინმა თავის ბინაში დაგვპატიჟა. ამხანაგ სტალინთან დილის 7 საათამდე ვისხედით. ვმღეროდით, ვსაუბრობდით. ამხანაგი სტალინი ბევრს ყვებოდა თავისი ცხოვრების შესახებ, კერძოდ, დალია "მოხუცების" სადღეგრძელო, "რომლებიც ხალისით გადასცემენ ძალაუფლებას ახალგაზრდებს და, ასევე, ახალგაზრდებისა, რომლებიც ხალისით ღებულობენ ამ ძალაუფლებას!"

მე ვცდილობდი ცოტა დამელია. ამხანაგმა სტალინმა შეამჩნია ჩემი ფანდი და თქვა: "მანქანათმშენებლები მცირე ლიტრაჟებით სვამენ! არ ვარგა!" აიღო ორი ყანწი, მომიახლოვდა, ჩაასხა ყანწებში ღვინო და შემომთავაზა მასთან ერთად დამელია. დავლიეთ. ასეთი ულუფის შემდეგ საშინელი თავბრუ დამეხვა... ამხანაგი სტალინი კი იცინის და ამბობს: "ეშმაკი ბიჭია, ეშმაკი!"

4 თებერვალი, 1941 წ.

ამხანაგ კ.ე.ვოროშილოვის 60 წლის იუბილის გამო ცოლთან ერთად ვიყავი კრემლში ამხანაგურ შეხვედრაზე.

რამდენჯერმე სადღეგრძელო წარმოთქვა ამხანაგმა სტალინმა. კერძოდ, ის ისევ დაუბრუნდა აზრს მოხუცებისა და ახალგაზრდების შესახებ. ამბობდა: "მოხუცებმა უნდა გაიგონ, რომ თუ ახალგაზრდებს არ დავუშვებთ ხელმძღვანელობაში, ეს დამღუპველი იქნება. ჩვენ, ბოლშევიკები, იმითი ვართ ძლიერნი, რომ თამამად ვაწინაურებთ ახალგაზრდებს. მოხუცებმა ხალისით უნდა დაუთმონ ძალაუფლება ახალგაზრდებს."

ამხანაგი სტალინი კვლავ დაუბრუნდა თავის აზრს ლენინის შესახებ და თქვა: "დღეს აქ ბევრი მკვეხარა სიტყვა წარმოითქვა. ჩვენ ბელადებს წარმატებისაგან თავბრუ ესხმით, თავმდაბლობა არ ყოფნით. ჩვენ კი უნდა გვახსოვდეს, რომ ყველანი წიწილები ვართ გიგანტ ლენინთან შედარებით. ლენინმა აღგვზარდა, გვასწავლა, ყურებით გვათრევდა ულაზათოებს და ხალხში გამოგვიყვანა. ლენინი ნამდვილი ბუმბერაზია და ყველამ

უნდა მივბაძოთ ჩვენს მასწავლებელს, ლენინს... მე გთავაზობთ, დავლიოთ დიადი ადამიანის, ლენინის სადღეგრძელო..."

შემდგომ ამხანაგი სტალინი გამოვიდა და ისაუბრა ჩვენი მიღწევების შესახებ საგარეო პოლიტიკაში. "საგარეო პოლიტიკა ტარდება ორი საშუალებით: დიპლომატიით და არმიით. ჩვენი დიპლომატია კარგად მუშაობს. მაგრამ ის ვერაფერს გახდებოდა, დიდი, სავსებით თანამედროვე არმია რომ არ გვყოლოდა. ოდესღაც მეფის მთავრობა ოცნებობდა, მშვიდობიან დროს 1 მილიონ 700 ათასიანი არმია ჰყოლოდა და მხოლოდ 1 მილიონ 100 ათასამდე შეძლო მისი გაზრდა. ჩვენ კი გვყავს 4 მილიონიანი კარგად შეიარაღებული არმია. ეს ძალაა, რომელსაც არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიო საერთაშორისო საკითხების გადაჭრისას. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია დავიკავოთ ნეიტრალური პოზიცია. შეგვიძლია წარმატებას მივაღწიოთ საგარეო პოლიტიკაში, რაკი ძლიერი არმია გვყავს!"

10 იანვარი, 42 წ.

დღეს ისევ ვიყავი სტალინთან. საუბარი იყო იარაღის წარმოების შესახებ. სტალინმა რამდენჯერმე აღნიშნა, რომ ამჟამად საჭიროა მასობრივად, რაიმე ცვლილებების გარეშე ვაწარმოოთ ის იარაღი, რომელიც კარგი გამოდგა ბრძოლაში.

შემდგომ ამხანაგი სტალინი გადავიდა გერმანული არმიის შეფასებაზე და თქვა: "გერმანული არმია — არსებითად ნაღმსატყორცნი და სატანკო არტილერიის არმიაა. მსუბუქი არმიაა. ნაქები გერმანული არტილერია რაღაც არ ჩანს. ეს გერმანელების შეცდომაა, რომელიც ძვირად დაუჯდებათ.

შემდგომ გერმანელებმა მეორე შეცდომა დაუშვეს — ომის დროს დაიწყეს არმიის გადაიარაღება და ახალი ტიპის თვითმფრინავებზე გადასვლა. მათ ჰყავდათ 10 000 მოპიკირე ბომბდამშენი Ю-88. მიუხედავად იმისა, რომ ეს თვითმფრინავი ძველმანია, მისი საშუალებით მათ დაამარცხეს პოლონეთი, საფრანგეთი, ინგლისელები კრეტაზე,[18] თავს გვესხმოდნენ ჩვენ. გერმანელებს მრავალი ასეთი თვითფრინავი ჰყავდათ. ახლა ისინი ახალი ტიპის თვითმფრინავებზე გადადიან და ამით დიდ შეცდომას უშვებენ, რაც მათ ძვირად დაუჯდებათ."

რამდენჯერმე ვიყავი ამხანაგ კ.ე.ვოროშილოვის ბინაში, ვისადილეთ. შესანიშნავი, გულითადი ადამიანია.

22 იანვარი, 1942 წ.

ამხანაგმა სტალინმა თქვა, რომ T-34[19] ტანკებმა გამოამჟღავნა თავისი კარგი თვისებები. ამ ტანკს სიმძლავრის დიდი მარაგი აქვს და ყველგან გაივლის. განსაკუთრებით კარგად დადის თოვლზე. ამხანაგმა სტალინმა მითითება მისცა, გაეზარდათ T—34 ტანკების გამოშვება.

24 იანვარი, 42 წ.

ამხანაგმა სტალინმა თქვა, რომ KB[20] ტანკი ოდნავ მძიმეა, მოუქნელი და ცუდადმავალი. მხოლოდ სწორ ადგილზე შეუძლია ბრძოლა. მან მითითება მისცა ან 800 ცხენის ძალამდე გაეზარდათ დიზელის სიმძლავრე, ან წონის შესამცირებლად უფრო თხელი ჯავშანი დაემზადებინათ.

თებერვალი, 1942 წ.

ამ დღეებში ჟ.ი.კოტინთან[21] (საბჭოთა კავშირის სატანკო მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე) ერთად ვიყავი ამხანაგ სტალინთან აგარაკზე.[22] თავდაპირველად საუბარი გაიმართა ტანკ KB-ზე. ამხანაგმა სტალინმა გვისაყვედურა, რომ ჩვენ დროულად არ გავუწიეთ წინააღმდეგობა წინადადებებს ტანკ KB-ის წონის გაზრდის შესახებ. "ჩვენ შეცდომებს ვუშვებდით, მათ შორის მეც, - თქვა ამხანაგმა სტალინმა, - თქვენ კი არ შეგვაჩერეთ."

შემდეგ ამხანაგ სტალინთან ვივახშმეთ და დილის 8 საათამდე იქ ვისხედით.

5 ივნისი, 1942 წ.

ბოლო დღეებში ამხანაგი სტალინი ყოველდღე გვიძახებს თავისთან. მან მტკიცედ მოჰკიდა ხელი ტანკების ხარისხის გაუმჯობესების საქმეს.

დღეს ვიყავით ამხანაგ სტალინთან, ამხანაგ ზალცმანთან,[23] (საბჭოთა კავშირის სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარი), კოტინთან, მოროზოვთან[24] (გენერალ-მაიორი, ინჟინერი) ერთად. ამხანაგმა სტალინმა თქვა, რომ "ჩვენს ტანკებს ტექნიკური მაჩვენებლების მიხედვით უპირატესობა აქვს უცხოურ, მათ შორის, გერმანულ ტანკებთან შედარებით, მაგრამ ჩამორჩებიან მათ საკალი ნაწილით. განსაკუთრებით ტანკი KB - იგი მძიმე და მოუქნელია.

დღეს კი ტანკები, უპირველეს ყოვლისა, ბევრს უნდა გადიოდეს, 150-200 კმ-ს., უნდა შეეძლოს უგზოობის გადალახვა. ტანკ KB-ს ამის გაკეთება არ შეუძლია.

ჩვენ ძალიან დავამძიმეთ ტანკი KB. ამაში ჩემი ბრალიც არის, ხოლო თქვენი ბრალი ის გახლავთ, რომ დროზე არ შემაჩერეთ."

"ტანკები უნდა გაუმჯობესდეს, მოხდეს მათი მოდერნიზაცია, განსაკუთრებით სავალი მექანიზმისა. მხეოველობაში უნდა იქონიოთ, რომ ახლა ტანკისტები ნაკლებად კვალიფიცირებულები არიან და ამიტომ უნდა იქმნებოდეს უფრო მარტივი, გამძლე მანქანები. ვირტუოზებზე გათვლა არ უნდა ხდებოდეს.

უნდა გაუმჯობესდეს ჩვენ. ტანკების ხილვადობა. ტანკისტებს ამოცანას გისახავთ, გააუმჯობესეთ ტანკების - T–34-ისა და KB-ს სიჩქარის კოლოფი, შეამცირეთ მათი წონა და ორივე ტანკი უკეთესი ხილვადობით გამოუშვით."

ჩვენ ვუჩვენეთ ამხანაგ სტალინს ორი ახალი ტანკის მაკეტი, რომლებიც მთლიანად აკმაყოფილებს მის მიერ გამოთქმულ მითითებებს. მაგრამ ამხანაგმა სტალინმა გვიპასუხა, "ახალ ტანკებს ჯერ არ გავაკეთებთ. არ მოვაცდენთ კონსტრუქტორებს უკვე არსებული ტანკების გაუმჯობესებასა და მოდერნიზაციაზე მუშაობიდან. რა თქმა უნდა, კონსტრუქტორებს უნდათ ახალი მანქანების კეთება, თითოეული კონსტრუქტორი დიდებას ეძებს. საჭიროა დავიცადოთ. ახალ მანქანებს ერთი თვის ან თვენახევრის შემდეგ დავუბრუნდებით, როცა კონსტრუქტორები დაასრულებენ მუშაობას არსებული ტანკების გაუმჯობესებაზე."

ამხანაგმა სტალინმა აქვე მოაწერა ხელი დადგენილებას ოთხი ტანკმშენებელი ქარხნის და სატანკო მრეწველობის 1000 თანამშრომლის დაჯილდოების შესახებ.[25]

ამხანაგ სტალინთან საუბარმა ჩვენ, ტანკისტებს, ბევრი მოგვცა — მუშაობის პროგრამა 2-3 თვით.

17 ივლისი, 1943 წ.

დღეს ვიყავი ამხანაგ სტალინთან. პირველად ვნახე იგი მარშლის ფორმაში, ჩამოშვებული შარვლით. ამხანაგ სტალინთან კიდევ ერთი ცვლილება შევნიშნე. მაგიდის თავზე ჩამოკიდებულია სუვოროვის და კუტუზოვის შესანიშნავი პორტრეტები. საუბარი ახალ ტანკებს ეხებოდა.

ამხანაგმა სტალინმა დადებითად შეაფასა თვითმავალი დანადგარები СУ-152 ტანკ КВ-ს ბაზაზე. კითხვაზე: "ვინ არის ამ მანქანების კონსტრუქტორი?" - მე ვუპასუხე, რომ ამხანაგი კოტინი. ამხანაგმა სტალინმა იკითხა კოტინის შესახებ: "საქმე ესმის ამ კონსტრუქტორს?" ვუპასუხე, რომ კი, ესმის, ნიჭიერი ადამიანია.

შემდგომ ვუამბე ახალ მძიმე ტანკ ИС-ზე 85 მმ-იანი ზარბაზნით.[26] ამხანაგი სტალინი ყურადღებით გაეცნო და თქვა, რომ საჭიროა დაჩქარება. აშკარა იყო, ტანკი მოეწონა. შემდეგ საუბარი იყო ტანკ Т-34-ის ბაზაზე შექმნილ თვითმავალ დანადგარებზე 122 მმ-იანი და 85 მმ-იანი ზარბაზნებით. ამხანაგმა სტალინმა თქვა, რომ თუ 85 მმ-იანი ზარბაზნებით აღჭურვილი თვითმავლის გამოცდები წარმატებით დასრულდება, მაშინ უნდა დავამზადოთ მხოლოდ თვითმავლები 85 მმ-იანი ზარბაზნებით და შეწყდეს 122 მმ-იანი ზარბაზნებით-ჰაუბიცებით[27] (მ-30) აღჭურვილი თვითმავლების წარმოება.

ИС ტანკის განხილვისას ამხანაგმა სტალინმა იკითხა, საკმარისია თუ არა დიზელის სიმძლავრე. მე ვუპასუხე, რომ ცოტაა, ტანკი უკეთესი იქნებოდა, უფრო მძლავრ ძრავას თუ დავუყენებდით — 750-800 ცხენის ძალით. ამხანაგმა სტალინმა დაავალა სერიოზულად ემუშავათ მძლავრი დიზელების შექმნაზე.

შემდგომ ამხანაგმა სტალინმა სხვათა შორის იკითხა: "გვჭირდება თუ არა ამჟამად მცირე ტანკები?" მე ვუპასუხე, რომ გარკვეული რაოდენობა, შესაძლოა მცირე, საჭიროა. სამხედროებმა (ფედორენკომ და კოროობკოვმა) ვერ გასცეს გარკვეული პასუხი.

შემდგომ საუბარი შეეხო №183 ქარხნის საცდელ ტანკებს Т-43-ს. მე ვუთხარი ამხანაგ სტალინს, რომ უარყოფითად ვარ განწყობილი ამ ტანკისადმი და წარუმატებლად მიმაჩნია ის, მაგრამ ნება დავრთე ქარხანას გამოეცადა ის 2000 კილომეტრიანი გარბენით. ამხანაგი სტალინი დათანხმდა. სტალინს ნებართვა ვთხოვე ტანკ Т-70 ბაზაზე შექმნილი 76 მმ-იანი ზარბაზნის მქონე თვითმავალი დანადგარის წონა 1 ტონით შეგვემცირებინა. ამხანაგი სტალინი დათანხმდა.

8 სექტემბერი, 1943 წ.

დღეს ამხანაგები სტალინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, ბერია, შჩერბაკოვი კრემლში ახალ ტანკებს და საარტილერიო თვითმავლებს (ИС, КВ-85, СУ-152, СУ-85, С-76) ათვალიერებდნენ.

ამხანაგი სტალინი თვითონ აძვრა ИС, СУ-152, СУ-85 ტანკებზე. ყურადღებით გვეკითხებოდა ახალი ტანკების უპირატესობის, განსაკუთრებით, ტანკ ИС-სა და СУ-85-ის შესახებ.

საყვედური გამოთქვა, რომ თვითმავალ СУ-152-ს საბრძოლო ნაკვეთურში არ ჰქონდა ვენტილატორი. დავპირდი, რომ 7 დღის შემდეგ დავაყენებდით.

გვეკითხებოდა, თუ რატომ არ აღემატებოდა ИС ტანკის წონა, რომელსაც უფრო სქელი ჯავშანი და მძლავრი ზარბაზანი ჰქონდა, КВ-ს წონას. მე მივუთითე ორივე ტანკზე და მივაპყარი მისი ყურადღება იმაზე, რომ ИС ტანკის მოცულობა ნაკლები იყო КВ-ზე, რის ხარჯზეც მოხდა წონის შემცირება. ამხანაგმა სტალინმა თქვა: "ეს კარგია."

СУ-85 მანქანის შესახებ თქვა, რომ უფრო მეტი ასეთი მანქანა გვჭირდება. "მსუბუქი, მობილური მანქანაა, კარგ ნახტომებს აკეთებს, კარგად გაუმკლავდება გერმანულ ვეფხვებს და ფერდინანდებს,"[28] – თქვა ამხანაგმა სტალინმა.

გამოცა, რომ ამხანაგი სტალინი თავის ასაკში ასე ადვილად, ვისიმე დახმარების გარეშე ძვრებოდა ტანკებზე. ეკითხებოდა მძღოლებს და არტილერისტებს, მოსახერხებელი იყო თუ არა მუშაობა, ხომ არ იყო სივიწროვე, ხომ არ აწუხებდათ გამონაბოლქვი აირები და სხვა. დათვალიერება დაახლოებით 40 წუთი გაგრძელდა. როგორც ჩანს, ამხანაგი სტალინი კმაყოფილი დარჩა. ის აღნიშნავდა, რომ ИС სასწრაფოდ უნდა აღიჭურვოს 122 მმ-ანი ზარბაზანი.

19.X. 44 წ.

გუშინ ვიყავი ამხანაგ სტალინთან მიღებაზე, რომელიც ჩერჩილის პატივსაცემად გაიმართა. პირველად ვნახე ჩერჩილი და იდენი.[29]

ჩერჩილი – ძალზე მოხუცია.

ითქვა ბევრი სადღეგრძელო, თანამეგობრობისაც და პირადიც.

ამხანაგმა სტალინმა შესვა ომის ღმერთის - არტილერიის სადღეგრძელო და თქვა, რომ ომმა დაადასტურა ეს დებულება. მან შესთავაზა დამსწრეთ, დაელიათ არტილერიის მთავარი მარშლების ამხანაგ ვოროვნინისა და ამხანაგ უსტინოვის სადღეგრძელო.

შემდგომ ამხანაგმა სტალინმა თქვა: "ჩვენ გვყავს მინისტრები, ჩვენებურად — სახალხო კომისრები. მათ შესახებ არ წერენ კომუნიკეებში, ისინი ჩრდილში დგანან. მაგრამ დიდ საქმეს აკეთებენ და მათი წარმატებული მუშაობის გარეშე ჩვენ ვერ მივაღწევდით წარმატებას ომში. ისინი ახალგაზრდები და კარგი ხელმძღვანელები არიან. მე გთავაზობთ დავლიოთ, - თქვა შემდგომ ამხანაგმა სტალინმა, - საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისრის, ამხანაგ შახურინის და სატანკო მრეწველობის სახალხო კომისრის, ამხანაგ მალიშევის სადღეგრძელო."

შემდგომ ამხანაგი სტალინი და ჩერჩილი მოვიდნენ ჩემთან და შახურინთან და ჩვენი სადღეგრძელო დალიეს.

ბატონმა ჩერჩილმა ამხანაგ სტალინის სადღეგრძელო წარმოთქვა: "მე ვსვამ გაერთიანებული ერების, მუშების, ჯარისკაცებისა და მარშალ სტალინის სადღეგრძელოს, მუშისა და ჯარისკაცის სადღეგრძელოს, რომელთაც ის თავის თავში აერთიანებს."

როდესაც იდენი ამხანაგ მოლოტოვის სადღეგრძელოს სვამდა, თქვა, რომ ის, იდენი, უკვე მეოთხედ არის მოსკოვში,[30] მაშინ, როცა მოლოტოვი ლონდონში მხოლოდ ერთხელ იყო. ის იწვევს მოლოტოვს ლონდონში და მოხარული იქნება ლონდონის კონფერენციის თავმჯდომარედ იხილოს იგი.

ინგლისის ელჩმა კერმა თავის სადღეგრძელოში, სხვათა შორის, თქვა, "მე ვსწავლობ სტალინისა და მოლოტოვის ქცევას და შევამჩნიე, როდესაც სტალინი რაიმეთი უკმაყოფილოა, ის ხშირად ეწევა ჩიბუხს. მაგრამ ბოლო დროს სტალინმა თავი დაანება ჩიბუხს და პაპიროსს ეწევა. ამიტომ უნდა მომენახა სტალინის განწყობის ახალი ნიშანი და მე ის ვიპოვე. როდესაც სტალინი რაიმეთი უკმაყოფილოა, ის ძირს უშვებს თავის ლამპა ცხვირს, ხოლო როცა კმაყოფილია, მაღლა სწევს ცხვირს და იჭმუხნის მას.

როდესაც ბატონი მოლოტოვი უკმაყოფილოა, ის ხშირად იხსნის და იკეთებს პენსნეს. ერთხელ ვუთხარი ამის შესახებ ბატონ მოლოტოვს, ახლა ის უფრო ფრთხილად ეპყრობა თავის პენსნეს. ბატონ მოლოტოვის განწყობის გაგება კი ჩემთვის გართულდა."

სადილის შემდეგ ვუყურეთ ფილმს "ანტონ ივანიჩი ბრაზობს." ამხანაგი სტალინი გულიანად იცინოდა, ხშირად ისროდა რეპლიკას. ეტყობა, მოსწონს ეს ფილმი.

9 დეკემბერი, 1944 წ.

ვიყავი სტალინთან შარლ დე გოლის მიღებისას. პირველ რიგში დე გოლზე უნდა ვთქვა, — არც თუ ისე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. მაღალია, უზომოდ დიდი ცხვირი და მოღუშული სახე აქვს, თვალების უპეები შესივებული. იშვიათად იღიმება და საერთოდ არ იცინის. ძალიან ცოტას ლაპარაკობს.

როგორც ყოველთვის, სადღეგრძელოებს ამბობდნენ.

ამხანაგმა სტალინმა წარმოთქვა, "ჩემი დაუოკებელი ხასიათის მქონე მეგობრის — ჩერჩილის" სადღეგრძელო.

"მე მას პატივს ვცემ, - თქვა ამხანაგმა სტალინმა, - სწორედ მისი დაუოკებელი ხასიათის გამო."

შემდგომ ამხანაგმა სტალინმა დალია საბჭოთა არტილერიის სადღეგრძელო და თქვა, რომ გერმანელებმა არტილერიაში შეცდომა დაუშვეს, უნდოდათ ებრძოლათ ახლო მოქმედების არტილერიით (სატანკო, ნაღმსატყორცნი, სადივიზიო). "არტილერია ომში ძირითადი დამრტყმელი ძალაა. საჭიროა ყველა ტიპის არტილერია გვქონდეს — ახლო და შორი მოქმედებისაც. საბჭოთა არმიას ჰყავს ასეთი არტილერია. მხოლოდ ყველა ტიპის არტილერიის სრული გამა იძლევა ამ ორკესტრის კარგ ჟღერადობას. გარდა ამისა, უნდა გყავდეს კარგი დირიჟორი. სწორედ ასეთი დირიჟორის სადღეგრძელო მინდა შევსვა." - დაასრულა სიტყვა ამხანაგმა სტალინმა და შემოგვთავაზა დაგველია არტილერიის მთავარი მარშლის, ამხანაგ ვორონინის სადღეგრძელო.

შემდეგ სტალინმა დალია სახალხო კომისრების შახურინის, ვანნიკოვის და ჩემი სადღეგრძელო. თითოეულთან მივიდა დე გოლთან ერთად.

ამხანაგმა სტალინმა დალია "ნორმანდიის" პოლკის მეთაურის, პოლკოვნიკ პუიადას სადღეგრძელო. შესვა მასთან ბრუდერშაფტზე და უსურვა, რომ უახლოეს ხანებში გახდეს ფრანგული საჰაერო დივიზიის მეთაური ჩვენთან.

ფილმის ჩვენების დროს შესვენებისას, ამხანაგმა სტალინმა ფრანგებთან საუბარში თქვა, "ახლა ხელშეკრულებას[31] მოვაწერთ ხელს, ეს საქმე გაჭიანურდა. თქვენი გენერალი დე გოლი ჯიუტი და დაჟინებული ადამიანია. დიახ, ჩვენ დროში უამისოდ ვერც იარსებებ."

28 მარტი, 1945 წ.

ვიყავი ამხანაგ სტალინთან ჩეხოსლოვაკების[32] მიღებაზე. სადილზე ამხანაგი სტალინი ორჯერ გამოვიდა და მეტად საინტერესო რამ თქვა.

სტუმართა მიერ წითელი არმიის პატივსაცემად შესმულ მთელ რიგ სადღეგრძელოთა შემდეგ ამხანაგმა სტალინმა განაცხადა: "ყველა აქებს ჩვენს წითელ არმიას. დიახ, მან ეს დაიმსახურა. მაგრამ მე არ მინდა, რომ წითელი არმიით მოხიბლულ ჩვენს სტუმრებს, მომავალში აზრი შეეცვალოთ. საქმე ის არის, რომ ახლა წითელ არმიაში დაახლოებით 12 მილიონი ადამიანია. ისინი, ცხადია, ანგელოზები არ არიან. ეს ხალხი გაუხეშდა ომის პერიოდში. ბევრმა მათგანმა სტალინგრადიდან ჩეხოსლოვაკიის შუაგულამდე ბრძოლებით 2000 კილომეტრი გაიარა. თავის გზაზე ბევრი უბედურება და მხეცობა ნახეს. ამიტომ, ნუ გაგიკვირდებათ, თუ ზოგიერთი მათგანი თქვენს ქვეყანაში ისე არ მოიქცევა, როგორც საჭიროა. ჩვენ ვიცით, რომ ნაკლებად შეგნებული ჯარისკაცები აეკიდებიან და შეურაცხყოფას აყენებენ ქალიშვილებს და ქალებს, უწესოდ იქცევიან. ეს ახლავე უნდა იცოდნენ ჩვენმა მეგობრებმა, ჩეხოსლოვაკებმა იმისათვის, რომ ჩვენი წითელი არმიით მოხიბვლა არ შეიცვალოს იმედის გაცრუებით."

ამხანაგ სტალინის მეორე გამოსვლა სლავიანოფილებს[33] ეხებოდა.

ამხანაგმა სტალინმა თქვა შემდეგი: "ახლა ბევრს საუბრობენ სლავიანოფილობაზე და სლავიანოფილებზე. ჩვენ ხშირად გვადარებენ ძველ, ცარიზმის დროინდელ სლავიანოფილებს. ეს არ არის სწორი.

ძველი სლავიანოფილები, მაგალითად, აქსაკოვი და სხვები, მოითხოვდნენ ყველა სლავის გაერთიანებას რუსი მეფის ხელისუფლების ქვეშ. მათ არ ესმოდათ, რომ ეს მავნე, განუხორციელებადი იდეა იყო. სლავ ხალხებს სხვადასხვა საზოგადოებრივ-საყოფაცხოვრებო და ეთნოგრაფიული ცხოვრების წესი აქვთ, განსხვავებული კულტურული დონე და საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობა. სლავ ხალხთა გეოგრაფიული მდებარეობა ასევე უშლის ხელს მათ გაერთიანებას.

ჩვენ, ახალი ლენინელი-სლავიანოფილები, ბოლშევიკი-სლავიანოფილები, კომუნისტები, მხარს ვუჭერთ არა გაერთიანებას, არამედ სლავი ხალხების კავშირს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ პოლიტიკური თუ სოციალური მდგომარეობის, საყოფაცხოვრებო და ეთნოგრაფიულ სხვაობათა მიუხედავად, ყველა სლავი კავშირში უნდა იყოს ერთმანეთთან ჩვენი საერთო მტრის — გერმანელთა წინააღმდეგ.

სლავთა ცხოვრების მთელი ისტორია გვასწავლის, რომ ჩვენ კავშირი გვჭირდება სლავურობის დასაცავად.

აი, თუნდაც, ბოლო ორი მსოფლიო ომი, რატომ დაიწყო ისინი? სლავების გამო. გერმანელებს სლავების დამონება სურდათ. ვინ დაზარალდა ყველაზე მეტად ამ ომებში? როგორც პირველ, ასევე მეორე მსოფლიო ომში ყველაზე მეტად დაზარალდნენ სლავი ხალხები: რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, სერბები, ჩეხები, სლოვაკები, პოლონელები.

განა ამ ომშიც იგივე არ ხდება? განა საფრანგეთი უფრო დაზარალდა? არა. ფრანგებმა გაუხსნეს ფრონტი გერმანელებს. მათ საფრანგეთის ჩრდილოეთის ნაწილის მსუბუქი ოკუპაცია მოახდინეს, სამხრეთ ნაწილს კი ხელიც არ ახლეს. ასევე ბელგიამ და ჰოლანდიამ მყისვე თათები მაღლა აწიეს და დაუწვნენ გერმანელებს. ინგლისი მცირეოდენი ნგრევით გადარჩა. რა საშინლად დაზარალდა უკრაინა, ბელორუსია, რუსეთი, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია. მახეში გაება ბულგარეთიც კი, რომელსაც თავის დაძვრენა უნდოდა.

ესე იგი, გერმანელებისაგან ყველაზე მეტად სლავები იტანჯებოდნენ.

ახლა ჩვენ ძლიერად ვურტყამთ გერმანელებს და ბევრს ჰგონია, რომ ისინი ველარასოდეს დაგვემუქრებიან. არა, ეს ასე არ გახლავთ.

მე მძულს გერმანელები, მაგრამ სიძულვილმა არ უნდა შეგვიშალოს ხელი მათ ობიექტურ შეფასებაში. გერმანელები — დიადი ერია. ძალიან კარგი ტექნიკოსები და ორგანიზატორები არიან. დაბადებიდანვე მამაცი ჯარისკაცები. გერმანელების განადგურება შეუძლებელია, ისინი დარჩებიან.

ჩვენ ვურტყამთ გერმანელებს და საქმე დასასრულისკენ მიდის. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოკავშირეები ეცდებიან გადაარჩინონ გერმანელები და მოელაპარაკონ მათ. ჩვენ დაუნდობლები ვიქნებით გერმანელთა მიმართ, ხოლო მოკავშირეები შეეცდებიან, რბილად მოექცნენ მათ. ამიტომ ჩვენ, სლავები, მზად უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ გერმანელები შესაძლოა ისევ დადგნენ ფეხზე და გამოვიდნენ სლავთა წინააღმდეგ. ამიტომ ჩვენ, ახალი ლენინელი-სლავიანოფილები ასე მედგრად მოგიწოდებთ სლავი ხალხების კავშირისაკენ.

ამბობენ, რომ ჩვენ გვსურს სლავებს თავს მოვახვიოთ საბჭოთა წყობა. ეს ლიტონი სიტყვებია. ჩვენ ეს არ გვინდა, ვინაიდან ვიცით, რომ საბჭოთა წყობის სურვილისამებრ გატანა საზღვარგარეთ არ შეიძლება. ამისათვის საჭიროა შესაბამისი პირობები.

ჩვენ შეგვეძლო ბულგარეთში დაგვემყარებინა საბჭოთა წყობა, იქ ეს უნდოდათ. მაგრამ არ წავედით ამაზე. ჩვენდამი მეგობრულად განწყობილ სლავურ ქვეყნებში გვინდა, ჭეშმარიტად დემოკრატიული მთავრობები გვყავდეს.

კავშირის შექმნით სლავები შეძლებენ ერთმანეთისათვის სამეურნეო და სამხედრო დახმარების აღმოჩენას. ამჟამად ჩვენ წარმატებით შეგვიძლია ამის განხორციელება.

ამიტომ მე შევსვამ სლავ ხალხთა კავშირის სადღეგრძელოს."

რა, შესანიშნავი აზრებია. მთელი მრავალწლიანი პროგრამა. მე ისეთი აღელვებული და გაოცებული ვიყავი ამხანაგ სტალინის აზრთა სიღრმით, რომ დიდხანს ვერ დავიძინე და დღესაც ამ სიტყვების შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. ბრძენი ადამიანია ამხანაგი სტალინი.

23.1.47 წ.

ამხანაგ სტალინთან ტარდებოდა თათბირი სამხედრო გემების მშენებლობის თაობაზე. იგი თითქმის 6 საათს გაგრძელდა.[34].

მინდა ჩავიწერო ამხანაგ სტალინის ყველაზე საინტერესო გამონათქვამები:

"უფრო სწრაფად უნდა შენდებოდეს მსუბუქი კრეისერები. პირველი ხუთი გემის მთავარი ამოცანა ფლოტის პირადი შემადგენლობის მომზადებაა. ეს იქნება ნახევრად საცდელი გემები მეზღვაურთა მოსამზადებლად."

"სახაზო გემებს ჯერ არ ავაგებთ, ვინაიდან ოკეანეებში ცურვას არ ვაპირებთ, ვიცურავებთ ნაპირიდან 800-1000 კმ-ზე.

ჩვენ გვჭირდება რამდენიმე მძიმე კრეისერი. კარგი იქნებოდა, შავ ზღვაში გვყოლოდა 2 მძიმე კრეისერი 12 დუიმიანი ზარბაზნებით, მაშინ თურქები უფრო მეტად იკანკალებდნენ, ვიდრე ახლა."

ამხანაგმა ვოზნესენსკიმ წინადადება შემოიტანა, ჩამოერთმია ჩემთვის მარიუპოლისა და იჟორის ქარხნები. მოტივაცია ის იყო, რომ მე გემების ჯავშანზე მუშაობის დრო არ მექნებოდა. მძაფრად შევეწინააღმდეგე და ვთქვი, რომ ჩემ თავზე ვიღებ სამხედრო გემების მშენებლობის შეკვეთების შესრულებას, რაზეც ამხანაგმა ვოზნესენსკიმ რეპლიკა ისროლა, საეჭვოა, ამხანაგმა მალიშევმა თავისი დანაპირები შეასრულოსო. ამხანაგმა

სტალინმა კი თქვა: "ჩვენ ვიცნობთ მალიშევს, როგორც პატიოსან ადამიანს, რომელსაც ძალუძს თავისი დანაპირების შესრულება."

1 მაისი, 1949 წ.

ვიყავი სადილზე ამხანაგ სტალინთან. ვისადილეთ ბაღში, სუფთა ჰაერზე.

მოსკოვის პარტიული კომიტეტის მდივნის, ამხანაგ პოპოვის სადღეგრძელოში სტალინმა თქვა: "ხანდახან სადილის დროსაც ვიხილავთ ჭოლმე ჩვენს საქმეებს. აი, კიდევ მინდა გამოვთქვა ერთი სურვილი ამხანაგ პოპოვისადმი. მართალია, რომ მოსკოვში გაქრა საზოგადოებრივი ტუალეტები? ამბობენ, რომ ასეა? თუ ასეა, აუცილებელია ამის სასწრაფოდ გამოსწორება. მოსკოვში უნდა მოეწყოს კარგი ტუალეტების საკმარისი რაოდენობა. ქალაქის ცენტრში ტუალეტები მიწის ქვეშ უნდა გაკეთდეს. წითელ მოედანზეც აუცილებელია კარგი ტუალეტები. აი, მაგალითად, ხომ არ შეუძლია ხალხს, 6-7 საათი რომ იდგეს მავზოლეუმის რიგში და არ განიტვირთოს. ეს ძნელია. ამიტომ, ვუსურვოთ ამხანაგ პოპოვს, რომ სწრაფად შესძინოს ქალაქს კარგი საზოგადოებრივი ტუალეტები. დღესასწაულებზე, იქ სადაც ხალხმრავლობაა, ცუდი არ იქნებოდა მოძრავი ტუალეტების ქონა ავტომობილებზე."

შემდგომ ამხანაგმა სტალინმა დალია ჩვენი პოლიტიკის სადღეგრძელო. მან თქვა: "თავის დროზე, XIII საუკუნეში რუსებმა დაკარგეს იმპერკარპატეთის უკრაინა და მას შემდეგ ყოველთვის ოცნებობდნენ მის დაბრუნებაზე. სწორი პოლიტიკის წყალობით, ჩვენ შევძელით ყველა სლავური (უკრაინული და ბელორუსული) მიწების დაბრუნება და განვახორციელეთ რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ხალხების საუკუნოვანი ოცნება. დავლიოთ ჩვენი სწორი პოლიტიკის სადღეგრძელო.

4 ივნისი, 1949 წ.

ვიყავი პოლიტბიუროს სხდომაზე. განიხილებოდა საკითხი ტანკ T-54-ის შესახებ.[34] ამხანაგმა სტალინმა კიდევ ერთხელ მიუთითა, რომ ტანკები უპირველეს ყოვლისა მანევრირებადი და კარგი სვლის უნარი მქონე უნდა იყოს და თუ ახალი შეიარაღება და ჯავშნის გასქელება ტანკების მანევრირების ხარისხის დაქვეითებას იწვევს, მაშინ ჯავშნის გასქელებაზე და ახალ შეიარაღებაზე უარის თქმაა საჭირო. თან დასძინა:

"ჩვენ მეზღვაურებსაც სულ ვუსწორებთ. ისინი გვექაჩებიან შეიარაღების, გემების ჯავშნისა და წყალწყვის გაზრდისკენ. გემი მოუქნელი ხდება და იქცევა სამიზნედ."

ტანკ T-54-თან დაკავშირებით ამხანაგმა სტალინმა თქვა: "ტანკები გვყავს, ბრძოლას არ ვაპირებთ. დრო გვაქვს, წარმოებამ კიდევ იმუშაოს და მოგვცეს უმწიკვლო ტანკი."

17.VI. 49 წ.

ტარდებოდა პოლიტბიუროს სხდომა მოსკოვის რეკონსტრუირების 25-წლიანი გეგმის თაობაზე. ბოლოს გამოვიდა ამხანაგი სტალინი და თქვა დაახლოებით შემდეგი: "ჩვენ, სამწუხაროდ, არ გვაქვს ისეთი კარგად მოწყობილი დედაქალაქი, რომელიც სანიმუშო იქნებოდა. ავიღოთ პარიზი — ეს საყოველთაოდ აღიარებული დედაქალაქია.

ჩვენ გვჭირდება მსოფლიოს ყველა დედაქალაქისათვის სანიმუშო დედაქალაქი.

ჩვენი სახელმწიფოს ისტორია გვასწავლის, რომ ჩვენში დიდი ხნის განმავლობაში არ ცნობდნენ დედაქალაქად პეტერბურგს. პეტრე პირველმა დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც პეტერბურგი გამოაცხადა დედაქალაქად. მართალია, ამას აქვს ახსნა. პეტრეს ეშინოდა ბოიარების მზაკვრობისა მოსკოვში და უნდოდა მათი ზეგავლენის აღკვეთა. ამბობენ, რომ გერმანელების სიახლოვემ პეტერბურგთან, 1918 წელს აიძულა ლენინი დედაქალაქი მოსკოვში გადაეტანა. არა. ლენინი ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე ფიქრობდა მოსკოვის დედაქალაქად გამოცხადებას.

მოსკოვს პატივი რომ სცენ, როგორც დედაქალაქს, ის ლამაზი უნდა გახდეს. უნდა გახსოვდეთ, რომ დედაქალაქი აძლიერებს სახელმწიფოს.

ცხადია, შეცდომა დავუშვით, როდესაც მოსკოველებს განვითარების 25-წლიანი გეგმის შედგენის ნება დავრთეთ. შეუძლებელია ყველაფრის გათვალისწინება და წინასწარ განჭვრეტა ასეთი ხანგრძლივი ვადით. კერძოდ, შეუძლებელია ტექნიკის განვითარების გათვალისწინებაც.

უარი უნდა ვთქვათ 25-წლიან გეგმაზე. უფრო გონივრული იქნება 10-წლიანი გეგმის შემუშავება.[35]

ახლა რამდენიმე შენიშვნა პროექტის არსის შესახებ.

მოსკოვის უმეტესი ნაწილი 8-10 სართულიანი სახლებით უნდა განაშენიანდეს. ქალაქის 25-30% კი - 12-14 სართულიანით. ეს უფრო ეკონო-

მიური იქნება, ვიდრე წინადადება მოსკოვის 4-5 სართულიანი სახლებით განაშენიანების შესახებ.

მრეწველობის განვითარება მოსკოვში უნდა შეჩერდეს, ხოლო საწარმოები, რომლებიც ჰაერს აბინძურებს, ქალაქიდან უნდა გავიტანოთ.

პროექტი გულისხმობს ბევრი ცარიელი შენობის მშენებლობას (კლუბების, სასახლეებისა და სხვ.) ეს არ არის სწორი. მთელი ძალისხმევა უნდა მოხმარდეს საცხოვრებელი სახლების მშენებლობას და გადაჭრას ამ სფეროში არსებული კრიზისი.

ნუ გაგიტაცებთ ქალაქი-ბაღის გაშენების იდეა. ხალხის დასასვენებლად უნდა განვავითაროთ აგარაკების მშენებლობა მოსკოვიდან 30-40 კმ-ს ფარგლებში 100-200 ათას ადამიანზე. მდინარე მოსკოვის გასწვრივ 20 მეტრის სიგანის ზღები უნდა გავიყვანოთ.

როგორ შეიძლება იმ ვითარების მოთმენა, როცა მოსკოვში შესვლისას, რკინიგზის გასწვრივ ნახევრად წაქცეული ბარაკები და პატარა სახლები დგას. მოსკოვში შემავალი ყველა რკინიგზის გასწვრივ კარგი სახლები უნდა აშენდეს.

საცხოვრებელი სახლების, სკოლებისა და საავადმყოფოების აშენებას უნდა მივაწვეთ."

ამხანაგი სტალინი 1.XII. (1952)[36]

რაც უფრო მეტი წარმატება გვექნება, მით უფრო მეტი ზიანის მოყენებას ეცდებიან მტრები. ჩვენმა ხალხმა დაივიწყა ეს ჩვენი დიდი მიღწევების ზეგავლენის ქვეშ, გაჩნდა გულარხეინობა, პირღიაობა და კუდაბზიკობა.

ნებისმიერი ებრაელი — ნაციონალისტი, ამერიკული დაზვერვის აგენტია. ებრაელ-ნაციონალისტებს მიაჩნიათ, რომ მათი ერი გადაარჩინა აშშ-მ (იქ შეიძლება გახდე მდიდარი, ბურჟუა და ასე შემდეგ). თავის თავს ვალდებულებად თვლიან ამერიკელების წინაშე.

ექიმთა შორის ბევრი ებრაელი-ნაციონალისტია.

ყველაფერი არ არის რიგზე სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოში (ГПУ). იქ სიფხიზლე დაკარგეს.

მათ თვითონ აღიარეს, რომ ნეხვში სხედან, ჩავარდნილები არიან.

გპუ-ს მკურნალობა ესაჭიროება.

მინისტრები პოლიტიკოსები და მზვერავები უნდა იყვნენ.

შენიშვნები

1. თავდაცვის კომიტეტი – სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს ორგანო, რომელიც შეიქმნა 1937 წლის 28 აპრილს "სსრკ-ის თავდაცვის ყველა საკითხის და ღონისძიების გაერთიანების მიზნით." საქმიანობა შეწყვიტა 1941 წლის 30 ივნისს, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით.
2. ნ.ა. იზოტოვი (1902-1951) – მაღარო "კოჩეგარკას" მესანგრეე, ქვანახშირის მრეწველობის ნოვატორი, 1937-1940 წლებში გაშლილი "იზოტოვური მოძრაობის" ინიციატორი. ტრესტ "შახტანტრაციტის" მმართველი, შემდგომში კომბინატების - "როსტოვუგოლის" და "სტალინუგოლის" უფროსი. 1940 წლიდან სტალინის სახელობის სამრეწველო აკადემიის მსმენელი.
3. მ.დ. დიუკანოვი – მაღარო "ცენტრალნაია-ირმინოს" მესანგრეე. 1938-1939 წლებში კომბინატ "ვოროშილოვგრადუგოლის" უფროსი, შემდეგ სტალინის სახელობის სამრეწველო აკადემიის მსმენელი.
4. ნ.მ. შვერნიკი (1888-1970) სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის წევრი 1952-1953, 1957-1966 წწ. 1929 წელს პროფკავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანი, ხოლო 1930-1944, 1953-1956 წწ. - თავმჯდომარე (პირველი მდივანი). 1944-1946 წწ. რსფსრ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, 1946-1953 წწ. სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.
5. ბ.ლ. ვანნიკოვი (1897-1962) – 1937-1939 წწ. სსრკ-ის თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე, 1939-1941 წწ. სსრკ-ის შეიარაღების სახალხო კომისარი, 1941 წლის ივნისში დააპატიმრეს, 1941 წლის აგვისტოში გაათავისუფლეს. 1941-1942 წწ სსრკ-ის შეიარაღების სახალხო კომისრის მოადგილე, 1942-1946 წწ. სსრკ-ის საბრძოლო მასალების სახალხო კომისარი, 1945-1953 წწ. სსრკ-ის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და სსრკ-ის მინისტრთა საბჭოსთან არსებული პირველი მთავარი სამმართველოს უფროსი.
6. 1940 წლის ნიმუშის 7,62 მმ-იანი თვითსატენი შაშხანა (СВТ-40).
7. ვ.ი. ლენინი (ულიანოვი) (1870-1924) - რსდმპ (ბ)-ს - რკპ(ბ)-ს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი 1917 წელს, 1919-1924 წწ. რსფსრ-ს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, ერთდროულად, 1918 წლიდან თავდაცვის მუშურ-გლეხური საბჭოს თავმჯ-

დომარე. 1923 წლიდან სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე.

8. სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ჩატარდა 1940 წლის 26-28 მარტს. მასზე განიხილეს კ.ვოროშილოვის მოხსენება - "ფინეთის ომის გაკვეთილები."
9. საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომი დაიწყო 1939 წლის 30 ნოემბერს. 1940 წლის 12 მარტს მოსკოვში ხელმოწერილი იქნა სამშვიდობო ხელშეკრულება სსრკ-ისა და ფინეთს შორის.
10. ლ.ზ.მეხლისი (1889-1953) – 1937-1942 წწ. მუშურ-გლეხური წითელი არმიის პოლიტსამმართველოს უფროსი (წითელი არმიის მთავარი პოლიტსამმართველო), ერთდროულად, 1940-1944 წწ. სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და 1940-1950 წწ სსრკ-ის სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარი (მინისტრი.)
11. ე.ა. შჩადენკო (1885-1951) – 1937-1943 წწ. სსრკ-ის თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე, ერთდროულად, 1937-1941 წწ. მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის სამმართველოს უფროსი, 1941-1943 წწ. წითელი არმიის ჯარების ფორმირების და დაკომპლექტების მთავარი სამმართველოს უფროსი.
12. იგულისხმება რუსული ჯარის ბრძოლა გაყინულ ჩუდის ტბაზე თავად ალექსანდრე ნეველის (1220-1263) მეთაურობით გერმანული ლივონიის ორდენის რაინდთა წინააღმდეგ, 1242 წლის 5(11) აპრილს.
13. საუბარია რუსული ჯარების საბრძოლო მოქმედებებზე (1672-1725) პეტრე I-ის ხელმძღვანელობით შვედების წინააღმდეგ 1713 წელს, რომელთა შედეგად აღებული იქნა ჰელსინგფორსი (ჰელსინკი).
14. იგულისხმება რუსეთ-შვედეთის (1808-1809 წწ.) ომი, რომლის შედეგად ფინეთი და ალანის კუნძულები რუსეთის მფლობელობაში გადავიდა. ალექსანდრე I (1777-1835) – რუსეთის იმპერატორი იყო 1801 წლიდან.
15. საუბარია გენერალ-ფელდმარშალ მ.ი.კუტუზოვის მეთაურობით (1745-1813) რუსეთის ჯარის მიერ საფრანგეთის არმიის განადგურებაზე მათი უკან დახევის დროს, 1812 წლის ოქტომბერ-დეკემბერში.
16. ი.სტალინმა მიიღო ვ.მალიშევი 1940 წლის 25 აპრილს.
17. გადაწყვეტილება მაკონტროლებელი ორგანოების (საბჭოთა კონტროლის კომისია (КСК), პარტიული კონტროლის კომისია (КПК)

და სხვ.) შექმნის შესახებ მიღებული იქნა 1940 წლის 26 მაისს სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე. საბჭოთა კონტროლის კომისიის და თავდაცვის კომიტეტის საბჭედრო კონტროლის კომისიის ბაზაზე შემოთავაზებული იქნა სახელმწიფო კონტროლის საკავშირო რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის შექმნა, ხოლო პარტიული კონტროლის კომისია უნდა გათავისუფლებულიყო სამეურნეო და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციების მუშაობის შემოწმების ფუნქციისაგან. სახალხო კომისარიატი ჩამოყალიბდა 1940 წლის 6 სექტემბერს.

18. იგულისხმება 1941 წლის მაისში გერმანიის ჯარების მიერ კუნძულ კრეტას დაპყრობა, 1939 წლის 1 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე პოლონეთის, ხოლო 1940 წლის მაის-ივნისში – საფრანგეთის დამარცხება.
19. საბჭოთა საშუალო ტანკი 76 მმ-იანი ზარბაზნით.
20. საბჭოთა მძიმე ტანკი 76 მმ-იანი ზარბაზნით (KB-1).
21. ე.ი. კოტინი (1908-1978) – ტანკების კონსტრუქტორი, კიროვის სახელობის ქარხნის მთავარი კონსტრუქტორი, ინჟინერი, გენერალ-პოლკოვნიკი, 1941-1945 წწ სსრკ-ის სატანკო მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე.
22. ვ. მალიშევი იყო სტალინთან 1942 წლის 20 თებერვალს.
23. ი.მ. ზალცმანი (1905-1988) – 1938-1942, 1944-1949 წწ. ლენინგრადის (ხოლო ევაკუაციის შემდეგ ჩელიაბინსკის) კიროვის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის დირექტორი. 1941-1942 წწ. სსრკ-ის სატანკო მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილე, 1942-1943 წწ. სსრკ-ის სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარი.
24. ა.ა. მოროზოვი (1904-1979) – ტანკების საბჭოთა კონსტრუქტორი, კომინტერნის სახელობის ქარხნის მთავარი კონსტრუქტორი, ინჟინერი, გენერალ-მაიორი.
25. სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით დამტკიცებული იქნა სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება "სატანკო მრეწველობის ქარხნებისა და მუშაკების დაჯილდოების შესახებ."
26. საბჭოთა მძიმე ტანკი 85 მმ-იანი ზარბაზნით.
27. 1938 წლის ნიმუშის 122 მმ-იანი ჰაუბიცა.
28. გერმანული მძიმე ტანკი T-VI "ტიგრი" 88 მმ-იანი ზარბაზნით და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი "ფერდინანდი" 88 მმ-იანი ზარბაზნით.

29. დიდი ბრიტანეთის სამთავრობო დელეგაცია პრემიერ-მინისტრ უ. ჩერჩილის (1874-1965) და საგარეო საქმეთა მინისტრ ე.იდენის (1897-1977) ხელმძღვანელობით მოსკოვში იმყოფებოდა 1944 წლის 9-18 ოქტომბერს.
30. ვ. მოლოტოვი ოფიციალური ვიზიტით ეწვია დიდ ბრიტანეთს 1942 წლის მაის-ივნისში.
31. იგულისხმება ხელშეკრულება კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ სსრკ-ისა და საფრანგეთის რესპუბლიკის დროებით მთავრობას შორის, რომელიც 1944 წლის 10 დეკემბერს იქნა ხელმოწერილი.
32. ჩეხოსლოვაკიის სამთავრობო დელეგაცია პრეზიდენტ ე. ბენეშის (1884-1948) მეთაურობით სსრკ-ში იმყოფებოდა 1945 წლის 17-31 მარტს.
33. სლავიანოფილები — XIX საუკუნის შუა ხანების რუსული საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთი მიმართულების წარმომადგენლები. მხარს უჭერდნენ რუსეთის განვითარების დასავლეთევროპულისაგან პრინციპულად განსხვავებულ გზას, რომელიც მის თვითმყოფადობაზე იქნებოდა დამყარებული. სლავიანოფილობის იდეოლოგები იყვნენ ძმები ი.ს. და კ.ს. აქსაკოვები, ა.ს. ხომიაკოვი.
34. თათბირი დაიწყო 20 საათსა და 00 წუთზე და დამთავრდა 1 საათსა და 10 წუთზე.
35. საუბარია 1949 წლის 18 ივნისს მიღებული სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს დადგენილების პროექტის "T-54 ტანკების შესახებ" ირგვლივ მსჯელობის თაობაზე.
36. 1949 წლის 17 ივნისს სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე მიღებულ იქნა ი.სტალინის წინადადება მოსკოვის განვითარების 25-წლიანი გეგმის 10-წლიანი გეგმით შეცვლის შესახებ.
37 1952 წლის 1 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე იმსჯელეს სამკურნალო საქმეში მავნებლობების საკითხებზე და სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ვლადიმერ პეჩატნოვი

"მოკავშირეები ფეხოლას ასდენენ, რაცა შენი ნებისყოფა გატეხონ..."

(სტალინის მიმოწერა მოლოტოვთან და პოლიტბიუროს სხვა წევრებთან საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე 1945 წლის სექტემბერ-დეკემბერში)

გამარჯვების შემდგომი, 1945 წლის შემოდგომა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ისტორიაში დღემდე ერთგვარ პოლიტიკურ მიჩუმებად გამოიყურებოდა, თითქოს ეს იყო პაუზა ერთი ტიტანური ომის დამთავრებასა და მეორეს - "ცივი ომის" დაწყებას შორის. ამგვარი შთაბეჭდილების შექმნას ხელს უწყობდა მთავარი მოქმედი პირის - სტალინის მოსკოვში არყოფნა (იგი ამ დროს კავკასიაში ისვენებდა), აგრეთვე, კრემლში მიმდინარე ამბების შესახებ ხელმისაწვდომი დოკუმენტების სიმცირე. თუმცა, სტალინის არქივის გაცნობა ამ ორ გარემოებას შორის სულ სხვა მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ავლენს: სწორედ ბელადის და მოლოტოვის მოსკოვიდან გამგზავრების (ლონდონში, საგარეო საქმეთა მინისტრების სესიაზე) წყალობით წარმოიშვა მიმოწერა, რომელმაც შთამომავლობას შემოუნახა ინფორმაცია, რაზეც მხოლოდ ზეპირადსაუბრობდნენ და რომელიც სამუდამოდ იკარგებოდა კრემლის კაბინეტების სიჩუმეში. აუცილებელ ისტორიულ კონტექსტში მოთავსებული ამ მიმოწერის საკვანძო ფრაგმენტები, რომლებიც პირველად ქვეყნდება, ყველაზემეტადსარწმუნო სურათს წარმოგვიდგენს ამ კრიტიკულ პერიოდში დასავლეთთან "ცივი ომის" დასაწყებად სტალინური პოლიტიკის მოტივებისა და მეთოდების შესახებ. პუბლიკაცია მომზადდა სტალინის არქივის (Ф. 45. Оп. 1) საფუძველზე, რომელიც ამჟამად პრეზიდენტის არქივიდან სახელმწიფო არქივში გადაცემისა და რეორგანიზაციის სტადიაში იმყოფება.

ლონდონის სესია პოტსდამის კონფერენციის შემდეგ პირველი დიპლომატიური ფორუმი გახლდათ, რომელიც მოწოდებული იყო, მოემზადებინა გერმანიის ყოფილ ევროპელ სატელიტებთან მშვიდობიანი ხელშეკრულებების პროექტები და, აგრეთვე, ომის შემდგომი მოწყობის ზოგიერთი სხვა პრობლემა მოეგვარებინა. ეს იყო ძალების პირველი

სერიოზული მოსინჯვა, გამარჯვებულთა კოალიციის სიმტკიცის გამოცდა ომის საბოლოო დამთავრების შემდეგ. გასაკვირი არ არის, რომ ყველა მონაწილე სერიოზულად ემზადებოდა ამ შეხვედრისათვის. სესიაზე საბჭოთა პოზიციის საფუძვლები საბჭოთა დელეგაციისათვის, რომელსაც ვ.მ. მოლოტოვი ხელმძღვანელობდა, სკპ (ბ)-ის ცენტრალური კომიტეტის სათანადო დირექტივებით განისაზღვრა, მაგრამ მათი რეალიზაცია დიდად იყო დამოკიდებული მოლაპარაკებების მიმდინარეობაზე, ამიტომაც ეს საქმე კრემლის მთავარი დიპლომატის - სტალინის დაუღალავი პირადი კონტროლის ქვეშ იყო. მოლოტოვი ყოველღღიურად, ზოგჯერ კი დღეში რამდენჯერმე ატყობინებდა სტალინს მოლაპარაკებათა მიმდინარეობის შესახებ. პასუხად ღებულობდა მოკლე კომენტარებს და ინსტრუქციებს, რომლებსაც ეს უკანასკნელი კარნახობდა ან საკუთარი ხელით წერდა. "დისტანციური მართვის" ეს თავისებური სისტემა ჯერ კიდევ მოლოტოვის ომისდროინდელი მისიების დროს ჩამოყალიბდა. სტრატეგისა და მომლაპარაკებლის ტანდემის შიგნით განსაკუთრებით ინტენსიური მიმოწერა სწორედ ლონდონის პირველი სესიის პერიოდს დაემთხვა.

სესიის მუშაობა 11 სექტემბერს დაიწყო საპროცედურო საკითხის განხილვით, რომელიც ეხებოდა საფრანგეთის და ჩინეთის წარმომადგენელთა მონაწილეობას ყველა საკითხზე მსჯელობაში, სამშვიდობო ხელშეკრულებების ჩათვლით. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ჯ. ბირნსის და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის, ე. ბევინის მიერ ამ საკითხის დაყენება ფორმალურად პოტსდამის შეთანხმებიდან გადახვევას წარმოადგენდა, ვინაიდან გერმანიის შესაბამის სატელიტებთან მოლაპარაკებებში მონაწილეობის და სამშვიდობო ხელშეკრულებების საკითხთა გადაწყვეტის უფლება მხოლოდ იმ ქვეყნებს ჰქონდათ, რომლებიც იბრძოდნენ და ხელი მოაწერეს ხსენებულ ქვეყნებთან კაპიტულაციის პირობებს (ამ ფორმულის მიხედვით საფრანგეთი დაიშვებოდა მხოლოდ იტალიასთან, ჩინეთი კი - იაპონიასთან ხელშეკრულების დასადებად). მაგრამ რაკი-ღა საქმე ეხებოდა ამ ორი ქვეყნის მონაწილეობას მხოლოდ მსჯელობაში სამშვიდობო ხელშეკრულებების შესახებ და არა კენჭისყრაში ამასთან დაკავშირებით, მოლოტოვი დაეთანხმა ამ წინადადებას, რაც მალე მწარედ ინანა.

სესიის მუშაობის დასაწყისში სტალინიც და მოლოტოვიც, ჩანს ერთგვარ ოპტიმიზმს ინარჩუნებდნენ მოკავშირეებთან მოლაპარაკების

შესაძლებლობის თაობაზე, როგორც ამას მანამდე ახერხებდნენ. ომის წლებში ჩამოყალიბებული სამოკავშირეო ურთიერთობების შენარჩუნების განწყობილებაზე მიუთითებს იმ ხანებში მიღებული გადაწყვეტილება აშშ-ში მარშალ ჟუკოვის საპასუხო ვიზიტის შესახებ (1945 წლის ზაფხულში მოსკოვში დ. ეიზენჰაუერის ვიზიტის შემდეგ). შესაბამისი მოწვევა პრეზიდენტ ტრუმენისაგან ჯერ კიდევ აგვისტოში იყო მიღებული, თუმცა კრემლი პასუხის მიცემას აჭიანურებდა. და აი, საბოლოოდ, 14 სექტემბერს მოლოტოვმა მიიღო ცნობა, რომ ცენტრალურ კომიტეტში შედგა ამ საკითხის განხილვა: "ამხანაგმა სტალინმა თქვა, - იტყობინებოდა მოლოტოვის შემცვლელი ა. ვიშინსკი, - რომ თავდაპირველად, თითქოს, უფრო სწორ გადაწყვეტილებად გვესახებოდა ამგვარ ვიზიტზე უარის თქმა. მაგრამ ეს უარი შეიძლება ცუდად აღიქვას პრეზიდენტმა ტრუმენმა. მას შეიძლება ეწყინოს, იფიქროს, ამხანაგი ჟუკოვი რუზველტს რომ მოეწვია, ალბათ სტუმრობაზე დავთანხმდებოდით. ტრუმენის მიწვევა კი უარვყავით, რადგან მას ნაკლებად ვუწევთ ანგარიშს. ამხანაგმა სტალინმა განაცხადა, იქნებ უნდა მივიღოთ მიწვევა და ღირს, რომ ამხანაგი ჟუკოვი ეწვიოს შეერთებულ შტატებს. თავად ამხანაგ ჟუკოვს არ გამოუთქვამს ამერიკაში გამგზავრების სურვილი. ამხანაგ სტალინს სურს იცოდეს თქვენი აზრი, მიზანშეწონილია თუ არა ტრუმენის მიწვევაზე უარის თქმა." "ტრუმენის მიწვევით ჟუკოვის ამერიკაში გამგზავრება მიზანშეწონილად მიმაჩნია," - მტკიცედ უპასუხა სახალხო კომისარმა, რათა არ ეწყენინებინა ტრუმენისათვის და, მით უმეტეს, სტალინისათვის. 17 სექტემბერს თანხმობა ოფიციალურად აცნობეს ამერიკელებს, რომლებმაც მაშინვე დაიწყეს ვიზიტისათვის მზადება.

ამასთან, მოსკოვში კარგად ესმოდათ, რომ ამჟამად, მოკავშირეთა გამაერთიანებელი ომის დასრულების შემდეგ, მათთან ვაჭრობა ადრინდელთან შედარებით გაძნელდებოდა, მით უფრო, რომ აშშ-ის ზეწოლის ახალი ბერკეტი - ატომური იარაღი გაუჩნდა (როგორც ტრუმენი ამბობდა, "კომბალი რუსი ბიჭებისათვის."). თუმცა, კრემლში არ აპირებდნენ თავიანთი ომისშემდგომი პრეტენზიების შემცირებას. პირიქით, ამერიკელთა ახალი ატომურ-ძალოვანი კოზირის გასაუფასურებლად საუკეთესო საშუალებად მომეტებულ სისასტიკეს და შეუპოვრობას მიიჩნევდნენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, სესიაზე პირველი სერიოზული კონფლიქტი რუმინეთისა და ბულგარეთის პროსაბჭოური რეჟიმების აღიარე-

ბის საკითხთან დაკავშირებით წარმოიშვა. აშშ-მ. და ინგლისმა, რომლებიც თანაუგრძნობდნენ ამ ქვეყნებში არსებულ ანტისაბჭოურ ოპოზიციას, უარი განაცხადეს მათთან სამშვიდობო მოლაპარაკებების შესახებ მსჯელობაზე, ხსენებულ ქვეყნებში მთავრობების შედარებით ფართო დემოკრატიულ საფუძველზე რეორგანიზაციის განხორციელებამდე. ამ შემთხვევაში ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციები ითვალისწინებდა ბალკანეთის ქვეყნებთან სამშვიდობო ხელშეკრულებების განხილვა იტალიის შესახებ[1] მოლაპარაკებებთან დაეკავშირებინათ (რომელიც ანგლოსაქსების მთავარი პრიორიტეტი იყო).

მოლოტოვისათვის გაგზავნილ დეპეშებში სტალინი უბრძანებდა მას, მტკიცედ მიჰყოლოდა დასახულ მიმართულებას, განსაკუთრებით, რუმინეთთან დაკავშირებით, რომლის დელეგაცია პ.გროზის მეთაურობით სულ ცოტა ხნის წინ იმყოფებოდა მოსკოვში. "რუმინელები თავს კარგად გრძნობენ, - იტყობინება სტალინი, - მტკიცედ იდგებიან და, ყველა მონაცემის მიხედვით, მოკავშირეთა მაქინაციები ჩაშლილი იქნება. აუცილებელია, შენც მტკიცე პოზიცია დაიჭირო და რუმინეთთან დაკავშირებით მოკავშირეებს არაფერი დაუთმო." სტალინმა არა მხოლოდ მოუხახა მოლოტოვს მისი ქცევის საერთო მიმართულება, არამედ აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელს მეტისმეტად თავდაცვითი პოზიცია ეკავა მოკავშირეებთან საუბარში და კონკრეტული შეტევითი ხასიათის არგუმენტაციაც მიაწოდა: "ამას გარდა, საჭირო იყო პირდაპირ გეთქვა, რომ ამერიკისა და ინგლისის წარმომადგენლები რუმინეთში მხარს უჭერდნენ ანტისაბჭოთა ელემენტებს რადესკუსა და მისი მეგობრების სახით, რაც შეუთავსებელია ჩვენს მოკავშირულ ურთიერთობებთან... თუკი მოკავშირეები შეურიგებლობას გამოიჩენენ რუმინეთთან, ბულგარეთთან და სხვა ქვეყნებთან დაკავშირებით, იქნებ საჭირო გახდეს, ვაგრძნობინოთ ბირნსს და ბევინს, რომ სსრკ-ის მთავრობას გაუჭირდება, თანხმობა მისცეს იტალიასთან მშვიდობიანი ხელშეკრულების დადებას. ამასთან, შეიძლება ისეთი არგუმენტების გამოყენება, როგორიც არის მათი უმადური განწყობა იტალიის კოლონიების შესახებ ჩვენ მიერ წამოყენებულ წინადადებაზე, აგრეთვე, სსრკ-ის სასარგებლოდ იტალიის მიერ გადასახდელ რეპარაციათა რაოდენობის საკითხის გადაუწყვეტლობა." "რა შეიძლება აქედან გამოვიდეს? - განაგრძობს მსჯელობას სტალინი მეორე დღეს. - ის, რომ მოკავშირე-

ებმა, შესაძლოა, ჩვენ გარეშე დადონ სამშვიდობო ხელშეკრულება იტალიასთან. მერედა რა? მაშინ ჩვენ გვექნება პრეცედენტი და საშუალება მოგვეცემა ჩვენი მხრივ, მოკავშირეთა გარეშე დავდოთ სამშვიდობო ხელშეკრულება ჩვენს სატელიტებთან.

თუკი საქმის ამგვარი შემობრუნება იქამდე მიგვიყვანს, რომ მინისტრთა საბჭოს მოცემული სესია მთავარი საკითხების ირგვლივ ერთობლივი გადაწყვეტილებების გარეშე დასრულდება, არც ამას უნდა შევუშინდეთ." (როგორც ჩანს, სტალინს უკომპრომისო განწყობა ჰქონდა თავისთვის მეტად მნიშვნელოვან საკითხში - აღმოსავლეთ ევროპაში სსრკ-ის გავლენის სფეროების განმტკიცების საქმეში).

"პირველი შესაძლებლობისთანავე სრულად გამოვიყენებ შენ მიერ მითითებულ არგუმენტებს რუმინეთში ჩვენი პოლიტიკის სასარგებლოდ," - პასუხობს მოლოტოვი და მართლაც, ბირნსთან საუბარში იმავე დღეს აკეთებს დეტალურ განცხადებას ამ საკითხთან დაკავშირებით, თანაც უდიდესი მონდომებით იმეორებს სტალინისეული არგუმენტაციის ყველა ნიუანსს. თავის მხრივ კი, მოლოტოვმა დამატებით დაადანაშაულა ბირნსი რუზველტის კურსიდან გადახვევაში, რომლის დროსაც "საბჭოთა კავშირსა და აშშ-ის სხვაგვარი ურთიერთობა ჰქონდათ."[2] მაგრამ ამერიკელები და ინგლისელები დათმობაზე არ მიდიოდნენ და ხანგრძლივი კამათის შემდეგ ბალკანეთის საკითხი ლონდონში მანიც არ დაიძრა ადგილიდან.

სტალინმა ტყუილად როდი ახსენა იტალიის ყოფილი კოლონიები. სტრატეგიულად მნიშვნელოვან ხმელთაშუა ზღვის რეგიონში საბჭოთა გავლენის გასაძლიერებლად მათი გამოყენების შესაძლებლობა უკვე დიდი ხანია იპყრობდა საბჭოთა ხელმძღვანელობის ყურადღებას. აღნიშნული საკითხის კონცეპტუალური დამუშავება საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში ჯერ კიდევ 1944 წელს დაიწყო (ე.წ. "ლიტვინოვის კომისიის" ფარგლებში), ხოლო 1945 წლის იუნისში, სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე განხორციელდა პირველი დიპლომატიური ზონდაჟი. სსრკ-ის ელჩმა აშშ-ში ა. გრომიკომ ნოტა გაუგზავნა მაშინდელ სახელმწიფო მდივანს ე. სტეტინიუსს საბჭოთა მთავრობის სურვილის თაობაზე, საკუთარი მეურვეობის ქვეშ მიეღო ზოგიერთი ამ ტერიტორიათაგან.[3] მაშინ ამერიკელები ჯერ კიდევ დაინტერესებული იყვნენ იაპონიასთან

ომში საბჭოთა კავშირის დახმარებით და ამიტომ პრინციპული თანხმობა მისცეს მოკავშირის ამ განცხადებას. ამან კიდევ უფრო გაუღვიძა მადა კრემლს.

ლონდონის კონფერენციისათვის შემუშავებული ცენტრალური კომიტეტის დირექტივა გულისხმობდა სსრკ-ის ინდივიდუალური მეურვეობის ქვეშ ტრიპოლიტანიის გადაცემის დაჟინებით მოთხოვნას.[4] მაგრამ ლონდონში ამერიკელებს თითქოს დაავიწყდათ თავიანთი დაპირებები და სტალინმა მოითხოვა, მათთვის ისინი სათანადოდ შეეხსენებინათ. "ტრიპოლიტანიის საკითხთან დაკავშირებით, - წერს იგი მოლოტოვს, - ზეწოლა უნდა მოვახდინოთ საქმის იმ მხარეზე, რომ ამერიკელები სან-ფრანცისკოში დაგვპირდნენ, მხარი დაეჭირათ ჩვენი მოთხოვნისათვის - მეურვეობის ქვეშ ამ ტერიტორიების მიღების თაობაზე. მხედველობაში მაქვს სტეტინიუსის წერილი. ეს არგუმენტი ხაზგასმით და თვალსაჩინოდ უნდა წამოვაყენოთ.

რაც შეეხება იმას, რომ ამერიკელებს ეშინიათ ტრიპოლიტანიაში ან ლიბიის იმ ნაწილში, რომელსაც ჩვენ მივიღებთ, საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ბაზის შექმნისა, უნდა ვუთხრათ, რომ ამ საკითხში მზად ვართ გავუგოთ მოკავშირეებს. თუმცა, მაინც უნდა ვეცადოთ, მივაღწიოთ იმას, რომ ჩვენი სამხედრო გემების შეზღუდულ რაოდენობას ტრიპოლიტანიის პორტებში დგომის საშუალება მიეცეს. უნდა მივაღწიოთ ჩვენი მხრიდან ინდივიდუალურ მეურვეობას, რადგან სწორედ ამაზე იყო საუბარი სან-ფრანცისკოში." ამასთან ერთად, კეთდებოდა პოლიტიკური დათმობა მოკავშირეებისათვის: "შეგიძლია უპასუხო ინგლისელებს, - დასძენდა ბოლოს სტალინი, - რომ არაფერი გვაქვს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ - ინგლისს ეწვიონ ჩვენი ფეხბურთელები[5], ასევე, საოპერო-საბალეტო დასი."

ინგლისელთა სტრატეგიულ სამემკვიდრეო მამულთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის დაჟინებულ მოთხოვნებს არ შეეძლო არ შეეშფოთებინა მოკავშირეები. მით უფრო, რომ ამ წამოწყების გეოპოლიტიკური სარჩული მეტისმეტად აშკარა იყო. "დასაბუთება ძნელი იყო," - იხსენებდა მოგვიანებით მოლოტოვი,[6] მაგრამ ბრძანება ბრძანებაა. ბირნსთან საუბარში მან მეორე დღესვე კვლავ წამოჭრა ეს საკითხი და საბჭოთა განაცხადის მოტივად დაზარალებული ქვეყნის მორალური უფლება

მოიყვანა, აგრეთვე ის, რომ სსრკ-ის ეროვნული პრობლემების გადაწყვეტის მდიდარი გამოცდილება ჰქონდა. "ბირნსმა თავი მოიკატუნა, - მოახსენა მოლოტოვმა "პატრონს," - რომ არაფერი იცის გრომიკოსა და სტეტინიუსის მიმოწერის თაობაზე. მე, ჩემი მხრივ შევუტიე, რომ ამერიკელები თავიდანავე არ ასრულებდნენ საკუთარ დაპირებებს სამეურვეო ტერიტორიების (ტრიპოლიტანიის) შესახებ. ბირნსმა დამიწყო ახსნა, რომ ამერიკელების თანხმობა ზოგადი ხასიათის იყო (ამასთან, ვითომ დაავიწყდა თავისი პირველი განცხადება, რომ სტეტინიუსის დაპირებაზე არაფერი იცოდა) და, რომ არ ყოფილა დაპირება მაინცდამაინც ტრიპოლიტანიის საკითხში მხარდაჭერის შესახებ. მე ვუთხარი, რომ რომელიმე სხვა სამეურვეო ტერიტორიებსაც არ გვთავაზობდნენ. ბირნსი ზოგადი ფრაზებით ცდილობდა სიტუაციიდან თავის დაღწევას. პირველივე შესაფერის შემთხვევაში ისევ შევუტევ მას და დანარჩენებსაც." ამასთან, მოლაპარაკებების დროს მოლოტოვს არც კი უხსენებია სამხედრო გემები, იგი მხოლოდ "საბჭოთა სავაჭრო ფლოტის ბაზებზე" საუბრობდა. იმ დროისათვის აშშ-ის და მით უმეტეს, ინგლისის სამხედრო ხელმძღვანელობა ხმელთაშუა ზღვის რეგიონში საბჭოთა კავშირის ნებისმიერი სახით ყოფნის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ამიტომაც, არც მოლოტოვის "შეტევებმა" და არც სტალინის "დათმობებმა" მოკავშირეების შეხედულებებზე სამხედრო ბაზების საკითხში რაიმე გავლენა ვერ მოახდინა. "ბევინი წამოხტა და აყვირდა, - იხსენებს შემდგომში ფერების გამუქებით მოლოტოვი. - "ეს შოკია, შოკი! თქვენ იქ არასოდეს ყოფილხართ!" (ინგლისური ვერსიის მიხედვით მოლოტოვის სიტყვებზე "მაშ როგორ, ხმელთაშუა ზღვისპირეთში ერთი კუთხეც კი არ გინდათ მოგვცეთ?" ბევინმა უპასუხა: "კი მაგრამ, რად გინდათ ეს კუთხე?")[7].

მიუხედავად ამისა, მოლოტოვი იმედს არ კარგავდა. 19 სექტემბერს, სესიის მუშაობის პირველი კვირის შედეგების შეჯამებისას იგი წერდა სტალინს: მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელები, როგორც ჩანს, "წინასწარ შეუთანხმდნენ ინგლისელებს," ხოლო ფრანგები და ჩინელები "მათ მიყვებიან," სიტუაცია მთლიანობაში "დასაწყისისათვის ნორმალურია." ამის შემდეგ "წინ გველის ვაჭრობა და კომპრომისების გამალებული ძიება."

სტალინი კი, როგორც ჩანს, უკვე აღარ იზიარებდა მოლოტოვის ოპტიმიზმს, თანაც, იგი აშკარად შეაშფოთა ფრანგებისა და ჩინელების

ხსენებამ სამშვიდობო მოლაპარაკებების კონტექსტში. ვიშინსკის საშუალებით, იგი გაბრაზებული მოითხოვს "ყურადღება მიექცეს," რომ დაუშვებელია მათი მონაწილეობა ფინეთსა და ბალტიის ქვეყნებთან სამშვიდობო მოლაპარაკებებში. მოლოტოვი აღიარებს ამბანაგ "სტალინის მითითებათა" სისწორეს, მაგრამ ცდილობს თავი იმით გაიმართლოს, რომ "ეს საკითხი მაინც და მაინც არსებითად არ მიგვაჩნდა. ჩვენ დავთანხმდით, რადგან ბევინი და ბირნსი დაჟინებით მოითხოვდნენ ამას." ამ მოუქნელ თავის მართლებას, რომელსაც, ამასთანავე, მოკავშირეებისათვის დათმობის სუნი ასდის, საბოლოოდ გამოყავს წყობიდან სტალინი. 21 სექტემბერს, კვლავ ვიშინსკის საშუალებით, მან "ინსტანციის მკაცრი მითითება" მისცა მოლოტოვს (თანაც დემონსტრატიულად უარი თქვა ჩვეულებრივ, "შენობით" მიმართვაზე): "დაიცავით პოტსდამის გადაწყვეტილებები მხოლოდ ამ საქმეში ჩართული სახელმწიფოების მონაწილეობის შესახებ... ვიდრე საბჭოთა კავშირის პირისპირ ანგლოსაქსონური სახელმწიფოები - აშშ და ინგლისი იდგნენ, არც ერთ მათგანს არ დაუსვამს საკითხი უმრავლესობის და უმცირესობის შესახებ. ახლა კი, ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილებების დარღვევით და თქვენი მიმნებებლობის წყალობით, ანგლოსაქსებმა მოახერხეს ჩინელებისა და ფრანგების ჩართვა, ბირნსმა კი გამონახა საშუალება წამოჭრას უმრავლესობისა და უმცირესობის საკითხი."

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში სტალინის განრისხება გულწრფელი იყო, რადგან პოტსდამის ფორმულა მას პრინციპულად მნიშვნელოვნად მიაჩნდა. "ამგვარი გადაწყვეტა (როგორც ნათქვამი იყო პოტსდამის კონფერენციის შედეგებთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შიგა საორიენტაციო ბარათში, რომელიც აუცილებელ მინიმუმამდე ამცირებს ჩვენი პარტნიორების რიცხვს, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო მოქნილი და დამაკმაყოფილებელია."

სტალინისათვის უფრო ჩვეული და მოსახერხებელი იყო "დიდი სამეულის" ფარგლებში მოქმედება და თამაში აშშ-ისა და ინგლისს შორის არსებულ წინააღმდეგობებზე, ვიდრე საქმის დაჭერა ოთხ პოტენციურ მოწინააღმდეგესთან. კრემლისათვის უსიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა ის ამბავი, რომ იმ დროისათვის ანგლოსაქსები არა მხოლოდ თავად გაერთიანდნენ სსრკ-ისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხთან დაკავში-

რებით, არამედ "ჩინელები და ფრანგებიც გადაიბირეს." საბჭოს "უმცროსი წევრებისაგან" კრემლში უფრო მეტ დამყოლობას მოელოდნენ. ტყუილუბრალოდ კი არ უსაყვედურა მოლოტოვმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ჟ. ბიდოს კრემლში გამართულ პრივატულ ვახშამზე საბჭოთა პოზიციისათვის მხარის დაჭერაზე უარის თქმის გამო (ეს ჯერ კიდევ მანამდე მოხდა, ვიდრე სტალინი დატუქსავდა) და შესჩივლა, "ყველა დანარჩენმა წევრებმა" ჩვენ წინააღმდეგ ერთიანი ფრონტი შექმნესო, რის შესახებაც, ბიდომ მაშინვე აცნობა ბირნსსა და ბევინს.[8] გასაკვირი არ არის, რომ მოკავშირეების მხრიდან წინააღმდეგობის გაძლიერების პირობებში სტალინისათვის მიუღებელი იყო პოტსდამის ფორმულიდან უმცირესი გადახვევაც კი.

ასეა თუ ისე, "ინსტანციიდან" მიღებულმა მკაცრმა საყვედურმა მოლოტოვის ძრწოლვა გამოიწვია. "ვაღიარებ, რომ სერიოზული დაუდევრობა მომივიდა. დაუყოვნებლივ მივიღებ ზომებს... - პასუხობს იგი სტალინს. - დაბეჯითებით მოვითხოვ შეწყდეს ხუთი მინისტრის გაერთიანებული სხდომები... ცხადია, ასე აჯობებს, თუმცა, ეს მინისტრთა საბჭოს საქმეებში მკვეთრი შემობრუნება იქნება."

შემობრუნება მართლაც მკვეთრი იყო. იმავე დღეს - 22 სექტემბერს - მოლოტოვმა სახტად დატოვა თავისი პარტნიორები განცხადებით იმის შესახებ, რომ აუცილებელია სასწრაფოდ გამოსწორდეს 11 სექტემბერს დაშვებული შეცდომა, რის გარეშე მომავალში იგი ვერ შეძლებს სამშვიდობო მოლაპარაკებების ირგვლივ მსჯელობაში მონაწილეობას. შეცდომის დაშვების შემდეგ მოლოტოვი, რომ იტყვიან, პირდაპირ კბილებით ჩაეჭიდა ახალ პოზიციას და ნაბიჯითაც აღარ იხევდა უკან. ბირნსი და ბევინი ვერაფრით მიმხვდარიყვნენ ამ სალტო-მორტალეს მიზეზს. დასავლეთელ მოკავშირეებთან საუბარში ბირნსმა გამოთქვა ვარაუდი, რომ "შესაძლოა, მოლოტოვმა პროცედურის საკითხი კონფერენციის ჩაშლის საბაბად გამოიყენა, რადგან იგი მისთვის სასურველი მიმართულებით არ წარიმართა."[9] იცოდნენ რა მოლოტოვის იშვიათი სიჯიუტის ამბავი, გადაწყვიტეს, სტალინის საშუალებით მოეხდინათ მასზე ზეგავლენა, თუმცა კი მოლოტოვი გამოტყდა, რომ მისი მითითებით მოქმედებდა. კიდევ ერთი წინდაუხედაობა, რომელმაც მთავრობის მეთაურისაგან მინისტრის დისტანცირების შთაბეჭდილება შექმნა. თუმცა ისიც მარ-

თალია, რომ პარტნიორებმა ამას განსაკუთრებული ყურადღება არ მიაქციეს, სტალინისაგან განსხვავებით, რომელმაც მოლოტოვს შემდგომში გაუხსენა ეს ამბავი. ტრუმენმა და ეტლიმ სასწრაფოდ გაუგზავნეს გენერალისიმუსს საგანგებო მიმართვები თხოვნით, "დაებრუნებინა" მოლოტოვი კონფერენციაზე და დათანხმებოდა საფრანგეთის და ჩინეთის შემდგომ მონაწილეობას, როგორც ფაქტს, რომელიც არ არღვევდა პოტსდამის მოლაპარაკებათა არსს. "ტრუმენის მომართვას, ცოტა არ იყოს, შიშის სუნი ასდის, - კომენტარი გაუკეთა ამ წერილს მოლოტოვმა სტალინისათვის გაგზავნილ დეპეშაში. - მათ, განსაკუთრებით კი ბევინს, თავდაპირველად გაგონებაც კი არ სურდათ, დაბრუნებოდნენ ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილებების ზუსტად დაცვას. მაშინ მე განვუცხადე, რომ თუკი ისინი უარს იტყვიან ჩემ კანონიერ წინადადებაზე, რომელმაც, ამასთან, პრაქტიკულად არ გაამართლა, მაშინ, საერთოდ არაფერი გამოვა. როგორც ჩანს, ბევინმა სწორედ ეს ნათქვამი დაუხატა ტრუმენს, როგორც განცხადება მინისტრთა საბჭოდან ჩემი გამოსვლის შესახებ. საბჭო კი დღესაც განაგრძობდა მუშაობას და, ცხადია, მომავალშიც იმუშავებს, ოღონდ ბერლინის კონფერენციის გადაწყვეტილებებიდან დაშვებული გადახვევა ლიკვიდირებული უნდა იქნეს. ვფიქრობ, სწორედ ამგვარად უნდა ვუპასუხოთ ტრუმენს." სტალინმა ამგვარად, ოღონდ კიდევ უფრო ეშმაკურად უპასუხა. მან, როგორც ჩანს, არ იცოდა, რომ მოლოტოვმა უკვე გასცა მისი ავტორობა, ამიტომ თავდაპირველად ისე მოაჩვენა, თითქოს "დაეკითხა მოლოტოვს მისი პოზიციის თაობაზე," მერე კი, თითქოსდა "პასუხის მიღების შემდეგ," აცნობა ტრუმენს, რომ "ეთანხმებოდა მოლოტოვის პოზიციას.[10] მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს მუშაობა იმავე შემადგენლობით გაგრძელდა, სამშვიდობო ხელშეკრულებებზე მსჯელობა, არსებითად, შეწყდა, ხოლო მის ნაცვლად გაჩაღებული პროცედურასთან დაკავშირებული დებატები ჩიხში მოექცა.

20 სექტემბერს მოლოტოვთან საუბარში ბირნსმა მოულოდნელად წამოაყენა იდეა მოკავშირეთა შორის ხელშეკრულების დადების თაობაზე გერმანიის 20-25 წლიანი დემილიტარიზაციის შესახებ. ხსენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო გერმანიის განიარაღებასთან ერთად მოკავშირეების მიერ მისი სამხედრო ოკუპაციის თანდათანობით მოხსნა. წინადადება მიმართული იყო "გერმანული

მუქარის" აღორძინების თაობაზე საბჭოთა კავშირის შიშის საპასუხოდ. მოლოტოვმა მსწრაფლ გამოიჩინა ინტერესი ამ წინადადების მიმართ, ხოლო სტალინისათვის გაგზავნილ ანგარიშში კიდევ უფრო კონკრეტულად გამოთქვა თავისი მოსაზრება: "ვფიქრობ, მხარი უნდა დავუჭიროთ ბირნსის წინადადებას ოთხი სახელმწიფოს ხელშეკრულების შესახებ, გერმანიის მხრიდან ახალი აგრესიის თავიდან აშორების მიზნით. თუმცა, გარეგნულად დიდი დაინტერესება არ უნდა გამოვამჟღავნოთ. რა თქმა უნდა, ეს მისაღები იქნება იმ შემთხვევაში, თუ ამერიკელები მეტ-ნაკლებ დათმობაზე წავლენ ბალკანეთის ქვეყნების საკითხში." სახალხო კომისარი წინადადებას იძლეოდა, განეგრძოთ ბირნსთან ამ საკითხზე მოლაპარაკება.

და, ისევ შეცდომა! დასაწყისისათვის სტალინმა შეაჩერა მოლოტოვის შემდგომი საუბრები ამ თემაზე (იმ საბაბით, რომ "დღე-დღეზე ელოდეთ პასუხს"), მეორე დღეს კი თვალი აუხილა თავის მიმნდობ მოადგილეს ამერიკელების "ტროასეული ცხენის" ჭეშმარიტ შიგთავსზე. "ბირნსის წინადადება, - გადასცემს იგი "ინსტანციის მორიგ მითითებას," - ოთხ მიზანს ისახავს: პირველი - გადაიტანოს ჩვენი ყურადღება შორეული აღმოსავლეთიდან, სადაც ამერიკა ისე იქცევა, თითქოს ხვალ იაპონიის მეგობარი იქნება, და ამით შექმნას შთაბეჭდილება, რომ შორეულ აღმოსავლეთში ყველაფერი რიგზეა; მეორე - მიიღოს სსრკ-ისაგან ფორმალური თანხმობა იმაზე, რომ ევროპის საქმეებში აშშ-მა ისეთივე როლი შეასრულოს, როგორიც სსრკ-მა, რათა შემდგომში, ინგლისთან გაერთიანებულმა, საკუთარ ხელში აიღოს ევროპის ბედი; მესამე - გააუფასუროს სსრკ-ის მიერ ევროპის სახელმწიფოებთან კავშირის შესახებ დადებული პაქტები; მეოთხე - უშინაარსო გახადოს სსრკ-ის ყველა მომავალი პაქტი რუმინეთთან, ფინეთთან და ა.შ. კავშირების თაობაზე."

სტალინი შეჩვეული იყო ყველაზე უარესი ვერსიების ვარაუდს. მას მართლაც რომ იშვიათი უნარი გააჩნდა, წარმოედგინა ბირნსის კეთილსახიერი ინიციატივის ყველაზე უფრო ნეგატიური შესაძლო მოტივები. მაგრამ, ამავე დროს, უნებურად საკუთარ ანგარიშშიც ავლენს. სტალინი განეწყო იმისათვის, რომ აშშ მალევე უნდა წასულიყო ევროპიდან და აშკარად არ აპირებდა თანაბრად გაეყო მათთან (ან თუნდაც, ვინმე სხვასთან) ევროპელი ჰეგემონის როლი. ევროპის გულში საბჭოთა გეოპოლიტიკური უპირატესობის შენარჩუნების ამგვარი გეგმის არსე-

ბობა იმითაც დასტურდება, რომ სტალინს აშკარად არ სურდა გერმანიის დემილიტარიზაციის (ანუ გერმანული სამხედრო მუქარის ლიკვიდაციის) სამაგიეროდ იქიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანა. მაგრამ ამის აშკარად აღიარება არ შეიძლება. ამიტომ სტალინი განაგრძობს: "ამასთან, ჩვენთვის, ცხადია, ძნელია ამერიკასთან დადებულ ანტიგერმანულ პაქტზე უარის თქმა. მაგრამ უნდა გამოვიყენოთ ამერიკის შიში ევროპაში სსრკ-ის გავლენის გაზრდასთან დაკავშირებით და ვიბრძოლოთ იმის მისაღწევად, რომ სსრკ-ის და აშშ-ის ანტიგერმანული პაქტი განპირობებული იყოს სსრკ-ის და აშშ-ის ანტიიაპონური პაქტით. აქედან გამომდინარეობს ჩვენი წინადადება: უპირველეს ყოვლისა, აშშ-თან უნდა დაიდოს ანტიიაპონური პაქტი. ამის შემდეგ კი, ან, თუნდაც, ერთდროულად შეიძლება ანტიგერმანული პაქტის დადებაც. ამასთან, პარტნიორს უნდა გავაგებინოთ, რომ ანტიიაპონური პაქტის დადების გარეშე შესაძლებლად არ მიგვაჩნია, წავიდეთ აშშ-თან ანტიგერმანული პაქტის დადებაზე."

ძნელი საფიქრებელია, რომ სტალინს სერიოზული გათვლა ჰქონდა ამგვარი დუპლეტის რეალურ შესაძლებლობაზე. ორი პაქტის ერთმანეთთან დაკავშირება მას სჭირდებოდა როგორც ხერხი ბირნსის წინადადების უარსაყოფად და როგორც აშშ-ზე ზეწოლის ბერკეტი ომის შემდგომი იაპონიის მართვაზე ამერიკული მონოპოლიისათვის ძირის გამოსათხრელად. სწორედ ამას ეხება მოლოტოვისათვის გაგზავნილი იმავე დეპეშის გაგრძელება. სტალინი მოითხოვს, მოლოტოვმა კვლავ წამოჭრას საკითხი იაპონიის საქმეთა გამო მოკავშირეთა სრულუფლებიანი საკონტროლო საბჭოს (რომელშიც საბჭოთა კავშირს სერიოზული როლი უნდა ჰქონდეს) შექმნის გადაწყვეტილების შესრულების თაობაზე: "ამერიკის წინადადება საკონსულტაციო კომიტეტის ორგანიზების შესახებ მიზნად ისახავს, გაურკვეველი დროით გადაიდოს საკონტროლო საბჭოს შექმნის საკითხი და ამგვარად, საშუალება მისცეს მაკარტურს, ერთპიროვნულად გადაწყვიტოს იაპონიასთან დაკავშირებული ყველა - როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო საკითხი... ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბოლო უნდა მოეღოს მაკარტურის შეუზღუდავ უფლებებს და ოთხი სახელმწიფოს ერთპიროვნული უმაღლესი მთავარსარდლის ინსტიტუტს, რომელიც, როგორც ცნობილია, იმას აკეთებს, რაც მოეპრიანება და არც კი გვატყობინებს თავის მიერ გაცემულ განკარგულებებს." დასასრულ,

სტალინი კარნახობს მოლოტოვს ამ მოთხოვნის განსამტკიცებლად საჭირო არგუმენტებს, რომელთა შორის მთავარი გახლავთ ის, რომ მაკარტურის ერთპიროვნული უფლებამოსილება, რომელიც გამართლებული იყო ომის პირობებში, არ შეესატყვისება მშვიდობიანი დროის ამოცანებს.

მოლოტოვი ზუსტად ასრულებს ამ მითითებებს, მაგრამ უშედეგოდ. იაპონური პაქტის შესახებ ბირნსი მხოლოდ დაპირდა, რომ იფიქრებდა მასზე. რაც შეეხება საკონტროლო საბჭოს, ამ საკითხში ამერიკელებმა მტკიცე პოზიცია დაიკავეს და ინგლისელების დახმარებით მოლოტოვს მისი დღის წესრიგში შეტანის საშუალებაც კი არ მისცეს. მოლოტოვმა ამის შესახებ მოსკოვში აცნობა და სტალინს შესთავაზა, პირდაპირ ტრუმენისათვის მიემართათ. სტალინმა უარყო ეს წინადადება და მრისხანე ტირადაში გადმოანთხია თავისი აღშფოთება მოკავშირეთა საქციელის გამო: "ამერიკელების და ინგლისელების მხრიდან, რომლებიც ჩვენს მოკავშირეებად თვლიან თავს, უდიდეს თავხედობად მიმაჩნია ის ამბავი, რომ არც კი მოინდომეს, წესიერად მოესმინათ ჩვენთვის იაპონიაში საკონტროლო საბჭოს საკითხთან დაკავშირებით. ერთი მოკავშირე - საბჭოთა კავშირი - აცხადებს, რომ უკმაყოფილოა იაპონიაში თავისი მდგომარეობით, ის ხალხი კი, ვინც თავის თავს ჩვენს მოკავშირეებს უწოდებს, უარს გვეუბნება ამ განცხადების განხილვაზე. ეს იმას მოწმობს, რომ მოკავშირეს ელემენტარულ პატივს არ სცემენ. იქნებ, საჭიროა, სიტყვა გადავუკრათ ბირნსსა და ბევინს, რომ ასეთ სიტუაციაში იძულებული ვიქნებით იაპონიიდან უკან გამოვიძახოთ ჩვენი ხალხი, რადგან არ შეგვიძლია პასუხი ვაგოთ აშშ-ის და ინგლისის პოლიტიკაზე იაპონიის მიმართ." "ჩვენ გვაქვს ცნობები, - მრავალმნიშვნელოვნად დასძენს სტალინი, - რომ ამერიკელებმა თათი დაადეს იაპონიის ოქროს მარაგს, რომელიც ერთ-ორ მილიარდ დოლარს შეადგენს და მოკავშირედ ინგლისი გაიხადეს. ამაზე აუცილებლად უნდა გადავუკრათ სიტყვა, რათა გავაგებინოთ, - სწორედ ამაში იმალება წინააღმდეგობის მიზეზი საკონტროლო საბჭოს შექმნისათვის და, აგრეთვე, იმის მიზეზი, რომ არ სურთ იაპონიის საქმეებთან ჩვენი დაშვება, მიუხედავად იმისა, რომ სულ ცოტა ხნის წინ ინგლისელები თავად გვთავაზობდნენ იაპონიაში საკონტროლო საბჭოს შექმნას."

მეორე დილით მოლოტოვმა დიპლომატიის ენაზე გადათარგმნა ბელადის მრისხანება და პარტნიორებს განუცხადა, რომ საბჭოთა

მთავრობა "გაოცებულია" მოკავშირეების ქცევით ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით. ამას მოჰყვა დახვეწილი ქარაგმა იაპონური ოქროს თაობაზე: "როგორ უნდა გავიგოთ ეს? რა ვერ გაიყვეს სსრკ-მა, ბრიტანეთმა და აშშ-მა? ამბობენ, თითქოს ამერიკელებმა იაპონიაში 1-2 მილიარდის იაპონური ოქრო ჩაიგდეს ხელში. როგორც ჩანს, ინგლისელებმა იციან ამის შესახებ. იქნებ ეს უშლის ხელს საკონტროლო საბჭოში საბჭოთა წარმომადგენლის მონაწილეობას?" მოკავშირეებიც არ დარჩნენ ვალში. "ბევინი ამბობს, - ვკითხულობთ საუბრის საბჭოთა ჩანაწერში, - რომ ოქრო სულაც არ ადარდებს, ხოლო ამერიკელებს ისედაც ბევრი ოქრო აქვთ. მოლოტოვი შენიშნავს, რომ რაც მეტი ოქრო გაქვს, მით უფრო მოგწონს იგი. არც საბჭოთა მთავრობას აქვს რაიმე ოქროს საწინააღმდეგო. ბირნსი ამბობს, რომ ოქროს ხელში ჩაგდებაზე არაფერი იცის. მაგრამ, თუნდაც იგი ნაპოვნი ყოფილიყო, ხომ არ ფიქრობს მოლოტოვი, რომ ამერიკელები მას ტომარაში ჩაყრიდნენ და ამერიკაში გაგზავნიდნენ? მოლოტოვი აღნიშნავს, რომ მას ტომარაზე არაფერი უთქვამს."[11] "ბირნსმა და ბევინმა თავი ისე დაიჭირეს, - ანგარიშს აბარებს მოლოტოვი სტალინს, - თითქოს იაპონური ოქროს შესახებ არაფერი იციან და არც აინტერესებთ ეს ამბავი." სახალხო კომისარმა ახლა სხვა სვლა მოსინჯა - შეეცადა იაპონიის საკითხი დაეკავშირებინა იტალიასთან სამშვიდობო ხელშეკრულების ინგლისურ-ამერიკულ პროექტთან, რომლის დაჩქარებაც სურდათ მოკავშირეებს: "შევეპასუხე, - წერს მოლოტოვი, - რომ, თუკი იაპონიისათვის საკონტროლო საბჭოს საკითხზე მოვილაპარაკებდით, გაადვილდებოდა ხსენებული საკითხის გადაწყვეტაც. ხაზი გავუსვი, რომ ჩვენც, ინგლისელებსაც, ჩინელებსაც და ავსტრალიელებსაც აუცილებლად მიგვაჩნია იაპონიაში საკონტროლო საბჭოს შექმნა და მხოლოდ ამერიკელები ამბობენ უარს ამ საკითხზე მსჯელობაზეც კი. რომ ეს დიქტატორობაა აშშ-ის მხრიდან და ამასთან შერიგება შეუძლებელია და ა.შ. ვიმედოვნებ, ზემოთ მოყვანილი ფორმულა, რომელიც იტალიასთან საზავო ხელშეკრულების განხილვას ეხება, არ წაწყდება დაბრკოლებებს. მაშინ, ბირნსთან და ბევინთან მოლაპარაკების პროცესში მე დავაზუსტებ ამ დასტურს ან უფრო ხისტი და მიუღებელი ფორმით, თუკი ბირნსის მხრიდან სათანადო დათმობები არ იქნა, ანდა, უფრო რბილი ფორმით, თუ ბირნსი არსებით დათმობებზე წავა ბალკანეთისა და იაპონიის საკითხებში. ველი პასუხს, მისაღებია თუ არა ზოგადად ამგვარი მიდგომა."

წინა დღეს, 26 სექტემბერს, ბირნსმა, რომელიც წარმოქმნილი ჩიხის დაძლევას ცდილობდა, წინადადება შემოიტანა - საბჭოში სამშვიდობო მოლაპარაკებების განხილვის პროცედურის შესახებ რუსული პოზიციის მიღების სამაგიეროდ, მოელაპარაკათ საბჭოს ხუთი წევრის მონაწილეობით სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის თაობაზე. მას მხედველობაში ჰქონდა ამ მოლაპარაკებების ისეთ კონფერენციაზე გადატანა, სადაც დასავლეთს უფრო მეტი ხმები ექნებოდა. ამგვარ გამოსავალს და მოლოტოვის მსჯელობას შესაძლო დათმობების შესახებ სტალინმა მხარი არ დაუჭირა. "როგორც ჩანს, - წერდა იგი მოლოტოვს, - ამერიკელები ლონდონის საბჭოდან ხელცარიელი წასვლას არ მოინდომებენ. შეეცდებიან საბჭოს გადაწყვეტილება მიაღებინონ. მოკავშირეები ზეწოლას ახდენენ, რათა შენი ნებისყოფა გატეხონ და დათმობა გაიძულონ. ცხადია, რომ შენ აბსოლუტური მოუდრეკელობა უნდა გამოიჩინო. მეორე მხრივ, შესაძლოა, საბჭოს გადაწყვეტილებების მიღწევის მიზნით, ამერიკელები შეეცადონ ზოგიერთ დათმობაზე წასვლას, რათა შენი მხრიდან საპასუხო სერიოზული დათმობები გამოიწვიონ - პრინციპით: დათმობა დათმობის საპასუხოდ.

ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც სრული შეუვალობა უნდა გამოამჟღავნო.

ისიც შესაძლებელია, რომ საბჭოს სხდომა უშედეგოდ დამთავრდეს, ერთი სიტყვით - ჩაიშალოს. ჩვენ ამ შემთხვევაშიც არაფერი გვაქვს სადარდებელი. კონფერენციის ჩაშლა ბირნსის ჩავარდნა იქნება, რის გამოც ჩვენ თავი არ უნდა ავიტკივოთ."

როგორც ჩანს, სტალინი დარწმუნებული იყო თავის დასკვნაში იმის შესახებ, რომ, უმჯობესია, კონფერენცია ჩაიშალოს, რაც შეიძლება ინგლისელებს და ამერიკელებს გადაბრალდეს, ვიდრე გაიჭიმოს უშედეგო მოლაპარაკებები. მით უფრო, ადგილი ჰქონდეს დათმობებს საბჭოთა კავშირის მხრიდან, რაც ამერიკელებს "თავიანთი ავტორიტეტის" გადარჩენის საშუალებას მისცემდა. მოლოტოვი თითქოს ეთანხმებოდა ბელადს, მაგრამ იმედს არ კარგავდა, რომ მოკავშირეები დაჰყვებოდნენ მის ზეწოლას. "გეთანხმებით, რომ გადამწყვეტი მომენტი დადგა, - პასუხობს იგი 28 სექტემბერს.- გეთანხმებით, რომ უმჯობესია, მინისტრთა საბჭოს პირველი სესია ჩავარდნით დასრულდეს, ვიდრე რაიმე არსებითი დავუთმოთ ბირნსს. ვფიქრობ, ახლა შეიძლება ან ჩამოვგლიჯოთ ამერი-

კელებს კეთილდღეობის საბურველი, რომელშიც მათ სურთ იყვნენ გახვეული, ან ამერიკელებისაგან (და, ეს იმას ნიშნავს, სხვებისგანაც) სსრკ-ის სასარგებლოდ არსებით დათმობებს მივაღწიოთ... ალბათ, არ მოხერხდება ბალკანეთის ქვეყნებისა და იაპონიის საკითხებში ამერიკელებისაგან დათმობების ერთდროულად მიღწევა, მაგრამ ერთ-ერთ ამ საკითხში მაინც (ბალკანეთი და იაპონია) მათი მხრიდან არსებითი დათმობების გარეშე შეუძლებელი იქნება სადღეისო ძირითად საკითხებზე შეთანხმება. თუკი ამერიკელები (და ინგლისელები) დათანხმდებიან დათმობას ერთ-ერთ საკითხში მაინც, უნდა მოვილაპარაკოთ მათთან. ასეთ შემთხვევაში საბჭოს მუშაობა ჩვენ სასარგებლოდ იქნება მიმართული."

მაგრამ მოკავშირეებს არ სურდათ "არსებით დათმობებზე წასვლა." საბჭოთა მხარის მსგავსად, ისინიც მზად იყვნენ ჩაეშალათ კონფერენცია. "იმ ხანებში სსრკ ამერიკელთა უდიდესი ნაწილის აღფრთოვანებით და კეთილი განწყობით სარგებლობდა, - წერდა მოგვიანებით ბირნსი, - საბჭოთა ლიდერებმა იცოდნენ მშვიდობისადმი ჩვენი ხალხის ძლიერი მისწრაფების შესახებ და ფიქრობდნენ, რომ ვერ გავბედავდით კონფერენციის ჩაშლას. ლონდონში ჩვენ მიერ დაკავებულმა პოზიციამ აიძულა ისინი, გადაეხედათ თავიანთი შეხედულებებისათვის. ეს მართლაც რომ ძალთა მოსინჯვა იყო." [12]

ომისა და მისი შემდგომი პერიოდის განმავლობაში მოკავშირეები პირველად იჩენდნენ ამგვარ მკვეთრ განწყობას, რამაც თანდათან მოთმინებიდან გამოიყვანა ძალზე თავდაჭერილი მოლოტოვიც კი. მას შემდეგ, რაც ბირნსის, ბევინის და ბიდოს მხრიდან წინააღმდეგობას წააწყდა დასავლეთში დარჩენილი სსრკ-ის მოქალაქეების რეპატრიაციის დაჩქარების არაერთხელ წამოყენებულ მოთხოვნაზე, მოლოტოვმა შესთავაზა სტალინს, "გაზეთებში დაეწყოთ ამერიკელების და სხვათა ხელში ჩავარდნილი ჩვენი მოქალაქეების შესახებ რიგი აღმაშფოთებელი ფაქტების გამოქვეყნება, თანაც მიეთითებინათ, რომ საბჭოთა მთავრობამ შესაბამისი მთავრობების (აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთის) ყურადღება მიაქცია ამ უმსგავსობას და სასწრაფო ზომების მიღება მოითხოვა. ასე, უფრო სწრაფად მოვახდენთ ზემოქმედებას ამ სქელკანიანებზე."

ორი თანამებრძოლის მიწერ-მოწერაში პარალელურად სხვა საგარეო პოლიტიკური საკითხებიც წყდებოდა. ასე, მაგალითად, სტალინმა

მოსთხოვა თავის მოადგილეს აზრი გამოეთქვა მოკავშირეთა მის მიერ საეჭვოდ მიჩნეულ წინადადებაზე ავსტრიასთან დაკავშირებით. იგულისხმებოდა იქ მოქმედი ძველი რაიხსმარკების შეცვლა ფულის ახალი ერთეულით - მოკავშირეთა შილინგით. "რაიხსმარკების შეცვლა მოკავშირეთა შილინგით არასასურველად მიმაჩნია, - აღნიშნა მოლოტოვმა. - ცხადია, ამის შედეგად მოკავშირეებზე დამოკიდებული გავხდებით. უმჯობესია, დავაჩქაროთ ავსტრიულ ვალუტაზე გადასვლა და დავეხმაროთ მათ ამ საქმეში. ეს ჩვენთვის პოლიტიკურადაც უფრო ხელსაყრელია."

სექტემბრის დამლევს დებატები კვლავ პროცედურის საკითხს დაუბრუნდა და საქმე ისე გამწვავდა, რომ ბევინმა საბჭოთა კოლეგას ჰიტლერისეული მეთოდების გამოყენება დასდო ბრალად. აი, როგორ აღწერს ამ გახმაურებულ ეპიზოდს თავად მოლოტოვი სტალინისათვის გაგზავნილ ანგარიშში, რომელშიც უამბობს, როგორ დაახევინა უკან ბევინს ახალი ფანდის საშუალებით - თუკი საბჭოს რომელიმე წევრი მომავალში უარს იტყვის ამა თუ იმ გადაწყვეტილებაზე, მაშინ ეს გადაწყვეტილება საერთოდ არ არსებულა. "ამით მივანიშნე, - კმაყოფილებით განმარტავს სახალხო კომისარი, - ჩვენ მოთხოვნაზე 11 სექტემბერს მიღებული საბჭოს გადაწყვეტილების გადასინჯვის თაობაზე. ამ დროს ბევინმა, მისთვის ჩვეული უბოდიშობით განაცხადა, რომ არ შეუძლია მინისტრთა უფლებების ამგვარ გაგებას დაეთანხმოს და, რომ ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებების უარყოფის მეთოდი - ძალიან ჰგავს ჰიტლერის მეთოდს.

მე განვაცხადე, რომ თუკი ბევინი უკან არ წაიღებდა თავის შეუფერებელ სიტყვებს, ვეღარ მივიღებდი მონაწილეობას ამ თათბირში." ამ სიტყვებით მოლოტოვი გასასვლელისაკენ გაემართა, მაგრამ ბევინმა მართლაც მოიხადა ბოდიში და ინციდენტი მოგვარდა. თუმცა, შემდგომმა კინკლაობამ პროცედურული საკითხების ირგვლივ საბოლოოდ ჩიხში შეიყვანა კონფერენცია. მისი ჩაშლა აშკარა გახდა და მხარეები მხოლოდ იმაზეღა ფიქრობდნენ, როგორ გადაებრალებინათ ერთმანეთისათვის ამ ამბავზე პასუხისმგებლობა. 2 ოქტომბერს, მოლოტოვმა სტალინს აცნობა ბირნსის და ბევინის კიდევ ერთი, მორიგი უარი - გადაესინჯათ საბჭოს მიერ 11 სექტემბერს მიღებული ბედუკულმართი გადაწყვეტილება და გამოთქვა ვარაუდი, რომ ისინი კონფერენციის საბოლოოდ ჩაშლას

აპირებენ: "ესე იგი, მზად უნდა ვიყოთ ჩვენი "პატივცემული მოკავშირეების" ღია ანტისაბჭოთა გამოსვლისათვის. მასზე პასუხის გაცემა თავდასხმის ხასიათის მიხედვით მოგვიხდება." "ვადასტურებ შენ პოზიციას, - მოწონებით და დამშვიდებითაც კი პასუხობს ამჯერად სტალინი. - ტრაგიკულად ნუ აღიქვამ ბევინის მაქინაციებს, მშვიდად მიიღე ყოველივე ეს. ჩვენ არაფერს წავაგებთ, მხოლოდ ისინი დარჩებიან წაგებულნი." მეორე დღეს სესიამ ისე დაასრულა მუშაობა, რომ შემაჯამებელი კომუნიკეც კი არ მიუღია. ამასთან ერთად, აღმოჩნდა, რომ საბჭოთა დელეგაციამ არ ჩამოიტანა სესიის სხდომების სტენოგრამა. "როგორც ირკვევა, - უდაპეშა სტალინმა პოლიტბიუროს საგარეო პოლიტიკურ "ოთხეულს" (მოლოტოვი, მალენკოვი, ბერია, მიქოიანი), - აშშ-ის და ინგლისის ხელმძღვანელმა პირებმა გაცილებით უკეთ იციან კონფერენციის საქმეები, ვიდრე ჩვენ, საბჭოთა ხელმძღვანელებმა, და ეს იმიტომ, რომ მათ ხელთ აქვთ ყველა სხდომის დაწვრილებითი ჩანაწერი. ყოველივე ეს ჩვენ ჩამორჩენილობას და ამ სფეროში გამოუცდელობას მოწმობს." ნაბრძანები იყო, ხუთი დღის ვადაში მოემზადებინათ ლონდონის მოლაპარაკებების სტენოგრამა და "ოთხეულის" წევრებისათვის დაეგზავნათ.

სტალინისა და მოლოტოვის მიმოწერა ააშკარავებს მათ ჭეშმარიტ დამოკიდებულებას ყოფილი მოკავშირეებისადმი: ანგლოსაქსები მტრულად განწყობილნი, ორპირები, ანგარებიანნი არიან, მხოლოდ სიმკაცრისა და ძალის ენა ესმით, უარეს შემთხვევაში ფარული მტრები არიან, უკეთესში - მეტოქეები, ხოლო თუკი მაინც მოკავშირეებად იწოდებიან, ეს სიტყვა მხოლოდ ბრჭყალებში ჩასმული შეეფერებათ. და მაინც, როგორც ამ დოკუმენტებიდან ჩანს, სტალინი სულაც არ აპირებდა მათთან ურთიერთობის გაწყვეტას. საუბარი იყო უშელავათო ვაჭრობის გაგრძელებაზე, რომელიც საბჭოთა პირობებთან მიახლოებული იქნებოდა. მოკავშირეებისათვის მათი ქცევით გამოწვეული უკმაყოფილება რომ ეჩვენებინა, ლონდონის შემდეგ სტალინმა იაპონიიდან უკან გამოიწვია საბჭოთა წარმომადგენელი გენერალი კ.დერევიანკო და გაუქმა "კეთილი ნების" ჟესტი ტრუმენის მიმართ - უარი თქვა ჟუკოვის დაგეგმილ გამგზავრებაზე აშშ-ში. ამავე დროს, მოლაპარაკებების კარი ღია რჩება: საბჭოთა პროპაგანდამ ლონდონის შეხვედრა დროებით წარუმატებ-

ლობად წარმოაჩინა. ოქტომბრის რევოლუციის მორიგი წლისთავისადმი მიძღვნილ გამოსვლაში, რომელიც სტალინის მიერ იყო რედაქტირებული, მოლოტოვმა "გამაფრთხილებელი" უწოდა ლონდონის შედეგებს და აღნიშნა, რომ მსგავს "სიძნელეებს" ანტიჰიტლერულ კოალიციაში "ომის დროსაც ჰქონია ადგილი."[13] იმავე დღეებში სტალინი დადებითად რეაგირებს ტრუმენის წინადადებაზე ჩეხოსლოვაკიიდან ამერიკული და საბჭოთა ჯარების ერთდროულად გამოყვანის შესახებ: "ვფიქრობ, უნდა დავეთანხმოთ ტრუმენის წინადადებას, - წერს იოი "ოთხეულს." - თუ თქვენც თანახმა იქნებით, შემიძლია სათანადო პასუხი მივწერო ტრუმენს იმ პირობით, რომ ჩეხოსლოვაკიის მთავრობას ამის საწინააღმდეგო არაფერი ექნება." სტალინი იმედოვნებდა, რომ ამ ნერვების ომში პირველ ნაბიჯს ლონდონის კონფერენციის შემდგომი კომპრომისისაკენ მოკავშირეები გადადგამდნენ და არც შემცდარა.

სტალინის დიპლომატიური თამაშის მონახაზი ამოიცნეს მოკავშირეთა დედაქალაქებში. "ფორინ ოფისის" ექსპერტებმა ლონდონის სესიის შედეგების საკუთარ ანალიზში აღნიშნეს, რომ "რუსებს ჯერ კიდევ სურთ თანამშრომლობა, მაგრამ თავისი პირობებით, და ცდილობენ მაქსიმალურად ძლიერი პოზიცია მოიპოვონ..."[14] აშშ-ის საელჩო მოსკოვში ასევე მოუწოდებდა ვაშინგტონს, არ ეჩქარა საპასუხო ნაბიჯების გადადგმა და "დაეცლია კრემლისათვის საკუთარ წვენში ხარშვა."[15] მაგრამ მკაცრი ხაზის დასავლეთელმა მომხრეებმა მოსკოვთან მოლაპარაკების მომდევნო რაუნდის დროს ვეღარ შეძლეს ინიციატივის შენარჩუნება.

1945 წლის ოქტომბრის დამდეგს მოსკოვში გავრცელდა ხმები კრემლიდან სტალინის იდუმალად გაუჩინარების შესახებ. საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სააგენტოს მიერ 10 ოქტომბერს გავრცელებულმა ოფიციალურმა ცნობამ იმის შესახებ, რომ "ამხანაგი სტალინი შვებულებაში, დასასვენებლად გაემგზავრა,"[16] ყველა (განსაკუთრებით, უცხოელი მეთვალყურეები) როდი დაარწმუნა. ომიანობის წლებში ისინი იმდენად შეეჩვიენ ბელადის გამუდმებით ყოფნას სამუშაო ადგილზე და საბჭოთა პრესის ეზოპესეულ ენას, რომ აღნიშნული ოფიციალური ვერსია მიამიტებისათვის განკუთვნილად მიიჩნიეს.

მოსკოვის დიპლომატიური კორპუსი აწიოკებული სკასავით გუგუნებდა და ცდილობდა კრემლის კედლებს იქით მიმდინარე მოვლენების

ფარული არსის გამოცნობას. დიპლომატები თავიანთ შეტყობინებებში აგებდნენ ყოვლად წარმოუდგენელ ჰიპოთეზებს. დიდი გამოცდილების მქონე ამერიკის ელჩმა ა. ჰარიმანმაც კი, რომელიც ბევრჯერ შეხვედროდა სტალინს და თითქოს კარგად იცოდა კრემლის წესები, ვაშინგტონში შემდეგი შეტყობინება გაგზავნა: "ცნობა სტალინის "დასასვენებლად" გამგზავრების შესახებ აბსოლუტურად უპრეცედენტოა და ძალზე სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ მასში სტალინი მოიხსენიება არა როგორც ჩვეულებრივ, - გენერალისიმუსად, არამედ უბრალოდ - სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ." [17]

საზღვარგარეთის პრესა აივსო ვარაუდებით დაბერებული ბელადის მძიმე ავადმყოფობის და შესაძლო გადადგომის შესახებ. ასე მაგალითად, ჩვეულებრივ, კარგად ინფორმირებული ამერიკული ჟურნალი "ნიუსუიკი" ირწმუნებოდა: " სტალინს ცუდი ჯანმრთელობა აქვს. ამერიკელთა ცნობით, ბერლინის კონფერენციის დროს მას ორჯერ გულის მცირე შეტევა მოუვიდა და, გარდა ამისა, ღვიძლიც აწუხებს." ერთ-ერთი თურქული გაზეთი დიდი დიქტატორის სიკვდილსაც კი იუწყებოდა. უცხოელ მეთვალყურეებს ყველაზე მეტად აწუხებდათ საკითხი სტალინის მემკვიდრეების შესახებ. უკანასკნელთა შორის სხვებზე უფრო ხშირად ასახელებდნენ ორ ადამიანს, რომლებმაც ყველაზე მეტად წაიწიეს წინ ომის წლებში და მთელი მსოფლიოს თვალში (სტალინთან ერთად) საბჭოთა კავშირის ახალი დიპლომატიური და სამხედრო ძლიერების განსახიერებად იქცნენ. ესენი იყვნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ.მ. მოლოტოვი და მარშალი ჟუკოვი. "სტალინმა შეიძლება დატოვოს პოსტი, - წერდა, მაგალითად, გაზეთი "ჩიკაგო ტრიბუნი." - როგორც ამბობენ, მარშალ ჟუკოვის პატივმოყვარეჩანაფიქრს, გახდეს დიქტატორი, ამაგრებს არმიის მხარდაჭერა, იმ დროს, როდესაც მოლოტოვის ზურგს უკან კომუნისტური პარტია დგას. სამოც წელს გადაცილებული სტალინის ასაკი ერთ-ერთი ფაქტორია მისი მემკვიდრეების სადღეისო მანევრებისათვის." აღნიშნულ "მანევრებს" ისინი ხედავდნენ მოლოტოვის ზიგზაგებში საგარეო საქმეთა მინისტრების ლონდონის სესიაზე და ჟუკოვის მოულოდნელ უარში აშშ-ში დაგეგმილ გამგზავრებაზე. 24 ოქტომბერს ინგლისურმა "დეილი ექსპრესმა". აცნობა თავის მკითხველებს, რომ

სტალინი ემზადება მოლოტოვისათვის საქმეების გადასაბარებლად, თავად კი "საპატიო უხუცესი" გახდება (რაც საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სააგენტოს თარგმანში უფრო ბუნდოვნად - "უფროს სახელმწიფო მოღვაწედ" ჟღერდა).

სტალინი ამ დროს სულაც არ იყო ავად და არც გადადგომას აპირებდა. მან მართლაც დატოვა მოსკოვი, უკანასკნელი ცხრა წლის განმავლობაში პირველად მისცა თავს უფლება ესარგებლა შვებულებით და სოჭის მახლობლად მდებარე თავის საყვარელ ზღვისპირა აგარაკზე გაემგზავრა. სწორედ იქ კითხულობდა იგი სატელეგრაფო სააგენტოს ამ უამრავ ცნობას თემაზე - "ხმები უცხოეთის პრესაში ამხანაგი სტალინის ჯანმრთელობის შესახებ," რომლებსაც, საკითხის განსაკუთრებულად დელიკატური ხასიათის გამო, მხოლოდ პირადად მას და მოლოტოვს უგზავნიდნენ.

სხვა პოლიტიკოსი ხელს ჩაიქნევდა ამ მონაჭორზე, როგორც საწყენ აბდაუბდაზე, მაგრამ სტალინი - არავითარ შემთხვევაში. აბსოლუტური ძალაუფლების მრავალი წლის მანძილზე იგი გადაეჩვია მისი პერსონისადმი მსუბუქ მოპყრობას. მიეჩვია სახელმწიფოსთან საკუთარი თავის გაიგივებას და ამიტომაც ეს ინსინუაციები (როგორც მოგვიანებით გაუზიარა თანამებრძოლებს) არა მხოლოდ პირად შეურაცხყოფად მიიღო, არამედ აღიქვა საბჭოთა სახელმწიფოს ღირსებისა და პატიოსნების "შელახვად." წარმოიქმნა სტალინის ფსიქიკისათვის გარდაუვალი მეორე შეკითხვაც: ვინ გაუშვა ეს ხმები მოსკოვიდან, ვინ და რა მიზნით ავრცელებს მათ თავად დედაქალაქში? ან ზედამხედველობის გარეშე დარჩენილი ჩვენი ხალხი უბრალოდ, ზედმეტს ლაყბობს, ან იქნებ ამაში რაიმე ბოროტი ზრახვა იმალება. ისევე, როგორც მისი საყვარელი მეფე ივანე მრისხანე, სტალინი კიდევ იმისთვისაც იყენებს მოსკოვიდან გამგზავრებას, რომ დაინახოს, როგორ მოიქცევიან დაცარიელებულ კრემლში მისი თანამებრძოლები, განსაკუთრებით, მოლოტოვი, რომელიც მან პირველად დატოვა მთავრობის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლად. მისი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ნორვეგიელი ექიმის (რომელიც ცოტა ხნით ადრე იმყოფებოდა მოსკოვში) კარტ ევანგის სტატიამ მოლოტოვის შესახებ, რაზეც მოწმობს მრავალ ადგილას ხაზგასმული ტექსტი. "რუსული წრეების წარმომადგენლებთან და უცხოელ ჟურნა-

ლისტებთან საუბრების შედეგად შემექმნა საერთო შთაბეჭდილება, - წერდა ვარიაგი სტუმარი, - რომ მოლოტოვი საბჭოთა კავშირის მეორე პირი სტალინის შემდეგ. ამის მიზეზები უნდა ვეძიოთ არა მის ოფიციალურ მდგომარეობაში, არამედ, უფრო იმაში, რომ მან თავად, თანდათანობით მოიპოვა დიდი ავტორიტეტი... აშშ-ის, ინგლისის და სხვა თავისუფლების მოყვარე სახელმწიფოებისათვის მოლოტოვი ახალი, ძლიერი საბჭოთა კავშირის წარმომადგენელია, რომელიც მოითხოვს თანასწორ მდგომარეობას მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოთა შორის."

სტალინი აშკარად შეაშფოთა ამ სიტყვებმა მისი პირველი მოადგილის მზარდი ავტორიტეტის და დამოუკიდებელი როლის შესახებ - ემანდ, ზედმეტად არ აუვარდესო თავში. ან, იქნებ, უკვე აუვარდა კიდეც და თვითონვე უწყობს ხელს ამგვარ გამოხმაურებებს?

შვებულების დროს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები ძველებურად ეგზავნებოდა "პატრონს" შესათანხმებლად. სტალინი ყოველდღიურად ღებულობდა ორ-სამ ათეულ დოკუმენტს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ, რომელთა შორის იყო სხვადასხვა წყაროდან მიღებული მრავალი სადაზვერვო ცნობა, დიპლომატიურ კორპუსში მიმდინარე საუბრების შესახებ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს შეტყობინებების ჩათვლით. ეს მას საშუალებას აძლევდა, თვალყური ედევნებინა მოსკოვში არსებული სიტუაციისათვის ერთდროულად ორ მრუდე სარკეში - უცხოეთის პრესაში და საკუთარ აგენტურაში.

აგარაკზე სტალინი მშვიდ და განმარტოებულ ცხოვრებას ეწეოდა. დღისით ეძინა და სეირნობდა, ღამ-ღამობით დოკუმენტებზე მუშაობდა, პრაქტიკულად არავის ღებულობდა, უახლოეს თანამებრძოლებსაც კი. მათთან ურთიერთობა მაღალი სიხშირის კავშირით, ფელდეგერული ფოსტით და იშვიათი სატელეფონო ზარებით შემოიფარგლებოდა. ერთადერთი გამონაკლისი იმ შემოდგომაზე, "ოთხეულთან" შეთანხმებით, დაშვებული იქნა აშშ-ის ელჩის, ა. ჰარიმანისათვის, რომელსაც პრეზიდენტ ტრუმენისაგან პირადი წერილი უნდა გადაეცა. ეს გამონაკლისიც იმიტომ მოხდა, რომ სტალინს ამერიკელების მხრიდან ახალი დათმობების იმედი ჰქონდა. პირველ რიგში, იაპონიის ოკუპაციაში საბჭოთა როლის გაფართოების საკითხში, რისთვისაც ასე დაჟინებით იბრძოდა აგვისტოს თვიდან მოყოლებული. მართალია, ჰარიმანმა დათმობები არ ჩამოიტანა,

თუმცა ვაჭრობა იაპონიასა და სამშვიდობო ხელშეკრულებებთან დაკავშირებით გაგრძელდა. სამაგიეროდ, 27 ოქტომბერს, მოსკოვში დაბრუნების შემდეგ, ელჩის მიერ გაკეთებულმა საჯარო განცხადებამ, რომ "გენერალისიმუსი სტალინი თავს მშვენივრად გრძნობს და ჭორებს მისი ავადმყოფობის შესახებ რაიმე საფუძველი არ გააჩნია," შესამჩნევად შეასუსტა ბელადის ჯანმრთელობის თაობაზე სპეკულაციების ტალღა. შეაჯამა რა კავკასიაში შეხვედრის შთაბეჭდილებანი, ჰარიმანმა შეატყობინა ვაშინგტონს: "ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მას (სტალინს. - ვ.პ.) ჩვენთან მოლაპარაკება სურს, მაგრამ განუზომელი ეჭვით აღიქვამს ჩვენ ყოველ ნაბიჯს."[18]

იაპონიის საკითხში კი ამერიკელები ჯიუტად განაგრძობდნენ თავის პოზიციაზე დგომას. და აი, ნოემბრის დამდეგს, უკვე ჰარიმანის და სტალინის შეხვედრის შემდეგ, სტალინმა მიიღო "ოთხეულის" მიერ მომზადებული პასუხის პროექტი ამერიკულ ნოტაზე იაპონიისათვის კონტროლის მექანიზმის თაობაზე. ჯერ კიდევ წინა დღეს, ჰარიმანისა და მოლოტოვის უკანასკნელი საუბრის ჩანაწერის შესწავლის დროს, სტალინმა გაბრაზებით გაუსვა ხაზი პასაჟს, რომელშიც მოლოტოვი, თუმცა კი მხოლოდ პირადად, წინასწარი წესით, მაგრამ მაინც დაეთანხმა აშშ-ის წინადადებას. ხსენებული წინადადება ეხებოდა ამერიკელების შემოთავაზებული შორეული აღმოსავლეთის კომისიის მიერ ხმის მიცემის პროცედურას და გულისხმობდა გადაწყვეტილების მიღებას ხმის უმრავლესობით, იმ პირობით, რომ ამ უმრავლესობაში აშშ-იც იქნებოდა. "ოთხეულის" პროექტი არა მხოლოდ იმეორებდა ამ პოზიციას, არამედ, ფაქტობრივად, ეთანხმებოდა იაპონიაში აშშ-ის ჯარების მთავარსარდლის, გენერალ დ. მაკარტურისათვის ყველა საკითხში უდავო უფლებამოსილების მინიჭებას.

ნათავისარისა და ლიბერალიზმისათვის სტალინმა მკაცრი საყვედური გამოუცხადა მთელ "ოთხეულს" და, პირველ რიგში, თავად მოლოტოვს. მოცემულ შემთხვევაში მან მაშინვე ლონდონის სესიაზე მოლოტოვისეული "დამთმობი პოლიტიკის" რეციდივი დაინახა. "მოლოტოვის მანერა განცალკევდეს მთავრობისაგან, - წერს სტალინი "ოთხეულს," - და უფრო ლიბერალად და დამთმობად მოაჩვენოს თავი, ვიდრე მთავრობა, არაფრად ვარგა." შორეული აღმოსავლეთის კომისიაში ხმის მიცემის პროცედურის

შესახებ ამერიკულ წინადადებას, რომელიც სსრკ-ის იზოლაციას ისახავს მიზნად, სტალინი "თაღლითობას" უწოდებს. ამის სანაცვლოდ იგი მოითხოვს ერთსულოვნების პრინციპის მიღწევას და, შესაბამისად, მაკარტურის გადაწყვეტილებების შეჩერების შესაძლებლობას მანამდე, ვიდრე არ იქნება მიღწეული შეთანხმება საკონტროლო მექანიზმის შესახებ ოთხივე წევრს შორის. პოლიტბიურომ "შემხვედრი ინიციატივა" გამოიჩინა და სასწრაფოდ მიიღო საგანგებო გადაწყვეტილების პროექტი, რომელშიც დაგმო მოლოტოვის საქციელი კარგად ნაცნობი გამოთქმებით - "არასწორად იქნეს მიჩნეული მოლოტოვის მანერა, განცალკევდეს სახელმწიფოსაგან და საკუთარი თავი მთავრობაზე უფრო ლიბერალურად და დამთმობად წარმოაჩინოს." თავად დამნაშავემ კი იქვე გააკეთა მონანიების მინაწერი: "შევეცდები მომავალში აღარ დავუშვა მსგავსი შეცდომები." თუმცა საქმე იმით დამთავრდა, რომ სტალინი აღარ დაენდო მოლოტოვს და, სხვებისათვის ჭკუის სასწავლებლად, თვითონვე შეთხზა მკვეთრად არგუმენტირებული საპასუხო ნოტა ამერიკელებისადმი, რომელშიც (რაც მეტად უჩვეულო იყო) განსაკუთრებით არის აღნიშნული ამ საკითხში საბჭოთა მთავრობის სრული სოლიდარობა სტალინისადმი. გაგზავნამდე მან თანამოღვაწეებს გადასცა ტექსტი შენიშვნებისათვის, თითქოსდა, არ იყო სრულიად დარწმუნებული, რომ "პროექტი უნაკლოა," რაზეც "ოთხეულმა" ერთხმად უპასუხა? - "შენიშვნები არა გვაქვს."

ძლივს გაარკვიეს იაპონიასთან დაკავშირებული ოქმის ამბავი, რომ ახალი პრობლემა წამოიჭრა - ამჯერად ინგლისის გამო. ნოემბრის იმავე დღეებში "პრავდამ" მოლოტოვის პირადი მითითებით გამოაქვეყნა თემთა პალატაში ჩერჩილის ერთ-ერთი გამოსვლის შინაარსი, რომელშიც მან გასაოცარი ქებით მოიხსენია საბჭოთა ხალხი და მისი ბელადი. ჩერჩილი საუბრობდა "უდიდესი მადლიერების გრძნობაზე, რომელსაც კეთილშობილ საბჭოთა ხალხს უნდა ვუმადლოდეთ," რუსებსა და ინგლისელებს შორის არსებულ "ამხანაგობის და მეგობრობის გრძნობებზე." კიდევ უფრო ნაზი გრძნობებით იყო გამსჭვალული (სატელეგრაფო საგენტოს გაუმართავ თარგმანშიც კი) ჩერჩილის პანეგირიკი სტალინის მიმართ: "პირადად მე არ ძალმიძს, უდიდესი აღფრთოვანების გარდა, რაიმე სხვა გრძნობას განვიცდიდე ამ ჭეშმარიტად დიდი ადამიანის, თავისი ქვეყნის მამის მიმართ, რომელიც მშვიდობიან დროს განაგებდა ქვეყნის ბედს და გამარჯვებით დაიცვა იგი ომის პერიოდში."[19]

დასავლეთის ლიდერების მხრიდან მსგავსი გამოხმაურებების პუბლიკაცია ომისდროინდელი საბჭოთა პროპაგანდის ჩვეულებრივი პრაქტიკა იყო და, "დიდი სამეულის" უკანასკნელი დასავლეთელი წევრის ქებას, თითქოს მხოლოდ უნდა ეამებინა გენერალისიმუსის პატივმოყვარეობისათვის. მაგრამ სტალინისთვის, რომელიც თავის თანამებრძოლებზე უფრო შორის იყურებოდა და ომის შემდგომი დროის ახალი ამოცანების კატეგორიებით აზროვნებდა, ჩვეულებრივ თავმოყვარეობაზე უფრო მნიშვნელოვანი საგნებიც არსებობდა. იგი უკვე ემზადებოდა საშინლად დაღლილი, განადგურებული ქვეყნის დასარაზმავად ახალი ქმედებებისა და გასაჭირისათვის საბჭოთა სახელმწიფოებრიობის ძლიერების სასახელოდ და საკუთარი ძალაუფლების განმტკიცების მიზნით. უკვე ისტამბება ომის შემდგომი პირველი ხუთწლედის დამკვრელური გეგმები. უზარმაზარი ძალები და სახსრები იქნა გადასროლილი ამერიკელებთან ატომური შეჯიბრისათვის. თანდათანობით ხალხს ისევ დაუწყეს მტრული გარემოცვისა და კაპიტალიზმის არსებობის შეხსენება. ამ დროს კი ჩერჩილი თავისი დითირამბებით თავგზას უბნევს საბჭოთა ადამიანებს და ზოგიერთ ხელმძღვანელსაც კი, თუმცა თავად (სტალინმა ეს კარგად იცის ინგლისში არსებული საკუთარი აგენტურისაგან) საბჭოთა კავშირისათვის მკაცრი წინააღმდეგობის გაწევის მომხრეა.

სტალინიც სარგებლობს ამ საბაბით იმისათვის, რომ კლასობრივი სიფხიზლე გამოაღვიძოს თავის თანამებრძოლებში. გადააჩვიოს ისინი დასავლეთელი მოკავშირეების მიმართ პიეტეტს, რომელსაც ისინი ომის წლებში შეეჩვიენ და რომელიც ამჟამად სრულებით არ არის საჭირო. "შეცდომად მიმაჩნია რუსეთის და სტალინის ქება-დიდების შესახებ ჩერჩილის სიტყვის გამოქვეყნება, - წერს იგი "ოთხეულს." ყოველივე ეს ჩერჩილს იმისათვის სჭირდება, რომ სინდისი დაიმშვიდოს (რომელიც სუფთა არა აქვს) და შენიღბოს თავისი მტრული დამოკიდებულება სსრკ-ისადმი. კერძოდ, შენიღბოს ის ფაქტი, რომ სწორედ ჩერჩილი და მისი მოწაფეები ლეიბორისტული პარტიიდან არიან სსრკ-ის წინააღმდეგ ინგლისურ-ამერიკულ-ფრაგნული ბლოკის ორგანიზატორები." ჩერჩილისათვის ნიღბის ჩამოგლეჯას მოსდევს მთავარი აზრი - გაფრთხილება საბჭოთა უმაღლეს ხელმძღვანელობას: "ამჟამად ჩვენთან ბევრი ისეთი პასუხისმგებელი მუშაკია, რომლებიც გულუბრყვილო აღტაცებას განიცდიან

ჩერჩილების, ტრუმენების თუ ბირნსებისაგან ქება-დიდების გაგონებაზე და პირიქით, ხასიათი უფუჭდებათ ამ ბატონების მხრიდან არაკეთილსასურველი გამოხმაურებების შემთხვევაში. ამგვარი განწყობა სახიფათოდ მიმაჩნია, რადგან საზღვარგარეთელი ფიგურების მიმართ მაამებლობას ავითარებს ჩვენში. უცხოელთა წინაშე მაამებლობის წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლაა საჭირო. თუკი ჩვენ მომავალშიც გამოვაქვეყნებთ მსგავს გამოსვლებს, ამით დავნერგავთ მაამებლობას და მლიქვნელობას. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ საბჭოთა ლიდერებს არაფრად სჭირდებათ ქება უცხოელი ლიდერების მხრიდან. პირადად მე რაც შემეხება, ამგვარი ქება უბრალოდ მეჩოთირება. სტალინი."

ძალაუნებურად გახსენდება: "მოწონებას მოარული ხმების ტკბილ ჩურჩულში კი არა, გაავების ველურ შეძახილებში ვპოულობთ." ძალზე თვალსაჩინოდ, საკუთარ მაგალითზე, სტალინი უჩვენებს თავის თანამებრძოლებს დასავლეთის მიმართ ერთადერთი სწორი განწყობილების ნიმუშს და მშვენივრად ესმის, რა გამოძახილს ჰპოვებს მისი სიტყვები ყველა "პასუხისმგებელ მუშაკში," როგორ უბიძგებს მათ შეჯიბრისაკენ სისასტიკეესა და ქსენოფობიაში. ამგვარად, ფულტონის გამოსვლამდე ხუთი თვით და ოფიციალურ "ჟდანოვშჩინამდე" თითქმის ერთი წლით ადრე, სტალინმა, ფაქტობრივად, ჩაატარა დასავლეთის წინააღმდეგ მიმართული ამ კამპანიის რეპეტიცია თავის დაახლოებულ პირებზე და მოხერხებულად გამოიყენა მასში ჩერჩილის ფიგურა საფრთხობელად. პასუხად კვლავ ექოსავით გაისმის მოლოტოვის ბოდიშები: "მე ეს შეცდომად მიმაჩნია, რადგან ჩვენთან გამოქვეყნებული სახითაც კი, გამოვიდა, რომ რუსეთის და სტალინის ქება-დიდება ჩერჩილის მხრიდან საბჭოთა კავშირის მიმართ მტრულ მიზნებს ემსახურებოდა. ყოველ შემთხვევაში, შენი თანხმობის გარეშე ამის გამოქვეყნება არ შეიძლებოდა."

ამასობაში საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სააგენტო განაგრძობდა ბელადისათვის დასვენების მოწამვლას. 1 დეკემბერს ინგლისურმა გაზეთმა "დეილი ჰერალდმა" "მოსკოვში არსებულ საბჭოთა წყაროებზე დაყრდნობით" კვლავ წამოჭრა მთავრობის მეთაურის პოსტზე მოლოტოვის დაბრუნების თემა (რომელზეც იგი შეცვალა სტალინმა 1941 წელს). გარდა ამისა, გაზეთის სიტყვებით, ანონიმურ, მაგრამ, როგორც ჩანს, მეტად გავლენიან "რუსებს უნდათ, გარე სამყარომ ბოლოს და ბოლოს

გაიგოს, რომ აბსოლუტურად მცდარია და არც ოდესმე ყოფილა მართალი, მოსაზრება იმის თაობაზე, თითქოს სტალინი არის საბჭოთა კავშირის თავისებური უმაღლესი დიქტატორი. რუსებს სურთ, გარე სამყარომ გაიგოს, რომ საბჭოთა კავშირში საკმარისად არიან ადამიანები, რომლებსაც სტალინის შვებულებაში ყოფნისას პოლიტიკურ საქმეთა წარმართვა ძალუძთ."

მინიშნებამ იმაზე, რომ მოსკოვში შეიძლება სტალინის გარეშეც გაძლონ, როგორც ჩანს, უკანასკნელის საშინელი აღშფოთება გამოიწვია - არა მხოლოდ ინგლისელი მჯღაბნელების და ინფორმატორების მიმართ, არამედ მოლოტოვის მხრიდან ხელის მიშვების გამოც, ვინაიდან უცხოელი კორესპონდენტების მიერ მოსკოვიდან გაგზავნილი სატელეგრაფო შეტყობინებების ცენზურა მის უწყებას ევალებოდა. სტალინმა მოლოტოვს დაურეკა და ახსნა-განმარტება მოსთხოვა. მან განაცხადა (როგორც აღწერა ხსენებული საუბარი თავად სტალინმა "ოთხეულისადმი" მორიგ დეპეშაში), "მიმაჩნდა, რომ უცხოელ კორესპონდენტებს შეიძლებოდა ცოტა უფრო ლიბერალურად მოვქცეოდით და განსაკუთრებული სიმკაცრის გარეშე გაგვეტარებინა კორესპონდენციებიო. მე ვუპასუხე, რომ ეს საზიანოა ჩვენი სახელმწიფოსათვის." პასუხად, მოლოტოვი, ცხადია, შეჰპირდა სტალინს მდგომარეობის გამოსწორებას. ამიტომაც, ადვილი წარმოსადგენია მისი რეაქცია, როდესაც ერთი დღის შემდეგ წაიკითხა "რეიტერის" სააგენტოს ცნობა "სსრკ-ში ცენზურის შესუსტების... შესახებ." სააგენტო პირდაპირ მიუთითებდა მოლოტოვზე, როგორც "რკინის ფარდის ასაწევად" სსრკ-ის მზადყოფნის ერთ-ერთ ინიციატორზე და იმოწმებდა რამდენიმე უცხოელი კორესპონდენტის გამონათქვამს იმის შესახებ, რომ მოსკოვიდან გაგზავნილი მათი კორესპონდენციები ადრინდელთან შედარებით უფრო თავისუფლად გადიოდნენ კონტროლს. თვითმხილველები ყვებოდნენ, აგრეთვე, პიკანტურ გარემოებებს, რომლებშიც მოლოტოვმა მიიღო ეს გადაწყვეტილება. 7 ნოემბრის აღსანიშნავად კრემლში დიპლომატიური კორპუსისათვის გამართულ დარბაზობაზე პირველი ვიცე-პრემიერი, რომელიც სტალინის არყოფნისას უმაღლეს საბჭოთა ხელმძღვანელობას წარმოადგენდა, ჭიქით ხელში მოულოდნელად მიუახლოვდა ერთ-ერთ ამერიკელ კორესპონდენტს და უთხრა: "ჩემთვის ცნობილია, რომ თქვენ, კორესპონდენტებს რუსული ცენზურის თავიდან მოშორება გსურთ. რას იტყოდით, ურთიერთნაცვალგების პირობებით

რომ დავთანხმდე ამაზე?" "რეიტერის" სიტყვებით, "მოლოტოვის ნათქვამით აღფრთოვანებულმა კორესპონდენტმა მაშინვე წარმოთქვა მეტი ურთიერთგაგების სადღეგრძელო."

სტალინმა ხელახალა დაურეკა მოლოტოვს და ამ ზარმა ისეთი აურზაური გამოიწვია კრემლში, რომ ოცი წლის შემდეგაც კი, ცენტრალური კომიტეტის ივლისის (1957 წ.) პლენუმზე ა.ი. მიქოიანს მშვენივრად ახსოვდა ყველა წვრილმანი: "იგი (მოლოტოვი - ვ.პ.) დარბაზობაზე იყო, ამიტომ უცხოელ კორესპონდენტთან მისი საუბარი, შეიძლებოდა გაეგოთ ისე, როგორც თანხმობა - ცენზურის გარეშე გაეშვა დასავლეთის ჟურნალისტთა კორესპონდენციები. სტალინმა წაიკითხა ამის შესახებ და შეუტია: "ვინ მოგცა ცენზურის გაუქმების უფლება?" მოლოტოვმა უპასუხა, რომ არ გაუუქმებია. სტალინი კი: "სიმთვრალეში რას აღარ წამოაყრანტალებ ხოლმე!"[20] (თავისი დიპლომატიური პრაქტიკის მანძილზე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა, თვითმხილველთა თქმით, დარბაზობებზე ერთი-ორჯერ მართლაც ზედმეტი გადაკრა).

ამ ახსნა-განმარტების შემდეგ სტალინმა "ოთხეულს" მოსთხოვა ძიების ჩატარება და დამნაშავეთა პოვნა, რათა მომავალში გამორიცხული ყოფილიყო "საბჭოთა მთავრობის შესახებ ახალი პასკვილების" ბეჭდვის შესაძლებლობა. თავის ანგარიშში "ოთხეული" ცდილობს შეარბილოს სიტუაცია, აღიარებს საგარეო საქმეთა კომისარიატის პრესის განყოფილების რიგითი თანამშრომლების ცალკეულ შეცდომებს და პირობას დებს, რომ "გააძლიერებს კონტროლს." ამავე დროს, "ოთხეული" ცდილობს, როგორღაც გაამართლოს მოლოტოვის საქციელი ნოემბრის ავადსახსენებელ დარბაზობაზე, სადაც, თითქოს-და, მას "მიაწერეს სიტყვები, რომლებიც არ უთქვამს." ამასთან, "ოთხეული" იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ "ცენზურა უცხოელი კორესპონდენტების დეპეშებზე ნოემბრის თვეში მართლაც, გარკვეულწილად, შესუსტებული იყო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პრესის განყოფილებისათვის მოლოტოვის მიერ მიცემული მითითების შესაბამისად." ისევ მოლოტოვი!

ჩვენ მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეგვიძლია იმის შესახებ, თუ რატომ გამოეხმაურა მოლოტოვი უცხოელი კორესპონდენტების უამრავ ჩივილს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენზურის თავაშვებულობაზე. ამ მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე სახალხო კომისარმა მიიღო უცხო-

ელი კორესპონდენტების ჯგუფის უგრძესი, აღშფოთებული წერილი, რომელშიც დაწვრილებით იყო ჩამოთვლილი მათი შეტყობინებების დამახინჯების და დაგვიანების შემთხვევები. მოლოტოვმა ოფიციალური პასუხისაგან თავი შეიკავა, მაგრამ შეამოწმა პრესის განყოფილების მუშაობა და დარწმუნდა (როგორც იუწყებოდა "ოთხეულის" იგივე დეპეშა), რომ "აღნიშნული განყოფილების ცენზორები ძალიან ხშირად, აუცილებლობის გარეშე, შლიდნენ უცხოელი კორესპონდენტების დეპეშებიდან ცალკეულ ადგილებს და გამონათქვამებს." ჩანს, სწორედ ამ გარემოებამ უბიძგა მოლოტოვს ავადხსენებული "კეთილი ნების" ჟესტისაკენ დასავლეთის პრესის მიმართ. ამგვარი ხელის მიშვება, როგორც იგი ცდილობდა თავი გაემართლებინა სტალინის წინაშე, მიზანშეწონილად მოეჩვენა "ახლა, როცა ომი უკვე დამთავრდა." სტალინს კი ყველაზე მეტად სწორედ ის ეჩოთირებოდა, რომ მტერი აღარ არსებობდა და, მაშასადამე, შესაძლებელი იყო ცოტათი მოდუნება. ეს კარგად ჩანს ჩერჩილის გამოსვლის პუბლიკაციის ეპიზოდიდანაც.

ძნელი სათქმელია, ნამდვილად დაიჯერა თუ არა სტალინმა, რომ მოლოტოვი მის ზურგს უკან დასავლეთთან დიდ პოლიტიკურ თამაშს ეწეოდა, თუ მიიჩნია, რომ ამ უკანასკნელმა უბრალოდ დაუშვებელი დამოუკიდებლობა გამოიჩინა. თუმცა, სტალინის უსაზღვრო ეჭვიანობის გათვალისწინებით, პირველი უფრო საფიქრებელია, მით უფრო, რომ ამგვარი ახსნა ლონდონის სესიიდან მოყოლებული, მოლოტოვის მიერ დაშვებული ყველა "შეცდომის" ლოგიკურად გაერთიანების საშუალებას იძლეოდა. სტალინის ამაში დარწმუნება შეეძლო სხვა ინფორმაციასაც, პირველ რიგში, ბერიასაგან მიღებულს, რომლის აგენტები, ცხადია, იტყობინებოდნენ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ყველა (განსაკუთრებით კი არაჩვეულებრივი) ნაბიჯის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, სტალინისათვის მოლოტოვის მაკომპრომეტირებელი მასალის მიწოდება ცენტრალური კომიტეტის ივლისის (1953 წ.) პლენუმზე ბერიას ედებოდა ბრალად.

თუმცა, თუნდაც საქმე მხოლოდ უბრალო თვითნებობაში ყოფილიყო, სტალინის აზრით, ესეც მეტისმეტი იყო და მოითხოვდა პოლიტიკურ შეფასებას. სწორედ მაშინ გადაწყვიტა მან მოლოტოვისათვის სუბორდინაციის და ფხიზლად ყოფნის მკაცრი გაკვეთილი ჩაეტარებინა,

რომელიც სხვა თანამებრძოლებისთვისაც ჭკუის სასწავლებელი უნდა გამხდარიყო. სტალინმა მართლაც ოსტატურად გაითამაშა სამი აქტისაგან შემდგარი ეს პატარა პიესა.

აქტი პირველი. სტალინი დემონსტრატიულად უკეთებს იგნორირებას მოლოტოვს და გარდაქმნის რა "ოთხეულს" "სამეულად," დეპეშით აცნობებს მალენკოვს, ბერიას და მიქოიანს, რომ "აბსოლუტურად არადამაკმაყოფილებლად" მიაჩნია მათი პასუხი ცენზურის საქმესთან დაკავშირებით. განიხილავს მას, როგორც იმ "საქმის მიფუჩეჩების" მცდელობას, რომელიც, ერთი მხრივ, "სამეულის მიამიტობის შედეგია, ხოლო მეორე მხრივ, ჯგუფის მეოთხე წევრის - მოლოტოვის მოხერხებულობისა. ხომ კითხულობდა მოლოტოვი ყველა ამ პასკვილს, ზიანი რომ მოაქვთ ჩვენი სახელმწიფოს პრესტიჟისათვის. რატომ არ მიიღო სათანადო ზომები?" "არც ერთ ჩვენგანს, - ჭკუას არიგებს მათ სტალინი, - უფლება არა აქვს მიიღოს ერთპიროვნული გადაწყვეტილებები ჩვენი პოლიტიკის კურსის შეცვლის საქმეში. მოლოტოვმა კი მიითვისა ეს უფლება. რატომ, რის საფუძველზე? იმიტომ ხომ არა, რომ ეს პასკვილები შედის მისი მოღვაწეობის გეგმებში?" (აი, ყველაზე უფრო შავი ეჭვი). "თქვენგან დაშიფრული ცნობის მიღებამდე, - აჯამებს სტალინი, - ვფიქრობდი, რომ შესაძლებელია მოლოტოვისადმი საყვედურით დავკმაყოფილდეთ. ამჟამად ეს უკვე საკმარისი არ არის. დავრწმუნდი, რომ მოლოტოვი არც თუ ისე უფრთხილდება ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებს და ჩვენი მთავრობის პრესტიჟს, ოღონდ კი პოპულარობა მოიპოვოს უცხოეთის ზოგიერთ წრეებში. ასეთ ამხანაგს ვეღარ ჩავთვლი ჩემ პირველ მოადგილედ." ამრიგად, საუბარია მოლოტოვის გადადგომაზე ჯერ კიდევ გაურკვეველი შედეგებით (რაც არ უნდა იყოს, ის ჯერ კიდევ "ამხანაგად" მოიხსენიება).

დიდმა ინკვიზიტორმა გულდასმით მოიფიქრა მომავალი დამამცირებელი ეგზეკუციის პროცედურაც: მოითხოვს, გამოიძახონ მოლოტოვი და გააცნონ ეს დაშიფრული ცნობა, ოღონდ ასლი ხელში არ უნდა გადასცენ ("ამას თქვენ გიგზავნით და არა მას, - შეთქმულივით დასძენს იგი, - რადგან ზოგიერთ მის ახლობელს არ ვენდობი."). ამგვარად, "სამეული" თითქოსდა უფლებამოსილ ტრიბუნალად გადაიქცა, მოლოტოვი - უცაბედად გამოჭერილ ბრალდებულად, ხოლო სტალინის დეპეშა - საბრალდებო განაჩენად.

აქტი მეორე. იმავე დღეს, მითითების თანახმად, "სამეულმა" "ხალიჩაზე გამოიძახა" შერისხული მოვალეობის აღმსრულებელი და სტალინის დეპეშა წაუკითხა. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ეს სცენა, რომელიც შექსპირსაც კი დასდებდა პატივს, - ნიშნის მოგების, შიშის და თანაგრძნობის ნარევი ერთი მხრიდან და სასიკვდილო დაბნეულობა - მეორედან. ამ პირქუშად საზეიმო მოქმედების ყველა მონაწილეს მშვენივრად ესმოდა, თუ რა განსხვავება იყო "პატრონის" მიერ მოწყობილ რიგით შეხვედრებსა და "ამხანაგების წინაშე" პოლიტიკური უნდობლობის გამოხატვას შორის. სცენარი კი მხოლოდ შემქმნელი, სოჭში მყოფი რეჟისორისათვის იყო ცნობილი. გავა წლები და მოლოტოვის პოსტსტალინური "რეაბილიტაციისას" მალენკოვი და მიქოიანი თვითკრიტიკულად მოინანიებენ თავიანთ "იძულებით თანხმობას" უფროსი ამხანაგის საწინააღმდეგოდ სტალინის მიერ მოწყობილ კამპანიაზე.[22] მაშინ კი მათ სტალინს შემდეგი შინაარსის ანგარიში გაუგზავნეს: "გამოვიძახეთ მოლოტოვი, წავუკითხეთ დეპეშა. ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ მან თქვა, რომ უამრავი შეცდომა დაუშვა, მაგრამ ამგვარი უნდობლობა უსამართლოდ მიაჩნია, ცრემლი მოერია. შევახსენეთ შეცდომები." ამის შემდეგ ჩამოთვლილი იყო მოლოტოვის ყველა ცოდვა - დაწყებული ლონდონის შეხვედრიდან, სადაც, როგორც მას სტალინის კარნახით გაუხსენა "სამეულმა," საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა "ყოველგვარი საჭიროების გარეშე მოიშველია მთავრობის მითითება (იგულისხმებოდა სტალინის 21 სექტემბრის მითითება - ვ.პ.) და იმგვარად მოიქცა, რომ უცხოელთა თვალში მოლოტოვი დამთმობი, ხოლო საბჭოთა მთავრობა და სტალინი არადამთმობი პოლიტიკის მომხრეები გამოვიდნენ." ამ ბრალდებებს თანამებრძოლებმა თავის მხრივ დაამატეს კიდევ ერთი: "7 ნოემბერს გამართულ ბანკეტზე თანხმობა მიეცი ჩერჩილის ვაჟის მიღებაზე... მიღება არ შედგა, იმიტომ, რომ ჩვენ გამოვთქვით საწინააღმდეგო მოსაზრება." (ჩერჩილის ვაჟი რენდოლფი იმ ხანებში ჟურნალისტად იყო მოსკოვში ჩამოსული. - ვ.პ.).

"სამეულის" წევრები ბელადის უშუალო დავალების უბრალოდ შესრულებით როდი შემოიფარგლნენ: მათ კარგად იცოდნენ, რომ იგი, ამავე დროს, "სამეულსაც" სცდიდა, ამიტომ კიდევ უფრო შორს წავიდნენ და გადაწყვიტეს მოლოტოვის საქციელისათვის პოლიტიკური შეფასებაც

მიეცათ, რომელიც მთლიანად დაემთხვეოდა მათ მიერ ამოცნობილ სტალინისეულ შეხედულებებს. "ბოლოს ჩვენ ვუთხარით მოლოტოვს, რომ უკანასკნელ ხანებში მის მიერ დაშვებული ყველა შეცდომა, მათ შორის, შეცდომები ცენზურის საკითხში, ინგლისისა და ამერიკისათვის დათმობების პოლიტიკას ეხმაურება, და, რომ უცხოელებს უჩნდებათ აზრი, თითქოს მოლოტოვს საკუთარი, სახელმწიფოსა და სტალინის პოლიტიკისაგან განსხვავებული პოლიტიკა აქვს, რისი წყალობითაც მასთან საქმეების მოგვარება შეიძლება." ბრალდება მძიმე იყო, მაგრამ "სამეულმა" თავი შეიკავა საორგანიზაციო დასკვნებისაგან, რადგან სტალინის საბოლოო განაჩენს ელოდებოდა.

იმავე დღეს სტალინმა აგარაკზე მიიღო მონანიების წერილი პირადად მოლოტოვისაგან. მის სიცოცხლეში ეს, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე გულში ჩამწვდომი დოკუმენტი იყო, რომელსაც მოლოტოვისეული პათოსის აპოთეოზი აგვირგვინებდა: "შენი დაშიფრული დეპეშა ჩემ, როგორც ბოლშევიკის და ადამიანის მიმართ, დიდი უნდობლობით არის გამსჭვალული, რასაც ვღებულობ, როგორც ძალზე სერიოზულ პარტიულ გაფრთხილებას მთელი ჩემი მომავალი მუშაობისათვის, სადაც არ უნდა ვიმუშაო. ვეცდები საქმით მოვიპოვო შენი ნდობა, რომელშიც ყოველი პატიოსანი ბოლშევიკი უბრალოდ პირად ნდობას კი არა, პარტიის ნდობას ხედავს, რაც ჩემთვის სიცოცხლეზე ძვირფასია." მიუხედავად ასეთი აღელვებული ტონისა, მოლოტოვის დეპეშა გულდასმით არის მოფიქრებული. მასში არის ყველაფერი, რაც საჭიროა პარტიული მონანიების რიტუალის დასაცავად: გულწრფელი მონანიება და დამსახურებული სასჯელისათვის მზადყოფნა, პარტიისა და პირადად სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულება.

აქტი მესამე. სტალინი სადისტურად ორდღიან პაუზას აკეთებს (ადვილი წარმოსადგენია, რა განიცადა ამ ხნის განმავლობაში მოლოტოვმა). მერე გვიან ღამით პასუხობს დეპეშით, რომლის ადრესატი უკვე მთელი "ოთხეულია" და ამით ერთგვარად აბრუნებს მოლოტოვს თავის ახლო წრეში. საჭირო ეფექტი მიღწეულია, ახლა სულგრძელობის გამომჟღავნების და მომხდარისათვის საკუთარი, საბოლოო შეფასების მიცემის დროა. მით უფრო, რომ ამ მომენტისათვის საერთაშორისო სიტუაციაში იმედისმომცემი ძვრები მოხდა: ბულგარეთსა და იუგოსლა-

ვიაში საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოების არჩევნებში პროსაბჭოთა ძალებმა გაიმარჯვეს, ხოლო სახელმწიფო მდივანმა ბირნსმა, ცდილობდა რა ლონდონის შემდეგ წარმოქმნილი კვანძის გახსნას, შემოიტანა წინადადება, საგარეო საქმეთა მინისტრების ახალი შეხვედრა მოსკოვში ჩაეტარებინათ, ამჯერად "დიდი სამეულის" ფორმატით მოსკოვში ჩაეტარებინათ. ეს უკანასკნელი ამბავი კრემლისათვის მით უფრო სასიამოვნო იყო, რომ ბირნსის წინადადება არ იყო შეთანხმებული ინგლისელებთან, რამაც (ლონდონში აშშ-ის ელჩის თქმით) "ბევინის და მისი კაბინეტის დიდი აღშფოთება გამოიწვია."[23] კვლავ გამოჩნდა ინგლის-ამერიკის უთანხმოებებზე თამაშის შესაძლებლობა. მოკლედ, თითქოს თავად მოვლენათა განვითარება ადასტურებდა სტალინის მთელი სტრატეგიის სისწორეს მოყოლებული ლონდონიდან. რჩებოდა მხოლოდ მისი შედეგების შეჯამება და "მოლოტოვის შეცდომების" ფართო პოლიტიკურ კონტექსტში ჩასმა. სწორედ ეს გააკეთა სტალინმა "ოთხეულისათვის" გაგზავნილ საბოლოო წერილში. "ხუთი მინისტრის ლონდონის კონფერენციასა და სამი მინისტრის მომავალ მოსკოვის კონფერენციას შორის მომხდარ მოვლენათა საგარეო პოლიტიკურ ანალიზს თუ გავაკეთებთ, შეიძლება მივიდეთ შემდეგ დასკვნებამდე:

1. "ჩვენი სიმტკიცის წყალობით მოვიგეთ ბრძოლა მოსკოვის თათბირის შემადგენლობასთან დაკავშირებით," ვინაიდან ამ შემადგენლობიდან ჩინეთის და საფრანგეთის გამორიცხვა იმას ნიშნავს, რომ "ამერიკამ და ინგლისმა უკან დაიხიეს ლონდონში დაკავებული პოზიციიდან."
2. "მოვიგეთ ბრძოლა ბულგარეთსა და იუგოსლავიაში. ამას მოწმობს ამ ქვეყნებში ჩატარებული არჩევნების შედეგები. ხსენებული ქვეყნების საკითხებში ყოყმანი რომ დაგვეწყო და სიმტკიცე არ გამოგვეჩინა, ბრძოლას აუცილებლად წავაგებდით."
3. "ერთხანს თქვენ დაემორჩილეთ დაშინებას და ზეწოლას ამერიკის მხრიდან, - მიმართავს იგი მოლოტოვს, - დაიწყეთ ყოყმანი, დაიჭირეთ ლიბერალური კურსი უცხოელი კორესპონდენტების მიმართ და აშშ-ის და ინგლისის გულის მოსაგებად საკუთარი მთავრობა სალანძღავად მიუგდეთ ამ კორესპონდენტებს. თქვენი ანგარიში, ცხადია, მიამიტური იყო. მე მეშინოდა, რომ ამ ლიბერალიზმით ძირს გამოუთხრიდით ჩვენს მტკიცე პოლიტიკას და დააღალატებდით

ჩვენ სახელმწიფოს. სწორედ იმ ხანებში მთელი უცხოური პრესა გაჰყვიროდა, რომ რუსებმა ვერ გაუძლეს, დათმეს და შემდგომ დათმობებზეც წავლენ. მაგრამ შემთხვევა (როგორც ჩანს, მინიშნებულია მისი საკუთარი პროვიდენციალური ჩარევა. ვ.პ.) დაგეხმარათ და დროულად დაუბრუნდით სიმტკიცის პოლიტიკას." და, აი, ისიც - მთავარი მცნება დასავლეთელ მოკავშირეებთან ურთიერთობებში: "ცხადია, რომ ისეთ პარტნიორებთან საქმის დაჭერისას, როგორიც აშშ და ინგლისი არიან, სერიოზულს ვერაფერს მივაღწევთ, თუ ჩვენი დაშინების უფლებას მივცემთ და მერყეობას გამოვიჩენთ. ასეთ პარტნიორებთან რაიმეს რომ მიაღწიო, სიმტკიცისა და გამძლეობის პოლიტიკით უნდა შეიარაღდე."

4. "სწორედ იმავე სიმტკიცისა და გამძლეობის პოლიტიკით უნდა ვიხელმძღვანელოთ სამი მინისტრის მომავალი კონფერენციის მუშაობისას."

სტალინის ეს მითითება, რომელშიც შეჯამებული იყო ლონდონის კონფერენციის შემდგომი მთელი პერიოდი, იმავე დროს მოსკოვის სამი მინისტრის თათბირისათვის თავისებური, სრულიად საიდუმლო უვერტიურა გახდა. ამ თათბირმა ბევრად გაამართლა კრემლის იმედები: მთავრობების შემადგენლობაში მცირედი ცვლილებების შედეგად მოხერხდა გზის გაკვლევა დასავლეთის მიერ რუმინეთის და ბულგარეთის რეჟიმების აღიარებისაკენ. მოილაპარაკეს იაპონიის საკითხთან დაკავშირებით შორეული აღმოსავლეთის კომისიის და მოკავშირეთა საბჭოს შექმნის, აგრეთვე, მომავალი სამშვიდობო კონფერენციის პროცედურის შესახებ. გარკვეულ დათმობებზე მოსკოვიც წავიდა — დათანხმდა კონფერენციის გაფართოებულ შემადგენლობაზე და ინგლის-ამერიკა-კანადის წინადადებაზე - გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ატომურის ენერგიის კომისიის შექმნის თაობაზე. თუმცა, შიდა საბჭოთა შეფასების მიხედვით, მთლიანობაში, დათმობების ბალანსი სსრკ-ის სასარგებლოდ იყო, რაც მომავლის იმედებს იძლეოდა. "ამ თათბირზე, - ნათქვამი იყო შეხვედრის შედეგებთან დაკავშირებით გამოცემულ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შიგა სამსახურებრივ ცირკულარში, - ჩვენ შევძელით მიგვეღწია გადაწყვეტილებებისათვის ევროპისა და შორეული აღმოსავლეთის მნიშვნელოვან საკითხებზე და მხარი

დაგვეჭირა ომის დროს ჩამოყალიბებული სამი სახელმწიფოს თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის."

თუმცა, ეს ოპტიმიზმი ნაჩქარევი აღმოჩნდა. ვაშინგტონში დაბრუნებული ბირნსი, რომელიც თეთრ სახლს აწვდიდა არასრულ ინფორმაციას მოლაპარაკებების მიმდინარეობის შესახებ, ტრუმენმა თვითნებობაში დაადანაშაულა, განუცხადა, რომ იგი "მეტისმეტად ელოლიავება საბჭოთა კავშირს,"[24] რაც, თითქმის ზედმიწევნით იმეორებდა სტალინსა და მოლოტოვს შორის მომხდარ ზემოთ აღწერილ კოლიზიას. მოსკოვის მოლაპარაკებათა ერთი ნაწილი (პირველ რიგში, იაპონიის შესახებ) ამერიკელებმა მალევე დაარღვიეს. აშშ და ინგლისი სწრაფად მიემართებოდნენ თავიანთი მკაცრი კურსისაკენ. წინ იყო არა ახალი იალტა, არამედ ფულტონი.

დაბოლოს, მართალია, 1945 წლის შემოდგომაზე სტალინმა აპატია მოლოტოვს, მაგრამ ეს ამბავი არ დაუვიწყა არც მას და არც კრემლის ტახტის პრეტენდენტთა რიცხვში შემთხვევით მოხვედრილ ჟუკოვს. ეს უკანასკნელი მან 1946 წლის ზაფხულში, ხოლო მოლოტოვი — 1949 წლის იანვარში მოხსნა, რის საბუთადაც გამოიყენა ჩვენთვის უკვე ნაცნობი მიმოწერა "მოლოტოვის შეცდომების შესახებ" (იგი ხელმოწერით დაურიგეს პოლიტბიუროს "შვიდეულის" წევრებს). ამ ამბის ბოლო, მესამე რაუნდი გათამაშდა კიდევ უფრო ფართო წრეში — ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის პლენუმზე, სადაც გაუთვითცნობიერებელი ცენტრალური კომიტეტის წევრების გასაოცრად, სტალინი თავს დააცხრა მოლოტოვს და მიქოიანს (რომელსაც, ასევე, ჰქონდა დაშვებული თითო-ოროლა ამგვარი შეცდომა), როგორც მსოფლიო იმპერიალიზმის დამქაშებს. "ვფიქრობ, კიდევ ერთი-ორი წელი რომ ეცოცხლა, - იხსენებდა მოლოტოვი დიდი ხნის შემდეგ, - ნამდვილად მეც ვეღარ გადავრჩებოდი."

შენიშვნები

1. იხ.: Архив внешней политики Российской Федерации (შემდგომ - АВП РФ). Ф.0431. Оп.1. П.1. Д.1. Л.14-15.
2. АВП РФ. Ф.06. Оп.7. П.43. Д.678. Л.70.
3. АВП РФ. Ф.06. Оп.7. П.15. Д.149. Л.1.
4. АВП РФ. Ф.0431. Оп.1. П.1. Д.1. Л.14-15.

5. ფეხბურთის გუნდი "დინამო" ლონდონში იმყოფებოდა 1954 წლის ნოემბრის პირველ ნახევარში და ოთხი მატჩი ჩაატარა ინგლისის კლუბებთან. ამ პირველი საფეხბურთო გარღვევის საერთო ანგარიში იყო 19:9 "დინამოს" სასარგებლოდ.
6. Ф.Чуев. Сто сорок бесед с Молотовым. М. 1992. с. 103.
7. A. Bullock. Ernest Bevin. Foreign Secretary. Oxford - New-York, 1985. p.135.
8. Foreign Relations of the United States (შემდგომ - FRUS). 1946 (2) Washington. 1970. p. 330.
9. იქვე.
10. Переписка Председателя Совета Министров СССР с президентами США и премьер-министрами Великобритании во время Великой Отечественной войны 1941-1945 гг. т. 2. М. 1957. с. 269, 270.
11. АВП РФ. Ф.06. Оп.7. П.2. Д.33. Л.111-112.
12. J. Byrnes. Speaking Frankly. New-York. 1947. p. 105.
13. "Правда", 7 ноября, 1945 г.
14. FRUS. 1946 (2). p. 559.
15. G. Kennan to Berlin and Vienna, October 6, 1945. - Library of Congress, W.A. Harriman Papers, Chronological File, October 1-7, 1945, Container 183.
16. "Правда". 10 октября, 1945 г.
17. W.A. Harriman to Secretary of State, October 10, 1945. - W.A. Harriman Papers, Chronological File, October 8-15, 1945, Container 183.
18. W.A. Harriman to Secretary of State, October 26, 1945. - W.A. Harriman Papers. Chronological File, October 26-30, Container 183.
19. "Правда". 9 ноября, 1945 г.
20. Центр хранения современной документации (შემდგომ - ЦХСД). Ф.2. Оп.1. Д.248. Л.67.
21. იხ. მაგალითად, გ.მ.მალენკოვის მოხსენება და ვ.ა.მალიშევის გამოსვლა (ЦХСД. Ф.2. ОП.1. Д.45. Л.5, 40.)
22. იხ. გ.მ.მალენკოვის დასკვნითი სიტყვა ცენტრალური კომიტეტის ივლისის 1953 წლის პლენუმზე (ЦХСД. Ф.2. Оп.1. Д.38. Л.11.)
23. FRUS. 1945 (2). Washington. 1969. p. 581.
24. H. Truman. Year of Decisions. Memoirs. Vol. 1. New York. 1955. p. 492-493.
25. Ф. Чуев. Указ. соч. с. 279.

ვლადიმერ პეჩატნოვი

შტრიხები გენერალური მდივნის პორტრეტისათვის
(ახალი საბუთების მიხედვით)

საინტერესო ფაქტია, რომ რაც უფრო ვშორდებით იმ ეპოქას, არ წყდება კამათი გასული საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამოუცნობი ფიგურის - სტალინის შესახებ. პირიქით, ის უფრო დიდი ძალით ჩაღდება. ასე, მაგალითად, ცოტა ხნის წინ იელის უნივერსიტეტში ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე - "სტალინი და "ცივი ომი" - სხვადასხვა ქვეყნის ისტორიკოსებმა ვერა და ვერ შეძლეს შეთანხმება იმის თაობაზე, თუ რა ამოძრავებდა სტალინს, ვინ იყო იგი სინამდვილეში - მსოფლიო რევოლუციის რომანტიკოსი, საბჭოთა იმპერიალისტი თუ, უბრალოდ, ცინიკური პრაგმატიკოსი? იყო იგი ბოროტი გენიოსი თუ უფერული, საშუალო პოლიტიკოსი, რომლის მოღვაწეობის შედეგები, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკის დარგში, ხშირად თავდაპირველი მიზნების საწინააღმდეგო აღმოჩნდებოდა ხოლმე.

ახალი საბუთები, რომლებიც მოვიპოვეთ სტალინის და რუსეთის სხვა არქივებიდან, მართალია, საბოლოოდ ვერ წყვეტს ამ საკითხებს, მაგრამ ასე თუ ისე, ახალ მასალას იძლევა მსჯელობისათვის, ჩვენთვის უკვე ცნობილ პორტრეტს ახალ შტრიხებს მატებს.

"სახელმწიფო მე ვარ"

სტალინს გაცილებით უფრო მეტი საფუძველი გააჩნდა თავის თავზე ეთქვა ეს ფრთიანი ფრაზა, რომელსაც ლუდოვიკო XIV-ს მიაწერენ. ის ხომ უბრალოდ რუსეთის სახელმწიფოებრიობის მორიგი მატარებელი კი არა, ახალი, ისტორიაში ჯერ არნახული სახელმწიფოს შემქმნელი გახლდათ. თუ ბოლშევიკური პარტიის ფუძემდებელი და ოქტომბრის რევოლუციის ბელადი ლენინი იყო, რომელმაც მომავალი საბჭოთა სახელმწიფოს საკმაოდ ბუნდოვანი მონახაზი დატოვა, სტალინმა განავითარა ეს გეგმა და ცხოვრებაში გაატარა იგი. სტალინს საკუთარი თავი სოციალიზმის მშენებლობის უდიდეს თეორეტიკოსად და პრაქტიკოსად მიაჩნდა.

სურდა, ამგვარად გაეცნობიერებინათ იგი როგორც მის ქვეშევრდომებს, ისე დანარჩენ მსოფლიოს. "მსოფლიოში არავის უხელმძღვანელია ესოდენ ფართო მასებისათვის," - კარნახობდა სტალინი აგიტპროპის ხელმძღვანელებს თეზისებს წიგნისთვის - "ამხანაგ სტალინის ბიოგრაფია" (1946 წლის 23 ოქტომბერი), რომელიც იმხანად გამოსაცემად მზადდებოდა. მოძღვრება მუდმივი ფაქტორების შესახებ; მოძღვრება ერთ ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვების თაობაზე; მოძღვრება კოლექტივიზაციის, ინდუსტრიალიზაციის შესახებ; მოძღვრება სახელმწიფოს თაობაზე.[1]

საკუთარი თავის გაიგივება სახელმწიფოსთან ძლიერდებოდა იმით, რომ სსრკ სტალინისათვის არა მხოლოდ მთავარი პირმშო, არამედ მისი პიროვნების გიგანტური განგრძობა იყო. მართლაც, მსოფლიოს არც ერთი უდიდესი სახელმწიფო არ შექმნილა ამდენად ერთადერთი ადამიანის ხატის მიხედვით, ადამიანისა, რომელსაც ფენომენალური ეჭვიანობა და სისასტიკე ახასიათებდა. თუმცა, ასევე, გააჩნდა იშვიათი ნიჭი, ერთპიროვნულად ემართა უზარმაზარი ქვეყანა - საგაზეთო სტატიების რედაქტირებიდან დაწყებული, ურთულესი სამხედრო და ტექნიკური პროგრამების შესრულების მუდმივი პირადი კონტროლით დამთავრებული.

სტალინის მიერ შექმნილ მმართველ პირამიდაში არსებით საკითხებზე გადაწყვეტილებებს მხოლოდ იგი ღებულობდა. მხოლოდ მასთან იყრიდა თავს უზარმაზარი ინფორმაცია ქვეყანასა და მთელ მსოფლიოში მდგომარეობის შესახებ. ეს ინფორმაცია ხშირად მრავალ წვრილმანსაც შეიცავდა, რომელთაც ხელქვეითები პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, ჩვეულებისამებრ, "უმაღლეს" ინსტანციას "გადაულოცავდნენ" ხოლმე. ასე მაგალითად, 1950 წლის შემოდგომაზე საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოახსენა მას აშშ-ის საელჩოს თანამშრომლის - ჰირშფილდის მეეზოვესთან ჩხუბის თაობაზე და მეორე ამერიკელი დიპლომატის მიერ ქვეყანაში 130 კილოგრამი კარტოფილის შემოტანის შესახებ, რაც აკრძალული იყო.

სტალინი ყველას და ყველაფერს უთვალთვალებდა, რადგან მშვენივრად ესმოდა, რომ მისი "ყოვლისმხედველი თვალის," გამუდმებული შეჯორვისა და დამნაშავეთა დასჯის გარეშე მის მიერ შექმნილი სახელისუფლებო ვერტიკალი გარდუვალად ატროფირდებოდა. სტალინი იძულებული იყო, მეთვალყურეობის ქვეშ ჰყოლოდა ასობით და ათა-

სობით საბჭოთა ჩინოვნიკი და ორგანიზაცია, სისტემატურად აღმოჩინა ნაკლოვანებები სხვადასხვა სფეროში. აი, რამდენიმე ტიპური მაგალითი.

1945 წლის დეკემბერში, კავკასიაში შვებულების დროს სტალინმა ერთ-ერთ დაშიფრულ ცნობაში შენიშნა ინფორმაცია პარიზში სსრკ-ის ელჩის, იმ დროის ერთ-ერთი საუკეთესო საბჭოთა დიპლომატის, ა. ბოგომოლოვის მიერ გამოთქმული პროტესტის შესახებ. პროტესტი ეხებოდა ფრაგნულ პრესაში გავრცელებულ სპეკულაციას, კრემლის პატრონის შესაძლო გადადგომის თაობაზე. სტალინს ძალზე აღიზიანებდა ეს მოჩმახული ამბები, თუმცა გულმოდგინედ მალავდა ამ გაღიზიანებას, მით უმეტეს - უცხოეთისაგან. ამიტომაც, მან სასწრაფოდ მიმართა მოლოტოვს: "ვისი ნებართვით ესაუბრა ბოგომოლოვი დე გოლს ფრანგულ პრესაში სტალინის საწინააღმდეგო გამოხდომების შესახებ? თუ მას ასეთი დავალება ჰქონდა, ეს დიდი შეცდომაა, ხოლო თუ საკუთარი ინიციატივით მოქმედებდა, უნდა ვაღიაროთ, რომ ბოგომოლოვი ელჩი კი არა, უბრალო მოლაყბეა, რომელსაც პოლიტიკისა არაფერი გაეგება"[2]. ელჩმა, რომელმაც მეტისმეტი მონდომება გამოიჩინა, იმწამსვე საყვედური მიიღო მოლოტოვისაგან ნათავისარის გამო.

1948 წლის სექტემბერში, კვლავ კავკასიის სანაპიროდან, სტალინი მითითებას უგზავნის პოლიტბიუროს, რათა ყველა გაზეთმა გადაბეჭდოს ლევ ტოლსტოის ნათესავების წერილი "ამერიკელი ჯაშუშის ტოლსტაიას წინააღმდეგ" (აშშ-ში არსებული "ტოლსტოის ფონდის" ხელმძღვანელის, დიდი რუსი მწერლის - ლევ ტოლსტოის ძმისწულის ანტისაბჭოთა საქმიანობამ საშინლად გააღიზიანა კრემლი. ამის გამო სახელმწიფო უშიშროების სამინისტრომ შეთითხნა ხსენებული წერილი, რომელიც პირველად "ლიტერატურნაია გაზეტაში" გამოქვეყნდა). იმავე მითითებაში სტალინი კარნახობს, რა ფორმით უნდა იქნეს მიწოდებული მასალა მკითხველისათვის: "საჭიროა თვალში საცემი სათაური, მაგალითად, ასეთი "ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის ოჯახის წევრების პროტესტი სამშობლოს მოღალატე ა.ტოლსტაიას ჯაშუშური მოღვაწეობის წინააღმდეგ." "ლიტერატურნაია გაზეტამ" არ დაბეჭდა ასეთი სათაური, ვინაიდან იქ მეტად გამოუცდელი და საგაზეთო საქმის უცოდინარი თანამშრომლები სხედან." ზედმეტია იმის თქმა, რომ ერთი დღის შემდეგ ყველა ცენტრალურ გაზეთში ზემოხსენებული მასალა ამ სათაურით გამოქვეყნდა.

სტალინს ვერ წარმოედგინა თავისი თავი სახელმწიფოს და სახელმწიფო საკუთარი თავის გარეშე. "საზიანოა სახელმწიფოსათვის," "არ უფრთხილდება ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებს," "ქურდავს სახელმწიფოს" - აი. ყველაზე უფრო ტიპური ფორმულირებანი, რომლებსაც იგი იყენებდა ხელქვეითთა საქმიანობის კრიტიკისას. სტალინს სახელმწიფოს ინტერესების მთავარ, უპირველეს გულშემატკივრად მიაჩნდა თავი, მისი მტრები დაუყოვნებლივ სახელმწიფოს მტრებად იქცეოდნენ და პირიქით. ამ მხრივ იგი ნამდვილი თვითმპყრობელი გახლდათ, რომელმაც რუსული თვითმპყრობელობის ტრადიცია მის ლოგიკურ - ტოტალიტარულ ზღვრამდე მიიყვანა.

მმართველის პირადი ინტერესების შერწყმა სახელმწიფოს ინტერესებთან მონარქიული იდეის სასარგებლოდ უძველესი არგუმენტია. ჯერ კიდევ თომას გობსი წერდა, რომ "მონარქის სიმდიდრე, ძლიერება და დიდება განპირობებულია მისი ქვეშევრდომების სიმდიდრით, ძლიერებით და რეპუტაციით."[3] სტალინისათვის მთავარი იყო არა საკუთარი ხალხის სიმდიდრე, არამედ სახელმწიფოს "ძალა და რეპუტაცია," მისი მპყრობელური ძლევამოსილება, რომლის გამყარება მისი სიცოცხლის ერთადერთი აზრი, ისტორიაში მისი ადგილის გარანტია და "იქნებ, უკვდავების საწინდარიც" კი იყო.

ჩვენ არ ვიცით, წაკითხული ჰქონდა თუ არა სტალინს ფრენსის ბეკონის "ახალი ორგანონი," რომელშიც ინგლისელმა მოაზროვნემ სახელმწიფო მოღვაწეების "დიდების კიბე" წარმოგვიდგინა. მის ზედა საფეხურზე უდიდეს სახელმწიფოთა და იმპერიათა (conditores imperorum) შემქმნელნი - რომულუსი, კიროსი, ცეზარი, ოსმანი, ისმაილი იდგნენ. თუმცა, ვფიქრობთ, რომ სტალინის ფსიქიკის ბნელ უფსკრულში გზის მანათობელ ვარსკვლავად უნდა ყოფილიყო სწორედ უდიდესი სახელმწიფოს შემქმნელის ეს განუზომელი, უკვდავი სიდიადე და არა მისთვის უცხო მატერიალური ინტერესები ან ძალაუფლების წყურვილი, როგორც ასეთი. მით უმეტეს, რომ ძლევამოსილების საზომით თუ მივუდგებით, რუსეთი მისი მეთაურობით მართლაც დიადი გახდა. ტყუილად კი არ ამბობდა ჩერჩილი, რომ სტალინმა "გუთნიანი რუსეთი ჩაიბარა და ატომური ბომბის მფლობელად დატოვა."

ამგვარი თვითაღქმა, როგორც ჩანს, სტალინს განსაკუთრებით გაუძლიერდა დიდი სამამულო ომის დასრულების შემდეგ. მილიონობით

ადამიანის თვალში ომი სტალინური სისტემის საუკეთესო რეაბილიტაციად იქცა, მან ახალი აზრი შესძინა კოლექტივიზაციის და ინდუსტრიალიზაციის პერიოდის უზარმაზარ მსხვერპლს და ჟდანოვის სიტყვების თანახმად, აჩვენა, "რამდენად მართალი იყო ამხანაგი სტალინი."[4] ომიდან სსრკ მსოფლიოს წამყვან სამხედრო სახელმწიფოდ გამოვიდა, ამასთან, გაიფართოვა საზღვრები და იმპერიული გავლენის სფეროები, თავად სტალინი კი მსოფლიოში აღიარებული ლიდერი გახდა. XX საუკუნის ისტორიაში არ ყოფილა სხვა შემთხვევა, რომ გუშინდელი საერთაშორისო პარია თავბრუდამხვევი სისწრაფით გამხდარიყო უდიდესი გამარჯვებული სახელმწიფოების - "დიდი სამეულის" პრივილეგირებული კლუბის წევრი. სსრკ უფრო ძლიერი ეჩვენებოდათ, ვიდრე სინამდვილეში იყო. ამიტომ სტალინი მით უფრო ცდილობდა შეენარჩუნებინა ქვეყნის ძლევამოსილების და მისი ახალი სტატუსის შეუქცევადობის შეგრძნება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.

ამით იყო განპირობებული მისი უცვლელად მკვეთრი რეაქცია დასავლელი მოკავშირეების მცდელობაზე - დაეკნინებინათ სსრკ-ის როლი ომის შემდგომ დარეგულირებაში ან რაიმე ცალმხრივი უპირატესობები მოეპოვებინათ. როდესაც 1945 წლის 18 აგვისტოს ჰ. ტრუმენმა მოულოდნელად მოსთხოვა სტალინს, კურილის ერთ-ერთ კუნძულზე აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის ბაზირების უფლება მიეცა, უკანასკნელმა საკუთარი ხელით დაწერილ უსტარში მშრალი სარკაზმით უპასუხა: "...ამგვარ მოთხოვნებს, ჩვეულებრივ, დამარცხებულ ქვეყანას წაუყენებენ ხოლმე ან ისეთ მოკავშირე სახელმწიფოს, რომელსაც არ ძალუძს საკუთარი ტერიტორიის ამა თუ იმ ნაწილის დაცვა და ამის გამო მზად არის მოკავშირეს შესაბამისი ბაზა დაუთმოს. არა მგონია, საბჭოთა კავშირი ასეთ სახელმწიფოთა რიცხვს მიეკუთვნებოდეს."[5] იმავე წლის ოქტომბრის დამლევს, საყვედურობდა რა აშშ-ის ელჩს, ა. ჰარიმანს იმის გამო, რომ მის მთავრობას არ სურდა სათანადოდ მოთათბირებოდა სსრკ-ის იაპონიის თაობაზე, სტალინმა, ასევე სარკაზმით იკითხა: "იქნებ, ამერიკას მოკავშირეები კი არა, სატელიტები სჭირდება? უნდა მოგახსენოთ, რომ საბჭოთა კავშირი ამ როლისთვის არ გამოდგება."[6]

არანაკლები დაჟინებით უნერგავდა ბელადი ზემპყრობელურ აზროვნებას მასთან დაახლოებულ პირებს, ებრძოდა რა დასავლეთის წინაშე

არასრულფასოვნების რუსულ-საბჭოურ ტრადიციულ კომპლექსს. როგორც ჩანს, ამაში მდგომარეობდა "მაამებლობისა" და "პირმოთნეობის" წინააღმდეგ მიმართული კამპანიის ფარული მოტივი, რომელიც სტალინმა 1945 წელს გააჩაღა პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელობაში.[7] ხსენებული კამპანიის სახალხოდ გამოცხადებამდე დიდი ხნით ადრე მისი გამოძახილი ექოსავით გაისმოდა ნომენკლატურაში. ასე, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, ა. კუზნეცოვმა ცკ-ში ჩატარებულ ივლისის (1946 წ.) თათბირზე შეახსენა საგარეო პროპაგანდის მუშაკებს სტალინის მითითება "იმის თაობაზე, რომ ომის შედეგებზე დაყრდნობით, როდესაც ჩვენ მეტად ძლიერი სახელმწიფო გავხდით, ყველგან და ყოველთვის უნდა გავატაროთ დამოუკიდებელი, აქტიური საგარეო პოლიტიკა. ელჩებსაც მიეცათ მითითება, თავი არავის გაუყადრონ და უფრო თამამად მოიქცნენ."[8] ამგვარი ბრძანება, როგორც ჩანს, არაერთხელ მისცეს აქტივს.

ეროვნული ღირსებისადმი და საკუთარი თავის პატივისცემისადმი ("ველიკოროსების ეროვნული სიამაყისადმი") აპელირებას, სტალინის აზრით, იმავდროულად, უნდა აემაღლებინა საბჭოთა ადამიანების იმუნიტეტი "დასავლეთის გავლენის" წინააღმდეგ, განევითარებინა მათში არა მხოლოდ კლასობრივ-იდეოლოგიური, არამედ ეროვნულ-კულტურული უპირატესობის გრძნობა დასავლური სამყაროს მიმართ. ყველაზე დიდ სირთულეს ამასთან დაკავშირებით იწვევდა ინტელიგენცია, რომელმაც საბჭოთა დროშიც კი შეინარჩუნა დასავლეთის მიმართ პიეტეტის ისტორიული ტრადიცია. სწორედ ინტელიგენციისადმი იყო მიმართული სტალინის სიტყვები, რომლებიც მან წარმოთქვა 1946 წლის აგვისტოში, ჟურნალების - "ზვეზდას" და "ლენინგრადისადმი" მიძღვნილ ცკ-ის ავადსახსენებელ თათბირზე: "ფეხის წვერებზე დადიხართ. თქვენ მოსწავლეები ხართ, ისინი კი მასწავლებლები. არსებითად, ეს ხომ მართალი არ არის."[9]

სსრკ-ის პატრონი

როგორ შეიძლება შთააგონო ეროვნული ღირსების და საკუთარი თავის პატივისცემის გრძნობა ადამიანებს, რომელთა პირად ღირსებას გამუდმებით ფეხქვეშ თელავს ყოვლისშემძლე სახელმწიფო? როგორ

შეიძლება აღზარდო ცხოვრებისადმი პატრონის განწყობა სახელმწიფო მანქანის უბრალო "ჭანჭიკებში," თუკი მათ მმართველ ნომენკლატურასაც კი ეშინია პასუხისმგებლობის და თვალის ახვევას ეწევა? სისტემაში, რომელშიც "მხოლოდ ერთი ღებულობს გადაწყვეტილებებს, დანარჩენებს კი ეშინიათ" (ე.იდენის თქმით), ნამდვილი პატრონი მხოლოდ თავად ბელადი შეიძლებოდა ყოფილიყო, რომელსაც მისი მსახური-თანამებრძოლები ზურგს უკან შემთხვევით როდი ეძახდნენ "პატრონს."

ამის გამო პატრონს მარტო უხდებოდა ბრძოლა რუსული ცხოვრების ქაოსთან და სიჩლუნგესთან, რომლის მოსპობა თითქოს ტოტალური კონტროლის პირობებშიც კი შეუძლებელი იყო. ამაში დასარწმუნებლად მოსკოვიდან გასვლა კმაროდა. როგორც ცნობილია, სტალინი ძალზე იშვიათად მოგზაურობდა ქვეყანაში, ხოლო მისი ყველა მარშრუტი წინასწარ გულმოდგინედ მუშავდებოდა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ფაქტის დამალვა შეუძლებელი იყო. მაგალითისათვის, აი, რა დაინახა სტალინმა თავისი ვაგონის ფანჯრიდან 1948 წლის შემოდგომაზე, შვებულების გასატარებლად სამხრეთისაკენ რომ მიემგზავრებოდა. "მთელი უკრაინის სადგურებზე, სიმფეროპოლამდე ღია ცის ქვეშ ყრია ხორბალი. თუ გაწვიმდა, ხორბალი დაიღუპება," - მიმართავს იგი მატარებლიდან პოლიტბიუროს "ცხრაკაცას" და მოითხოვს მთავარი დამნაშავის - დამზადების მინისტრ დვინსკის დასჯას. "ბოლო უნდა მოელოს ამ ბოროტმოქმედებას. გზების და კავშირგაბმულობის სამინისტროც უნდა შევახუროთ. ველი თქვენგან კონკრეტულ ღონისძიებებს." დამნაშავეები სასწრაფოდ შეახურეს, ხორბალი გზებიდან მოაშორეს.

ერთი თვის შემდეგ სტალინმა სამხრეთიდან მეორე ენერგიული დეპეშა გამოგზავნა: "გზად სევასტოპოლი გავიარე. დანგრეული ქალაქი მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს. ამჟამინდელი ტემპებით ქალაქის აღდგენა 10-15 წელზე ადრე ვერ დამთავრდება. მოსკოვის ჩარევის გარეშე იგი კიდევ დიდხანს იქნება ნანგრევებში ჩაფლული და თვალნათლივ მოახდენს ჩვენი უთაურობის დემონსტრირებას, რასაც ჩვენს უუნარობად შეაფასებენ. გაუგებარია, რატომ ვერევით აშხაბადის აღდგენის საქმეში და არ გვინდა ჩავერიოთ პირველი კლასის საზღვაო სიმაგრის აღდგენაში. ნუთუ სევასტოპოლშიც მიწისძვრა უნდა მოხდეს, რომ ბოლოს და ბოლოს სერიოზულად მოვკიდოთ ხელი ამ საქმეს." პოლიტბიურომ

იმ დღესვე მოახსენა სტალინს საგანგებო კომისიის შექმნის შესახებ და საქმე ადგილიდან დაიძრა. საყურადღებოა, რომ სტალინს აღელვებს არა მხოლოდ "პირველი კლასის საზღვაო სიმაგრის" სავალალო მდგომარეობა, არამედ ისიც, რა შთაბეჭდილებას უქმნის იგი მოსახლეობას ხელისუფლების შესახებ ("ჩვენს უუნარობად შეაფასებენ").

კიდევ უფრო ძლიერად ჟღერს ეს მოტივი სტალინის რეაქციაში თავად აშხაბადის მიწისძვრაზე, რომელმაც მას ასევე კავკასიაში ყოფნისას მოუსწრო. "სსრკ მეტისმეტად პრიმიტიულად გამოიყურება აშხაბადის მოვლენებთან დაკავშირებით, - კატეგორიული ტონით იუწყება იგი მორიგ წერილში პოლიტბიუროსადმი, ხაზს უსვამს კვალიფიციური ექსპერტიზის არარსებობას და ადგილობრივი ხელისუფლების უსუსურობას სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციის საქმეში. (განა თურქმენეთი მოშიშვლებული მინდორია? - კითხულობს ბელადი). "შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩვენ ობსერვატორიებისა და სეისმური სადგურების მქონე მოწინავე სახელმწიფო კი არ ვართ, არამედ რაღაც ეთიოპიის მსგავსი ქვეყანა." კვლავ აშკარაა, რომ სტალინს, პირველ რიგში, ათეულობით ათასი ადამიანის დაღუპვა კი არ ადარდებს, არამედ მთელი მსოფლიოს თვალში "მოწინავე სახელმწიფოს" პრესტიჟისათვის მიყენებული ზიანი.

სტალინის აკვიატებული იდეა, სსრკ-ის - როგორც დიადი სახელმწიფოს შესახებ, განუყოფლად დაკავშირებული მის საკუთარ პატივთან და ღირსებასთან, ზოგჯერ თითქმის კურიოზულ ფორმებს ღებულობდა. ცნობილია, როგორ ეჩოთირებოდა მას მეტსახელი "ძია ჯო," რომელიც დასავლეთში მიაკერეს ომის წლებში: ერთხელ, თეირანის კონფერენციაზე პროტესტის ნიშნად კინაღამ სხდომაც კი დატოვა ამგვარი დამამცირებელი ფამილიარობის გამო. მეორე მაგალითია მისი რეაქცია მოლოტოვის პროტესტზე, რომელმაც 1946 წლის ზაფხულში, საფრანგეთში, დემონსტრატიულად დატოვა სამხედრო პარადი, სადაც მას საპატიო სტუმრების მეორე რიგში მიუჩინეს ადგილი. "საკვლევით სწორად მოიქეცი... - უდეპეშა სტალინმა თავის მოადგილეს პარიზში. - საბჭოთა კავშირის ღირსება მარტო მთავარში კი არა, წვრილმანებშიც უნდა დავიცვათ."[10] უფრო სწორად, სტალინისათვის ამ საქმეში წვრილმანები არ არსებობდა.

სახელმწიფოს ძალას იგი მარტო მისი ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების მიხედვით კი არ აფასებდა, არამედ მისი ლიდერების ქცევით და დიპლომატიის ანგარიშიანობითაც. სტალინის ხედვით სამყარო სასტიკი ბრძოლის სარბიელი იყო - "ყველასი ყველას წინააღმდეგ," რომელშიც "სუსტებს ურტყამენ," ძლიერების კი ეშინიათ. ამ ბრძოლაში ალტრუიზმი მოკავშირეების მიმართაც კი დაუშვებელია. 1947 წელს, როდესაც საგარეო ვაჭრობის სამინისტროს მიერ ჩეხოსლოვაკიასთან დასადები სავაჭრო ხელშეკრულების პროექტს ჩაჰკირკიტებდა, სტალინმა ყურადღება მიაქცია ურთიერთვალდებულებათა ასიმეტრიას, რომლის მიხედვით საბჭოთა კავშირის მხრიდან მიწოდება დაწვრილებით იყო ჩამოწერილი, ხოლო ჩეხოსლოვაკიის - მეტად ბუნდოვნად. ამას მოჰყვა მკაცრი განკარგულება პოლიტბიუროსადმი: "ჩვენ ვერ დავუშვებთ, რომ სსრკ-ისა და ჩეხოსლოვაკიას შორის კავშირის სისტემაში სსრკ მიამიტ სულელად გამოიყურებოდეს, რომელმაც არ იცის, როგორ დაიცვას საკუთარი ინტერესები, ჩეხოსლოვაკია კი - შორსმჭვრეტელ და გამოცდილ პარტნიორად, რომელიც თითზე იხვევს სსრკ-ის. გარდა ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ სსრკ საბჭოთა ქვეყანაა, სოციალიზმის ქვეყანა, რომლის ინტერესები არ უნდა დაექვემდებაროს არასაბჭოთა ქვეყნის ინტერესებს, თუნდაც იგი მოკავშირე იყოს." ერთი წლით ადრე სტალინმა მიიღო გადაწყვეტილება მონღოლეთში საბჭოთა ჯარების რაოდენობის შემცირების თაობაზე: სსრკ-ისათვის ეს "დიდი ტვირთია" და ვალუტის ზედმეტი ხარჯი, რომელიც მონღოლეთში რჩება, წერს იგი მოლოტოვს; მონღოლეთის მთავრობა ამ შემცირების წინააღმდეგია, დასძენს სტალინი, მაგრამ "მათი თხოვნა ჩვენთვის საბუთი არ არის." სსრკ-ის ინტერესები (ცხადია, მისი საკუთარი გაგებით) სტალინისათვის ყველაზე მაღლა იდგა, მათ შორის მოკავშირეების, უცხოეთის კომპარტიების (რომლებსაც იგი გამუდმებით მსხვერპლად სწირავდა თავის პოლიტიკას) და თვით მსოფლიო რევოლუციის ინტერესებზე მაღლა. თუმცა, აქ სტალინი ვერ ხედავდა წინააღმდეგობას, რადგან სწორედ სსრკ იყო იმპერიალიზმთან ბრძოლის მთავარი ბურჯი. "წითელი არმიის მოქმედებაც მსოფლიო რევოლუციის საქმეა, - ეუბნება იგი გ.დიმიტროვს."[11]

არსებობს აზრი, რომ სტალინი განგებ აზვიადებდა გარეშე მუქარას (თუმცა მაინც და მაინც თავადაც არ სჯეროდა მისი არსებობა), რათა ქვეყნის შიგნით უფრო მაგრად მოეჭირა ჭანჭიკები. ვფიქრობთ, ეს ასე არ არის. სტალინის განწყობა გარე სამყაროსადმი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მისი ცნობიერების და ფსიქიკის სამი ძირითადი საწყისის ერთობლიობა. პირველი არის რუსული ცარიზმის საგარეო პოლიტიკის ტრადიცია, რაც გულისხმობდა დასავლეთისაგან გაუცხოებას, მოწყვლადობის გამწვავებულ კომპლექსს, უსაფრთხოებისადმი მისწრაფებას ექსპანსიისა და საკუთარ ძალებზე დაყრდნობის გზით (გავიხსენოთ ალექსანდრე III-ს სიტყვები, რომ რუსეთს მხოლოდ ორი მოკავშირე ჰყავს - არმია და ფლოტი). მეორე ბოლშევიზმის იდეოლოგია და გამოცდილებაა, რომლებმაც გააღრმავა ეს ნიშნები. უპირველეს ყოვლისა, იზოლაციისა და მტრული გარემოცვის შეგრძნება, შეგრძნება იმისა, რომ "ჩვენ გამუდმებით ვიმყოფებით სამხედრო შემოჭრისაგან ერთ ნაბიჯზე" (ვ.ლენინი). თუ ამას დავამატებთ თავად სტალინის ფსიქიკის ინდივიდუალურ თავისებურებებს - უსაზღვრო ეჭვიანობას, შურისმაძიებლობას, ქსენოფობიას და დევნის მანიას, მივიღებთ, ასე ვთქვათ, მტრული გარემოცვის კომპლექსს "კუბში." ყოველთვის ფხიზლად ყოფნა, ფარული მტრების გამოვლენა და განადგურება, ყველას მიმართ უნდობლობა, ყოველთვის უარესის ვარაუდი სხვათა მიზნებსა და საქციელში - აი, სტალინის პოლიტიკური მორალის ძირითადი მცნებები. მას, მართლაც, ყველგან ჯაშუშები ელანდებოდა. 1933 წელს საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სააგენტოს ცნობებში მან შენიშნა უცხოელი კორესპონდენტების არასასურველი გამოხმაურებები კოლექტივიზაციის მიმდინარეობის შესახებ. სტალინმა მაშინვე დეპეშა გაუგზავნა მოლოტოვს და კაგანოვიჩს: "ხომ არ იცით, ვინ მისცა ამერიკელ კორესპონდენტებს ყუბანში გამგზავრების უფლება? მათ საძაგლობები შეთითხნეს იქაური მდგომარეობის შესახებ. ბოლო უნდა მოვუღოთ ამას და ავუკრძალოთ მაგ ვაჟბატონებს სსრკ-ში აქეთ-იქით სეირნობა. ჯაშუშები ისედაც უამრავია."[12] 1948 წლის შემოდგომაზე ხანძარი გაჩნდა თბომავალ "პობედაზე," რომელმაც აშშ-დან სომეხი რეპატრიანტები ჩამოიყვანა. სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს

ვერსია იმის თაობაზე, რომ ამერიკელებმა ჯერ კიდევ ნიუ-იორკში მოათავსეს გემზე "აალებადი ნივთიერება," სტალინის აზრით არასაკმარის სიფხიზლეზე მიუთითებდა ("მაშინ, რატომ ადრევე არ გაჩნდა ცეცხლი?"). მან ბრძანა, ამერიკელი მზვერავები თავად რეპატრიანტებს შორის ეძებნათ; "მათი მთავარი მიზანი, - წერს იგი, - ნავთობსარეწებისათვის ცეცხლის წაკიდება იყო."

ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრეში ჯობია გადამეტებული სიფრთხილე და ეჭვიანობა გამოიჩინო, ვიდრე თავს მოდუნების უფლება მისცე. ამიტომ სტალინის პირადმა თვისებებმა მკაცრი აუცილებლობის სახე მიიღო მისი იდეური ოპონენტების თვალშიც კი, რომლებიც ერთი მეორის მიყოლებით ხდებოდნენ მისი ეჭვიანობის მსხვერპლი. აი, რას სწერდა სტალინს ნიკოლაი ბუხარინი 1937 წლის ნოემბერში, როცა უკვე გრძნობდა მსოფლიო და პირადი კატასტროფის მოახლოებას: "ვიცი, რომ ეჭვიანი ხარ და ხშირად ძალიან ბრძენიც ხარ ამ ეჭვიანობაში. შენ არ ბერდები. რკინისებრი გამძლეობა გაქვს. მთავარსარდლად ხარ დაბადებული და კიდევ მოგიწევს ჩვენი არმიების გამარჯვებული წინამძღოლის როლის შესრულება."[13]

ჩვენ არ ვიცით, რას გრძნობდა სტალინი მის მიერ სასიკვდილოდ განწირული თანამებრძოლის ამ წინასწარმეტყველური სტრიქონების კითხვისას. არა მგონია, დაეჯერებინა "პარტიის საყვარელი წევრის" გულწრფელობა, მაგრამ მისი გამოთქმული აზრები თავისთავად უნდა მოსწონებოდა. "ბრძენი ხარ ამ ეჭვიანობაში," - უკეთესად ვერც კი იტყვის კაცი.

პირიქით, ისეთი თვისებები, როგორიც არის გულღიობა, მიმნდობლობა, უბრალოება და პატიოსნებაც კი, სტალინისეულ ფასეულობათა სკალით სახელმწიფოს მესვეურისათვის ყველაზე უარესი მანკიერებები გახლდათ. იგი დაუსრულებლად აყრიდა შავ დღეს თანამებრძოლებს, დიპლომატებს და მზვერავებსაც კი "მიამიტობის," "გამჭრიახობის უქონლობის" გამო, იმისათვის, რომ არ ძალუძდათ მტრის ბოროტი ზრახვების გამოცნობა. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ თემასთან დაკავშირებით სტალინის ყველაზე უფრო დამახასიათებელი მონოლოგი დღიურში ჩაიწერა "პრავდის" მაშინდელმა რედაქტორმა, პ. პოსპელოვმა 1949 წლის 30 მარტს ცკ-ის სხდომაზე. აი, მის მიერ დაფიქსირებული ნაწყვეტები სტალინის

საბოლოო სიტყვიდან: "სად იმალება ახლა მთავარი საფრთხე? პატიოსან სულელებსა და ბრმებში. ასეთი პატიოსანი, მაგრამ ბრმა ადამიანების გამო შეიძლება დაიღუპოს ჩვენი ქვეყანა... განა დათვი (კრილოვის ივავიდან) პატიოსანი არ იყო?... სწორედ ასეთი სულელების ხელით ქმნიან მტრები თავიანთ პოლიტიკას."[14]

მაშ ასე, მტერი ყველგანმსუფევი, ძლიერი და ვერაგია, საბჭოთა ადამიანები კი რბილები, ზარმაცები და გულუბრყვილოები. ხელმძღვანელთა შორისაც კი ჯერ კიდევ უამრავი "პატიოსანი სულელია." რა უნდა ვუყოთ ასეთ ხალხს?

შიში და რწმენა

დაშინება, წრთობა და აღზრდა, - შეეძლო ეპასუხა სტალინს. რაც შეეხება შიშს, აქ, ასე თუ ისე, ყველაფერი აშკარაა. კონტროლისა და ტერორის სტალინური მანქანა სწორედ იმაზე იყო გათვლილი, რომ არც ერთ ადამიანს თავი უსაფრთხოდ არ ეგრძნო, თავად ნომენკლატურის ჩათვლით, რომელიც დროდადრო კარგად უნდა შეენჯღრიათ. ეს უბრალოდ კეთდებოდა. ფინანსთა სამინისტროში ყველაფერი რიგზე ვერ არის, წერს, მაგალითად, სტალინი მოლოტოვს 1933 წლის ზაფხულში. "მე მგონი, საჭიროა მთელი აპარატის შემოწმება და ბოლშევიზმის სულისკვეთებით შეფუცხუნება."[15] ითქვა და გაკეთდა.

წრთობა ყველაზე უკეთ ხდებოდა უსაზღვრო დატვირთვით და გამოცდით. აგრეთვე შრომის, გაჭირვების, გმირული ქმედებებისა და ომის ქარცეცხლის საშუალებითაც კი. ერთხელ, როგორღაც, გულწრფელობის მომენტში, სტალინმა თავისი აზრები გაუზიარა ამერიკელ სტუმარს - რესპუბლიკური პარტიის ლიდერს უ. უილკის (იგი 1942 წლის შემოდგომაზე ეწვია სსრკ-ის), რომელიც, ეტყობა, თვალში მოუვიდა: "ჩვენი ქვეყნები, ე.ი. სსრკ, ინგლისი და აშშ ერთი კარგად უნდა დაიბომბოს, რადგან ჩვენი მოსახლეობა თვითდამშვიდებით და თავდაჯერებულობით არის შეპყრობილი. ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენ ქვეყნებში ადამიანურობას ქადაგებდნენ, გერმანიაში კი - მკვლელობებს."[16]

და მაინც, მხოლოდ შიში და წრთობა საკმარისი არ იყო. საჭირო იყო კიდევ რწმენა - საბჭოთა წყობილების, პარტიისა და მისი იდეოლოგიის

შეუმცდარობის რწმენა, რწმენა თვით სტალინისადმი. მას ესმოდა, რომ პიროვნების კულტი, რაც არ უნდა სასარგებლო ყოფილიყო, ვერ იქნებოდა საკმარისად მყარი საფუძველი იმგვარი რწმენისთვის, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს მრწამსს, შეგნებას, მარქსისტულ-ლენინურ-სტალინური თეორიის დაუფლებას. "კერპთაყვანისმცემლებს ზრდით, იმის მაგივრად, რომ ხალხს ცნობიერება გაუღვიძოთ," - გაბრაზებულმა უთხრა მან აგიტპროპის ხელმძღვანელობას 1946 წლის ოქტომბერში გამართულ თათბირზე.[17]

იდეოლოგიური აღზრდისათვის არსებობდა პოლიტგანათლების უზარმაზარი მანქანა, კლასიკოსების თხზულებები, მისი საკუთარი ნაშრომების ჩათვლით, რომელთა გამოქვეყნებასა და გავრცელებას ბელადი ფხიზლად ადევნებდა თვალყურს. საკმარისი იყო 1947 წლის აგვისტოში გაზეთ "პრავდას" ოდნავ დაეგვიანებინა გამოხმაურება სტალინის თხზულებათა კრებულის მორიგი, მეხუთე ტომის გამოცემასთან დაკავშირებით, რომ თავს დაატყდათ მკაცრი საყვედური თავად ავტორისაგან. "მეტად უცნაურია, - ფანქრით დაწერა სტალინმა გაზეთის რედაქტორის პ.პოსპელოვის მიერ ა.პოსკრიბშევის სახელზე დაწერილ განმარტებით ბარათს, - რომ "კულტურა ი ჟიზნმა" და "ბოლშევიკმა" უკვე დიდი ხანია გამოაქვეყნეს ცნობა მეხუთე ტომის გამოცემის შესახებ და რეცენზიაც დაბეჭდეს. ცკ-ის მთავარმა ბეჭდვითმა ორგანომ "პრავდამ" კი მეხუთე ტომის გამოსვლის ცნობის დაბეჭდვასაც ვერ მოაბა თავი. "პრავდას" შეეძლო რეცენზია არც დაებეჭდა, რადგან უფრო მნიშვნელოვანი საქმეებით არის დაკავებული, მაგრამ ცნობა, ყოველ შემთხვევაში, "კულტურა ი ჟიზნეზე" და "ბოლშევიკზე" აღრე უნდა გამოექვეყნებინა. ეს ელემენტარული ამბავია. ილახება "პრავდის" ავტორიტეტი."[18] "ნება მიბოძეთ, დაგარწმუნოთ, რომ სულითა და გულით განვიცდი თქვენს სამართლიან საყვედურს და სათანადო დასკვნებს გავაკეთებ თქვენი მითითებებიდან, - გულმხურვალედ ინანიებდა სწორედ ის პოსპელოვი, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ სათავეში ჩაუდგება "პიროვნების კულტის" შესახებ მამხილებელი მოხსენების მოსამზადებლად შექმნილ ცკ-ის კომისიას. - ძალიან მრცხვენია ჩემი შეცდომისა, რომელიც უპირველეს ყოვლისა, იმიტომ დავუშვი, რომ ვერ შევძელი ყურადღების მიმართვა უმთავრეს საკითხებზე. გამოვიჩინე გარკვეული უნიათობა და უნიციატივობა."[19]

და მაინც, ცნობიერება პარტიულ-სახელმწიფო აქტივშიც კი ძნელად იღვიძებდა. ცკ-ის სისტემატურად აწვდიდნენ მოხსენებებს სხვადასხვა დონეზე იდეოლოგიური განათლების შემოწმების არასანუგეშო შედეგების შესახებ. ასე, მაგალითად, 1946 წელს კიროვის ოლქში ჩატარებულმა შემოწმებამ უჩვენა, რომ ხელმძღვანელ მუშაკთა ნახევარმა "ლენინისა და სტალინის ერთი ნაშრომიც კი ვერ დაასახელა," რიგით კომუნისტთა უმრავლესობას კი "აშკარაა, რომ ჯერჯერობით "მოკლე კურსის" შესწავლაც კი არ ძალუძს."[20] თუკი რიგით კომუნისტებს მაქსიმალურად მარტივი "მოკლე კურსის" დაძლევა უჭირთ, საიდან უნდა დაიწყოს იდეოლოგიური განათლება? სტალინი ამ კითხვაზეც პოულობს პასუხს. აგიტპროპის იმავე შეხვედრაზე (1946 წლის 23 ოქტომბერს) პოსპელოვმა ჩაიწერა ბელადის წინასწარმეტყველური სიტყვები: "მშრომელთა ფართო ფენებს, უბრალო ადამიანებს არ შეუძლიათ მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლის დაწყება ლენინის და სტალინის ნაშრომებით. დაიწყონ ბიოგრაფიებით. ბიოგრაფია სერიოზული საქმეა. მას დიდი მნიშვნელობა აქვს უბრალო ადამიანების მარქსისტული განათლებისათვის."[21]

ჩანს, სტალინს, როგორც ყოფილ სემინარისტს, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ბიოგრაფიები წმინდანთა ცხოვრების აღწერის მსგავს რაიმედ ესახებოდა, "მოკლე კურსი" კი - რელიგიურ-იდეოლოგიური ცნობიერების ზრდის მომდევნო ეტაპზე - წმინდა წერილის ფუნქციურ ექვივალენტად, რომელშიც შეუმცდარ პარტიას მამაღმერთის ადგილი უნდა დაეჭირა. "საჭიროა აღვზარდოთ სიყვარული პარტიისადმი, რომელიც უკვდავია," - უსახავს სტალინი მთავარ ამოცანას აგიტპროპის მესვეურებს. მას ეჭვიც კი არ ეპარება, რომ უბრალო ხალხისათვის იდეოლოგია რელიგიურ რწმენას ენათესავება. ამავე საუბრის დროს მან გამოსჭედა ჭეშმარიტად აღსანიშნავი სიტყვები: "მარქსიზმი კლასის რელიგიაა, მისი რწმენის სიმბოლოა."[22]

მარქსიზმის ამ დიდი ვულგარიზატორის მიერ, როგორც ჩანს, დიდი ხნის განმავლობაში ნალოლიავები ეს აზრი საოცრად ეხმიანება XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე უფრო შემოქმედი მარქსისტი მოაზროვნის - ანტონიო გრამშის თვალის ახელას, რომელიც თავის განთქმულ "ციხის ჩანაწერებში" წერდა, რომ "მასებს, როგორც ასეთს, არ შეუძლიათ

ფილოსოფიის ათვისება სხვაგვარად, თუ არა როგორც რწმენისა... ყველაზე მნიშვნელოვანი (ამ პროცესში. - ვ.პ.) უდავოდ არის ირაციონალური ხასიათის ელემენტი, რწმენის ელემენტი."[23] იმას, რაც გრამშისათვის სამწუხარო თეორიული დასკვნა იყო, სტალინი სამოქმედოდ იყენებდა ბოლშევიზმის დანერგვის დროს, როგორც რაღაც შუალედურს ცნობიერებასა და კერპთაყვანისმცემლობას შორის.

"რატომ არ მიყვარს ზოშჩენკოსნაირი ადამიანები?"

- განაცხადა სტალინმა ცენტრალურ კომიტეტში "ზვეზდასადმი" და "ლენინგრადისადმი" მიძღვნილ თათბირზე. - იმიტომ, რომ ისინი უიდეობას ქადაგებენ. ღვთის გულისათვის, მოსვენება აღარ გვაქვს თქვენი იდეებისაგან, გვინდა დავისვენოთ, ვიხუმროთ, გავიცინოთ."[24] კაცმა რომ თქვას, რა არის ამაში ცუდი? მოლოტოვი იხსენებს, რომ ოჯახურ წრეში სტალინი სულაც არ იყო წინააღმდეგი გაეცინა ზოშჩენკოს მოთხრობებზე, მაგრამ ახალი სეკულარული რელიგიისა და მუდმივი მობილიზაციის საფუძველზე აშენებული სისტემისათვის ყველაზე საშიში მტრები გარეშე იმპერიალიზმი და შიდა მავნებლები კი არა, უიდეობა და მოდუნება იყო. ბოლშევიზმი, რომელიც გამუდმებით ძალადობას ეწეოდა ისტორიასა და საკუთარ ხალხზე, შეუთავსებელი იყო ნორმალურ ობივატელურ (ანუ მაღალ იდეებს მოკლებულ) ცხოვრებასთან. მშვენივრად თქვა ამის თაობაზე უკვე ასაკში შესულმა ერთგულმა სტალინელმა მოლოტოვმა: "თუ წყნარად ცხოვრობ, ბოლშევიკები საჭირო არ არიან. სულაც არ არიან საჭირო. ისინი წინსვლას, სიძნელეთა დაძლევას ლამობენ, მშვიდი ცხოვრებისათვის სრულიად ზედმეტნი არიან. სოციალ-დემოკრატები უკეთესები არიან. სწორედ ამისთვის ვარგიან. ისინი ამას, ანუ კაპიტალიზმის სტიქიურ მოძრაობას დაემორჩილნენ"[25].

ზოშჩენკოს, ვერტინსკის და სხვა "უიდეოებს" ხელისუფლება ნელ-ნელა, ჯერ კიდევ ომის წლებში "ეპარებოდა," მაგრამ მაშინ ეს ხალხი იმდენად საშიში არ იყო: ომის უმძიმესი წნეხი ხალხს მოდუნების უფლებას არ აძლევდა, უფროსობაც სხვა საქმეებით იყო დაკავებული. საერთოდ, სტალინის აზრით, ომმა სარგებლობაც კი მოიტანა, რადგან გადაჭრა საბჭოთა ხალხის წრთობის და მობილიზაციის მრავალი

პრობლემა. "ომმა, - ამბობდა ის "ფინეთ-სსრკ-ის" საზოგადოების დელეგაციასთან შეხვედრაზე 1945 წლის ოქტომბერში, - ხალხის ინტელექტუალური ძალების დიდი დაძაბვა გამოიწვია. მან შრომისა და წარმოების ახალი მეთოდების და საშუალებების გამოგონება გვასწავლა... ხალხმა უფრო სწრაფად და უკეთ დაიწყო მუშაობა. ერთი სიტყვით, ანდაზისა არ იყოს, "ზოგი ჭირი მარგებელიაო." ყველაზე ცუდი მოვლენაც კი საგულდაგულოდ რომ გავქექოთ, მასში აუცილებლად აღმოჩნდება რაღაც კარგი. ომმა, უეჭველია, გარკვეული სარგებლობა მოიტანა წარმოების განვითარების საქმეში, უკეთ მუშაობა ასწავლა ხალხს."[26]

მაგრამ, აი, ომი დამთავრდა. ომიანობის წლების კოლოსალური დაძაბულობისა და თავგანწირვის შემდეგ ხალხს, როგორც არასდროს, ნორმალური, მშვიდი ცხოვრება სწყუროდა. კრემლში კი უკვე გამალებით მუშავდებოდა აღდგენითი ხუთწლედის დამკვრელური გეგმები. ძალას იკრებდა დასავლეთთან ახალი დაპირისპირების მექანიზმი. ყველაფერი ეს კვლავ მოითხოვდა ადამიანური რესურსების უკიდურეს მობილიზაციას. ასეთ ვითარებაში "ზოშჩენკოს მაგვარი ადამიანები" აუტანლები ხდებოდნენ. 9 თებერვალს დიდ თეატრში წარმოთქმულ ცნობილ სიტყვაში სტალინმა ქვეყანას ახალი გრანდიოზული ამოცანები დაუსახა, შეახსენა, რომ იმპერიალიზმი გარდუვალად წარმოშობს ომებს. ერთი თვის შემდეგ მან ხაზი გაუსვა ომის მუქარის თემას თავის პასუხში ჩერჩილის მიერ ფულტონში წარმოთქმულ სიტყვაზე. აპრილში ცენტრალურ კომიტეტში გამართულ იდეოლოგიურ თათბირზე ა.ჟდანოვმა სტალინის სახელით გააფრთხილა დამსწრენი იმ აზრის მანკიერების თაობაზე, რომ "ომის შემდეგ ადამიანებს დასვენების საშუალება უნდა მივცეთ და ა.შ." "თუ ჩვენ ამგვარ პოლიტიკას გავატარებთ, - დასძინა ჟდანოვმა, - მეტად კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით."[27] აქედან ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა "ჟდანოვშჩინის" საჯარო კამპანიის დაწყებამდე.

თავად ჟდანოვი იმ დროისათვის ისე გაიწაფა ბელადის აზრების გახმოვანებაში, რომ უკანასკნელი ჟდანოვის მოხსენებების უმნიშვნელო შესწორებით კმაყოფილდებოდა და არც მისთვის ესოდენ უჩვეულო შექებას იშურებდა ხოლმე. "წავიკითხე თქვენი მოხსენება, - წერდა იგი ჟდანოვს "ზვეზდას" და "ლენინგრადის" თაობაზე პროგრამული გამოსვლის პროექტის შესახებ (რომელიც ჟდანოვმა გაუგზავნა მას

მოკრძალებული მინაწერით: "ივარგებს კი ეს?"), - ვფიქრობ, მოხსენება ჩინებული გამოვიდა. ახლა საჭიროა მისი სასწრაფოდ დაბეჭდვა, შემდეგ კი ცალკე ბროშურად გამოცემა. ჩემი შენიშვნები იხილეთ ტექსტში. მოკითხვით, სტალინი."[28] შენიშვნები სტალინისათვის ფრიად დამახასიათებელი იყო და ედანოვისეული ტექსტის გამანადგურებელ ღღერადობას კიდევ უფრო ამძაფრებდა. "ლენინგრადის" დახასიათებას მან ასეთი ფრაზა დაამატა: "იქცა ჟურნალად, რომელიც მტრებს ჩვენი ახალგაზრდობის გახრწნაში ეხმარება." ედანოვისეულ "უცხოური ლიტერატურის თაყვანისცემას" ჩაამატა ეპითეტი "მეშჩანური," ხოლო მოწოდება - "აღვზარდოთ ადამიანები არა გულგრილობის და უიდეობის სულისკვეთებით," დაასრულა ენერგიული ფრაზით - "არამედ მბნეობის და რევოლუციურობის სულისკვეთებით"[29].

მბნეობა და რევოლუციურობა, შიში და რწმენა, მტრული გარემოცვა, ერთპიროვნული ძალაუფლება, ტოტალური მობილიზაცია, ძალების უკიდურესი დაძაბვა - სტალინური ეპოქის ამ საყრდენებმა გაძლო, სანამ ცოცხალი იყო მათი შემქმნელი. "მე ვკვდები, მაგრამ სახელმწიფო რჩება," - მტკიცედ თქვა სიკვდილის წინ ლუდოვიკო XIV-მ. სტალინს კი ამისი მხოლოდ იმედი შეეძლო ჰქონოდა, რადგან სიცოცხლის დასასრულს იგი საკმაოდ ავმა წინათგრძნობამ შეიპყრო იმის თაობაზე, თუ რა ელოდა მის ნაშიერს მისი სიკვდილის შემდეგ. და არცთუ უსაფუძვლოდ. მის მიერ შექმნილ სახელმწიფოს შემქმნელზე ბევრად მეტი არ უცოცხლია - მასში მეტისმეტად ბევრი იყო სტალინური.

შენიშვნები

1. Российский государственный архив социально-политической истории (შემდგომ - РГАСПИ). Ф.629. Оп.1. Д.254. Л.24.
2. Архив Президента Российской Федерации (შემდგომ - АПРФ). Ф.45. Оп.1. Д. Л.
3. Гоббс Т. Сочинения в 2-х т. М. 1991. т.2 с. 146.
4. РГАСПИ. Ф.77. Оп.1. Д.975. Л.50.
5. Переписка Председателя Совета Министров СССР с президентами США и премьер-министрами Великобритании в

годы Великой Отечественной войны 1941-1945 гг.: В 2 т. М. 1957. т. 1. с. 265.
6. Архив внешней политики Российской Федерации. Ф.7. Оп.10-в. П. 46 Д.1. Л.23.
7. დაწვრილებით იხ.: Источник. 1999. №2. с.81-82.
8. РГАСПИ. Ф.17. Оп.125. Д.385. Л.76.
9. АПРФ. Ф.45. Оп. 1. Д. 1127. Л. 6.
10. Источник. 1999. №3. с. 99.
11. G.Dimitrov. Dnevnik. Sophia. 1997. p. 188.
12. АПРФ. Ф.45. Оп.1. Д.769. Л.114.
13. იქვე. Д. 710. Л.181.
14. РГАСПИ. Ф.629. Оп.1. Д.95 (ч. 2). Л.246.
15. АПРФ. Ф.45. Оп.1. Л.117.
16. იქვე. Д.380. Л.31.
17. РГАСПИ. Ф.629. Оп.1. Д.54. Л.24.
18. იქვე. Л.32.
19. იქვე. Л. 33.
20. РГАСПИ. Ф.77. Оп.1. Д.976. Л.66, 69.
21. იქვე. Ф.629. Оп.1. Д.54. Л.22-23.
22. იქვე. Л. 29.
23. Грамши А. Избранные произведения. В 3 т. М. 1959. т. 3. с. 29.
24. АПРФ. Ф.45. Оп.1. Д.1127. Л.16.
25. Чуев Ф. Сто сорок бесед с Молотовым. М. 1992. с. 312.
26. РГАСПИ. Ф.17. Оп.125. Д.371. Л.161.
27 იქვე. Ф.77. Оп.1. Д.976. Л.43.
28. АПРФ. Ф.45. Оп.1. Д.732. Л.2.
29. იქვე. Л. 24.

გენადი კოსტირჩენკო

წითელი შარაფანის ტყვეობაში

ებრაელთა პოლიტიკური დევნა საბჭოთა კავშირში ბოლო სტალინურ ათწლეულში
(დოკუმენტური გამოკვლევა)

ისტორია მედიცინის მუშაკთა და, განსაკუთრებით, მთავრობის მომსახურე სამედიცინო ელიტის ირგვლივ თვიდან თვემდე ღვივდებოდა. ასე გაგრძელდა 1952 წლის შემოდგომამდე, ვიდრე სტალინმა არ გადაწყვიტა, რომ ფსიქოლოგიური დამუშავების ეარდა გადამწყვეტი მოქმედებაც უნდა დაეწყო.

კრემლის ექიმთა პირველი ჯგუფის დაპატიმრების დიდი ხნის ნანატრი სანქცია სახელმწიფო უშიშროების საშინისტროს სტალინმა მას შემდეგ მისცა, რაც უშიშროების მინისტრმა იგნატიევმა 1952 წელს წარუდგინა მას იმპერიოლში სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილედ დანიშნული რიუმინის განზოგადებული ცნობა (მომზადებული დაკითხვებისა და სამედიცინო ექსპერტიზების შედეგების და ა.შ. მიხედვით). ამ ცნობაში სრულიად გარკვევით იყო ნათქვამი, რომ პროფესორებმა ა.ა. ბუსალოვმა, პ.ი. ეგოროვმა, ვ.ხ. ვასილენკომ, ვ.ნ. ვინოგრადოვმა, გ.ფ. ლანგმა (1875-1948), ი.გ.ეტინგერმა და სხვებმა ჩაიდინეს შჩერბაკოვის და ჟდანოვის განზრახ მკვლელობა.

თუმცა ბელადის მხარდაჭერა ჰქონდა, რიუმინი "სალიამის" ტაქტიკის გამოყენებით მაინც აუჩქარებლად და წინდახედულად მოქმედებდა. თავდაპირველად დააპატიმრა ისინი, ვისაც არ იცავდა მაღალი მდგომარეობა, ცნობილი სახელი ან ნომენკლატურული ნაცნობობა. ესენი იყვნენ ექიმები გ.ი.მაიოროვი, ა.ნ.ფეოდოროვი და კრემლის სამკურნალო-სანიტარული სამმართველოს გადამდგარი ხელმძღვანელი ა.ა. ბუსალოვი. ამ უკანასკნელს "ორგანოთა" გრძელი ხელები 28 სექტემბერს, ალუშტაში მისწვდა, სადაც იგი შვებულებას ატარებდა.

ამასობაში, მიუხედავად დამქანცველი დაკითხვებისა და გამომძიებლების მუქარისა, დაპატიმრებულები სულაც არ ჩქარობდნენ იმის "აღიარებას," რომ მავნებლურად მკურნალობდნენ პარტიულ-სახელმ-

წიფო ლიდერებსა და სარდლებს. მოკვლევის ასეთმა "არაეფექტიანმა" მუშაობამ გააცოფა სტალინი. 1952 წლის 18 ოქტომბერს მან ნება დართო სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობას ექიმების მიმართ ფიზიკური ზემოქმედების მეთოდები გამოეყენებინათ. რიუმინმა სასწრაფოდ ჩამოაყალიბა ბრგე ვაჟბატონების რაზმი, რომელთაც ძალუძდათ ნებისმიერი ადამიანისაგან ნებისმიერი ჩვენების ამოქაჩვა. ლეფორტოვოს ციხეში ეჭვმიტანილთა გადასაყვანად დრო რომ არ დაეხარჯათ, იქვე, ლუბიანკის შიდა ციხის უფროსის კაბინეტში მოაწყვეს იმპროვიზებული მინი-საწამებელი, რომელიც ფსიქოლოგიური ზემოქმედების მიზნით ისეთი თეჯირებით და მაგიდებით აღჭურვეს, პროზექტურას ან საოპერაციოს მოგაგონებდათ. მოიმარაგა რა ინკვიზიტორულის მსგავსი რეკვიზიტი, რიუმინმა თავი უფრო გულდაჯერებულად იგრძნო. როგორც პროფესორი ა.ა. ბუსალოვი ჰყვებოდა, ერთხელ რიუმინი დაკითხვაზე გამოცხადდა და კარიდანვე დაუღრიალა: "რა მეძავივით იქცევი! ბანდიტი ხარ, ნაძირალა, ჯაშუში, ტერორისტი, საშიში სახელმწიფო დამნაშავე. აქამდე გელოლიავებოდით. ახლა კი კმარა. გახურებული შანთით უნდა გაწამოთ. ამისთვის ყველაფერი მოწყობილი გვაქვს. როცა შენი ლეში აი, იქ დაენარცხება (მან თითით იატაკზე მიუთითა), უკვე გვიან იქნება. სამხედრო ციხეში გადაგიყვანთ, იქ საგანგებოდ დაგკითხავენ!"[1]

რიუმინი რომ წავიდა, გამომძიებელმა ბ.ნ. კუზმინმა, რომელსაც ბუსალოვის დაკითხვა ევალებოდა, შემდეგი სიტყვებით "დაამშვიდა" გვარიანად შეშფოთებული პროფესორი: "ნუ ღელავთ, გახურებული შანთით წამებას ჩვენთან არ მიმართავენ. აი, გაშოლტვა კი შესაძლებელია."

ეს ფუჭი მუქარა როდი იყო. 1952 წლის 18 ნოემბერს ბუსალოვს ხელბორკილი დაადეს და იგი ზურგსუკან ხელებგაძაგრული 52 დღის განმავლობაში იტანჯებოდა. 10 დეკემბერს კი ციხის უფროსის კაბინეტში მხეცურად სცემეს ხელკეტებით.[2]

ანალოგიურად ექცეოდნენ პ.ი.ეგოროვსაც. მისგან მოითხოვდნენ, სამედიცინო მავნებლობასთან ერთად ელიარებინა ჯაშუშური კავშირი ცენტრალური კომიტეტის ყოფილ მდივანთან - ა.ა. კუზნეცოვთან,

რომელმაც 1947 წლის მაისში იგი ლენინგრადის სამხედრო ოლქის მთავარი.თერაპევტის თანამდებობიდან სამუშაოდ მოსკოვში გადაიყვანა.

მას შემდეგ, რაც ეგოროვს სცემეს და რიუმინი დაემუქრა, რომ ერთდროულად ორ კოცონზე აწამებდა, მან შეწყვიტა წინააღმდეგობა და ცილი დასწამა საკუთარ თავს — გამოტყდა დანაშაულში, რომელიც არ ჩაუდენია. რიუმინმა, რომელიც ამ ამბავს შეესწრო, ზიზღით მიუთითა ძირს დანარცხებულ მსხვერპლზე და გამარჯვებულმა შესძახა: "წარმოგიდგენიათ, აი, ეს ტიპი იყო კრემლის სამკურნალო-სანიტარული სამმართველოს ხელმძღვანელი. თავის მოჭრაა და მეტი არაფერი!"[3]

ეგოროვს ბრალი დასდეს არა მხოლოდ "მორის ტორეზის მწყობრიდან გამოყვანაში," იმაში, რომ "მოკლა" გ. დიმიტროვი, ა. ჟდანოვი, ა. შჩერბაკოვი, სიცოცხლე მოუსპო და ზიანი მიაყენა ბევრ სხვა საბჭოთა და უცხოელ კომუნისტურ ლიდერს, არამედ იმაშიც, რომ "ავი ზრახვები" ჰქონდა თვით "ხალხთა ბელადის" ოჯახის წევრების მიმართ. თითქოს მან გაუუარესა ჯანმრთელობა ვასილი სტალინს, რომელსაც ალკოჰოლიზმი სჭირდა და 1948-1950 წლებში ეგოროვთან "ნერვულ დაავადებას" მკურნალობდა. ამას გარდა, ეგოროვს აბრალებდნენ, რომ 1950 წლის გაზაფხულზე ფეხმძიმე სვეტლანა სტალინის მეთვალყურეობა დაავალა პროფესორ ა.მ. მარკოვს, რომელმაც ვერ შეძლო მისთვის ტოქსიკოზის თავიდან აშორება. სვეტლანამ ნაადრევად იმშობიარა და მისი ქალიშვილი კატია ძალზე სუსტი დაიბადა.

მიუხედავად ასეთი რადიკალური ზომებისა, გამოძიება ძალზე ნელა მიიწევდა წინ და, რაც მთავარია, არა იმ მიმართულებით, როგორც ეს სტალინს სურდა. მას აღიზიანებდა სახელმწიფო უშიშროების მერყეევი შეფი იგნატიევი პარტიული აპარატის თანამშრომლის დახავსებული აზროვნებით. ბელადის განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევდა ამ თავიზღვევიას გამუდმებული მცდელობა მის ზურგს უკან თავისი მოქმედებების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინა მალენკოვისათვის და ცენტრალური კომიტეტის აპარატში თავისი სხვა მფარველებისათვის. ისინი სულაც არ იყვნენ აღფრთოვანებულები კრემლის ექიმთა დაჭერის უაზრო ავანტიურით და სამართლიანად შიშობდნენ, რომ სტალინის მომდევნო მსხვერპლები გახდებოდნენ. რიუმინმაც, რომელიც იგნატიევს

განუწყვეტლივ ავიწროვებდა, ცდილობდა მოუკლო სამსახურში თავის გამოდებას, რადგან სულ უფრო აწუხებდა საკუთარი მომავალი. ეჟოვის* და აბაკუმოვის მწარე გამოცდილების შემსწრეს სულაც არ სურდა აღმოჩენილიყო მავრის მდგომარეობაში, რომელმაც თავისი საქმე უკვე გააკეთა და თანდათან დაიწყო ბისთვის დავალებული გამოძიების დამუხრუჭება. ამასთან, რაკი რიუმინი საკმაოდ მარტივი ფანტაზიის პატრონი იყო, დაპატიმრებულთა მავნებლურ მკურნალობაში პრიმიტიული დადანაშაულების იქით არ წასულა, იმ დროს, როცა სტალინი ამ საქმეს უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა. მისი მოუსვენარი ავადმყოფური წარმოდგენა გამუდმებით ახდენდა ათასნაირი ბოროტი ხრიკების მოდელირებას ვერაგი თანამებრძოლების და უცხოეთის დაზვერვის ყველგანმსუფევი აგენტურის მონაწილეობით. ელანდებოდა სასახლის შეთქმულებანი, იმის მსგავსი, რომელიც თავად აღკვეთა ომის დაწყების წინ, 1938 წელს. საუბარია ეგრეთ წოდებულ ანტისაბჭოთა მემარჯვენე ტროცკისტთა ბლოკის საქმეზე.

დიქტატორის გონება, რომელიც მაინც და მაინც არც ადრე ბრწყინავდა ორიგინალური იდეებით, სულ უფრო მეტად მიილტვოდა 30-იანი წლების დამლევის დიდი ტერორის მოძველებული სქემებისაკენ. საბჭოთა პროპაგანდამ 1953 წლის 13 იანვრის შემდეგ განსაკუთრებით გააძლიერა ისეთი გამოთქმების გამოყენება, როგორიცაა "მემარჯვენე ოპორტუნისტები," "ხალხის მტრები," "ჩვენს მიღწევებს მივყავართ კლასობრივი ბრძოლის არა ჩაქრობის, არამედ გამწვავებისაკენ." ეს კლიშეები ომამდელი დამარბეველი არსენალიდან იყო ნასესხები. ახალი იყო მხოლოდ ანტისემიტური გაშმაგება, რასაც ჟურნალ-გაზეთები და რადიო აღვივებდა.

---

* როგორც ცნობილია, სტალინმა დახვრიტა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ნ.ეჟოვი მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა 1937-1938 წლებში დიდი წმენდა ჩაატარა. სტალინს აბაკუმოვის მოშორებაც უნდოდა, როგორც საშიში მოწმის და "ლენინგრადის საქმის" დასრულების შემდეგ მისი დაპატიმრება ბრძანა. ეს ხელს აძლევდათ ბერიას და მალენკოვს, რომლებიც 1951 წლის ზაფხულში ხელმძღვანელობდნენ ცენტრალურ კომიტეტში აბაკუმოვის მოღვაწეობის გამოსაძიებლად შექმნილ კომისიას და ყველაფერი იღონეს მის მოსაშორებლად. მალენკოვმა ამით შური იძია აბაკუმოვზე, რომელმაც 1946 წელს მის საწინააღმდეგოდ "ავიაციის საქმე" შეთითხნა.

თავდაპირველად სტალინმა გადაწყვიტა ჩაფიქრებული პოლიტიკური სპექტაკლის "გენერალური რეპეტიცია" ჩაეტარებინა და 1952 წლის ნოემბერში ორგანიზაცია გაუკეთა ჩეხოსლოვაკიაში "ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულების ცენტრის" საქმის პროცესს. პრაღაში სასამართლოს წინაშე წარსდგნენ ისინი, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ ამ ქვეყნის მმართველ ელიტაში შედიოდნენ, ახლა კი უცებ "მავნებლებად" და "ჯაშუშებად" გადაიქცნენ. ესენი იყვნენ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი გენერალური მდივანი რ. სლანსკი, მისი მოადგილე ი.ფრანკი, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. კლემენტისი და გაზეთ "რუდე პრავო"-ს ყოფილი რედაქტორი ა. სიმონი, კომუნისტური პარტიის, სამინისტროების და უწყებათა სხვა დაპატიმრებული ხელმძღვანელები.

ებრაელ რუდოლფ სლანსკის, რომელიც შეთქმულების მონაწილეთა წინამძღოლად ითვლებოდა, ბრალად ედებოდა არა მხოლოდ "სიონისტების, - ამერიკული იმპერიალიზმის ამ საიმედო აგენტურის ძირგამომთხრელი მოღვაწეობის" მხარდაჭერასა და ხელის შეწყობაში, არამედ იმაშიც, რომ "აქტიურ ნაბიჯებს დგამდა რესპუბლიკის პრეზიდენტის კლემენტ გოტვალდის სიცოცხლის მოსწრაფებისათვის." სლანსკიმ "მისი მკურნალი ექიმები შეარჩია ბნელი წარსულის მქონე მტრული ბანაკიდან, მჭიდრო კავშირი დაამყარა მათთან და იმედოვნებდა, რომ თავისი მტრული გეგმებისათვის გამოიყენებდა."[4]

პრაღაში გასამართლებულთა დიდ ნაწილს სასტიკად გაუსწოდნენ. 1952 წლის 3 დეკემბერს 11 კაცი ჩამოახრჩეს, მათი სხეულები დაწვეს, ფერფლი კი ქარს გაატანეს.

სანამ მსოფლიო საზოგადოებრიობა თვალს ადევნებდა ავაზაკურ აქციას ჩეხოსლოვაკიაში, სტალინი შეუდგა მსგავსი, და საბჭოთა მასშტაბების გათვალისწინებით, უფრო სისხლიანი და საშინელი აუტოდაფეს უშუალო მომზადებას. "ექიმთა საქმის" გამოძიების ტემპებით, შედეგებით და, რაც მთავარია, მიმართულებით უკმაყოფილო სტალინმა თავდაპირველად საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში საკადრო რეკოგნოსცირება ჩაატარა. 1952 წლის 14 ნოემბერს რიუმინი რაიმე განმარტების გარეშე მოხსნეს უშიშროების მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს უფროს კონტროლიორად დანიშნეს. იმავე დროს იგნატიევი გამოიძახეს კრემლში, სადაც შედგა ბელადთან ახსნა-განმარტების ბობო-

ქარი სცენა, რის შემდეგ მინისტრი მიოკარდის ინფარქტით ლოგინად ჩავარდა და გარკვეული დროით საქმეებს ჩამოშორდა.

15 ნოემბერს დაინიშნა "ექიმთა საქმის" გამოძიების ახალი ხელმძღვანელი. ის აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილე ს.ა.გოგლიძე, რომელსაც ჯერ კიდევ 30-იანი წლებიდან მოჰყვებოდა პოლიტიკური რეპრესიების ორგანიზატორის სისხლიანი კვალი.[5] მაშინ ბერიამ გოგლიძეს მფარველობა გაუწია, საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად დანიშნა, რასაც მისი წარმატებული კარიერა მოჰყვა. თუმცა, შემდგომში გოგლიძის კარიერამ ასევე ელვის სისწრაფით და მოულოდნელად განიცადა კრახი, - 1953 წლის 23 დეკემბერს ორივე მათგანი დახვრიტეს საბჭოთა მაღალ ეშელონებში ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად მოწყობილი მორიგი ინტრიგის გამო.

მაგრამ ეს მომავალში მოხდება. ჯერჯერობით კი სტალინის ნდობით აღჭურვილი გოგლიძე მისივე ინსტრუქციების მიხედვით გარდაქმნიდა გამოძიებას და წარმართავდა მას იმ ჯაშუშურ-ტერორისტული ორგანიზაციების მხილებისაკენ, რომლებიც თითქოს საბჭოთა კავშირში შექმნეს უცხოურმა სპეცსამსახურებმა და მასში კრემლის ექიმებიც ჩაითრიეს. სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს განსაკუთრებულით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო ნაწილის თანამშრომლებს აგრძნობინეს, რომ სტალინი მათგან მოელოდა ყველაზე უფრო გადამწყვეტ მოქმედებას მტრის განზრახვების გამოაშკარავების საქმეში. არა აქვს მნიშვნელობა, რა საშუალებებით იქნება ეს მიღწეული, მთავარია შედეგი. "ინსტანციის" (ე.ი. სტალინის) სახელით პირდაპირ იყო მითითებული, რომ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ორგანოებში "არ შეიძლება იმუშაო თეთრი ხელთათმანებით და სუფთა დარჩე." გოგლიძემ მოითხოვა, მის ხელქვეითებს შეეწყვიტათ დაპატიმრებულების "ძიძაობა" და ემოქმედათ როგორც "ჭეშმარიტ რევოლუციურ გამომძიებლებს."[6]

მაგრამ სტალინი არ კმაყოფილდებოდა ზოგადი მითითებებით. ის ყურადღებით კითხულობდა ექიმების დაკითხვის ყოველდღიურად წარმოდგენილ ოქმებს და, ამგვარად, განსაზღვრავდა არა მხოლოდ ძიების კონცეფციას, არამედ კონკრეტულ ნაბიჯებსაც დგამდა მის სათანადო კალაპოტში მოსაქცევად. ასე, მაგალითად, "ექიმთა საქმის" მთავარი ბრალდებულის - პროფესორ ვ.ნ.ვინოგრადოვის დაკითხვის ოქმში 1952 წლის 18 ნოემბერს გაჩნდა "გამოძიების განცხადება," რომელშიც ნათქვამი იყო:

"ხელმძღვანელობისაგან დავალებული გვაქვს გადმოგცეთ, რომ ჩადენილი დანაშაულებისათვის უკვე შეიძლება თქვენი ჩამოხრჩობა, მაგრამ შეგიძლიათ სიცოცხლე შეინარჩუნოთ და მუშაობის საშუალებაც კი მიიღოთ, თუ გულწრფელად გვიამბობთ სად აქვს ფესვები გადგმული თქვენს დანაშაულს, ვისზე იყავით ორიენტირებული, ვინ არიან თქვენი პატრონები და თანამოაზრეები. ჩვენ დავალებული გვაქვს გადმოგცეთ, რომ, თუ მოინდომებთ ბოლომდე მოინანიოთ, შეგიძლიათ დაწეროთ თქვენი ჩვენებები ბელადის სახელზე. იგი გპირდებათ სიცოცხლის შენარჩუნებას, თუ გულახდილად აღიარებთ ყველა თქვენ დანაშაულს და ბოლომდე გამოააშკარავებთ თქვენ თანამზრახველებს. მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია, რომ ჩვენი ბელადი ყოველთვის ასრულებდა მიცემულ პირობას."[7]

მსგავსი დაპირებების ფასი საკუთარ ტყავზე გამოსცადეს 1936 წელს დახვრეტილმა ყოფილმა ოპოზიციონერებმა გ.ე. ზინოვიევმა და ლ.ბ. კამენევმა, რომლებიც ენდნენ სტალინის დაპირებას, რომ სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა, თუკი აღიარებდნენ მითიურ ანტისახელმწიფოებრივ დანაშაულს.

ვინოგრადოვის შემთხვევაში ამ ძველმა ვერაგულმა ხერხმა არ გაამართლა. თავისი ხანგრძლივი და ტრაგიკული მოვლენებით აღსავსე ცხოვრების მანძილზე მას არ გაჩნდა გულუბრყვილო ილუზიები თავიანთი ფიცისადმი ბოლშევიკური ბელადების ერთგულების თაობაზე. მოხუცი პროფესორი თავზარდაცემული და ენაჩავარდნილი იყო, განცხადება რომ წაუკითხეს. "რატომ გაჩუმებულხართ?" — ჰკითხა პოლკოვნიკმა სოკოლოვმა, რომელიც დაკითხვას აწარმოებდა. "მე ტრაგიკულ მდგომარეობაში ვარ და არაფერი მაქვს სათქმელი, - უპასუხა ვინოგრადოვმა და მტკიცედ დასძინა, - უცხოელებს არ ვემსახურებოდი, არავის შემოვუგზავნივარ და დანაშაულში არავინ ჩამითრევია."[8]

მსგავსმა სიმტკიცემ არ დააბნია გამომძიებელი, მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში თანამოსაუბრისათვის ძალზე უსიამოვნო სიურპრიზი ჰქონდა მომზადებული — იქვე, გვერდით ოთახში მყოფი მუქარითა და წამებით სრულიად გატეხილი ექიმი გ.ი. მაიროვი მზად იყო ბრალი დაედო თავისი მასწავლებლისათვის ათასნაირ საშინელ ცოდვაში. რომ შემოიყვანეს, კარშივე რობოტივით წარმოთქვა წინასწარ რეპეტიციაგავლილი ფრაზა: "დანაშაულში ჩამითრია პროფესორმა ვინოგრადოვმა." "ვინოგრადოვი ვიღას ემსახურებოდა?" — მისახვედრი კითხვა დაუსვა

სოკოლოვმა. "რა თქმა უნდა, ამერიკელებს," - რის შემდეგაც, წინასწარ ტკბებოდა რა მოწყობილი პროვოკაციით, გამომძიებელმა გამომცდელად შეხედა ვინოგრადოვს. ამ უკანასკნელმა კი არც თუ უბოროტო ირონიით უპასუხა: "მაიროვი ცილს მწამებს, თითქოს ამერიკელებს ვემსახურებოდი. უფრო თამამად შეეძლო ჩემთვის გერმანელი ჯაშუში ეწოდებინა, რადგან ყოველთვის სიმპათიურად ვიყავი განწყობილი გერმანელების მიმართ, მეცნიერებაში გერმანული სკოლის მიმდევარი გახლავართ, ნამყოფი ვარ გერმანიაში, სადაც მეცნიერები კარგად მხვდებოდნენ..."[9]

ასეთი თავხედობით გაცოფებულმა გამომძიებელმა ბრძანა, სასწრაფოდ გადაეყვანათ პროფესორი შიდა ციხის უფროსის კაბინეტში. იქ უბედური იატაკზე დააგდეს და მხეცური ცემა და დედის გინება დაუწყეს. გაწაფული ხელით ცემა-ტყეპა სამ დღეს გრძელდებოდა და იმდენად საშინელი იყო, რომ მსხვერპლს სტენოკარდიული შეტევა დაეწყო, ნაცემის კვალმა კი მხოლოდ ექვსი კვირის შემდეგ გაუარა. ვინოგრადოვი რამდენიმე დღე ხელბორკილებში ჰყავდათ და გააფრთხილეს, რომ თუ კვლავაც გაჯიუტდებოდა, ბორკილებს ფეხებზეც დაადებდნენ.

ცემა-ტყეპით, დღედაღამ ბორკილებში ყოფნით, უძილობით და სხვაგვარი აბუჩად აგდების მსხვერპლი გახდნენ, აგრეთვე, პროფესორები ვ.ხ. ვასილენკო, მ.ს. ვოვსი, ბ.ბ.კოგანი და სხვა დაპატიმრებული ექიმები[10].

ვინოგრადოვი სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე აღმოჩნდა და იძულებული გახდა დაეთმო მწამებელთა ზეწოლისათვის - ხელი მოაწერა მათ მიერვე მომზადებულ "აღიარებას" ჯაშუშურ-ტერორისტული მოღვაწეობის შესახებ.

ვინოგრადოვთან ერთად კრემლის საავადმყოფოში ჩატარებულმა გამოძიებამ ინგლისის დაზვერვის აგენტურას მიაკუთვნა სხვა პროფესორებიც, მათ შორის პ.ი. ეგოროვი, ვ.ხ. ვასილენკო, ა.ა. ბუსალოვი და ვ.ფ. ზელენინი. უკანასკნელმა, რომელიც 1953 წლის 25 იანვარს დააპატიმრეს, წაყენებული ბრალდების გარდა, მისცა დამატებითი ჩვენება, რომ 1925 წლიდან ომის დაწყებამდე ერთგულად ემსახურებოდა გერმანულ დაზვერვას. ამასთან, საჯაშუშო დავალებებს ღებულობდა უშუალოდ "ებრაელი ნაციონალისტის" პროფესორ ვოვსისაგან.[11]

როდესაც გამომძიებელმა "საბჭოთა მედიცინაში მოკალათებულ ამ სიონისტების წინამძღვარს" ჰიტლერული გერმანიის სასარგებლოდ ჯაშუშობის აბსურდული ბრალდება წაუყენა, ვოვსიმ მწარედ შენიშნა: "ორი ქვეყნის დაზვერვის აგენტი გამხადეთ, მაგრამ გერმანიას მაინც

ნუ მომაწერთ; მამაჩემი და ძმის ოჯახი ომის დროს ფაშისტებმა აწამეს დვინსკში." "საკუთარი ახლობლების სისხლით სპეკულაციას თავი დაანებეთ"[12], - მიიღო მან ცინიკური პასუხი.

რაკიღა ებრაულ წრეებში "ბრძენ მეერად" წოდებული ვოვსი მსახიობ ს.მ. მიხოელსის ბიძაშვილი იყო, მას ამერიკის დაზვერვასთან ომის შემდგომი თანამშრომლობაც მიაწერეს. 1952 წლის 11 ნოემბრის ღამით, დაპატიმრებისთანავე, წითელი არმიის ყოფილი მთავარი თერაპევტის და ჟურნალ "კლინიკური მედიცინის" რედაქტორისაგან მოითხოვეს ჩვენებები, ვინ და როგორ გადასცემდა მას დირექტივებს "ოკეანისგაღმელი პატრონებისაგან." მიმართეს ყველა ზომას - დამქანცველ ხანგრძლივ დაკითხვებს, ხელბორკილებს, მუქარას; მათ შორის ასეთ მხეცურსაც კი: "ხელ-ფეხს და თავს მოგკვეთთ, ჩამოგახრჩობთ, ვერხვის პალოზე დაგსვამთ."[13]

1952 წლის 21 ნოემბრიდან მოყოლებული, როცა პროფესორს ძალებმა უღალატა, მან, როგორც მექანიკურმა თოჯინამ, მორჩილად დაიწყო ხელის მოწერა გამომძიებლის მიერ შედგენილ ყველა ოქმზე. ხსენებულ ოქმებში პარანოიდული დაჟინებით იყო გატარებული იდეა კრემლის ექიმების შეთქმულების ჩამოყალიბებაში ამერიკული სიონისტური ორგანიზაციების და სადაზვერვო სამსახურების ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის შესახებ. მთელ ამ ამბავზე ოკეანისგაღმელების გავლენის ამოსავალ პუნქტად აღებული იყო მიხოელსის დაბრუნება აშშ-ში ომის დროს გამართული პროპაგანდისტული ტურნედან. 1946 წლის შემოდგომაზე მან თავის ბინაში, "ტვერსკოი ბულვარზე" გამოიძახა მ.ს. ვოვსი, რომელსაც თურმე მოუწოდა ებრძოლა, რათა ებრაელებს შეენარჩუნებინათ საკვანძო პოზიციები მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების სფეროში. ამასთან ერთად, მისცა კონკრეტული მითითება, მოეხდინა საბჭოთა მედიცინაში ებრაელი კადრების დანერგვის ფორსირება. ამ პრიმიტიული სიუჟეტის განვითარებაში ვოვსი აიძულეს "გაეხსენებინა," რომ 1947 წელს ბოტკინის საავადმყოფოში იგი შეხვდა პროფესორ შიმელიოვიჩს, რომელმაც გააცნო აშშ-დან მიღებული "ჯოინტის" დირექტივა, საბჭოთა პარტიული და პასუხისმგებელი მუშაკების ჯანმრთელობის შერყევის მიზნით, ფართომასშტაბიანი აქციის გაშლის თაობაზე. თანაც ვოვსი აიძულეს, დაეზუსტებინა, რომ შიმელიოვიჩი მოქმედებდა არა როგორც კერძო პირი, არამედ როგორც ებრაული ანტიფაშისტური კომიტეტის წარმომადგენელი.

ვოვსი, რომელიც 1949 წლამდე საბჭოთა კავშირის სამხედრო სამინისტროს მთავარი თერაპევტი იყო და, ამდენად, კონსულტაციას უწევდა ისეთ საბჭოთა მხედართმთავრებს, როგორებიც იყვნენ ფ.ი.ტოლბუხინი, ი.ს.კონევი, ლ..ა. გოვოროვი, ა.მ. ვასილევსკი, გ.ი. ლევჩენკო, ი.ნ. ფედორენკო და სხვები, საერთოდ თეთრხალათიან დივერსანტად წარმოსახეს, გარედან მიცემული დავალებით ძირს რომ უთხრიდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ინტელექტუალურ პოტენციალს. ამას გარდა, სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო მიაწერდა მას განსაკუთრებულ ორგანიზატორულ ნიჭს. ასე მაგალითად, სხვა ცოდვებთან ერთად ვოვსი დაადანაშაულეს, რომ მისი ხელმძღვანელობით პროფესორებმა - ა.მ. გრინშტეინმა, ა.ი. ფელდმანმა, ბ.ს. პრეობრაჟენსკიმ, ექიმმა ა.მ. მაიოროვმა და, ასევე, სხვა ექიმებმა, რომლებიც ა.ა. ანდრეევს მკურნალობდნენ, "განზრახ გამოიყვანეს მწყობრიდან" ეს მსხვილი პარტიული მოღვაწე და სოფლის მეურნეობის სპეციალისტი. იმდენად, რამდენადაც ანდრეევს თავის ძლიერ ტკივილებისა და უძილობის გამო კრემლის ექიმებმა 1947 წლიდან საძილე პრეპარატების დიდ დოზებთან ერთად კოკაინის გამოყენების ნება დართეს, დასამტკიცებელი თითქმის აღარაფერი დარჩა — "მავნებლური" მკურნალობა სახეზე იყო. ამასთან, გამოძიების მიერ, რა თქმა უნდა, იგნორირებული იყო ის ფაქტი, რომ 1951 წელს ანდრეევი საგრძნობლად გამოკეთდა და შეწყვიტა ნარკოტიკის მიღება.

ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და, გამომძიებლის ფანტაზიაც დაკითხვიდან დაკითხვამდე სულ უფრო თავაწყვეტილი ხდებოდა. და, აი, უკვე ამგვარი შემოქმედების სულის ჩამდგმელს "მახლობელ" აგარაკზე უგზავნიან დაკითხვის ოქმებს, რომლებშიც ვოვსი და ბ.ბ.კოგანი ამტკიცებენ, რომ 1952 წლის ივლისში, როცა ისინი უკვე გაძევებული იყვნენ კრემლის საავადმყოფოდან, მოილაპარაკეს, რათა ყველა ღონე ეხმარათ უშუალოდ სტალინის, ბერიას და განსაკუთრებით, მალენკოვის მოსასპობად, რომელსაც ანტისემიტური კურსის მთავარ ორგანიზატორად მიიჩნევდნენ. ამ "ეშმაკისეული" გეგმის ძირითად შემსრულებლად დასახელებული იყო ვინოგრადოვი, რომელიც ჯერ კიდევ განაგრძობდა მუშაობას კრემლის სამკურნალო-სანიტარულ სამმართველოში.

ძნელი სათქმელია, სჯეროდა თუ არა მთელი ეს ნაბოდვარი თავად სტალინს. თუმცა, ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ იგი სულ უფრო და უფრო ნაკლებად ენდობოდა თავის უახლოეს გარემოცვას. ხოლო, როცა ზემოთ ხსენებულ მასალებთან ერთად მას წარუდგინეს მოწმე

ლ.ფ. ტიმაშუკის ჩვენებები, რომელიც ჩიოდა, რომ 1948 წელს სტალინის დაცვის უფროსმა ნ.ს. ვლასიკმა უგულისყურობა გამოიჩინა მისი სიგნალების მიმართ ჟდანოვის არასწორი მკურნალობის თაობაზე, დიქტატორი უკვე ნამდვილად შეშინდა. პროგრესირებადმა ათეროსკლეროზმა მას მეხსიერება დაუჩლუნგა. სტალინს, რა თქმა უნდა, დაავიწყდა, რომ ოთხი წლის წინ უკვე წაიკითხა და არქივში გადააგზავნა ტიმაშუკის წერილი. სტალინი განრისხდა: ის, ვისაც უსაზღვროდ ენდობოდა და ვინც ოც წელზე მეტი იმსახურა მის პირად დაცვაში, ახლა გამოუფხიზლებელი სიმთვრალისა და გარყვნილების გამო გაიხრწნა, დაკარგა მტრის ამოცნობის ალღო და სიფხიზლე, ღალატის გზას დაადგა.

1952 წლის 1 დეკემბერს სტალინმა შეკრიბა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ბიუროს წევრები და განუცხადა, რომ 1948 წელს აბაკუმოვმა და ვლასიკმა პირადად მას და ქვეყნის ხელმძღვანელობას დაუმალეს მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ამხელდა ჟდანოვის მკვლელობის შეთქმულებას. ახდენდა რა დამსწრეებზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, როგორც მახრჩობელა გველი კურდღელზე, სტალინი შეუდგა მათ დაშინებას იმით, რომ არა მხოლოდ ჟდანოვი, არამედ მთელი საბჭოთა ხელმძღვანელობა, გარდა, შესაძლოა, მოლოტოვისა და მიქოიანისა (რომლებიც ჯაშუშობაში იყვნენ ეჭვმიტანილები), უნდა დაღუპულიყო "თეთრხალათიან მკვლელთა" ხელით. ამ რეალობას ადასტურებდა დაპატიმრებული ექიმების აღიარებითი ჩვენებები, რომლებიც სტალინის მითითებით დროულად გადაეგზავნათ "სამედიცინო ტერორისაგან გადარჩენილ მსხვერპლებს" — მალენკოვს, ხრუშჩოვს და სხვა უმაღლეს ხელმძღვანელებს. გაითავისა რა უდარდელ და უგუნურ თანამებრძოლთა მხსნელის როლი, სტალინმა მედიდური უპირატესობის გრძნობით დაასკვნა: "თქვენ ბრმა კნუტები ხართ, რა მოხდება უჩემოდ? ქვეყანა დაიღუპება იმიტომ, რომ თქვენ არ ძალგიძთ მტრების ამოცნობა."[14]

ამ ოსტატურად განხორციელებული პროვოკაციული დემარშის შედეგად, 4 დეკემბერს მიღებული იქნა "სამკურნალო საქმეში მავნებლობის" აღმოფხვრისაკენ მიმართული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება. როგორც მოსალოდნელი იყო, ძირითადი დანაშაული "მომწამვლელი ექიმების" მრავალწლიანი და დაუსჯელი მოღვაწეობის გამო ეკისრებოდათ მათ სიფხიზლედაკარგულ "წამქეზებლებს" — აბაკუმოვს და ვლასიკს. დადგენილება აგრეთვე ითვალისწინებდა საბჭოთა

კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პოსტიდან ე.ი.სმირნოვის მოხსნას იმისათვის, რომ ის თითქოსდა, ხელს უწყობდა თავის დამნაშავე კოლეგებს და "შეესისხლხორცა მათ ლოთობის ნიადაგზე." მის ადგილზე 1953 წლის თებერვალში დანიშნეს ა.ფ.ტრეტიაკოვი.

15 დეკემბერს მოხდა სამსახურიდან გადაყენებული ვლასიკის უკვე დიდი ხნის წინ დაგეგმილი დაპატიმრება. მისი სასამართლო მხოლოდ 1955 წლის 17 იანვარს შედგა. რა თქმა უნდა, მაშინ მას უკვე აღარ აბრალებდნენ "მავნებელი ექიმების" დანაშაულებრივი განზრახვების დაფარვაში, ვინაიდან ისინი უკვე დიდი ხნის წინ იყვნენ რეაბილიტირებულები. ამჯერად ზედაპირზე ამოტივტივდა ამ ბონვივანის ისეთი ცოდვები, როგორც ომში ნადავლი ქონების მიტაცება, ამორალური საქციელის ნიადაგზე სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, საიდუმლო დოკუმენტების გათქმა და ა.შ. მოკლედ, ყოველივე ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ ვლასიკისათვის ბოლოს და ბოლოს 5 წლით გადასახლება მიესაჯათ.

ამგვარად, მაღალი პარტიული წრეების მხარდაჭერა რომ გაინაღდა, სტალინმა "ექიმთა საქმეს" მსხვილი პოლიტიკური აქციის მასშტაბი მისცა და დაიწყო მზადება, რათა მასში ქვეყნის მთელი მოსახლეობა ჩაერთო.

1953 წლის 9 იანვარს შედგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა, რომელზეც განიხილეს ხალხისადმი საბჭოთა კავშირის სატელეგრაფო სააგენტოს მიმართვის პროექტი "მავნებელ ექიმთა" ჯგუფის დაპატიმრების თაობაზე. ბიუროს წევრების - ლ.პ.ბერიას, ნ.ა. ბულგანინის, კ.ე. ვოროშილოვის, ლ.მ. კაგანოვიჩის, გ.მ. მალენკოვის, მ.გ. პერვუხინის, მ.ზ. საბუროვის და ნ.ს. ხრუშჩოვის გარდა, ამ სხდომას ესწრებოდნენ ცენტრალური კომიტეტის მდივნები - ა.ბ. არისტოვი, ლ.ი. ბრეჟნევი, ნ.გ. იგნატოვი, ნ.ა. მიხაილოვი, ნ.მ. პეგოვი, პ.კ. პონომარენკო, მ.ა. სუსლოვი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე მ.ფ. შკირიატოვი, დ.ტ. შეპილოვი, რომელიც იმ დროისათვის "პრავდას" რედაქტორი გახდა. აგრეთვე, სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილეები ს.ი. ოგოლცოვი და ს.ა. გოგლიძე.[15] მოწვეულებს შორის არ იყო სახელმწიფო უშიშროების მინისტრი იგნატიევი, რომლითაც სტალინი უკმაყოფილო იყო და რომელიც მანამდე არაერთხელ შეუხურებია "ექიმთა საქმესთან დაკავშირებული ჩავარდნების გამო."

აღსანიშნავია, რომ თავად სტალინმა მოულოდნელად თავი აარიდა ამ სხდომაში მონაწილეობას*, თუმცა ადრე, როცა კრემლში თავისი თანამებრძოლები შეკრიბა, წაუკითხა მათ 1948 წელს ტიმაშუკის მიერ კრემლში გამოგზავნილი წერილი.[14] თუ დიქტატორის ვერაგ ბუნებას გავითვალისწინებთ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას არა მხოლოდ "ექიმთა საქმის ინსპირირებაში" ყოველგვარი პასუხისმგებლობის თავიდან აცილება სურდა, არამედ საჭიროების შემთხვევაში მზად იყო ყველაფერი სხდომის მონაწილეებისათვის გადაებრალებინა**

შენიშვნები

1-3. Документы бывшего КГБ СССР. Реабилитация. Политические процессы 30-50-х годов. М., 1991.
4. "Правда", 21 ноября 1952.
5-11. Документы бывшего КГБ СССР.
12. "Московские новости", 7 февраля, 1988.
13-14. Документы бывшего КГБ СССР. с. 513.
15. Документ Архива Президента РФ.
16. С. Хрущеи. Воспоминания. Вопросы истории, 1990. с. 69-70.

---

* ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ბიუროს სხდომის მონაწილეთა წინასწარ შედგენილ სიაში სტალინის გვარი პირველი ეწერა, მაგრამ შემდგომ ის ამოშალეს და იქვე, გვერდით, ფრჩხილებში გაჩნდა მინაწერი: "არ ესწრებოდა" (რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის არქივის დოკუმენტი).

** ამ ვერსიის სასარგებლოდ ის ფაქტიც მოწმობს, რომ 1953 წლის 9 იანვარს ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ბიუროს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება (ოქმი №7) "მოწონებულ იქნეს პრესაში გამოსაქვეყნებელი ცნობის პროექტი მავნებელ ექიმთა ჯგუფის დაპატიმრების თაობაზე და გამოქვეყნდეს იგი "პრავდაში" ამ საკითხისადმი მიძღვნილ სტატიასთან ერთად," ხელმოწერილი იყო არა როგორც ჩვეულებრივ: "ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი.სტალინი," არამედ სხვაგვარად: "სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ბიურო" (რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის არქივის დოკუმენტი).

ვუძღვნი მამის ხსოვნას

სტალინი. შტრიხები პორტრეტისათვის მისი ბიბლიოთეკისა და არქივის ფონგე[1]

მაგრამ დიდების მაგიერ,
სად ჩანგმა გაიწკრიალა,
განდეგილს ბრბომ იქ დაუდგა
შხამით აღსავსე ფიალა...
და უთხრეს: "შესვი წყეულო,
ეგ არის შენი ხვედრიო!
შენი არ გვინდა სიმართლე,
არც ეგ ციური ხმებიო!.."

იოსეგ სტალინი

სულში ჩამიძვრა, ხელს რომ ჩაყოფენ ჯიბეში, ისე,
ვერ შევიცანი, ეშმა იყო თუ ხორციელი, ქაჯს ჰგავდა ისე,
მალაყი დაჰკრა, ჩააბინძურა, ააქოთა ყოველი მყისვე,
ხითხით-ხითხითით ამოძვრა უკან, რომ ისეირა,
თითქოს უბრალოდ გაისეირნა.
ბრიყვო, - მომმართავს, ჩამჩურჩულებს ეს ბილწი ქაჯი
და თან მარიგებს,
"ნარწყევ-ნანთხევიც რომ მოგართვას
ლამაზი სინით ხალხმა პატივით,
კბილების ღრჭენა არ გაბედო,
უხმოდ შეთქვლიფე..."
წაგებულია, ვინც შეგონებას ჩემსას არ იღებს.

ფედორ სოლოგუბი

ისტორიული პორტრეტირება, როგორც მეთოდი

ისტორიული პორტრეტირება განსაკუთრებული ისტორიული ჟანრის მეთოდია. პორტრეტმა შეიძლება ასახოს არა მხოლოდ ადამიანის სახე და სხეული, არამედ ეპოქის ხატება და ისტორიული მოვლენის არსიც. მთავარი ის კი არ არის, რას გამოსახავს ისტორიკოსი, არამედ ის, თუ როგორ გამოსახავს. ადამიანს უნარი აქვს ერთბაშად მოიცვას აღქმისათვის განკუთვნილი მასალის საკმარისი მინიმუმი, რათა დაახლოებით მაინც გაიგოს რა არის მის წინაშე, ტვინი კი ხილულზე აფიქსირებს "საყრდენ წერტილებს." ასე ყალიბდება მომავალი სრულყოფილი გამოსახულების ესკიზი, "გეშტალტი." მასალის დროის მიხედვით დაკომპლექტების, ანუ კომპოზიციის, ან კონსტრუქციის თვალსაზრისით ისტორიული ნაშრომები პირობითად შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ:

- ქრონოლოგიური გამოკვლევები, რომლებშიც მოვლენები შედარებით თანმიმდევრობით არის აღწერილი — ადრინდელიდან გვიანდლამდე;

- რეტროსპექტული ნაშრომები, რომლებშიც მოვლენების გადმოცემა იწყება ფიქსირებული მდგომარეობის მომენტიდან, შემდეგ კი მოცემულია საწყისისაკენ უკუგანვითარების ლოგიკა;

- ისტორიული პორტრეტირება, როცა ისტორიკოსი მკითხველის თვალწინ წარსულიდან გამოიწვევს ადამიანის სახეს ან ნებისმიერ ისტორიულ მოვლენას. საყრდენი წერტილებიდან შტრიხებამდე, მონახაზებიდან ესკიზამდე, შემდგომ - ფონამდე და წვრილმანების აღწერამდე, ხოლო მათი დახმარებით მთლიანი სახის ახსნამდე. ამაშიც არის სახეების გახსნის საკუთარი ქრონოლოგია, ანუ მისი ჩამოყალიბება და განსახიერება აღქმის პროცესში. მართალია, სხვებთან შედარებით ეს მეთოდი ისტორიკოსს უამრავ ხაფანგსა და საშიშროებას უმზადებს, მაგრამ მას ბევრი უპირატესობაც აქვს, რომელთა შორის მთავარია საკუთარი გმირის (ობიექტის) სასიცოცხლო სივრცეში თავისუფალი დროითი გადაადგილება.

სტალინური ეპოქის ისტორიული რომანის დიდოსტატი ა.ნ. ტოლსტოი, რომელმაც გაცილებით უფრო დიდი გავლენა მოახდინა თავის თანამედროვეებზე, ვიდრე ნებისმიერმა ცნობილმა ისტორიკოსმა,

ისტორიული პორტრეტის აღიარებული სპეციალისტი იყო. მის გალერეაში შეხვდებით ყველა იმ პერსონაჟის პორტრეტს, რომელთა სამოსს დროდადრო მოირგებდა ხოლმე ჩვენი გმირი. ესენი არიან: პეტრე I, ივანე მრისხანე, ლენინი და თავად სტალინი. მას მიაჩნდა, რომ "გმირის პორტრეტი თვით მოძრაობიდან უნდა აღმოცენდეს... პორტრეტი მჟღავნდება სტრიქონებში, სტრიქონებს შუა, სიტყვებს შორის, იგი თანდათანობით წარმოიშვება და მკითხველი უკვე თავად წარმოიდგენს მას ყოველგვარი აღწერის გარეშე."[2] მოდით, ნუ ავყვებით მიმბაძველობას, რაც, როგორც ცნობილია, დამღუპველია, და ერთგვარ მეთოდოლოგიურ ვექტორად მივიღოთ ეს მოსაზრება.

ცოტა ხნის წინ მეტად თავისებური გამოცემა განხორციელდა. ერთი წიგნის ყდაში ჩასვეს ივანე მრისხანეს ორი პორტრეტი. ერთი ეკუთვნის XX საუკუნის რუსეთის ისტორიის ცნობილ სპეციალისტს აკადემიკოს ს.ფ.პლატონოვს, მეორე — არანაკლებ ცნობილ აკადემიკოსს რ.ი. ვიპერს[3]. პლატონოვის კლასიკური ნაშრომი "ბიოქრონიკის" სტილშია დაწერილი: მასში გადმოცემულია ყველაფერი, რაც ცნობილია გმირზე მისი დაბადებიდან სიკვდილამდე. ვიპერმა კი დაარღვია ქრონოლოგია, ივანეს პორტრეტი აღწერა XVI საუკუნის მწირ ფონზე, მასში ხაზი გაუსვა მხოლოდ ყველაზე არსებითს და თვალი გაადევნა მეფის სიკვდილის შემდგომი სახების ბედს. ორი მიდგომა — ორი ჟანრი, ერთი ობიექტი — ორი შედეგი.

მიუხედავად განცდათა იმ სიმძაფრისა, დღემდე რომ შეიგრძნობა წიგნის კითხვისას, ვიპერი სულაც არ გახლავთ ნიმუში. ამიტომაც ეს ნაწარმოები ჩვენთვის შეიძლებოდა ჩვეულებრივ ისტორიოგრაფიულ სიგნატურად, სტალინის მომავალი პორტრეტის მინდვრებზე გაკეთებულ აღნიშვნად დარჩენილიყო, რომ არა ერთი გარემოება — სტალინი გატაცებით კითხულობდა ვიპერის წიგნებს. სამწუხაროდ, ბელადის თანამედროვე არქივში სწორედ ეს წიგნი არ არის. ადვილი შესაძლებელია, მისი პირველი, 1922 წლის გამოცემა სტალინის კრიტიკული შენიშვნებითურთ ჯერაც ისტორიკოსის არქივში იყოს. ყოველ შემთხვევაში, "ივანე მრისხანეს" საბჭოთა, განმეორებით გამოცემებს (მე-2, ტაშკენტი, 1942 წ.; მე-3, მოსკოვი-ლენინგრადი, 1944 წ) აშკარად ეტყობა სტალინური "მარქსიზმის" სულისკვეთებით გადამუშავების ნაკვალევი.

სამაგიეროდ, ვიპერის სამი წიგნი: "რომის იმპერიის ისტორიის ნარკვევები" (მოსკოვი, 1908 წ.), "ძველი ევროპა და აღმოსავლეთი" (მოსკოვი, 1916 წ.) და "საბერძნეთის ისტორია კლასიკურ ეპოქაში. IX-IV სს ჩვენს წელთაღრიცხვამდე" (მოსკოვი, 1916 წ.), სტალინის ხელნაწერით არის აჭრელებული. ვიპერს უდავოდ შეიძლება ვუწოდოთ სტალინის უსაყვარლესი ისტორიკოსი. აღსანიშნავია, რომ "ივანე მრისხანეს" გამოცემამდე 10 წლით ადრე ვიპერმა დაგვიხატა ძველი რომის პორტრეტი და მკითხველს წარმოუსახა მისი იმპერიალისტური არსი. სტალინი, როგორც ჯადოსნური ზღაპრით, ისე მოიხიბლა ამ მეცნიერული მონოგრაფიით.

მკითხველთა სამსჯავროზე გამოგვაქვს სტალინის ინტელექტუალური და სულიერი სახის აგების მცდელობა. პრეტენზია არ გვაქვს, რომ იგი ზუსტად შეესაბამება ორიგინალს. პირველ ყოვლისა, გვინდოდა ჩავწვდომოდით იმ ადამიანის აზროვნებასა და გრძნობებს, "სტალინის" ფსევდონიმს რომ ატარებდა. იქნებ მისი, ისტორიულად გუშინდლის შეცნობით უკეთ გავუგოთ ჩვენს საკუთარ თავს დღევანდელ დღეს.

* * *

სტალინის ისტორიული პორტრეტირება, ერთი მხრივ, ტექნიკურად თითქოს არც თუ ისე ძნელი საქმეა, თუმცა, მეორე მხრივ — თითქმის შეუძლებელი რამ გახლავთ. მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე იგი, გაჰყურებდა რა მომავალ თაობებს, მიზანმიმართულად ათავსებდა თავის წარსულსა და აწმყოს ათასობით მართებულ, რეტუშირებულ, გაპრიალებულ და სიტყვიერად სტერილიზებულ გარსში: ფოტოები, კინოქრონიკა, ბიოგრაფიები, თხზულებანი... მის მიერ ინიცირებული, მსოფლიო ისტორიაში უპეცედენტო რეპრესიებიც კი მან "დოკუმენტირებული" და "დადასტურებული" სასამართლო პროცესების გარსში ჩასვა, ერთი მუჭა სისხლის სამართლის დანაშაულები მილიონობით უდანაშაულოში გათქვიფა. ამგვარ გარსთა გახსნა არც ისე ძნელია. რეცეპტი ცნობილია. უდიდესი სურვილი გვაქვს გინვაცხადოთ, რომ თუ ამ გარსებს მოვხსნით, ეჭვგარეშეა, მივაღწევთ ჭეშმარიტ სტალინამდე — საკმარისია, მხოლოდ მზესუმზირასავით გამოვარჩიოთ მისი სახე გახეული გარსებიდან და საბურველებიდან. მაგრამ, მოდით, ნუ ვიქნებით ასეთი მიამიტები, "ჭეშმარიტი სტალინი" ისტორიულ სივრცეში არ არსე-

ბობს, ისევე, როგორც ჩეზარე ბორჯია, ივანე IV, ჩინგიზ ხანი და წარსულის სხვა პიროვნებები. არსებობს რაღაც სულ სხვა.

ნებისმიერმა პროფესიონალმა ისტორიკოსმა გაცილებით უფრო მეტი იცის თავის გმირზე, ვიდრე თავად ამ გმირმა. მკვლევარი ხედავს მას ეპოქის, ქვეყნის, ოჯახის, ნივთების, დოკუმენტების, სხვა ადამიანების, სხვადასხვა იდეისა და მოსაზრების ფონზე. მაგრამ პორტრეტირებადი ობიექტისათვის "ფონი" სცენა არ გახლავთ, ეს მისი ბედია, მისი ცხოვრება, მისი ორგანული მთლიანობა, რომლის ჩაწვდომა მხოლოდ შიგნიდან შეიძლება, ანუ იმ შემთხვევაში, თუ ცხოვრობ იმავე ეპოქაში, იმავე დროში, იმავე გარემოში და წარმოდგენა არა გაქვს, რა მოგელის ხვალ, ან თუნდაც, ერთი წამის შემდეგ. ისტორიკოსი კი თავის გმირს მომავლიდან შეჰყურებს, ამიტომ ერთიანად ხედავს მის ბედ-იღბალს და მთელ მის საქმიანობას დასაწყისიდან დასასრულამდე. მაგრამ მკვლევარს, რომელიც საქმის მშვენიერი ცოდნით გამოსახავს "ფონის" დეტალებს და პორტრეტის დეტალებს, ამ ფონზე, არ შეუძლია იცოდეს, რა ხდებოდა პორტრეტირებადი იოსებ ბესარიონის ძე სტალინის სულსა და გონებაში, მაგალითად, 1953 წლის 5 მარტს, 21 საათსა და 47 წუთზე, ანუ უკანასკნელ გულისცემამდე სამი წუთით ადრე. რას გრძნობდა იგი ან რას ფიქრობდა, ანდა შეეძლო თუ არა საერთოდ რაიმეს შეგრძნება და ფიქრი იმ მომენტში, როცა უკანასკნელად ასწია მარცხენა ხელი (რომელსაც იდაყვში ვერ შლიდა) ზემოთ გაშვერილი თითით, თითქოს ვიღაცას უხმობდა ან ემუქრებოდა? ისტორიკოსი ვერასოდეს გაიგებს ვერც ამ წუთების და ვერც თავისი გმირის შინაგანი, ანუ ჭეშმარიტი ცხოვრების ათასობით სხვა წუთისა თუ წამის შესახებ. ასე რომ, სტალინის, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ისტორიული პერსონაჟის პორტრეტის გამოსახვა ალბათ ვერასოდეს მოხერხდება. თუკი ვივარაუდებთ, რომ ამგვარი ამოცანის განხორციელება შესაძლებელია გარდაუვალი მონაგონის და ვარაუდების დახმარების გარეშე, მაშასადამე, ისტორიკოსს თამამად შეუძლია საკუთარ თავზე აიღოს სიტყვით აღდგინების ღვთიური ფუნქცია. თუმცა აქ, ისევე, როგორც ყველა წესში, გამონაკლისიც შეიძლება იყოს.

თითქმის არ არსებობს წყაროები, რომლებიც უშუალოდ ასახავდეს ადამიანის ფარულ ინტელექტუალურ და სულიერ ცხოვრებას. მხოლოდ

პუნქტირით თუ ასახავს შავი (მოსამზადებელი) ჩანაწერები იმ ადამიანთა ზოგიერთ შინაგან პროცესს, რომლებსაც ჩვეულებრივ აქვთ წერილობით გადმოსცენ თავიანთი აზრები. ამასვე შეგვიძლია მივათვალოთ დაფიქსირებული სპონტანური კომენტარები და გამონათქვამები. ცხადია, ბევრი რამ არის დამოკიდებული ტემპერამენტზე, მაგრამ სწორედ ისინი აძლევენ ისტორიკოსს თავის გმირის სულში ჩახედვის საშუალებას.

სტალინი ძალიან ბევრს კითხულობდა და წაკითხულს უამრავ კომენტარს უკეთებდა. კითხულობდა არა მხოლოდ ისე, როგორც უმაღლესი სახელმწიფო და პარტიული ჩინოვნიკი კითხულობს დოკუმენტებს. გარდა ამისა, იგი კითხულობდა, როგორც მთავარი რედაქტორი და უზარმაზარი სახელმწიფოს მთავარი პოლიტიკური და სულიერი ცენზორი. კითხულობდა, აგრეთვე, როგორც ჩვეულებრივი დაინტერესებული და, ამავე დროს, მგზნებარე ადამიანი, რომელიც იქვე ახდენს წიგნის, სტატიის, სახელმძღვანელოს, რომანის თუ კინოსცენარის ხელნაწერის კომენტირებას. აი, ეს გახლავთ, თუმცა კი მცირე, მაგრამ მაინც ხელჩასაჭიდი მასალა, რომელიც შეიძლება სტალინის სულში შეღწევაში დაგვეხმაროს.

საყრდენი წერტილები

მოვნიშნოთ მომავალი პორტრეტის პირველი საყრდენი წერტილები. ჯერ კიდევ სუფთა ისტორიულ ტილოზე ორ მოპირდაპირე მხარეს დავსვათ პოლუსის ნიშნები, "+" და "-". პლუსს მივაკუთვნოთ ყველაფერი, რაც ეხება იმას, თუ როგორ ხედავდა იგი საკუთარ თავს (როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად), მინუსს — როგორ ხედავდნენ მას სხვები სხვადასხვა დროს. პოლუსებით თამაშის ეს იდეა მე არ მეკუთვნის, ის სტალინისეულია. ისევე, როგორც ელექტრულ ველში, ეს პირობითი ნიშნები ცალ-ცალკე რაიმე დატვირთვას არ ატარებს და მხოლოდ გაერთიანებისას იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. სიცოცხლის ბოლოსათვის სტალინმა თავის დიდ დამსახურებად მიიჩნია ყველა პლუსის და მინუსის ყოველმხრივი გათვალისწინების უნარი: "სტალინი ბრძენია, აუჩქარებელი - რთული პოლიტიკური საკით-

ხების გადაწყვეტაში, სადაც აუცილებელია პლუსებისა და მინუსების ყოველმხრივი გათვალისწინება." თითქოსდა, საუბარია ელემენტარულ აწონ-დაწონაზე, რაც ნებისმიერ ადამიანს სჭირდება სერიოზული გადაწყვეტილების მიღებისას. სინამდვილეში კი საქმე უფრო რთულად არის.

ისევე, როგორც საუკუნის ყველა ადამიანს, მასაც აწვალებდა საკითხი სიცოცხლის აზრის შესახებ, რომლის არსი დაიყვანება ღმერთის რწმენამდე ან ურწმუნოებამდე. სხვების მსგავსად, მისთვის ღმერთის რწმენა და ურწმუნოება ეკავებოდა გონებისა და გრძნობის დილემას. ბევრის მსგავსად, ამ ახალ დროში მას მიაჩნდა, რომ მისი ფიქრები და წარმოდგენები ღმერთზე წარმოქმნილია მხოლოდ და მხოლოდ ადამიანური, ანუ საკუთარი ილუზორული ცნობიერებით.

ერთხელ იგი გაიტაცა ანატოლ ფრანსის დაუმთავრებელმა წიგნმა "უკანასკნელი ფურცლები," რომლის ფრაგმენტები საბჭოთა კავშირში ომამდე გამოიცა. სტალინმა აღნიშვნები გააკეთა ტექსტში და მის კიდეებზე და რამდენიმე შენიშვნაც დატოვა. ფრანსთან საუბარი იყო ღმერთზე: "აზრები, რომელსაც ღმერთს მივაწერთ, თავად ჩვენგან მოდის, ღმერთისათვის რომ არ მიგვეწერა, ისინი მაინც გვექნებოდა და ამით უკეთესები არ გავხდებოდით. ადამიანები საკუთარ გამონაგონს ემონებიან. თავად ქმნიან ღმერთებს და მერე ემორჩილებიან მათ." სტალინმა ტექსტის არეებზე ლურჯი ფანქრით ორჯერ ჰორიზონტალურად გახაზა პირველი თეზისი და ხაზი გაუსვა ბოლო ფრაგმენტის პირველ წინადადებას, გვერდით კი მიაწერა: "ცნობილი ჭეშმარიტებაა!" სტალინი ფრანსის წაკითხვამდეც არაერთხელ უნდა წაწყდომოდა მარქსის ან ენგელსის, იქნებ ფოიერბახის მიერ გამოთქმულ მსგავს აზრებს.

XX საუკუნის მრავალი ადამიანის მსგავსად იგი ცდილობდა თავიდან მოეშორებინა რელიგიაზე, რწმენაზე ფიქრი, მაგრამ მის ცხოვრებაში იყო მომენტები, როცა ეს ფიქრები მაინც შეიჭრებოდა ხოლმე ცნობიერებაში და აშფოთებდა მას. ფრანსი წერდა:"ქრისტიანობა არის ნამდვილი პირველყოფილი ბარბაროსობისაკენ დაბრუნება: მონანიების იდეა..." ფრაზა წყდება. მართლმადიდებლური სემინარიის ყოფილმა მოწაფემ იოსებ სტალინმა კი მინდვრებზე დაცინვით მიაჯღაბნა: "ასე მოუხდება მაგას!!!"[5]

ისევე, როგორც XIX- XX საუკუნის ბევრი ადამიანისათვის, სტალინისთვისაც იუდეურ-ქრისტიანული ღმერთი ჯერ კიდევ სიყმაწვილეში მოკვდა, როცა მან მარქსიზმის გზაზე შეაბიჯა. მოდით, გამოვტოვოთ შინაგანი ევოლუციის ეტაპები და აქ მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ მოწიფულობაში სტალინმა საკუთარ ძირითად საყრდენ წერტილად მონიშნა ანიჰილაციის იდეა, რაც გულისხმობს გონებისა და გრძნობის ურთიერთგანადგურებას ერთმანეთთან შეხების დროს, სიცოცხლის დადებითი და უარყოფითი პოლუსების "არარად" ქცევას.

"ღმერთი ყველა ადამიანური წინააღმდეგობრიობის გზაჯვარედინია," — დაასკვნა ფრანსმა. სტალინი დაეთანხმა მას, ხაზი გაუსვა ფრაზას და ორი ისარი გააკეთა. ერთი - ფრანსის შემდეგი თეზისის მიმართულებით: "ღმერთის არსებობა გრძნობით ნაკარნახევი ჭეშმარიტებაა... ყოველთვის, როცა მისი (ადამიანის - ბ.ი.) გონება გრძნობას შეეჯახება, გონება მარცხდება." სტალინმა ისარი წრედ შემოავლო ამ ორ თეზისს და გვერდით კვიმატურად მიაწერა: "რა უნდა ქნას კაცმა?" შემდეგ ღმერთის შესახებ ამავე თეზისიდან, როგორც ყველა წინააღმდეგობრიობის გზაჯვარედინიდან, ისარი მიმართა ამ წინააღმდეგობრიობის არსის საკუთარი გაგებისაკენ: "გონება-გრძნობები." ხოლო მისგან კიდევ ერთი ისარი მიდის გვერდის ქვედა კუთხისკენ, სადაც საბოლოო დასკვნაა გამოტანილი: "ნუთუ ესეც ± -ია? !.. რა საშინელებაა!" საშინელება! ესე იგი, მიუხედავად ყველა დაცინვისა და კვიმატობისა, იგი შეაშინა ამ აბსოლუტურმა ნულმა? ამ ჩანაწერიდან ჩანს, რომ ფიქრი იმ ყოფიერების "არარაობის" შესახებ, სადაც გონებას გრძნობა ანადგურებს და პირიქით, უკვე პირველად არ ეწვია მას. და არც უკანასკნელად.

ვფიქრობ, აქ, როგორც ზღაპრული ოკეანის ფსკერზე, იმალება სტალინის სულის ყველაზე უფრო ღრმა საიდუმლოს ამოხსნა. ეს გახლავთ უსაზღვრო შინაგანი თავისუფლების საიდუმლო, რომელსაც მან მიაღწია უპრეცედენტოდ შეუზღუდავ მბრძანებლად გახდომით. უფრო ზუსტად, იგი შეუზღუდავი მბრძანებელი გახდა, როცა მიხვდა, რომ გრძნობები, რომელთა წყალობით ადამიანის სულში სპონტანურად იბადება ღმერთი (სინდისი, თანაგრძნობა და ა.შ.), რაციონალურად ნადგურდება კრიტიკული გონებით, რომელსაც, თავის მხრივ, გრძნობები (ღმერთი) ანადგურებს. ნუ გავამარტივებთ სიტუაციას — ჩვენ წინაშე ნაცნობი მატერი-

ალიზმი როდია და, მით უმეტეს, ჰუმანიზმი თავისი უკიდურესი გამოვლინებებით, როცა ადამიანი უბრალოდ კი არ უთანაბრდება ღმერთს, არამედ შობს მას და მასზე მაღლა დგება. ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდად მოგახსენებთ, რომ როგორც ახალგაზრდობაში, ისე მოწიფულ ასაკში — მთელი ცხოვრების მანძილზე, სტალინს ეჭვი ღრღნიდა, ხომ არ არის ღმერთი ისეთივე რეალობა, როგორიც ადამიანი? იგი ძალიან ერიდებოდა ამ თემაზე აზრის ხმამაღლა გამოთქმას, მაგრამ კატეგორიულად კრძალავდა თავისი ბიბლიოთეკისათვის ათეისტური ლიტერატურის გამოწერას[6] (სიმართლე რომ ითქვას, ამგვარი ლიტერატურის უდიდესი ნაწილი ძალზე მდარე ხარისხის იყო). თუმცა, მბრძანებელი რომ გახდა, ეკლესიის, როგორც ორგანიზაციისადმი, ცივი, პრაგმატული მიდგომა ჰქონდა.

სტალინი, უფრთხოდა რა საკუთარ ფიქრებს, ნახატით ახდენდა სრული თავისუფლების საკუთარი გაგების დემონსტრირებას. ეს გახლავთ თავისუფლება საკუთარი ქმედებების ნებისმიერი შედეგისაგან, როგორი საწყისითაც არ უნდა იყოს ისინი განპირობებული — გონებით (ადამიანურით) თუ გრძნობებით (ღვთიურით). რეალურ ცხოვრებაში შეჯახებისას ისინი ისევე ანადგურებენ ერთმანეთს, როგორც ელექტრული მუხტები. ამიტომაც, არავინ არის, ვისკენ უკან მოხედვაც შეიძლებოდეს: არც ღმერთი, არც კაცობრიობა. აბსოლუტურად თავისუფალი ხარ! სიკეთისა და ბოროტებისაგან, მათ გამო დანაშაულის გრძნობისაგან. ყოველივე, რასაც იგი აკეთებდა მთელი სიცოცხლე, ეძღვნებოდა ჯერ აბსოლუტური პირადი თავისუფლების მოპოვებას, შემდეგ კი მის შენარჩუნებას. ცხადია, ყველაფერი ასე უბრალო და მარტივი არ გახლავთ — დანაშაულისა და სინანულის გრძნობებისაგან სრულიად განთავისუფლება მან ვერასოდეს შეძლო, როგორც ვერ შეძლებდა ნებისმიერი ადამიანი. ამის ბევრი აშკარა დადასტურება შეიძლება ვიპოვოთ.

უდიდესი სურვილი მაქვს, სტალინის პირველწყაროდ ნიცშე მივიჩნიო მისი ცნობილი გამონათქვამით ზეადამიანის შესახებ, რომელმაც სიკეთისა და ბოროტების იქით გადააბიჯა, მაგრამ სტალინის შენიშვნებიან წიგნებს შორის ნიცშეს ნაწარმოებები ჯერჯერობით არ უპოვიათ. თუმცა ნიცშესაგან მონაბერი ნიავი კი აშკარად იგრძნობა.

გავა წლები და სისხლიანი სამამულო ომის შემდეგ სტალინი კვლავ აიღებს ფანქარს მსგავსი ანაგრამის დასაწერად. სტალინი კითხულობდა გ.ალექსანდროვის წიგნს "მარქსიზმის ფილოსოფიური წინამორბედები" (მოსკოვი, 1940). ერთ ადგილას ავტორი გადმოგვცემს ფიჰტეს ფილოსოფიურ სისტემას, რომელშიც ახსნილია დიალექტიკური წინააღმდეგობა "მე"-სა და "სხვა"-ს შორის. ფიჰტეს მიხედვით ცნობიერებაში ამ წინააღმდეგობის გადაჭრის შედეგად, როგორც დიალექტიკური სინთეზი, იბადება ადამიანის პიროვნება. ზუსტად ისევე, როგორც ანატოლ ფრანსის წიგნის ფურცლებზე, სტალინმა კვლავ იფეთქა არეებზე აკურატული მინაწერითა და ნაცნობი ნახატით: "ეს ხომ მშვენიერია! "მე" და "სხვა." ეს ხომ ⊕-ია,"[7] ანუ ნული, არარაობა. და თუ ფრანსის წიგნში მან მიაწერა: "რა საშინელებაა!," აქ იგი უკვე აღფრთოვანებულია: "ეს ხომ მშვენიერია!."

⊕ - ასეთია მომავალი პორტრეტის პირველი საყრდენი წერტილი. მეორე საყრდენი წერტილი მოვნიშნოთ მისი ყველაზე უფრო საყვარელი სიტყვით — "მასწავლებელი."

სტალინის არქივსა და ბიბლიოთეკაში მუშაობისას წავწყდი ა.ნ. ტოლსტოის პიესის "ივანე მრისხანეს" იშვიათ გამოცემას. ერთ-ერთ გვერდზე სტალინის ხელით გაკეთებულია მინაწერი — "მასწავლებელი." უნებურად გამიელვა აზრმა — დესპოტ ივანე მრისხანეს სტალინი თავის მასწავლებელს ეძახის-მეთქი, მაგრამ ძალე დავრწმუნდი, რომ ავჩქარდი. სტალინის ამ შენიშვნის უკან რაღაც გაცილებით უფრო მეტი დგას, ვიდრე პირდაპირი მითითება შუა საუკუნეების პირსისხლიან მეფეზე, როგორც საკუთარ მასწავლებელზე. თანაც ჩანიშვნაც მთლად ჩვეულებრივად არ გამოიყურება.

ჯერ ერთი, წიგნში სტალინის მიერ გაკეთებული უამრავი სხვა წარწერაა როგორც გარეკანზე, ისე ფურცელზე, სადაც ჩამოთვლილია დრამის მოქმედი პირები, ივანე მრისხანესთან რაიმე კავშირი რომ არა აქვთ. სიტყვა "მასწავლებელი" რამდენჯერმე მეორდება ათეულობით სხვა ჩანანიშნთან და სტალინისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი მოტორიკის ამსახველ, ფანქრით გაკეთებულ უცნაურ კონტურებთან ერთად. სტალინს ეს პიესა ხელში ჩაუვარდა ომის მეორე წელს, უფრო საფიქრებელია, რომ 1942 წლის ზაფხულში ან შემოდგომაზე.

იგი სულ 200 ეგზემპლარი ტირაჟით იყო გამოცემული, თავდაპირველი ვარიანტის სახით, თეატრის საჭიროებისათვის.

როგორც ცნობილია, საომარი ვითარება ძალზე მძიმე იყო. ალბათ სწორედ ამიტომ, სტალინის მიერ დაწერილი სიტყვები საკუთარი თავისადმი, ან იქნებ სხვა, ვიღაც მხოლოდ მისთვის ცნობილი პიროვნებისადმი მიმართულ შელოცვად გაისმის: "გავუძლებთ," "არ შემიძლია? – დაგეხმარები!." "მე დაგეხმარები." სხვა ადგილას საკუთარ თავს ახსენებს: "მოველაპარაკო შაპოშნ.-ს"[7] (შაპოშნიკოვი – გენერალური შტაბის უფროსი იყო. ბ.ი.), "ნიტროგლიც(ერინის) ქარხანა" და სხვ. ამ წარწერებში მიმოფანტულია რაღაც ციფრები, ვიოლინოს გასაღებები და მრავალჯერ მეორდება: "მასწავლებელი," მის ქვემოთ კი კალმის მოსმით გამოყვანილია ხელნაწერი ასო - "T".[8] ეს უკვე მთლად გაუგებარია.

მეორეც, როდესაც მე ალალბედზე გადავათვალიერე კიდევ ათიოდე წიგნი სტალინის ბიბლიოთეკიდან, დავრწმუნდი, რომ ძალიან ბევრზე იყო მსგავსი მინაწერები. ამიტომ უდიდესი ყურადღებით შევისწავლე სტალინის ბიბლიოთეკის მთელი შემორჩენილი ნაწილი წარწერების ხასიათის თვალსაზრისით. და კინაღამ კვლავ ხაფანგში აღმოვჩნდი, როდესაც ჯერ ლენინის რამდენიმე წიგნის არეებზე მივაგენი ნაცნობ სიტყვებს[9], შემდეგ კი ტროცკის ერთ-ერთ წიგნზე ვნახე ისეთივე ხელწერა - ასომთავრული "T".[10] ის მოსაზრება, რომ სტალინს შეეძლო თავის იდეურ მოძღვრად ერთდროულად ჩაეთვალა ლენინი, ტროცკი და ივანე მრისხანე, დიდად არ ეწინააღმდეგება მის თანამედროვე სახეს. "პროგრესული" ოპრიჩნინის მეფე, "გენიალური ბელადი," "იუდუშკა ტროცკი," სტალინის "პედაგოგიური" გენიის და ისტორიის სამამულო მასწავლებელთა წყალობით, ჩვენს ცნობიერებაში უკვე დიდი ხანია უცნაურად გადაეჯაჭვნენ ერთმანეთს. მაგრამ როდესაც ასეთივე წარწერები სხვა წიგნებზეც ვიხილე, არავითარი კავშირი რომ არ ჰქონდათ არც ბელადებთან, არც მეფეებთან და არც გამორჩეულ ეპოქებთან, რომლებიც ბევრად ადრე გამოიცა, ვიდრე სტალინი თუნდაც გონებაში, გაბედავდა თავისი თავის ივანე მრისხანესთან გაიგივებას, იძულებული გავხდი, უარი მეთქვა მეტისმეტად პირდაპირ ანალოგიებზე. სტალინის დამოკიდებულება სამეფო გვარის ზოგიერთ თავის წინამორბედთან და

ისტორიულ გმირებთან სულაც არ იყო ისეთი მარტივი, როგორც დღეს გვესახება ლიტერატორთა და ჟურნალისტთა გამოისობით.

სხდომებზე ყოფნისას, კაბინეტში მუშაობისას ან აგარაკზე წიგნის კითხვის დროს სტალინი, როგორც ნებისმიერი ადამიანი, ხანდახან მოსწყდებოდა ხოლმე გარე სამყაროს და ფიქრებში ჩაძირული მექანიკურად წერდა ან ხაზავდა რაღაცას იმაზე, რაც ხელთ მოყვებოდა. თუ ეს მთავრობის ან პოლიტბიუროს სხდომაზე ხდებოდა, იგი, "გენსეკური" ჩვეულებისამებრ, ბლოკნოტში სამახსოვროდ რაღაცას ინიშნავდა. ბელადივით ეჭვიანი და მისგან უკიდურესად დაშინებული თანამებრძოლები კი ფიქრობდნენ, რომ ჩანაწერები სწორედ მათ ეხებოდა. ალბათ, ზოგჯერ მართლაც ასე იყო.

სტალინის მეხსიერების თავისებურებებზე ბევრი წერს. მხედართმთავრები ძირითადად აღნიშნავენ დეტალების, სახელების, ციფრების დამახსოვრების სტალინისეულ ფენომენალურ უნარს. უეჭველია, სტალინი თავად უწყობდა ხელს თავისი მნემონური შესაძლებლობების გადაჭარბებული შეფასების გავრცელებას. მან კარგად იცოდა, რომ ისტორიული ტრადიცია უნიკალურ მეხსიერებას მიაწერს იულიუს კეისარს, ნაპოლეონ ბონაპარტს, პეტრე პირველს და მთელ რიგ სხვა ისტორიულ პიროვნებებს. აქედან იღებს სათავეს ლეგენდა სტალინის ფენომენალური მეხსიერების შესახებ. მაგრამ ისინი, ვინც კარგად იცნობდნენ ბელადს და მოგონებებიც დატოვეს მასზე, კერძოდ, მოლოტოვი, ხრუშჩოვი, მიქოიანი, აღნიშნავდნენ ამ მეხსიერების უცნაურობებს, განსაკუთრებით ომისშემდგომ წლებში. ერთი მხრივ, სტალინი აშკარად გულმავიწყი გახლდათ და შეეძლო, უცბად თავისი ძველი თანამებრძოლის გვარიც კი დავიწყებოდა. ასე დაავიწყდა მას ერთხელ ბულგანინთან საუბრისას მისი გვარი.[11] მეორე მხრივ, როცა სჭირდებოდა, შეეძლო მრავალი წლის წინანდელი ამბები გაეხსენებინა. აი, როგორ ახასიათებდა ამ თავისებურებას, მაგალითად, მიქოიანი: "სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სტალინს მეხსიერება საგრძნობლად დაუქვეითდა, ადრე შესანიშნავი მახსოვრობა ჰქონდა, ამიტომაც გამიკვირდა, როცა მას დაამახსოვრდა მოლოტოვის წინადადება (პურის გაძვირების შესახებ. — ბ.ი.), რომელიც ამ უკანასკნელმა სტალინს ჩემი თანდასწრებით 1946 წლის ბოლოს ან 1947 წლის დასაწყისში, ანუ ექვსი წლის წინ წარუდგინა."[12]

1923 წელს, სულ რაღაც 43 წლისამ, სახელმწიფოებრივი კარიერის დასაწყისში, სტალინმა პირველად შესჩივლა ექიმებს მეხსიერების ძლიერ დაქვეითების შესახებ. შემდგომში ეს ჩივილი მეორდებოდა. ამ გარემოების და ინფორმაციის იმ უზარმაზარი ნაკადის გათვალისწინებით, რომელიც სახელმწიფოს მართვის ცენტრალიზაციის სრულ აბსურდამდე მიყვანილი იდეის წყალობით მასთან იყრიდა თავს, სტალინს სამახსოვროდ ბევრი რამის დაფიქსირება უწევდა საგანგებო ბლოკნოტებში. სწორედ იმათში, რომლებიც, ზოგიერთი თანამედროვე მკვლევარის აზრით, მისი სიკვდილის შემდეგ კრემლის კაბინეტიდან უკვალოდ გაქრა.

"სამახსოვრო" ჩანაწერების გარდა, სტალინი ამავე ბლოკნოტებში, ქაღალდის ცალკე ფურცლებზე და დანამდვილებით ცნობილია, რომ წაკითხული წიგნების ყდებზეც, ხშირად ქვეშეცნეულად ფანქრით ხატავდა რაღაც კონტურებს და შიგ წერდა ერთსა და იმავე სიტყვებს ან აბრევიატურებს. უმეტეს შემთხვევაში ეს იყო გაკრული ხელით ნაწერი სიტყვები "მასწავლებელი," "მასწავლებლობა," რომლებიც ქვემოთ გაერთიანებული იყო ჩვენთვის უკვე ნაცნობი კალმის მოსმით გამოყვანილი სახელით ან დასახელებით:"Тр", "Тиф..." ზოგჯერ ეს ასოთშეხამებანი წიგნის არეებზეც გვხვდება, ოღონდ უფრო მოკლე ანაგრამის სახით, ნიშნის "NB"-ს ნაცვლად.

ამის თაობაზე საინტერესო დაკვირვებაა მოყვანილი ყოფილი საბჭოთა დიპლომატის ა. ბარმინის მოგონებათა წიგნში. ბარმინი ომის წინა დღეებში უცხოეთში დარჩა: "პარტიულ ღონისძიებებსა და საქმიან თათბირებზე იგი, ჩვეულებრივ, უხმოდ ისმენს, ჩიბუხს ან პაპიროსს ეწევა და თან ბლოკნოტის ფურცლებზე უაზრო ნაყშებს ხატავს. სტალინის ორი პირადი მდივანი, პოსკრებიშევი და დვინსკი "პრავდაში" წერდნენ, რომ ზოგჯერ, ასეთ შემთხვევებში, იგი ბლოკნოტში წერს: "ლენინი — მასწავლებელი - მეგობარი." ისინი ამტკიცებდნენ: "სამუშაო დღის ბოლოს ასეთ ფურცლებს ვპოულობდით მის მაგიდაზე. გამორიცხული არ არის, რომ სტალინი თავად ახდენს ამგვარი სარეკლამო ილეთების ინსპირირებას, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მისი სენტიმენტალურობა უნდა დავიჯეროთ."[13] ბარმინი მართალია, უფრო სავარაუდოა, რომ სტალინი რაციონალურად იყენებდა ძვალსა და რბილში გამჯდარ თავის სინდრომს და შეგნებულად უტოვებდა

მდივნებს ამ დაჯღაბნილ ქაღალდებს. წიგნებზე გაკეთებულ წარწერებში ლენინის სახელი ნახსენები არ არის, ხოლო საყვარელი სიტყვა "მასწავლებელი" რამდენჯერმე გვხვდება ს.გ.ლოზინსკის სახელმძღვანელოს - "ძველი მსოფლიოს ისტორია. საბერძნეთი დ. რომი" (პეტროგრადი, 1923) გარეკანის ბოლო გვერდზე და შიგ ჩაკრულ რუკაზე; ნ.ნ.პოპოვის წიგნის "წვრილბურჟუაზიული ანტისაბჭოთა პარტიები" (მოსკოვი, 1924) გარეკანზე; ა. ლევოვის, ცოტა არ იყოს, უცნაურ ბროშურაზე "კინემატოგრაფიული წყლული განკურნებადია" (მოსკოვი, 1924)[14]. განსაკუთრებით ლამაზი წარწერა გაკეთა მან ა. გასტევის წიგნზე "გეგმიური წინაპირობები" (მოსკოვი, 1926), რომელიც საერთოდ არ წაუკითხავს. ასევე, 1937 წელს, ავტორთა კოლექტივის მიერ მომზადებული სახელმძღვანელოს - "ძველი მსოფლიოს ისტორია" მაკეტზე. სტალინმა ერის წიგნის "არტილერია წარსულში, დღეს და მომავალში" (მოსკოვი, 1925) არეებზეც მოსინჯა კალამი და ჯერ დაწერა, მერე კი რკალებით გადახაზა ისევ და ისევ სიტყვა "მასწავლებელი."[15] მე მგონი, სხვა წიგნების ჩამოთვლის გაგრძელება საჭირო არ არის. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ქრონოლოგიურად ისინი მოიცავს სტალინის მმართველობის მთელ პერიოდს, თითქმის არა აქვს რაიმე კავშირი წიგნის შინაარსთან და, ალბათ, უფრო სტალინის ხელის მოტორიკის საშუალებით მის ფსიქოლოგიურ განწყობას ასახავს.

მასწავლებელი მოძღვარს ენათესავება. მართალია, სტალინი მართლმადიდებელი მღვდელი ვერ გახდა, მაგრამ მთელი ცხოვრება ვიღაცას გატაცებით ასწავლიდა, ჭკუას არიგებდა, თავში უჭედავდა რაღაცას. ტყუილად როდი აღბეჭდეს იგი კინო და ფოტოკამერებმა ოდნავ წინ წამოწეული, დამრიგებლურ პოზაში, ზემოთ გაშვერილი მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითით, უთვალავ ყრილობასა და კონფერენციაზე, შრომის დამკვრელთა და კოლმეურნეთა, საბჭედრო სასწავლებლის კურსდამთავრებულთა შეკრებებზე და სხვ.

მე მიზნად არ დამისახავს საგანგებოდ გამეანალიზებინა სტალინურ პროპაგანდაში სიტყვა "მასწავლებლის" ხმარების სიხშირის სტატისტიკა. პროპაგანდისტული კლიშე "ბელადი და მასწავლებელი," "ხალხთა მასწავლებელი," პირველ რიგში, თავად სტალინის მიმართ გამოიყენებოდა, მაგრამ პირველი კლიშე ზოგჯერ ლენინის მიმართაც ითქმოდა ხოლმე.

ჩემი აზრით, სტალინის "მოკლე ბიოგრაფია" მშვენივრად ხსნის სტალინის ძლიერ მიდრეკილებას სიტყვისადმი "მასწავლებელი."

თავად სტალინის მიერ გულდასმით რედაქტირებული მისი ბიოგრაფიის მეორე (უკანასკნელ) გამოცემაში,[16] პირველად არის ნათქვამი, რომ "ბათუმელი მუშები ჯერ კიდევ 1902 წელს უწოდებდნენ მას თავიანთ მასწავლებელს."[17] ამ დროს სტალინი 23 წლის იყო, ხოლო ამის შემდეგ მის "მასწავლებლად და მეგობრად," ვიდრე ცოცხალი იყო, მოხსენიებულია ლენინი.[18] ლენინი გარდაიცვალა და ბიოგრაფიაში ციტირებულია რიტმული პროზის სტილში დაწერილი სტალინის უცნაური ოპუსი: "გახსოვდეთ, გიყვარდეთ, შეისწავლეთ ილიჩი, ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი ბელადი."[19] უცნაური და, ამავე დროს, ძალზე ნაცნობია მოწოდება, "გიყვარდეთ" ის, ვისაც "მასწავლებელს" უწოდებენ. მოგვიანებით ყველა ეს და კიდევ სხვა მშვენიერი ეპითეტი, ძირითადი ცნებებით "მილიონობით მასების მასწავლებელი," "ხალხთა მასწავლებელი" გამოყენებული იქნება მხოლოდ სტალინის მიმართ.[20] კაცობრიობის ისტორიაში "ხალხთა მასწავლებლებს" წინასწარმეტყველებს უწოდებენ, პირველ ყოვლისა, იესო ნაზარეველს. სახარების ტრადიციის მიხედვით, იესოს უბრალო ხალხის "მასწავლებელი" (ძველებრაულად "რაბი") უწოდეს 33 წლის ასაკში, როდესაც მან მქადაგებლობას მიჰყო ხელი. შემდეგ მან ზიარება (ნათლობა) მიიღო იოანე ნათლისმცემლისაგან, როგორც სტალინმა ლენინისაგან. იმედი მაქვს, მეპატიება ამგვარი მკრეხელური შედარება, ვინაიდან იგი სრულიად აშკარაა. და ისევე, როგორც ნაზარეველი მასწავლებელი, რომელიც დროში იოანეს შემდგომ რიგით მეორე იყო, პირველი გახდა თავისი ღვთიური მადლის წყალობით, თბილისელმა "მასწავლებელმაც" აღამაღლა საკუთარი თავი ყველაზე ზევით, მათ შორის თავის დიად წინამორბედზე ზევითაც კი. აშკარაა, რომ სტალინის რიგ შენიშვნებში არსებული ზემოთ ნახსენები იდუმალი აბრევიატურა "Т", "Тиф..." იშიფრება როგორც "Тифлис" (თბილისი). ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ერთი - "თბილისელი მასწავლებელი."

აი, ასეთია სტალინის პორტრეტის მეორე საყრდენი წერტილი. მესამე წერტილი გახდება, ადამიანთა უმეტესობისაგან დაფარული,

მისი ფიზიკური სახე მძიმე სნეულებებით. მეოთხე კი - უკვდავების დაუოკებელი წყურვილი.

პროფილი ბიბლიოთეკის ფონზე

ძველ წიგნებს ბევრი რამ შეუძლიათ გვიამბონ თავიანთ მკითხველზე, იმაზე, თუ ვინ კითხულობდა მას, რას ფიქრობდა ან, ზოგჯერ, რას აკეთებდა იგი წიგნის კითხვისას. ბებიაჩემის (დედის მხრიდან) სტაროვერული წიგნების ფურცლებზე სანთლის მრავალი ნაღვენთი იყო, რომლებიც, ალბათ ღამეული ლოცვებისა და ღამისთევის დროს ენთო. ფურცლებზე უკანასკნელი სამი ასეული წლის მანძილზე სხვადასხვა ხელით გაკეთებული უამრავი ჩანანიშნია. მამაჩემმა (წარმოშობით კავკასიიდან იყო), რომლის სიცოცხლის საუკეთესო წლები სტალინის ეპოქას დაემთხვა, ცხოვრების მანძილზე რამდენიმე შესანიშნავი ბიბლიოთეკა შეაგროვა და დაკარგა. ბიბლიოთეკა ერთადერთი სიმდიდრე გახლდათ, რომლის გულისთვისაც საბჭოთა კავშირში არავის სდევნიდნენ. თუმცა, აკრძალული წიგნებისაგან შემდგარი ბიბლიოთეკისათვის ციხეშიც სვამდნენ და ხვრეტდნენ კიდეც. ამის ინიციატივა თითქმის მთლიანად სტალინს ეკუთვნოდა. ისევე, როგორც ძველ ჩინეთსა და შუა საუკუნეების ევროპაში წიგნის გამო შეეძლოთ ადამიანი ცოცხლად დაეწვათ, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაშიც, ბანაკის მტვრად აქცევდნენ ადამიანს, თუ იგი, თუნდაც მხოლოდ შეინახავდა წიგნს, რომელიც "ხალხის მტრის" ან რომელიმე სხვა "იდეური" მტრის კალამს ეკუთვნოდა. ამ მხრივ თავს სრულიად უსაფრთხოდ ვერ გრძნობდნენ არა მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის, არამედ პოლიტბიუროს წევრებიც კი.

ხელისუფლების სათავეში ჰიტლერის მოსვლის შემდეგ, ანუ 1933 წლის შემდგომ, უფრო ზუსტად კი, ალბათ, ფაშისტურ გერმანიასთან მშვიდობისა და მეგობრობის თაობაზე 1939 წლის ცნობილი მოლაპარაკებების წინა პერიოდში, საბჭოთა მმართველი ელიტისათვის ითარგმნა და გამოიცა ფიურერის წიგნი "ჩემი ბრძოლა." ცხადია, იგი სტალინმაც წაიკითხა და საინტერესო შენიშვნები დატოვა შიგ. სახელმწიფოს ნომი-

ნალური მეთაურის, მ.ი.კალინინის ფონდშიც ინახება ამ წიგნის ერთი ეგზემპლარი. თარგმანი კარგია, კომენტარები გონივრული და აწონილ-დაწონილი, პოლიგრაფია ჩვენი დროისთვისაც კი საუკეთესოა. წიგნი ღია მდოგვისფერ ყდაშია ჩასმული, მარცხენა ზედა კუთხეში მოხდენილი შავი სვასტიკაა გამოსახული, არავითარი ინფორმაცია გამოცემის შესახებ. თუმცა გამორიცხული არ არის, რომ იგი მაშინ ჯერ კიდევ მეგობრულ გერმანიაში დაიბეჭდა. კალინინმა წიგნი თავიდან ბოლომდე წაიკითხა, რამდენიმე ათეული მნიშვნელოვანი შენიშვნა გააკეთა, რომლებიდანაც ჩანს მისი შეუნიღბავი ინტერესი. მაგრამ პირველ გვერდზე მიაწერა: "ბევრი რამ არის რთული, უშინაარსო... წვრილი მედუქნეებისათვის განკუთვნილი" და ა.შ. მან დაწერა ის, რაც მიღებული იყო საბჭოთა პროპაგანდაში. "საკავშირო მამასახლისს" წაუკითხავობისაც (წაკითხვა ბელადმა ბრძანა!) და როგორც უნდოდა, ისე წაკითხვისაც შეეშინდა, შეამოწმებდნენ და შეიძლება არასწორად გაეგოთ, ცოლი ხომ ბანაკში იყო.[21]

ჯერაც არავის დაუთვლია ზუსტად რამდენი ათეული ათასი დასახელების წიგნი დაწვეს, აკრძალეს და საგანგებო ფონდებში (ე.წ. "სპეცხრანში") გადამალეს საბჭოთა ხელისუფლების წლებში. წიგნების და ნებისმიერი "მავნებლური" ნაბეჭდი პროდუქციისათვის (დავძენ - ასევე არქივებისათვის) განკუთვნილი ამ თავისებური "გულაგის" ჩამოყალიბება ჯერ კიდევ ლენინის დროს დაიწყო ისეთი განათლებული პიროვნებების ინიციატივით, როგორიც იყვნენ ნ.კ. კრუპსკაია, ა.ვ. ლუნაჩარსკი, მ.პ. პოკროვსკი... სტალინმა კი განსაკუთრებული გაქანება, ორგანიზებულობა და სისტემატურობა შესძინა ამ მოვლენას. მან იმას მიაღწია, რომ 30-იანი წლების შუა ხანებისათვის მთელ ქვეყანაში ერთადერთი თავისუფალი მკითხველი თავად გახლდათ. უნდა ითქვას, რომ ამ თავისუფლებით იგი ძალზე გონივრულად და დიდი გაქანებით სარგებლობდა.

ბარმინი, რომელიც 30-იან წლებში ახლოს იყო სტალინთან, მისი ოჯახის წევრებს და ახლობლებსაც იცნობდა, იხსენებდა: "ხელმძღვანელობისათვის, პარტიული უჯრედების მდივნებისათვის და ბიბლიოთეკარებისთვის მოსკოვიდან მოსულ ყოველ გზავნილში იყო დაუყოვნებლივ დასაწვავი წიგნების სია. ეს იყო წიგნები, რომლებშიც მოიხსენიებოდნენ ჩავლილ პროცესებზე კომპრომეტირებულად მიჩნეული მარქსიზმის

თეორეტიკოსები და სხვა პუბლიცისტები. რამდენადაც უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში პირველი, მეორე და მესამე რანგის ყველა ფიგურა უკვე მხილებული იყო რაიმე მწვალებლობაში, უცებ, გაოცებულმა გავიფიქრე, რაღა დაგვრჩება-მეთქი წიგნის თაროებზე! ნებისმიერი კლასიკური ნაშრომის ცეცხლში შესაძახებლად საკმარისი იყო მას ბუხარინის, რადეკის ან პრეობრაჟენსკის წინასიტყვაობა ჰქონოდა დართული! ასეთი ტემპით, - ვიფიქრე მე, - უფრო მეტ წიგნს დავწვავთ და მათ შორის უფრო მეტ მარქსისტულ ლიტერატურას, ვიდრე ნაცისტებმა გაანადგურეს. მართლაც ასე მოხდა. უამრავი წიგნი დაწვეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათი რედაქტორი იყო ცოტა ხნის წინ ქვეყნიდან გაძევებული ცნობილი საბჭოთა ბიბლიოგრაფი, მარქსისა და ლენინის ინსტიტუტის დამაარსებელი - რიაზანოვი. ხმარებიდან ამოიღეს კამენევის რედაქციით გამოსული ლენინის თხზულებათა პირველი გამოცემები, რომლებიც დღევანდელი "მოღალატეების" შესახებ დადებით გამოხმაურებებს შეიცავდა.

სტალინმა პირადად გაასუფთავა და ხელახლა გამოსცა საკუთარ "თხზულებათა" ერთადერთი ტომი - სტატიების და გამოსვლების კომპილაცია. ძველი გამოცემები კი ნელ-ნელა ამოიღეს მაღაზიებიდან და ბიბლიოთეკებიდან."[22]

ბარმინი ცდება, როდესაც ამბობს, რომ დ.ბ.რიაზანოვი საბჭოთა კავშირიდან გააძევეს, იგი ვოლგისპირეთში იყო გადასახლებული, მერე კი დახვრიტეს.[23] უზუსტობას უშვებს იგი სტალინის თხზულებათა შესახებაც. 1946 წელს თხზულებათა კრებულის პირველი ტომის გამოსვლამდე (სტალინის სიცოცხლეში სულ 13 ტომი გამოიცა და სამიც გამოსაცემად მომზადდა), მას ორ ათეულამდე კრებული და ცალკე ბროშურა ჰქონდა გამოცემული თავისი სტატიებით, მოხსენებებითა და გამოსვლების ტექსტებით. მათი უმეტესობა შემონახულია ავტორის ჩასწორებებითურთ. თავად სტალინი ყველაზე მეტ ყურადღებას უთმობდა სტატიებისა და გამოსვლების ორ კრებულს. ესენი გახლავთ: "გზა ოქტომბრისაკენ," რომელიც 1932 წლამდე სამ სხვადასხვა ვარიანტად გამოიცა, მერე კი ამოღებული იქნა, და "სკპ(ბ)-ის ისტორიის მოკლე კურსზე" არანაკლებ ცნობილი "ლენინიზმის საკითხები." 1931 წლიდან, როცა იგი პირველად გამოიცა, 1947 წლამდე - მეთერთმეტე გამოცე-

მამდე, აღნიშნული კრებული დაუსრულებლად სწორდებოდა. ყველაფერი დანარჩენი ბარმინის რეპლიკაში სრული სიმართლეა.

ამოსაღები წიგნების სიები საბჭოთა კავშირის არსებობის უკანასკნელ დღეებამდე მზადდებოდა.

სტალინი არა მარტო სხვის წიგნებს ასწორებდა და ანადგურებდა, არამედ საკუთარ ნაწარმოებებსაც. ამის გაკეთება იმიტომ უხდებოდა, რომ ადრეულ გამოცემებში იგი დადებითად აფასებდა, ამართლებდა, იცავდა და ერთმანეთს აჯახებდა ზინოვიევს, კამენევს, ბუხარინს, რიკოვს და სხვებს, რომლებიც მცირე ხანს მისი მოკავშირეები იყვნენ. ერთხელ ისეც კი მოხდა, რომ სიფრთხილემ უღალატა და 1918 წელს მაღალი შეფასება მისცა თავის მუდმივ მტერ ტროცკის 1917 წლის ოქტომბერთან დაკავშირებით. მერე კი, როდესაც ამ უკანასკნელმა ტექსტუალურად ამხილა სტალინი მსოფლიო რევოლუციის იდეის ღალატში და 1924 წელს "ნაციონალური სოციალიზმის" პოზიციებზე გადასვლაში,[24] სტალინს საკუთარი გამოცემების შესწორებაც მოუხდა.

მართალია, სტალინი საზოგადოებრივ და პირად ბიბლიოთეკებში წმენდას მფლობელებთან ერთად აწყობდა, შანთით წვავდა წიგნების ფურცლებიდან სახელებსა და ფაქტებს, მაგრამ თავის საკუთარ ბიბლიოთეკას საოცარი მზრუნველობით ეპყრობოდა. იგი გულმოდგინედ აგროვებდა, კითხულობდა და ინახავდა ყველა რეპრესირებულის, მათი მოწაფეებისა და მიმდევრების წიგნებს. რატომ? როგორც ირკვევა, ის აბსოლუტური პრაგმატიკოსი იყო. სახელმწიფო მშენებლობის პროცესში იგი უანგარიშოდ ფლანგავდა ადამიანურ მასალას, მაგრამ, ამავე დროს, ცდილობდა რაციონალურად გამოეყენებინა მისი ფიზიკური და ინტელექტუალური შესაძლებლობები. ბოლშევიკთა ყოფილი ბელადები, ლიდერები და უბრალოდ ინტელექტუალები ბანაკებში ჩვეულებრივ სამუშაო ძალად მაინცდამაინც ვერ გამოდგებოდნენ, მაგრამ მათ ინტელექტუალურ ძალებს სტალინი ბოლო მისსალამდე იყენებდა როგორც მათ სიცოცხლეში, ისე დახვრეტის წინ და მით უფრო - მის შემდეგ. შემთხვევით როდი უბრუნდება რამდენჯერმე მისი ყველაზე ძველი და ერთგული თანამებრძოლი ვ.მ. მოლოტოვი წარსულზე ფიქრისას მტრების ინტელექტის უტილიზაციის საკითხს: ,,სტალინმა იცოდა, როგორ გამოეყენებინა ტროცკისტებიც და მემარჯვენეებიც. როცა დასჭირდა, ცხადია, მაშინვე გააცამტვერა... მაგრამ სწორი არ იქნებოდა,

ასეთი ხალხი არ გამოეყენებინა. თუმცა, იქნებ კიდეც შეეშალოს კაცს, როდემდე გამოიყენოს ისინი: მეტისმეტად ადრე გაუსწოროს ანგარიში, თუ მეტისმეტად გვიან."[25] აი, რა ყოჩაღია ვიაჩესლავ მიხაილოვიჩი - სიბერის ჟამს, საიდანღაც ამოაძვრინა სტალინიზმის ფენომენის შეცნობისათვის საჭირო საიდუმლო გასაღები. უფრო სწორად, მისი ინტელექტუალური ძალის წყაროს გასაღები.

სტალინის გენიოსობა (ბრჭყალების გარეშე!) ამ მომენტის უშეცდომოდ განსაზღვრაში მდგომარეობს. მაგალითად, ბუხარინი და რადეკი, რომლებიც უკანასკნელი სამი-ოთხი წლის განმავლობაში ჩამოაშორეს სერიოზულ სახელმწიფო საქმეებს, აქტიურად მუშაობდნენ საკონკურსო კომისიაში, რომელსაც უნდა შეერჩია სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლების მსოფლიოს და რუსეთის ისტორიის ახალი სახელმძღვანელოები. ამ განათლებულმა და ნიჭიერმა ადამიანებმა ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ, სტალინიზმის ისტორიოსოფიის ჩონჩხის გასაძლიერებლად. მონაწილეობდნენ მ.ნ.პოკროვსკის "სკოლის" ლიტერატურულ დარბევაში, ბუხარინი კი გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდა "სტალინურ" კონსტიტუციას. ბევრი მათგანი, გამოძიების პროცესში ციხეში ყოფნისას, ისეთ ჩვენებებს თხზავდა საკუთარ თავზე, დახვრეტით რომ ემუქრებოდა; ხოლო ზოგი საკუთარი სასამართლო პროცესის სცენარსაც წერდა (რადეკის მსგავსად). "ორპირებისა და ჯაშუშების" სასამართლოების ჩატარებამდე, ხშირად კი მათი დახოცვის შემდეგაც, ფერადფანქარ მომარჯვებული ბელადი გულდასმით სწავლობდა მათ ნაწარმოებებს. უკვე ხსენებულთა გარდა, აი, კიდევ იმ მტრების და მათი ხელშემწყობების სია, რომელთა წიგნებს მისი ჩაკვირვებული მუშაობის კვალი ატყვია: გ. საფაროვი, ე. კვირინგი, ფ. ქსენოფონტოვი, გ. ევდოკიმოვი, ა. ბუბნოვი, იან სტენი, ი. სტუკოვი, ვ. სორინი, ს. სემკოვსკი და სხვ. უმეტეს შემთხვევაში პარტიის ისტორიის საკითხთან დაკავშირებული ეს პუბლიცისტური ნაშრომები პირად შეგრძნებებზეა აგებული. ზოგიერთ წიგნზე ავტორების მიერ გაკეთებული ნაჩუქრობის წარწერებია, რადგან თითქმის ყველა მათგანი თავიდან ანტიტროცკისტული კამპანიის აქტიური წევრი იყო. ორი წიგნის ყდებსა და ფურცლებზე შეგიძლიათ იხილოთ სტალინის მიერ გაკეთებული ტენდენციური და მეტად მტრული კომენტარი ტროცკის მიმართ. ასე, მაგალითად, კვირინგის წიგნზე - "ლენინი, შეთქმულება, ოქტომბერი," რომელიც 1924 წელს გაჩაღებული

ბრძოლისას გამოიცა, მან უბრალო ფანქრით, თავისთვის მიაწერა: "ვუთხრა მოლოტოვს, რომ ტრ.-ს (ტროცკიმ - ბ.ი.) ცილი დასწამა ლენინს აჯანყების გზების თაობაზე (ასეა ტექსტში - ბ.ი.)." კვირინგი ლენინის შესახებ დაწერილ ტროცკის წიგნს აკრიტიკებდა.

* * *

სტალინი თავგამოდებული ბიბლიოფილი იყო. რევოლუციის წინა, იატაკქვეშა მუშაობის, გადასახლებებისა და პროფესიონალი რევოლუციონერისათვის დამახასიათებელი მოხეტიალე ცხოვრების წლებში მას ნაკლებად ჰქონდა სისტემატურად კითხვის და, მით უმეტეს, წიგნების შენახვის საშუალება. და მაინც, ყველა, ვისაც იმ წლებში შეხვედრია, აღნიშნავდა, რომ მისი ნაკითხობა განუხრელად იზრდებოდა. ადრინდელ ნაშრომებში, საგაზეთო და საჟურნალო სტატიებში, რომლებიც ჯერ ქართულად, მერე კი რუსულად იყო გამოქვეყნებული, მას ციტირებული ჰყავს არა მხოლოდ მარქსიზმის კლასიკოსები, არამედ უცხოელი ფილოსოფოსების და ისტორიკოსების ნაწარმოებთა საკმაოდ ფართო სპექტრი, რომლებიც, ცხადია, მხოლოდ მისთვის მისაწვდომ ამ ორ ენაზე იყო გამოქვეყნებული.

სტალინის რევოლუციამდელი ნაშრომებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საკმაოდ დიდი ნაწარმოები, რომელიც მოწმობს, რომ 16-17 წლის ავტორი იცნობდა მარქსისტული დოქტრინის საფუძვლებს, მის პირველწყაროებს და შეეძლო არჩეული თემის ირგვლივ არსებულ ლიტერატურაზე მუშაობა. პირველ რიგში, ეს ეხება 1906-1907 წლებში თბილისში, ქართულ ენაზე გამოქვეყნებულ სტატიათა სერიას საერთო სათაურით - "ანარქიზმი თუ სოციალიზმი?" მარქსიზმის აღიარებულმა დიდოსტატმა, გ.ვ. პლეხანოვმა 12 წლით ადრე გამოაქვეყნა ბროშურა მსგავსი სათაურით - "ანარქიზმი და სოციალიზმი." სტალინი თავის სტატიებში პლეხანოვს არ იხსენიებს, თუმცა უკვე აშკარად ათვისებული აქვს ბერნშტეინის "ოპორტუნიზმის" მისეული განმარტება და ეგრეთ წოდებული "მონისტური" მიდგომა ბუნებისა და საზოგადოების ისტორიისადმი. პლეხანოვის წიგნები მისი მეცნიერული ინტერესების სფეროში ხელახლა მხოლოდ 30-იანი წლების დამლევს მოხვდება. 1938 წელს "სკპ(ბ) ისტორიის მოკლე კურსთან" ერთად კვლავ გამოიცა

პლეხანოვის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები - "ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის." სტალინის ბიბლიოთეკაში შემორჩენილია ამ წიგნის ეგზემპლარი მისივე შენიშვნებით.

სტატიებში სტალინმა გამოიჩინა მარქსისა და ენგელსის ზოგიერთი ნაშრომის ცოდნა. ციტირება გაუკეთა კროპოტკინს, ბერნშტეინს, კაუტსკის, ვიქტორ კონსიდერანს (ფურიეს მიმდევარი), მოიხსენია პრუდონი, სპენსერი, დარვინი და კიუვიე, დაიმოწმა, ასევე, ფრანგი ისტორიკოსების და მემუარისტების წიგნები: პ. ლუი - "სოციალიზმის ისტორია საფრანგეთში," ა.არნუ - "პარიზის კომუნის სახალხო ისტორია," ე.ლისაგარე - "პარიზის კომუნის ისტორია"[26].

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში - "ანარქიზმი თუ სოციალიზმი?" სტალინმა პირველად ჩამოაყალიბა დიალექტიკის საფუძვლებისა და ისტორიული მატერიალიზმის მისეული გაგება. თითქმის 40 წლის შემდეგ იგი კვლავ მოუთხრობს მკითხველს თავის შეხედულებებს ამ პრობლემაზე და მილიონობით ქვეშევრდომი იძულებული იქნება "აითვისოს" ისინი: ეს მოხდება 1938 წლის შემდეგ, როცა უკვე გამოცემული იქნება არა მხოლოდ "სკპ(ბ) ისტორია. მოკლე კურსი," არამედ მისი ოფიციალური ბიოგრაფიაც, ისტორიის ახალი სახელმძღვანელოები საშუალო სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლებისათვის, რომელთა მომზადებაში სტალინმა უშუალო მონაწილეობა მიიღო.

სტალინის მიერ მოხსენიებული ავტორების სია უზარმაზარია, მაგრამ საფიქრებელია, რომ მას მხოლოდ რუსულ და ქართულ ენაზე გამოქვეყნებული პირველწყაროები ჰქონდა წაკითხული, ვინაიდან ახალგაზრდა სტალინი მიუთითებს ფრანგი ისტორიკოსების რუსულ თარგმანებს, კაუტსკის და რუსულენოვან კროპოტკინს. ამ დროისათვის მარქსის ბევრი ძირითადი ნაშრომი ნათარგმნი იყო რუსულ ენაზე, ბევრი რამ ქართულადაც ითარგმნა. გავიხსენოთ, რომ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში, განსაკუთრებით მის მენშევიკურ ფრთაში, ქართველებს რიცხობრივად მეორე-მესამე ადგილი ეჭირათ რუსებისა და ებრაელების შემდეგ (ეს კი მეტად განათლებული ხალხი იყო).

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი - ჭაბუკმა სტალინმა ამ ნაშრომში, ალბათ, პირველად, მოიყვანა ავტობიოგრაფიული ფაქტი. როგორც მარქსმა თავისი პოლიტეკონომიური გამოკვლევების ილუსტრაციისათვის

"კაპიტალში" ვიღაც მკერავის სახე დაგვიხატა, ზუსტად ასევე, სტალინმა თავისი გარდაცვლილი მეწაღე მამის სახე გამოიყენა. უხსნიდა რა მკითხველს, როგორ გარდაიქმნება წვრილბურჟუაზიული ცნობიერება სოციალისტურად სტალინმა ისე, რომ სახელები არ უხსენებია, რამდენიმე გვერდზე აღწერა მისი ცხოვრება: იგი მუშაობდა საკუთარ პაწაწინა სახელოსნოში, მაგრამ გაკოტრდა. ახალი საქმის წამოსაწყებად ფულის შეგროვების მიზნით თბილისში, ადელხანოვის ფეხსაცმლის ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ახალი საქმის გახსნის რაიმე პერსპექტივა აღარ გააჩნდა, რის შედეგად ბესარიონ ივანოვიჩ ჯუღაშვილის (ამიერიდან ბიოგრაფიებში ბელადის მშობლის მამის სახელი სწორედ ამგვარად, რუსული ტრანკრიფციით დაიწერება) ცნობიერება წვრილბურჟუაზიულიდან პროლეტარულად გარდაიქმნება და ჩვენი კეთილი მეწაღე "სულ მალე სოციალისტურ იდეებს ეზიარება."[27]

დაე, ავტორის სინდისზე იყოს მამის ცნობიერების ევოლუციის სურათი, მამისა, რომელიც, მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, მთვრალების ჩხუბში მოკლეს, როცა შვილი ჯერ კიდევ ბავშვი იყო. მნიშვნელოვანია სხვა რამ - სტალინმა ახალგაზრდობის წლებშივე შეითვისა და სხვებსაც ჩააგონებდა: "მეწაღის მატერიალური მდგომარეობის შეცვლას ბოლოს და ბოლოს მისი ცნობიერების შეცვლა მოჰყვა." მისთვის "ცნობიერება" უკვე ადამიანის მატერიალური მდგომარეობის პირდაპირი წარმოებული გახლდათ. მეწაღის შესახებ არაკიდან გამომდინარე, ამ პოსტულატზე სულ მალე დაფუძნდება რუსეთის XX საუკუნის საზოგადოების ცხოვრების მთელი ოფიციალური ფილოსოფია.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ განსვენებული მამის სახის გამოყენება რომელიც, ამბობდნენ, სასტიკად ეპყრობოდა ცოლ-შვილს, მიუთითებს, რომ სტალინი, ისევე, როგორც ყოველი ადრე დაობლებული ადამიანი, მის იდეალიზებას ახდენდა, ოღონდ ახალი, "მატერიალისტური რწმენის სულისკვეთებით."

დიდი ხნის შემდეგ, როცა სტალინი უკვე 73 წლისა იყო, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პოლონელი ქალის, ი. მორავსკაიას საჩუქარი გადმოუგზავნა - წერილი და შორეულ 1906 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემული ე. ლისაგარეს 500-გვერდიანი წიგნი - "პარიზის კომუნის ისტორია." სტალინმა პაკეტი 1953 წლის 11 იანვარს

მიიღო. თვენახევარზე ცოტა მეტი სიცოცხლელა დარჩენოდა, მაგრამ თვითმხილველები იხსენებდნენ, რომ იგი ძველებურად აქტიური იყო და თუმცა ადრინდებრ არა, მაგრამ მაინც ბევრს კითხულობდა. შეიძლება ახალგაზრდობასთან დაკავშირებულმა უსტარმა ვერ მოასწრო მის ხელში მოხვედრა ან, იქნებ, საჭიროდ არ მიიჩნია ყურადღების მიქცევა, რადგან დ ,იძაბა, როგორც ყოველთვის, როცა მის რევოლუციამდელ ბიოგრაფიას შეეხებოდა ვინმე. ეს სიმბოლურია: ბევრი ადამიანის სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული ერთი და იმავე შუქით არის ხოლმე გასხივოსნებული, მაგრამ ჩვენ ვერ ვაცნობიერებთ ამას.

რუსულის გარდა, სტალინმა სხვა ევროპული ენა არ იცოდა და, როგორც ჩანს, ეს მეტად ულახავდა თავმოყვარეობას. არის ცნობები, რომ უცხოეთში ყოფნისას იგი გერმანულის სწავლას ცდილობდა.[28] ტურუხანის მხარეში გადასახლებისას ახლადგამოგონილი ესპერანტოს შესწავლას მოჰკიდა ხელი. ვარაუდობდნენ, რომ იგი მომავალი მსოფლიო ინტერნაციონალის ენა გახდებოდა.[29] სიმპტომურია, რომ მოგვიანებით იგი შეუბრალებლად სდევნიდა ყველა ესპერანტისტს და არა მხოლოდ თავისი საკუთარი წარუმატებლობის გამო. ომის შემდეგ უშუალოდ ენათმეცნიერების საკითხებით დაინტერესდა. "სტალინმა ტყუილად როდი მოჰკიდა ხელი ენათმეცნიერებას, - აღნიშნავდა მოლოტოვი. - მას მიაჩნდა, რომ მსოფლიოში კომუნისტური სისტემის გამარჯვების შემდეგ (საქმე კი სწორედ ამისკენ მიჰყავდა), საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი ენა პუშკინისა და ლენინის ენა იქნებოდა."[30] შევნიშნავთ, რომ საუბარია არა მხოლოდ რევოლუციაზე, არამედ "სისტემის" გამარჯვებაზე, რომლის მწვერვალი სტალინური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი უნდა ყოფილიყო. უცხო ენების ათვისებისას პირადი წარუმატებლობა გლობალური თვითმპყრობელური პოლიტიკის ჩამოყალიბების ირიბი ფაქტორი გახდა.

ჯერ კიდევ რევოლუციამდე, სტალინი, როგორც ჩანს, ინგლისურის შესწავლას შეეცადა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ალბათ, სასულიერო სემინარიაში სწავლისას აითვისა ლათინური, ძველი სლავური და საეკლესიო რუსული ენების საწყისები. უკანასკნელმა გარემოებამ გაუადვილა სალიტერატურო რუსულის ათვისება, მაგრამ დაღი დაასვა მის სტილს. სტალინის ბიბლიოთეკის წიგნების ფურცლებზე ყოველ

ნაბიჯზე ჩანს უცხო ენებისადმი დაუკმაყოფილებელი მიდრეკილების კვალი. შენიშვნები მარტო ესპერანტოზე არ არის. იგი კოხტა, თანაბარი ხელით წერდა არეებზე ცნობილ ლათინურ გამონათქვამებს, თუმცა, ზოგჯერ მათ არავითარი კავშირი არ ჰქონდა წაკითხულის შინაარსთან. სიამოვნებით აღნიშნავდა ასეთ ფრაზებს, თუ ტექსტში შეხვდებოდა. მაგალითად, მარქსის ნაშრომში - "გოთას პროგრამის კრიტიკა," დაკლაკნილი ხაზი შემოავლო დასკვნით ფრაზას - "Dixi et salvavi animan meam" (ვთქვი და მით გადავარჩინე ჩემი სული).[31] გ.ალექსანდროვის წიგნის - "მარქსიზმის ფილოსოფიური წინამორბედების" მეორე გამოცემა, რომელიც 1947 წელს დასარბევად და გასალანძღად გაწირა, საკუთარი ხელით ააჭრელა ციტატებითა და კომენტარებით: "ბევრის ცოდნა არ ნიშნავს რომ ჭკვიანი ხარ." ჰერაკლიტე, ანუ "ტყუილუბრალოდ ნუკი დილეტანტობ - ისწავლე"; "მარქსიზმი დოგმა კი არ არის - სამოქმედო მითითებაა. ლენინი"; "თავისუფლება მატერიალური წარმოების იქითა მხარეს ძევს (კ.მარქსი)." ინგლისურ და გერმანულ ენებზე თარგმნიდა ცალკეულ სიტყვებს ან საკუთარ სახელებს და გაუგებარია, მართლა იცოდა, როგორ იწერება ისინი მშობლიურ ენებზე თუ დრო არ ენანებოდა ცნობარების საგანგებოდ გადასაქექად? მაგალითად, ალექსანდროვის ამავე წიგნში (და არა მხოლოდ მასში) ჰოლბახის გრავიურული პორტრეტის ქვეშ არსებული რუსული წარწერა ინგლისურად თარგმნა: "Pol Henri Holbach."[32] უზუსტობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისე დაუწერია, როგორც სწორად მიიჩნია. ჩაფიქრების ჟამს საერთოდ უყვარდა ფანქრის ან კალმისტრის გაკვრა. ამას ზოგჯერ ქვეშეცნეულად აკეთებდა, ზოგჯერ კი, როგორც ირკვევა, სერიოზული ქვეტექსტით.

რაკი თვითონ არ თარგმნიდა უცხო ენებიდან, მათგან ნასესხები ბევრი რუსული სიტყვის ახსნა სჭირდებოდა ხოლმე. ენათმეცნიერების დარგის "ცნობილი" სპეციალისტისათვის ალბათ სასურველი არ იყო ვინმესათვის დახმარების თხოვნა, ამიტომ ახლომდებარე კუნცევოს აგარაკის ბიბლიოთეკაში მისი სიცოცხლის ბოლოსათვის უცხო სიტყვათა ათობით განმარტებითი ლექსიკონი დაგროვდა. მათ შორის იყო ფ. პავლენკოვის უცხო სიტყვათა ორი ლექსიკონის რევოლუციამდელი გამოცემები, მოსკოვში, 1905 წელს გამოსული ნ. დუბროვსკის "საყოველთაოდ ხმარებული უცხო სიტყვების სრული განმარტებითი ლექსიკონის" 21-ე

გამოცემა. ბურდონისა და მიხელსონის მიერ შედგენილი და, შესაბამისად, 1899 და 1907 წლებში გამოცემული ორი ლექსიკონი. ასე რომ, იგი მთელი ცხოვრების მანძილზე არ ერიდებოდა შავ, მოსამზადებელ სამუშაოს.

ახალგაზრდობაში სტალინის პოლიტიკური მოღვაწეობა კავკასიაში გულისხმობდა არა მხოლოდ დემონსტრაციების, გაფიცვების, პოლიციასთან შეტაკებების, პარტიული სალაროს შესავსებად ბანკების ძარცვის ორგანიზებას, არამედ მარქსიზმის ზეპირ აგიტაციასა და პროპაგანდასაც. აგრეთვე, სტამბების მოწყობას, გაზეთების გამოცემას და პროკლამაციების ბეჭდვას, ნაბეჭდი პროდუქციის გავრცელებას. 1889-1901 წლებში თბილისის ობსერვატორიასთან, სადაც იგი ოფიციალური ბიოგრაფიის მიხედვით "გამომთვლელ-დამკვირვებლად,"[34] ხოლო თანამედროვე ბიოგრაფთა აზრით, ღამის დარაჯად მუშაობდა, არსებული პატარა ოთახი სტალინმა არალეგალური ლიტერატურის საწყობად გადააქცია.[35] ცხადია, ეს ბიბლიოთეკა არ იყო, მაგრამ ამის შემდეგ მას მთელი სიცოცხლის მანძილზე შემორჩა თვისება ხელთ ჰქონოდა წიგნები, თანაც თითოეული დასახელების რამდენიმე ეგზემპლარი. თავისთვის შედარებით მნიშვნელოვან გამოცემებს (ზოგჯერ ორ-სამ ეგზემპლარს) ყოველთვის თან ატარებდა, ხელში ფანქარმომარჯვებული რამდენჯერმე კითხულობდა. სრულიად აშკარაა, კიდეც რომ მოენდომებინა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ბიბლიოთეკის შეგროვება, იმდროინდელი ცხოვრებისეული გარემოებები არ მისცემდა ამის საშუალებას. თუმცა, 1922 წელს პოლიტიკური კარიერის თავბრუდამხვევ აღზევებამდე მოახერხა შეენარჩუნებინა რამდენიმე მარქსისტული წიგნი, ლენინის ზოგიერთი ბროშურა და, რაც მთავარია, ბოლშევიკური ლეგალური ჟურნალის "პროსვეშჩენიეს" 1911-1914 წლების საკმაოდ სრული კომპლექტი. ამ ჟურნალის ზოგიერთი ნომრის რამდენიმე ეგზემპლარს იგი მთელი სიცოცხლე ინახავდა და ეს შემთხვევითი როდი იყო. ჟურნალში ქვეყნდებოდა ყველა ცნობილი ბოლშევიკი პუბლიცისტის - ლენინის, ზინოვიევის, კამენევის, პოკროვსკის, სტეკლოვის და სხვათა ნაშრომები. იბეჭდებოდა აგრეთვე მარქსის და ენგელსის, ბებელის, მერინგის, კაუტსკის რუსი მკითხველისათვის უცნობი ნაწარმოებები, ბოლშევიზმის იდეური მოწინააღმდეგეების, მაგალითად, პავლე აქსელროდის და მრავალი სხვა

ავტორის პუბლიკაციები. საკარაუდოა, რომ ეს ჟურნალი იყო მისი პოლიტიკური თვითგანათლების ძირითადი წყარო.

ოფიციალურ ბიოგრაფიაში, რომელშიც სტალინს თავად შეჰქონდა დამატებები და შესწორებები, ახალგაზრდობაში წაკითხული წიგნებისა და მისი ინტელექტუალური ვარჯიშების შესახებ აქა-იქ ტყუილებია გამორეული. მასში წერია, რომ ჯერ კიდევ 1896-1898 წლებში, ანუ 17-19 წლის ასაკში, "სტალინი ბეჯითად და ბევრს მუშაობდა თავის თავზე. სწავლობდა მარქსის "კაპიტალს," "კომუნისტური პარტიის მანიფესტს" და მარქსის და ენგელსის სხვა ნაშრომებს. ეცნობოდა ხალხოსნობის, "ლეგალური მარქსიზმისა" და "ეკონომიზმის" წინააღმდეგ მიმართულ ლენინის ნაწარმოებებს. ლენინის ნაშრომებმა მაშინვე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სტალინზე. "რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა შევხვდე მას," - თქვა სტალინმა ტულინის (ლენინის) ნაშრომის წაკითხვისთანავე."[36] ასე წერია მისი ოფიციალური ბიოგრაფიის ბოლო გამოცემაში. მასში, ცხადია, არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ პოლარული წრის იქით გადასახლებაში ყოფნისას ერთ-ერთი გადასახლებული ამხანაგის გარდაცვალების შემდეგ სტალინმა დაარღვია ტრადიცია და ერთპიროვნულად დაეპატრონა განსვენებულის ბიბლიოთეკას, რითიც კოლეგების გულისწყრომა გამოიწვია. ისინი კი, პირიქით, ხალისით აძლევდნენ მას წიგნებს. ასე მაგალითად, ი.მ.სვერდლოვმა ათხოვა ფრანგი ავტორის ა.ოლარის ვრცელი მონოგრაფია - "საფრანგეთის რევოლუციის პოლიტიკური ისტორია."[37] რუსი რევოლუციონრების ახალი თაობისათვის (და სტალინისთვისაც) საფრანგეთის რევოლუცია თუ ნიმუში არა, ყოველ შემთხვევაში, "დამხმარე სახელმძღვანელო" მაინც იყო. მოგვიანებით მან რევოლუციის სხვა მხარეებიც გამოიყენა - ომები მთელი ევროპის წინააღმდეგ, გამარჯვებით რომ დაგვირგვინდა, ნაპოლეონის (და კრომველის) ფენომენი, "ხალხის მტრებთან" ბრძოლა, მასობრივი ფსიქოზის ორგანიზაციის მექანიზმი. ეჭვგარეშეა, რომ რევოლუციაში მას აღელვებდა სასტიკი ბრძოლა, სამოქალაქო და საგარეო ომები, შეურიგებელი დაპირისპირება. ამიტომაც, რევოლუციური თემა ნარნარად გადადიოდა ომის თემაში და პირიქით. სწორედ ამაზეა გ. ზინოვიევის წიგნიც "ომი და სოციალიზმის კრიზისი": ეროვნულ რევოლუციებსა და ეროვნულ ომებზე, განმათავისუფლებელ და აგრესიულ,

დამპყრობლურ ომებზე. ყოველივე, რასაც სტალინი შემდგომში ამბობდა და წერდა სამართლიან და უსამართლო ომებზე, ბევრი რამით ეხმაურება ზინოვიევის აზრებს. აქვე უნდა მივათვალოთ უნიჭიერესი ისტორიკოსის ნ.ლუკინის (ნ.ანტონოვის) ლექციების კურსი "რევოლუციური არმიების ისტორიიდან -" რომელიც სტალინმა 30-იანი წლების დამლევს გაანადგურა, აგრეთვე, ბისმარკისა და ლუდენდორფის მოგონებები, გ.ლეერისა და ა.სვეჩინის სამხედრო-ისტორიული მონოგრაფიები და ა.შ. XIX საუკუნის შუა ხანების დროინდელი ისეთი, თითქოსდა სპეციფიკური გამოცემების შესწავლის დროსაც კი, როგორიც იყო "საარტილერიო ჟურნალი," სტალინი პირველ რიგში ყურადღებას აქცევდა სტატიებს ომის ისტორიისა და იარაღის ისტორიის შესახებ.

ფსევდონიმ "ტულინს" ლენინი ყველაზე ხშირად სწორედ პატარა პარტიულ ჟურნალ "პროსვეშჩენიეში" გამოქვეყნებული მასალების ხელმოსაწერად იყენებდა. რევოლუციის უკვე ცნობილი თეორეტიკოსების და მათი ნაწარმოებების გაცნობაც, უპირატესად ამ წყაროთი მოხდა. ოღონდ აუცილებელია შესწორება - "უზარმაზარი თეორიული სიმძლავრის" მქონე ადამიანმა, როგორც ეს სტალინზე იყო ნათქვამი ოფიციალურ ბიოგრაფიაში, ადამიანმა, რომლის პროფილი ტრანსპარანტებსა და პლაკატებზე ფარავდა მისი დიადი წინამორბედების მარქსის, ენგელსისა და ლენინის სახეებს, მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ვერ შეძლო მარქსიზმის მთავარი ნაშრომის - "კაპიტალის" ბოლომდე ათვისება. სტალინის ბიბლიოთეკაში შემონახულია ამ ფუნდამენტური ნაწარმოების 20-30-იან წლებში სსრკ-ში გამოქვეყნებული რამდენიმე სხვადასხვა გამოცემა, მაგრამ ჩანანიშნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სერიოზული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ამ ნაშრომის შესწავლისას იგი რამდენიმე (ძირითადად, შესავალ და დასკვნით) ნაწილს ვერ გასცდა. სიყრმის დროინდელ სტატიაშიც - "ანარქიზმი თუ სოციალიზმი?" მხოლოდ "კაპიტალის" ბოლოსიტყვაობაა მოხსენიებული. დამატებითი ღირებულების თეორია სტალინმა, როგორც იტყვიან ხოლმე, აითვისა "მეორე ხელიდან" - მარქსიზმის ინტერპრეტატორების წიგნებიდან, რომლებიც იქვე ინახება.

მარქსისა და ენგელსის სხვა ნაშრომები, რომელთა ათვისება უფრო მარტივი იყო, სტალინმა არაერთხელ გადაიკითხა გენერალური მდივნობის პერიოდში. ეს არის "ანტი-დიურინგის" და "გერმანული იდე-

ოლოგიის" რამდენიმე გამოცემა, "სამოქალაქო ომი საფრანგეთში," "ბუნების დიალექტიკა," "ლუდვიგ ფოიერბახი," "ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა," მარქსის ე.წ. "ისტორიული ნაშრომების" კრებული და სხვ.

ჟურნალ "პროსვეშჩენიე"-ში 1913 წელს გამოქვეყნდა თავად სტალინის მიერ რუსულ ენაზე დაწერილი პირველი შესამჩნევი ნაწარმოები "მარქსიზმი და ეროვნული საკითხი."[38] იგი დაიწერა ვენაში 1912 წლის დამლევს და 1913 წლის დასაწყისში, ლენინის მეთვალყურეობით. ტროცკის და ბევრ სხვათა აზრის მიუხედავად, რომლებიც სტალინზე სკკპ XX ყრილობის შემდეგ წერდნენ, ლენინი მთელი სიცოცხლის განმავლობაში (უკანასკნელი რამდენიმე თვის გარდა) პროტექციას უწევდა "შესანიშნავ ქართველს." ლენინის წყალობით სტალინმა ჯერ კიდევ რევოლუციამდე მიაღწია საკმაოდ წარმატებულ პარტიულ კარიერას: იგი კოოპტირებული იქნა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში, აირჩიეს პარტიის რამდენიმე საზღვარგარეთის ყრილობის დელეგატად, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა (ბოლშევიკური) პარტიის სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად ხელმძღვანელობდა ცენტრალურ პარტიულ გამოცემებს, კერძოდ "პრავდას," პარტიაში უმაღლესი ადმინისტრაციული თანამდებობა დაიკავა. ლენინს აშკარად უყვარდა სტალინი და ხელს უწყობდა მას. ასე მაგალითად, ლენინმა მეტისმეტად გააზვიადა სტალინის მუშაობის მნიშვნელობა ბროშურაზე - "მარქსიზმი და ეროვნული საკითხი," როცა მ.გორკის მისწერა: "აქ ერთმა შესანიშნავმა ქართველმა შეაგროვა მთელი ავსტრიული და სხვა მასალები და სამუშაოს ჩაუჯდა. დიდ სტატიას წერს "პროსვეშჩენიე -სათვის."[39]

ნეტავ რა "მთელი" მასალებია ეს? ავსტრიული მასალა მართლაც, არსებობს, მაგრამ არც ისე ბევრი და, თითქმის, ყველაფერი ნათარგმნია. საყოველთაოდ განთქმულ თავის ნაშრომში სტალინმა ფართოდ მოახდინა ორი ავსტრიელი ავტორის ციტირება. ესენია: ო.ბაუერი - "ეროვნული საკითხი და სოციალ-დემოკრატია," გამომცემლობა "სერპი," 1909 წ. და რ.შპრინგერი - "ეროვნული პრობლემა," გამომცემლობა "ობშჩესტვენაია პოლზა," 1909 წ. ამას გარდა, მან გამოიყენა რუსულ ენაზე არსებული ნაშრომები: ბუნდელი ვ.კოსოვსკის "ეროვნების საკითხები" (1907 წ.), კრებული "ბრიუნინის პარტაიტაგის დებატები ეროვნული

საკითხის შესახებ" (1906 წ.), აგრეთვე, კ.მარქსის გამოკვლევა "ებრაული საკითხისათვის" და კ.კაუტსკის ნაშრომი "კიშინიოვის ხოცვა-ჟლეტა და ებრაული საკითხი" (1902 წ.). მან კიდევ მოიხსენია ბუნდის საინფორმაციო გამოცემები, მისი კონფერენციების ანგარიშები, ქართული გაზეთი "ჩვენი ცხოვრება" და რუსული "ნაშე სლოვო." გერმანულ ენასთან ნაცნობობა მჟღავნდება მხოლოდ ორ შემთხვევაში - ციტატაში ი.შტრასერის წიგნიდან - "Der Arbeiter und die Nation" და შენიშვნაში, რომელშიც ნათქვამია: "მ.პანინისეულ რუსულ თარგმანში (იხ. ბაუერის წიგნის პანინისეული თარგმანი) ნაცვლად "ეროვნული თავისებურებებისა" ნათქვამია "ეროვნული ინდივიდუალობა." პანინმა არასწორად თარგმნა ეს ადგილი. გერმანულ ტექსტში არ არის სიტყვა "ინდივიდუალობა," იქ საუბარია "nationalen Eigenart"-ზე, ანუ თავისებურებებზე, რაც სულაც არ გახლავთ ერთი და იგივე."[40]

ნაშრომმა - "მარქსიზმი და ეროვნული საკითხი" სტალინს ეროვნულ საკითხთა ბოლშევიკური ინტერპრეტატორის რეპუტაცია შეუქმნა და ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისრის თანამდებობით პირველ საბჭოთა მთავრობაში მისი შეყვანის საფუძველი გახდა. საყურადღებოა, რომ ამ ნაშრომში მთავარი დარტყმა მიმართულია არა იმდენად ო.ბაუერის და რ.შპრინგერის "ოპორტუნიზმის," რამდენადაც მათ მიერ "ებრაული საკითხის" გაგების და ებრაული სოციალ-დემოკრატიული პარტიის (ბუნდის) პოლიტიკის წინააღმდეგ. ამგვარად, მისი ძირეული ინტერესების სფეროში შევიდა არა მხოლოდ ეროვნული, არამედ ებრაული საკითხიც, რომელიც დროთა განმავლობაში სტალინური პოლიტიკის და მისი იდეოლოგიის ისტორიული ნაწილის ქვაკუთხედად გადაიქცა. სწორედ აქ, მან ისე ჩამოაყალიბა "ეროვნების მარქსისტული გაგება" (საყოველთაოდ ცნობილი ხუთი ნიშანი), რომ იგი "სრულფასოვანი" ეროვნებების შემადგენლობიდან მხოლოდ და მხოლოდ ებრაელებს (და ბოშებსაც) გამორიცხავდა. ლენინიც და სტალინიც მაშინ რუსეთის იმპერიის ხალხების სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთიანობისათვის ბრძოლაზე ფიქრობდნენ და აზრადაც არ მოსდიოდათ, რა შორს მიმავალი შედეგები ექნებოდა ამგვარ განმარტებას XX საუკუნის მთელ ისტორიასა და თავად სტალინის პოლიტიკურ ბედზე.

პირველი რიგის ყველა პოლიტიკურ მოღვაწეს ევროპული დონის განათლება ჰქონდა. მათ შორის მხოლოდ სტალინი დარჩა ზერელედ

ნასწავლ სემინარისტად, მაგრამ იგი მთელი ცხოვრების განმავლობაში შეუპოვრად ავსებდა თავისი განათლების ხარვეზებს არა მხოლოდ ოფიციალურ პარტიულ დაწესებულებებში სწავლით, არამედ კითხვით, კითხვით, დაუსრულებელი კითხვით... ამის შესახებ მსჯელობა შეიძლება არა მხოლოდ თანამედროვეთა მოგონებების მიხედვით, რომლებიც ხშირად საფუძვლიან ეჭვს იწვევს. საბჭოთა კავშირში მის სიცოცხლეში დაწერილი ყველა მოგონება აშკარად მლიქვნელური, გადაჭარბებული იყო. ანდა მათი ავტორები, დაუფიქრებლად, "ზედმეტს" წამოაყრანტალებდნენ ხოლმე. სტალინი ვერ იტანდა მემუარისტებს, განსაკუთრებით, ახლო ნათესავებს შორის. ბევრი მათგანი ციხეში ჩასვა ან სულაც გაანადგურა იმისათვის, რომ მათ, როგორც თავად ამბობდა, "მეტისმეტად ბევრი იცოდნენ და მეტისმეტად ბევრს ლაქლაქებდნენ." უცხოეთში ან სტალინის სიკვდილის შემდეგ რუსეთში პირადად მასზე და ეპოქაზე დაწერილი მოგონებები ხშირად უფრო აწონილ-დაწონილია, მაგრამ ტყუილები მათშიც მოიპოვება. ყველაზე უფრო საიმედო მოწმეებია წიგნები მისი ბიბლიოთეკიდან.

სრულიად ეჭვგარეშეა - ლენინი მისთვის მთავარი თეორიული წყარო იყო და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ლენინს და მის პარტიულ პუბლიცისტიკას სხვადასხვაგვარ ოპოზიციასთან ბრძოლაში ძირითად იდეოლოგიურ იარაღად იყენებდა. სტალინი თავის თავსაც და სხვებსაც არწმუნებდა, რომ ლენინის სულიერი მემკვიდრე იყო და ამიტომაც იძულებული გახლდათ გამუდმებით შეესწავლა მისი ნაწერები. ცხადია, ყველაფერს ვერ იგებდა. ლენინის ნაშრომების ფურცლებზე იშვიათად, მაგრამ მაინც შეიძლება შეგვხვდეს სტალინის კრიტიკული შენიშვნები (ისევე, როგორც ენგელსის და სხვა თეორეტიკოსების მისამართით, მარქსის გარდა). თუმცა მთლიანობაში, ლენინის მემკვიდრეობა იყო წყარო საიდანაც საზრდოობდა მისი მუდმივად ცვალებადი პოლიტიკურად კონიუნქტურული დოქტრინები. აქ, რა თქმა უნდა, არსებობს ცდუნება, კვლავ მოვიხსენიოთ მისი ეკლესიური აღზრდა ბიბლიური დოგმატიკითურთ, მაგრამ საეკლესიო დოგმატიზმის მეთოდები დიდად არ განსხვავდება თალმუდიზმის პრინციპებისაგან, რომლებზეც ახალგაზრდობაში მისი მთავარი პოლიტიკური ოპონენტები იზრდებოდნენ. ამ მხრივ, სტალინისაგან არაფრით განსხვავდებოდა ზინოვიევი, რომელმაც დაწერა

1926 წელს გამოცემული, ასეთივე დოგმატურ-ციტატური სულისკვეთებით გაჟღენთილი წიგნი "ლენინიზმი." ნაწარმოები ანტიტროცკისტული იყო, მაგრამ სტალინმა იგი თავად ზინოვიევის წინააღმდეგ გამოიყენა. საჭიროების შემთხვევაში ციტატებით ჟონგლიორობას გაცილებით უფრო ნიჭიერი კამენევი და ბუხარინიც ეწეოდნენ ხოლმე. ტროცკის პრინციპულად ეზიზღებოდა იდეური არსებობის ამგვარი სტილი, მაგრამ იძულებული იყო ხოლმე მისთვის მიემართა ლენინის ავტორიტეტის გამოყენებით.

კრემლში ცხოვრების მთელი პერიოდის განმავლობაში სტალინი ლენინის ნაწარმოებებს აგროვებდა. ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ იგი ეძებდა და თავს უყრიდა ლენინის როგორც რევოლუციამდელ, მის სიცოცხლეში გამოცემულ (მათ შორის, უიშვიათეს) ნაშრომებს, ისე შემდგომ, განმეორებით გამოცემებს. ჩვეულებისამებრ, რამდენიმე ეგზემპლარი ჰქონდა ხელთ და ფანქარმომარჯვებული ისევ და ისევ კითხულობდა ლენინის ნაწარმოებებს: "შემარცხენეობის" საყმაწვილო სენი კომუნიზმში," "რანი არიან ხალხის მეგობრები...," "პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუტსკი," "ორი ტაქტიკა...," "სახელმწიფო და რევოლუცია," "მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი," "იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია" და ა.შ. ლენინის თხზულებათა ოთხივე გამოცემა არაერთხელ და ორჯერ გადაიკითხა. მართალია, შენიშვნები ყველა ტომში არ არის, მაგრამ ის ნაწარმოებები, რომლებიც რაღაცით აღელვებდა, გადაჭრელებულია მინაწერებით.

* * *

20-იანი წლების დამლევს და 30-იანი წლების დასაწყისში სტალინს სულ ცოტა, ორი ბიბლიოთეკა ჰქონდა: ერთი სამუშაო კაბინეტში, კრემლში, მეორე კი მოსკოვის მახლობელ აგარაკზე, ზუბალოვში. ამ აგარაკზე სტალინი 1919-დან 1932 წლამდე ცხოვრობდა. იქვე ცხოვრობდა არა მხოლოდ მისი ოჯახი, არამედ ნათესავებიც პირველი ქორწინებიდან, ასევე, მეორე ცოლის, ნადეჟდა ალილუევას ახლობლები. ცოლის თვითმკვლელობამდე ყველაზე დიდი ბიბლიოთეკა სწორედ ამ აგარაკზე იყო. სტალინის ქალიშვილის, სვეტლანას თქმით, მის შედგენაში

დედამისიც მონაწილეობდა. მშობლებისა და შვილების გარდა ამ წიგნებს ხელს არავინ ჰკიდებდა, ისევე, როგორც სხვა ბიბლიოთეკის წიგნებს. ბიბლიოთეკისათვის ცალკე სათავსო არ არსებობდა - იგი დიდ სასადილო ოთახში იყო განთავსებული. სვეტლანა ალილუევა წერს: "მამა სადილად მოდიოდა, და პალტოს გაუხდელად დერეფანში, ჩემი ოთახის გვერდით რომ გაივლიდა, ხმამაღლა იძახდა, - "დიასახლისო!" მე თავს ვანებებდი გაკვეთილებს და გავრბოდი მასთან სასადილოში - დიდ ოთახში, სადაც ყველა კედელთან წიგნის კარადები იდგა. კიდევ იყო უზარმაზარი, მოჩუქურთმებული ძველებური ბუფეტი, რომელშიც დედას ფინჯნები ელაგა, ხოლო ახალი ჟურნალ-გაზეთებით სავსე მაგიდის ზემოთ მისივე დიდი პორტრეტი ეკიდა."[41]

ამ ბიბლიოთეკის ბედი მთლად გარკვეული არ არის. თუმცა აგარაკი მალე დაკნინდა, წიგნები თითქოს არსად გადაუტანიათ 1943 წლამდე, როდესაც სტალინმა ბრძანა დაეკეტათ აგარაკი, რადგან უმცროსი ვაჟი ვასილი იქ ღრეობებს აწყობდა. ს.ალილუევას სიტყვებით, მამის გარდაცვალების შემდეგ ზუბალოვის აგარაკის წიგნები კრემლში მდებარე სტალინის ბინის ბიბლიოთეკაში მოხვდა.

30-იანი წლების პირველ ნახევარში სტალინს კრემლში უკვე ორი ბიბლიოთეკა ჰქონდა. ყველაზე ძველმა მის სამუშაო კაბინეტში, პატრონის სიკვდილამდე იარსება. ეს კაბინეტი და ბიბლიოთეკა კარგად აღწერა გამოჩენილმა ავიაკონსტრუქტორმა ა.ს. იაკოვლევმა. მისი მოგონებები ეხება 1939 წლის გაზაფხულს: "სტალინის კაბინეტისაგან მიღებული პირველი შთაბეჭდილება მთელი სიცოცხლე დამამახსოვრდა. გამოგიტყდებით, ერთგვარად იმედი გამიცრუვდა, გამაოცა კაბინეტის განსაკუთრებულმა უბრალოებამ და მოკრძალებულობამ. თაღიანი ჭერის მქონე დიდი ოთხის სამი ფანჯარა კრემლის ეზოში გადიოდა. თეთრი, გლუვი კედლები ადამიანის სიმაღლეზე ღია ფერის მუხით იყო მოპირკეთებული. მარჯვენა კუთხეში, შემოსასვლელთან, ვიტრინაში ლენინის სიკვდილის შემდგომი ნიღაბი იდო. მარცხნივ - იატაკზე იდგა შავი ხის ინკრუსტირებულ ბუდეში ჩასმული დიდი საათი. მთელი კაბინეტის სიგრძეზე საწერ მაგიდამდე ხალიჩა ეფინა. მაგიდის თავზე მხატვარ გერასიმოვის მიერ შესრულებული ლენინის პორტრეტი ეკიდა, რომელზეც იგი ტრიბუნაზე სიტყვით გამოსვლისას იყო გამოსახული.

საწერ მაგიდაზე წიგნები და ქაღალდები ელაგა... მაგიდასთან სავარძელი იდგა, მისგან მარცხნივ - პატარა მაგიდა სხვადასხვა ფერის ტელეფონებით, მარჯვნივ, ფანჯრებს შორის, კედელთან - შავი ტყავის დივანი და მინებიანი წიგნების კარადა. ზოგიერთი წიგნი შევნიშნე: ლენინის თხზულებათა კრებული, ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონი, დიდი საბჭოთა ენციკლოპედია...

ღია კარს იქით მეორე ოთახი მოჩანდა, რომლის კედლები მთლიანად გეოგრაფიული რუკებით იყო მოფენილი, შუაში კი უზარმაზარი გლობუსი იდგა."[42] ეს დასასვენებელი ოთახი იყო, სადაც უცხოელს თითქმის არ ეპატიჟებოდნენ. კაბინეტის ზემოთ მოყვანილის მსგავსი აღწერა დაგვიტოვეს გ.კ.ჟუკოვმა და ვ.მ.მოლოტოვმა.

მეორე ბიბლიოთეკა ინახებოდა კრემლში არსებულ ბინაში, რომელიც კაზაკოვის მიერ აშენებული სენატის შენობის ბელეტაჟზე მდებარეობდა. ოდესღაც ეს უბრალოდ დერეფანი იყო, სადაც, სვეტლანას თქმით, მოსაწყენი ოთახები გამოდიოდა. ნაგარაუდევი იყო, რომ ქვეყნის მთავარი ჩინოვნიკი ბინაში პირდაპირ ამავე შენობის მეორე სართულზე მდებარე კაბინეტიდან შევიდოდა, მაგრამ სტალინი ბინაში მხოლოდ სადილად მიდიოდა, საღამოთი კი ახლო აგარაკზე მიემგზავრებოდა ხოლმე. ამ ბინაში დაცულ ბიბლიოთეკაში მუხის ხისაგან დამზადებულ კარადებში რამდენიმე ათეული ათასი წიგნი ინახებოდა. 1957 წელს სტალინის ბიბლიოთეკა ჩაიბარა სკკპ ცენტრალური კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგემ ი.შარაპოვმა. მოგვიანებით იგი იხსენებდა: "კრემლში თვალში მომხვდა სანიშნიანი წიგნებით და ბროშურებით გამოტენილი მაღალი შვედური კარადა გამოსაწევი თაროებით. ეს იყო ემიგრანტული, თეთრგვარდიული ლიტერატურა და იმ ოპოზიციონერთა თხზულებანი, ვინც სტალინს თავის იდეურ მოწინააღმდეგეებად და უბრალოდ, მტრებადაც კი მიაჩნდა."[43]

უფრო ადრეულ წლებში სტალინს კრემლში სხვა ბინებიც ჰქონდა და, როგორც ჩანს, ბიბლიოთეკები იქაც იყო. ერთი ახლანდელი ყრილობათა სასახლის ადგილას არსებულ შენობაში იყო. იქ სტალინი მოლოტოვთან ერთად ცხოვრობდა. 1923 წელს კრემლის ტერიტორიაზე განცალკევებით მდგარ ორსართულიან ფლიგელში ჰქონდა მოწყობილი საცხოვრებელი; კრემლში სულ პირველი ოთახი კი მან ლენინის პირადი

განკარგულებით მიიღო.[44] 1922 წლის შემდეგ სტალინს ცალკე კაბინეტი ჰქონდა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის შენობაშიც, ყოფილ ნოგინის მოედანზე. ალბათ, წიგნები ყველგან ჰქონდა, მაგრამ ამაზე არაფერია ცნობილი.

ახლო აგარაკი კუნცევოში ("ვოლინსკოე") სტალინის საყვარელი საცხოვრებელი ადგილი იყო. თავდაპირველად იქ ერთსართულიანი სახლი აშენდა სტალინური ეპოქის ცნობილი არქიტექტორის, მერჟანოვის პროექტით. ამ სახლში ტარდებოდა სხდომები უახლოეს თანამებრძოლებთან ერთად, ღებულობდნენ უცხოელ სტუმრებს, მართავდნენ ბანკეტებს. აქ სტალინი მარტო ცხოვრობდა. ომის შემდეგ, 1948 წელს, აგარაკს მეორე სართული დააშენეს, სადაც არავინ ცხოვრობდა - იგი მთლიანად საბანკეტო დარბაზს დაეთმო. სახლის პატრონი ყოველთვის ქვედა სართულზე, პრაქტიკულად ერთ ოთახში ცხოვრობდა. "ეს ოთახი ყველაფრის მაგივრობას უწევდა, - წერს ს. ალილუევა. - დივანზე ლოგინს აშლევინებდა და იძინებდა, იქვე, პატარა მაგიდაზე მუშაობისათვის აუცილებელი ტელეფონები იდგა, დიდი სასადილო მაგიდა ქაღალდებით, გაზეთებით, წიგნებით იყო სავსე. ამავე მაგიდის კუთხეში სადილობდა, თუ მარტო იყო."[45] ცხადია, აგარაკზე ცალკე საწოლი ოთახიც იყო, სადაც, როგორც ამბობენ, ხის საწოლის გვერდით წიგნების დიდი კარადა იდგა.[46]

ამ ოთახების გარდა, აგარაკის პირველ სართულზე კიდევ ერთი საბანკეტო დარბაზი იყო როიალით, სადაც ღამღამობით პოლიტბიუროს წევრებს პატიჟებდნენ; ასევე, რამდენიმე საბავშვო ოთახი და საბილიარდო. გარკვეული დროის შემდეგ სტალინმა ბრძანა საბავშვო ოთახები გაეერთიანებინათ, შიგ დივანი და მაგიდა შეატანინა და ხალიჩა დააფენინა. სხვა საცხოვრებელი ოთახების მსგავსად, იქაც იდგა კიდევ ერთი წიგნების კარადა.

პირველი სართულის უზარმაზარი ჰოლის ყველა კედელზე რუკები ეკიდა. მათზე მუშაობა სტალინს, ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის დროიდან წიგნებზე არანაკლებ უყვარდა. მოლოტოვი იხსენებდა: "ძალიან უყვარდა გეოგრაფიული რუკები, აგერ აზია, ევროპა, ყველაფერი თვალწინ არის. რუკის წინ დიდხანს ვიდექით ხოლმე. ძალიან აინტერესებდა, როგორ შეიძლებოდა ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის, ციმბირის მდინარეებისა

და სხვა სიმდიდრის გამოყენება. მის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა მდინარე ობის შესართავი... ნავსადგური რომ აგვეშენებინა იქ."[47] სტალინის საარქივო ფონდში ამჟამად 200-მდე სხვადასხვა რუკაა თავმოყრილი: სამხედრო, ფიზიკური, პოლიტიკურ-ეკონომიკური, ისტორიულად დედამიწის სხვადასხვა მხარეს, სსრკ-ის ტერიტორიებს, ცალკეულ რესპუბლიკებსა და რეგიონებს რომ ასახავდა. რუკების უმეტესობაზე სტალინის ხელით გაკეთებული შენიშვნებია. წიგნშიც, სულ ერთია, თანამედროვეობას ეხებოდა იგი თუ უძველეს ხანას, რუკას თუ წააწყდებოდა, აუცილებლად რაიმეს აღნიშნავდა ზედ რბილი ფერადი ფანქრით.

1941 წელს, ომის დაწყებისთანავე ბელადისათვის ზუსტად აგარაკისნაირი სახლი მოაწყვეს კუიბიშევში, სადაც ნავარაუდევი იყო მთავრობის გადასვლა იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვს მტერს ჩააბარდებდნენ. იქ გადაიტანეს კრემლის ბინაში არსებული ბიბლიოთეკა, ახლო აგარაკი კი დანაღმეს. ომის დროს კრემლში სტალინისათვის მოწყობილი ბომბსაფარიც კი იმავე პრინციპით იყო აღჭურვილი, როგორითაც აგარაკი. გენერალური შტაბის თავშესაფარშიც ჰქონდა კაბინეტი წიგნებით და რუკებით. კრემლის ბინის ბიბლიოთეკა კი მთელი ომის განმავლობაში კუიბიშევში რჩებოდა.

სიცოცხლის ბოლოსათვის სტალინი მეტისმეტად იყო გატაცებული თავისი ძველი საცხოვრებლის გადაკეთებით და ახალი აგარაკების მშენებლობით. ახლო აგარაკზე, ძველი სახლის გადაკეთების გარდა, ბრძანა მიწაში ნახევრად ჩასმული ცალკე ხის ფლიგელი აეშენებინათ. შიგ მოათავსეს გაურანდავი ფიჭვის ფიცრებისაგან დამზადებული სტელაჟები, რომლებზეც დალაგეს სტალინის ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი - პირველ რიგში, ლიტერატურა, რომლის შეგროვება მან ჯერ კიდევ 20-იან წლებში დაიწყო: წიგნები სამოქალაქო ისტორიის, ომების ისტორიის შესახებ, საბჭოთა არმიის წესდების სხვადასხვა ვარიანტი, აგრეთვე, მხატვრული ლიტერატურა.[48]

სტალინი დემონსტრატიულად უპრეტენზიო იყო საყოფაცხოვრებო კომფორტისადმი, მაგრამ, ამავე დროს, ძველი რომაელი იმპერატორების მსგავსად ძალიან უყვარდა ახალი ვილების შენება (განა შემთხვევით აღელვებდა ამგვარად ძველი რომის ისტორია). კავკასიაში სამი აგარაკი ჰქონდა: სოჭში - მაცესტის გოგირდის წყაროების მიდამოებში;

აფხაზეთის მაღალმთიან რეგიონში, ქალაქ გაგრის მახლობლად - ჩანაფიქრით იგი ალპებში არსებულ ჰიტლერის "არწივის ბუდეს" მოგაგონებდათ, და სახლი შავი ზღვის პირას, "მწვანე კონცხთან," უზარმაზარი პარკის ტერიტორიაზე. გარდა ამისა, ჰქონდა აგარაკი ყირიმშიც. როგორც ჩანს, სტალინი ყველა თავის საცხოვრებელს ერთნაირი, ჩვეული სქემით აწყობდა, რომელშიც აუცილებლად შედიოდა დივნები, ხალიჩები, ბილიარდი, პატეფონი და სხვა მუსიკალური მოწყობილობა და ბიბლიოთეკა. წიგნებისაგან განსხვავებით, პატეფონის ფირფიტებს იტალიელი მომღერლების, რუსული საოპერო არიების, ქართული, უკრაინული და რუსული ხალხური სიმღერების, თავისი საყვარელი პიატნიცკის სახელობის გუნდის ჩანაწერებით იგი საბჭოთა კავშირის გარდა უცხოეთშიც უკვეთავდა.[49] სტალინის გარდაცვალების შემდეგ ახლო აგარაკზე ჩატარებული აღწერის მიხედვით მის კოლექციაში იყო საოპერო მუსიკის 93, საბალეტო მუსიკის 8, რუსული და უკრაინული სიმღერების 507 ფირფიტა.[50] სტალინის ფონოთეკებში არსებული ფირფიტების ბედი ცნობილი არ არის, შეიძლება დღემდე ინახება ბელადის ყოფილ აგარაკზე.

სტალინს სუსტი, მაგრამ სასიამოვნო ხმა ჰქონდა, ალბათ, ჯერ კიდევ სემინარიაში დაყენებული. სუფრასთან პარტიულ ამხანაგებთან ერთად განსაკუთრებით გულიანად ასრულებდა რუსულ ხალხურ და თეთრგვარდიულ სიმღერებს. ეს ამბავი ტროცკის რომ სცოდნოდა, რომელმაც 30-იანი წლების დამლევს დაიწყო სტალინის ბიოგრაფიის წერა, უდავოდ სტალინიზმის კონტრრევოლუციური გადაგვარების დამამტკიცებელ საბუთად გამოიყენებდა მას. მაგრამ მოლოტოვმა მხოლოდ ბელადის სიკვდილიდან სამი ათეული წლის შემდეგ გაგვიზიარა ამგვარი სიმღერებისადმი მისი მიდრეკილების ამბავი. ზედმეტიც კია იმის შეხსენება, რომ თეთრგვარდიული ვოკალური ფოლკლორის შესრულებისათვის, თუნდაც ძალზე ვიწრო წრეში, უბრალო მოკვდავებს განაღდებული ექნებოდათ გასამართლება მუხლით "კონტრრევოლუციური აგიტაცია და პროპაგანდა."

მოსკოვის მახლობლად სტალინს კიდევ რამდენიმე აგარაკი ჰქონდა. გორკაში ლენინის მუზეუმის გახსნამდე, მან იქიდან კრუპსკაია გამოასახლა და თავად დაბინავდა. ერთ-ერთ აგარაკად გადაკეთდა, აგრეთვე, დიმიტროვის ბაღტკეცილის 200-ე კილომეტრზე მდებარე ძველებური საბა-

ტონო კარ-მიდამო "ლიპკი" (შორეული აგარაკი). ომის წინ კიდევ ერთი ახალი სახლი აშენდა სემიონოვსკოეში. იქაც ყველაფერი კუნცევოს მსგავსად იყო მოწყობილი.

ახლა ძნელია იმის დადგენა, რა ბედი ეწია ამ აგარაკებზე არსებულ ნივთებს, წიგნებს. კავკასიაში არსებული სტალინისეული კარმიდამოების ქონების განიავება პატრონის სიკვდილის შემდეგ პირველივე წელს დაიწყო. ცნობილია, აგრეთვე, რომ სტალინის გარდაცვალებისთანავე ახლო აგარაკის მთელი მოწყობილობა და მათ შორის, ბიბლიოთეკაც, ბერიას ბრძანებით სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საწყობში გადაზიდეს. ბერია დანიშნეს ბელადის მემკვიდრეობის შენარჩუნების კომისიის წევრად. მისი დახვრეტის შემდეგ ახლო აგარაკი აღდგენილი იქნა. იქ მემორიალური მუზეუმის მოწყობას აპირებდნენ, რომელიც 1953 წლის სექტემბერში უნდა გახსნილიყო.[51] იგი ძალზე ცოტა ხნით გაიხსნა, მერე კი დაიწყო შეგნებული განადგურება და გადამალვა ყველაფრისა, რაც სტალინის სახელთან და ეპოქასთან იყო დაკავშირებული.

თითქმის ზუსტად ისევე, როგორც სტალინი ანადგურებდა თავის დიდ რევოლუციონერ თანამებრძოლებს, მისმა არც თუ დიდმა თანამებძოლებმა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით დაიწყეს ხალხის მეხსიერებიდან სტალინის ხსოვნის ამოძირკვა. აღებული იქნა უთვალავი თაბაშირის, ბეტონის, გრანიტისა და მარმარილოს უსახური ბიუსტი თუ მონუმენტი, განადგურდა ფლორენციული მოზაიკით და მოოქროვილი სმალტით შესრულებული ხელოვნების ნიმუშებიც; სახელები გადაერქვა უამრავ კოლმეურნეობას, ქარხანას, დასახლებულ პუნქტს. მაგრამ ყველაზე მთავარი ის გახლავთ, რომ საგულდაგულოდ იყო გადამალული დოკუმენტები და სხვა წყაროები, რომელთაც შეეძლოთ ნათელი მოეფინათ სტალინის პიროვნების, მისი სულიერი და ინტელექტუალური სამყაროსათვის. ეს დღემდე, ანუ მისი სიკვდილიდან თითქმის 50 წლის შემდეგაც გრძელდება. ისტორიკოსებმა კარგად იციან - იმისათვის, რომ საზოგადოებამ ამოძირკვოს რაიმე მძიმე სოციალური მოვლენა, იგი მის მიერვე უნდა იქნეს გაცნობიერებული სრულიად სხვადასხვა პოზიციიდან. ამისთვის კი "საიდუმლოების" საბურველი უნდა ჩამოვხსნათ ამ მოვლენას, რაც პირველ რიგში არქივებს ეხება. მაგრამ, აბა, ვინ უსმენს ისტორიკოსს, მით უმეტეს რუსეთში და თანაც, XX

საუკუნეში? მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს, რომ რუსი ისტორიკოსის განზოგადებულ სახეში სამარადჟამოდ არის ჩადუღებული თავად სტალინის, როგორც XX საუკუნის რუსეთის ისტორიის ფილოსოფიის იდეოლოგის სახე. სწორედ ამიტომ, სტალინიზმი, თუნდაც სახეცვლილი, ჯერ არ მომკვდარა. ისევე, როგორც ბონაპარტიზმი საფრანგეთში, სტალინიზმი რუსეთში ბოლომდე არასოდეს მოკვდება.

* * *

სტალინის ქალიშვილი სვეტლანა ალილუევა იხსენებს, რომ სტალინში უყვარდა მამა, მაგრამ სისხლიანი ტირანი ეზიზღებოდა. მას, როგორც ჩანს, ესმოდა, რომ კაბინეტს და ბინას ხელუხლებლად არ დატოვებდნენ და არც ახლო აგარაკზე გახსნიდნენ მუზეუმს, ამიტომ მამის გარდაცვალებიდან ზუსტად ორი წლის შემდეგ, 1955 წლის 5 მარტს წერილით მიმართა პრეზიდიუმის წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ნ.ა.ბულგანინს. სვეტლანა წერდა, რომ კრემლში, მამისეულ ბინაში დარჩა დიდი ბიბლიოთეკა, რომლის შეგროვება ჯერ კიდევ დედამისმა, ნ.ს. ალილუევამ დაიწყო, ხოლო შევსება გრძელდებოდა ომის წინა და შემდგომ წლებში. მასში მრავალი ასეული ტომი, ძირითადად, მხატვრული და ისტორიული ლიტერატურა იყო თავმოყრილი. "ამ ბიბლიოთეკის ბედი ჩემთვის ცნობილი არ არის, რადგან ძველ ბინაში დიდი ხანია, არ ვყოფილვარ," წერდა ალილუევა და ითხოვდა ბიბლიოთეკის ნაწილი მისთვის გადაეცათ. "ბიბლიოთეკა უზარმაზარია, მასში უამრავი წიგნია, რომლებიც არ მაინტერესებს, მაგრამ თუ ნებას დამრთავთ, გადავარჩიო და ნაწილი ჩემთვის დავიტოვო, თქვენი დიდად მადლიერი ვიქნები. მე მაინტერესებს ისტორიული წიგნები, ასევე, რუსული და ნათარგმნი ბელეტრისტიკა. ამ ბიბლიოთეკით ადრე სისტემატიურად ვსარგებლობდი და, ამიტომაც, კარგად ვიცნობ მას."

წერილის შინაარსი ხრუშჩოვს მოახსენეს, პარტიული არეოპაგის ყველა წევრს დაუგზავნეს და 10 მარტს პასუხის გაუცემლად არქივს (სტალინის არქივს!) გადასცეს. ხეპრული უარის ამგვარი ფორმა, როგორც ცნობილია, დღესაც მიღებულია.

1956 წლამდე ახლო აგარაკის ბიბლიოთეკა ხელუხლებელი რჩებოდა. ამავე წლის თებერვალში კი ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლი-

ოთეკის დირექტორმა პ.ბოგაჩოვმა სტალინის დროისათვის წარმოუდგენელი ნაბიჯი გადადგა: მან წერილობითი თხოვნით მიმართა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, დაებრუნებინათ ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკისათვის "სტალინის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები, რომლებიც გასულ წლებში აბონემენტით იყო გატანილი." წერილს თან ერთვოდა სამგვერდიანი სია, რომელშიც 72 დასახელება იყო ჩამოთვლილი.[52] ზაფხულის ბოლოსათვის გამოირკვა, რომ სიაში ჩამოთვლილთაგან 62 წიგნში სტალინის შენიშვნები იყო, ამიტომ მიღებული იქნა გონივრული გადაწყვეტილება ისინი სკკპ ცენტრალური კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტისათვის გადაეცათ, ხოლო ამ უკანასკნელის ბიბლიოთეკიდან ამოღებული ანალოგიური ეგზემპლარებით შეევსოთ ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ფონდი. ზემოთ ნახსენები ლექსიკონების და გეოგრაფიის რამდენიმე კურსის გარდა ამ სიაში იყო უძველესი და ახალი ისტორიკოსების - ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს, პ. ვინოგრადოვის, რ. ვიპერის, ი. ბელიამინოვის, დ. ილოვაისკის, კ.ა. ივანოვის, გერეროს, ნ. კარეევის წიგნები და, რაც მთავარია, კარამზინის "რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის" 12 ტომი და ს.მ. სოლოვიოვის ექვსტომეულის - "რუსეთის ისტორია უძველესი დროიდან" (ს-პბ., 1896) მეორე გამოცემა; აგრეთვე: "რუსეთის არმიისა და ფლოტის ისტორიის" მეხუთე ტომი (ს-პბ., 1912), "ბუნებისმცოდნეობის ისტორიის ნარკვევები დოქტორ ფ.დანემანის ნამდვილი ნაშრომების ნაწყვეტებში" (ს-პბ., 1897), "თავად ბისმარკის მემუარები (ფიქრები და მოგონებები)" (ს-პბ., 1899), "უცხოური ლიტერატურის მოამბის" 1894 წლის ათამდე ნომერი, "ლიტერატურული ჩანაწერების" 1892 წლის ნომრები, "მეცნიერული მიმოხილვის" 1894 წლის ნომრები, "სსრკ ლენინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის შრომები," მე-3 გამოცემა (მოსკოვი, 1934) მასალებით პუშკინის, პ.ვ. ანენკოვის, ი.ს. ტურგენევის და ა.ვ. სუხოვო-კობილინის შესახებ. ა.ბოგდანოვის წიგნის - "ეკონომიკური მეცნიერების მოკლე კურსი" ორი რევოლუციამდელი გამოცემა, ვ.ი.კრიჟანოვსკაიას (როჩესტერის) რომანი "აბლაბუდა" (ს-პბ., 1908), გ. ლეონიძის წიგნი "სტალინი. ბავშვობა და ყრმობა" თბილისი, 1939, (ქართულ ენაზე) და სხვ.

მოგვიანებით, XX ყრილობის შემდეგ, სტალინის ბიბლიოთეკების წიგნების ნაწილი (კრემლის ბინიდან და ახლო აგარაკიდან) მარქსიზმ-

ლენინიზმის ინსტიტუტის ბიბლიოთეკას გადაეცა. იქ 20 ათასზე მეტი ტომიდან მხოლოდ 1,5 ათასი მოხვდა. ეს იყო წიგნები სტალინის ბიბლიოთეკის შტამპით, მისი შენიშვნებით არეებზე და ხაზგასმებით ტექსტში. შემდგომ, 1963 წელს, 400-მდე წიგნი, რომლებშიც ჩანანიშნები იქნა აღმოჩენილი, პარტიის ცენტრალურ არქივს გადასცეს (დღეს რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის სახელმწიფო არქივი). მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში დარჩა წიგნები, რომლებსაც ავტორების მიერ გაკეთებული ნაჩუქრობის წარწერები ჰქონდა ან ერტყა შტამპი "ი.ბ. სტალინის ბიბლიოთეკა."[53] დანარჩენი წიგნები შენიშვნების, წარწერებისა და შტამპების გარეშე სხვადასხვა საჯარო ბიბლიოთეკას გადაეცა, ძირითადად, ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკას. გასაოცარი ამბავია - იმ 62 წიგნიდან, რომლებზეც ზუსტად არის ცნობილი: "მათში იყო სტალინის მიერ ხაზგასმული წინადადებები... რომლებიც თავისი ხასიათით ზემოთქმულის დასკვნას წარმოადგენს" ან შენიშვნები არეებზე,[54] რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის სახელმწიფო არქივში მხოლოდ ერთის პოვნა შევძელი. ეს გახლდათ "რუსეთის არმიისა და ფლოტის ისტორიის" მეხუთე ტომი. მის ყდაზე არსებული ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის შიფრი ემთხვევა ბოგაჩოვის მიერ წარმოდგენილ სიაში მითითებულ შიფრს. სად გაქრა დანარჩენი წიგნები ამ სიიდან, ჯერჯერობით ცნობილი არ არის. განსაკუთრებით გულდასაწყვეტია, რომ ჩვენ დღეს არ ვიცით, როგორ აღიქვამდა სტალინი ისეთი ისტორიკოსების ნაშრომებს, როგორიც იყვნენ კარამზინი და სოლოვიოვი. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს წიგნები მოიძებნება.

გარდა ამისა, დღეს უკვე ცნობილია, რომ სტალინის შენიშვნებიანი ზოგიერთი ეგზემპლარი კერძო პირებთან ინახება. ვ.მ. მოლოტოვმა თავის მემუარისტს ფ. ჩუევს უჩვენა ბელადის შენიშვნებიანი წიგნი. როი და ჟორეს მედვედევებს ცნობილ ისტორიკოსთან მ. გეფტერთან აქვთ ნანახი ბისმარკის თხზულებათა პირველი ტომი, რომელიც 1940 წელს მომზადდა გამოსაცემად. შესავალი სტატია სტალინის შენიშვნებით იყო აჭრელებული.[55] შენიშვნებიანი წიგნების კერძო პირთა ხელში არსებობა სხვა შემთხვევებშიც დასტურდება. დარწმუნებით შეიძლება ითქვას,

რომ სხვადასხვა მიზეზით გამოუცემელი წიგნების, კინოსცენარების, კონკურსებზე წარდგენილი ნაწარმოებების უამრავი ხელნაწერი სტალინის ჩანაწერებით, შენიშვნებითა და გამოხმაურებებით ამჟამად სახელმწიფო არქივებში, სხვადასხვა საბჭოთა ორგანიზაციის და საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა პირად ფონდებში ინახება და მკვლევარს ელის.

სხვადასხვა დროის სახელგანთქმული ადამიანების მიერ შეგროვილ და ჩვენ დღეებამდე ხელუხლებლად მოღწეულ წიგნებს დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს. ამის მაგალითია ვოლტერის, დიდროს, ლინკოლნის, ლენინის და სხვათა ბიბლიოთეკები. წიგნს შეუძლია საუკუნობით შემოინახოს იმ ხელების სითბო (ზოგჯერ კი ჭუჭყიც), ოდესღაც მას რომ ეხებოდნენ და, მით უმეტეს, შენიშვნები და სხვა, ხშირად მოულოდნელი მარგინალიები. წიგნებს, ისევე, როგორც ყველაფერს, რასაც ადამიანის ხელი შესებია, განსაკუთრებული, ხშირად იდუმალი ცხოვრება აქვს. აბასობაში კი, მოუსაზრებლობის გამო იშლება უნიკალური ბიბლიოთეკები. ასე დაემართა სტალინის ბიბლიოთეკებსაც. ისინი დაშალეს სპეციალისტების პროტესტების მიუხედავად. კიდევ კარგი, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა შესაძლებლად მიიჩნიეს საერთო კატალოგის შედგენა.[56]

არქიეის და სიკვდილის შემდგომი ფაცი-ფუცის ფონზე

წიგნების რაღაც ნაწილმა, მათ შორის მანქანაზე გადაბეჭდილმა თარგმანებმა, მხატვრულმა და პარტიულმა ჟურნალებმა სტალინის კრემლის კაბინეტის მარგინალებით კიდეებზე, ბელადის პირადი საარქივო ფონდის ბედი გაიზიარეს. ბოლო დრომდე ეს ფონდი თავმოყრილი იყო ორ ადგილას. საბჭოთა კავშირის და კომუნისტური პარტიის დაშლის შემდეგ ყველასათვის გახსნილ ცენტრალურ პარტიულ არქივში (ამჟამად რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის სახელმწიფო არქივი) მოთავსებულია ფონდი 558, სადაც ხელოვნურად იყო გაერთიანებული სტალინის, როგორც პარტიისა და მთავრობის მეთაურის მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მასალები, მოგონებები მასზე და მისდამი მიძღვნილი შრომები, საბუთები ოჯახის წევრების შესახებ, მისალმებები იუბილე-

ებთან დაკავშირებით, ავადმყოფობასთან და სიკვდილთან დაკავშირებული მასალები. იქვე დამოუკიდებელ ნაწილად თავმოყრილია წიგნები არეებზე გაკეთებული მისი შენიშვნებით.[57] ოქტომბრის რევოლუციის ყოფილ მუზეუმში ინახება ბელადისათვის მირთმეული საჩუქრები, თავის დროზე განსაკუთრებულ ექსპოზიციას რომ შეადგენდა. მაგრამ არქივის განსაკუთრებით ფასეული ნაწილი, რომლის შეგროვებაც სტალინმა და მისმა თანაშემწეებმა ჯერ კიდევ 1922 წლიდან დაიწყეს, მისი სიკვდილის შემდეგ თავდაპირველად, ეგრეთ წოდებულ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის "საგანგებო საქაღალდეში" ინახებოდა, რომელიც 1991 წელს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის არქივად გადაიქცა. სტალინის არქივი წიგნებთან და ჟურნალებთან ერთად მხოლოდ 1999 წელს ნაწილობრივ გადაეცა პრეზიდენტის არქივიდან რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის სახელმწიფო არქივს. გაუგებარია, რა პრინციპით შეირჩა საქმეები და წიგნები რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის არქივიდან და, რაც მთავარია, რის საფუძველზე დარჩა მათი ნაწილი დღემდე იქ, სადაც მხოლოდ "რჩეულთათვის" არის ხელმისაწვდომი. რუსეთის პირველმა პრეზიდენტმა ბ.ნ.ელცინმა ორჯერ გასცა განკარგულება სტალინის არქივის რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის სახელმწიფო არქივისათვის გადაცემის თაობაზე, მაგრამ 1703 საქმიდან 300 დღემდე რჩება რუსეთის პრეზიდენტის არქივში. მათში გაერთიანებულია დოკუმენტები, რომლებიც ეხება ფაშისტურ გერმანიასთან მოლაპარაკებებს ომის დაწყების წინა პერიოდში, "ექიმთა საქმეს," "კატინის საქმეს," "კორეის ომს" და სხვ. ახლანდელ არქივს აშკარად ემჩნევა, რომ იქიდან უბოდიშოდ არის ამოღებული დოკუმენტები.

სტალინის არქივის ისტორია კიდევ უფრო მეტი გაუგებრობით არის მოცული, ვიდრე მისი ბიბლიოთეკების ისტორია. 1953 წლის 4 მარტს ღამით, როცა სტალინი ჯერ კიდევ სუნთქავდა, ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ბიუროს სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება: "დაევალოთ ამხანაგებს: გ.მ. მალენკოვს, ლ.პ. ბერიას, ნ.ს. ხრუშჩოვს მიიღონ ზომები, რათა ამხანაგი სტალინის დოკუმენტები და ქაღალდები, როგორც მოქმედი, ისე საარქივო, მოყვანილი იქნეს შესაბამის წესრიგში." იმალებოდა თუ არა ამ ფორმულირების უკან იმ დროის ჩვე-

ულებრივი პრაქტიკა, როცა მსხვილი მოღვაწის სიკვდილის შემდეგ მისი არქივი და ბინა ილუქებოდა და მას დაცვას უყენებდნენ, ხოლო მათ შემდგომ ბედს განაგებდა საგანგებო სამთავრობო კომისია, თუ ყოფილმა თანამებრძოლებმა გამოიჩინეს განსაკუთრებული დაინტერესება და სიფრთხილე — ძნელი სათქმელია. აკეთებდა თუ არა კომისია რაიმეს რეალურად, ათვალიერებდა იგი ქაღალდებს თუ მხოლოდ სეიფების, მაგიდების და კარადების დალუქვით დაკმაყოფილდა, ცნობილი არ არის. ნებისმიერ შემთხვევაში ეს ღონისძიება სრულიად ლოგიკური და გონივრულია, კერძოდ, ხელმძღვანელობის ბიუროკრატიული მემკვიდრეობის თვალსაზრისითაც. თუმცა, 5 მარტს დაკრძალვის ორგანიზაციისათვის შეიქმნა კიდევ ერთი კომისია ხრუშჩოვის მეთაურობით, ოღონდ უფრო გაფართოებული შემადგენლობით.

ახლო აგარაკის მთელი ქონება, საბუთების და წიგნების ჩათვლით, სრულიად კანონიერად, გამოიტანა ბერიას უწყების ხალხმა მისივე განკარგულების საფუძველზე. თუმცა ბერია მაშინ უკვე დიდი ხანია აღარ იყო სახელმწიფო უშიშროების მინისტრი (ეს თანამდებობა ს.დ. იგნატიევს ეკავა), ის მოქმედებდა როგორც სამთავრობო კომისიის წევრი და, უეჭველად, ხსენებული კომისიის სხვა ორი წევრის თანხმობით. თითქმის არ არის ეჭვი, რომ ასეთივე ბედი ეწვია კრემლის კაბინეტში შენახულ დოკუმენტებსაც. თუკი ახლო აგარაკიდან ქონების გამოტანა შეუმჩნეველი არ დარჩენია ბევრს, კერძოდ, ს. ალილუევას, კრემლის ბინიდან, კაბინეტიდან და სხვა აგარაკებიდან საბუთების გამოტანა მხოლოდ იმავე წლის აპრილში "შეამჩნიეს." მალენკოვი, ბერია და ხრუშჩოვი მხოლოდ თანამდებობით, როგორც მთავრობის წევრები მეთაურობდნენ კომისიას, კონკრეტული სამუშაო კი სპეცსამსახურებიდან და მარქსენგელს-ლენინ-სტალინის ინსტიტუტიდან კომისიაზე საგანგებოდ მიმაგრებულ ადამიანებს უნდა შეესრულებინათ. როცა 1953 წლის აპრილში ინსტიტუტის თანამშრომლები კრემლში გამოცხადდნენ, გამოირკვა, რომ კარადები და სეიფები, რომლებშიც დოკუმენტები და ფული ინახებოდა (სტალინს ათეულობით ანაზღაურებადი სახელმწიფო თანამდებობა ეკავა) ცარიელი იყო. ამის შემდეგ გავრცელდა ხმები, რომლებიც ლეგენდებში, გადაიზარდა, თითქოს სტალინის არქივის ნაწილი შეგნებულად იქნა განადგურებული ჯერ ბერიას, შემდეგ კი ხრუშჩოვის მიერ.

განსაკუთრებით დაბეჯითებით საუბრობდნენ მრავალრიცხოვანი კონვერტების გაქრობაზე, რომლებიც ბევრ ადამიანს ჰქონდა ნანახი სტალინის ბინაშიც და აგარაკზეც. კონვერტები კი იყო, მაგრამ სავარაუდოა, რომ მათში მოთავსებული უნდა ყოფილიყო სტალინისათვის ხელმოსაწერად გამოგზავნილი ქაღალდები ოფიციალური სამთავრობო და პარტიული გადაწყვეტილებების ტექსტებით. სტალინს ხშირად ეზარებოდა ხოლმე მათი გადათვალიერება და ასობით უგროვდებოდა მაგიდაზე მანამდე, სანამ მთავრობის რომელიმე წევრი ყურადღებას არ მიაქცევინებდა ამა თუ იმ სახელმწიფო აქტზე. მაშინ სტალინი იპოვიდა მას ქაღალდების გროვაში, შეისწავლიდა და, თუ შეკითხვები არ გაუჩნდებოდა, ხელს მოაწერდა. ბუნებრივია, მისი სიკვდილის შემდეგ ყველა კონვერტი შიგ მოთავსებული საბუთებით შესაბამის დაწესებულებებს გადაეცა.

1957 წლამდე საკითხი სტალინის არქივის ნაწილის განადგურების შესახებ ფარულად ან აშკარად არავის წამოუჭრია. ამგვარი ბრალდება არც ბერიასათვის წაუყენებიათ მისი გასამართლების დროს, თუმცა სულ ადვილი იყო სწორედ მისთვის დაებრალებინათ ბელადის არქივის ნაწილის გაქრობა, თუკი ხრუშჩოვს და სხვებს ამის საჭიროება გაუჩნდებოდათ. სხვათა შორის, სასამართლოში მიმდინარეობდა არქივებზე საუბარი, მაგრამ ეს აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის არქივებს ეხებოდა, რომლებსაც ბერია საიდუმლოდ ინახავდა 20 წლის განმავლობაში.[58] შევნიშნავთ, რომ შეინახა - არ გაანადგურა.

ბერია მოსკოვის სამხედრო ოლქის ბუნკერში იჯდა. მემკვიდრეობის კომისიის თავისუფალ ხელმძღვანელებს - მალენკოვსა და ხრუშჩოვს კი ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა 1953 წლის 18 სექტემბერს დაავალა ამავე წლის 3 დეკემბრის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე გაეკეთებინათ "მოხსენება იოსებ ბესარიონის ძე სტალინის არქივის მასალების თაობაზე." არავინ იცის, რას აკეთებდა კომისია 1955 წლის აპრილის ბოლომდე, სავარაუდოა, არც არაფერს, მაგრამ 28 აპრილს ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მორიგ სხდომაზე გადაწყდა ხელახლა გადაესინჯათ კომისიის შემადგენლობა და ხრუშჩოვთან (თავმჯდომარე) და მალენკოვთან ერთად მასში შეეყვანათ

ახალი წევრები: ბულგანინი, კაგანოვიჩი, მოლოტოვი, პოსპელოვი და სუსლოვი. სრულიად აშკარაა, რომ პრეზიდიუმის ზოგიერთ წევრს არქივის პრობლემა განსაკუთრებით აღელვებდა. ეს იყო მოლოტოვი.

კომისია იმ შემადგენლობით, როგორც ის ჩამოყალიბდა 1955 წლის გაზაფხულზე, არც ერთხელ არ შეკრებილა. მრავალი წლის შემდეგ მოლოტოვი იხსენებდა, რომ 1957 წელს, როცა მას ცენტრალური კომიტეტის პლენუმის სხდომაზე პარტიული და სახელმწიფო ორგანოებიდან აძევებდნენ, იგი შეეცადა პრეტენზიები წაეყენებინა ხრუშჩოვისათვის: "ღრიალებდნენ, ღრიალებდნენ. მე მასზე კი არ ვლაპარაკობდი, არამედ მის ხელმძღვანელობაზე, ახლა ყველაფერს ვერც გავიხსენებ, რაც მანამდე ითქვა. მათ შორის იმაზეც, რომ 1953 წელს დაინიშნა კომისია სტალინის არქივის საქმეზე. თავმჯდომარე ხრუშჩოვი გახლდათ, მე კომისიის წევრი ვიყავი. ახლა (1970 წ. - ბ.ი.) 1957 წლიდან არც ერთხელ არ შეკრებილვართ ჩვენ, კომისიის წევრები. იქ მიქოიანიც იყო და კიდევ ვილაცა.* სტალინის არქივი ჩვენ, კომისიას ჩაგვბარდა. აი, ხომ ხედავთ, როგორ იქცევა ხრუშჩოვი?" [59] ზოგ რამეში მოლოტოვს მეხსიერებამ უღალატა - 1955 წლამდე ის კომისიაში არ შედიოდა, არც მიქოიანი მოიხსენიებოდა იქ.

რატომ ადარდებდა სტალინის არქივის ბედი მოლოტოვს ათეული წლების შემდეგ? რატომ დღემდე არ ცხრება ხმები იქ ჩატარებული წმენდის შესახებ? ამას ორი მიზეზი აქვს და ისინი ძალზე ტრადიციულია დიქტატორების სიკვდილის შემდგომი ბედ-იღბლისათვის. ჯერ ერთი, ეს მემკვიდრის, და ესე იგი, შესაძლო ანდერძის პრობლემაა. მეორეც - ბელადის სიკვდილის "საიდუმლო."

გარდაქმნის დასაწყისამდე პრესაში არ გამოჩენილა რაიმე ცნობა არქივის ბედზე. შემდეგ გამოქვეყნდა ვოლკოგონოვის და რაძინსკის მიერ დაწერილი სტალინის ბიოგრაფიები. მათში ფართოდ იყო გამოყენებული რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის არქივის მასალები, სადაც "აღმოჩნდა" კიდეც სტალინის ფონდი. ადამიანებს, რომლებიც თავის თავს დემოკრატიისათვის ბრძოლის საყრდენად მიიჩნევდნენ, ერთხელაც არ გასჩენიათ კითხვა, "რჩეულთა" და "ნდობით აღჭურვილთა" სისტემის

---

* სტილი შენარჩუნებულია (რედაქტორის შენიშვნა).

მართებულობის შესახებ. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ 1991 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ ვოლკოგონოვი რამდენიმე წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და საბჭოთა კავშირის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის არქივების რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო არქივებისათვის გადაცემის რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს კომისიას, რომლის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა აღნიშნული არქივების გახსნა მეცნიერებისა და საზოგადოებრიობისათვის, მისი პოზიცია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის არქივისა და სტალინის ფონდის მიმართ ჩემთვის სრულიად გაუგებარი და მიუღებელია. ხსენებულ კომისიაში მუშაობისას მე საკუთარი თვალი ვხედავდი, როგორ ადვილად ლავირებდა გენერალი სხვადასხვა შეხედულებას შორის.

ცნობილი არ არის, რა ხდებოდა სტალინის არქივთან დაკავშირებით ხრუშჩოვის მმართველობის წლებში. მართალია, აქა-იქ ყრუდ გაისმოდა ბრალდებები მისი მისამართით იმის თაობაზე, რომ სტალინის ფონდი "გაწმენდილი იქნა" ისევე, როგორც ქვეყნის სხვა არქივები, რეპრესიების წლებში თავად ხრუშჩოვის მოღვაწეობის კვალის დასაფარავად. თუმცა უშუალოდ სტალინის არქივის წმენდის დამადასტურებელი საბუთები ჯერჯერობით მოპოვებული არ არის.

ამჟამად ცნობილი გახდა, რომ სტალინის არქივის მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავება მხოლოდ 1977-1978 წლებში განხორციელდა. მაშინ მოხდა აგრეთვე, ფონდის დოკუმენტების ხელახალი სისტემატიზება, გამოიყო ისეთი კომპლექსები, რომელთაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის არქივის თანამშრომელთა აზრით, პირდაპირი კავშირი არ ჰქონდათ ცენტრალური კომიტეტის აპარატის მუშაობასთან. თავისთავად, ამ საკითხის დაყენებაც კი მანკიერია. ცნობილია, რომ სტალინი როგორც პარტიული, ისე სახელმწიფო, სამხედრო, დიპლომატიური, მეცნიერული და ა.შ. მოღვაწე იყო. თუ ამ ლოგიკას გავყვებით, საჭირო იყო მთელი ფონდის დაშლა.

დაარღვიეს რა საარქივი ფონდის მთლიანობის პრინციპი, ცენტრალური კომიტეტის არქივის "სპეციალისტებმა" სხვა საცავებს გადასცეს 1873-1915 წლების საგუბერნიო ჟანდარმერიის სამმართველოთა საქმეები, 1918-1922 წლების მუშურ-გლეხური აღმასკომის სახალხო

კომისარიატის და 1920-1923 წლების ეროვნებათა სახალხო კომისარიატის სამდივნოების დოკუმენტები. კ.უ. ჩერნენკოს განკარგულებით სწორედ მაშინ გადაეცა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის პარტიულ არქივს რევოლუციამდელი ბეჭდვითი გამოცემები, ისეთები, როგორიც არის "ისკრა," "ბორბა," "ლისტოკ ბორბი პროლეტარიატა," გაზეთების "პრავდის," "რაბოჩი ი სოლდატის," "რაბოჩი პუტის" და სხვათა კომპლექტები - სულ ბეჭდური გამოცემების 29 დასახელება, რომლებშიც სტალინი ასე თუ ისე მონაწილეობდა. დარწმუნებული ვარ, რომ მრავალ ამ დოკუმენტზე იყო სტალინის ჩანანიშნები, რაც მათ განსაკუთრებით ფასეულს ხდის. პარტიული ფუნქციონერების და არქივის თანამშრომლების წინადაუხედავი მოქმედების შედეგად, ალბათ, შეუძლებელი იქნება იმის დადგენა, რომელი ბეჭდვითი გამოცემა ეკუთვნოდა პირადად სტალინს, რომელი მათგანი მიიღო მან უკვე საბჭოთა პერიოდში და რომელი წყაროებიდან.

რატომ ინახავდა სტალინი თავისთან იმ სახალხო კომისარიატების საბუთებს, რომლებსაც იგი მეთაურობდა, და პერიოდულ გამოცემებს, სადაც თანამშრომლობდა, გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ თვითონ მონაწილეობდა საკუთარი ოფიციალური ბიოგრაფიის დაწერაში და თხზულებათა კრებულების გამოცემაში. ალბათ მომავალი მემორიალის აზრიც უტრიალებდა თავში. უკვე 70 წლის იუბილეს დღესასწაულის დროს დაბეჯითებით იქნა დაყენებული წინადადება, რათა გახსნილიყო სტალინის მუზეუმი.[60] ხოლო როგორ იყენებდა ჟანდარმერიის სამმართველოების მასალებს - უფრო რთული მისახვედრია. საკარაუდოა, ეს გამოცდილი "სპეციალისტების" ძიების, ან თავისი ყოფილი ნამდვილი თანამებრძოლების შანტაჟის წყარო იყო, ან იქნებ პირადად ეძებდა და ანადგურებდა თავის მაკომპრომეტირებელ მასალას? შესაძლებელია ყველაფერი ერთად. პარტიულ წრეებში ჯერ კიდევ რევოლუციამდე დადიოდა ხმები მის პროვოკატორულ მოღვაწეობაზე და პოლიციასთან კავშირზე. სრულიად ბუნებრივია, რომ ოპოზიციებთან ბრძოლის წლებში ეს ხმები გაძლიერდა და დროდადრო დღემდე ცოცხლდება სხვადასხვა გამოცემის ფურცლებზე. ამ ვერსიას განსაკუთრებული გულმოდგინებით ამუშავებენ რაძინსკი და ვოლკოვი.[61] მაგრამ ვერც მათ და ვერც სხვებმა დამადასტურებელი ვერაფერი იპოვეს და ალბათ ვერც ვერასოდეს იპოვიან.

1999 წელს რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის სახელმწიფო არქივში გადაცემული სტალინის ფონდის ნაწილები თავისი მრავალნაირი დოკუმენტაციითურთ, რომელიც მის პარტიულ, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეობას ახასიათებს, შეიცავს აგრეთვე, სტალინის ფართო მიმოწერას, ბიოგრაფიულ მასალას, ფოტოებს, მასალებს ოჯახის წევრებზე, თავად სტალინზე მის სიცოცხლეში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს. მაგრამ ჩვენ, პირველ რიგში, გვაინტერესებს ის დოკუმენტები, რომლებიც ასახავს სტალინს არა როგორც ბიუროკრატს, მოხერხებულ ინტრიგანს, ტერორის, პოლიტიკური პროცესების და იდეოლოგიური კომპანიების ორგანიზატორს, სამხედრო და დიპლომატიურ მოღვაწეს, ე.ი. ისევ და ისევ ბიუროკრატს, თუნდაც სპეციფიკურ სფეროებში, არამედ წყაროები, რომლებიც ახასიათებს მის შინაგან, სულიერ და ინტელექტუალურ მოღვაწეობას. ამისათვის გავაანალიზებთ, თუ რას კითხულობდა იგი, განვიხილავთ ისტორიის, პოლიტეკონომიის, გეოგრაფიის, ფილოსოფიის და სხვა სახელმძღვანელოების მის მიერ რედაქტირების ხასიათს. ამის შედეგად ჩვენ შევაღწევთ მისი ჭეშმარიტი, ე.ი. იდუმალი ინტერესების, შეხედულებების და მოსაზრებების სისტემაში და შევაჯერებთ მათ საყოველთაო შეთვისებისათვის განკუთვნილ, ოფიციალურად განცხადებულ დოგმებთან და მითითებებთან.

ჩვენ შევძლებთ მისი თვალებით წავიკითხოთ წიგნები, ჟურნალები და ზოგიერთი დოკუმენტი, თვალი მივადევნოთ მისი არაპროპორციულად დიდი ხელის მტევნის მოძრაობას, რომლითაც იგი სახსოვრად ჩაკეცავდა ხოლმე წიგნის რამდენიმე გვერდს, ისევე, როგორც სადღესასწაულო სუფრასთან მჯდარი გულღია კავკასიელი მოიტეხავს გემრიელი ლავაშის ყუას. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მის მტკიცედ მოჭერილ თითებში სქელი, წახნაგებიანი ფერადი ფანქარი, რომელიც ზედიზედ უსვამს ხაზს მთელ აბზაცებს, ხანდახან კი გვერდებს და თავებსაც. გავშიფრავთ არეებზე, ცალკე ფურცლებზე ან მთელი გვერდის გასწვრივ მიწერილ მის შენიშვნებს სახელმძღვანელოების, სამეცნიერო გამოკვლევების, ძველი და ახალი მსოფლიოს ისტორიის, რუსეთის ისტორიის, პარტიის ისტორიის, ფილოსოფიის ისტორიის, ომების და სამხედრო საქმის ისტორიის, ენათმეცნიერების პრობლემების, პოლიტეკონომიის, სკოლაში ისტორიის სწავლების ან ბიოლოგიის, ლიტერატურის, დრამატურგიის,

დიპლომატიის და სხვა პრობლემებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიებსა თუ საჟურნალო სტატიებზე. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იგი დილეტანტივით უშიშრად და დიქტატორივით უკანონოდ იჭრებოდა საზოგადოების სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრების ყველა სფეროში და აიძულებდა შეეთვისებინა შეხედულებების მისი საკუთარი სისტემა, ცრურწმენები და ფობიები.

იგი წესრიგის და სისუფთავის მოყვარული ადამიანი იყო, თუმცა ზოგიერთ შემორჩენილ წიგნს ატყვია შემთხვევით დაღვრილი ჩაის ან ცხელი საჭიქის კვალი, ჩიბუხის წმენდისას ფურცლებზე ნიკოტინის ყვითელი ლაქები რჩებოდა, მათ შორის კი პაპიროსის ფერფლის კვალი შეინიშნება. გარდა იმისა, რომ იგი პატრონივით ხაზავდა და კეცავდა გვერდებს, არც კი დაფიქრდებოდა ხოლმე, წიგნი პირადად მისია თუ საჯარო ბიბლიოთეკიდან აბონემენტით გაცემული. ამასთან, იგი ასობით ქაღალდის სანიშნს აწყობდა წიგნებში. უფრო ხშირად სანიშნებისათვის მოვარდისფრო ან თეთრ საწერ ქაღალდს ჭრიდა, თუმცა ზოგჯერ, როგორც კითხვის მოყვარული ყველა ადამიანი, სარგებლობდა იმით, რაც ხელში მოხვდებოდა — გაზეთის მოხეული კუთხით ან მაგიდის კალენდრის ფურცლით. ამ შემთხვევითი სანიშნების მიხედვით შეიძლება დავადგინოთ კონკრეტული თარიღი, როდის ფიქრობდა ის ამა თუ იმ გვერდის შინაარსზე. "წესრიგის" დამყარების დროს, მკვლევრებისათვის მუშაობის გასაადვილებლად ვიღაცამ გაასწორა გვერდების ჩაკეცილი კუთხეები, ახალი სანიშნები ჩააწყო, რათა მიეთითებინა, სად არის სტალინისეული ტექსტი. ჯერჯერობით მათი გარჩევა კიდევ შეიძლება, მაგრამ მალე ყველაფერი ერთნაირად გამოხუნდება.

ოჯახური ჩვეულებების და სამეზობლო მიდრეკილებების ფონზე

როგორც ცნობილია, წიგნი საუკეთესო საჩუქარია. იქნებ სტალინიც კი იყო საბჭოთა ეპოქის ამ აკვიატებული, პოპულარული ლოზუნგის ავტორი? არ ვიცი, მაგრამ მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება წიგნის მიმართ იძით გამომჟღავნდა, რომ, როდესაც ახლობლებს ან

პატივსაცემ ადამიანებს რაიმეს ჩუქნიდა (იმ მოკლე დროის განმავლობაში, სანამ მათ "პატივს სცემდა"), ეს იყო წიგნი, უფრო ხშირად თავად მის მიერ დაწერილი წიგნი. რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის სახელმწიფო არქივში, სადაც სტალინის სხვადასხვა ბიბლიოთეკიდან თავმოყრილია მრავალი წიგნი მისი ავტოგრაფებით და ჩანანიშნებით, არის ათეულობით გამოცემა, რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადამიანისათვის უჩუქებია, ხანდახან ნაჩუქრობის წარწერებითაც. ეს წიგნები ადრესატებთან არ დარჩენილა, ისინი მფლობელებმა დაბრუნეს ან ამაზე ბერიას უწყების ხალხმა იზრუნა. ანდა, ზოგიერთ შემთხვევაში, პატრონის რაღაც განსაკუთრებული მოსაზრებების გამო წიგნი საერთოდ არ იყო გადაცემული ადრესატისათვის. უფრო ხშირად საჩუქრები მრავალმნიშვნელოვანი იყო და ხანდახან დიდაქტიკის და ჭკუის სწავლების ელემენტებიც არ აკლდა.

1922-1924 წლებში, იმ დალოცვილ დროს, როცა პარტიაში უმაღლეს ადმინისტრაციულ პოსტზე დანიშნეს, ხოლო ნორჩმა მეუღლემ ნადეჟდა ალილუევამ აშკარად სასურველი მეორე ვაჟიშვილი - ვასილი გაუჩინა, მან რამდენიმე საჩუქარი გასცა და იმავე დროს, თვითონაც მიიღო. ცოლს მან აჩუქა ლენინის თხზულებათა ტომი. უახლოესმა მეგობარმა და მისი ზრახვების მუყაითმა შემსრულებელმა მოლოტოვმა კი თავად მას აჩუქა საკუთარი თხზულება: "ლენინი და პარტია რევოლუციის დროს," თანაც თავისი ბატიფეხურით ტიტულზე მიაჯღაბნა: "ძვირფას ამხანაგ სტალინს. ნიშნად ერთად მუშაობისა, 16/IV ვ. მოლოტოვი. 1924 წ." სახელგანთქმულმა პროლეტარულმა პოეტმა დემიან ბედნიმ, კრემლში სტალინის მეზობლად რომ ცხოვრობდა უზარმაზარ, როგორც ამბობდნენ, ძვირფასად მოწყობილ ბინაში, 1922 წელს სტალინს აჩუქა წიგნი, რომელსაც იგი დიდი ხანია ეძებდა — "რუსეთის სოციალისტური მუშათა პარტიის გაერთიანებული ყრილობის ოქმები." პოეტმა მეზობლის დაბადების დღისათვის მისადაგებულ საჩუქარს წააწერა: "სტალინს — დ.ბედნი. ძლიერი სიყვარულით. 22/XII .22. მოსკოვი, კრემლი."[62] ეს სიყვარული სტალინის საზომით მართლაც საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდა, თუმცა კი ნაირგვარი ევოლუცია განიცადა. ყოველ შემთხვევაში, სტალინის ახლო აგარაკზე მის სიკვდილამდე ეკიდა ბედნის პორტრეტი. ამიტომაც არაფერია გასაკვირი იმაში, რომ როცა 1925 წელს

სტალინმა გამოსცა სხვადასხვა რევოლუციამდელი გამოცემებიდან ამორჩეული თავისი სტატიების პირველი, საკმაოდ სუსტი კრებული - "ოქტომბრისაკენ მიმავალ გზებზე" — მან პოეტს კავკასიურად გაუკეთა "ალაევერდი", ანუ საპასუხო საჩუქარი, რომელზეც წვრილი კალმით ლამაზად წაწერა: "ძვირფას მეგობარს დემიანს, ავტორისაგან. 20/I-25."[63] ვგონებ, ეს ერთადერთი დოკუმენტური საბუთია იმისა, რომ სტალინმა პირადი დიქტატურისკენ მიმავალ გზაზე ვიღაცას გულწრფელად უწოდა მეგობარი, თუმცა სულიერი აღტყინება მან ჩანასახშივე ჩაახშო: წიგნი არასოდეს მოხვედრილა დანიშნულებისამებრ. რამდენიმე ხნის შემდეგ კი ავტორმა წითელი მელნით სქლად წაშალა წარწერა, თუმცა მიძღვნის გარჩევა მაინც შესაძლებელია.

ახლობლებისათვის საჩუქრების მიძღვნის ჩვეა ისევე ბუნებრივია, როგორც საოჯახო თარიღების აღნიშვნა. ასეთი გახლდათ უფროსი ვაჟიშვილისათვის ნაჩუქარი ბ. ანდრეევის წიგნი "ბუნების დაპყრობა," რომელიც სახელმწიფო გამომცემლობამ 1927 წელს გამოსცა. ყდაზე საოცრად გამოკვეთილი, მტკიცე და სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ლამაზი ხელით წერია: "იაშა! აბა, უეჭველად წაიკითხე ეს წიგნი. ი. სტ."[64] როგორც ჩანს, შვილს წიგნი მაშინ აჩუქა, როცა ამ უკანასკნელს 20 წელი შეუსრულდა — 1928 წელს. წარწერის ქვეშ იმავე ფანქრით ნახევარ რკალად სქელი ხაზია გასმული. თუ გავიხსენებთ მამის და უფროსი შვილის რთულ ურთიერთობას, რაზეც ბევრს და მწარედ წერს მისი უსაყვარლესი ქალიშვილი სვეტლანა, მაშინ გასაგები ხდება ეს ეკლიანი, დამთრგუნველი სიტყვა "აბა." სხვა ჩანანიშნი წიგნში არ არის, თუმცა ეს საოცარია. თითქმის ყველაფერი რაც კი სტალინს წაუკითხავს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, თავიდან ბოლომდე აჭრელებულია ფერადი ფანქრებით და კალმებით. მარტო ახალი აგარაკის ქონების აღწერაში აღნუსხულია მისი ეგზომ საყვარელი 127 რბილი ფანქარი. რადგანაც ნანახი მაქვს იმის დიდი ნაწილი, რაც დღეს სტალინის ბიბლიოთეკებიდან არის შემონახული — დარწმუნებული ვარ, რომ ანდრეევის წიგნი, რომელიც "მუშის წიგნის თაროს" პოპულარული სერიით გამოიცა, სტალინს თავიდან ბოლომდე უდიდესი ყურადღებით ჰქონდა წაკითხული. რითი შეეძლო ამ წიგნს მისი ყურაღება მიექცია? მასში გაუთვითცნობიერებელი მკითხველისათვის უბრალოდ და დიდი ცოდნით არის მოცემული ცნობები

ფიზიკის ისტორიის, ჰერნაოსნობის, რადიოს, ანთროპოლოგიის, ტექნიკის ისტორიის, ენერგეტიკის და სხვა დარგებში. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, საინტერესოა ადამიანისათვის, რომელმაც ვერ მოასწრო მიეღო ცოდნა თუნდაც ჩვეულებრივი სკოლის ფარგლებში. ამიტომაც აგროვებდა მას ყველგან, სადაც შეიძლებოდა. ნებისმიერი, თუნდაც სრულიად პრიმიტიული წყარო მისაღები იყო მისთვის. ამ მხრივ, ის გამონაკლისი არ გახლდათ.

XX საუკუნის პირველმა ნახევარმა თავისი საშინელი სოციალური რყევებითა და ომებით განვითარებული მსოფლიოს ყველა ქვეყანაში წარმოშვა ზერელედ ნასწავლი ხალხის, დილეტანტების, თუმცა ხშირად ჭკვიანი და ძალზე ნიჭიერი ადამიანების მთელი ფენა. ეს ძალზე განსხვავებული ადამიანები იყვნენ. საკმარისია ითქვას, რომ ისეთ შესანიშნავ პოეტს და პუბლიცისტს, როგორიც ილია ერენბურგი იყო, საშუალო განათლებაც კი არ ჰქონდა. საკმაოდ მოკრძალებული განათლება ჰქონდა XX საუკუნის უდიდეს გენიოსს, აინშტაინსაც. ჰიტლერის ერთ-ერთი საუკეთესო ბიოგრაფის ვ.მაზერის ცნობით, გერმანიის მომავალი "ფიურერი" ძალზე ნაკითხი კაცი იყო, მაგრამ გიმნაზიის ფარგლებს არ გასცდენია.[65] მხოლოდ ომის პერიოდში, სრულიად ბუნებრივი პროპაგანდის გავლენით შეიქმნა ლეგენდა "მესამე რაიხის" ბელადების და მათი მოკავშირეების უტვინობის და უვიცობის შესახებ. მსგავსი და სრულიად უსამართლო აზრი არსებობდა სტალინზეც მისი სიკვდილის შემდეგ. გაცილებით უფრო უარესი ის იყო, რომ ყველა ეს "ფიურერი," "დუჩე" და ბელადი, რომლებმაც, რაკი ჭკვიანი ადამიანები იყვნენ, თუნდაც ზერელედ, მაგრამ მაინც შეითვისეს ფართო ცოდნა, სრულიად მოკლებული იყვნენ მორალურ და ეთიკურ საფუძვლებს. ან იქნებ სულაც ჰიპერტროფირებულმა ინტელექტმა გამოხრა მათში ადამიანური სული. მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ უდიადესი წიგნი საუბრობს ეშმაკზე, როგორც კაცობრიობის მრავლისმცოდნე და ბრძენ მტერზეც კი. ტყუილად როდი გადაწყვიტა ეშმაკმა შემოქმედთან შერკინება.

ნათელი გონება, მიუხედავად მრავალი დაავადებისა, წლიდან წლამდე მზარდი ცნობისმოყვარეობა, აშკარა სიამოვნება, რომელსაც იგი ცხოვრებისაგან ღებულობდა, როგორც ყველა თავის რეალურ და წარმოსახვით მტერზე გამარჯვებული, მის წინაშე გადაშლილი პოლი-

ტიკური და ცხოვრებისეული უსაზღვრო პერსპექტივები, საკუთარი გენიალური შესაძლებლობების რწმენის ახალ მოზღვავებას იწვევდნენ. სტალინის ცოდნა სულ უფრო ფართო და უნივერსალური ხდებოდა. აქ ჩნდებოდა ლიდერობის და ბელადობის ეფექტი.

ადამიანის ინტელექტუალური და სულიერი სამყარო არასოდეს არ ემთხვევა ერთმანეთს. ამავე დროს, ისინი არაჩვეულებრივად მოქნილი და ყოველთვის ცვალებადია. სიცოცხლის მანძილზე მათი მოცულობა და სიმძაფრე შეიძლება მკვეთრად გაიზარდოს და გაფართოვდეს და ასევე მკვეთრად შემცირდეს და ჩაქრეს კიდეც. მემკვიდრეობითი ნიჭიერება, გენეტიკა - ეს მხოლოდ წინაპირობაა, შემდგომში ბევრ რამეს განსაზღვრავს გარემო და ადამიანის ნებისყოფა. სტალინი აშკარად ნიჭიერი იყო. ყველა - როგორც თანამებრძოლები, ისე მტრები აღნიშნავდნენ მის არაჩვეულებრივ ნებისყოფას. (თუმცა, ჯერ კიდევ გასარკვევია, ერთმანეთში ხომ არ ურევენ ნებისყოფას და სრულ სულიერ უსიცოცხლობას?) თავისი პოლიტიკური ტალანტის წყალობით ერთადერთი ზედიქტატორი რომ გახდა, ის შეგნებულად, უფრო ხშირად კი ინტუიციით მოქმედებდა ერთბაშად ორი მიმართულებით — გამუდმებით იმაღლებდა საკუთარი ინტელექტის დონეს და რეპრესიების მექანიზმის გამოყენებით მკვეთრად ამცირებდა ამ დონეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. პირველ რიგში, ეს შეეხო მმართველ და ინტელექტუალურ ელიტას.

როდესაც მოსკოვში პირველი გრანდიოზული მშენებლობები დაიწყო, ის არქიტექტორებს მითითებებს აძლევდა და ხშირად, ერთი შეხედვით, ფანტასტიკურ, მაგრამ სინამდვილეში საქმეში ჩახედულ გადაწყვეტილებებს ღებულობდა. ნიჭიერი ფაშისტი არქიტექტორის და გერმანიის სამხედრო მრეწველობის ხელმძღვანელის ალბერტ შპეერის ცნობით, ჰიტლერი მოსკოვთან ახლო ურთიერთობის დროს, პატარა ბიჭივით ებუტებოდა სტალინს, რადგან თავისი არქიტექტურული იდეების მოპარვაში ადანაშაულებდა მას.[66] ადვილი შესაძლებელია, ასეც იყო, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ მოსკოვის რეკონსტრუქციის პირველი გეგმების და მონუმენტური პროექტების განხორციელება დაიწყო მაშინ, როცა ჰიტლერი ის-ის იყო ხელისუფლებას ეპოტინებოდა გერმანიაში.

მეტროს აბაც ერთი სადგურის პროექტი არ მტკიცდებოდა, სანამ მას სტალინი არ მოიწონებდა. სტალინი იხილავდა არხების, რკინიგზის,

ჰიდროკაშხლების დაპროექტების, სხვადასხვა სახეობის იარაღის გამოშვების, წიგნებისა და სახელმძღვანელოების გამოცემის, უახლესი ქარხნების მშენებლობის საკითხებს. ეს არ იყო ფორმალური გადაწყვეტილებები, რომელთა უმრავლესობას ნებისმიერი სახელმწიფოს მეთაური იღებს. უნიჭიერესი კონსტრუქტორები მოგონებებში ერთხმად აღნიშნავენ, რომ სტალინი აოცებდა თანამოსაუბრეებს ამა თუ იმ მანქანის კონსტრუქციული თავისებურებების ზედმიწევნით ცოდნით.

მეორე მსოფლიო ომის წლებში სტალინმა ისევე, როგორც ჰიტლერმა, საკუთარ თავზე აიღო უმაღლესი მთავარსარდლობა. გ.კ. ჟუკოვი, ა.ვ. ვასილევსკი, კ.კ. როკოსოვსკი და სხვა მხედართმთავრები, რომლებისთვისაც აზრი არ ჰქონდა ტყუილის თქმას დიქტატორის სიკვდილის და პატივის აყრის შემდეგ, ერთხმად აღნიშნავდნენ სტალინის უნარს, სწრაფად შეესწავლა ყოველივე. კარგად არის ცნობილი, რომ სწორედ ის ღებულობდა ომის პერიოდში ყველა სტრატეგიულ გადაწყვეტილებას. ამიტომ უფლებაც ჰქონდა ბიოგრაფიაში საკუთარ თავზე დაეწერა: "საკითხთა წრე, რომელთაც ყურადღებას აქცევს სტალინი, უსასრულოა: მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ურთულესი საკითხები და ბავშვების სასკოლო სახელმძღვანელოები; საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის საკითხები და პროლეტარული დედაქალაქის კეთილმოწყობისათვის ყოველდღიური ზრუნვა; ჩრდილოეთის დიდი საზღვაო გზის შექმნა და კოლხეთის ჭაობების ამოშრობა; საბჭოთა ლიტერატურის და ხელოვნების განვითარების პრობლემები და კოლმეურნეობათა წესდების რედაქტირება და, ბოლოს, სამხედრო ხელოვნების თეორიის და პრაქტიკის ურთულესი საკითხების გადაწყვეტა." [67] აღსანიშნავია, რომ არა მარტო მარქსიზმის თეორიის დამუშავება და ომში მოპოვებული წარმატებები შევიდა ბელადის დიად საქმეთა სიაში, არამედ, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა - სასკოლო სახელმძღვანელოებზე, უპირველეს ყოვლისა, ისტორიის სახელმძღვანელოებზე მუშაობა.

მაგრამ არასოდეს არავის წამოსცდენია, რომ სწორედ მან შეიტანა ესა თუ ის პრინციპულად ორიგინალური წინადადება სამხედრო გეგმებში ან მშენებლობის საქმეში ანდა სხვა რაიმეში. დიახ, ის ფლობდა უნარს ზუსტად შეეფასებინა სხვისი აზრი, მაგრამ საკუთარი შემოქმედებითი პოტენცია არ გაჩნდა. თვით მისი ცნობილი "სამეცნიერო" ნაშრომები,

ეროვნული საკითხის, პოლიტეკონომიის და ენათმეცნიერების თაობაზე, უბადრუკია თავისი საფუძვლით და დასკვნებით. მისი გამოკვლევა ენათმეცნიერების საკითხებში ემყარება რამდენიმე სტატიას დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის ერთი ტომიდან, მიძღვნილს აკადემიკოს ნიკო მარის იაფეტური კონცეფციისადმი, მისივე ორ მცირე ნაშრომს და მარქსიზმის კლასიკოსების ციტატებს.

ჭეშმარიტი შემოქმედების უნარი არ გააჩნდა და, ამავე დროს თვითონაც ვერ ხვდებოდა, რომ ერთ-ერთი პირველი პრაქტიკოსი-ეგზისტენციალისტი გახლდათ. სწორედ სტალინს და არა ვისმე სხვას ეკუთვნის აღმოჩენა, რომ, თუ ადამიანს, განსაკუთრებით ნიჭიერს, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე დავაყენებთ, ის შემოქმედებითი და შრომითი გმირობის ჩადენას შეძლებს. ასი ათასობით შემოქმედმა განვლო ბერიას "შარაშკები," ბანაკები, ციხეები, "წმენდა" და მართლაც შექმნეს საბჭოთა, უფრო ზუსტად, სტალინური მეცნიერება, ტექნიკა და თვით კულტურაც კი. სტალინშჩინის წლებში საბჭოთა კავშირის პრაქტიკულად მთელი მოსახლეობა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იდგა. სწორედ აქედან გამომდინარეობს "სოციალიზმის" მშენებლობის თავბრუდამხვევი ტემპები და თვით ომში მოპოვებული წარმატებებიც.

თუ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში სტალინს უდავოდ მიაჩნდა თავი სიღრმისეულ მცოდნედ და გენიოსადაც კი, ტექნიკური და ზუსტი მეცნიერებები ნაკლებად ახლობელი და გასაგები იყო მისთვის. ყოველ შემთხვევაში, სტალინის ჩანანიშნებიან წიგნებს შორის თითქმის არ არის გამოცემები ზუსტი მეცნიერების სფეროდან. გაჭირვებით შეგვიძლია ამ დარგს მივაკუთვნოთ რამდენიმე წიგნი ევროპის ქვეყნების საარტილერიო აღჭურვილობის შესახებ და ომის წინა ხანების იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალების ტექნიკური მიმოხილვა. ანდრეევის წიგნი გამონაკლისია. ყველაფერი მიგვანიშნებს, რომ სტალინს ეს წიგნი შემთხვევით არ ჩავარდნია ხელთ. უეჭველია, იგი ორმა პრობლემამ დააინტერესა - პირველი იყო მანქანის (ავტორის ტერმინოლოგიით ახალი "მონის") სოციალური როლი კაპიტალისტურ და ახალ სოციალისტურ საზოგადოებებში, ხოლო მეორე - სიცრუის დეტექტორი. სტალინი გაეცნო მის მუშაობას და, რა თქმა უნდა, მიხვდა, რომ იგი არ სჭირდება, პირიქით, მავნეც კი არის. სწორედ ამ წლებში საყვარელი ბრალდება, რომელსაც

იგი "ხალხის მტრებს" უყენებდა, იყო პირმოთნეობა, მლიქვნელობა, ტყუილი. რაც შეეხება მლიქვნელობას, ის ამჟამადაც ჩანს შეუიარაღებელი თვალით, თუკი წავიკითხავთ პარტიის ყრილობებზე კამენევის და განსაკუთრებით, ზინოვიევის, ისევე, როგორც ოპოზიციის სხვადასხვა ჯგუფის ცნობილი მოღვაწეების გამოსვლების სტენოგრამებს. როგორც ყველა დროში, მლიქვნელობის გამოძალვა შიშით ხდებოდა. მაგრამ ტყუილი აღარ იყო, ვინაიდან ადგილი არ ჰქონდა ლიდერობისთვის ბრძოლას, ისევე, როგორც ეროვნული ინტერესების ღალატს, ჯაშუშობას და სხვა საშინელებებს. იქნებ სტალინმა დაიჯერა სიცრუის დეტექტორის ქმედითობა და ამიტომაც უარყო იგი. უარყო, ვინაიდან მისი წყალობით შეიძლებოდა ხელიდან გამოსცლოდა ყველაზე საყვარელი "პოლიტიკური" იარაღი - მსხვერპლის "აღიარება," უფრო ზუსტად კი საკუთარი თავის ცილისწამება, რაც წამების, ცემა-ტყეპის, დაშინების ზემოქმედებით ხდებოდა. საბჭოთა ეპოქის დასასრულამდე სიცოუის დეტექტორი, რომელიც პირველად რუსეთში გამოიგონეს, მოკვლევის აკრძალულ იარაღად და საჯარო დაცინვის საგნად ითვლებოდა.

* * *

სტალინი ძალზე ცნობისმოყვარე ადამიანი იყო და სურდა ასეთივე ცნობისმოყვარეობა თავის შვილებშიც დაენახა. ანდრეევის წიგნში არ არის მისთვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი ჩანანიშნები, კომენტარები და ხაზგასმები არა მხოლოდ იმის გამო, რომ ეს წიგნი ნაჩუქარია, არამედ იმიტომაც, რომ ეს ჯერ კიდევ 1928 წელია. მან უკვე მიაღწია ხელისუფლების მწვერვალს და, მართალია, ბატონობს ამ მწვერვალზე, მაგრამ ბოლომდე ჯერ კიდევ ვერ შეჩვევია თავის მარტოკაცობას. ამავე დროს, მოძულებული 20 წლის შვილისათვის 1928 წელს, იგი, რა თქმა უნდა, მამა იყო, თუმცა უკვე "სტალინადაც" ითვლებოდა. განა ბევრი ადამიანი მოინახება, რომელიც თავის შვილების და ჯალაბობისათვის განკუთვნილ მიძღვნას ოფიციალური ხელმოწერით და თანაც ფსევდონიმით დაამშვენებდა?

უმცროსი ვაჟიშვილის მიმართ სტალინს სულ სხვა დამოკიდებულება ჰქონდა, თუმცა ამ შემთხვევაშიც ასეთივე წარწერა გააკეთა. 1932 წელს სახელმწიფო სამხედრო გამომცემლობის მიერ დასტამბული გერ-

მანელი მფრინავის, მაიორ გელდერსის ფანტასტიკური წიგნის "1936 წლის საჰერო ომი"-ს თარგმანს ისეთივე გაკრული ხელით, ირიბად, კალმით წააწერა: "სახსოვრად კრასკომ ვასკას ი.სტალინისაგან 24/III 34 წ. ქ. მოსკოვი."[68] "კრასკომი" გაიშიფრება როგორც "წითელი მეთაური" (красный командир). მამა დიდ იმედებს ამყარებდა უფროსისაგან განსხვავებით ძალზე დინამიკურ უმცროს ვაჟზე და შვილს, რომელსაც 12 წელი შეუსრულდა, აშკარად უბიძგებდა სამხედრო მფრინავის კარიერისაკენ. მართალია ვასილი სამხედრო მფრინავი გახდა, მაგრამ სიბერეში შესული მამისათვის ნუგეში არასოდეს ყოფილა. ჯერჯერობით კი ეს მოუხეშო "ვასკა" და "სახსოვრად" საკმაოდ ადამიანურად და მამაშვილურად გულთბილად ჟღერს.

ექვსი წლის შემდეგ, როცა სტალინი სისხლიან ლაფად გადააქცევს იმას, რაც მაშინ "ოპოზიციებად" და მათ ხელმძღვანელებად იწოდებოდა, როცა რეპრესირებულებს ასი ათასობით კი არა, მილიონობით დაითვლიან და ცნობილ ისტორიულ პერსონაჟებს შორის სტალინი თავის მსგავსს დაუწყებს ძებნას, თუმცა მის პოვნას ვერ შეძლებს, იგი უმცროს შვილს კიდევ ერთ საჩუქარს გაუკეთებს. ამჯერად სტალინი საჩუქარს გარკვეულ "მნიშვნელობას" ანიჭებს.

1938 წელს ავტორთა კოლექტივის და, შეიძლება ითქვას, პარტიის მთელი პროპაგანდისტული აპარატის, თვით სტალინის ჩათვლითაც კი, მრავალწლიანი ძალისხმევის და მრავალგზის რედაქტირების შემდეგ დღის სინათლე იხილა ჭეშმარიტად საქვეყნოდ ცნობილმა ნაშრომმა "საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ისტორია. მოკლე კურსი." სტალინი ისე შეესისხლხორცა მის ტექსტს, ისე გააშალაშინა თავის ყაიდაზე, რომ თავი დაირწმუნა, თითქოს ხსენებულ წიგნზე შესაძლებელი იყო ავტორობის პრეტენზიის წამოყენება. სხვების "დარწმუნება" შედარებით ადვილი იყო. ამიტომ ასეც არის აღნიშნული სტალინის ოფიციალურ ბიოგრაფიაში: "1938 წელს გამოვიდა წიგნი - სკპ(ბ)-ის ისტორია. მოკლე კურსი," რომელიც ამხანაგმა სტალინმა დაწერა და სკპ(ბ)-ის ცენტრალური კომიტეტის კომისიამ მოიწონა."[69] მისი პირველი გამოცემები დიდი ტირაჟებით და რამდენიმეჯერ გამოვიდა. რა თქმა უნდა, ყველაზე უბრალო და იაფი იყო მასობრივი გამოცემა მუყაოს ყდით, თუმცა, ერთდროულად "მოკლე კურსი" გამოსცეს უფრო ძვირფასი ყდებით და ჩვეულებრივზე დიდი ფორმატებით. სტალინის არქივში შემონა-

ხულია წიგნის როგორც თავდაპირველი, ისე შუალედური ვარიანტები, ისევე, როგორც "მოკლე კურსის" საბოლოო, გამოქვეყნებული ეგზემპლარები. განსაკუთრებული, შესაძლოა, სასაჩუქრო გამოცემა, გამოვიდა ფარჩის მუქი ჟოლოსფერი (მეფური ფერი!) ყდით. იგი დაბეჭდილია ძვირფას ცარცის ქაღალდზე ლამაზი მსხვილი შრიფტით. არ ვიცი, არსებობდა თუ არა სხვა მსგავსი ეგზემპლარები და, თუ არსებობდა, ვის ერგო ისინი, მაგრამ არქივში შემონახული ჟოლოსფერყდიანი გამოცემის პირველ გვერდზე გაკრული ხელით, ბელადის საყვარელი წითელი, რბილი ფანქრით წაწერილია: "ვასიას, სტალინისაგან."

რა თქმა უნდა, საჩუქარი საჩუქარია და მჩუქებლის ნებაა, როგორ გაუფორმებს მას თავის შვილს, მაგრამ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ეს სპეციფიკური წიგნი 18 წლის ყმაწვილს პრიმიტიულ-დიდაქტიკური მნიშვნელობით აჩუქეს. მრავალრიცხოვანი მოწმეები აღნიშნავდნენ, რომ სტალინი უაღრესად გულჩათხრობილი კაცი იყო. ძალზე ახლობელი ადამიანებიც კი არასოდეს მიუშვია ახლოს თავის სულიერ სამყაროსთან და, მით უმეტეს, ეჭვებთან და ყოყმანთან. არც თავისი მეორე ცოლი ნადეჟდა მიუკარებია თავის სიღრმისეულ პოლიტიკურ ჩანაფიქრებთან, თუმცა, როგორც მათი ყველა ნაცნობი ამტკიცებს, უდავოდ უყვარდა იგი. საერთოდ არ სარგებლობდნენ სტალინის ნდობით ნათესავები. იგი არც შვილებს ენდობოდა, როცა ისინი წამოიზარდნენ. არც ერთ სერიოზულ აზრსა თუ ფიქრს არ უზიარებდა ვარენკა ისტომინას, რომელიც ნადეჟდა ალილუევას სიკვდილის შემდეგ გაიჩინა და რომელიც მისი არაოფიციალური ცოლი თუ ოფიციალური ხასა იყო. აი, წიგნებს კი ბევრ რამეს ანდობდა - შესაძლოა იმიტომ, რომ სამართლიანად ფიქრობდა, პატრონის გარეშე მათ გადაშლას ვერავინ გაბედავდა. სანამ იგი ცოცხალი იყო, ქვეყანა მართლაც მისი კანონებით ცხოვრობდა.

და თუკი იგი მართლაც მარტოსული იყო, განსაკუთრებით, ცოლის სიკვდილის და არა მხოლოდ ყოფილი ამხანაგების, არამედ ყველაზე ახლობელი ადამიანების განადგურების შემდეგ, ალბათ წიგნი რაღაცნაირად მაინც უწევდა მეგობრის და მესაიდუმლის მაგივრობას. თითქმის არც ერთ გამოცემას, ისინი კი დღეისათვის არანაკლებ ხუთასი, მარტო რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის სახელმწიფო არქივში, არ ატყვია მისი განზრახულობის კვალი, ანდა ის, რომ წინასწარ თავს იწონებს მომა-

ვალი მემკვიდრეების ან მისი ცხოვრების მკვლევართა წინაშე. არა, ის მართლაც მუშაობდა წიგნზე, ხშირად გულწრფელად ცხოვრობდა იმით, რასაც იქ ნახულობდა, მაგრამ ვასილისათვის მიძღვნილ საჩუქარში გამოსჭვივის სრულიად აშკარა სურვილი აჩვენოს შვილს, როგორ უნდა წაიკითხოს და თანაც დააფასოს მამის "შემოქმედება," როგორ "არის საჭირო" წიგნზე მუშაობა. "მოკლე კურსის" ყოლოსფერი ეგზემპლარი თავიდან ბოლომდე გადაბზულ-გადმოიბზულია ფერად-ფერადი რბილი ფანქრებით, აგრეთვე ნაირ-ნაირად არის მოხატული ფერად-ფერადი ისრებით და რგოლებით: წითელი, იისფერი, ლურჯი, მწვანე, უბრალო და იასამნისფერი ფანქრებით. აქ წარმოდგენილია ფერთა მთელი ის სპექტრი, რომლითაც იგი სარგებლობდა, როცა, მისივე თქმით, დღეში არანაკლებ 500 გვერდს ითხულობდა. ამ გამოცემაში არ ჩანს მხოლოდ ძელნის და ქიმიური ფანქრის კვალი, თუმცა სხვა შემთხვევებში ისინი ხშირად უხმარია. სხვადასხვა მოსაზრების მიუხედავად, ფანქრის ფერი არ ასრულებდა განსაკუთრებულ როლს და ჩანანიშნებს რაიმე განსაკუთრებულ ინიშვნელობას არ ახიჭებდა. უფრო სწორად, სტალინი სხვადასხვანაირი თანქრებით სარგებლობდა არა იმდენად რაღაცის მკვეთრად გამოყოფის მიზნით, რამდენადაც იმიტომ, რომ თვითონ არ შეშლოდა რაკე. ის ზრომის-მოყვარე მკითხველი იყო და, როგორც უკვე ითქვა, ჰქონდა იშვიათი ჩვევა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წიგნები რამდენჯერმე წაეკითხა. ეტყობა, ფანქრის ფერი ხელს უწყობდა, ერთბაშად დაენახა, რომელი წაკითხვისას დაფიქრდა ტექსტზე და რას ფიქრობდა მანამდე.

შვილის საჩუქარში ყველაფერი სხვანაირად იყო, განსაკუთრებით პირველ თავებში. მან წითელი ფანქრით გაუსვა ხაზი ყველაფერს, რაც ლენინს ან ბოლშევიკებს შეეხებოდა, იასამნისფერით – (შავს ძალზე იშვიათად ხმარობდა) ტექსტს, რომელიც ახასიათებდა მარტოვს, მენშევიკებს და საერთოდ, ყოველგვარ ოპოზიციონერებს, ე.ი. მტრებს. აი, როგორ გამოიყურება ეს ერთ-ერთ აბზაცში: "ლენინის ფორმულირება გვამცნობდა, რომ პარტიის წევრი შეიძლება გახდეს ყველა, ვინც აღიარებს პარტიის პროგრამას, ეხმარება მას მატერიალურად და ითვლება მისი ერთ-ერთი ორგანიზაციის წევრად" — გასმული აქვს ხაზი წითელი ფანქრით. ხოლო მომდევნო ფრაზა: "მარტოვის ფორმულირება კი პარტიის წევრობის აუცილებელ პირობად მიიჩნევდა პროგრამის აღიარებას და

მატერიალურ დახმარებას, ოღონდ აუცილებელ პირობად არ თვლიდა მის ერთ-ერთ ორგანიზაციაში მონაწილეობას" — ხაზგასმულია იასამნისფერი ფანქრით.[70] თავისთავად იბადება აზრი, რომელიც ზედაპირზე დევს - როგორც ჩანს, მას ბავშვობიდანვე მთელი ქვეყანა დაყოფილი ჰქონდა ორ სრულიად შეუთავსებელ ნაწილად, როგორც სახარებაშია. ეტყობა, ამ ფერადი სიგნატურებით მას სურდა ჩაეგონებინა შვილისათვის ამ ჭეშმარიტად საკრალური ტექსტის "სწორი" წაკითხვა და გაგება. წინასწარ ვიტყვით, რომ "მოკლე კურსი" შეიქმნა ისტორიული სიცარიელიდან, მხოლოდ და მხოლოდ მოსაზრებების კონსტრუქციიდან, მაგრამ "ავტორის" განსაკუთრებული ძალის წყალობით, ამ ველურ კონსტრუქციას ძალუძდა შეექმნა სისხლსავსე (პირდაპირი მნიშვნელობით) ისტორიული რეალობა. "მოკლე კურსის" კონსტრუქციის საფუძვლები დღემდე აჩხორილია იმათ ტვინებში, ვინც ცხოვრობდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, და იმათშიც კი, ვინც ახლა რუსეთში და დსთ-ის ბევრ ქვეყანაში სწავლობს. მაგრამ ეს თემა განსაკუთრებულ და უფრო დაწვრილებით საუბარს იმსახურებს.

1938 წელს ჩვენ წინაშეა უკვე არა მამა, არამედ ბელადი და მასწავლებელი, უმცროსი შვილისთვისაც კი. სტალინს სურდა ვასილისათვის და თავისი შთამომავლებისათვის დაეტოვებინა ჭკუის დასარიგებელი, მაგალითი, თუ როგორ მუშაობდა ბელადი წიგნზე, როგორ უნდა გაიგონ ეს წიგნი, როგორ "გამოყონ მასში მთავარი და მეორეხარისხოვანი საგანი" (მისი საყვარელი გამოთქმა). საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ, ლეგენდარულად რომ ფხიზლობდა ღამღამობით თავის კრემლისეულ კაბინეტში და მთელი კაცობრიობის ბედზე ფიქრობდა, არ დაიზარა 300 გვერდიანი წიგნის თავიდან ბოლომდე გახაზვა, თუმცა ამასობაში თანდათან წარმოდგენას კარგავდა ჩანაფიქრის აზრზე. როგორც ჭეშმარიტმა "მასწავლებელმა" და უკიდურესად მოუცლელმა სახელმწიფო მოღვაწემ ჩანს, საკუთარი ძვირფასი დროის არა ერთი და ორი საათი დახარჯა სხვადასხვა ფერის ფანქრებით ტექსტის გახაზვაზე, იმ თარილების შემოხაზვაზე (როგორც ყოველთვის თავისთვისაც აკეთებდა ხოლმე), რომლებიც, მისი აზრით, შვილს უნდა დაეხსომებინა. იმავე წითელი ფანქრით გამოყოფდა ის პუნქტების ნომრებს დასკვნებში.

ასეთი ნომრების დასმა განსაკუთრებით უყვარდა როგორც თავის ხელნაწერებში, ისე სხვა ავტორების გამოქვეყნებულ ტექსტებშიც. ეს სიყვარული პუნქტებისადმი მის წერილებსა და გამოსვლებს განსაკუთრებულ დიდაქტიკურ დამაჯერებლობას, აზრებს კი, თუნდაც სრულიად უკბილოს, საგრძნობ წონას ანიჭებდა.

ამ, ცოტა არ იყოს, უცნაურ მხატვრობაში სხვა რამეც გამოსჭვიოდა. ის წინასწარ ამუშავებდა თავისი თხზულებების "აკადემიურ" გამოცემებს. ამ დროისათვის მოთმინებით დაამუშავა ბევრი მსგავსი ნაბეჭდი გამოცემა — ლენინის, მარქსის და ენგელსის მოსამზადებელი და შავი ჩანაწერები. მათში — წიგნების და ხელნაწერების ტექსტშიც და არეებზეც - გრაფიკულად იყო გადმოცემული ხელით ნაწერი სხვადასხვანაირი მინიშნებები. და აი, პროფესიონალმა რედაქტორმა სრული თავისუფლება მისცა თავის მოუთოკავ მიკერძოებულობას. ნაწერის სწორება, რედაქტირება და კორექტირება მისთვის ისეთივე ორგანული იყო, როგორც განუყოფელი ბატონობისკენ, ინტელექტუალური პირველობისკენ ანდა "მასწავლებლობისაკენ" სწრაფვა. არსებითად, მისი პოლიტიკური კარიერა დაიწყო, როგორც რედაქტორის კარიერა. კავკასიასა და ცენტრალურ რუსეთში სტალინი სხვადასხვა ბოლშევიკური გამოცემების, მათ შორის 1917 წელს "პრავდის" რედაქტირებას აკეთებდა, ხოლო გენერალური მდივნის პოსტზე დანიშვნის შემდეგ იგი ძალზე ადვილად ჩაება ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს და საორგანიზაციო ბიუროს მუშაობაში. ლენინიც და მისი ერთხმად მხარდამჭერი პოლიტბიუროს წევრები სამართლიანად ვარაუდობდნენ, რომ სტალინი, როგორც გენერალური მდივანი, თავის თავზე აიღებდა პარტიის ყველა ქაღალდისმიერ, ბიუროკრატიულ და ორგანიზაციულ მუშაობას. მოცემული სამუშაო კი არსებითად რედაქტორის სამუშაოა, რადგან დაკავშირებულია სხვადასხვა პარტიული დოკუმენტების, ცირკულარების მომზადებასთან, მიწერ-მოწერასთან და სხვ. ამით ისინი იმედოვნებდნენ, რომ ხელი გაეხსნებოდათ რევოლუციური, თეორიული და "ბელადისეული" მუშაობისათვის. სხვა, წმინდა პოლიტიკურ მიზნებსაც ისახავდნენ.

ჯანმრთელობაშერყეული ლენინი ვარაუდობდა, რომ სტალინის სახით შეიძენდა სანდო პიროვნებას, რაღაც მეთვალყურის მსგავსს ურჩ პარტიულ არეოპაგში. ტროცკის მისი გამოჩენა თავდაპირველად ხელს

აძლევდა, რადგან სტალინში ხედავდა გარდამავალ ფიგურას ლენინის ავადმყოფობის პერიოდში. ტროცკის მოწინააღმდეგეებს — კამენევს, ბუხარინს და სხვებს სტალინში ხელს აძლევდათ მისი სიძულვილი ტროცკისადმი და მზადყოფნა მათთან ერთად გადაეგდოთ პარტიული "გადამთიელი" პირველი პოზიციებიდან. სწორედ აქედან მომდინარეობდა გამუდმებული საუბრები "კოლექტიური ხელმძღვანელობის" შესახებ, რომლებიც განსაკუთრებით გაძლიერდა ლენინის სიკვდილის შემდეგ (სხვათა შორის, ისევე, როგორც სტალინის სიკვდილის შემდეგ). თუმცა სინამდვილეში ეს არავის სურდა. როგორც ცნობილია, ყველამ ჭკუა წააგო კიდევ იმიტომაც, რომ სტალინს გულწრფელად უყვარდა "ქაღალდებთან მუშაობა," თანდათან სრულყოფდა და თავისკენ ითრევდა ყოვლისმომცველი პარტიულ-სახელმწიფოებრივი აპარატის სამართავ ყველა ძაფს. თანდათანობით მან "ადამიან-სახელმწიფოდ" დაიწყო გადაქცევა.

სტალინიზმი: "ადამიანი-სახელმწიფო" თუ "შემოქმედი"

"ადამიანი-სახელმწიფო" ისტორიაში უნიკალური მოვლენაა. ბევრ ძლიერ პიროვნებას დაუსახავს მიზნად მიეღწია აბსოლუტური პირადი ძალაუფლებისათვის და ესეიგი, საზოგადოებისაგან აბსოლუტური პირადი თავისუფლებისათვის. თუმცა პრაქტიკულად ვერავინ, თვით ყველაზე ცნობილმა დიქტატორებმაც კი ამას ვერ მიაღწიეს. ყველა ისინი, ასე თუ ისე, რომელიღაც ძალების დაყენებული პირები იყვნენ; კერძოდ, ეს შეიძლება ყოფილიყო სამხედრო, პოლიტიკური, კლერიკალური ძალები ანდა ბიუროკრატია, კაპიტალი, ოლიგარქია ან ოლქოკრატია. ასეთ შემთხვევებში მმართველი ანსახიერებდა რომელიმე ამ ძალას, ანდა ძალთა მთელ ჯგუფს და მეტნაკლებად მათი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა. მაგრამ, აი, "ადამიანი-სახელმწიფო" ისეთ პოლიტიკურ სისტემას ქმნის, რომლის დროსაც მას ემორჩილება არა მხოლოდ საზოგადოების საბაზო ინსტიტუტები. ერთი ადამიანის ნებას ემორჩილება ყველა არსებული - მატერიალური, სულიერი და კულტურული სფერო, მთლიანად არის დამონებული პარტიულ-სახელმწიფოებრივი (საეკლესიო-სახელმწიფოებრივი) აპარატიც. ადამიანი კი არ არის აპარატის დაყენებული

კაცი, რომელიც ნებით ან უნებლიეთ გამოხატავს მის ინტერესებს, არამედ პირიქით, ბელადს, დიქტატორს, იმპერატორს, პრეზიდენტს, გენერალურ მდივანს - როგორც არ უნდა იწოდებოდეს იგი - მთლიანად ჰყავს დამონებული იგი ტერორით, ინტრიგით, ინტელექტით, სულიერი და მორალური გახრწნილებით, ერთი სიტყვით, ყველა შესაძლებელი საშუალებით. ადამიანი, რომელმაც მიაღწია ყველაფერ ამას, არა მხოლოდ ხელისუფლებას იძენს ქვეყანაზე, მის ინსტიტუტებზე და რესურსებზე, არამედ აკონტროლებს ამ ქვეყნის მოსახლეობას ბავშვებიდან მოხუცებამდე. მისი ძალაუფლება იმდენად შეუზღუდავია, რომ თავისუფლად შეუძლია არა მხოლოდ ჩაერიოს მიმდინარე მოვლენებში, არამედ საზოგადოებრივ შემეცნებაში თავისი სურვილისამებრ შეცვალოს წარსული, ანუ ისტორია და საკუთარი გეგმების მიხედვით ააგოს მომავალი. ეს არ არის მეტაფორა, ეს სტალინის მოღვაწეობის რეალური შედეგია.

მსოფლიოში საბჭოთა კავშირის გარდა სხვა სახელმწიფო რომ არ ყოფილიყო, ხოლო სტალინს მსოფლიო ბატონობისათვის მიელწია, კაცობრიობის ისტორია მის პერიოდში პირველად გახდებოდა მართვადი. სტალინმა პრაქტიკულად დაგვიმტკიცა ერთი ქვეყნის ფარგლებში მართვადი, ანუ კაცობრიობის გეგმიურად პროგნოზირებადი ან ინჟინრულად კონსტრუირებული, ცხოვრების შესაძლებლობა. სტალინმა პრაქტიკულად დაგვიმტკიცა "ისტორიის დასასრულის," როგორც განუჭვრეტი სპონტანური პროცესის შესაძლებლობა, რომელშიც მონაწილეობს მილიარდობით ადამიანი და კოლოსალური სოციალური ძალები. მან დაამტკიცა (თუნდაც სულ ერთი წამით, ისტორიული განზომილების თვალსაზრისით), რომ ერთი, სრულიად ჩვეულებრივი და არც თუ გენიალური ადამიანის ნებისყოფას შეუძლია დაიმორჩილოს ეს პროცესები. მანვე დაამტკიცა, რომ სოციალურ ინჟინერიაში არ არსებობს რაიმე მორალური და ეთიკური აკრძალვები. სწორედ ყველა ეს მტკიცებულება ერთად აღებული გახლავთ "სტალინიზმი."

კარგი იქნებოდა გაგვერკვია, რა საზოგადოება შექმნა და განახორციელა მან პრაქტიკულად, რა ისტორიული მოდელები და ნიმუშები შეირჩეოდა მისთვის და რა იყო ჭეშმარიტად ნოვატორული?

ტროცკი ძალზე ცდებოდა, როცა სტალინს კლასიკური სოციალ-დემოკრატიული ტრადიციების შუქზე ახალი პარტიული ბურჟუაზიის, ფაქტობრივად, ახალი ექსპლუატატორული კლასის წარმომადგენლად

წარმოგვიდგენდა. მხოლოდ ერთხელ, 1923-1924 წლებში, ანუ ძალზე მცირე ხნით, სტალინს მხარი დაუჭირა პარტიულ-სახელმწიფოებრივმა აპარატმა. თუმცა ლენინი ხომ უკვე მაშინ წერდა თავის "ანდერძში": "გახდა რა გენერალური მდივანი, სტალინმა ხელთ იგდო უსაზღვრო ძალაუფლება."[71] მთელი მომდევნო წლების განმავლობაში სტალინი ახორციელებდა ამ აპარატის გადაკეთებას. ანადგურებდა, ათვინიერებდა და იმორჩილებდა მას უმკაცრესი მეთოდებით. ამასვე სჩადიოდა საზოგადოების სხვა ფენების მიმართაც. არც მოლოტოვს, არც კაგანოვიჩს, ჟდანოვს, მალენკოვს და ბერიას ან ხრუშჩოვს გამოუზრდიათ თავიანთ წრეში ბელადი და არც საკუთარი მხრები შეუშველებიათ მისთვის. პირიქით, ის თავად აწინაურებდა და "უკან სწევდა" მათ საკუთარი შეხედულებებისამებრ. ყველა ისინი მონურად, სიყვარულითაც კი ემსახურებოდნენ და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სიკვდილივით ეშინოდათ მისი. რა თქმა უნდა, ისინი, როგორც ჩვენი ხალხის უმრავლესობა, ახალი ნაბუქოდონოსორის მონები იყვნენ, არა მხოლოდ სოციალური მონები (დაუზოგავად უწევდა ექსპლუატაციას და ნებისმიერ დროს შეეძლო გაეწირა სიკვდილისა და წამებისათვის), არამედ სულიერიც.

მთელი თავიანთი გამჭრიახობის და გონიერების მიუხედავად, ტროცკი და ჯილასი უიმედოდ ცდებოდნენ, როცა სტალინის აღზევების ფენომენს განბურჟუებული კონტრრევოლუციური ბიუროკრატიის, ანუ "ახალი კლასის" მხარდაჭერით ხსნიდნენ. მოცემულ შემთხვევაში თავს იჩენდა ჩვეული მარქსისტული კლიშე — ნებისმიერ ისტორიულ მოვლენაში ეძებნათ ფარული კლასობრივი ან ჯგუფური ძალები და ინტერესები. სტალინის ფენომენი პრინციპულად სხვა ფენომენია: მილიონობით დამხმარეების, თანაშემწეებისა და მსახურების საშუალებით, ის საკუთარი შეხედულების მიხედვით გეგმავდა და გარდაქმნიდა მთელ თავის ქვეყანას. არაერთხელ ცვლიდა "გენერალურ გეგმებს." ბუხარინი, რომელმაც ეშმაკი ულისეს - სტალინის დროის ტროას ცხენის პოლიტიკური როლი ითამაშა, 1928 წელს ერთგვარი მოსულელო დაბნეულობით ამბობდა თავის ცოტა ხნის უწინდელ მეგობარ კობაზე: "ის გაგიჟდა, ფიქრობს, რომ ყველაფერი შეუძლია, რომ მარტო გაუძლებს ყველაფერს, ყველა დანარჩენი კი მხოლოდ ხელს უშლის."[72] ყველაფრის მიუხედავად, მიუხედავად უმძიმესი ავადმყოფობისა და სტრესებისა, სტალინი ყველაფერს შესანიშნავად

აწონ-დაწონიდა და კარგადაც გაიანგარიშებდა ხოლმე. მას მართლაც ხელს უშლიდნენ მთელი ეს ჭკუის კოლოფები და მოლაყბეები. მან დაამტკიცა, რომ უნარი შესწევდა ყველაფერი თავის თავზე აეღო და კიდეც გაუძლო 30 წელი! თითქოსდა სწორედ აქ მოახერხებდა გამოემჟღავნებინა მთელი ძალით თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი. სრულებითაც არა!

თავად მისი ოფიციალური შეხედულების საწინააღმდეგოდ, რომელიც სავალდებულო გახდა საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობისათვის ყველა დროში, სტალინისათვის ხშირად შინაარსი კი არ განსაზღვრავდა ფორმას, პირიქით, გამოსახვის ფორმას უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სტალინისთვის, როგორც აღმოსავლური წარმოშობის მრავალი ადამიანისათვის, ინტონაცია ხშირად წინ უსწრებდა ნათქვამის აზრს. აღმოსავლეთი ბრძენია, — ხშირად ეს მართლაც ასეა. ამიტომაც მისი ოფიციალური გამოსვლები, ჩვეულებრივ, ინტონაციურად უფერულია. ეს განზრახ კეთდებოდა, — მათში ცოტაა გულწრფელობა და რეალური სიმართლე, მაგრამ ბევრია ჭკუის სწავლება (ისევ "დარიგებები"!). ინტონაციას შეუძლია ვერაგულად გასცეს ორატორი. ასევე ინტონაციურად უფერულია მის მიერ გამოქვეყნებული სტატიების და მოხსენებების უმრავლესობა. მაგრამ, როცა ის მრისხანებით ფეთქდებოდა (და არა სადღეგრძელოს ამბობდა), მის ინტონაციაში ჩნდებოდა მრისხანებით მოსისინე ბგერები, ასეთ შემთხვევებში ქართული აქცენტი არა თუ ხელს არ უშლიდა, არამედ მის საუბარს განსაკუთრებით ავბედით იერს ანიჭებდა. ეს ინტონაცია იგრძნობა არა მხოლოდ ფონოგრამებზე და ფირფიტებზე მისი ხმის ჩანაწერებში, არამედ ნაწერებშიც. რა თქმა უნდა, მის თხზულებათა ოფიციალურ კრებულში შემთხვევით არ არის გამოქვეყნებული სიავით, არატოლერანტობით აღსავსე წერილები, შენიშვნები და რეპლიკები. მისი იმ გამოსვლების სტენოგრამებში, განსაკუთრებით დახურულ კრებებზე, სადაც პრიმიტიულ ახსნა-განმარტებებს იძლეოდა მორიგ ხოცვა-ჟლეტასთან დაკავშირებით, შემონახულია დარბაზში მყოფთა სამარისებური სიჩუმე, შიშით რომ კანკალებდნენ, ერთი სიტყვა არ გამოგვრჩესო.

მისი დამახინჯებული შინაგანი სამყარო კარგად ასახავს ორ გარეგნულ დეტალს. ომის შემდეგ, როცა უკან დარჩა შიში ქვეყნის, ხელისუფ-

ლების, საკუთარი თავის გამო და მან კვლავ იგრძნო თავი თუმცა კი მარტოსულად, მაგრამ თავისუფლად, მოსკოვის მახლობელი აგარაკის კედლები ჟურნალებში დაბეჭდილი ბავშვების ფოტოებით მოჰფინა: ბიჭუნა თხილამურებზე, გოგონები ბეკეკასთან ერთად... სვეტლანა აღშფოთებით და გაოცებით იხსენებს ამას თავის მემუარებში. ხომ შეიძლებოდა მისი საცხოვრებლის კედლები მსოფლიოს ხელოვნების შედევრებს დაემშვენებინა. ამავე დროს კრემლის კაბინეტის ერთ-ერთი კედელი ეკავა ჩინეთის დელეგაციის ნაჩუქარ ნათელ პანოს: მასზე გამოსახული იყო ცეცხლისფერი წითური ვეფხვი, ჩინური ტრადიციის მიხედვით ეს ნადირი იმპერატორის სიმბოლოა. ბევრნი აღნიშნავდნენ, რომ მრისხანების წუთებში სტალინი ვეფხვს, ლომს ან ჯიქს ჰგავდა ხოლმე. შესაბამისი ფოტოებიც კი არის გამოქვეყნებული. მან იცოდა ამ მსგავსების შესახებ და, ჩანს, ეს ამბავი მოსწონდა კიდეც. სხვათა შორის, ლომთან მსგავსებას ტროცკისაც მიაწერდნენ. სწორედ აქედან მომდინარეობს რუსული საკუთარი სახელი, რომელიც მან მიიღო. ჰიტლერი კი "ნორდიკული" მითის ტრადიციებიდან გამომდინარე, თავის თავს მძვინვარე მგელთან აიგივებდა. ჭეშმარიტად არის ნათქვამი — კეისარს კეისრისაო!

ფოტოებიდან გაკეთებული რეპროდუქციები იმდენად მხატვრობისადმი პატრონის უგემოვნო დამოკიდებულებაზე არ მეტყველებს, რამდენადაც იმაზე, რომ ის დადებით ემოციებს ღებულობდა არა ცოცხალი ხელოვნებისაგან, არამედ ასლებისაგან კვადრატში. საერთოდ, სტალინს წიგნებში მარტო რუკების კი არა, ნახატების, სურათების და ფოტოების დათვალიერებაც უყვარდა. მას გულდასმით ჰქონდა შესწავლილი ისტორიის ყველა სასკოლო სახელმძღვანელო არა მხოლოდ შინაარსის, არამედ გამომსახველობის მხრივაც. რა თქმა უნდა, იგი დასრულებული ფორმალისტი იყო ყველაფერში, რაც შეეხებოდა როგორც სახელმწიფო, ისე პოლიტიკურ და სამეცნიერო შემოქმედებას. ამის შედეგად მუდმივად მშიერი, უკიდურესად დანგრეული, უზარმაზარ საკონცენტრაციო ბანაკად ქცეული ქვეყანა მშრომელი ადამიანის ნანატრ სამოთხედ იყო გამოცხადებული. ეს ფორმალობა განურჩევლად ყველამ უნდა იმეოროს - ვინც "თავისუფალია" და ვინც ბანაკებშია, სანამ თვითონ არ დაიჯერებს მას. პროპაგანდა აცხადებს, რომ ქვეყანაში მსოფლიოში არსებულთაგან ყველაზე უფრო სრულყოფილი დემოკრატია და ყველაზე პატიოსანი

პოლიტიკური სისტემაა. ეს არავის სჯერა, მაგრამ ფორმალურად სწამთ, რომ ასეა. მეცნიერება უფაქიზესი მატერიაა, საიდანაც ერთდროულად ამოიზრდება ატომური სოკოც და ანტიბიოტიკის შემცველი სოკოებიც, მაგრამ სტალინი თამამად, ანგარიშიანად იჭრება ამ უფაქიზეს ქსოვილში. ფორმალიზმი სუფევს დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოთა ერთხელ და სამუდამოდ გაყინულ სქემებში, ფორმალიზმი მეფობს პარტიული კრებების ჩატარებაში, მშრომელთა "სტიქიურ" მიტინგებში და კარგი რეჟისორის მიერ დადგმულ ზიზილ-პიპილა დემონსტრაციებში. ფორმალიზმია გაბატონებული სასამართლო პროცესებში, "რეალისტური" ხელოვნების ნებისმიერ გამოვლენაში. მისი უახლოესი თანამებრძოლებიც კი სიცოცხლის უმეტეს ნაწილს მისივე გამოგონილ ფორმალურ, ანუ მის მიერვე შექმნილ სამყაროში ატარებდნენ. ერთადერთი, ვინც თავიდან ბოლომდე ნამდვილი, ცოცხალი და ამ ქვეყნის აბსოლუტურად თავისუფალი შემოქმედი იყო, თვითონ სტალინი გახლდათ.

შენიშვნები

1. ქვეყნდება ნაწყვეტები ბ.ილიზაროვის მონოგრაფიიდან "სტალინი. სტალინიზმის ისტორიოსოფია," რომელიც გამოსაცემად მზადდება.
2. Толстой А.Н. Праздник идей, мыслей, образов. Собр. Соч. В 10 т., т. 10. М., 1959, с. 48.
3. Платонов С.Ф. Иван Грозный; Виппер Р.Ю. Иван Грозный. М., 1998.
4. Иосиф Виссарионович Сталин. Краткая биография, изд. 2-е, исправленное и дополненное. М., 1948, с. 239.
5. Российский государственный архив социально-политической истории (РГА СПИ), ф. 558, оп. 3, д. 370, л .33, 32.
6. იქვე, оп. 1, д. 2510, л. 1.
7. იქვე, оп. 3, д. 358, л. 76.
8. იქვე, д. 350.
9. იქვე, д. 121, с.537, д. 132, с. 138.
10. იქვე, д. 158, л. 34.

11. Микоян А.И. Так было. Размышления о минувшем. М., 1999, с.356.
12. იქვე, с. 576.
13. Бармин А. Соколы Троцкого. М., 1997, с. 305.
14. РГА СПИ, ф. 558, оп. 3. д. 188, 266, 183.
15. იქვე, д. 380, с.278.
16. И.В. Сталин сам о себе. Редакционная правка собственной биографии. - Известия ЦК КПСС, 1990, №9, с. 113-128.
17. Иосиф Виссарионович Сталин. Краткая биография, с. 18.
18. იქვე, с. 65, 92-93, 95; И.В. Сталин сам о себе..., с. 127.
19. Иосиф Виссарионович Сталин. Краткая биография, с. 96.
20. იქვე, с. 118, 131, 162, 238, 242.
21. РГА СПИ, ф. 78, оп. 8, д. 140. სწორედ ეს გამოცემა, რომელიც საბჭოთა პერიოდში დახურულ საცავებში ინახებოდა, მასობრივი ტირაჟით გამოვიდა "პერესტროიკის" შემდგომ რუსეთში.
22. Бармин А. Указ. Соч., с. 337.
23. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ: Рокитянский Я.Г. Трагическая судьба академика Д.Б.Рязанова. Новая и новейшая история, 1992, №2.
24. Троцкий Л. История русской революции. М., 1997, с. 337-381.
25. Сто сорок бесед с Молотовым. Из дневника Ф.Чуева. М., 1991, с. 24.
26. Сталин И.В. Соч., т. 1. М., 1946, с. 227-329.
27. იქვე, с. 316.
28. ჩუევის შეკითხვაზე, იცოდა თუ არა სტალინმა ოდნავ გერმანული, მოლოტოვმა უპასუხა: "ევროპაში ნამყოფია. ესმოდა." ჩუევი: "რიბენტროპის ნათქვამი ესმოდა?" მოლოტოვი: "არა, არც მას ესმოდა და არც მე." - Сто сорок бесед с Молотовым, с. 257.
29. Бармин А. Указ. Соч., с. 307.
30. Сто сорок бесед с Молотовым, с. 268-269.
31. РГА СПИ, ф. 558, оп. 3, д. 211, л. 40.
32. იქვე, д. 1, л. 17.
33. Российский государственный архив новейшей истории (РГАНИ), ф. 5, оп. 16, д. 745, л. 122.
34. Иосиф Виссарионович Сталин. Краткая биография, с. 11.

35. ob. Радзинский Э.С. Сталин. М., 1997, с. 49.
36. Иосиф Виссарионович Сталин. Краткая биография, с. 9.
37. Волкогонов Д.А. Сталин. Политический портрет. 4-е изд., кн 1. М., 1996, с. 51.
38. РГА СПИ, ф. 558, оп. 3, д. 281.
39. Сталин И.В. Указ. Соч., т. 2, с. 403.
40. oქვე, т. 3, с. 321.
41. Аллилуева С. Двадцать писем к другу. М., 1990, с. 113-114.
42. Яковлев А.С. Цель жизни, 2-е изд. М., 1968, с. 184-185.
43. Шарапов Ю. Пятьсот страниц в день... - Московские новости, 18.IX. 1988. с. 16.
44. Микоян А.И. Так было. Размышления о минувшем. М., 1999, с.351.
45. Аллилуева С. Указ. Соч., с. 20.
46. Красиков С. Возле вождей. М., 1997, с. 85.
47. Сто сорок бесед с Молотовым, с. 296.
48. Шарапов Ю. Указ. Соч., с. 16.
49. Бармин А. Указ. Соч., с. 317.
50. ob. Красиков С. Указ. Соч., с. 91.
51. РГА СПИ, ф. 558, оп. 11, д. 1487, л. 106-108.
52. РГАНИ, ф. 5, оп. 16, д. 745, л. 126.
53. РГА СПИ, ф. 558, оп. 3. Справка о приеме личной библиотеки И.В.Сталина в Центральный Партархив.
54. oქვე, л. 125.
55. Медведев Ж., Медведев Р. Бумаги Сталина: жизнь после смерти? - Книжное обозрение, 11. XI. 1999, с. 19.
56. Шарапов Ю. Указ. Соч.
57. Российский центр хранения и изучения документов новейшей истории. Краткий путеводитель. М., 1993, с. 237.
58. Антонов-Овсеенко А. Берия. М., 1999, с. 445.
59. Сто сорок бесед с Молотовым. Из дневника Ф.Чуева. М., 1991, с.335.
60. "Мероприятия отличаются большой скромностью". О подготовке к 70-летию И.В.Сталина. - Источник, 1996, №5, с.79.
61. Волков Ф.Д. Взлет и падение Салина. М., 1992.

62. РГА СПИ, ф. 558, оп. 3, д. 293.
63. იქვე, д. 332.
64. იქვე, д. 4.
65. Мазер В. Адольф Гитлер. Легенда, миф, реальность. Ростов-на-Дону, 1998, с. 15-16 и др.
66. Шпеер А. Воспоминания. Смоленск-Москва, 1997, с. 226.
67. Иосиф Виссарионович Сталин. Краткая биография. М., 1948, с. 239.
68. РГА СПИ, ф. 558, оп. 3. д. 52.
69. Иосиф Виссарионович Сталин. Краткая биографиая, с. 163.
70. ГРА СПИ, ф. 558, оп. 3, д. 76, л. 11.
71. Ленин В.И. Полное собр. соч., т. 45, с. 345.
72. Троцкий Л. Портреты революционеров. М., 1991, с. 181.

შინაარსი

წინასიტყვაობა 3

რონალდ გრეგორ სიუნი
ქართველი ერის ჩამოყალიბება 19

რობერტ თაკერი
გადამწყვეტი წვრილმანი - როგორ აღიქვამდნენ მას სხვები 52

რობერტ თაკერი
ახალი გმირი. კულტის დაბადება 102

გაბრიელ გოროდეცკი
საბედისწერო თავის მოტყუება. სტალინი და
გერმანიის თავდასხმა საბჭოთა კავშირზე 133

ვიაჩესლავ მალიშევი
"ათი წელი გავა და ამ შეხვედრებს
ველარ აღიდგენ მეხსიერებაში" 171

ვლადიმერ პეჩატნოვი
"მოკავშირეები ზეწოლას ახდენენ,
რათა შენი ნებისყოფა გატეხონ..." 197

ვლადიმერ პეჩატნოვი
შტრიხები გენერალური მდივნის პორტრეტისათვის 233

გენადი კოსტირჩენკო
წითელი ფარაონის ტყვეობაში
ებრაელთა პოლიტიკური დევნა საბჭოთა კავშირში
ბოლო სტალინურ ათწლეულში 251

ბორის ილიზაროვი
სტალინი. შტრიხები პორტრეტისათვის მისი ბიბლიოთეკისა და
არქივის ფონზე 264

სტალინი ისტორიასა და ისტორიკოსთა შეფასებებში

რედაქტორი	გიორგი მამულია
მთარგმნელები:	ნანა კიცნაძე ქეთევან როსტიაშვილი

გამომცემლობა „დეოაენა“
თბილისი
2002

გამომცემლობის რედაქტორი	მ. უკლება
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თ. ბუჯიაშვილის
კორექტორი	დ. გოლეთიანი

გამომცემლობა „დედაენა“
თბილისი, რუსთაველის გამზ. 42
E-mail: Dedaena@geo.net.ge
ტელ. 92 29 02